

12
ოთხი

ოთი
III

კარლ ჰაგენბეკი

ცხოველნი და კაცები

ჩარლზ მაიერი

ველური ბუნების ცხოვრება

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1960

639.1 + 591.5
639 1 + 591.9
Ბ 148

ᲙᲐᲠᲚ ᲰᲐᲒᲔᲜᲑᲔᲙᲘ — ᲛᲮᲔᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს შტელინგენის ზოოპარკი. მისი დამაარსებელია კარლ ჰაგენბეკი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირა ამ საქმეს. ბევრი ფათერაკი გადახდენია თავს, ბევრი საინტერესო რამ უნახავს. ჰაგენბეკის მოგონებები დაწერილია სადად, მიმზიდველად.

ᲩᲐᲠᲚᲖ ᲛᲐᲘᲔᲠᲘ — ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲘᲬᲔᲠᲓᲘ ᲛᲮᲔᲪᲔᲑᲘ

ცირკისა და ზოოპარკისათვის მხეცების დამჭერი ჩარლზ მაიერი საინტერესო ამბებს მოგვითხრობს აზიაში თავის ცხოვრებასა და თავგადასავალზე. წიგნს დიდ შემეცნებით ღირებულებას აძლევს აგრეთვე ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების სურათები.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:

ᲞᲠᲝᲤ. Გ. ᲖᲐᲠᲓᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤ. Ს. ᲛᲐᲙᲐᲚᲐᲗᲘᲐ,
ᲞᲠᲝᲤ. ᲐᲠᲩ. ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

7—3—4
4 76—66 ᲐᲓᲒ,

კარლ ჰაგენბეკი

ჭარლ ჰუბენბეკი

ელფები და ადამიანები

თარგმნა

გურამ ქველაძემ

წინასიტყვაობა

ზოოლოგიისა და გეოგრაფიის თემატიკაზე შექმნილ მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურაში განსაკუთრებული და, შეიძლება ითქვას, უაღრესად თავისებური ადგილი უჭირავს „ზოოლოგიური ბაღებისა და გარეული ცხოველებით ვაჭრობის მეფედ“ აღიარებულ კარლ ჰაგენბეკის მოგონებებს, რომელიც 1908 წელს გამოქვეყნდა სათაურით „მხეცებსა და ადამიანებზე“.

კარლ ჰაგენბეკმა შექმნა გარეული ცხოველების იმპორტისა და ექსპორტის უდიდესი წარმოება, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში პირადად ხელმძღვანელობდა. მანვე ჩამოაყალიბა შტელინგენის (ჰამბურგის მახლობლად) სახელგანთქმული ზოოლოგიური პარკი.

ცხოვრების გრძელი, ნათელი და უაღრესად საინტერესო გზა განვლო კ. ჰაგენბეკმა (1844 — 1913).

ბევრი რამ ჰქონდა ამ კაცს მოსაგონარიცა და მოსათხრობიც. ამიტომაც იოლად და საინტერესოდ იკითხება მისი წიგნი. ჰაგენბეკს ძალზე ზერელე განათლება ჰქონდა მიღებული, არც მკვლევარი იყო იგი და არც მეცნიერი. არც აცხადებდა ამის პრეტენზიას: „მთელი ჩემი ცხოვრება პრაქტიკულ საქმიანობაში გავატარეო“, — წერდა იგი. მაგრამ ეს კია, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე უაღრესად მჭიდრო ურთიერთობაში იყო გარეულ ცხოველებთან, თუმცა ეს მათთვის ჩვეულ გარემო პირობებში როდი ხდებოდა. ამან საშუალება მისცა ჰაგენბეკს ჩაეტარებინა ბევრი საინტერესო დაკვირვება, რომელთა საფუძველზეც გარკვეული დასკვნებიც გააკეთა.

კარლ ჰაგენბეკი, უპირველეს ყოვლისა, ფხიანი კაცი იყო, იღბლიანი მეწარმე-კომერსანტი. იგი მუდამ წინ აყენებდა საქმის ფინანსიურ მხარეს. ამას არც მალავს თავის წიგნში და გულახდილად იკვეხნის თავისი კომერციული წარმატებებითა და ხელსაყრელი გარიგებებით. არც იმას მალავს, რომ მისი კულტურულ-საგანმანათლებლო წარმოებები გვარიან შემოსავალს აძლევდა მას. და თუ ზოგჯერ დიდ წაგებასაც ნახულობდა, ეს, სხვათა შორის, მეცენატობის მიზეზით როდი ხდებოდა. გარეული ცხოველებით ვაჭრობაში დიდი რისკი, ხელმოცარვა ზოგჯერ გარდაუვალია.

მუდამ არსებით ყურადღებას აქცევდა იგი საქმის რეკლამასაც. ეს აშკარად იგრძნობა მის მოგონებებში.

ჰაგენბეკს ბავშვობიდანვე უყვარდა ცხოველები და ეს სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მისი წარმოება არა მარტო კომერციული, არამედ სარფიანი იყო. ეს იყო მისი საყვარელი საქმე. მისი hobby, როგორც იტყვიან ხოლმე ინგლისელები.

ამ საინტერესო საქმიანობაში მოპოვებულ წარმატებათა ერთი უდავო მიზეზი სწორედ ის გახლდათ, რომ მას მართლაც ძალიან უყვარდა გარეული ცხოველები, ამიტომ კარგადაც იცნობდა მათ, იცოდა მათი ზნე, და შეეძლო თავისი ნებისათვის დაემორჩილებინა ისინი.

მაგრამ ცხოველებისადმი სიყვარული არასოდეს ხელს არ უშლიდა ჰაგენბეკს წინ დაეყენებინა ფინანსიური მოსაზრებანი. თუკი ხელსაყრელ გარიგებას მოახერხებდა, იგი უყოყმანოდ, მაშინვე ჰყიდდა ხოლმე ცხოველებს. თავისი საქმიანობის სფეროში არაფერს ერიდებოდა, ოღონდ კი მოგება ენახა. ჰაგენბეკი არა მარტო ვაჭრობს გარეული ცხოველებით (პირველ ხანებში მამასთან ერთად), არამედ მოგზაურობს კიდეც მოხეტიალე სამხეცეებთან და ცირკებთან ერთად. აწყობს საცირკო წარმოდგენებს, ეფექტურ ატრაქციონებს, ეთნოგრაფიულ გამოფენებს, წვრთნის გარეულ ცხოველებს, დრომადერებით — ცალკუზა აქლემებით ამარაგებს დამსჯელ ჯარებს გერმანიის კოლონიებში. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების

ბოლოს იგი 25 ჰექტარზე გაშლილ დიდ საჩვენებელ ზოოლოგიურ პარკს აწყობს ჰამბურგის მახლობლად.

ჰაგენბეკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია რამდენადმე გარეული ცხოველებით ვაჭრობის, ზოოლოგიური ბაღებისა - და. გარეული ცხოველების წვრთნის ისტორიაა, მოკიდებული 1848 წლიდან 1913 წლამდე, ესე იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამიტომაც მუდამ ძვირფასი იქნება ეს წიგნი, რომლის ავტორმაც დიდი და გრძელი გზა განვლო საბაზრო ბალაგანიდან შტელინგენის ზოოპარკამდე.

გარეული ცხოველების მოვლა-პატრონობის, მკურნალობისა და აკლიმატიზაციის შესახებ ავტორის ნაამბობიდან დღეისათვის ბევრი რამ მოძველებულია და პრაქტიკულად აღარ შეიძლება გამოყენებულ იქნას. და მაინც, ყველაფერ ამას, უდავოდ, ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

კარლ ჰაგენბეკის დიდი დამსახურება პირველ რიგში ისაა, რომ მან შექმნა ზოოპარკებსა და ზოობაღებში გარეული ცხოველების მოვლა-პატრონობის ახალი სისტემა, ცხოველთათვის უფრო ჰუმანური და ამავე დროს ამ დაწესებულებათა მნახველთათვის უფრო თვალსაჩინო და სასარგებლო სისტემა. ამ ახალი სისტემის ძირითადი პრინციპია ვიწრო, დახურული პავილიონების, და მით უმეტეს, გალიების ნაცვლად ფართო ღია ბაკებისა და მოედნების მოწყობა. ამავე დროს იგი ისეთ გარემოს უქმნიდა ცხოველებს, რომელიც ასე თუ ისე მიაგავდა მათთვის ჩვეულ ბუნებრივ პირობებს. გარდა წმინდა დეკორაციული მომენტებისა, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს სხვადასხვაგვარი წყალსაცავები, ხელოვნური გორაკები და კლდეები მთის ბინადარ ცხოველთათვის და ა. შ.

ჰაგენბეკი ამ მხრივაც საქმიანი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა: მისი აზრით, ცხოველმა რომ კარგად იგრძნოს თავი ტყეებაში, არ იავადმყოფოს და დიდხანს იცოცხლოს, საჭიროა არა მარტო კარგი კვება, არამედ აუცილებელი მოციონისა და ერთგვარი „გართობის“ პირობებიც კი.

მნახველთა უხიფათობისა და ცხოველების გაქცევის თავიდან აცილების ღონისძიებანი ჰაგენბეკმა ისე განახორციელა, რომ თვალისათვის თითქმის შეუმჩნეველი იყო ეს და სრუ-

ლიადაც არ არღვევდა სრული თავისუფლების ილუზიას. სხვა-თაშორის, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ პრინციპზე მან დროულად მოიპოვა საპატენტო უფლებები.

პროფ. მ. მ. ზავადოვსკის ინიციატივით, ამ პრინციპების მიხედვით მოეწყო მოსკოვში ზოოლოგიური პარკის ეგრეთ-წოდებული „ახალი ტერიტორია“.

ცხოველების მოვლა-პატრონობის ახალი სისტემის განხორციელება მოითხოვდა იმ აუცილებელი პირობის დაცვას, რომ ცხოველები კარგად ყოფილიყვნენ აკლიმატიზებულნი, ესე იგი თანდათანობითი შეგუების გზით უვნებლად შეჩვეოდნენ მათთვის უჩვეულო კლიმატის ატანას. ჰაგენბეკი ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც ფართოდ ჩაატარა გარეული ცხოველების აკლიმატიზაციის ცდები. მისთვის ეს აუცილებელიც იყო. მაგრამ სპეციალური კვლევის გარეშე ძნელი სათქმელია, ვის ეკუთვნის ასეთი ცდების ჩატარების პრიორიტეტი და პირველობის დაფნის გვირგვინი — ჰაგენბეკს, თუ ფრიდრიხ ფალც-ფაინს, რომელმაც სამხრეთ უკრაინაში შეჰქმნა შტელინგენზე არანაკლებ სახელგანთქმული ველის ზოოპარკი „ასკანია-ნოვა“. თვით ჰაგენბეკის ნათქვამიდანაც ვიცით, რომ პირველად ფალც-ფაინმა და მისმა თანაშემწეებმა ჩამოიყვანეს მონღოლეთიდან პრჟევალსკის გარეული ცხენები, რომლებიც მათვე გაწვრთნეს და გაამრავლეს. აღსანიშნავია, რომ როგორც ჭეშმარიტ კომერსანტს. ჰაგენბეკს სრულიადაც არ სწყენია, როდესაც მის თანამშრომლებს ასკანია-ნოვაში არ გაუმხილეს პრჟევალსკის ცხენის მოთვინიერებაში მოპოვებული წარმატების საიდუმლოება. მისი აზრით, ეს სავსებით გონივრული და ჩვეულებრივი რამ იყო.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, უკვე 1908 წელს შტელინგენში ჰაგენბეკმა დიდ წარმატებებს მიაღწია გარეული ცხოველების აკლიმატიზაციის საქმეში. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი აკლიმატიზაცია პირობითად უნდა გავიგოთ და არა ისე, თითქოსდა მართლაც ხდებოდა ორგანიზმისა და მისი ფუნქციების შეცვლა ცხოველისათვის უცხო გარემოსა და მოვლა-პატრონობის ახალი პირობების ზეგავლენით. სიმართლე რომ ითქვას, ბევრ შემთხვევაში საერთოდ არ იყო ცნობი-

ლი მოცემული სახეობის ბუნებრივი ამტანობისა და ამა თუ იმ კლიმატური ფაქტორებისადმი შემგუებლობის ზღვარი.

მაგალითად, ახლა ჩვენ ვიცით, რომ სპილოები, მართალია, ცხელი ქვეყნის ბინადარნი არიან, მაგრამ არცთუ ისე იშვიათად ავადდებიან გადამეტხურებით („მზის დაკვრა"); ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ ისინი საკუთარი ნებასურვილით მიეშურებიან ხოლმე მაღალ მთებში (კილიმანჯაროს მთები აღმოსავლეთ აფრიკაში) და საკმაოდ დიდ სიცივეში სეირნობენ თოვლში.

ჰაგენბეკის ცდების შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზოოლოგიური პარკებისა და ბაღების პრაქტიკაში, რადგან ამან მნიშვნელოვნად გააადვილა და გააიაფა გარეული ცხოველების მოვლა-პატრონობა და კვება. ჰაგენბეკის მთავარი მიზანიც სწორედ ეს იყო.

ჰაგენბეკმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო აგრეთვე გარეული ცხოველების ჰიბრიდიზაციის ცდების ჩატარება. ამ მიზნით იგი მიმართავდა გარეული ცხოველების შეჯვარებას როგორც ერთმანეთთან, ისე შინაურ ჯიშებთან. ამ ცდებს ჰაგენბეკი დიდ მნიშვნელობას აძლევდა და უაღრესად პერსპექტიულ და მრავლისაღმთქმელ საქმედ თვლიდა. მაგრამ, ჩვენი გაგებით, ამ ცდებს არსებითი პრაქტიკული შედეგები არ ძიუცია ბისთვის. მართალია, მან მოახერხა მიეღო ეგრეთწოდებული „სანადირო" ხოხბის მრავალრიცხოვანი ჰიბრიდული ფორმები, ირმებისა და ზებროიდების სხვადასხვა რასებისა და სახეობების ჰიბრიდები, აგრეთვე ლომისა და ვეფხვის ჰიბრიდი და ა. შ., მაგრამ ყველაფერ ამას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

ჰაგენბეკს განზრახული ჰქონდა ახალი მთის ჯიშების მიღება შინაური და სხვადასხვა სახეობის გარეული ცხვრების შეჯვარების გზით, აგრეთვე კავკასიური ჯიხვისა და შინაური თხის, დომბისა და შინაური საქონლის ჰიბრიდიზაციით, მაგრამ ამ ხაზით ჩატარებულ მუშაობას დღემდე არ მოუცია კონსოლიდური, პროდუქციული ჯიშები.

კარლ ჰაგენბეკი, უდავოდ, ერთ-ერთი პიონერია აგრეთვე გარეული ცხოველების წრთვნის ჰუმანური სისტემისა, რაშიც

მან დიდ წარმატებებს მიაღწია. იმ ხანებში, როდესაც წარმოების პრაქტიკულმა საჭიროებამ აიძულა ჰაგენბეკი შეესდგომოდა ცხოველების მოშინაურებასა და გაწვრთნას (ატრაქციონებისა და ცირკებისათვის), ამ საქმეში დაშინებისა და წვალების სისტემა იყო გაბატონებული.

ჰაგენბეკმა ამ მეთოდებს დაუპირისპირა დაჟინებული მოთმინება და ცხოველთა სისტემატური წახალისება. ამის პარალელურად იგი განუწყვეტლივ მიმართავდა ამ მხრივ გამოუსადეგარი ცხოველების გადარჩევას და თვინიერი ეგზემპლარების მომრავლებას. „ცხოველის გულის მონადირებაც კუჭის გზით ხდებაო", — ამბობდა ჰაგენბეკი წახალისების მეთოდის დასასაბუთებლად.

ეს პრინციპები ჩვენში ფართოდ გამოიყენა ცნობილმა მსახიობმა — მწვრთნელმა ვლადიმერ დუროვმა. ახლა კი მას ყველა საბჭოთა მწვრთნელი და მომთვინიერებელი მიმართავს. ამ პრინციპების დასაბუთებასა და დადასტურებას წარმოადგენს აკადემიკოს ივანე პავლოვის მოძღვრება ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და მათში პირობითი რეფლექსების გამომუშავების შესახებ.

კომერციული მიზნით მოწყობილი სანახაობებიდან წლების მანძილზე კარლ ჰაგენბეკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ მოწყობილ ეთნოგრაფიულ გამოფენებს. ასეთი გამოფენები ეწყობოდა გარეული ცხოველებით ვაჭრობის საქმის ძლიერი დეპრესიის წლებში და უდიდესი წარმატებით სარგებლობდა მაშინ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ამ გამოფენებზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის — გრენლანდიის, ლაპლანდიის, ნუბიის, ცეილონის, ჩრდილოეთ ამერიკის, ცეცხლოვანი მიწისა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ხალხთა წარმომადგენლების ჯგუფები, რომლებსაც ამ მიზნით ქირაობდნენ ჰაგენბეკის ფირმის აგენტები. გამოფენებზე დემონსტრირებული იყო აგრეთვე მათი საცხოვრებელი სახლები, სატრანსპორტო საშუალებანი, ტანსაცმელი, ავეჯეული და ჭურჭელი, შრომისა და საბრძოლო იარაღები. აჩვენებდნენ მათ ცეკვებს, თამაშობებს, საოჯახო-საყოფაცხოვრებო რიტუალებს და ა. შ.

ცნობილია, რომ ამის მსგავს გამოფენებს ახლაც აწყობენ ხოლმე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დემონსტრირებას უკეთებენ რეზერვაციებში მყოფ ინდიელთა წარმომადგენლებსა და მათ ნაციონალურ საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებს.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია* ადამიანთა ღირსების შემლახველი ასეთი გამოფენები. ამ გამოფენის წყალობით ჰაგენბეკი საკმაოდ დიდ ფულს იგებდა და, თანაც ძყვირალა რეკლამას უკეთებდა თავის ფირმას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც ჩანს, იგი საკმაოდ პატიოსანი და ჰუმანური საქმოსანი იყო. იგი წერს, რომ ამ მიზნით დაქირავებულ ხალხთან მუდამ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, გამოფენის დახურვის შემდეგ უკანვე აბრუნებდა თავიანთ ქვეყანაში, ერთხელ კი, როდესაც ექსპონენტები ძალიან დანაღვლიანდნენ სამშობლოსაგან მოცილების გამო, მაშინვე უკან გაისტუმრა ისინი.

მნახველთა უმრავლესობისათვის ჰაგენბეკის ეთნოგრაფიული გამოფენები მხოლოდ თავისებური, ხშირად საკმაოდ ეფექტური ატრაქციონი იყო. მაგრამ ამ გამოფენებს გარკვეული მეცნიერული ღირებულებაც ჰქონდა. ანთროპოლოგებსა და ეთნოგრაფებს ძვირადღირებული და ზოგჯერ სახიფათო ექსპედიციების გარეშე შეეძლოთ ჩაეტარებინათ აქ მნიშვნელოვანი დაკვირვებები და გამოკვლევები. სხვადასხვა ხალხების საოჯახო ნივთები, იარაღი, ტანსაცმელი და შრომის ხელსაწყო-იარაღები ამ გამოფენების დახურვის შემდეგ გერმანიის მუზეუმებში რჩებოდა და მათ კოლექციებს ამდიდრებდა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ჰაგენბეკის მოგონებათა დამახასიათებელი ნიშანია სიმართლე. მოხუცი ჰაგენბეკი ზოგჯერ ამჟღავნებს მსუბუქ ცინიზმს, რომელიც შერწყმულია გულუბრყვილო, მაგრამ რამდენადმე უხეშ იუმორთან.

---

* საინტერესოა აღინიშნოს, რომ დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო კარგა ხნის განმავლობაში ნებას არ რთავდა ამ მიზნით გაეყვანათ ესკიმოსები გრენლანდიიდან, რადგან ეს „ადამიანებით ვაჭრობად" მიაჩნდა.

ყველაფერი უნდა დავუჯეროთ თუ არა ჰაგენბეკს? ძნელი სათქმელია. ჯერ ერთი, რომ მისი არასაკმარისი და ზერელე მეცნიერული ცოდნის გამო წიგნში გვხვდება უზუსტობანი, ზოგჯერ არასწორი ცნობებიც. ზოგიერთი რამ კი, ალბათ, კარგად არ დამახსოვრებია ავტორს.

პ. იურგენსონი



I

ახალგაზრდობის მოგონებანი

(ძველ ჰამბურგში)

შტელინგენის ზოოლოგიური პარკის ერცელ ტერიტორიას რომ მოვავლებ ხოლმე თვალს და დავინახავ ხელოვნურად შექმნილ კლდეებს, მწვანედ აბიბინებულ მდელოებს, სარკესავით კრიალა ტბებს, ათასობით მოსეირნე მნახველს, მთელი ქვეყნიერების ცხოველთა სამეფოს წარმომადგენელთა ცქერით რომ ტკბებიან, თავი სიზმარში მგონია. სიზმარი მგონია ისიც, რომ ამ პარკის პირველი აკვანი გახლდათ... სარეცხის დიდი ვარცლი, რომელიც 1848 წელს გამოფენილი იყო ჰამბურგის ნავსადგურის მიდამოებში — გარეუბან სან-პაულიში.

იმ მშფოთვარე წელიწადს, მარტის თვეში, მეზღვაურებმა, რომლებიც განსვენებულ მამაჩემს ჰყავდა დაქირავებული, ელბის შესართავთან ექვსი სელაპი დაიჭირეს ბადით და კონტრაქტის თანახმად, პეტერშტრასეზე მდებარე ჩვენს თევზის

ფარდულს ჩააბარეს მთელ ნათევზავებთან ერთად. რაც შემდეგ მოხდა, ორიოდ სიტყვით ასე ითქმის: მცირე საბაბი, დიდი შედეგი!

მამაჩემს — ჰოტფრიდ კლას კარლ ჰაგენბეკს ერთი ბრწყინვალე აზრი მოუვიდა — გადასწყვიტა ფულის გადახდით ეჩვენებინა ცხოველები ცნობისმოყვარეთათვის. ჩასვა ისინი ხის ორ დიდ ვარცლში, და სან-პაულის ერთ პატარა მოედანზე გამოფინა.

მხოლოდ ერთ შილინგს (8 პფენინგს) იხდიდნენ ცხოველთა ნახვაში ყოველგვარ სანახაობაზე დახარბებული ჰამბურგელები და უცხოელი მატროსები. რა იცოდნენ მათ, რომ მხეცებით ვაჭრობის მსოფლიო წარმოებისა და შტელინგენის ზოოლოგიური პარკის აკვანთან იდგნენ და ნათლიობას უწევდნენ მომავალ პირმშოს. საკმაოდ იღბლიანი გამოდგა ეს გამოფენა. მამაჩემისათვის იგი, ასე თუ ისე, პირველი იყო და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქედან დაიწყო და განვითარდა შემდგომ ცხოველებით ვაჭრობის საქმე. ერთმა ბერლინელმა მეგობარმა ურჩია მამას გერმანიის დედაქალაქში საჩვენებლად წაეყვანა თავისი სელაპები. თანამედროვე მკითხველს ალბათ მეტისმეტად უცნაურად მოეჩვენება ასეთი იდეა. მაგრამ იმ ხანად თვით დედაქალაქის მცხოვრებთათვისაც კი იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა სელაპების გამოფენა. მამაჩემს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა და სელაპები მართლაც მაშინვე გააგზავნა ბერლინში. სადაც კროლის ბაღში მოეწყო მათი გამოფენა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ პოლიტიკური არეულ-დარეულობა იყო ქალაქში, ეს საქმე საკმაოდ სარფიანი გამოდგა. მაგრამ ქალაქში ყოველდღიურად იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა, და მამაჩემი, რომ იტყვიან, როგორღაც თავის ქერქში არ იყო.

ამიტომ მან ვიღაც ბერლინელ საქმოსან მეწარმეს მიჰყიდა ერთ ღამეში ესოდენ სახელმოხვეჭილი ექვსივე სელაპი და ჰამბურგში დაბრუნდა. სამწუხაროდ, გარიგება მოხდა არა ნაღდზე, არამედ ნისიად. მეწარმეს კი „მეხსიერებამ უღალატა“ და ისე გაიპარა ბერლინიდან სადღაც, რომ არც კი გახსენებია მამაჩემისათვის ვალის გადახდა.

ასე დაიწყო ცხოველებით ვაჭრობა. დასაწყისში არცთუ ისე ურიგო იყო, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს კაცს, რადგან ბერლინსა და ჰამბურგში მოწყობილი გამოფენებით მამამ კარგა გვარიანი ოგეგება ნახა.

ნუ იფიქრებთ, თითქოს მხოლოდ ის აინტერესებდა მამაჩემს, რომ გამორჩენა მიეღო გამოფენების მოწყობითა და ცხოველების ყიდვა-გაყიდვით. არა, უფრო სხვა რამ ამოძრავებდა ამ კაცს: ძალიან უყვარდა ცხოველები. გარეული ცხოველებით ვაჭრობის საქმე კი, სულერთია, დიდი მასშტაბით იქნება ის, თუ პატარით, წარმოუდგენელია, თუ კაცს ალალი სიყვარული არა აქვს ცხოველებისადმი. მამაჩემი ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლების გულწრფელი მოსიყვარულე და ძეგობარი იყო. ამის საბუთად თუნდაც ის გამოდგება, რომ მას ძუდამ ჰყავდა ხოლმე თხები, ძროხა და, გარდა შინაური ცხოველებისა, აგრეთვე მაიმუნი და მოლაპარაკე თუთიყუშიც. დიდ ფარდულებში, რომლებიც თევზის ბოლში გამოსაყვანად იყო განკუთვნილი, გარდა უკვე ჩამოთვლილი ცხოველებისა, ორი ფარშევანგიც ჰყავდა მამაჩემს. კაცმა რომ თქვას, ეს იყო პატარა, მაგრამ ნამდვილი სამხეცე, თუმცა მაშინ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა მხეცებით ვაჭრობა.

სწორედ მამაჩემისაგან გამომყვა ცხოველების მხურვალე სიყვარული. ყოველ შემთხვევაში, პატარაობისას თურმე საკმაოდ მკაფიოდ ვამჟღავნებდი ამ გრძნობას. ორი წლისა ვყოფილვარ, როცა ერთხელ კალთით მომიყვანია სახლში რვა ცოცხალი პაწაწინა ვირთაგვა. საცოდავ დედაჩემს კინაღამ გული გახეთქია ამის დანახვაზე. ნადავლი კი, რაღა თქმა უნდა, მაშინვე წაურთმევიათ ჩემთვის. საშინელი ტირილი მოვრთე თურმე და მხოლოდ მაშინ გავჩუმებულვარ, როცა მამაჩემს ჩემთვის ვირთაგვების სანაცვლოდ ორი ზღვის გოჭი უჩუქებია. ეს ცხოველები, სხვათაშორის, მუდამ ბევრი ჰყავდა მას და ძალიანაც უყვარდა.

ერთხელ კიდევ ცოცხალი თხუნელა მაჩუქეს. ეზოში მოვუწყეთ თავშესაფარი — სილით სავსე კასრი. მაგრამ მთავარი საზრუნავი მაინც მისი საზრდოობა იყო. ყოველ ცისმარე დღეს, საღამოობით ჩემს უფროს ძმებთან და დებთან ერთად

მივეშურებოდი სასაფლაოზე, რათა ჭიაყელები შეგვეგროვებინა მისთვის. ასე ვკვებავდით თხუნელას მთელი ორი თვის განმავლობაში. სამწუხაროდ, ერთხელ ძლიერი კოკისპირული წვიმის დროს დაგვავიწყდა რაიმე გადაგვეფარებინა კასოზე და საცოდავი ცხოველი თავის საკუთარ „ბინაში“ დაიხრჩო. ეს გახლდათ პირველი გაკვეთილი, რომელიც მივიღე ცხოველებთან მოპყრობის ხაზით. ამ ფათერაკმა დიდი მწუხარება კი განმაცდევინა, მაგრამ ჩემდა უნებურად ჭკუა ვისწავლე და შევიგნე, თუ მომავალში როგორ ფრთხილად უნდა მოვქცეულიყავი.

თორმეტი წლისა ვიყავი, როდესაც ექვსი იხვი მაჩუქეს. ფრინველებს, მახსოვს, საშინლად ჭუჭყიანი ფრთები ჰქონდათ. ეს არ მომეწონა, ამიტომ ცარიელი ვარცლი, რომელშიც წინათ სელაპები გვყავდა, ნახევრამდე ავავსე წყლით, მოვკიდე ხელი ჩემს იხვებს და სათითაოდ ჩავსვი შიგ. იხვებს ძალიან მოეწონათ ეს და სიამოვნებით დაიწყეს შიგ ჭყუტპალობა! მათი ცქერით გული რომ ვიჯერე, სასადილოდ გავეშურე. ორსაათნახევრის შემდეგ ისევ მოვაკითხე და წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც იხვები ადგილზე აღარ დაეხვდნენ. მთელი ეზო შემოვირბინე, მაგრამ უშედეგოდ. ერთი მოხუცი დარაჯი გვყავდა, ისიც მეხმარებოდა ძებნაში, ყველა კუნჭულში შევიხედეთ, ყველა ადგილი გადავჩხრიკეთ. იხვები არსად ჩანდნენ. ბოლოს ბერიკაცმა მითხრა: „ალბათ დაიხრჩვენო?“ წარმოუდგენლად მომეჩვენა ასეთი რამ. მაგრამ, ვაი, რომ იგი მართალი გამოდგა. ექვსივე იხვი უსულოდ განისვენებდა ვარცლის ფსკერზე. ბუმბული ისე ჰქონდათ გაუჭყიანებული, რომ საკმარისი რაოდენობით ვერ ღებულობდა ცხიმს და ამიტომაც ვერ გაძლეს თურმე წყლის ზედაპირზე ფრთები წყლით გაეჟღინთათ, დაუმძიმდათ და ფსკერზე ჩაიძირნენ. მერე კი გავიგე, რომ პირველად ცოტა წყალი უნდა ჩამესხა ვარცლში, რათა იხვებს ჭუჭყის მოცილების საშუალება ჰქონოდათ. მაგრამ გვიან იყო.

მამაჩემმა შავი დღე დამაყენა გაუფრთხილებლობისათვის, მაგრამ ეს შემთხვევა კარგ გაკვეთილად გამომადგა შემდგომში.

ცხოველებით ვაჭრობის ჩარხი პირველად მაშინ დატრიალდა, მამაჩემს სელაპები რომ მოუყვანეს. გავიდა რამდენიძე წელიწადი. დროდადრო იგი კვლავ შოულობდა სელაპებს, ძაგრამ გაძოფენების მოწყობაზე კი ხელი აიღო. მაშინდელი პატარა სამხეცეების მეპატრონეებსა და მოხეტიალე საქმოსნებს მოძებნიდა ხოლმე და მაშინვე მათ მიჰყიდდა ნადავლს. ისინი კი ამ უდანაშაულო ცხოველებს დაატარებდნენ მოედნებსა და ბაზრობებზე და ცნობისმოყვარეებს არწმუნებდნენ, სირინოზები ან კიდევ ლომვეშაპები არიანო. უფრო დიდი ტყუილის თქმას კი, მართალი რომ გითხრათ, ვერ ბედავდნენ. 1852 წლის ივლისში კაპიტანმა მაინმა თავისი ვეშაპზე სანადირო გემით, რომელსაც „ჭაბუკი გუსტავი“ ერქვა, გრენლანდიიდან ჰამბურგში დიდი თეთრი დათვი ჩამოიყვანა.

ასეთ უჩვეულო მხეცს ნამდვილად რომ ძნელად გამოუჩნდებოდა მუშტარი, რადგან მთელ გერმანიაში მაშინ მხოლოდ სამი ზოოლოგიური ბაღი იყო. ძალიან გამბედავი და ფხიანი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ფული დაებანდებინა თეთრ დათვში. მამაჩემი არ შეუშინდა ამას, ბევრი ევაჭრა კაპიტანს და ბოლოს და ბოლოს 350 პრუსიულ ტალერად დაითანხმა იგი. თეთრ დათვთან ერთად მამაჩემს შემთხვევით ხელში ჩაუვარდა აგრეთვე ამ გემით ჩამოყვანილი სრელა აფთარი და რამდენიმე სხვა ცხოველი და ფრინველი. რამდენიმე ხნის შემდეგ მთელი ეს სამხეცე გამოფენილ იქნა სახპაულის მოედანზე მდებარე ჰიუნერმერდერის მუზეუმში. ცხოველების ნახვისათვის დაწესებული ფასი იყო ოთხი შილინგი. არავინ იფიქროს, თითქოს მაყურებელთა მოწვევისათვის გაზეთში განცხადების გამოქვეყნება ქმაროდა მაშინ. ნურას უკაცრავად. კარის წინ იდგა სპეციალურად ამ საქმისთვის დაქირავებული კაცი — მეპატიჟე. მერე და არ იკითხავთ, რა დღეში იყო იგი. იმ დროს ამ ხელობით განთქმული გახლდათ ვინმე ბარმბეკერი. წითელი ფრაკი ეცვა, როგორსაც უნიფორმად ატარებდნენ მაშინ დანიელი ფოსტის ჩინოვნიკები. ხელთ ეპყრა ვეებერთელა რუპორი, რომლის მეშვეობითაც ამცნობდა გაკვირვებულ ხალხს, რომ მხოლოდ ოთხ შილინგად


HAGENBECK

შეუძლიათ ნახონ გრენლანდიიდან ჩამოყვანილი ვეებერთელა თეთრი დათვი, რომელსაც ესკიმოსთა რისხვას უწოდებდა.

ასეთი ენერგიული რეკლამის გარეშე მაყურებელს ვერავინ მიიზიდავდა, რადგან მთელი მოედანი გაჭედილი იყო თეატრებით, კარუსელებით, ათასგვარი საგამოფენო კიოსკებით.

ცხოველთა გამოფენებს ისიც ემატებოდა, რომ ყოველწლიურად Hamburger Dom-ში იმართებოდა წარმოდგენები საშობაო ბაზრობაზე, რომელიც გასულ საუკუნეში ჰამბურგის ტაძრის კარიბჭესთან იწყებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას დათოვლილი სავაჭრო ფარდულებით გაჭედილი საბაზრო მოედანი შობის დღესასწაულის წინა დღეებში. აკანკალებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს გათოშილი ხელები ჯიბეებში ჩაეწყოთ, სიცივისაგან ფეხებს აბაკუნებდნენ, მაგრამ მაინც გარს უტრიალებდნენ ტკბილეულობის, სათამაშოების, არომატული ნამცხვრებისა და თაფლაკვერების მიმზიდველ გამოფენებს. განსაკუთრებით ბევრ ხალხს იზიდავდა მექანიკური თეატრი, სანთლის ფიგურების კაბინეტები, აგრეთვე სისხლისმსმელი მხეცებისა და იშვიათი გარეული ცხოველების ბალაგანები.

ძველ Dom-ში მართლაც შეიძლებოდა სირინოზებისა და სხვა ზღაპრული ცხოველების ნახვა. ბალაგანების წინ მიმოდიოდნენ მეპატიჟენი, რომელთაც მაშინ „რეკომენდატორებს“ უწოდებდნენ; სიცივისაგან გათოშილნი დროდადრო წინ და უკან დარბოდნენ და ომახიანი ხმით სანახაობაზე იწვევდნენ მაყურებელს. მათ შორის იყო ერთი „მსახიობი“, რომელიც თავის თავს „გედის ყელს“ უწოდებდა. ფრიად თავისებური, ნამდვილად ორიგინალური პიროვნება გახლდათ იგი, ყოველგვარ ამპლუაზე თანახმა იყო. ოღონდ კი დაგექირავებინათ.

მაგონდება. 1853 წლის ზამთრის ერთ საღამოს „გედის ყელი“ ჩვეულებისამებრ საბაზრო მოედანზე მოწყობილი საგამოფენო ბალაგანის წინ იდგა და ასეთი ღირსშესანიშნავი ფრაზებით იწვევდა განცვიფრებულ ხალხს:

— ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ, გევედრებით, მობრძანდეთ! მხოლოდ აქ შეიძლება იხილოთ მთელ ქვეყნიერებაზე უდიდესი ღორი! ამის ნახვა აუცილებელია, ეს ხომ

კოლოსალურია!.. ნამდვილად დაუჯერებელია! ჯერ არავის უნახავს ასეთი რამ! აბა შეხედეთ, ბატონებო, ბუნების ამ სასწაულს — უზარმაზარ ღორს. იხილეთ მისი ბრწყინვალება! უფროსები იხდიან ერთ შილინგს, ბავშვები კი მხოლოდ ნახევარს!..

ამ მოწოდებებს თვალსაჩინოება ახლდა თან — ვეებერთელა ფარი, რომელზედაც გამოხატული იყო ნილოსის ბეჰემოტისოდენა ღორი.

მაგრამ ძველი ჰამბურგის მოედანზე მოწყობილი ამ პრიმიტიული ბალაგანის ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა ჩემთვის, რაღა თქმა უნდა, ის იყო, რომ იგი ჰაგენბეკის სახელს ატარებდა.

საპატივცემლო საზოგადოების სახილველად ჰამბურგის ახალმოწყობილ დიდ ბაზრობაზე უზარმაზარი ღორის ჩვენების თაოსანი იყო საყვარელი მამაჩემი. მან ერთი მოხუცი ვეტერინარი ექიმისაგან იყიდა ეს ცხოველი, რომელიც 900 გირვანქას * იწონიდა.

იმ წლებში მამაჩემი არცერთ ბაზრობას არ გამოსტოვებდა ისე, რომ ცხოველთა სამეფოს რომელიმე იშვიათი ან საინტერესო ეგზემპლარი არ გამოეყვანა გამოფენაზე. ისიც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ხშირად სასაცილო, ახლა ჩვენთვის წარმოუდგენელი ამბები მოსდევდა ამას, რადგან ზოგჯერ აშკარა მოტყუებას ჰქონდა ადგილი. მაგრამ მაშინ ასეთი რამ არ ეუცხოებოდათ და არ სწყინდათ. იმ ხანად ჯერ კიდევ არ იყო ხალხი ისე გათვითცნობიერებული ზოოლოგიაში, როგორც ახლაა. ფართო საზოგადოებრიობა ზოოლოგიურ ცოდნას ღებულობდა მოხეტიალე სამხეცეების მეშვეობით, რომელთა მეპატრონეები ხომ. ნუღა იკითხავთ, რა ოინბაზობებს არ ჩადიოდნენ.

მაგრამ გთხოვთ ნაჩქარევად მსჯავრს ნუ დასდებთ ძველი ჰამბურგის მხიარულ ბაზრობაზე მოწყობილ სანახაობებს. მაშინ სხვა დრო იყო. სხვა ხალხი ცხოვრობდა.

კარგად მახსოვს, ბაზრის მოედანზე ერთი სახელგანთქმუ-

---

* დაახლოებით 360 კილოგრამი.

ლი ბალაგანი იყო გამართული. „ჰამბურგის ღამე“ — ასე ეწერა მის ფირხიშზე. ვინც შილინგს გადაიხდიდა, შეუშვებდნენ ხოლმე ერთ კარში და მეორე კარით გამოისტუმრებდნენ ქუჩაში: „მიბრძანდით, ბატონო, გარეთ და იქ ნახავთ „ჰამბურგის ღამესო“.

მამაჩემი მტკიცე ხასიათის კაცი იყო, ნათელი აზრებისა და ურყევი პრინციპების მქონე. ჩემი აღზრდისათვის მისდამი გულწრფელი მადლიერების გრძნობით აღსავსემ უნდა მოგახსენოთ, რომ თუკი რამ წარმატებები მომიპოვებია ცხოვრებაში, ყველაფერს მას უნდა ვუმადლოდე, რადგან საძირკველი მისი ჩაყრილია. მის ხასიათში ჰარმონიულად იყო ერთმანეთთან შერწყმული ცხოვრებისადმი სერიოზული დამოკიდებულება, განსაცვიფრებელი უბრალოება და ალერსიანი მოქცევა.

ერთობ მკაცრად კი გვზრდიდა შვილებს, მაგრამ ამავე დროს უაღრესად სათნო, კეთილი იყო ჩვენს მიმართ. როზგი არ უხმარია, მაგრამ მთელი მისი პირადი ცხოვრება — შრომისმოყვარეობა, სიზუსტე და მომჭირნეობა, მიმზიდველ ნიმუშად გვეხატებოდა და ჩვენც ვცდილობდით ყველაფერში მას დავმსგავსებოდით. მხოლოდ ერთი შემთხვევა მაგონდება, ლაზათიანად რომ მიმტყიპა, როდესაც სადილზე დავიგვიანე, თუმცა კი დროზე დამიძახეს. მას შემდეგ მივეჩვიე მკაცრ პუნქტუალობას. განსაკუთრებით გვაჩვევდნენ მომჭირნეობას — ტყუილუბრალოდ არ უნდა დაგვეკარგა არაფერი, რასაც კი რაიმე, თუნც მცირეოდენი ღირებულება ჰქონდა. მაგალითად, ყუთის გახსნისას ამომძვრალი გაღუნული ლურსმნები აუცილებლად უნდა გაგვესწორებინა და ხელახლა გვეხმარა საჭიროებისამებრ. თავისებურ თილისმად მუდამ თან ატარებდა პირველ გროშს, რომელიც ახალგაზრდობაში გამოემუშავებინა. ახლა ეს მონეტა ჩემი მუდმივი თანამგზავრია, როგორც ყველაზე ძვირფასი მოსაგონარი ნივთი. ჩვენი ოჯახი ერთ პატარა მეურნეობას წარმოადგენდა, ბავშვები პატარაობიდანვე ჩვენთვის შესაფერ საქმიან დავალებებს ვასრულებდით ხოლმე მშობლების მითითებით. რისთვისაც, სხვათაშორის, ერკვეულ გასამრჯელოსაც ვღებულობდით. თვითეული ჩვენგანი ვალდებული იყო თავისი საკუთარი ხელით ჩაეყარა ეს

ფული თიხის ყულაბაში. შობის წინ ყულაბას გატეხავდნენ და ფულს გადაახურდავებდნენ ვერცხლზე ანდა ზოგჯერ ოქროს დუკატებზეც კი. მაშინ მიღებული ჩემი წილი ახლაც შენახული მაქვს.

ოჯახში შვიდი ბავშვი ვიყავით — სამი ძმა და ოთხი და. დედაჩემი გარდაიცვალა 1865 წლის გაზაფხულზე. კარგა ხნის შემდეგ ძმაჩემმა მეორე ცოლი შეირთო და კიდევ ორი ძმა შეგვემატა — ჯონ ჰაგენბეკი, რომელიც შემდეგში ცეილონზე გაემგზავრა და კოლომბოში დასახლდა, და გუსტავ ჰაგენბეკი — ბოლომდე ჰამბურგის მკვიდრი.

მთელი ჩემი ბავშვობა შრომაში გავატარე, მამაჩემს ვეხმარებოდი თევზით ვაჭრობის საქმეში, რომელიც შემდეგ დიდ სარეწაოდ იქცა და რომელსაც მხეცებით ვაჭრობამ ჩაუყარა საფუძველი. სკოლაში მხოლოდ მაშინ დავდიოდი, როდესაც თავისუფალი დრო მრჩებოდა, წელიწადში სულ სამი თვე თუ მიწევდა სწავლა. ელემენტარული ცოდნა შევიძინე ქალთა სკოლაში, რომელიც სან-პაულოს გარეუბანში მდებარეობდა, ფრიდრიხშტრასეზე. ჩემი იქაური მასწავლებელი იყო დეიდა ფაინდი. უფრო რეგულარულად სკოლაში სიარული თორმეტი წლისამ დავიწყე.

მამაჩემი სრულიადაც არ უგულვებელყოფდა სწავლა-განათლების მნიშვნელობას, მაგრამ ამასთან ერთად დიდად აფასებდა ფულის შოვნის პრაქტიკულ უნარს (თითქოს დღეს ეცხოვროს ამ კაცს!).

მახსოვს მისი ნათქვამი: „სულაც არაა საჭირო, რომ პასტორები გამოხვიდეთ, მაგრამ წერა-კითხვა კი უნდა იცოდეთო". შემდგომში, როდესაც ჩვენი წარმოების საქმიანობა გაფართოვდა და იძულებული გავხდით სავაჭრო ურთიერთობა დაგვეწყო ინგლისთან და საფრანგეთთან, მამაჩემის შორსმჭვრეტელობა აქაც გამოჩნდა: „სხვა გზა არაა, ინგლისურისა და ფრანგულის შესწავლას უნდა მოჰკიდო ხელიო". ამიტომ სკოლაში ყოფნის დრო ძირითადად გამოყენებულ იქნა მნიშვნელოვანი თეორიული დისციპლინებისა და უცხო ენების შესასწავლად, აგრეთვე ისეთი ცოდნის შესაძენად, რომელიც აუცილებელი იყო ფართო საქმიანი მოღვაწეობისათვის. ასეთი

ცოდნის შეძენა კი ძირითადად იმ უმაღლეს სკოლაში წარმოებს, რომელსაც პრაქტიკული ცხოვრება ეწოდება.

თევზის რეწვის სამუშაოები უპირატესად ზაფხულობით იყო ხოლმე გაჩაღებული. მაშინ ჯერ კიდევ შეეძლო კაცს დიდი რაოდენობითა და ხელმისაწვდომ ფასებში ეშოვნა თართი, რომელსაც ახლა ცეცხლი ეკიდება. ამ საქონლის მთავარი შემსყიდველი მამაჩემი გახლდათ. დაქირავებული ჰყავდა რამდენიმე მეთევზე, რომელთაც მთლიანად უნდა ჩაებარებინათ მისთვის მთელი ნათევზავები. მარტის თვეში ჩრდილოეთის ზღვიდან დაძრული თართი აგვისტომდე ელბას დინებას მოჰყვებოდა სათავისაკენ ქვირითის დასაყრელად. ყოველ სეზონზე 4000 — 5000 თართს ვიჭერდით ხოლმე. შემდეგ ქვირითს ამოვაცლიდით და თევზი კი ბოლში გამოგვყავდა.

ახლანდელი ფასების მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, 32—40 პფენინგიც კი ძალზე ძვირი მოგეჩვენებოდათ გირვანქა ზურგიელში.

ათი წლისა უკვე საქმიან მონაწილეობას ვღებულობდი თევზის რეწვის საქმეში. ხშირად მივყვებოდი ხოლმე მეთევზეებს ზღვაში და ჩემი პატარა ბავშვური ხელებით ვეხმარებოდი უფროსებს მკვრივი ქერცლით შეჯავშნული ვეებერთელა თართების ბადიდან ამოყვანაში. დაჭერილ გოლიათებს მეთევზეები ხახაში კავს ან ჰარპუნს ჩაურჭობდნენ და ისე ამოჰყავდათ წყლიდან ნავზე. გლიუკშტადტის მახლობლად ერთხელ უზარმაზარი თართი დავიჭირე, სიგრძით 3.73 მეტრი. მეთევზეებმა ზურგზე კავი გამოდეს, მაგრამ წყლიდან მისი ამოთრევა ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა. თართი ქვირითიანი გამოდგა. რომ გაფატრეს, დაახლოებით ორვედრონახევარი შავი ქვირითი ამოუღეს. ერთი ვედრო (15 ლიტრი) ხიზილალა მაშინ 12 პრუსიული ტალერი ღირდა.

ბავშვობაში სათევზაოდ სიარულმა გულით შემაყვარა ზღვა და სპორტული ინტერესი გამიღვივა თევზის რეწვისადმი, და ამ ცოტახნის წინ კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა ხმელთაშუა ზღვაში ზვიგენზე ნადირობისას.

შუა ივლისიდან კი იწყებოდა გველთევზას ჭერა, რომელსაც იმდენი მუშტარი ჰყავდა, რომ თართსაც კი უწევდა მეტო-

ქეობას. დაახლოებით სექტემბრის ბოლომდე მამაჩემს ტომრებში შეფუთული იუტლანდიის გველთევზას დიდი პარტიები მოსდიოდა ტრანსპორტით, ზოგჯერ კვირაში 10 ათასი გირვანქაც კი. მათ გასუფთავებასა და გადამუშავებაში ბავშვებიც ვმონაწილეობდით. მაგრამ არც შემოდგომასა და ზამთარში ვისხედით გულხელდაკრეფილნი. საჭირო იყო ქაშაყისა და ქარსალას რკინის მავთულზე აცმა. ახლაც ხელისგულები „მექავება“ ხოლმე, ეს „გასართობი“ სამუშაო რომ გამახსენდება. შემოყინული გოვზებიდან, რომლებშიც ინახებოდა დამარილებული თევზი, სათითაოდ ვიღებდით მათ და ყინულივით ცივ მავთულებზე ვაცვამდით. ხელები გვეყინებოდა, მაგრამ მაინც ვერთობოდით ხოლმე ასეთი დავალების შესრულებით. ზოგჯერ ძოსწრებაზეც კი ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, რადგან ყოველ ათ ასხმულაში გასამრჯელოდ თითო ჰამბურგულ შილინგს გვაძლევდნენ.

ჩემი ბავშვობის მოგონებებიდან არ შემიძლია გვერდი ავუქციო ორ იმდროინდელ ჰამბურგელ უცნაურ ადამიანს, რომლებიც რაღაც შემთხვევითობის წყალობით ისევე შეეთვისენ ჩვენს ოჯახს, როგორც ჰამბურგის Dom-ი. ერთი მათგანი გახლდათ „გველთევზების ფეიქარი“. ეს ბერიკაცი ჩვენი ერთგული მუშტარი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას იგი. ღია ფერის ქურთუკი და წითელი ჟილეტი ეცვა, თავზე თეთრი ფეტრის მაოალი ქუდი ეხურა. მკლავზე მუდამ ჩამოკიდებული ჰქონდა ხელსახოცგადაფარებული კალათი, რომელშიც ბოლში გამოყვანილი გველთევზები ელაგა. მაშინდელ ჰამბურგში კაცი არ იქნებოდა დარჩენილი, ცხვრის ბაზრობის დოეებში ანდა დიდ ხუთშაბათს თუნდ ერთხელ მაინც რომ არ მისულიყო საკაროდ „გველთევზას ფეიქრის“ ფარდულში, რომელიც წმინდა გიორგის ეკლესიის ხეივანში იყო, სადაც შემდეგ გერმანული თეატრი აშენდა. არ მოიძებნებოდა-მეთქი ისეთი ჰამბურგელი, ერთხელ მაინც არ ჩაეტარებინა პირი ამ ფარდულში ნაყიდი გველთევზათი. ქუჩაში, ღია ცის ქვეშ მოვაჭრეთაგან პოპულარობით არა მგონი ქვეყნად ვინმე შეედაროს „გველთევზას ფეიქარს“, რომელიც თავის საქონელს მუდამ ლექსებით აქებდა ხოლმე და ასე იზიდავდა მუშტარს. მაგონდება,

შტაინშტრასეზე განლაგებულ ერთ-ერთი თეატრის სცენაზე შესახიშნავად განასახიერებდა „გველთევზას ფეიქარს“ ერთი ახალგაზრდა მსახიობი. ეს პიესა, რომელსაც „გუსტავი ანუ მასკარადი“ ერქვა, უდიდესი წარმატებით სარგებლობდა ჰამბურგელთა შორის.

მეორე პიროვნება გახლდათ ვინმე დანენბერგი. მე პატარაობიდანვე კარგად ვიცნობდი მას, მაგრამ ალბათ მაინც გამიჭირდება მისი პორტრეტის დახატვა. ყოვლად უცნაური კაცი იყო ეს დანენბერგი. პეტერშტრასეზე რომ ვცხოვრობდით, ჩვენს სახლში ჰქონდა ბინა, მეორე სართულზე, ამიტომ ბუნებრივია, რომ ხშირად ვიყავი მისი სტუმარი. ლამაზი არ ეთქმოდა ამ სახელგანთქმულ ადამიანს, რადგან შავი წვერით ქობაშემოვლებულ სახეს საშინლად უმახინჯებდა ჩაჭყლეტილი ცხვირი. ყურებში პატარა რგოლები იკეთა. როგორსაც ზოგჯერ ახლაც ატარებენ ხოლმე მატროსები. მის ულაზათო გარეგნობას აბათილებდა შინაგანი წესიერება. უაღრესად პატიოსანი და უჩვეულოდ შრომისმოყვარე კაცი იყო. პროფესიით მსახიობი გახლდათ, მაგრამ რა საქმე უნდა გამოჩენილიყო, რომ უარი ეთქვა მის გაკეთებაზე, და არა მარტო ფულადი გასამრჯელოთი, ხშირად უბრალო თხოვნითაც კი. ვთქვათ, ვინმეს ბავშვი დაეკარგებოდა, ან ძაღლი, ანდა ახალი სურსათ-სანოვაგე გამოჩნდებოდა ქალაქში ან კიდევ რომელიმე საქონლის ფასი მოიმატებდა, ცა და ქვეყანას ამ ამბავს სწორედ ეს ჩვენი დანენბერგი მოსდებდა ხოლმე. ხოლო თუ არაფერი იყო გამოსაცხადებელი და გასახმაურებელი, შეშას უჩეხავდა ხალხს, მტვირთავადაც მუშაობდა, ერთი სიტყვით, უსაქმოდ ყოფნა არ შეეძლო.

ბაბაჩემი ხშირად ავალებდა ხოლმე რაიმე საქმეს დანენბერგს. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ შესანიშნავად ასრულებდა მაცნე-მეპატიჟის როლს. გარეუბნის მცხოვრებთ ალბათ კარგად ახსოვთ, თუ როგორ უხმობდა იგი მუშტრებს და უქებდა ჩვენს საქონელს. „ისმინეთ, ხალხნო! არის ქვირითიანი ახალ-ახალი თევზი! პიტერშტრასეზე ჰაგენბეკი თითო შილინგად რვა მსუქან თევზს ჰყიდის. ისმინეთ, ხალხნო!“

თავისუფალ დროს კი ამ ყველაფერში ხელმარჯვე კაცს მოზრდილი ბავშვების მეთვალყურეობას ანდობდნენ.

მაგრამ დანენბერგის ჭეშმარიტი მოღვაწეობა მხოლოდ სადილის შემდეგ იწყებოდა. საღამოობით ეს კაცი მაცნე-მეპატიჟე და დღიურად მომუშავე კი აღარ იყო, იგი დირექტორი გახლდათ თეატრისა, რომლის პრობლემატური დიდება ჰამბურგის თეატრის ისტორიის ანალებშია ჩაწერილი. ნამდვილად ძნელი საცნობი იყო იგი ამ დროს. ძველებური რაინდივით აისხამდა საჭურველს: მბზინავ ჯავშანს ჩაიცვამდა, მუზარადს დაიხურავდა, წელზე ვეება მახვილს ჩამოიკიდებდა, პაჭუა ცხვირს ფერუმარილით გაიწითლებდა და იდგა ასე სან-პაულის გარეუბანში გამართული თეატრის — ელიზიუმის შესასვლელთან. ასე მორთულ-მოკაზმული იგი მაცნე-მეპატიჟის როლს ასრულებდა, მაგრამ ამჯერად სხვა ამპლუათი. დახვეწილი გერმანულით ლაპარაკობდა, ჯერ მშვიდი კილოთი მიმართავდა ხალხს, შემდეგ თანდათან აუმაღლებდა ხოლმე ხმას და ბოლოს კი მრისხანედ მოუწოდებდა შეკრებილთ დასწრებოდნენ ტრაგედიის წარმოდგენას, და რომ არ დაეფრთხო მაყურებლები, ფასსაც აცხადებდა: გამხელაც კი მერიდება, თუ რა ღირდა მაშინ თეატრში შესვლა. მაგრამ რა გაეწყობა, რახან სიტყვამ მოიტანა, გეტყვით: პირველი რიგი ოთხი, მეორე — ორი და ბოლო რიგები მხოლოდ ერთი შილინგი!

ხშირად დავსწრებივარ სპექტაკლებს. ვიჯექი ხოლმე ქანდარაზე და ვერთობოდი. გასართობი კი ბევრი იყო. შედგებოდა მსახიობი „ოლიმპოს“ მწვერვალზე და იწყებდა მაღალფარდოვან რაინდულ დიალოგს, ქანდარაზე მოკალათებული აურიე ხალხი კი, თითქოს ამას უცდიდაო, სეტყვასავით დაუშენდა სცენას დამპალ ვაშლებსა და ლაყე კვერცხებს. წარმოდგენა შეწყდებოდა, გამწარებული მსახიობები გამოიქცეოდნენ მაყურებლებისაკენ, რათა კინწის კვრით გაეგდოთ გარეთ აყალმაყალის ამტეხნი. ამ საქმიანობაში, რაღა თქმა უნდა, დანენბერგიც მონაწილეობდა. თუ ამ კაცის შესახებ მეტის შეტყობის სურვილი აღეძვრება ვინმეს, ვურჩევ წაიკითხოს ბერჰარდტის თხზულება „ძველი მხიარული ჰამბურგი“, რომ-

ლის თავშესაქცევ ეპიზოდებშიც შესანიშნავადაა იგი დახასიათებული.

1858 წლის შემოდგომაზე კრაიცბერგის სამხეცე ჰამბურგში გადაჰყავდათ. ერთ-ერთ ოთხთვალაზე გალიაში მოთავსებული იყო ლამაზად ფაფარაყრილი ნადირთა მეფე, „პრინცად" წოდებული. მოულოდნელად ლომმა თავი დააღწია ტყვეობას და უმალ ოთხთვალას ცხენს ეცა ყელში. მაგრამ გამყოლი არ დაბნეულა, თოკი მოიმარჯვა, კისერზე შემოახვია ნადირს და დაახრჩო. ეს მამაცი ადამიანი გახლდათ ჰენრიხ რუნდსჰაგენი, რომელსაც ამ შემთხვევის შემდეგ „ჰამბურგის ლომი" შეარქვეს. უაღრესად დამახასიათებელია, რომ ცნობისმოყვარე ხალხს ფასის გადახდით არა მარტო ლომის ფიტულს უჩვენებდნენ შემდეგ, არამედ თვით რუნდსჰაგენსაც. შემთხვევითმა გმირობამ ისე დაასხა თავბრუ ამ კაცს, რომ ქირით ეჩვენებოდა ხალხს.

ამ საოცარი ამბის შემდეგ სულ ცოტა ხანი გავიდა და მამაჩემმა უცებ ერთი ისეთი ახალი სანახაობა მოიგონა, რომელიც ახლა ძნელად თუ გააბრიყვებდა ვინმეს. მოხუცი მეწაღის ბაუმის დახმარებით, რომელიც სან-პაულის უბნის მცხოვრები იყო და აგრეთვე ფრიად უცნაურ პიროვნებას წარმოადგენდა, ცხენზე შესვეს ლომი. ბალაგანში შესვლის ფასი კი ერთი შილინგი დააწესეს. ეს მხატვრული ნაწარმოები გაკეთებული იყო ლომის ძველი ტყავისაგან, რომელიც ფიტულად გააკეთეს და ჯაგლაგა ცხენის ფიტულს კისერზე შეასკუპეს. მთელი ეს „მასალა" გამოიტანეს ჰიუნერმერდერის მუზეუმიდან. მაგრამ იმპროვიზაცია კი თვითონ მოიგონეს. ცხენის კისერზე სისხლი ლუქის წვეთებით იყო დამჩნეული. უნდა მოგახსენოთ, რომ ძალზე სარფიანი გამოდგა ასეთი სანახაობა. ამ „შემაძრწუნებელი" ამბის შემყურე ხალხი სულ „ვაი-ვაის" გაიძახოდა. „ცხენზე ამხედრებული ლომი" — ეს იყო ნამდვილი საშობაო აფიორა, რომლის უკეთესი არასოდეს მოუწყვია მამაჩემს ბაზრის მოედანზე.

ერთ-ერთ საშობაო გამოფენაზე კვლავ მოეწყო ბუმბერაზი ღორის ჩვენება, რადგან ეს სანახაობა საკმაოდ ბევრ მნახველს იზიდავდა. გამოფენის ექსპონატი ამჯერად გახლდათ ინგლი-

სური იორკშირის ჯიშის ვეებერთელა ტახი, რომელსაც, მოგეხსენებათ, დაბალი ჯაგარი აქვს. სწორედ ამიტომაც დაებადა ორიგინალური აზრი მამაჩემის ერთ დაქირავებულ მუშას. გადაწყვიტეს, უჩვეულო იშვიათობით გაესაღებინათ ეს ცხოველი. ასეც მოიქცნენ. „შიშველ გიგანტურ ტახად" მოინათლა ღორი. ხოლო იმისათვის, რომ ეს სახელი გაემართლებინათ, ცხოველი პირწმინდად გაპარსეს. მაგრამ გასაპვნა დაავიწყდათ და ამიტომ საშინლად ჭყვიროდა საცოდავი. ბალაგანის თავზე მიამაგრეს ფირნიში, რომელზედაც დახატეს გაპარსული ტახის დიდი „პორტრეტი", ქვეშ კი წარწერა გაუკეთეს:

ბევრი გვინახავს მსუქანი ღორი,
მაგრამ ასეთი დღემდე არასდროს,
შემოდით ხალხნო, გაჩვენოთ ღორი,
ისეთი დიდი, თვალი ზედ დაგრჩეთ.

რა თქმა უნდა, ასეთი გამოფენებით კაცი ვერ გამდიდრდებოდა, მაგრამ ჩვენი ოჯახი რამდენიმე ასეულ მარკას მაინც შოულობდა საზამთროდ, რაც სრულიადაც არ იყო ზედმეტი.

თევზის რეწვასთან ერთად თანდათან ფეხი აიდგა მხეცებით ვაჭრობამ; ერთხელ ერთმა მუშტარმა წერილი გამოგვიგზავნა და გვთხოვა არა* გვეშოვა მისთვის. მართალი გითხრათ, ყველანი შევცბუნდით, რადგან ზოოლოგიაში ჩვენი ცოდნა მაშინ ადგილობრივ სახეობათა თევზებით შემოიფარგლებოდა. პირველ ხანებში წვრილ-წვრილი გარიგებები გვქონდა, შემდეგ უფრო ფართოდ გაიშალა აღებ-მიცემობა. ამასთან დაკავშირებით გაგვიხშირდა მოგზაურობებიც. მე მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ მაინც მუდამ თან ვახლდი მამაჩემს. თითქმის მთელი ნახევარი ცხოვრება ასეთ მოგზაურობაში გამიტარებია. ყოველგვარ მიმოწერას ის მერჩია, პირდაპირ სალაპარაკოდ შევზვედროდი კაცს და. უნდა მოგახსენოთ ამ გზით მართლაც ბევრად უკეთეს შედეგებს ვაღწევდი. სხვები რომ

* არა — სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში მობინადრე დიდი თუთიყუში, რომელიც გამოირჩევა ჭრელი ბუმბულითა და ღონიერი ნისკარტით.

უკან მოხედვასაც ვერ ასწრებდნენ, მე უკვე ნამგზავრი ვიყავი მოდაში ახლად შემოსული მატარებლით ან გემით. და, თუ არ ვცდები, ბავშვობიდან გამოყოლილი ეს ხასიათი ოდნავადაც არ შემცვლია.

პირველ საქმიან მოგზაურობაში რომ გავეშურე, თერთმეტი წლის ბიჭი ვიყავი. მამაჩემს გავყევი ბრემერჰაფენში, სადაც ვინმე ჰარელს რამდენიმე მხეცი ჰყავდა გასაყიდი. იმ დროს ჰამბურგიდან ბრემენში რომ მოხვედრილიყო კაცი რკინიგზით, ჰანოვერი უნდა შემოევლო. ამიტომ ბრემენში მოგზაურობა, ახლა რომ ასე გვეადვილება, მაშინ დიდ ამბად ითვლებოდა.

ბრემერჰაფენში შევიძინეთ ერთი დიდი ენოტი, ორი ამერიკული ოპოსუმი*, რამდენიმე მაიმუნი და თუთიყუში. ნავაჭრი ცხოველები გემით ჩამოვიყვანეთ ბრემენში. აქ კი საფოსტო დილიჟანსის სახურავზე მოვათავსეთ ჩვენი „ბარგი“ და საღამოხანს ჰამბურგისაკენ გავემგზავრეთ. მთელი ღამის განმავლობაში მირახრახებდა საფოსტო ეტლი, რომლის სახურავზეც ერთი ვაი-უშველებელი ჰქონდათ მხეცებს. დილით, ჰარბურგში (ქალაქ ჰამბურგის ნაწილია) ჩასულებმა შევამჩნიეთ. რომ ერთი ყუთი ცარიელი იყო. გამოირკვა, რომ ენოტი გაგვპარვოდა. არც კი „ეამოგვმშვიდობებია“ თავდახსნილი ტყვე. არასოდეს არ დამავიწყდება მამაჩემის განცვიფრებული სახე, როდესაც ცარიელ ყუთს დასცქეროდა და თან ცალი ხელით კეფას იფხანდა. ამ ამბის გახმაურება ხელს არ გვაძლევდა. რადგან პოლიცია სულს ამოგვართმევდა ოქმების წერით ასე იყო თუ ისე, კარგა ხნის შემდეგ მაინც მიაკვლიეს ლტოლვილს. მთელი ორი წლის განმავლობაში თავისუფლად დასეირნობდა თურმე ლიუნებურგის ტყეებში. ენოტის ხელახალი დატყვევების ამბავი ეაზეთებიდან შევიტყვეთ, მაგრამ, რასაკვირველია, კრინტიც არ დაგვიძრავს, რომ ის ჩვენი იყო. ასე რომ, მხოლოდ სამმა კაცმა — მამაჩემმა, ფოსტალიონმა და მე ვიცოდით თუ როგორ მოხვდა ეს იშვიათი მხეცი ლიუნებურგის ტყეში.

ასეთი ეპიზოდები საერთოდ საკმაოდ ხშირი იყო ჩვენთან.

---

* ოპოსუმი — ამერიკული ჩანთოსანი ვირთაგვა.

ერთხელ ღამით, ტკბილად რომ გვეძინა, ღამის დარაჯი დაგვადგა თავზე და წამოგვყარა. შიშისაგან ადამიანის ფერი აღარ ედო საცოდავს. ძლივს ამოილუღლუღა, რომ ქალაქის სასაფლაოს მახლობლად ვეებერთელა სელაპი ნახა. მე და ჩამაჩემი მაშინვე გავეშურეთ დარაჯის მიერ მითითებული ადგილისაკენ. ამჯერად კი გაგვიმართლა: სწორედ იმ დროს მივუსწარით, როდესაც სასაფლაოს გალავანზე აპირებდა გადაცოცებას. დიდად არ გვიწვალია, სელაპი ბადით შევიპყარით და ბაზრის მოედანზე წამოვიყვანეთ, სადაც სპეციალური თავშესაფარი გვქონდა მოწყობილი მხეცებისათვის.

ერთხელ კიდევ სრელა აფთარი გაგვექცა. მამაჩემს გული კინაღამ გაუსკდა შიშისაგან, რადგან მაშინ არავითარი გამოცდილება არ გვქონდა, თუ როგორ უნდა მოვქცეოდით გარეულ ხადირს. ჩვენი დარაჯი სამოცდაათი წლის მოხუცი კაცი იყო, ასე რომ, მისი დახმარების იმედი დიდად არ უნდა ჰქონოდა კაცს. ამიტომ ბადით აღვიჭურვე და მამაჩემს გავყევი, თან წავიყვანეთ ჩემი და, რომელიც დიდი ფარნით გზას გვინათებდა. გრძელი კომბლებით შეიარაღებულებმა რის ვაივაგლახით შევაგდეთ აღრენილი აფთარი ცარიელ ყუთში და როდესაც ბრაზისაგან ცოფმორეული მხეცი მამაჩემზე თავდასასხმელად ემზადებოდა, სწორედ ამ მომენტში ბადე გადავაფარე თავზე. მოსაყოლად ახლა ცოტა დრო უნდა ამ ამბავს, ისე კი ბევრი ვიწვალეთ მაშინ. მხოლოდ დილის რვა საათზე დავბრუნდით სახლში ილაჯგაწყვეტილები.

მაგრამ ყოველთვის ასე მშვიდობიანად როდი მთავრდებოდა ფათერაკიანი შემთხვევები; მხეცებთან მოპყრობას კი ვსწავლობდით თანდათან, მაგრამ ასეთი ცოდნის შეძენა ხშირად ძვირი გვიჯდებოდა — დაკაწრულებსა და დაკბენილებს ზოგჯერ მძიმე იარები გვიჩნდებოდა და ეს არცთუ ისე სასიამოვნო რამ იყო.

ზემოაღწერილ პატარა სათავგადასავლო ამბებს შემიძლია კიდევ ორი შემთხვევა დავუმატო, თუმცა ახლა კი მეტისმეტად დავიწინაურე სათქმელი, რადგან ეს შედარებით გვიან მოხდა, კერძოდ 1863 წელს.

ჰამბურგ-ამერიკის სანაოსნო სააქციონერო საზოგადოების

ტურსათ-სანოვაგით მომმარაგებელმა ერთხელ ნიუ-იორკიდან ბუთი დიდი გაყვრთნილი დათვი ჩამოიყვანა: ორი რუხი, ორი თეთრი და ეოთიც შავი ბარიალა. ადრე ისინი ეკუთვნოდა ძაშინ სახელგანთქმულ ამერიკელ მოხუც მონადირეს გრიზლიადამს, როელმაც უასაკოხი დაიჭირა ისინი, გაყვოთხა და ქათთან ერთად კარგა ხახს მოგზაურობდა შეერთებულ შტატებში. ბერიკაკი რომ გარდაიცვალა, ცხოველები საჯარო კაჭრობით გაჰყიდეს და ამ გზით ჩაუვარდა ისინი ხელთ სააქციონერო საზოგადოების მომმარაგებელს. ამ კაცმა კი დათვები ჩვენ მოგვყიდა. ცხოველებს ეზოში გავუმართეთ ბინა. ერთხელ ერთი ბურა დათვი, რომელიც ჩვეხდა საბედნიეროდ ბრმა გამოდგა, გალიიდან გამობრძახებულა და მის სახურავზე მოკალათებულა. ეს დაუხახავს ჩვეხს ბეზობლად მცხოვრებ მეწაღეს, რომელიც აქოშინებული მოვარდა და შეგვატყობინა ეს ამბავი. ძილში უცებ თურმე საშიხელი ლაწა-ლუწი შემოესმა. შეშინებულს გაღვიძებია და საკუთარი თვალით უხილავს დათვის „მუშაკობა“.

ძაშიხვე გავეშურეთ შემთხვევის ადგილისაკენ. მამაჩემს უცებ ერთი გონივრული აზრი მოუვიდა. ფიწლისმაგვარ დიდ ჩანგალზე, რომლითაც ვაწვდიდით ხოლმე საერთოდ ცხოველს საკვებს, ნახევარი შავი პურის კვერი წამოაცვა, გაუწოდა დათვს და ასე შეიტყუა მეორე გალიაში.

რამდენიმე დღის შემდეგ სწორედ ამ ადგილას პირველი ფათერაკი შემემთხვა დათვთან. მამაჩემმა დამავალა სამგზავროდ გამემზადებინა — „შემეფუთა“ რუსული დათვი. კარგა ხანს ვიწვალე. ვერა და ვერ გადავიყვანე „სამგზავრო“ გალიაში. ეტყობოდა, თავის გალიას შეჩვეოდა და „ბინის გამოცვლას“ არ აპირებდა. სადგურზე მაგვიანდებოდა. ლოდინის დრო არ მქონდა, უნდა მეჩქარა. გადავწყვიტე უფრო გაბედულად შემოქმედა. ეზოს ჭიშკარი დავკეტე, გალიის ცხაური გავაღე და რამდენიმე ნატეხი შაქარი გადავუყარე დათვს. ამან გასჭრა. მსუნაგი ცხოველი გამოძვრა თავისი ყუთიდან და შაქრისკენ გამოემართა. შეახრამუნა ერთი, ახლა მეორეს მიაშურა, ისიც მიირთვა, მერე მესამე მოძებნა. როდესაც კვლავ დაიხარა მორიგი ნატეხისაკენ, ცალი ხელი ქეჩოში წავავლე,

მეორე ზურგზე შემოვხვიე და ძალით მინდოდა მისი შეგდება სამგზავრო გალიაში.

მაგრამ ვარაუდში მოვტყუვდი და ჩვენს შორის ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. დათვი გაცილებით უფრო ღონიერი გამოდგა, ვინემ მეგონა. ჩემი მოულოდნელი ფანდისაგან დაბნეული, ჯერ უკანა ტორებზე შედგა, შემდეგ ჩემკენ მობრუნდა და წინა თათებით ჩამბღუჯა. ორივენი წავიქეცით და კოტრიალი დავიწყეთ. თავისი ბასრი კლანჭებით ნაკუწ-ნაკუწ შემომაფლითა ტანსაცმელი. თავგამეტებით მკაწრავდა და მკბენდა. საკმაოდ სერიოზული ჭრილობები მომაყენა. საშველად დარაჯს ვუხმე, რომელმაც ჩვენს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას რომ შეხედა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მოუსვა. დანებებას არ ვაპირებდი. მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე, გააფთრებულ მხეცს თავს დავესხი და დავიმორჩილე. ახლა კი მიხვდა, რომ მე მისი მბრძანებელი ვიყავი. ამ გაუთლელმა ხეპრემ თითქმის მთლიანად შემომაძარცვა ტანსაცმელი და კარგა გვარიანადაც დამკაწრა. ჩემდა საბედნიეროდ, ჭრილობები საშიში არ გამოდგა.

ჭკუა კი ვისწავლე. სხვა დროს ერთხელაც აღარ მიცდია ასეთი ფანდით დათვის გადატყუება ერთი გალიიდან მეორეში.

ვის შეუძლია წარმოიდგინოს ან აღწეროს, თუ რამდენი და რამდენგვარი მცირე თუ დიდი ტექნიკური დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა მხეცებით მოვაჭრე ჩვენს ახალბედა წამოწყებას თავისი არსებობისა და განვითარების პირველ წლებში. ყველაფერი, რაც ახლა კარგადაა ცნობილი მხეცების ტრანსპორტირებისა და მათი მოვლა-პატრონობის შესახებ. მაშინ ჯერ კიდევ პრაქტიკულ შემოწმებას საჭიროებდა; ბევრჯერ დავრჩენილვართ ხელმოცარულნი. ეს კი დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. გამოუცდელობის მიზეზით მრავალი უსიამოვნება შეგვხვედრია, ამაზე უკვე გიამბეთ ზევით. გარდა ამისა, თვით საქმის წინსვლაც ფერხდებოდა: ეს იმდენად სერიოზული იყო, რომ მამაჩემმა 1858 წელს, ე. ი. ჩემი მირონცხების წინა წელს, თითქმის გადაწყვიტა ხელი აეღო მხეცებით ვაჭრობაზე, თუმცა ეს საქმე მაშინ აყვავების გზაზე იყო, და დაკ-

მაყოფილებულიყო მხოლოდ თევზის რეწვით, რომელიც საკმაოდ განვითარდა იმ ხანებში. ამრიგად, ცხოველებით ვაჭრობის საქმის მომავალი ბეწვზე ეკიდა. სწორედ ამიტომ მკითხა ერთ დღეს მამაჩემმა, რომელ საქმეს მოჰკიდებ ხელს — თევზის რეწვას თუ მხეცებით ვაჭრობასო. მაგრამ სანამ პასუხს გავცემდი, მიამბო თავისი გამოცდილების შესახებ, და მამაშვილურად დამარიგა, თევზის რეწვას გირჩევო.

გულში რაც ედო, მიხვედრილი ვიყავი, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, თუ რატომ მეუბნებოდა ამას. ეშინოდა, ვაითუ შემდეგ გული გაუტყდესო. მაგრამ მისი არ იყოს, ისე ვიყავი უკვე შეჩვეული მხეცებით ვაჭრობას, ისე შემიყვარდა ცხოველები, რომ მათ გარეშე აღარ გამეძლებოდა. ამიტომ მოუკიბავად გავუმჟღავნე ჩემი მტკიცე სურვილი და მამაჩემმა, რომლისთვისაც მე გამორჩეული შვილი ვიყავი, მაშინვე მომცა დასტური. ეს კი დასძინა, პირობა უნდა მომცე, რომ მომავალში 2000 მარკას არ ასცილდება შენი შესაძლო ზარალიო. ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭი ვიყავი, მაგრამ მამაჩემი დიდად მენდობოდა, მე კი დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი ალივით მიგიზგიზებდა გულში.

დაახლოებით ერთი წლის წინ, სანამ მამაჩემი ვენაში თავის პირველ დიდ ოპერაციას ჩაატარებდა, კერძოდ მოგზაურობიდან ახლად დაბრუნებული აფრიკის მკვლევარ დოქტორ ნატერესისაგან მხეცებს შეისყიდიდა, ერთი, თუმცა საკმაოდ უცნაური, მაგრამ სარფიანი გარიგება მოვაწყე. უცნაური კი ის იყო, რომ მხოლოდ ცამეტი წლისა ვიყავი მაშინ. ცენტრალური ამერიკიდან ჩამოსულმა ერთმა იუნგამ ჰამბურგის ნავსადგურში მომყიდა 280 მოზრდილი ხოჯო, რომლებიც სიგარის სამ ყუთში იყო შეფუთული. ბედზე სწორედ ჭე შემხვდა ეს კაცი, თორემ, არა მგონი, ჩემისთანა მუშტარი კიდევ ეშოვა ვინმე. თითო ყუთში ორნახევარი ჰამბურგული შილინგი, ესე იგი, ახლანდელი ფულით 20 პფენინგი გადავუხადე. ჩემი ნავაჭრი მამაჩემს რომ ვაჩვენე, აღფრთოვანება არ გამოუთქვამს. ეს კი მითხრა: „რასაც მოიგებ ამ მწერების გაყიდვით, შენთვის მიჩუქნიაო“.

მაგრამ მამაჩემი ამჯერად კი ნამდვილად შეცდა. კოლექცია

ვაჩვენე ერთ მეფუნთუშეს, რომელიც ხოჭოებისა და პეპლების მცოდნე კაცად ითვლებოდა, და მან მითხრა თითო ასეთ ხოჭოში ორს თუ არა, ერთ მარკას მაინც აუცილებლად მოგცემს ბრეიტრუკიო. ბრეიტრუკი მწერებით, ნიჟარებითა და სხვა ასეთი სახის იშვიათობებით ვაჭრობდა და მთელ გერმანიაში ამით ჰქონდა სახელი განთქმული. თავი რომ არ შეგაწყინოთ, ხოჭოების კოლექცია ას მარკად მივყიდე ამ კაცს. შემდეგ შევიტყე, რომ მასაც კარგად მოეთბო ხელი ამ საქმეზე და ბევრად უფრო ძვირად მიეყიდა ჩემი ხოჭოები ლონდონელი ვაჭრის ჯემრაჩისათვის, რომელმაც, სხვათაშორის, მამაჩემისაგანაც შეიძინა აფრიკიდან ჩამოყვანილი რამდენიმე მხეცი. დანარჩენი მტაცებლები მამამ სხვადასხვა სამხეცეების მფლობელებს მიჰყიდა. ანტილოპები, ქურციკები და მაიმუნები, აგრეთვე წყვილი ჯიქი გალიებით გაიგზავნა ამსტერდამის ზოოლოგიურ პარკში, რომლის დირექტორიც, სათნო მოხუცი კაცი დოქტორი ვესტერმანი, წინა წელს ჰამბურგში იყო ჩვენთან.

მამაჩემი ისე იყო გართული თევზით ვაჭრობის საქმით, რომ წუთით არ ჰქონდა მოცლა, ამიტომ საპატიო სტუმარს მე უნდა დავხვედროდი. სათნო მოხუცს ისე მოვეწონე, რომ მამაჩემს სთხოვა, ამსტერდამში გამატანე და ზოოლოგიას შეგასწავლიო. ვასტერმანს სანიმუშო ზოოლოგიური ბაღი ჰქონდა მოწყობილი. ჩვენი მეგობრობა, რომელიც ჩემი მხრივ ჰოლანდიელი მეცნიერის პატივისცემაზე იყო დაფუძნებული, შემდგომში კიდევ უფრო განმტკიცდა, და მომდევნო წლებში ამსტერდამის ზოოლოგიური ბაღი მხოლოდ ჩვენგან ყიდულობდა მისთვის საჭირო ცხოველებს.

1859 წელს მეთექვსმეტეში გადავდექი და სკოლას თავი დავანებე. ამის შემდეგ უფრო ნაყოფიერი გახდა ჩემი საქმიანობა. მხეცებით ვაჭრობა მე ვითავე, რადგან მამაჩემი მხოლოდ თევზის რეწვით იყო გართული. თუმცა ცხოველების სიყვარული მაინც გაუნელებლად ჰქონდა და ხშირად მაძლევდა ძვირფას რჩევა-დარიგებებს. ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის ის ძვირფასი წუთები იყო, როდესაც მამაჩემი შემაქებდა ხოლმე საქმის სარფიანად გარიგების გამო. თავის სიცოცხლის

ბოლო წუთებამდე ის იყო ჩემი ძვირფასი მრჩეველი და მოუღლელი თანამოსაქმე. მან ჩაუყარა საფუძველი ამ საქმეს, მანვე შთაგვინერგა ბეჯითობა, გულმოდგინება და სიდინჯე, შეგვაყვარა ცხოველთა სამყარო. ყველა ჩემი შემდგომი წარჰატების სათავე მამაჩემი იყო, მამაჩემი, რომელიც უკვე კარგა ხანია საუკუნო ძილით განისვენებს იმ ქვეყნად.

II

მხეცებით მსოფლიო ვაჭრობის განვითარება

მძიმე დღეები დამიდგა, მაგრამ ამავე დროს ღრმა შინაგან კმაყოფილებასაც განვიცდიდი. მიდრეკილება და მისწრაფება ერთმანეთს შეერწყა, ფრთაშესხმული ჩავები საქმიანობაში. ფართოდ უნდა გამეშალა ცხოველების ყიდვა-გაყიდვა. საჭირო იყო მათი გონივრული მოვლა-პატრონობა. ამ მხრივ ბევრ სიძნელეს ვხვდებოდი. ყველაფერ ამას ემატებოდა ვაჭრობის მეურნეობის პრობლემები, რაც ხშირად თავსატეხ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საბუხჰალტრო წიგნების წარმოებაში, მომწოდებლებთან და მყიდველებთან მიმოწერაში ჩემი დაჲ, კაროლინა მეხმარებოდა, ორი და — ლუიზა და ქრისტინა კი ფრინველის ბოვლას უნდებოდნენ. ჩემმა ძმამ ვილჰელმმა მეეტლეობა იკისრა, მის მოვალეობაში შედიოდა ცოცხალი საქონლის გადაზიდვა ერთი ადგილიდან მეორეზე. მეც ყელამდი ვიყავი ჩაფლული საქმეებში, რადგან თავიდანვე ასეთი პრინციპი გვქონდა: შრომა აკეთილშობილებს ადამიანს. ავად გამხდარი ცხოველების მოვლაში მოხუცი დარაჯი მშველოდა.

ყველაზე მეტად მაშინ სელაპების მოვლა-პატრონობა გვაჭირდა. ისინი ხის დიდ ვარცლებში გვყავდა დაბინავებული. ყოველ ცისმარე დღეს ვარცლებში წყალი უნდა გამოგვეცვალა. მართალია, ამას ტუმბოს მეშვეობით ვაკეთებდი, მაგრამ ორ-სამ საათს მაინც ვუნდებოდი ამ პატარა საქმეს. წყალს რომ გამოვუცვლიდი, ავიღებდი ხოლმე თევზებიან კალათს და საკუთარი ხელით სათითაოდ ვაპურებდი სელაპებს.

ახალბედა, ე. ი. ახალჩამოყვანილ ცხოველებს, ჯერ კიდევ მოუთვინიერებლებსა და მფრთხალებს, საკვებს ვარცლებში გუყრიდით. რამდენიმე დღის შემდეგ კი გათამამებული ცხოველები ხელით კვებაზე გადაგვყავდა. მხოლოდ ასაკობრივად ხანდაზმული ეგზემპლარები ჭირვეულობდნენ და უარს ამბობდნენ ასეთ ფუფუნებაზე. მამაჩემისა არ იყოს, რატომღაც განსაკუთრებით მიყვარდა სელაპები და ეს გრძნობა დღემდე შემრჩა. ამის შესახებ ერთხელ ერთ ფრანგ ჟურნალისტს ვამოვუტყდი. მაგრამ მას ეგზოტიკური ფანტაზია აღმოაჩნდა და ამიტომ ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის მეშვეობით მკითხველებს მოუთხრო, თუ როგორ გავწვრთენი ერთი სელაპი, რომელიც, როგორც კი დამინახავდა, ხმამაღლა შეძახდა „მამიკოს“. ამ ნარკვევში სიმართლე მხოლოდ ის იყო, რომ ძე მართლაც კარგად ვიცნობდი ამ ცხოველებს. დილით ეზოში რომ გავიდოდი ხოლმე და დავიძახებდი „პოლ, პოლ!“ (ამ სახელით გვყავდა საერთოდ მონათლული სელაპები), ყველანი წამოიშლებოდნენ, ვარცლებიდან თავებს ამოჰყოფდნენ და შავი თვალებით მომაშტერდებოდნენ.

ესენი იყვნენ ჩვეულებრივი ჩრდილოეთის სელაპები (Phoca vitulina), რომლებიც მეთევზეებს ჩამოჰყავდათ ჩვენთვის. მაგრამ, მახსოვს, ერთი თავგადატვლეპილი ეგზემპლარი ჩამივარდა ხელში — სწორედ ის სელაპი, რომელიც ერთხელ გაპარვას ცდილობდა და სასაფლაოს გალავანთან დავიჭირეთ. ეს ცხოველი ისე მოშინაურდა, ძაღლივით უკან დაგვდევდა ხოლმე ეზოში. მალე დაჯდომაც ისწავლა, აუზში კოტრიალიც. ბევრ სხვა ოინბაზობასაც აკეთებდა ჩემი ბრძანებით. ასეთი მორჩილების გასამრჯელოდ მუდამ ზედმეტ თევზს ვაძლევდი პირის ჩასაგემრიელებლად.

პირველი დიდი სავაჭრო გარიგება რომ მოვაწყე, მეჩვიდმეტე წელში ვიყავი გადამდგარი. უნდა მოგახსენოთ, რომ შემთხვევითი გარემოება, რომელიც საერთოდ მუდამ დიდ როლს ასრულებს ხოლმე ცხოვრებაში, ამჯერადაც სასარგებლო გამოდგა ჩემთვის. კაცს იმის ნიჭი უნდა ჰქონდეს, რომ ძალად არ დაიბრმაოს თვალები და სცადოს ყოველგვარი სიტუაციის გამოყენება, to make the best of it — როგორც

ამბობენ ხოლმე ინგლისელები. სწორედ იმ ხანებში ჩამოვიდა ჰამბურგში სამხეცის მეპატრონე ავგუსტ შოლცი და თან ჩამოიყვანა ახალგაზრდა სპილო, რომელიც ხუთი ფუტი სიმაღლისა იყო. შოლცმა ჩვენგან სხვადასხვა ცხოველები იყიდა და მეორე დღეს აპირებდა გამგზავრებას. იმ ღამით კი სპილო ჩვენ მოგვაბარა. წასვლის დრო რომ მოვიდა, მე და შოლცმა ჰამბურგის ქუჩების გავლით ვაგზლისაკენ წავიყვანეთ იგი.

ლომბარდის ხიდზე გავლისას ეს სქელკანიანი ცხოველი რაღაცამ დააფრთხო და მოჰკურცხლა. რაღა თქმა უნდა, ამან საშინელი აურზაური გამოიწვია გამვლელებში. მაშინვე უკან გამოვუდექით ცხოველს. ნახევარი საათი გაგრძელდა ჩვენი ნადირობა ქალაქის ქუჩაბანდებში. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით დავიჭირეთ. ფეხები შევუბორკეთ და საზიდარს გამოვაბით უკან. გონიერება ეყო და მშვიდად მიგვყვა დანიშნულების ადგილამდე. ვაგზალზე შოლცმა მთხოვა ბერლინამდე გავყოლოდი ცხოველს. გზის ხარჯს თვითონ კისრულობდა. სიამოვნებით დავთანხმდი და ჩვენს მეეტლეს დავავალე სასწრაფოდ მოეტანა ვაგზალში საბანი და თან მამაჩემისთვის შეეტყობინებინა, რომ ასისტენტად მივყვებოდი შოლცს ბერლინში. მეორე დღეს დედაქალაქში ჩავედით, და ისევე, როგორც ჰამბურგში, მხეცების ტრანსპორტი სპეციალური ლოკომოტივით მთელი ქალაქის გავლით გადავიყვანეთ ერთი ვაგზლიდან მეორეში. ლოკომოტივს წინ მიუძღოდა ერთი რკინიგზელი, რომელსაც მარცხენა ხელში დიდი ზარი ეკავა, მეორე ხელით კი წითელ ალამს აფრიალებდა.

მხეცების გადაყვანა რომ დავამთავრეთ, თავისუფალი დრო დამრჩა და, ბუნებრივია, ადგილობრივი ზოოლოგიური ბაღის დასათვალიერებლად გავეშურე: ამ ზოოლოგიურ ბაღთან ადრეც გვქონდა საქმიანი ურთიერთობა. მივადექი ნაცნობ ინსპექტორს და სხვათაშორის რამდენიმე მხეცი შევთავაზე საყიდლად. განცვიფრებული დავრჩი, როდესაც მითხრა, კარგ ფეხზე შეგხვდი, რადგან რამდენიმე ცარიელი გალია გვაქვს და მათი შევსება გვინდაო. მეორე დღესვე დავდე ხელშეკრულება პროფესორ პეტერსთან 1700 ტალერად შეფასებული ცხოველების გაყიდვაზე. შემდგომში ბევრჯერ ვყოფილვარ

ხოლმე პროფესორთან და საინტერესო პრობლემებზე მისაუბრია მის კაბინეტში.

ხანგრძლივი საქმიანი მოგზაურობა მომიხდა 1862 წლის შემოდგომაზე, როდესაც მამაჩემთან ერთად მოვიარე ზოოლოგიური ბაღები ჰოლანდიასა და ბელგიაში. ანტვერპენის ზოოლოგიურ ბაღში ყოველწლიურად იმართებოდა მხეცების აუქციონი, რომელსაც უმეტესწილად ესწრებოდნენ იმ დროს ევროპაში არსებული მცირერიცხოვანი სამხეცეების მეპატრონეები და ცხოველთა მოყვარულნი. იმ ხანებში მხეცების ერთი მთავარი შემსყიდველი გახლდათ მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი ლონდონელი ვაჭარი ჯემრაჩი. ფიქრადაც არ გვქონია, გავტოლებოდით და მით უმეტეს დაგვეჯაბნა ეგზომ ძლიერი კონკურენტი. და მაინც მოხდა ეს, თანაც სრულიად მოულოდნელად.

ანტვერპენისაკენ რომ მივემგზავრებოდით, გზად, კელნში, ზოოლოგიური ბაღი დავათვალიერეთ, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ დაარსდა. მისი დირექტორი დოქტორი ბოდინუსი ჩვენი მეგობარი კაცი იყო. ბევრი მხეცი შეისყიდა მან ჩვენგან და ასე შეავსო ახლადშექმნილი ზოოპარკის ცარიელი პავილიონები და ბაკები. როდესაც ათი წლის შემდეგ ბოდინუსი ბერლინის ზოოლოგიური ბაღის დირექტორად დანიშნეს, მან იქ მოაწყო შესანიშნავი პავილიონები, რომლებიც ჩვენი დახმარებით ბაღის გახსნისას ცხოველთა საინტერესო ეგზემპლარებით შეავსო.

ანტვერპენში ყოფნის პირველ დღეს წვრილმანი საყიდლები შევიძინეთ. მგზავრობისაგან დაქანცული მამაჩემი ადრე დაწვა დასაძინებლად, მე კი ზოოლოგიურ ბაღში გავიშურე სასეირნოდ. აქ შევხვდი ჩვენს მეგობარს, დრეზდენის სამხეცის დირექტორს, შეპფს, რომელსაც თან ახლდა სამი დარბაისელი კაცი. შეპფმა ჩემი თავი გააცნო მათ. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ჟოფრუა სენტ-ილერი, პარიზის Jardin d' Acclimatation-ის დირექტორი, მეორე — ამსტერდამის ზოოლოგიური ბაღის დირექტორი, მესამე — სამოცდაათ წელს მიღწეული კაცი კი — როტერდამის ზოოლოგიური ბაღის გამოჩენილი დირექტორი მარტინი, დიდულვაშებიანი სათნო მოხუცი, რო-

მელიც ერთ დროს პარიზის სენსაცია იყო და სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც მისი უდიდებულესობა დედოფლის ბერიის ჰერცოგის ასულის მხეცების მომთვინიერებელს. მარტინს ცოლად ჰყავდა ააჰენში მოწყობილი ჰოლანდიის დიდი სამხეცის მეპატრონის ქალიშვილი, რომელსაც მხეცების მთელი ქარავანი მოჰყვა მზითვად. შემდეგ იგი თვით გახდა სამხეცის მფლობელი და კრეზივით გამდიდრდა საზღვარგარეთ მოწყობილი გასტროლებით. ბოლოს კი ჰოლანდიის უდიდესი ზოოლოგიური ბაღი შექმნა და მისი დირექტორი გახდა. ჟოფრუა სენტ-ილერმა ერთ ჩვენს ნაცნობს, მხეცების მოყვარულ გრაფ კორნელის გამოჰკითხა ჩვენი მდგომარეობისა და ქონების შესახებ. როგორც ჩანს, ფრიად დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, რადგან სამივემ საკმაოდ დიდი გარიგების ხელშეკრულება დადო ჩემთან. განსაკუთრებით დიდი გარიგება მოვაწყვე პარიზელ დირექტორთან. მეორე დღეს ჩამოვიდა ლონდონიდან ჯემრაჩი და შეიტყო, რომ ძალზე დააგვიანა და პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

სრულიად შემოხვევით მოხდა ისე, რომ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მაგრად ჩავუფუშე გეგმები ინგლისური ფირმის წარმომადგენელს. და აი როგორ მოხდა ეს: ჰამბურგში რომ დავბრუნდი, წერილი დამხვდა, რომელიც ერთი სამხეცის მეპატრონის ქვრივს ქრისტიან რენცს გამოეგზავნა ჩვენთან. რენცი იმხანად კრეფელდში გამართულ ბაზრობაზე იმყოფებოდა და თავისი სამხეცის გაყიდვას აპირებდა. მამაჩემს ჭკუაში არ დაჯდომია ეს წინადადება, რადგან ზამთარში მხეცების მოვლა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც უპასუხოდ დაუტოვებია წერილი. მაგრამ მალე მეორე ბარათი მივიღეთ. რენცი სხვათაშორის იმასაც გვატყობინებდა, რომ ასეთივე წინადადებით მივმართე ჯემრაჩსო. ამან მიბიძგა სასწრაფოდ მემოქმედა. ნახევარი საათის შემდეგ გადიოდა გემი ჰამბურგისაკენ. მაშინ ჰამბურგში ჯერ კიდევ არ იყო ცენტრალური ვაგზალი, ამიტომ ჯერ ელბაზე უნდა გადავსულიყავი და ჰარბურგში ჩავმჯდარიყავი დასავლეთისაკენ მიმავალ მატარებელში. იმის დროც კი არ მქონდა, რომ სამგზავროდ გავმზადებულიყავი — საწვიმრის წაღებაც კი ვერ მოვას-

წარი. ტყვიანაკრავივით გავვარდი ნავსადგურში და ძლივს მივუსწარი გემს. ჯიბეში მხოლოდ ასიოდ ტალერი მქონდა, ბაგრამ ბეს მისაცემად ესეც კმაროდა. მეორე დღეს დილის 11 საათზე მშვიდობიანად ჩავედი კრეფელდში. გავეშურე სამხეცეში, სადაც ოთხი საზიდარი გაევსოთ მხეცებით, მათ შორის ერთი შესანიშნავი ბერბერული ლომიც იყო, ისეთი ხშირი ფაფარი ჰქონდა, ისეთი ლამაზი იყო, რომ მისი მსგავსი აღარასოდეს მინახავს. ბედ ორმოცდაათი ტალერი მივეცი ქვრივს და აღვუთქვი, დანარჩენს გამოვუგზავნიდი ჰამბურგიდან, როგორც კი ჩავიყვანდი იქ მხეცებს. ბაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა, რადგან ბაზრობაზევე მივყიდე მხეცები 700 ტალერად პატარ-პატარა სამხეცეების მეპატრონეებს. სწორედ ამ დროს მოხდა ერთი სასეირო ამბავი. ის იყო ობერჰაუზენის სადგურში მეორე მატარებელში უნდა გადავმჯდარიყავი, რომ ჩემს წინ უცებ აისვეტა დარბაისელი მისტერ ჯემრაჩი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ შევხვდი ანტვერპენში. არა მგონი, ძალიან გახარებოდეს ჩემი დანახვა. უსიამოვნო განცვიფრება გამოეხატა სახეზე და ბრაზმორეული კილოთი მკითხა: „ახლა სადღა ბრძანდებოდით?“ — „კრეფელდში, ვუპასუხე ცივად, — რენცის ქვრივის მთელი სამხეცე შევისყიდე-მეთქი!“

ასეთი საზრიანი ქცევისათვის მამაჩემმა ასი ტალერი მაჩუქა, ხოლო მთელმა ამ ოპერაციამ ორიათასი ტალერი წმინდა მოგება დაგვიტოვა. ცხოველების შემდგომი ბედი კი ასე წარიმართა: ლომები ლონდონში შეუძენია ინგლისელ ვაჭარ ჩარლზ რაისს, რომელიც შემდგომ ჩემი ცოლისძმა გახდა, და მერე კი ინგლისში მოხეტიალე სამხეცის მეპატრონის ფეირგრავისათვის მიუყიდია ისინი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფეირგრავმა ბერბერული ლომი კაპის ძუ ლომს შეაჯვარა და შესანიშნავი შთამომავლობა მიიღო. მისი სამხეცის საუკეთესო ეგზემპლარები შემდგომში ბრისტოლისა და დუბლინის ზოოლოგიური ბაღების ბინადარნი გახდნენ. ეს შტო ახლაც ამარაგებს ევროპას საუკეთესო ბოკვრებით.

გარიგებათა შესახებ რა მაგალითებიც ახლა გიამბეთ, მე ვფიქრობ, განსაკუთრებულ განმარტებებს არ საჭიროებს.

რადგან ისედაც შეიძლება დაასკვნას მკითხველმა, რომ მხეცებით ვაჭრობის საქმე კარგად მიდიოდა. 1863 წელს მამაჩემმა შპილბუდენპლატცის მოედანზე მუზეუმის გვერდით იყიდა № 19 სახლი, სახლის წინა ნაწილში ორი ფარდული იყო, რომელთაგან ერთი მეწაღეს ჰქონდა ნაქირავები, მეორეში კი ჩვენი ფრინველები ბინადრობდნენ. სახლს უკანა მხრიდან პატარა ეზოც ეკრა. ეზოს გადაღმა საკმაოდ დიდი ნაგებობა გვქონდა, სიგრძით ოთხმოცი ფუტი და სიგანით — ოცდაათი ფუტი. მის მარჯვენა ნაწილში ნადირების გალიები გვედგა, მარცხენა ნაწილში კი — ბაგა ბალახისმჭამელი ცხოველებისათვის. ეზოში აღმართული იყო პატარა ნაგებობა, რომელშიც ფოტოგრაფიული ატელიე გვქონდა გამართული. ეზოში ელაგა ყუთები, მხეცების გადაყვანისათვის რომ ვიყენებდით, მათ შორის კი გვედგა ხის ვარცლები, რომლებშიც ჩვენი სელაპები ბინადრობდნენ. ძველი ჰამბურგის ეს თავისებური „სავაჭრო ეზო" პირველად 1886 წელს დახატა ჩემმა მომავალმა მეგობარმა, მხატვარმა ჰენრიხ ლაიტემანმა „გაზეთ „Daheim-ისათვის, რომელმაც თავის ერთ-ერთ ნომერში მოათავსა იგი და თან სტატიაც დაურთო ჰაგენბეკის ახალმოდური წამოწყების თაობაზე.

მომდევნო წლებში საქმიანი კავშირურთიერთობა გავაბი ინგლისთან, საფრანგეთთან, ჰოლანდიასთან და ბელგიასთან. 1864 წლის ზამთარში პირველად ვიყავი ინგლისში. მერე კი წელიწადში თორმეტ-თოთხმეტჯერ მაინც მიწევდა ლონდონს ჩასვლა ინგლისელი ვაჭრებისაგან საქონლის შესასყიდად. ასე რომ, კარგა ხანს ინგლისის ბაზარზე იყო დამოკიდებული ჩვენი აღებ-მიცემობის საქმე. მხოლოდ მაშინ მოეღო ამას ბოლო, როდესაც გერმანიის იმპერია შეიქმნა და გერმანეთის საზღვაო ნაოსნობა განვითარდა.

1864 წლის მარტში, ლონდონში მყოფმა, ერთი არგენტინული ჭიანჭველიჭამია ვიყიდე. უნდა მოგიყვეთ, როგორ მოხდა ამ ცხოველის გადაყვანა საუტგემპტონში. ადრე არასოდეს მენახა ასეთი ცხოველი. მისი პატრონი ცხოვრობდა თავის საკუთარ მამულში, საუტგემპტონიდან ოთხი მილის დაშორე-

ბით. ჭიანჭველიჭამია თავის ნებაზე დასეირნობდა დათოვლილ ბაღში.

ასეთმა ფაქტმა, რომელიც შემდგომ განზოგადდა ანალოგიური ხასიათის დაკვირვებებით, წამაქეზა უფრო ფართოდ ჩამეტარებინა ცხოველთა აკლიმატიზაციის ცდები.

ჭიანჭველიჭამიას ღამღამობით საქათმეში ამწყვდევდნენ, სადაც რამდენიმე იღლია თივა იყო გაშლილი. ამ ცხოველს რომ ვყიდულობდი, მისმა პატრონმა მითხრა, გულდამშვიდებით შეგიძლია კარეტით წაიყვანო, ოღონდ ფანჯრები დაკეტე. რომ გზაში მოულოდნელად არ გადმოგიხტესო. იოლად ავყევი ამ ცთუნებას, რადგან წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რაოდენ სახიფათო იყო ასეთი ცხოველის გადაყვანა ტრანსპორტით დაიძრა თუ არა კარეტა, ჩემმა ოთხფეხა თანამგზავრმა უეცრად წინა თათების კლანჭები ჩამჭიდა, შემდეგ კი ფეხებზე შემომეხვია. ძლივს დავიხსენი თავი ავაზაკი თავდამსხმელისაგან. მთელი გზა ასე გამაწვალა. განუწყვეტლივ ვიგერიებდი მოუსვენარი მეზობლის შემოტევებს. ეს კი არცთუ ისე ადვილი იყო, რადგან მხეცი ტანადაც საკმაოდ დიდი იყო (ცხვირიდან კუდამდე — 7,5 ფუტის სიგრძისა) და თანაც უზომოდ ღონიერიც. საუტგემპტონს რომ მივაღწიეთ, არაქათგამოლეული ვიყავი და ძლივს მოვუხმე ჩვენს მეეტლეს დასახმარებლად. ლონდონისაკენ კი უკვე ყუთში ჩასმულს გავაგრძელებინე გზა. ჭიანჭველიჭამია ჰქვია ამ ცხოველს, მაგრამ დღეში 8 უმ კვერცხსა და გირვანქა დაკეპილ ხორცს ნთქავდა. გარდა ამისა, თბილ რძესაც შეექცეოდა. ლონდონიდან ჰამბურგისაკენ რომ გამოვეშურეთ, ზღვა ძალიან ღელავდა და ზღვის ავადმყოფობამ ლოგინს მიმაჯაჭვა. საერთოდ ჩემი ხელით ვუმზადებდი ხოლმე საკვებს ჭიანჭველიჭამიას, მაგრამ ამჯერად იძულებული გავხდი ნაცნობი მეკორიდორესათვის მეთხოვა ცხოველის მოვლა. ერთი სასეირო ამბავი მოხდა ამ დროს. ჩემი თხოვნა რომ მოისმინა, მეკორიდორე მატროსი კაიუტიდან გავიდა. მაგრამ ერთ წუთსაც არ გაევლო, სახეგაფითრებული უკანვე შემოვარდა და შეშინებულმა მიამბო, ცხოველს საჭმელი რომ მივუტანე, ამ დროს პირიდან წვრილი გველი ამოუცოცდაო. ილაჯგაწყვეტილი ვიყავი, მაგრამ სხვა რა

გზა მქონდა, რის ვაი-ვაგლახით წამოვდექი და ქვევით ჩავედი, რათა საკუთარი თვალით მეხილა სასწაული. გველზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო, მაგრამ ეს კია, რომ ჭიანჭველიჭამიას გრძელი და წვრილი ენა მართლაც ძალიან მიაგავდა გველს. იდგა ჩვენი „სასწაულთმოქმედი" და მშვიდად ლოკავდა დამტვრეულ კვერცხებს, რომლებიც შიშისაგან ხელიდან გასცვენოდა მატროსს.

ჰამბურგში რომ ჩავედი, ეს იშვიათი ცხოველი დოქტორ ალფრედ ბრემს მივყიდე. იგი მაშინ ოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო და ზოოლოგიური ბაღის დირექტორი გახლდათ. შემდეგ კი, მოგეხსენებათ, საქვეყნოდ გაითქვა სახელი თავისი წიგნით „ცხოვრება ცხოველებისა". შპილბუდენპლატცზე მდებარე ჩვენს ძველ სახლში ხშირად მისაუბრია ახალგაზრდა მეცნიერთან, რომელმაც ჯერ კიდევ მანამდე, სანამ უნივერსიტეტში სწავლას დაიწყებდა, იმოგზაურა შუაგულ აფრიკაში. შემდგომ კი, როდესაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეუფლებოდა იენასა და ვენაში, მოიარა ესპანეთი, სკანდინავია და აბისინია. უაღრესად საინტერესო პიროვნება გახლდათ ბრემი, მუდამ რაღაც პრობლემებით იყო გართული, რაღაცას იკვლევდა, ცდებს ატარებდა. ალბათ ჩვენთან სტუმრად ყოფნის გამო დაებადა აზრი, ხელი მიეყო მხეცებით ვაჭრობისათვის, რა თქმა უნდა, ჰამბურგის ზოოლოგთა საზოგადოების ხარჯზე. მაგრამ მალე მიხვდა, რომ მხეცებით ვაჭრობა არცთუ ისე იოლი საქმე იყო. როგორც პირველად ეგონა მას. მაშინვე თავი მიანება ამ ექსპერიმენტს და 1867 წელს საფუძველი ჩაუყარა ბერლინის აკვარიუმს.

ჭიანჭველიჭამია აქამდე არც მას ენახა. ვინაიდან ასეთი იშვიათი და ძვირადღირებული მხეცის ყიდვას ცოტა უფრთხოდა მუშტარი, ამიტომ განსაკუთრებული პირობით მოვურიგდი ბრემს. დათქმული ფასის ერთი ნაწილი ნაღდად მომცა, დანარჩენი კი ნაწილ-ნაწილ უნდა გადაეხადა იმდენი თვის განმავლობაში, რამდენ ხანსაც იცოცხლებდა ჭიანჭველიჭამია. სანამ საბოლოოდ ჩავაბარებდი თავის ახალ პატრონს ამ უცხო ცხოველს, უფრო სასარგებლო საკვებს მივაჩვიე ის. კერძს ვუმზადებდი სიმინდის ფქვილისა და რძისაგან, გარდა ამისა,

სადილად მიირთმევდა ოთხ უმ კვერცხსა და ნახევარგირვანქა დაკეპილ ხორცს.

განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ჩემი საქმიანობა 1864 წელს. ერთხელ გვიან ღამით ვენიდან დეპეშა მივიღეთ. გვატყობინებდნენ, რომ აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობით სახელგანთქმული ლორენცო კაზანოვა ჩამოვიდა, თან ჩამოიყვანა ცხოველები და ვენაზე გავლით დრეზდენს გაემგზავრაო. ორი წლის წინათაც ჩამოიყვანა მან ეგვიპტის სუდანიდან ევროპაში მხეცები, მათ შორის ექვსი ჟირაფი, პირველი აფრიკული სპილო და მრავალი სხვა იშვიათი ცხოველი. მაშინ ჩვენ უსახსრობის გამო არ შეგვეძლო ასეთი ძვირფასი საქონლის შეძენა, ახლა კი სულ სხვა მდგომარეობა იყო. მაშინვე გავემგზავრე დრეზდენს და კაზანოვასაგან შევისყიდე რამდენიმე ლომი და სრელა აფთრები, აგრეთვე ლამაზი მაიმუნებისა და ჩიტების კოლექცია. მაგრამ ეს სავაჭრო ოპერაცია მარტო იმით კი არ იყო აღსანიშნავი, რომ ბევრი ცხოველი ვიყიდეთ, არამედ უმეტესად იმით, რომ მუდმივი კონტრაქტი დავდეთ, რომლის საფუძველზეც კაზანოვა ვალდებულებას კისრულობდა შემდგომში ჩამოეყვანა ჩვენთვის სპილოები, ჟირაფები, მარტორქები და სხვა ცხოველები. ეს კია, რომ ამ კაცს გულს ეთანაღრებოდა მხოლოდ ჩემი ხელმოწერით კონტრაქტის გაფორმება, და ამიტომ იძულებული ვიყავით ჰამბურგში წავსულიყავით, სადაც მამაჩემსაც მოვაწერინეთ ხელი სავაჭრო გარიგებაზე.

კაზანოვა ერთი პირველთაგანი იყო მოგზაურთა იმ სახელოვანი კოჰორტიდან, ვინც ტყეებსა და ველებში ჩვენი გულისათვის იჭერდა გარეულ ნადირს, მხეცების იშვიათ ეგზემპლარებს და, ვინც ჰაგენბეკის სახელი მთელ მსოფლიოს მოჰფინა — პოლუსიდან პოლუსამდე, სამხრეთის ზღვებიდან შორეულ ციმბირამდე. ერთი წელიწადიც არ იყო გასული, რომ კაზანოვამ ნუბიიდან პირველი ტრანსპორტი ჩამოიყვანა ვენაში. მხეცების ამ პარტიიდან ჩვენთვის განკუთვნილი იყო სამი დიდი აფრიკული სპილო, ახალგაზრდა ლომები, რამდენიმე აფთარი და ჯიქი, ახალგაზრდა ანტილოპები, ქურციკები და სირაქლემები.

მხეცები მატარებლის ვაგონებში ჩავსვით და მშვიდობიანად ჩავიყვანეთ ბერლინში, სადაც სპილო ადგილობრივი ზოოლოგიური ბაღისათვის უნდა დაგვეტოვებინა. რის ვაი-ვაგლახით გამოვიყვანეთ სპილო ვაგონიდან და შაქრითა და პურით გავიტყუეთ რამდენიმე ასეულ მეტრზე. უეცრად ვაგონში დარჩენილმა ორმა სპილომ უცნაური ხმაური ასტეხა, თითქოს გამოსათხოვებლად ეხმიანებოდნენ თავის მესამე ამხანაგს. ნაცნობ შეძახილებს რომ მოჰკრა ყური ჩვენმა გოლიათმა, ერთბაშად შემობრუნდა და თავისი ამხანაგებისაკენ გაიქცა, თრევა-თრევით წაგვიყოლია ჩვენც. სხვა რომ ვერაფერი ხერხი ვიღონეთ, ის ორი სპილოც გამოვიყვანეთ ვაგონიდან და საშუალება მივეცით თავიანთი მესამე ამხანაგი ახალ ადგილსამყოფელამდე მიეცილებინათ. შემდეგ გამცილებლებთან ერთად დავბრუნდით ვაგზალში და მშვიდობიანად ჩავედით ჰამბურგში.

წარმატებებმა გაგვათამამა. ყაზანოვას ახალი დიდი შეკვეთები მივეცით და იგი კვლავ გაემგზავრა აფრიკაში. მომდევნო წლებში ბევრი სხვა მოგზაურიც დავიქირავეთ ამავე მიზნით. ძრავალმა გარემოებამ უკვე მაშინ ხელი შეუწყო ჰაგენბეკის სახელის ფართო პოპულარიზაციას. მხეცებით ვაჭრობა იმ ხანებში სრულიად ახალი სახის კომერცია იყო. ზოოლოგიური ბაღები აყვავების გზაზე იდგა, ძალზე გაიზარდა ინტერესი უცხო ცხოველების მიმართ. ხშირად მიჭირდა კიდეც ყველა შეკვეთის დაკმაყოფილება. ჩემს მიერ დაქირავებულმა მონადირეებმა და მოგზაურებმა აფრიკა არ იკმარეს და მთელ ქვეყანას მოედვნენ. ისეთ ადგილებში, სადაც მე თვითონ არ შემეძლო ჩასვლა და სამონადირო სადგურების მოწყობა, შუამავლები გავიჩინე. ინდოეთის მხეცებით ვაჭრობა მაშინ ინგლისელთა ხელში იყო უპირატესად. ავსტრალიიდან ცხოველთა იმპორტიც ლონდონში იყო ცენტრალიზებული. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ძალიან ბევრს ვმოგზაურობდი და ყველა ღონეს ვხმარობდი ახალი მხეცების საშოვნელად, ზოგჯერ მაინც იძულებული ვიყავი ზოოლოგიურ ბაღებში შემესყიდა დუბლიკატები და ამ გზით დამეკმაყოფილებინა მომრავლებული მუშტარი. არა მარტო ევროპელები, ხშირად

ამერიკელებიც მოდიოდნენ ჩვენთან სავაჭროდ. მოხეტიალე ცირკები ისე მომრავლდა მაშინ ამერიკაში, რომ ბევრად ჩამოიტოვა უკან ევროპის სამხეცეები და ცირკები.

ამ საქმის ყველაზე დიდი თაოსანი გახლდათ ფინეას ტეილორ ბარნუმი, რომელიც კარგა ხანს ებრძოდა მოქიშპე ბეილს, ბოლოს ზავი შეჰკრა მასთან და შეჰქმნა „ბარნუმისა და ბეილის ცირკი — მსოფლიოს უდიდესი სანახაობა". თავისი კარიერა ბარნუმმა დაიწყო როგორც ტიპიურმა მეგალომანეჰ: ცნობისმოყვარე ხალხს უჩვენებდა ვაშინგტონის ძიძას — ასსამოცი წლის ზანგ ქალს ჯოის ჰეტს. მაგრამ ესაა, რომ ცოტაოდენი სიზუსტე აკლდა ამ სანახაობას. ჯერ ერთი, ეს ქალი მხოლოდ სამოცდაათი წლისა იყო, და მეორეც ის, რომ იგი არაოდეს ყოფილა ამერიკის პირველი პრეზიდენტის ძიძა. ნამდვილი კვაჭი იყო ეს კაცი. ერთხელ სადღაც სირინოზი და სხვა „ზოოლოგიური ძვირფასეულობა" იშოვნა და წამდვილად ღირსშესანიშნავ რარიტეტებთან ერთად გამოფინა ნიუ-იორკის ბროდვეიზე მოწყობილ მუზეუმში. სამჯერ გაკოტრდა, მაგრამ სამჯერვე წელში გასწორდა. ეს ახლად გამომცხვარი ოდისევსი თავისი უჩვეულო გამომგონებლობითა და გასაოცარი ეშმაკობით მთელი მსოფლიოს ყურადღებას იქცევდა.

ქვეყნად არ მოიპოვებოდა ისეთი იშვიათობა, ან საჭირბოროტო მოვლენა, რომ დოლარების მოსაგებად არ გამოეყენებინოს ოინბაზობის ამ დიდოსტატს. ერთხელ ქონდრისკაცი ტომ სამბი აიყოლია და ინგლისს ესტუმრა. დედოფალმა ვიქტორიამ მილებაც კი გაუმართა მას. მან პირველმა უჩვენა მაყურებლებს უზარმაზარ აკვარიუმებში ჩასმული ვეშაპები და ზვიგენები. მერე იყო და ჯუჯების ქორწილის ინსცენირება მოაწყო. ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნეს ნეფე-დედოფალსა და მათ „მამობილს" პრეზიდენტმა ლინკოლნმა, მილიარდერებმა ასტორმა, ვანდერბილტმა, დელმონტმა და მდიდარი არისტოკრატიის სხვა წარმომადგენლებმა. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მთელი ამერიკა მოატარა მოშღერალ ქალს ლინდს — „სკანდინავიელ ბულბულს". ბოლოს კი ახალი სანახაობა მოაწყო. ეს იყო სამხეცის, პანოპტიკუმი-

სა და ცირკის ამერიკული ნარევი. როდესაც მისი სამი სპეციალური მატარებელი რომელიმე ქალაქში ჩავიდოდა, კარბიდის მოკაშკაშე ფარნებით განათებულ ქუჩებს ქარავანივით მიჰყვებოდა ჩირაღდნებით მორთული ეკიპაჟები. სახლებს აზანზარებდა ორთქლმავლის საყვირის ხმა, ზარების რეკვა. ორკესტრის გუგუნი და ძვირფასად მორთულ-მოკაზმულ გალიებში გამომწყვდეული მხეცების ღრიალი.

ერთ დილას, ეს მოხდა 1873 წლის ნოემბერში, გამოფენების მოწყობის ეს განუმეორებელი დიდოსტატი სან-პაულის ეწვია. ეტლიდან რომ გადმოდიოდა, მე იქვე ვიდექი, ჩვენი სავაჭრო სახლის კართან. დამინახა თუ არა, თავისი სადარბაზო ბარათი გამომიწოდა და მთხოვა კარლ ჰაგენბეკისათვის გადამეცა. ადვილი სამსახური იყო, რადგან უკვე ადრესატის ხელთ იყო ეს ბარათი. როდესაც ბარნუმმა შეიტყო ჩემი ვინაობა, ფრიად განაცვიფრა ჩემმა ასაკმა. „თუკი გსურთ, რომ უფრო ხნიერ ადამიანებთან იქონიოთ ურთიერთობა, — მივუგე მე, — მაშინ ნება მომეცით წარგადგინოთ მამაჩემთან, რომელიც ამ საქმის ფუძემდებელი გახლავთ“. თვითონ ბარნუმი უკვე ხანშესული კაცი იყო, სამოცი წლისა მაინც იქნებოდა, ინტელიგენტური სახე ჰქონდა, გრუზა თმაში აქა-იქ ვერცხლი შეპარვოდა. გაცხოველებული საუბარი გავაბით. „მე ვნახე რენცის ცირკი ვენაში, კარესი კელნში და მაიერისა დრეზდენში, — მითხრა მან. — მიუხედავად ამისა, სანამ სამშობლოში დავბრუნდებოდე, მინდა გაგეცნოთ, რადგან კარგად ვიცი, რომ ამერიკაში ჩამოყვანილი მხეცების უმეტესობა თქვენს ხელში გადის. ახლა მე თქვენგან არაფრის ყიდვას არ ვაპირებ, რადგან ჩემი მოგზაურობის მიზანი ახალი იდეების ძიებაა. მომავალ გაზაფხულზე ნიუ-იორკში მედისონ-სკვერ-გარდენში რომაული იპოდრომის გახსნას ვფიქრობ. ამისათვის მჭირდება ახალი იდეები“.

ახალი იდეები ჩემთვის უცხო ხილი არ იყო. განცვიფრებული დარჩა ჩვენი სტუმარი, როცა ექსპრომტად რამდენიმე ორიგინალური აზრი მივაწოდე. ბარნუმმა მაშინვე ჩაიწერა ჩემი მოსაზრებანი თავის უბის წიგნაკში. „ისე ვატყობ, — მითხრა მან ღიმილით, — რომ მომიწევს რამდენიმე დღით აქ

დარჩენა და თქვენთან ბაასის გაგრძელება. გარდა ამისა, თქვენს მხეცებსაც დავათვალიერებ. თუკი რაიმე ხელსაყრელს წავაწყდი, კარგ ფასს მოგცემთ, ჯანჯალი ვაჭრობა არ მიყვარს!“.

მხეცების დათვალიერებას რომ მოვრჩით, ბარნუმმა 4000 დოლარის ცხოველები იყიდა ჩვენგან. მეორე დილით სასტუმრო „ევროპაში“ ვეწვიე ჩვენს სახელოვან სტუმარს, რათა ჰამბურგი დამეთვალიერებინებინა მისთვის. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ სეირნობა შევწყვიტეთ, რადგან მთხოვა, თუ შეიძლება სასტუმროში დავბრუნდეთ და ისევ ჩემი მომავალი განზრახვის — ნიუ-იორკის იპოდრომის თაობაზე ვისაუბროთო. ბარნუმს ვკითხე, თუ იცით, რომ ინდოეთში სპილოების დოღს აწყობენ, ანდა თუ გინახავთ სირაქლემაზე ამხედრებული კაცის ჯირითი-მეთქი. გამომიტყდა, ამის მსგავსიც კი არაფერი მსმენიაო. თანაც მთხოვა დამატებით მიმეყიდა ათი ღონიერი სირაქლემა და ექვსი სპილო, რომლებიც გამოსადეგი იქნებოდნენ ზემოაღნიშნული მიზნისათვის. „ჰაგენბეკ, — მითხრა მან დამაჯერებელი კილოთი და ხელი მომკიდა, — სწორედ თქვენისთანა ადამიანი მჭირდება მე, წამომყევით ამერიკაში და გახდით ჩემი კომპანიონი. მოგების მესამედი წილი თქვენი იქნება“. შევესიტყვე, ასეთ საქმეში წილი რომ დავდო, თავიდან კაპიტალია საჭირო, მე კი ასეთი რამ არ მაბადია-მეთქი. ნაწყენი ხმით მითხრა: „მე თქვენი ფული სულაც არ მჭირდება, თქვენს ნიჭს უფრო მეტად ვაფასებო.“

აი სწორედ ეს მიზეზი გახლდათ, სულ მალე ამერიკაში რომ ამომაყოფინა თავი. შემდგომშიც გახლდით ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც საკუთარი ცირკი ჩავიყვანე იქ, მაგრამ ეს კარგა ხნის შემდეგ იყო.

ბარნუმს დიდი მადლობა მოვახსენე თავაზიანი მიპატიჟებისათვის. ორი კვირის შემდეგ იგი სამშობლოში გაემგზავრა და თან წაიღო ჩანაწერებით სავსე ორი სქელი უბის წიგნაკი, მე კი დამიტოვა 15 ათასი დოლარის სავაჭრო გარიგება. ასე რომ, ჩვენს შორის მტკიცე საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. ამიერიდან „ბარნუმი და ბეილი“ მათთვის საჭირო მხეცებს

მხოლოდ ჩემგან ყიდულობდნენ. ასე გაგრძელდა 1907 წლამდე, სანამ სხვის ხელში არ გადავიდა მისი წარმოება.

1889 წელს ბარნუმის ცირკი გასტროლებს მართავდა ლონდონის „ოლიმპია-ჰოლში". ამ დროს იგი ოთხმოცდ წელს იყო უკვე მიღწეული. პრინციპად ჰქონდა ამოჩემებული, რომ რაც შეიძლება ბევრი ელაპარაკა თავის თავზე. სიამოვნებით ვიგონებ, როგორ იქცეოდა იგი წარმოდგენის დაწყების წინ. ოთხჯერ მაინც შემოუვლიდა ხოლმე ცირკის არენას ოთხცხენა ეტლით და ასე ესალმებოდა ხალხს. ყოველი ათასი მეტრის გავლის შემდეგ შეჩერდებოდა და ცილინდრს უქნევდა მაყურებლებს. რა თქმა უნდა, წინასწარ ისე ჰქონდა მოგვარებული საქმე, რომ „ვაშასა" და „ბრავოს" შეძახილები არ შემოლეოდა. ერთ-ერთი ასეთი გასტროლის დროს ვინახულე იგი. ლოჟაში რომ შევედი, ჩაიცინა და თვითკმაყოფილების გამომხატველი კილოთი მითხრა: „ჩემო კეთილო ჰაგენბეკ, ხომ საკუთარი თვალით ნახეთ, როგორ მესალმებოდა მაყურებელი? დარწმუნებული ვარ, ჰოლიდან სახლში რომ დაბრუნდება ამ საღამოს ეს ხალხი, ერთსულოვნად ჩამთვლიან ყველაზე საინტერესო ღირსშესანიშნაობად".

იმ დროის ისტორია წარმოადგენდა ევროპაში მხეცებით ვაჭრობის განვითარების ისტორიასაც, რადგან ამ დარგში მხოლოდ ექსპერიმენტის გზით შეიძლებოდა რაიმე ცოდნის შეძენა.

მხეცების ყველაზე დიდი ტრანსპორტი აფრიკიდან მივიღე 1870 წელს, სუეცის არხის გახსნის შემდეგ.* ამ არხმა, ჯერ ერთი, რომ მნიშვნელოვნად შეამოკლა ინდოეთისაკენ მიმავალი გზა, და გარდა ამისა, საშუალება მოგვეცა აფრიკიდან მოსული ტრანსპორტი გადმოგვეტვირთა მეწამული ზღვის სანაპიროს ნავსადგურებში.

სწორედ იმ წელიწადს, სამება დღეს ჩვენი მკითხველისათვის უკვე ნაცნობი მოგზაურის კაზანოვასა და იტალიელი მოგზაურის მიგოლეტისაგან ერთდროულად მივიღეთ შეტყობინება, რომ ცენტრალური აფრიკიდან მოემართებოდნენ და

* გემების მიმოსვლისათვის სუეცის არხი გაიხსნა 1869 წელს.

მხეცების დიდი ტრანსპორტები მოჰყავდათ. კაზანოვა დაბეჯითებით მთხოვდა სასწრაფოდ ჩავსულიყავი სუეცში. იგი მძიმე ავადმყოფი იყო და ეშინოდა, ვაითუ ვეღარასოდეს ვნახო ვენაში მყოფი ჩემიანებიო. მიგოლეტი კი იწერებოდა, კაზანოვას შევხვდი და ალბათ იმავე გემით ჩამოვალ სუეცში, რომლითაც ჩამოიყვანენ მის მხეცებსო. ასეთი ცნობების მიღების შემდეგ ერთი წუთით დაყოვნებაც არ შეიძლებოდა. აკრედიტივი გავაფორმე ეგვიპტეში გასანაღდებლად და მეორე დღესვე გავუდექი გზას ჩემი უმცროსი ძმის დიდერიხის თანხლებით. ტრიესტში ჩავსხედით გემში, რომელმაც ცხრა დღის შემდეგ მშვიდობიანად ჩაგვიყვანა სუეცში. სუეცის ვაგზალში თვალი მოვკარით მეორე მატარებელში მყოფ ჟირაფებსა და სპილოებს, რომლებიც თითქოსდა მისალმების ნიშნად თავს გვიქნევდნენ. კაზანოვა სუეცის სასტუმროში ვინახულეთ, მართლაც ძალიან ავად დაგვიხვდა. სასტუმროში იგი თავის ერთგულ მებარგულებს მიეყვანათ „გიბოკოთი“ — იქაური საკაცით. სააქაო პირი აღარ უჩანდა ბეჩავს. გვთხოვა, ანგარიში გამისწორეთ და რაც მერგება მხეცებში კუთვნილი თანხა ჩემს ცოლს გადაუგზავნეთ-ვენაშიო. იტალიის კონსულის თანდასწრებით შედგენილ იქნა წერილობითი პირობა, რომელსაც ძლივს მოაწერა ხელი სნეულებისაგან დაუძლურებულმა კაზანოვამ. ეს იყო კაზანოვას უკანასკნელი ტრანსპორტი. ავისმომასწავებელი წინათგრძნობა აუხდა საცოდავს. ისე დახუჭა სამუდამოდ თვალი, სამშობლოს ნახვას მართლა ვერ ეღირსა.

ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიგვექცია მხეცების ქარავანისათვის, რომელიც ძალიან შელახულიყო, რადგან თავზე არ ადგა გულისხმიერი პატრონი. არასოდეს არ დამავიწყდება განსაცვიფრებელი სანახაობა, რომელიც ვიხილეთ სასტუმროს ეზოში. დარწმუნებული ვარ, რომელიმე მხატვარს რომ ენახა ასეთი სურათი, უეჭველად უკვდავყოფდა მას ტილოზე გადმოტანით და სახელად უწოდებდა „უდაბნო ტყვეობაში“. სპილოები და ჟირაფები, ანტილოპები და კამეჩები პალმის ხეებზე გამოებათ. ეზოს სიღრმეში თავისუფლად დაკუნტრუშობდა თექვსმეტი ვეება სირაქლემა. აქა-იქ

დაეხროვებინათ სხვადასხვაგვარი აღკაზმულობები, ტარა, იალქნები, მათ შორის უწესრიგოდ მიმოფანტული ეყარა სამოციოდე ყუთი, რომელთა ბინადართ — ოცდაათ სრელა აფთარს, ლომს, ჯიქს, ჰეპარდს, ფოცხვერსა და ცივეტს ერთი ვაიუშველებელი ჰქონდათ. ყურთასმენა აღარ იყო მათი ღრიალისაგან. მაიმუნებსა და თუთიყუშებს ხომ ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაემართათ. აქვე დინჯად ბოლთას სცემდნენ გაბღენძილი მარაბოები, გნიასობდნენ გარეული ფრინველები, ღრუტუნობდნენ ახალგაზრდა მარტორქები.

სათითაოდ აღვწერეთ ყველა ცხოველი, მაგრამ ნამდვილი ჭაპანწყვეტა დაგვადგა ცხოველების შემდგომი ტრანსპორტირებისას, ვინ მოსთვლის რა სიძნელეები არ გადაგვეღობა წინ.

კაზანოვას პერსონალიდან უმრავლესობა ავად იყო და ცხოველების მოვლა არ შეეძლოთ. იძულებული გავხდი რამდენიმე არაბი დამექირავებინა, რათა მათი შემწეობით მომეგვარებინა ცხოველთა სამყაროს დატყვევებული წარმომადგენლების მოვლა-პატრონობისა და კვების საქმე.

ძლივძლივობით მოვიყვანეთ წესრიგში ბანაკი და ის იყო ცხოველთა კვებას უნდა შევდგომოდით, რომ უცებ ეზოში ვიღაც უცნობები შემოიჭრნენ, ყვირილით მომცვივდნენ და ფული მომთხოვეს. ისე იქცეოდნენ, რომ მაშინვე საეჭვო პიროვნებებად მივიჩნიე ისინი. ერთი მათგანი, წინამძღოლად რომ მოჰქონდა თავი, გამომეჭიმა და მითხრა, მე კაზანოვას გამყოლი გახლავარ, მას კი ჩემი ფული ემართაო. თანაც იმუქრებოდა, თუ ვალს არ გამისტუმრებთ, ცეცხლს წავუკიდებ „მთელ ამ ისტორიასო.“ სწორედ ასე თქვა: „ამ ისტორიასო“. აღმოსავლეთში ერთი შესანიშნავი საშუალება არსებობს აღტყინებულთა დასაოკებლად — ესაა ეგრეთწოდებული „ბაქშიში“, ანუ ფულის ჩუქება. აღვუთქვი, რომ კაზანოვას ვალს სრულად გადავუხდიდი და ავანსად 50 ფრანკი ჩავუჯიბე. თილისმასავით გასჭრა, მაშინვე კრავივით მოლბა და თანაც დამთანხმდა მოგვხმარებოდა ცხოველების დაპურებაში. ამდენ-ამდენივე ჩამოვურიგე კაზანოვას სხვა მსახურებსაც.

ძალიან გაგვიჭირდა ცხოველების დასატვირთავი ვაგონების შოვნა სადგურში. რკინიგზის მოხელე, ვისაც ეს საქმე

ეხებოდა, ალაჰსა და მის მოციქულებს იმოწმებდა, ამდენი ვაგონის შოვნას რვა თუ არა ექვსი დღე მაინც დასჭირდებაო. სასწაული იქნება უფრო მოკლე ვადაში ასეთი მატარებლის შედგენა, მე კი, სამწუხაროდ, ჯადოქარი არა ვარო, დასძინა. საოცარი კი სწორედ ის იყო, რომ 50 ფრანკი რომ აღვუთქვი გასამრჯელოდ, მაშინვე აღმოსავლურ გრძნეულად იქცა და მტკიცედ აღმითქვა, ხვალ საღამოსათვის ყველაფერი მოგვარებული იქნებაო.

ცხოველების დიდი ქარავანის გადაზიდვა მაშინ იმ ექსპედიციას ჰგავდა, რომელიც ადამიანისაგან ჯერაც გაუკვალავ ადგილებში ეწყობა ხოლმე.

სისტემა ნანსენისა და პირისა, რომლებიც თავიანთი პოლარული ექსპედიციების დროს შემდგომი მუშაობისათვის უვარგისად ქცეულ საჭაპანო ძაღლებს იყენებდნენ დანარჩენი ცხოველების გამოსაკვებად, ბევრად როდი განსხვავდებოდა ჩემი წესებისაგან, რომელთაც ვიყენებდი როგორც ამ, ისე ძრავალ სხვა შემთხვევაშიც, თუმცა ძაღლები სულაც არ ჰყოლია ამჯერად. ცხოველების გადაზიდვის დროს ყველაზე დიდი საზრუნავია მათი კვება. უამრავი დაწნეხილი თივა, პური და ბოსტნეული მოვიმარაგეთ სპილოებისა და სხვა ცხოველების საგზლად, მაგრამ ეს არ კმაროდა. ამიტომ თან წავიყვანეთ რამდენიმე მეწველი თხა, რათა გზაში რძე არ შემოკლებოდათ ჩვენს ნორჩ ჟირაფებსა და სხვა მოზარდეულს. გამშრალ თხებს გზადაგზა ვკლავდით და მათი ხორცით ვკვებავდით ახალგაზრდა ნადირს.

რკინიგზელმა „ჯადოქარმა“ კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი დანაპირები, ამიტომ არც მე გამიტეხავს სიტყვა. დათქმულ დროს სრულად ჩამოაყენეს ვაგონები. შორს წაგვიყვანდა ამ აფრიკული ნოეს კიდობნის დატვირთვის ამბის წვრილად მოთხრობა. შვებით ამოვისუნთქე, რაკი სპილოებს, ჟირაფებსა და მტაცებელ ცხოველებს თავთავიანთი ადგილები მივუჩინეთ ვაგონებში. მაგრამ ტყუილად როდია ნათქვამი, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. კიდევ თექვსმეტი სირაქლემა გვყავდა სადგურში მოსაყვანი. გადავწყვიტეთ, რომ ორ-ორი არაბი ფრთებში ხელს ჩაავლებდა თითო

სირაქლემას და ისე აიძულებდნენ მათ სადგურისაკენ წამობრძანებას. პირველი სირაქლემა მე და ჩემს ძმას გვხვდა წილად. დანარჩენი კაზანოვას ხალხს უნდა წამოეყვანა. ჩვენ კი შევთანხმდით ასეთ წესზე, მაგრამ სირაქლემები სხვა აზრისანი აღმოჩნდნენ. რამდენიმე ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, რომ ჩვენს უკან მომყოლმა თხუთმეტივე სირაქლემამ თავი აიშვა, მიწაზე დაანარცხეს გამყოლები და ეზოდან გარეთ გაცვივდნენ. მტვრის კორიანტელი დადგა. ეს რომ დავინახე, ისეთი რამ მოვიმოქმედე, რაც თურმე არ უნდა ჩამედინა, მაგრამ... გვიან მივხვდი ჩემს შეცდომას. ცხოვრებაში ასე ხდება ხოლმე საერთოდ. იმ წუთს რატომღაც მეგონა, რომ მარტოც შევძლებდი ჩემი წილხვედრილი სირაქლემის დაჭერას, ამიტომ ჩემს ძმას მივაძახე, გაუშვი ფრთას ხელი და გამყოლებს მიეშველე-მეთქი. როგორც კი მიხვდა სირაქლემა, რომ ცალი ფრთა გავუნთავისუფლეთ, მსწრაფლ ჩემსკენ შემობრუნდა და ისე ძლიერ ჩამცხო თავისი გრძელი ფეხი მკერდში, რომ მყისვე ბიწაზე გავიშხლართე. თავდახრილი ტყვე თოხარიკი ცხენივით შეკუნტრუშდა და თავის ამხანაგებს გამოედევნა. მე კი გაოგნებული ვეგდე მიწაზე და მივჩერებოდი მის ნაკვალევს.

სასაცილოდაც არ ეყოფა კაცს, ისე ადვილად დავიჭირეთ გაქცეულები. ერთ-ერთმა გამყოლმა, სახელად სეპელმა, ინსტინქტურად მოიფიქრა უტყუარი საშუალება, რაც სხვათაშორის ერთგვარად სჭრის ადამიანებსა და ცხოველებზე. ეს უებარი ხერხი გახლდათ ჩვეულება. ახლა კი ესაა, მაგრამ მაინც ძალზე უცნაური რამ მოხდა მაშინ. ფეხზე რომ წამოვდექი, დავინახე, რომ სეპელი ეზოდან თხის ფარას მოერეკებოდა. გაოცებულმა შევძახე: „სეპელ, ამას რას სჩადიხარ-მეთქი?“ მან კი ლაკონიურად მიპასუხა: „სირაქლემები უნდა ჭოვაბრუნო უკანო“. იმ წუთში დაუძახა ორ არაბს და აქლემებზე ამხედრება უბრძანა. ასე გაჰყვნენ სირაქლემების ნაკვალევს, თან მიერეკებოდნენ თხებს. როდესაც მდევრები წამოეწიენ, ლტოლვილებმა უცებ კისრები წაიგრძელეს და ისე კბაყოფილნი დარჩნენ ასეთი შეხვედრით, რომ ფრთების ტყლაშუნით გარს შემოეხვივნენ თხებსა და აქლემებს. ნამდვილად უჩვეულო სანახაობა იყო! ყველაფერი რომ დაწყნარ-

და, ჭარავანი სადგურისაკენ მიმავალ გზას გაჰყვა. ისე მშვიდად მიაბიჯებდნენ სირაქლემები თხებს შორის, თითქოს რაღაც უხილავი ძალით ყოფილიყვნენ მოთვინიერებულნი. არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, როდესაც ვაგონებში ვსხამდით. ადვილი ასახსნელი გახლდათ ეს ამბავი: მთელი ორმოცდაორდღიანი გადასვლის დროს, რაც დასჭირდა კასალიდან* სუაკინამდე** ჩასვლას, სირაქლემები თხებისა და აქლემების მხარდამხარ მოგზაურობდნენ; ასე რომ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი მარტო ადამიანთათვის კი არაა...

არაოდეს დამავიწყდება სუეციდან ალექსანდრიაში მოგზაურობა. არ მახსოვს, რომ სხვა დროსაც განმეცადოს ასეთი ნერვიული დაძაბულობა. პაპანაქება სიცხე იყო, ირგვლივ ალმური ადიოდა ყველაფერს. ფათერაკები იმით დაიწყო, რომ რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა წინა სატვირთო ვაგონს. ბედად, მალე ჩავაქრეთ ხანძარი. მაგრამ ახლა სხვა საზრუნავი გაგვიჩნდა. ორთქლმავალი მობმის დროს ისე ძლიერად დაეჯახა ჩვენს მატარებელს, რომ ერთ წამში ნამსხვრევებად იქცა ვაგონებში ჩამოკიდებული ჩვენი „ჰულასები“ — თიხის წყლის ჭურჭლები. მერე იყო და კინაღამ მიგვატოვეს ერთ-ერთ სადგურზე. ორთქლმავლის მემანქანე აგვიმხედრდდა, ამდენ ვაგონს ველარ წავიყვანო. ამის თქმა იყო და, მაშინვე მოხსნეს ჩვენი ვაგონები. მატარებელმა უჩვენოდ განაგრძო გზა ალექსანდრიისაკენ. დანა პირს არ მიხსნიდა, გარშემო ვუვლიდი ჩვენს ვაგონებს, რომლებშიც ესოდენ ძვირფასი ტვირთი იყო მოთავსებული. უფსკრულის პირას ვიყავი, რადგან შეიძლებოდა აუნაზღაურებელი ზარალი მომსვლოდა და ველარასოდეს გავმართულიყავი წელში. ვაგონები ისე იყო გაჭედილი ცხოველებით, რომ ერთხელაც ვერ შოვახერხეთ მათი გამოკვება. მაგრამ გულხელდაკრეფილნი ხომ არ ვიდგებოდით. რაიმე უნდა გვეღონა. უცებ გამახსენდა, რომ კაზანოვმა გადმომცა ვენის საიმპერატორო

---

* კასალა — სუდანის ქალაქი, მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი.

** სუაკინი — სუდანის ნავსადგური მეწამულ ზღვაზე.

კარის მოწმობა, რომელიც მიეცა მისთვის შენბრუნის სამეფო სამხეცის ინსპექტორს შეკვეთებთან დაკავშირებით. მოწმობა უფლებას აძლევდა მის მფლობელს აუცილებლობის შემთხვევაში ყოველგვარი დაყოვნების გარეშე შეუფერხებლად გადაეყვანა ცხოველები. მოწმობა დადასტურებული იყო დიდი ძოოქროვილი ბეჭდით და სწორედ ამაზე ვამყარებდი მთელ იმედებს. ეს საბუთი ვუჩვენე სადგურის უფროსს, იქაურ არაბს, რომელიც გაჭირვებით ლაპარაკობდა ფრანგულად. ამან სათანადო ზემოქმედება მოახდინა და მან მაშინვე აფრინა ქაიროში ტელეგრამა. ერთ საათსაც არ გაევლო, რომ პასუხი მოვიდა და ჩვენს ვაგონებს სპეციალური ორთქლმავალი გამოუბეს. ასე რომ, ერთბაშად ჩქარ მატარებელში აღმოვჩნდით.

მაგრამ ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, სწორედ ჩვენზე იყო ნათქვამი. მემანქანე თურმე მთვრალი იყო და ისე მიაქროლებდა მატარებელს, ჩვენი ცხოველები ლამის თავდაყირა გადადიოდნენ. ამასაც ავიტანდით, მაგრამ იმის შიში უფრო გვქონდა, მატარებელს ცეცხლი არ გაჩენოდა. ორთქლმავლის საცეცხლე ისე იყო გავარვარებული, რომ მისი საკვამლე მილი ჰგავდა ცეცხლისმფრქვეველი ვულკანის კრატერს, საიდანაც განუწყვეტლივ იფრქვეოდა ნაპერწკლები, ნახშირის ნაღვერდალი სეტყვასავით ცვიოდა ვაგონებში ტირაფებისათვის გაფენილ თივაზე. მთელი გზა ხანძრის კერების მოსპობას მოვუნდით. სხვა რომ ვერაფერი ვიღონეთ, მთელი ალმოდებული თივა ვაგონებიდან გარეთ გადავყარეთ.

ჩავედით ალექსანდრიაში და დავიწყეთ ცხოველების გადმოტვირთვა. ისინი დროებით ჩემი აფრიკელი მოგზაურის ძმის, გემმშენებელი მიგოლეტის ეზოში უნდა მოგვეთავსებინა. მალე ცხოველთა მეორე ტრანსპორტიც ჩამოვიდა. საღამოს ვინახულე ჩემი საცოდავი მეგობარი კაზანოვა, ძლივსღა ფეთქავდა სნეული. უზომოდ გაეხარდა ჩემი დანახვა. ლაპარაკი უჭირდა, მაინც დაწვრილებით გამომკითხა ცხოველების ქარავნის ამბავი. გამოვეთხოვე და წამოვედი. ვგრძნობდი, რომ ეს სამუდამო გამომშვიდობება იყო.

მისი საქმე შემდგომ მემკვიდრეობით გააგრძელა ერთმა

უნგრელმა, სახელად ესლერმა. ამ კაცმა ექვსი წელი გაატარა ჰონობაში აბისინიის ნეგუსის თეოდორის კარზე და შემდეგ ინგლისელებმა გაათავისუფლეს მონობიდან. გზაში იგი კაზანოვას ერთ-ერთ ტრანსპორტს შემოუერთდა, შემდეგ კი აბისინიაში ერთი უბანი მიუჩინეს და იქ საქმიანობდა.

მე მგონი, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ბოლომდე შეიტყოს მხეცების ამ ტრანსპორტის ფათერაკიანი თავგადასავალი, რადგან ეს მოგზაურობა საერთოდ უაღრესად ტიპიური იყო. თავისთავად ცხადია, რომ ყველაზე ძნელსა და სახიფათო საქმეს წარმოადგენდა ცხოველების გადმოტვირთვა და დაბინავება. ჟირაფები, სპილოები, კამეჩები, ანტილოპები, ჰხეცებიანი ყუთები ორთქლით მომუშავე ამწეს მეშვეობით უნდა დაგვეტვირთა ტრეისტისაკენ მიმავალ გემ „ურანის“ გემბანზე. ცასა და მიწას შორის ჰაერში ჩამოკიდებული ცხოველები რომ დავინახე, შიშისაგან გული გამისკდა. ცხოველებს დუშაყით ვბორკავდით, მაგრამ გაცილებით ძნელი იყო ჰათი მოხსნა. ჟირაფები, მაგალითად, აუცილებლად გვერდზე უნდა დაგვეწვინა, თორემ სხვა გზით ვერ ვახერხებდით თოკების შემოხსნას. ძალიან მარჯვედ კი ხდებოდა ეს, მაგრამ ჰაინც შეუძლებელი იყო თავის დაცვა ამ კანჭმაღალი ცხოველის წიხლებისაგან. ერთხელ ჩემმა ძმამ დიდერიხმა ისეთი წიხლი იწვნია მკერდში, რომ მაშინვე გულწასული გაიშხლართა მიწაზე. კიდევ კარგი, მალე მოვიდა გონს.

ტრიესტში მამაჩემი და ცოლისძმა დაგვხვდნენ. წინასწარვე შეეკვეთათ საჭირო ვაგონები მხეცების შემდგომი ტრანსპორტირებისათვის. ტრიესტის ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი სენსაცია, გამოიწვია ჩვენმა ჭარავანმა. კაზანოვასა და ჰიგოლეტის ტრანსპორტები რომ გაერთიანდა, მართლაც უამრავმა ცხოველმა მოიყარა თავი ერთად. გარდა სხვა ცხოველებისა, ქარავნის შემადგენლობაში იყო ერთი მარტორქა, ხუთი სპილო, თოთხმეტი ჟირაფი, თორმეტი ანტილოპა და ქურციკი, ოთხი ნუბიური კამეჩი, სამოცი მტაცებელი და თექვსმეტი სირაქლემა, რომელთაგან ერთი დედალი იმოდენა იყო, რომ მისი მსგავსი არაოდეს მინახავს. თავისუფლად წვდებოდა 11 ფუტის სიმაღლეზე დადებულ თავკომბოსტოს.

ტრანსპორტის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ოცი დიდი ყუთი, რომლებშიც მოთავსებული იყვნენ მეჭეჭიანები, თაფლიჭამიები, მაიმუნები და სხვადასხვა ფრინველები, აგრეთვე სამოცდათორმეტი ნუბიური მეწველი თხა — მოძრავი სარძეო ფერმა,—რომლებიც რძით ამარაგებდნენ ჩვენს მოზარდეულ ცხოველებს. მხეცების გადმოტვირთვისას ნავსადგურში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ისინი ამ იშვიათ სანახაობას. როგორც კი ამწე ჰაერში გამოჰკიდებდა სპილოს ან ჟირაფს, სანაპიროზე საშინელი ყიჟინა ატყდებოდა. მაგრამ ეს რაა, მთავარი სანახაობა ქალაქის ქუჩებში გაიმართა, როდესაც ჩვენი აფრიკული ქარავანი პორტიდან ვაგზლისაკენ გაემართა.

ცხოველების მსვლელობის გზაზე იმდენი ხალხი გროვდებოდა, იძულებული ვიყავით პოლიციელთა სპეციალური რაზმისათვის გვეთხოვა წესრიგის დაცვა. ახლაც ვერ გამიგია, როგორ გადავრჩით ისე, რომ არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა მაშინ.

ქარავანმა გაიარა ვენა, დრეზდენი, ბერლინი, ჰამბურგი. გზადაგზა დანაწილდა კიდეც. ვენაში შენბრუნის სამეფო სამხეცეში დავტოვეთ ორი ჟირაფი, ერთი სპილო და მრავალი პატარ-პატარა მხეცი. დრეზდენში ახალი ბინა დაიდეს აგრეთვე ორმა ჟირაფმა და რამდენიმე სხვა ცხოველმა. მაგრამ ყველაზე მეტი ცხოველი შეიძინა ბერლინის ზოოლოგიურმა ბაღმა, სადაც ის-ის იყო დაემთავრებინათ ახალი პავილიონების მშენებლობა. ბერლინშივე დარჩა მარტორქა, პირველი აფრიკული მარტორქა, რომელიც ჩამოყვანილ იქნა ევროპაში რომის ბატონობის შემდეგ. დედაქალაქიდან რომ მოვემგზავრებოდი, ჩემი მხეცების ტრანსპორტი უკვე საკმაოდ შეთხელებული იყო. 8 ივლისს მშვიდობიანად დავბრუნდით ჰამბურგში. სუდანის ჟირაფი და ახალგაზრდა აფრიკული სპილოები, ისევე როგორც ნუბიის უდაბნოდან ჩამოყვანილი ბევრი სხვა ცხოველი, ადრე არასოდეს ენახათ ჩრდილოეთის ზღვის სანაპირო ქალაქის მცხოვრებთ, ამიტომ ნამდვილი ფურორი მოახდინა მათზე ამ უცხო სანახაობამ. მხატვარი ლეიტემანი მაშინვე ეწვია ჰამბურგს, რათა ჩანახატები გაეკე-

თებინა „Gartenlaube"-სათვის. ქალაქის ზოოლოგიურმა ბაღმა შეიძინა ოთხი ჟირაფი, კამეჩები, თაფლიჭამიები და ზოგიერთი სხვა ცხოველიც; ქარავნის დანარჩენი ნაწილი შემდგომ ლონდონსა და ანტვერპენში მოხვდა.

თუკი ჩემმა მკითხველმა ინტერესით წაიკითხა ცხოველთა ამ დიდი ტრანსპორტის მოგზაურობის პერიპეტიების აღწერა, მაშინ იმასაც მოგახსენებთ, რომ მე მხოლოდ ერთი პატარა ამბავი გიამბეთ, თანაც შედარებით ნაკლებ საინტერესო, რადგან, მერწმუნეთ, რომ ევროპაში ცხოველების ტრანსპორტირება გაცილებით უფრო მოსაწყენი მოსაყოლია, ვიდრე აფრიკის უკაცრიელ ადგილებში მათი გადაზიდვის ამბები. ამის შესახებ კი მართლაც ბევრი თავშესაქცევი ისტორია შემიძლია მოგითხროთ, და ამ დაპირებას მომდევნო თავებში შეგისრულებთ.

მას შემდეგ, რაც 1866 წლის დასაწყისში ხელი მოვკიდე მხეცებით ვაჭრობას, მოსვენება დავკარგე. ხან რეინის ნაპირას ამოვყოფდი თავს, ხანაც მეწამული ზღვის სანაპიროზე და, როცა შორეული მოგზაურობის შემდეგ სახლში ვბრუნდებოდი, ჩემს შინ არ ყოფნაში მოსული დეპეშები მხვდებოდა და კვლავ სადღაც შორეთში მიწვევდნენ მორიგი თხოვნისა თუ დავალების შესასრულებლად.

1871 წლის 11 მარტს ახალი — ამჯერად შავ-წითელ-თეთრი ბაირაღი აღვმართე და საკუთარი კერა გავიჩინე. მაგრამ არც ამის შემდეგ ვყოფილვარ მიჯაჭვული ერთ ადგილას, მოგზაურობებს კვლავ არ უჩანდა დასასრული. ეს კია, რომ მთელ თავისუფალ დროს ახლა ოჯახში ვატარებდი. ჩემმა თანამეცხედრემ ათი შვილი მაჩუქა. მათგან მხოლოდ ხუთი შეგვრჩა — სამი ქალი და ორი ვაჟი. ისინი — ჰენრიხი და ლორენცი ახლა ჩემი კომპანიონები არიან. კარგა ხანია ისინიც საკუთარ ოჯახს მოეკიდნენ და სვებედნიერად ცხოვრობენ, ქალიშვილებიც არ ემდურიან ბედს, კარგ დიასახლისობას ეწევიან. ჩემი ნაშიერის იღბლიანობაზე რომ მოგახსენებთ, კარგი საბუთი მაქვს ამისა — ცამეტი შვილიშვილი მახვევია თავს.

ახლა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მიმოსვლის საშუალებანი ისეთი სრულყოფილი გახდა, რომ კაცს წარმოდგენაც

კი გაუჭირდება იმ სიძნელეებისა, რომელთა გადალახვაც გვიხდებოდა წინათ ხალხისა თუ ცხოველების გადაყვან-გადმოყვანის დროს. ერთხელ ერთი სამხეცის მეპატრონე ავგუსტ შოლცისაგან მხეცები შევიძინე და შემდეგ ისინი კარგ ფასად — 70 ათას ფრანკად მივყიდე საფრანგეთის სამხეცეების პატრონს, პიანს. შეთანხმების თანახმად ცხოველები მე უნდა ჩამეყვანა დანიშნულების ადგილას, იტალიაში. ამისათვის კი ფეხით უნდა გადამევლო სენ-ჰოტარდი, რადგან მხოლოდ ათი წლის შემდეგ გაჭრეს გვირაბი ამ მთაში. თუ არ ვცდები, ასოცი ჯორი დამჭირდა ამ ძნელ გზაზე ცხოველების ტრანსპორტის გადასაყვანად. არც მოვსწრებივარ და არც მსმენია, რომ ჩვენს დროში ვინმეს უფრო დიდი ქარავანი ჰყოლოდეს ცხოველებისა. ამ მძიმე მოგზაურობის დროს კიდევ უფრო განმაცვიფრა ჰანიბალმა, რომელმაც ჩემამდე ორი ათასი წლის წინ დაახლოებით სწორედ ეს გზა განვლო თავის სპილოებთან ერთად.

ამ გარიგების გაფორმების დროს პირველად წავაწყდი ცხოველების წვრთნას, რამაც შემდგომში ესოდენ დიდი როლი შეასრულა ჩვენს წარმოებაში და რაც სრულიად ახალი გზით წარვმართე მე.

ჩვენს ქარავანში მწვრთნელთა რამდენიმე ჯგუფი იყო, რომელთაც სათავეში ედგა სპეციალურად ამ საქმისათვის მოწვეული რობერტ დაგეზელი.

ლომებს სამი თითი მოეჭამათ მისთვის. თითების ნარჩენებზე დიდი ძვირფასი ქვებით შემკული მსხვილი ოქროს ბეჭდები ეკეთა. ვერ გეტყვით, ძალიან უხდებოდა-თქო ასეთი სამკაული, მაგრამ საქმოსანი კაცის რეკლამას კი უკეთებდა მათ პატრონს. ბოლო ორი წლის განმავლობაში მთელი იტალია შემოევლო, იტალიის მეფე ვიქტორ-ემანუილს რომში პერსონალურად აღენიშნა მისი წარმატებანი. ეს ტურნე რომ დაამთავრა, სწორედ მაშინ მოვიდა იგი ჩვენთან და მე მას მთელი სამხეცე შევუგროვე. მამაცი კაცი იყო დაგეზელი, ათასგვარ ოინბაზობას იგონებდა მაყურებელთა გასართობად. ტანტალში ამოსდიოდა სული ამ ბერიკაცს, მაგრამ მის სულში თანამედროვე ქალაქის წვრილი ბურჟუის იდეალი

თვლემდა. რვა წლის შემდეგ დაგეზელმა მართლაც მიაღწია თავის ფარულ მიზანს. ძვირფასი სახლი შეიძინა ბერლინში და თბილად მოკალათდა მის ჭერქვეშ. საღამოობით მასთან თავს იყრიდნენ მისი თანამეინახენი, ნუნუას შეექცეოდნენ და პირდაფჩენილნი უსმენდნენ ტკბილმოუბარ მასპინძელს, რომელიც ლომების მოთვინიერების თავშესაქცევ ამბებს უამბობდა სტუმრებს. ნადირთა მეფის მიერ მოჭმული თითები, ვეფხვის მიერ თავზე დამჩნეული ოთხი ღრმა ნაკბილარი იმის თვალსაჩინო დადასტურება იყო, რომ ამ კაცს მართლაც ბევრი რამ გადახდენოდა თავს.

1866 წელს, ავსტრია-პრუსიის ომი რომ დაიწყო, მაინის ფრანკფურტში გავემგზავრე. ქალაქი ჯარით იყო სავსე, ხმაურობდა, ბორგავდა. ზოოლოგთა საზოგადოების მიერ გამოგზავნილმა წერილმა ჩამიყვანა იქ. მთხოვდნენ დავხმარებოდი ზოოპარკის ლიკვიდაციაში. კვლავ პირში ჩალაგამოვლებული დავტოვე ჩემი ძველი მოქიშპე, ლონდონელი ჯემრაჩი, რომელიც კელნამდე კი ჩამოვიდა, მაგრამ ფრანკფურტს ვეღარ მოაღწია, რადგან ამ ორ ქალაქს შორის პირდაპირი მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. კელნში მეც კინაღამ ჩავრჩი, მაგრამ მაინც მოვახერხე ამ ჩიხიდან თავის დაღწევა. სხვა გზა რომ არ მქონდა, მატარებლით კობლენცში ამოვყავი თავი, შემდეგ გემითაც მომიწია მოგზაურობა, ბოლოს კი ეკიპაჟით ჩავედი მშფოთვარე ფრანკფურტში. ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როდესაც აშაფენბურგთან გაიმართა ცნობილი ბრძოლა. ათასობით ჰანოველელი და ბავარიელი ჯარისკაცი მარშით გადიოდა ქალაქში, სამხედრო აღალები, ქვემეხები უჩვეულო ელფერს აძლევდნენ ფრანკფურტს. ნახევარ საათში მოვრჩი ჩემს საქმეს და კელნისაკენ მიმავალ გემზე მოვკალათდი. აბობოქრებული ფრანკფურტის შემდეგ უჩვეულოდ მეჩვენა რაინის მეფური სიმშვიდე, თანაც ღრმა კმაყოფილებას განვიცდიდი, ასე მარჯვედ რომ მოვაგვარე საქმეები. მოსაგონარი სხვაც ბევრი მაქვს, მაგრამ რატომღაც მუდამ განსაკუთრებული სიამოვნებით ვიხსენებ რაინზე პირველი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

რამდენიმე დღის შემდეგ მამაჩემის თანხლებით ვენაში

მომიხდა გამგზავრება, რადგან შეგვატყობინეს, აფრიკიდან მხეცები ჩამოიყვანესო. სხვა ცხოველებთან ერთად ტრანსპორტში შვიდი სპილოც იყო. სამხედრო მოქმედების გამო შორი გზის შემოვლა მოგვიხდა. ამიტომ ჯერ ფრანკფურტში ჩავედით, შემდეგ ლინცში და მხოლოდ ორმოცი საათის შემდეგ ჩავაღწიეთ დუნაის დედაქალაქში. ჩემს მკითხველს თავს არ შევაწყენ წვრილმანით, თუმცა კი საინტერესო ამბების თხრობით, რომლებიც ამჯერადაც გადაგვხვდა თავს მხეცების გადაზიდვის დროს. უკან რომ ვბრუნდებოდით, შევამჩნიე, რომ ჩვენს სპილოებს ჭვლები გასდგომოდათ. ნიურნბერგში ჩვენი ვაგონი მატარებლიდან მოვახსნევინე, რადგან ერთი სპილო ისე იყო დასუსტებული, რომ ფეხზე დგომა უჭირდა. სხვათაშორის, სულ უბრალოდ შეიძლება ამ სატკივარისაგან სპილოების განკურნება. ვინაიდან ჭვალი უმეტეს შემთხვევაში უმოძრაობის შედეგად უჩნდება სპილოს, ამიტომ ამ სენის სამკურნალოდ საჭიროა ცხოველის გასეირნება. აფრიკის შვიდივე მკვიდრი ვაგზლის ეზოში გამოვლალე სანავარდოდ. ორ საათსაც არ გაევლო, თვალნათლივ დავინახე, რომ სეირნობამ თავისი კეთილსასურველი შედეგი გამოიღო. როდესაც კვლავ ჩავსხედით ვაგონში, უცებ სადგურის უფროსი მოგვვარდა და შავი დღე დაგვაყენა. გულახდილად რომ გითხრათ, უმიზეზოდ როდი იყო ეს კაცი გაცხარებული, მართლაც და, სპილოებმა ისეთი კვალი დასტოვეს ეზოში, რომლის ასაკრეფადაც ცოცხი და სანაგვე ნიჩაბი იყო საჭირო. მეეზოვეებისათვის მისაცემად სადგურის უფროსს ფული ჩავუჯიბე და აყალმაყალიც შეწყდა. მაგრამ ამით არ დასრულებულა უსიამოვნო ამბები. თურმე წინ უარესი გველოდა.

მატარებლის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე ქალაქში გავედი, რამდენიმე ბოთლი რომი და შაქარი ვიყიდე და სპილოებს მაგარი გროგი მოვუხარშე, რომელიც ძალიან უხდება ჭვლებს. ამ წამალმა მართლაც შესანიშნავად იმოქმედა სპილოებზე, მშვენიერ გუნებაზე დადგნენ. ერთ ცხოველს, როგორც ჩანს, ცოტა მეტი მოუვიდა წამალი და უცებ ანცობა დაიწყო, მერე დაერია თავის ძმაკაცებს და ნამდვილი ხელჩართული გაუმართა. მოსათვინიერებლად გროგის დამატებითი ულუფა

მივეცით ჩხუბისთავს. ჩვენი გოლიათი კარგა გვარიანად გამოთვრა და თივაზე მიესვენა. ექვსი საათის განმავლობაში ძკვდარივით ეძინა. რომ გამოიღვიძა, სავსებით გამოფხიზლებული იყო.

ოთხი დღე-ღამის შემდეგ ჰამბურგს მივაღწიეთ. აქედან კი გემით გადავიყვანეთ ცხოველები ქალაქში. ნავსადგურში შესვლისას სანაპიროზე ჩემი მეგობარი რაისი დაგვხვდა. სპილოების გადმოტვირთვის დროს ერთმა აფრიკელმა გოლიათმა ისე ჩასცხო თავისი ხორთუმი, რომ რაისი ყირამალა გადაკოტრიალდა და უგონოდ დაენარცხა მიწას. ძლივს მოვიყვანეთ გონს ეს უდანაშაულოდ გალახული კაცი. საბედნიეროდ, არაფერი დაშავებია. მხოლოდ ესაა, რომ ნაბეგვი ადგილები დაულურჯდა. სპილო კი ფრიად კმაყოფილი იყო თავისი წარმატებით. ამ შვიდეულის ზოგიერთ ეგზემპლარს ოკეანის გადალახვა მოუხდა და ამერიკაში ამოჰყო თავი, სადაც 8500 დოლარად გაიყიდა. სხვათაშორის, ამაზე დიდი ფასი აქამდე არც ერთ მუშტარს არ უძლევია ახალგაზრდა სპილოში.

1867 წელს აფრიკიდან კვლავ ჩამომიყვანეს მხეცების ორი დიდი ტრანსპორტი. ცხოველები გამომიგზავნეს სუდანიდან, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ყველაზე ფართოდ აძარაგებდა ევროპას უცხო ცხოველებით. პირველი ტრანსპორტის შემადგენლობაში იყო ხუთი ჟირაფი და ერთიც სპილო. რომლებიც ეგვიპტიდან ჩამოეყვანა გერმანელ ვაჭარს ბერნარდ კონს, წარმოშობით ბავარიელს. სავაჭრო მოგზაურობების დროს ამ კაცისათვის უამბნიათ კაზანოვასა და ჰაგენბეკის შესახებ. და მასაც გადაუწყვეტია შეეგროვებინა და ჩამოეყვანა ევროპაში ცხოველები.

ტრიესტიდან დეპეშა სწორედ ამაზე გამომიგზავნა. უნდა ძოგახსეხოთ, რომ სწორედ იმ ხანებში შეკვეთილი მქონდა ჟირაფების შოვნა და ამიტომ კონის ცნობამ გამახარა. აყლაყუდებმა ძალიან გაგვაწვალეს, ძლივს მივიყვანეთ ნავსადგურიდან ვაგზლამდე. თვითეულ ჟირაფს ორ-ორი კაცი მივუჩინე, სპილო კი მე უნდა წამეყვანა. ცხოველები საჯინიბოში გვყავდა დამწყვდეული. გავაღეთ თუ არა კარი, გამოცვივდნენ ჟირაფები და ოთხამოღებით გაცვივდნენ ქუჩაში. სპილო

მაშინვე ბერნარდ კონს ჩავაბარე და ჩემი ხალხი ვიხმე საშველად. ძალიან კი გავწვალდით, მაგრამ როგორც იქნა, მოვახერხეთ ამ კანჭმაღალი ცხოველების შერეკვა ვაგონებში.

რაკი ერთხელ უკვე მივიღე გამოცდილება, ჰამბურგის ბერლინის ვაგზალში ჩამოსვლისას თვითეულ ჟირაფს ახლა სამ-სამი გამყოლი მივუჩინე და მათ მშვიდობიანად მიიყვანეს ცხოველები ბაგაში.

იმავე წელს მეორე ქარავანიც მივიღეთ, მაგრამ ვაი ამ მიღებას. ხიფათი და ფათერაკი ამჯერად ფეხდაფეხ გვდევდა. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, საითაც გავიქეცი, იქეთ წავიქეცეთ, სწორედ ასე იყო ჩვენი საქმე. ერთიერთმანეთზე წაეწყო ხიფათი და ფათერაკი.

მე და მამაჩემი ტრიესტის ნავსადგურში ვიყავით და ველოდებოდით გემს, რომელსაც ჩვენი მხეცები უნდა ჩამოეყვანა. დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია, მალე გამოჩნდა ხახატრი ხომალდიც, რომელიც რეიდზე დასადგომად მოემართებოდა. და უცებ გულს შემოგვეყარა: ხომალდზე საკარანტინო ალამი იყო აღმართული. ეგვიპტეში იმხანად თურშე ქოლერა ძძვინვარებდა და გემზე კაციშვილი არ აუშვეს. ახლა კიდევ მამაჩემი გახდა ავად — დიზენტერია დაემართა. ოთხ დღეში ისე დასუსტდა, რომ თვალებში სინათლე აღარ ედგა. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, სნეულმა რომ მიხმო და გამომშვიდობება დამიწყო, ხელში უბის წიგნაკი ეჭირა და ჰამბურგში მიტოვებული თავისი საქმეების შესახებ მელაპარაკებოდა. მარიგებდა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი შემდგომში. ბოლოს დასძინა, ალბათ ვეღარ ვეღირსები ჩემს ქვეყანაში დაბრუნებასო. დაშამათებული წავედი იმ დღეს საძუშაოდ. სასწრაფოდ უნდა მიგვეყვანა სადგურში და ვაგონებში ჩაგვესხა მხეცების მთელი ტრანსპორტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ოცდაათი სპილო, ორი ჟირაფი, ცამეტი ანტილოპა და ქურციკი, ხუთი ჯიქი, ცამეტი სირაქლემა, აგრეთვე უამრავი ყუთები და გალიები, რომლებშიც ავაზები, აფთრები, მაიმუნები და ფრინველები გვყავდა. ექიმის რჩევით, მამაჩემი ვენას გაემგზავრა. წვრილმანებით არ გადაგღლით. ასე იყო თუ ისე, ჩვენი სპეციალური მატარებელი გზას

გაუდგა. ფეხდაფეხ გამოგვყვა ფათერაკიც. ჯერ იყო და, გზაში ერთი ანტილოპა გადაგვიხტა ვაგონიდან და ხერხემალგადა-მტვრეული მივატოვეთ ლიანდაგზე. მერე სირაქლემამ ფეხი მოიტეხა და იძულებული გავხდით სიცოცხლე მოგვესწრაფებინა მისთვის. ერთმა სპილომ კი თავისი უმცროსი ძმობილი გაგვილახა.

მაგრამ ვენაში რომ ჩავედი და მამაჩემი ჯანსაღად დამიხვდა, ყოველგვარი დარდი მომეხსნა გულიდან.

თითქმის სამოცდაათიანი წლების დასაწყისამდე უმთავრესად მხოლოდ მხეცებით ვაჭრობას მიკსდევდით. ეს კია, ჩვენი წამოწყება თანდათან ფართოვდებოდა და იზრდებოდა. ამ პერიოდის დასკვნითი აკორდი იყო ჩვენი ოჯახის გადასვლა ახალ სახლში. შპილბუდენპლატცზე მდებარე ჩვენს ძველ ბინაში საკმაოდ ვიწროდ ვიყავით. ბევრი ძებნის შემდეგ 1879 წლის გაზაფხულზე ბედმა გაგვიღიმა და ჰამბურგში ნოიენ-პფერდმარკტზე მივაკვლიეთ შესაფერის საცხოვრებელ სახლს, რომელსაც გვერდით 70 ათასი კვადრატული ფუტი ფართობის ბაღი ჰქონდა. სახლი და მიწის ეს ნაკვეთი შევიძინე და მაშინვე შევუდექი მის მოწყობას. მოკლე დროში ავაშენეთ სპილოებისათვის თავშესაფარი, მხეცების პავილიონი, სპეციალური ფარდული ცხოველების წვრთნისათვის, აგრეთვე საფურაქე საწყობები. აპრილის შუა რიცხვებში ახალ სახლში გადავბარგდით.

III

არქტიკიდან ცეცხლოვან მიწამდე მცხოვრები ეროვნებების გამოფენა

ერთ დღეს, 1886 წლის შემოდგომაზე, პარიზის Jardin d'Acclimatation-ის საზეიმო დარბაზში თავი მოიყარა ბრწყინვალე საზოგადოებამ. შეკრებილთა შორის იყვნენ მეცნიერების, ხელოვნებისა და პრესის წარმომადგენლები. საზეიმო ვითარებაში აღნიშნავდნენ გამოფენის დახურვას. ჰაგენბეკის ალმით პარიზში ორთვენახევრის განმავლობაში გახსნილი იყო სინგალეზების გამოფენა და აი სწორედ მისი დახურვა ხდებოდა ახლა. საფრანგეთის დედაქალაქში ნამდვილი სენსაცია გამოიწვია ამ გამოფენამ. პარკს ხომ უდიდესი შემოსავალი მისცა, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ხალხი ფრიად ნასიამოვნები დარჩა ამ ამაღელვებელი და გონებისათვის ფრიად სასარგებლო სანახაობით. კვირადღეობით გამოფენას ნახევარ მილიონზე მეტი მაყურებელი ათვალიერებდა. გამოფენის დახურვის სათანადო ცერემონიალის შემდეგ დიდი ბანკეტი გაიმართა. ბევრი ამაღელვებელი სიტყვა წარმოითქვა. მაგრამ უფრო საყურადღებო იყო „ფიგაროს" მთავარი რედაქტორის გამოსვლა. თავისი სიტყვა მან დააბოლოვა პარკის დირექტორის ჟოფრუა სენტ-ილერის დღეგრძელობით. საპასუხო სიტყვას რომ წარმოსთქვამდა, სენტ-ილერმა, კაცმა ფრიად განსწავლულმა და ამავე დროს უაღრესად თავმდაბალმა, აღნიშნა, რომ ქება ეკუთვნის არა მარტო მას, არამედ აგრეთვე მხეცებით მოვაჭრე კარლ ჰაგენბეკს, რომელმაც

პირველმა შესძლო ამ ანთროპოლოგიურ-ზოოლოგიური გამოფენის მოწყობა ფართო საზოგადოების გასაცნობადო.

ეს არ იყო ზრდილობისათვის ნათქვამი უსაგნო ფრაზა. ჭეშმარიტად, მე მხვდა წილად ბედნიერება ცივილიზებული სამყაროსათვის პირველად მეჩვენებინა ასეთი სახის გამოფენა. და თუ 1876 წლიდან მოყოლებული დღემდე ფართოდ იზიდავს ხალხს ანთროპოლოგიური გამოფენები, ეოფრუა სენტ-ილერის პარკში დაედო სწორედ დასაწყისი ასეთი შემეცნებითი ღირებულების მქონე სანახაობას. ვერ დავიტრაბახებ, თითქოს ერთბაშად დამბადებოდეს ასეთი გამოფენის მოწყობის აზრი. პირველი ბიძგი მომცა ერთმა წერილმა, რომელიც 1874 წელს გავუგზავნე ჩემს მეგობარ მხატვარს ჰენრიხ ლეიტემანს. აქ ბარათით ვატყობინებდი, რომ გადაწყვეტილი მქონდა ირმების ჯოგის ჩამოყვანა ევროპაში. ლეიტემანმა მიპასუხა, ხალხს ძალიან დააინტერესებს, თუ ირმებთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილი იქნებიან აგრეთვე ლაპლანდიელები, რომლებმაც, რაღა თქმა უნდა, თან უნდა ჩამოიტანონ თავიანთი საჭურველი, კარვები, მარხილები, და საერთოდ მთელი საოჯახო მოწყობილობაო. მას, რასაკვირველია, მხედველობაში ჰქონდა ჩრდილოეთის ცხოვრების მხატვრული სურათი — ზამთრის პეიზაჟის ფონზე ადამიანებისა და ცხოველების ერთობლიობა. ეს წინადადება, კაცმა რომ თქვას, თავისთავად უკვე შეიცავდა გონივრულ აზრს ეროვნებათა გამოფენების მოწყობაზე. და მართლაც ასე მოხდა შემდგომში. ლაპლანდიელებს ნუბიელები მოჰყვნენ, ესკიმოსებს — სომალიელები, ყალმუხებს — ინდიელები, სინგალეზებს — ჰოტენტოტები. ჩვენი პლანეტის სხვადასხვა შორეული კუთხეების მცხოვრებნი, თვით ანტიპოდების ჩათვლით, ერთმანეთს ხელს უწვდიდნენ ევროპის დედაქალაქებში მოგზაურობისას.

პირველობა ლაპლანდიელებს ერგოთ. ერთ-ერთმა ჩემმა აგენტმა ჰამბურგში მოიპატიჟა ლაპლანდიური ოჯახი. 1874 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ჰამბურგს მართლაც ესტუმრა ლაპლანდიელთა პატარა ჯგუფი ოცდაათი ირმის თანხლებით. ექსპედიციას მეთაურობდა გერმანულის მცოდნე ნორვეგიელი. ჩემი მეგობარი მხატვარი ავიყოლიე და გემის შესახ-

ვედრად გავეშურე. ზღვაშივე შევხვდით ხომალდს და გემბანზე ავედით. თვალი გადავავლე თუ არა ჩვენს ჩრდილოელ სტუმრებს, მაშინვე მივხვდი, რომ ამ წამოწყებას კარგი პირი უჩანდა. გემბანზე დასეირნობდნენ ლაპლანდიელები, ტანდაბალი, ლოყებჩაყვითლებული, ბეწვეულში გამოწყობილი მამაკაცები.

მეძუძურ დედას ნაზად ჩაეკრა გულში ჩვილი ბავშვი და საამო შესახედაობის ოთხი წლის გოგონა. ექსპედიცია მშვიდობიანად ჩამოვიყვანეთ გემიდან, დანარჩენი გზაც უხიფათოდ განვვლეთ, თუ თითო-ოროლა წვრილმან შემთხვევებს არ ჩავთვლით. მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უმნიშვნელო ფათერაკმა სარგებლობაც კი მოგვიტანა, რადგან შესანიშნავი რეკლამა გაუკეთა ჩვენს წამოწყებას. ქუჩაში რომ გამოვიყვანეთ ირმები, რატომღაც გაჭირვეულდნენ, დამტორის მახლობლად ორმა მათგანმა თავი აიწყვიტა, ღობეს გადაახტა და ოთხამოღებით მოუსვეს სასაფლაოსაკენ; ბოლოს კი ზოოლოგიურ ბაღში ამოჰყვეს თავი. აქ ადვილად დაიჭირეს ისინი და ჩვენს მოსვლამდე დარაჯობდნენ. ამ ინციდენტმა, აგრეთვე ლაპლანდიური ოჯახის უჩვეულო შესახედაობამ ათასობით ცნობისმოყვარე მოიზიდა.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. ეროვნებათა პირველ გამოფენას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. და შესაძლოა სწორედ იმიტომ, რომ არავითარი სიყალბე არ იგრძნობოდა, ყველაფერს უშუალობის, ცხოვრებისეული სინამდვილის დაღი ესვა. არავითარი სანახაობა არ მოგვიწყვია. ქარავანს ჩვენი სახლის უკან მდებარე თავისუფალი ნაკვეთი მივუჩინეთ ნოიეს-პფერდმარკტზე. ასე რომ, ლაპლანდიელები მართლაც სრულიად თავისუფლად გრძნობდნენ თავს. ლაპლანდიელები, ანუ როგორც ისინი უწოდებენ თავიანთ თავს, „საამები“, მოგეხსენებათ, რომ ცხოვრობენ რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ფინეთსა და შვეციაში, ეგრეთწოდებულ ლაპლანდიაში, რომლის მთავარი ქალაქია როვანიემი.

ლაპლანდიელები ისე თავისუფლად გრძნობდნენ თავს, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყვნენ. გაოცებული ჰაჰბურგელების თვალწინ ლატანებისა და მოთრიმლული ტყავი-

საგან აწყობდნენ და შლიდნენ თავიანთ კარვებს. მამაკაცები მაღალყელიან წაღებს კერავდნენ ირმის ტყავისა და თევზის ძარღვებისაგან. ბეწვის გრძელ ქურქებში და ბეწვისავე წვეტიან ქუდებში გამოწყობილი კაცები ქამანდს რომ ესროდნენ ფეხმარდ ირმებს, განსაკუთრებით მოსწონდა ამის ყურება ხალხს. ფურირმების წველაც უამრავ მაყურებელს იზიდავდა. ჰამბურგელები გარს ეხვეოდნენ აგრეთვე ჩია ტანის ლაპლანდიელ ქალს, რომელიც ყოველგვარი მორიდების გარეშე, უბოდიშოდ აწოვებდა ძუძუს თავის ჩვილ ბავშვს. ჩვენი სტუმრები ვეშმარიტად ლაღი ბუნების შვილები იყვნენ. მათ ჯერ არაფერი გაეგებოდათ ნატიფი ევროპული ცივილიზაციისა და ძალიან უკვირდათ ჩვენი ხალხი ესოდენ დიდ დაინტერესებას რომ იჩენდა მათი უბრალო, სადა ყოფა-ცხოვრებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ციოდა, ლეიტემანი ყოველდღე მოდიოდა გამოფენაზე თავისი მოლბერტით, რათა მაშინდელი პოპულარული ჟურნალის „Münchener Bilderbogen"-ისათვის დაეხატა ლაპლანდიელები.

გამოფენას პირველსავე დღეს უჩვეულო წარმატება ხვდა წილად. იმდენი ხალხი მოგვაწყდა, გვეგონა, საცაა წაგვლეკავენ-თქო. მაყურებლებს სადარბაზო ჭიშკრიდან ვუშვებდით. პოლიციელთა მთელი რაზმი გვეხმარებოდა. რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ჰამბურგელებმა გული იჯერეს ლაპლანდიელების მზერით, ბერლინში წავიყვანე ისინი და ერთი ლუდსახდელი ქარხნის ბაღში მოვაწყვე საგამოფენო ექსპოზიცია. ბერლინიდან ლაიპციგში გავემგზავრეთ; გამოფენის დახურვის შემდეგ ლაპლანდიელთა კარვები, მარხილები და საოჯახო ნივთები ლაიპციგის ეთნოგრაფიულ მუზეუმს ვაჩუქე, ხოლო გამოფენის ბოლო დღეების შემოსავალი ქალაქს გადავეცი საქველმოქმედო მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

ანთროპოლოგიურ-ზოოლოგიური გამოფენის მოწყობის ამ პირველმა ცდამ ბევრი რამ მასწავლა. საძირკველი ჩაყრილი იყო. დავრწმუნდი, რომ ასეთ გამოფენებს, რომლებსაც ფართო შემეცნებითი ღირებულება აქვს, დიდი გამოხმაურება ექნებოდა ხალხში.

ჩემს გუნებაში ვჩქარობდი, თუ შემდეგი გამოფენისათვის რომელი ერის წარმომადგენლები შემერჩია, და ისე მოხდა, რომ ჩრდილოეთის წრის შემდეგ მზიურ სამხრეთზე შევაჩერე არჩევანი. ნუბიაში ჩემს იმდროინდელ წარმომადგენელს, გვარად კონს, დავავალე ადგილობრივი მცხოვრებლების ერთი ჯგუფის მოპატიჟება ევროპაში. რა თქმა უნდა, მათ თან უნდა ჩამოეყვანათ დრომადერები და ჩამოეტანათ საოჯახო ნივთები, და სამონადირეო აღჭურვილობანი. გადაწყვეტილი მქონდა, ამჯერად ეგვიპტის სუდანის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრება წარმომედგინა გამოფენაზე.

ივნისი იყო, როცა ტრიესტის გავლით ჰამბურგში ნუბიელები ჩამოვიდნენ. მათ მოჰყვათ უამრავი შინაური ცხოველები და უაღრესად მდიდრული ეთნოგრაფიული კოლექცია. უჩვეულოდ მაღალი ტანის ჰამრანელმა მონადირეებმა, შესანიშნავი საჭურვლით აღკაზმულებმა, უზარმაზარი შავი დრომადერი ჩამოიყვანეს. ერთმა მათგანმა, ექვსი ფუტი სიმაღლის ჭაბუკმა გოლიათმა ნუბიელმა მრავალი ევროპელი ქალის გული მოინადირა. სუდანელებს შორის იყო აგრეთვე ხადიჯე, ევროპაში ჩამოსული პირველი ნუბიელი ქალი. სადაც კი მიმყავდა ჩვენი სტუმრები, ყველგან უჩვეულო ინტერესს იწვევდნენ ისინი ხალხში. ბრესლავლში, მაგალითად, ერთი ორიგინალური აზრი დამებადა, რომელიც მაშინვე განვახორციელე. ფრინველის ფრთებითა და ათასგვარი სხვა მორთულობებით მოკაზმული და საჭურველასხმული ნუბიელები ძვირფას ეტლებში ჩავსვი და ქალაქში გავასეირნე. წინა ეტლში ვისხედით ზოოლოგიური ბაღის დირექტორი დოქტორი შლეგელი, მე და ნუბიის ტურფა ასული ხადიჯე. დანარჩენ ეტლებში მეეტლეთა გვერდით თითო სუდანელი მეომარი იჯდა და ხელში შუბი ჰქონდა მომარჯვებული. ამ საზეიმო მსვლელობაში ათი ეტლი ღებულობდა მონაწილეობას. გზად შევჩერდით ქალაქის ყველაზე საუკეთესო კაფეში, რომელსაც მაშინვე უამრავი ხალხი მოაწყდა. გასეირნებას ფუჭად არ ჩაუვლია — გამოფენა გახსნის პირველსავე დღეს ოცდაათიათასმა კაცმა დაათვალიერა.

ჰამბურგში კი ტროპიკული მზის შვილები თეთრებში გამო-

ვაწყვე და რენცის ცირკში * წავიყვანე. უსაზღვრო აღტაცებით უყურებდნენ ჩემი ნუბიელები დიდებულ საცირკო წარმოდგენას. თავის მხრივ ისინიც შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდნენ თეთრკანიანი მაყურებლებისათვის. შემდგომში, მეოთხედ თუ მეხუთედ რომ ვაწყობდი აფრიკულ გამოფენას, ცირკის დირექტორმა ერნსტ რენცმა ჩვენი ნუბიელები მიიწვია „სავის დედოფლის დღესასწაულის“ დიდებულ პანტომიმაში მონაწილეობის მისაღებად. ამ სანახაობის მოსაწყობად რენცმა ჟირაფებიც მთხოვა. ძვირფას ორთვალებში შებმულმა ჟირაფებმა, მახსოვს, ისეთი გაწვრთნილობა აჩვენეს მაშინ, რომ უკეთესი დღემდე არ მინახავს.

1877 წელს ნუბიელთა გამოფენა მიწვეულ იქნა პარიზში, Iardin d'Acclimatation-ში, და ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ ყველაფერი დაჩრდილა. პარიზის შემდეგ ჩემი დასით ლონდონს ვეწვიე და ახლად გახსნილ ალექსანდრ-პალასში მოვაწყვე ეთნოფენა. აქაც ზღაპრული წარმატება მხვდა წილად. თვით ლორდ-მერიც კი გვეწვია.

გზა გაიკვალა. გაიფანტა უნდობლობა, პირველ ხანებში რომ არსებობდა. ახლა ზოოლოგიური ბაღებიც გვეპატიჟებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებ ეროვნებათა გამოფენების მოსაწყობად. მილიონობით ევროპელები ყოველგვარი წვალების გარეშე პირველად ეცნობოდნენ სხვადასხვა ხალხების ყოფაცხოვრებას, მეცნიერებმა კი ძვირფასი ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული ცნობები შეიძინეს ამ გზით. რახან აფრიკულ გამოფენას ესოდენ დიდი წარმატება ხვდა წილად, ამან საღერღელი ამიშალა. გადავწყვიტე, ეკვატორიდან უკიდურესი ჩრდილოეთისაკენ ამეღო გეზი და ევროპელთათვის მაშინ სრულიად უცნობი ესკიმოსები ჩამომეყვანა, რომელთა შესახებაც, მართალი რომ გითხრათ, მე თვითონ იმ ხანებში მოწყობილი პოლარული ექსპედიციის შემდეგ შევიტყვე ზოგიერთი რამ.

---

* ჰაგენბეკი თავის მემუარებში ხშირად ახსენებს რენცის ცირკს. ერთ ღროს ამ ცირკს მართლაც მთელ მსოფლიოში ჰქონდა სახელი განთქმული და გერმანიის ცირკებს შორის პირველ ადგილზე ითვლებოდა. ფილმიც კი იყო ასეთი „რენცის ცირკი“.

ამ უჩვეულო გეგმის განხორციელებაში ჩემდა ბედად დაშეხმარა ერთი ახალგაზრდა ნორვეგიელი, რომელიც ლოფოტის კუნძულ როზოს მკვიდრი გახლდათ. ეს კუნძული მდებარეობს პოლარული წრის ჩრდილოეთით, 250 კილომეტრზე; ერთ მშვენიერ დღეს, ეს იყო 1877 წელს, დილის ათ საათზე მოულოდნელად მეწვია ეს კაცი, რომელსაც ის-ის იყო დაემთავრებინა მოგზაურობა სამხრეთ ამერიკის გარშემო, და ჯიქურ მითხრა: „ბატონო ჰაგენბეკ, მე მოგიყვანთ ესკიმოსებსო“. თანაც ისეთი კილოთი იყო ეს ნათქვამი, თითქოსდა ყველაზე ადვილი საქმე ყოფილიყოს. მართალი გითხრათ, გულიანად გამეცინა. სულ ოცდაოთხი წლისა თუ იქნებოდა ეს ახლად წვერდაყენებული მეზღვაური, მაგრამ მის ცისფერ თვალებში ისეთი უჩვეულო გამომეტყველება ამოვიკითხე, რომ მაშინვე ნდობით განვიმსჭვალე მის მიმართ. ამიტომ ჩემდაუნებურად წამოვიძახე: „თქვენ სწორედ ისა ხართ, ვინც ასე ძალიან მჭირდებითმეთქი!“ ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ალტონის ვაგზალზე ვიყავი ადრიან იაკობსენის გასაცილებლად. კოპენჰაგენისაკენ მიმავალი მატარებელი დაიძრა და ჩემი ცხოვრების ჰორიზონტზე ასე მოულოდნელად გამოჩენილმა პოლარელმა მოგზაურმა ვაგონიდან ხელი დამიქნია გამოთხოვების ნიშნად.

როდესაც ვცდილობ წარმოვიდგინო ათასმილიანი გზა, რომელიც განვლო ამ დაუდეგარმა ახალგაზრდა შტურმანმა, ვრწმუნდები, რომ ჩემი ეს მოწადინება ფუჭია. მკაფიოდ შემიძლია წარმოვიდგინო მისი მხოლოდ ბოლო რამდენიმე ნაბიჯი სან-პაულიდან ნოიენ-პფერდმარკტამდე.

ვალპარაისოდან უკან მობრუნებისას საბაგირო გზის ვაგზალზე იაკობსენი შეხვდა თავის ძმას, რომელმაც უამბო: ტრომსის სანავიგაციო სკოლაში ჩვენთან ერთად სერენ იოჰანსენი რომ სწავლობდა, ჰაგენბეკისათვის რამდენიმე თეთრი დათვი დაიჭირა, მაგრამ ვერ გაბედა არქტიკაში ისე ღრმად შესვლა, რომ ესკიმოსებიც ჩამოეყვანაო. „რახან ეგრეა, ესკიმოსების ჩამოყვანა ჩემზე იყოსო“, — წამოიძახა თურმე ადრიანმა, და ექვსი თვის შემდეგ მართლაც შეასრულა თავისი დაპირება.

სიძნელეებს ადრიანი კოპენჰაგენშივე წააწყდა, რადგან გრენლანდიისაკენ მიმავალი გზა დანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე დაკეტილი იყო. სამინისტროს ძოხელეები კი უარზე იყვნენ, „ადამიანებით ვაჭრობაში“ მონაწილეობას არ მივიღებთო. მაგრამ, როდესაც ცნობილმა პიროვნებებმა, მათ შორის ბერლინელმა პროფესორმა, რუდოლფ ვირხოვმა, იპის თავდებობა იკისრეს, რომ ესკიმოსებს არაფერი დაუშავდებოდათ, დანიელი ხელისუფალნი დაყაბულდნენ და იაკობსენი ბრიგ „ვალფისკენით“ გაემგზავრა გრენლანდიაში. იაკობსჰავნის მახლობლად მან რამდენიმე ესკიმოსი დაიყოლია და გემბანზე აიყვანა ისინი. ექსპედიციაში მამაკაცებთან ერთად ქალებიცა და ბავშვებიც იყვნენ. ადრიანმა თან წამოიღო უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიული კოლექცია: შესაბმელი ძაღლები, საოჯახო ნივთები, კარვები, ორი სამონადირო ნავი — ასე ხშირად რომ აღწერენ ხოლმე ლიტერატურაში, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი კაიაკს ეძახიან, აგრეთვე „უმიაკი“ — დიდი საქალებო ნავი. ამასთან ერთად დიდი რაოდენობით წამოიღო სხვადასხვა ტანსაცმელი, თოვლსაკვეთები, სელაპის დასაჭერი მახეები და პრიმიტიული იარაღი. როდესაც ბრიგმა ღუზა აუშვა, ესკიმოსთა მთელი კოლონია ჩრდილოეთის ციალის შუქზე გარს შემოერტყა წამსვლელებს და სწრაფმავალი კაიაკებით გააცილა დისკოს ყურედან გამავალი „ვალფისკენი“. ცრემლიც ბევრი დაღვარა ამ გამოთხოვების ჟამს.

გემის კაიუტები ზღაპრულ სრა-სასახლედ მოეჩვენათ ესკიმოსებს, კოპენჰაგენის ხილვით მიღებულ შთაბეჭდილებებს ხომ ნუღა იკითხავთ. „ეს თქვენი დიდი ძაღლები იკბინებიან? ანდა რად გინდათ, ამოდენა სახლები რომ დაგიდგამთ მარხილებზე?“, — გვეკითხებოდნენ ესკიმოსები და გაოცებით შესცქეროდნენ ჩვეულებრივ სამგზავრო ორთვალებს. სასტუმროში გაზის განათება რომ ნახეს, გაოცებისაგან პირი დააღეს. ეშმაკის ნამოქმედარიაო, გაიფიქრეს, ან კი როგორ წარმოიდგენდნენ სანათურს პატრუქისა და თევზის ქონის გარეშე. რკინიგზამ ხომ მთლად გადარია. როგორ ახერხებენ ძაღლები ამოდენა საზიდრის თრევასო. როდესაც გზად გვირაბი გავია-

რეთ, ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. „დავიღუპეთ, კლდეს ვეჯახებითო“ — ყვიროდნენ შეშინებულები.

მართალი გითხრათ, ყოველთვის განსაკუთრებულ სიამოვნებას განვიცდიდი, როცა ვუყურებდი, თუ როგორ ეცნობოდნენ პირველად ევროპის ცივილიზაციას დედამიწის სხვადასხვა კუთხის ბუნების გულუბრყვილო შვილები. ბევრზე ბევრი საინტერესო და თავშესაქცევი ამბავი შემეძლო მომეთხრო, მაგრამ ვშიშობ, მოგონებების ჩარჩოს არ გავცილდე. უკანასკნელი ცნობები ამ გრენლანდიელი ესკიმოსების შესახებ მოგვაწოდა რუალ ამუნდსენმა, რომელმაც სამი წელიწადი იცხოვრა მათ შორის. თუმცა ქრისტიანობა კი მიიღეს ესკიმოსებმა, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს წარმართული ადათები და წესჩვეულებანი. მათი ცხოვრების საფუძველს ნადირობა წარმოადგენს. ჩვენი უკუბაკი განთქმული იყო როგორც შესანიშნავი მონადირე სელაპებზე. თავის კაიაკში — ტყავის ვიწრო ნავში — ისე გრძნობდა თავს, თითქოს სახლში ყოფილიყოს და არა წყალში. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როდესაც ავდარი წამოეწევა ზღვაში ასეთ ნავს. ნაფოტივით აათამაშებს ზვირთები, ზოგჯერ გადააბრუნებს კიდეც. ამიტომ ნავი ისეა მოწყობილი, რომ მასში მჯდომი მონადირის კორპუსი საიმედოდ იყოს დამაგრებული. როცა ნავი გადაბრუნდება, მონადირე თავისი ღონისა და სიმარჯვის წყალობით, თანაც ორმაგი ნიჩბის მოშველიებით თავის პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება. უკუბაკისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ასეთი მანევრი. ბზრიალასავით შეეძლო წაღმა-უკუღმა ეტრიალა თავის კაიაკთან ერთად.

უკუბაკი საშუალო სიმაღლის კაცი იყო, დაახლოებით ოცდაათი წლისა. მისი ცოლი, ლამაზი ბეწვეულის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი „კაბლუნის“ — ე. ი. თეთრკანიანის შეხედულებითაც კი საკმაოდ ლამაზი იყო. მკითხველს შეუძლია ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოძებნოს სტატია „ესკიმოსი“ და იქ საკუთარი თვალით იხილოს უკუბაკის მეუღლე თავის ჩვილთან ერთად. სამშობლოში მას ესკიმოს ეძახდნენ. ორი მშვენიერი ბავშვი ახლდა თან. სხვა ესკიმოსების მსგავსად ბეწვის გრძელი შარვალი ეცვა ტიტველ ტანზე,

ფეხზე კი — კოპწია წაღები, ეგრეთწოდებული ყამიკები. ოჯახის სხვა ორი წევრი ყმაწვილი კაცები იყვნენ, რომელთაც ბელტებისაგან ძაშინვე აიშენეს ეზოში მიწური „ბინა“. სწორედ ისეთი, როგორიც აქვთ ესკიმოსებს თავიანთ სამშობლოში. ჯგუფის თანმხლებ ქალბატონ იაკობსენის მზრუნველობით მშვენივრად გრძნობდნენ თავს ახალ გარემოში, და ძნელი სათქმელია, ვინ უფრო მეტად იყოს საერთოდ ნასიამოვნები — ჩვენი ჰამბურგელი მაყურებლები თუ ჩრდილოეთ პოლუსიდან ჩამოყვანილი სტუმრები.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენთან ჩამოვიდა ღრმადპატივცემული ჟოფრუა სენტ-ილერი და პარიზში მიიწვია ესკიმოსები. ამ ქალაქში კიდევ უფრო დიდი ფურორი მოახდინეს მათ. მეცნიერებმა ჩაატარეს ესკიმოსთა სხეულის გულმოდგინე გაზომვები, ფილოლოგებმა ედისონის ახალი გამოგონება გამოიყენეს და უკუბაკის ხმა ჩაიწერეს მისი თანხმობით ფონოგრაფზე. უამრავი სურათი გადაუღეს, მხატვრებმაც მრავალი ჩანახატი გააკეთეს ნატურიდან. ისიც კი მოიწადინეს, რომ თაბაშირის ნიღაბი აეღოთ უკუბაკის სახიდან, მაგრამ მან ფეხებში მიაყარა მოქანდაკეს შეთავაზებული ფული და ნამდვილი ჩრდილოური, ესკიმოსური განრისხება აჩვენა ხალხს. ქალბატონი უკუბაკი კი უფრო თვინიერად მოიქცა; მისი ქალური ბუნება მოიხიბლა პარიზის ბულვარების გამაბრუებელი ბრწყინვალებით და დასთანხმდა აეღოთ ნიღაბი მისი პაჭუა ცხვირიდან. ეს კია, რომ მერე რის ვაი-ვაგლახით გაახდევინეს ქაკეტი, რომელიც ეცვა პოზირების დროს.

ამის შემდეგ ფართოდ გაეღო კარი ჩემს გამოფენას გერმანიის ზოოლოგიურ ბაღებში. ცდუნებას ვერ გაუძლო აგრეთვე ბერლინის ზოოლოგიური ბაღის დირექტორმა ბოდინუსმა. 1878 წლის მარტში ექსპედიცია პარიზიდან ბერლინში გაემგზავრა, სადაც ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ბერლინიდან დრეზდენს გავემგზავრეთ, შემდეგ ისევ ბერლინში დავბრუნდით და ბოლოს კვლავ ჰამბურგს ვეწვიეთ, სადაც ესკიმოსები რამდენიმე დღით ზოოლოგიურ ბაღში დავაბინავეთ. სწორედ აღდგომის დღესასწაული იყო, გამო-

ფენაზე შესასვლელი ბილეთის ფასი ძალიან იაფი, ოთხი შილინგი დავაწესეთ. უამრავი ხალხიც მოგვაწყდა. რეგისტრირებულ იქნა 44 ათასზე მეტი ჰამბურგელი, რომელთაც კიდევ ერთხელ მოიწადინეს ესკიმოსების ნახვა სამშობლოში მათი გამგზავრების წინ. ჩვენი ჩრდილოელი სტუმრები ღარიბ-ღატაკნი ჩამოვიდნენ ევროპაში და გამდიდრებულები დაბრუნდნენ უკან. გარდა 8000 კრონისა (რაც მათი მდგომარეობისდა კვალობაზე დიდი ქონება იყო), ორი ოთხთვალა გაავსეს საჩუქრებით. როგორც შემდეგ შევიტყე ჩრდილოეთის ზღვების ზონაში მყოფი ჩემი აგენტებისავან, გრენლანდიელ ესკიმოსებს აუწერელი სიხარული განუცდიათ ევროპიდან თავიანთი თანამოძმეების დაბრუნებისას. უკუბაკმა თურმე დისკოს ყურეს მთელი მოსახლეობა მოიპატიჟა დაბრუნების აღსანიშნავ ლხინზე. 3000 სტუმარი ერთსულოვნად დაეხმარა მას შენაძენი ქონების გაფლანგვაში. და როდესაც ყინულოვან ქოხებში აღარც შესაჭმელი დარჩათ რამე და აღარც დასალევი, სელაპებზე მონადირეები კვლავ გაეშურნენ სარჩოს მოსაპოვებლად...

წარმატებებმა ფრთები შემასხა, ახალი გეგმები შევიმუშავე. კაპიტან ადრიან იაკობსენს საკუთრად ჩავაბარე არქტიკაში მხეცებზე სანადიროდ აღკაზმული საექსპედიციო გემი და ორანძიან ხომალდ „აისბარით“ ახალ ექსპედიციაში გავამგზავრე. დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან მან ევროპაში ჩამოიყვანა ევროპელთათვის მანამდე უცნობი ხალხების წარმოშადგენლები და ამან ფართოდ გაუთქვა სახელი. 1879 წელს იაკობსენმა ამერიკის სამხრეთ სანაპიროდან ჩამოიყვანა ცეცხლოვანი მიწის მკვიდრნი, ხოლო 1880 წელს ლაბრადორელი ესკიმოსები. 1885 წელს მისი მოწადინების მეოხებით ევროპელებმა გერმანიაში გასტროლებზე მყოფი ბუფალო-ბილას დასის შემდეგ პირველად იხილეს თავიანთ მიწა-წყალზე ინდიელები,—ჯერ ბელა-კულას, შემდეგ კი სიუს ტომი. უპირატესად ჩრდილოეთის ზღვებში, აგრეთვე სამხრეთ წყლებში მრავალრიცხოვანი მოგზაურობების შემდეგ იაკობსენმა ჩამოიტანა უაღრესად ძვირფასი ეთნოგრაფიული ღირებულების მქონე ათასობით საყოფაცხოვრებო და საოჯახო ნივთები, რომელთა

ნაწილი გამოფენის დახურვის შემდეგ გადაეცა ჩემს ცოლის-ძმას ჰენრიხ უმლაუფს, ვაჭრობის მუზეუმის მფლობელს. ისიც კმარა სათქმელად, რომ ბერლინის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა შეიძინა 14 230 სხვადასხვა ნივთი, იაკობსენი კი ექსპედიციების დამთავრების შემდეგ პროფესორ ვირხოვისა და პროფესორ ბასტიანეს წარდგინებით დაინიშნა ამ კოლექციების მცველად. რა არ გადახდა თავს მოგზაურობათა დროს ამ მამაც კაპიტანს. გემის დაღუპვაც განიცადა, შიმშილიც, წყურვილიც, ვინ იცის, რამდენჯერ ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. ექსპედიციებს იგი აწყობდა ნაწილობრივ თავის ხარჯზე, ნაწილობრივ მუზეუმების დახმარებით. ამ მოგზაურობათა შთაბეჭდილებანი, თავისი თავგადასავალი შესანიშნავად აღწერა თავის ცნობილ წიგნში „თეთრი საზღვრები“.

1883 წელს ალიასკაზე ვიყავი და მდინარე იუკონის ნაპირას მოსახლე ინდიელებთან წავაწყდი ჩემს მოგზაურს. იაკობსენი გამოცდილი მეზღვაური იყო. შესანიშნავად იცნობდა ჩრდილოეთის მკვიდრთ, იცოდა მათი ენა. ყოველივე ამის მეოხებით დიდ წარმატებებს მიაღწია, საყოველთაო პატივისცემა და აღიარება დაიმსახურა. მას დიდად აფასებდნენ არა მარტო მთავრობის მაღალი წრეების წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე მეცნიერები და მკვლევარნი. იაკობსენთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგალითად, სახელოვან მოგზაურებს ამუნდსენსა და ნანსენს.

პირველ ხანებში ჩემი საქმიანობა თავშესაქცევ, სამხიარულო გასართობად მიმაჩნდა, შემდეგ კი მივხვდი, თუ რაოდენი სიხარულისა და ბედნიერების მონიჭება შესძლებია მას. მხეცებით ვაჭრობამ, რომელიც საერთოდ სარფიანი საქმე არ იყო, იმ წელიწადს დიდი ზარალი მოგვაყენა, სხვადასხვა ხალხების წარმომადგენელთა გამოფენების შემოსავლით ძლივს გადავფარეთ წაგება. განსაკუთრებით კეიმატიანი აღმოჩნდა ჩემთვის 1879 წელი, როდესაც, მიუხედავად ყოველგვარი მოწადინებისა, თითქმის ერთბაშად დავკარგე ყველაფერი, რაც მრავალი წლის მანძილზე მქონდა მოპოვებული დაუღალავი შრომით. მაგრამ შემდეგ წელს კვლავ ჩემსკენ შემოტრიალდა ბედის ჩარხი. ჩემს ამერიკელ მუშტრებს დავა მოუვი-

დათ ინდოეთის სპილოების ყიდვის თაობაზე. ცირკის მეპატრონეები ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ, ესაა და ვინ მეტ სპილოს უჩვენებს მაყურებლებსო. უამრავი შეკვეთა მივიღე სპილოების შეძენაზე.

სუდანში ამ დროს მაჰდი და მისი მიმდევარი აბდულაჰი გამოჩნდნენ და ახალ სახელმწიფო მაჰდიაში გზა დაეკეტათ ურწმუნოებს. იქ, სადაც ჩემგან გაგზავნილი მონადირეები ადრე თავისუფლად დასეირნობდნენ ტყესა და ველებში, სადაც ევროპელ მოგზაურთ დაუბრკოლებლად შეეძლოთ ემოგზაურათ ეგვიპტის მთავრობის მფარველობით, ახლა ახალი წინასწარმეტყველის ფანატიკოსი მიმდევრები გაბატონდნენ. იმისათვის, რომ დამეოკებინა ჩემი ამერიკელი მეგობრების ჟინი, იძულებული გავხდი სხვა ადგილები მეძებნა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სპილოების შოვნა. ამ მიზნით კუნძულ ცეილონზე გავაგზავნე ჩემი აგენტი ჯოზეფ მენგესი, რომელიც 1876 წლიდან ჩემთან მსახურობდა და მაშინ სუდანში იმყოფებოდა.

მენგესი ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ახლდა გორდონ-ფაშას ექსპედიციას თეთრი ნილოსის ნაპირებთან და მოიპოვა ბევრი ძვირფასი და საინტერესო ცნობა, რომლებიც შემდგომში ძალზე გამოადგა. იგი იმ გენიალურ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც შესანიშნავად ახამებდენ ერთმანეთთან პრაქტიკულ საქმიანობასა და მეცნიერებას. ამ თვისებების წყალობით იგი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი გახდა. მენგესი გულმოდგინედ გაეცნო კუნძულ ცეილონს, საქმიანი კავშირი გაბა იქაურებთან. მის კვალს მალე გავუყოლე სხვა ორი აგენტი, რომლებიც შეუდგნენ სპილოების შესყიდვას და ტრანსპორტირებას. მენგესი კი კვლავ სომალიში გაემგზავრა, რათა ახლა სხვა ადგილებშიც გაევრცელებინა ჩვენი გავლენა. 1881 წლის ზაფხულში იგი ევროპაში დაბრუნდა და თან ჩამოიყვანა მხეცების ტრანსპორტი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ სირაქლემები, ქურციკები და ერთი დუეინი ლამაზი ანტილოპები. საბუხაროდ, გემი, რომელზედაც დატვირთეს მხეცების ტრანსპორტი, ადენის ყურედან გამოსვლისას ქარიშხალში მოხვდა და

ბევრი ყუთი წყალში გადატყორცნა ზვირთებმა. გადარჩა მხოლოდ ექვსი სირაქლემა და სამი ანტილოპა, რომელთაც მშვიდობიანად ჩამოაღწიეს ჰამბურგში. მაგრამ ასეთი მარცხი გულს ვერ გაუტეხს ჩვენი ხელობის ხალხს.

მენგესი მაშინვე დაბრუნდა სომალიში, მაგრამ ამჯერად დიდი რაოდენობით წაიღო დასაშლელი გალიები და სამარაგო ფიცრები ყუთებისათვის. მეორე ტრანსპორტი უფრო ყისმათიანი გამოდგა და მარსელიდან მშვიდობიანად ჩავიყვანე ალჟირში ერთი ფირმის მიერ შეკვეთილი 40 სირაქლემა. ტრანსპორტში შემავალი დანარჩენი ცხოველები ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე ჩამოვიყვანეთ ჰამბურგში. ამ კოლექტივში იყო სომალიდან ჩამოყვანილი უცნობი სახეობის კანჯარი. საკვირველია, რომ ზოოლოგები რატომღაც არ დაინტერესდნენ ამ ცხოველით*.

მაგრამ სულ მალე ჩემი იმპორტის ღრმა შემფასებელი მეწვია. ჩემი წრის კაცი არ იყო ის, ფრიად მაღალი ადგილი ეკავა საზოგადოებაში. ერთხელ, 1882 წლის შემოდგომაზე, სადილობამდე ის-ის იყო ჩემს ზოოპარკში დავბრუნდი და ცოლმა მითხრა, ოცი წუთის წინ თავადი ბისმარკი მოვიდა ბაღში ორი ქალბატონისა და ერთი დარბაისელი მამაკაცის თანხლებითო. მაშინვე იქეთ გავეშურე. თავადი სომალიდან ჩამოყვანილი კანჯარის წინ იდგა და დარაჯს ეკითხებოდა, რა ცხოველია ეს უცნაური არსებაო, მაგრამ სწორი პასუხი ვერ მიეღო. მაშინვე მივედი ბისმარკთან და ავუხსენი, თუ როგორ შევიძინე ეს ცხოველი, თან დავსძინე, ეს ჯიში ჯერ არავის უნახავს და, მითუმეტეს არც არავის აღუწერია. მუშტარს კი ვერ ვპოულობ, რადგან არც ერთი ზოოლოგიური ბაღის დირექტორს არ სჯერა, რომ ეს კანჯარი აქამდე უცნობი ჯიშის ცხოველია-მეთქი. „მე ზოოლოგი არა ვარ, — მიპასუხა ბისმარკმა,—მაგრამ პირველი დანახვისთანავე მივხვდი, რომ ეს აქამდე

* შემდგომში ზოოლოგმა ნოაკმა აღწერა სომალიური სახედარი ჩოგორც ახალი, მანამდე უცნობი სახეობა. ახლა კი მას ჩვეულებრივი სახედრის მხოლოდ გეოგრაფიულ რასად თვლიან.

უცნობი ცხოველია, რადგან ფეხები ზებრასავით ჭრელი აქვს, სხეული კი მოწითალო შეფერილობის, რაც ჩვეულებრივი სახედრისათვის უჩვეულოა". გავაბით საუბარი, ხან ეს ითქვა, ხან ის. თავადმა დიდი ინტერესით დაათვალიერა მთელი ზოოლოგიური პარკი.

ბოლოს და ბოლოს სომალიური სახედარი ლონდონის ზოოლოგიურ ბაღს მივყიდე, თანაც სიტყვა მივეცი, რომ ყოველწლიურად ბრიტანეთის მუზეუმს უფასოდ გავუგზავნიდი ამ ჯიშის ცხოველების ორ ტყავს. ჩემი პირობა კეთილსინდისიერად შევასრულე. ეს ტყავები ახლაც შეგიძლიათ ნახოთ ბრიტანეთის მუზეუმის დარბაზებში.

ამასობაში ჰამბურგში მშვიდობიანად ჩამოვიდა მენგესის მიერ ცეილონზე ნაყიდი სპილოების ტრანსპორტი. 1883 წელს ამ კუნძულიდან 67 სპილო მივიღე. თავისთავად ცხადია, რომ ამის პარალელურად წარმატებით ვითარდებოდა მეორე წარმოებაც — ეროვნებათა გამოფენების ორგანიზაცია. ჩემმა ძმამ — ჯონ ჰაგენბეკმა, რომელიც იმხანად ცეილონზე იმყოფებოდა, შეადგინა ფრიად საინტერესო ცხოველების რამდენიმე ქარავანი. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ამ ქვეყანასა და ადგილობრივ პირობებს, და ამან ძალიან გაუიოლა საქმე.

1883 წელს მე კვლავ გავაერთიანე ორი უკიდურესობა — ინდიელები და ყალმუხები. ევროპაში სპილოების ჩამოყვანის შემდეგ გადავწყვიტე „კორნაკები" — სპილოების მარეკები მომეწვია ცეილონიდან, რათა ხალხისათვის მეჩვენებინა, თუ როგორ მუშაობენ სპილოები ინდოეთში. მუშა სპილო ცხენივით თვინიერი და დამჯერია, ძალიან მძიმე სამუშაოს ასრულებს. ერთ სპილოს ოთხ ცხენზე მეტი საქმის გაკეთება შეუძლია.

გამოფენამ პარიზსა და ბერლინში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, ამიტომ მაშინვე დავიწყე მზადება, რათა მომავალ წელს მომეწყო დიდი გამოფენა, სადაც გარდა მუშა სპილოებისა, წარმოდგენილი იქნებოდნენ ცეილონის მკვიდრნიც მდიდარი ეთნოგრაფიული ფონის თანხლებით. ჩემი რწმუნებული აგენტები — მენგესი და კარსტენსი ცეილონზე

გავგზავნე, თვითონ კი ვოლგელი ყალმუხები წავიყვანე ევროპის დედაქალაქი მოვიარე. ყალმუხები თავიანთ თავს მონღოლ-იორატებს უწოდებენ; სიტყვა „ყალმუხი“ თათრულისგანაა წარმომდგარი. ამ დიდი ტომის მეტი ნაწილი ჯერაც ჩინეთის პროტექტორატის ქვეშაა. ჩემმა აგენტმა ბენკემ მათი მთავარი სადგომი მოინახულა კუკუნორში, სადაც ყალმუხებს დიდი ფარები ჰყავთ*.

განსაცვიფრებელი სანახავები იყვნენ ყალმუხები თავიანთი კარვებით, აქლემთა ქარავნებითა და შავი ცხვრებით, რომლებსაც ისეთი დიდი დუმები ჰქონდათ, რომ ორთვალებით ეხმარებოდნენ ცხოველებს ამ „სიმსუქნის“ ტარებაში.

ეს ცხვრები ხომ მოსწონდათ და მოსწონდათ მნახველებს, მაგრამ არა ნაკლებ საინტერესო იყო მათთვის ყირგიზული ფაშატები, რომლებსაც ყოველდღე წველავდნენ. ფაშატის რძისაგან ყალმუხები ამზადებდნენ თავიანთ საყვარელ სასმელს კუმისს, რომელიც ახლაც ფართოდ იხმარება ჭლექისა და გულმკერდის სხვა დაავადებათა მკურნალობის მიზნით. კუმისი მომჟავო გემოსია და ჭურჭლიდან ჭურჭელში გადასხმის დროს ქაფდება. იმ მიზნით, რომ უფრო საინტერესო გამეხადა გამოფენა, ორი ბუდისტი მღვდელიც მოვიწვიე, რომლებიც დიდებულ სამოსელში გამოწყობილნი, სათანადო შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

გამოფენაზე ყალმუხებმა ააწყვეს ფუტკრის სკისმაგვარი კარვები, რომელსაც ზემოთ ერთი ნახვრეტი აქვს. ესაა საკვამლეც და სარკმელიც. ამ მომთაბარე ხალხის ცხოვრების ნირი გასართობად მოსულ ჩვეულებრივ მაყურებლებზე ნაკლებ არ აინტერესებდათ მეცნიერებს. ისინი უმეტესად ეთნოგრაფიულ ნივთებს ათვალიერებდნენ და სწავლობდნენ, თავშესაქცევად მოსული ხალხი კი აღტაცებული იყო ყალმუხების ჭიდაობით,

---

* ჰაგენბეკი ცდება: ყალმუხები არიან იგივე მონღოლები, რომლებიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჯუნგარიდან ვოლგისპირეთისა და ურალისპირა ველებზე გადმოსახლდნენ. კუკუნორის ტბის ნაპირებზე უმეტესად ტანგუტები ბინადრობენ, თუმცა ამ მიდამოებში მონღოლებიც გვხვდება. ამიტომ არ შეიძლება ამ რაიონის ჩათვლა მონღოლების და, მით უმეტეს, ყალმუხების მთავარ ბინა-სადგომად.

სიმღერით, ცეკვით, ჯირითით. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა ყალმუხელი ქალიშვილების ჯირითი, ისინი ხომ მამაკაცურად ისხდნენ თავიანთ პატარა, მაგრამ საოცრად მარდ ცხენებზე.

სიტყვა რომ არ გავაგრძელო, ყალმუხთა გამოფენას განსაცვიფრებელი წარმატება ხვდა წილად, ამიტომ იძულებული გავხდი 1884 წელს კვლავ გამემეორებინა ის. პარიზში ხომ აურაცხელი ხალხი მოაწყდა გამოფენას, მაგრამ ბერლინში რაც მოხდა, იმის აღწერა შეუძლებელია. ახლაც დიდი სიამოვნებით ვიგონებ ბერლინიდან ჩემს სახელზე მოსულ პირველ დეპეშას: „ჯერჯერობით 80 ათასი მნახველი გავატარეთ. მნახველთა მოზღვავებაა. წესრიგს იცავენ ცხენოსანი და ფეხოსანი „პოლიციელები". ეს დეპეშა გამოგზავნილ იქნა შუადღის ოთხ საათზე. საღამო ხანს ბერლინის ზოოლოგიური ბაღის დამთვალიერებელთა რაოდენობამ 93 ათასს მიაღწია.

ცეილონზე მყოფმა ჩემმა აგენტებმა ამ ხნის განმავლობაში დაამთავრეს გულმოდგინე მზადება ევროპაში ინდური გამოფენის გამოსაგზავნად. ექსპონატები მშვიდობიანად ჩამოვიდა ჰამბურგში 1884 წლის აპრილში. ტრანსპორტის შემადგენლობაში შედიოდა 67 სინგალეზი, 25 სპილო — დაწყებული ყველაზე პატარა მუშა ცხოველით და დამთავრებული ყველაზე დიდით, და კამეჩების მთელი ნახირი. გემით ჩამოიტანეს აგრეთვე უამრავი იარაღი და საოჯახო ნივთები. ასე რომ, ეთნოგრაფიული გამოფენა ასეულობით შეიცავდა შესანიშნავ ექსპონატებს. მდიდრულად იყო წარმოდგენილი მცენარეული სამყაროც.

ჩემი სინგალეზები განასახიერებდნენ სასწაულების ძველ ქვეყანას — იდუმალებით მოცულ ინდოეთს. ჩვენ შევძელით გვეჩვენებინა ამ ქვეყნის არა მარტო თვალწარმტაცი გარეგნული იერი, არამედ მისტიკის ანარეკლიც. ბანაკის მომხიბლავი სილამაზე, თვალისმომჭრელი ფერები, მედიდური სპილოები, რომლებიც ან ოქრომკედით ნაქარგი ყაჯრებით იყვნენ მორთული, ანდა სამუშაოდ აღკაზმულნი, ვეება ტვირთს მიათრევდნენ, ინდიელი ჯადოქარნი და ოინბაზნი, შემზარავი ნიღბებით შორთული მამაკაცების ალქაჯური ცეკვები, ლამაზი, ტანწერ-

წეტა ბაიადერების აღტყინებული როკვა, და ბოლოს დიდი რელიგიური კორტეჟი „პერა-ჰარა“ — ყოველივე ამას განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველები. ჩვენ მიერ მოწყობილი სანახაობა მართლაც გასაოცარი რამ იყო. მაგრამ მხოლოდ ეს როდი იყო სენსაციის მიზეზი. გიამბობთ ერთ პატარა ეპიზოდს, რომელსაც მე „კრუპი და სინგალეზები“ ვუწოდე.

გერმანიაში ჩვენი საგასტროლო მოგზაურობის დროს ქალაქ კელნსაც ვესტუმრეთ. აქედან რამდენიმე მორთულ-მოკაზმული სინგალეზი ერთი ევროპელის თანხლებით ესენში გაემგზავრა. იქ მათ სასეირნოდ ეკიპაჟები დაიქირავეს და, სრულიად შემთხვევით, მსოფლიოში სახელგანთქმული კრუპის ზარბაზნების ქარხანასთან ამოყვეს თავი. რახან ქარხნის დიდი ჭიშკარი ღია დახვდათ, ბევრიც არ უფიქრიათ, არც ნებართვა უკითხავთ, ისე შეუხვიეს ეზოში. მთელი ქარხანა აიშალა, აფორიაქდა. ეზოში გამოცვივდნენ მუშები და ოსტატები, ტექნიკოსები და ინჟინრები, ვგონებ, არც დირექტორები დარჩენილან თავიანთ კაბინეტებში. ალბათ იფიქრეს, რომელიღაც ეგზოტიკური ხელმწიფის წარმოგზავნილნი გვესტუმრენ ზარბაზნებისა და თოფების შესასყიდად.

ზრდილობა გამოიჩინეს და არაფერი უკითხავთ ჩვენი ინდოელი სტუმრებისათვის. თავაზიანად დაათვალიერებინეს საამქროები და სახელოსნოები. შემდეგ კი ეკიპაჟებამდე მიაცილეს; სინგალეზებმა ჰაგენბეკის სახელით მადლობა მოახსენეს კრუპის თანამშრომლებს და მშვიდად განაგრძეს გზა. ამ უჩვეულო სტუმრობით განცვიფრებული ხალხი მდუმარედ იდგა და გონს ვერ მოსულიყო.

გამოფენა გაიხსნა ჰამბურგში, მურვაიდენჰალეში, რომელიც კარგა ხანია დაანგრიეს. რამდენიმე კვირის განმავლობაში ეს ვეებერთელა შენობა დილიდან საღამომდე მნახველებით იყო გაჭედილი. ჰამბურგის შემდეგ ვესტუმრეთ დიუსელდორფს, მაინის ფრანკფურტს, ვენას. ვენაში იმდენი ხალხი მოაწყდა ჩემ მიერ ლამაზად მორთულ პრატერის როტონდას*, სამლოცველო ეგონებოდა კაცს. პირველსავე კვირა

* როტონდა — ვენის გასართობი პარკის პრატერის ცენტრალური ნაგებობა. აგებულ იქნა 1873 წელს მსოფლიო გამოფენისათვის.

დღეს იძულებული გავხდით ორჯერ დაგვეხურა სალარო, რადგან მოჯარებულ მნახველებს ვეღარ აუვედით. ამ ერთი თვის განმავლობაში მეტისმეტად დაძაბული მუშაობა მოგვიხდა ვენაში. განუწყვეტელ ნაკადად მოეშურებოდნენ არა მარტო ჩვეულებრივი მოქალაქენი, არამედ დიდად საპატივცემლო, წარჩინებული მოხელეებიც, რომლებსაც მე თვითონ უნდა ვხლებოდი გამოფენის მეგზურად. ვენაში ჩვენი ყოფნის მერვე დღეს გვეწვია ავსტრიის იმპერატორი ფრანციოსები. რა თქმა უნდა, პირადად გავყევი მის უდიდებულესობას და დავათვალიერებინე გამოფენის ყველა განყოფილება. ვიზიტი ორმოცდახუთ წუთს გაგრძელდა. გამოთხოვებისას იმპერატორმა მადლობა მომახსენა ახსნა-განმარტებისათვის და შემდგომი წარმატება მისურვა. გამოფენის დასათვალიერებლად იმპერატორის მობრძანების სამახსოვროდ სამეფო კარმა მეორე დღეს თითო-თითო ახლად მოჭრილი ავსტრიული დუკატი გამოუგზავნა სინგალეზებს.

გამოფენას ისედაც ხომ განსაცვიფრებელი წარმატება ხვდა წილად, მაგრამ ამ ვიზიტს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვეებერთელა სტატიები, რომლებშიც აღბეჭდილი იყო იმპერატორის ყოველი სიტყვა და ნაბიჯი, ამავე დროს ვრცლად იყო აღწერილი თვით გამოფენა. ამის შედეგად მნახველთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. 1873 წელს ვენაში მოწყობილი მსოფლიო გამოფენის შემდეგ ამდენი ხალხი არ მოსწრებია პრატერს. მდაბიოთათვის ბილეთის ფასი შევამცირე და გამოფენის შემოსავლის დიდი ნაწილი საქველმოქმედო დაწესებულებებს გადავეცი. მე კი სხვა ჯილდო მივიღე. მივიღე და ვიკმარე: ერთ მშვენიერ დღეს 7 000 ვენელმა მოსწავლემ საკუთარი ორკესტრის თანხლებით ზეიმით გაიარა პრატერის პარკი და როტონდას მიაშურა. ისეთი სიხარული განვიცადე მაშინ, რომ, ღმერთმანი, არასოდეს დამავიწყდება.

ვენიდან ბერლინში გავემგზავრეთ. ჩვენი გამოფენა ზოოლოგიურ ბაღში ვერ დაეტეოდა და ამიტომ ლერტერის ვაგზლის საგამოფენო პავილიონში დავბანაკდით. ერთ თვეს დავრჩით აქ და უფრო მეტი შემოსავალი მივიღეთ, ვიდრე

ვენაში. უამრავი მნახველი ეწვია გამოფენას, მათ შორის იყვნენ მაღალი თანამდებობის წარჩინებული პირები, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერნი, მხატვრები, პრესის წარმომადგენლები. პარკის თავზე საქალაქო რკინიგზა გადიოდა და სპეციალურად სვლას უნელებდა, რათა მგზავრებს საშუალება მისცემოდათ ეხილათ ზღაპრული სამყარო, მისი საოცარი, ნაგებობანი და კიდევ უფრო განსაცვიფრებელი ბინადარნი.

გამოფენას დიდი შემოსავალი ჰქონდა-მეთქი, მოგახსენეთ, მაგრამ მოგება კი მაინც ცოტა დაგვრჩა, რადგან ხარჯიც დიდი მოგვივიდა. ბერლინში გამოფენის დახურვის შემდეგ ჩემს სინგალეზებს გამოსათხოვარი ზეიმი გავუმართე ჰამბურგში, უხვად დავასაჩუქრე და სამშობლოში გავისტუმრე. მომდევნო წელს ინდოელთა ახალი გამოფენა მოვაწყვე და სამხრეთ გერმანია და შვეიცარია შემოვიარე. ვიყავი ვენაშიც. ბოლოს კი ინგლისს მივაშურე. მაგრამ ცუდი ამინდები დაგვიდგა, ხარჯიც დიდი მოგვივიდა და საერთოდ ბევრ რამეში ხელმოცარული დავრჩით. ასე რომ, კარგა გვარიანად ვიზარალე. ინგლისში გამგზავრება 40 ათასი მარკა დამიჯდა და მხოლოდ პარიზში მოწყობილი გამოფენისას ამოვიგეთ დანახარჯი. პარიზში ორთვენახევარს დავყავით. ამ ხნის განმავლობაში Jardin d' Acclimatation-ს ესტუმრა ზღაპრული ინდოეთის ხილვის მსურველი რამდენიმე მილიონი ფრანგი მნახველი.

1895 წლის აპრილში კვლავ გადავცურეთ ლამანში და ვესტუმრეთ ლონდონს, სადაც უნდა გაგვეხსნა სომალიელების ახალი გამოფენა, რომელიც ჩემმა აგენტმა მენგესმა გულმოდგინედ მოამზადა ბერბერაში*. ევროპაში მოწყობილი ეროვნებათა გამოფენები ისეთი წარმატებით ჩატარდა, რომ ჰაგენბეკის სახელს ახლა ინგლისშიც კარგად იცნობდნენ. ბრიტანეთის დედაქალაქის მთავარი გაზეთები და ილუსტრირებული ჟურნალები წამდაუწუმ გვიგზავნიდნენ თავიანთ კორესპონდენტებს, მხატვრებსა და ფოტოგრაფებს ტილბიურის დოკებში, სადაც ღუზა ჩაუშვა ჩვენმა ხომალდმა „კლან როსმა". ასეთ ცნობისმოყვარეობას მიზეზიც ჰქონდა. გემზე მართლაც,

* ბერბერა — ბრიტანეთის სომალის ნავსადგური.

უჩვეულო ტვირთი იყო: 66 სომალელი (რომელთაც სათავეში ედგა ჭაბუკი ბელადი გერსი ეგა), 20 ტონა ბაგაჟი და საოჯახო მოწყობილობანი, აგრეთვე სუდანიდან ჩამოყვანილი 252 ცხოველი. ამ შესანიშნავი გამოფენის შესახებ ლონდონის გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებისაგან საკმაოდ სქელი ფოლიანტები შევადგინე და ჰამბურგის კანტორაში შევინახე.

თეატრის კულისების მაგვარად თაბაშირისა და მავთულბადისაგან გაკეთებული დეკორაციის წინ ორი ათასი ფუტის სიგანის მოედანზე ნამდვილი სომალიური სოფლის მაკეტი გავაკეთეთ. ქუჩებში პალმები და სხვა მცენარეები დავრგეთ, ქოხები გავაწყვეთ სხვადასხვაგვარი საოჯახო ნივთებით. ისევე, როგორც სხვა გამოფენის დროს, ამჯერადაც ყველაფერი ბუნებრივად იყო მოწყობილი. არავითარი სპეციალური სანახაობა და წარმოდგენა. მნახველებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი თვალით ენახათ უცხო ქვეყნის ტომების ყოველდღიური მრავალფეროვანი ცხოვრება ყოველგვარი ხელოვნური შელამაზების გარეშე. გამოფენის დამთვალიერებელთა თვალწინ სომალიელები თავისი წესისა და ადათის კვალობაზე აკეთებდნენ საჭმელებს, კვებავდნენ ცხოველებს, ამა თუ იმ საკითხზე ბჭობდნენ ოჯახურ წრეში. ასე რომ, ევროპელებმა ბევრი რამ შეიტყვეს აფრიკული ტომების ოჯახურ ცხოვრებაზე. იმ მიზნით, რომ ეს მომხიბვლელი ფონი, რომელიც განსაკუთრებით მხატვრებისათვის იყო საინტერესო, გაგვეხალისებინა რაიმე „მოქმედებით", სომალელთა ბელადს ვთხოვეთ განესახიერებინა ისეთი მოვლენები, რომლებიც ხდებოდა იმდროინდელ სუდანში. უარი არ უთქვამს.

ასე რომ, გამოფენის დამთვალიერებლები საინტერესო ამბების მომსწრენი გახდნენ. აი, სოფელს მოულოდნელად „თავს დაესხმოდნენ" მონებით მოვაჭრენი. აყლაყუდა დრომადერებზე ამხედრებული არაბები ღრიანცელითა და იარაღის ჩხარუნით „შეიჭრებოდნენ" მშვიდობიან სოფელში, შეშინებული მოსახლეობა კი აქეთ-იქეთ იმალებოდა. ქათმები კრიახობდნენ, დამფრთხალი თხის ჯოგი მტვრის კორიანტელს აყენებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თავდამსხმელებს მოჰყავდათ უბედური „ტყვეები", რომლებიც ფრიად რეალისტუ-

რად იყვნენ შებორკილნი ჯაჭვებითა და ხუნდებით. ამ დროს გამოჩნდებოდნენ ცხოველებზე მონადირე შეიარაღებული ევროპელები, ისინი ბრძოლით განდევნიდნენ ყაჩაღებს და გაათავისუფლებდნენ სოფლის მცხოვრებლებს. დასასრულ იმართებოდა მშვიდობის დიდი ზეიმი. სომალიელები ცეკვავდნენ, საკუთარ ინსტრუმენტებზე უკრავდნენ და ყველაფერი ეს სრულდებოდა ნამდვილი სუდანური გვაროვნული დღესასწაულის ყველა წესისა და ადათის დაცვით. შემდეგ იწყებოდა სირაქლემებისა და დრომადერების მარული. ბაყურებლებს უჩვენებდნენ აგრეთვე ნადირობას აფრიკის გარეულ ცხოველებზე. დასასრულ მონადირეების მიერ შეგროვებული ქარავანი ცერემონიული მარშით რამდენიმეჯერ გარს შემოუვლიდა გამოფენის მთელ ტერიტორიას. ზვიადად მოაბიჯებდნენ მდიდრულად მორთულ-მოკაზმული აფრიკული სპილოები, საბრძოლო ყაიდაზე აღკაზმულ მეომრებს მოჰყავდათ ყუთებითა და გალიებით დასაპალნებული ცხოველები. გალიებში და ყუთებში კი ვეფხვები, ჯიქები და მაიმუნები ჰყავდათ. ჯოგებად მოერეკებოდნენ აგრეთვე სირაქლემებს, ზებრებს, თხებს. ერთი სიტყვით, მეორდებოდა ზუსტად ის, რაც ბევრჯერ საკუთარი თვალით უნახავთ ჩემს აგენტებს აფრიკის ტყეებში.

ვის ძალუძს აღწეროს ჩემი გაოცება, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს დავინახე, რომ შეიხი გერსი ეგა და ორი მეომარი ველოსიპედებზე შემსხდარიყვნენ და გარს უვლიდნენ თავის გახცვიფრებულ ჰარემს. თურმე ჩემს მეგობარს ვილიამ ჯაჯს მიუცია სომალიელებისათვის ველოსიპედები, რომლებიც მაშინ ევროპელებისთვისაც კი „ახალი ხილი“ იყო. ველოსიპედებზე აძხედრებული სუდანელების რბოლა უჩვეულო სენსაციას წარმოადგენდა კრისტალ-პალასის მნახველთათვის. რასაკვირველია, ყველაზე მეტად თვით სომალიელები იყვნენ გაოგნებულნი, როდესაც უყურებდნენ რეზინის საბურავების, ფარნისა და ზარისაგან გაკეთებულ ეშმაკის ნახელავ რკინის ცხენებს. ალაჰ ილ ალაჰ, დიდ არს ალაჰი და წინასწარმეტყველი მაჰმადი, განუზომელია ფრანკთა სიბრძნე!

ეროვნებათა ყველა გამოფენა რომ აღვწერო, ვფიქრობ, დაიღლება ჩემი მკითხველი. მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ჩემს მოგონებებში ეს გამოფენები წარმოადგენს ერთ დასრულებულ ნაწილს, რომელიც მდიდარია საინტერესო პერსონაჟებითა და ანეკდოტებით. ჩემს მეხსიერებაში ხშირად ამოტივტივდებიან ხოლმე ძველი ნაცნობები. თვალწინ დამიდგება რომელიმე მათგანის მუქი, შავი ან ბრინჯაოსფერი სახე, ჩვენი კულტურული სამყაროს სასწაულებით განცვიფრებული თვალები. ნეტავ სადა ხართ ახლა: აფრიკელებო, ინდიელებო, პრერიების მშვენიერო წითელკანიანო შვილებო, ან თქვენ — ესკიმოსებო და ლაპლანდიელებო, ანდა თქვენ, პატაგონიელებო, ცეცხლოვანი მიწის მყინვარებიდან რომ ჩამოგიყვანეთ* და ბალღურად რომ მომენდეთ თეთრკანიანთა ქვეყანაში, რომელთა მკვიდრნი მილიონობით მოდიოდნენ თქვენს სანახავად, თითქოსდა გარეული მხეცები ყოფილიყავით?

კარგა ხანია, ისევ თქვენს სამშობლოში ხართ. თეთრკანიანთა ქვეყანაში ყოფნა, საიდანაც საჩუქრებით დატვირთულნი და გამდიდრებულნი დაუბრუნდით მშობლიურ მიწა-წყალს, განუმეორებელ და დაუვიწყარ თავგადასავალს წარმოადგენდა თქვენს ცხოვრებაში. სადა ხართ, ჩემო კარგო ელ-ამინო, რომლის ახოვანი ტანიც ვნების ცეცხლს უკიდებდა თეთრკანიანი ქალების გულებს; ანდა შენ, ჩემო კეთილო ტაკრური, ნეტავ თუ ისევ ძველებური ზვიადი ნაბიჯით დასეირნობ შენს ტყეებში, ეგებ ჩემი მახვილიც თან დაგაქვს, რომელიც საჩუქრად გამომთხოვე და მე კი გული არ დაგწყვიტე და გისახსოვრე. გახსოვს, რა სიხარული განიცადე მაშინ, გმირთ-გმირად რომ წარმოიდგინე შენი თავი, შენი სადარი ვაჟკაცი რომ არავინ გეგულებოდა დედამიწაზე? ნეტავ თუ ცოცხალი ხარ, ჩემო უკუ-

---

* ცეცხლოვან მიწაზე ცხოვრობდნენ არა პატაგონიელები, რომლებიც საერთოდ სამხრეთ არგენტინაში ბინადრობენ, არამედ ცეცხლოვანი მიწის მკვიდრი ტომები, რომლებიც როგორც კულტურითა და ყოფა-ცხოვრების ნირით, ისე ანთროპოლოგიურადაც ფრიად განსხვავდებიან პატაგონიელებისაგან. ცეცხლოვანი მიწის ბინადარნი დროთა განმავლობაში თითქმის ამოწყდნენ ანდა ისე გადაგვარდნენ, რომ ნიშანწყალიც კი აღარა აქვთ საკუთარი ნაციონალური თავისებურებებისა.

ბაკო? შენს შესახებ კი, ჩემო ზვიადო შეიხო გერსი-ეგა, მიამბო შენმა ვაჟმა ალიმ, რომელიც შეგირდად გამოუგზავნე შენს ძველ მეგობარ ჰაგენბეკს. კიდევ ბევრჯერ მოუთხრობ ალბათ ბუხართან მიმსხდარ შვილიშვილებს, თუ როგორ იმოგზაურე ურწმუნოთა ქვეყანაში, რომელთა მკვიდრნიც ხშირად შენი მეგობრები გამხდარან...

ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდებიან-მეთქი ეს ნაცნობი სახეები, მეგობრულნიც და გულგრილნიც, საამონიცა და უსიამოვნონიც, მაგრამ თვითეულ მათგანს თავისი საკუთარი ადგილი აქვს ჩემს მოგონებებში.

ჩემს ძველ ნაცნობებს ტკბილი მოგონებები რომ დარჩათ, ხოლო ჩვენს გამოფენებს, გარდა მეცნიერული მნიშვნელობისა, უაღრესად რომანტიკული ხასიათის სხვა შედეგებიც რომ მოჰყვა, ამის დასადასტურებლად გიამბობთ ერთ პატარა ამბავს, სავსებით სარწმუნოსა და სანდოს.

მაგელანის სრუტეში ნავსადგურ პუნტა-არენასში ღუზა ჩაუშვა გერმანიის სამხედრო ხომალდმა. ერთ ახალგაზრდა ოფიცერს რატომღაც მოეხასიათა პამპასებში გასეირნება. არ ეგონა, რომ იქ ძე ხორციელს შეხვდებოდა. პუნტა-არენასში ცხენი დაიქირავა, ზედ ამხედრდა და ხალისიანად გაუდგა გზას. უდაბნოში რამდენიმე საათის მოგზაურობის შემდეგ შეამჩნია, რომ კომპასი დაკარგვოდა. გზააბნეულმა გადასწყვიტა ღამის გათევა რომელიღაც ბუჩქის ძირას, თუმცა ასეთი რამ კარგს არაფერს უქადდა, რადგან ამ განედზე ღამით ძალიან ცივა. და გარდა ამისა, ამ ადგილებში დაეხეტებიან პუმები, რომელთა მეზობლად ძილი არცთუ მაინცდამაინც სასიამოვნოა. უცებ შორიდან ცხენის ფლოქვების ხმა მოისმა. რამდენიმე წამის შემდეგ წყვდიადს გამოეყო ინდიელთა დიდი ჯგუფი. მეტისმეტად ველური შესახედაობა ჰქონდათ. საშინელი ყვირილით, არაადამიანური შეძახილებით მისცვივდნენ გზააბნეულ ოფიცერს. ცხენი, მხარიღლივ გადაკიდებული თოფი და ფორმის ქურთუკის ბრჭყვიალა ღილები — ყოველივე ეს სავსებით საკმარისი იყო გულად ინდიელთა დასახარბებლად. გერმანელმა მაშინვე თოფი მოიმარჯვა და მტკიცედ

გადასწყვიტა ძვირად დაეთმო თავისი სიცოცხლე. მაგრამ ამ დროს მოხდა მოულოდნელი და დაუჯერებელი რამ.

ჯგუფს წამოეწია ჩამორჩენილი წინამძღოლი, რომელმაც ძაშინვე რაღაც დაუყვირა თავის მოძმეებს. ინდიელები ადგილზე გაქვავდნენ. წინამძღოლი მიუახლოვდა უცხოელს, თვალდაშტერებით დააკვირდა და უცებ მხიარული ხმით წამოიძახა: „შენ ხომ ჰაგენბეკის გემის კაპიტანი ხარ?“ მხსნელად მოევლინა ეს სიტყვები გერმანელს. თვითონ ჰამბურგელი გახლდათ და მაშინვე მიხვდა, ეს ინდიელი ალბათ ევროპაში მოწყობილი გამოფენის რომელიმე მონაწილეაო. ოფიცერს ბევრჯერ ენახა თურმე ასეთი გამოფენები ჩემს ზოოპარკში. არ დაიბნა და მხიარული კილოთი გაეპასუხა: „დიახ, ჰამბურგელი ჰაგენბეკი, კაპიტანი“.

განცვიფრებულმა და გახარებულმა წინამძღოლმა ჟესტიკულაციის მომარჯვებით მთელი მოხსენება წაუკითხა ინდიელებს. ყველას საზეიმო განწყობილება დაეუფლა. ცხენებიდან ჩამოხტნენ, უზარმაზარი კოცონი გააჩაღეს და ზრდილობიანად მიიწვიეს „სუფრაზე“ უცხოელი. თურმე ნადირობიდან ბრუნდებოდნენ და თან მოჰყავდათ რამდენიმე სირაქლემა და გუანაკო.* მაშინვე გაპუტეს და შეწვეს ერთი სირაქლემა, თანაც ყველაზე საუკეთესო ნაჭერი სტუმარს შესთავაზეს. როდესაც დანაყრდნენ, ოფიცერმა წინამძღოლს უთხრა, პუნტა-არენასში ძინდა დაბრუნება, იქ ჩემი ხომალდი მელოდებაო. წინამძღოლმა და ძისმა ექვსმა თანამგზავრმა მაშინვე შეკაზმეს ცხენები და რამდენიმე საათის შემდეგ დაოთხილი ჭენებით ძშვიდობიანად მიიყვანეს უცხოელი სანაპიროზე. ოფიცერი გამოეთხოვა, სათითაოდ ჩამოართვა ხელი ყველას და მადლობა გადაუხადა საუზმისა და გამოცილებისათვის. ასე დამთავრდა ეს პატარა თავგადასავალი.

კარგად მოქცეულხარ, ჩემო კეთილო პიტიოტჩე, ასე ზრდილობიანად რომ დახვედრიხარ ჩემს გზააბნეულ თანამე-

---

* ჰაგენბეკს აქ მხედველობაში აქვს სამთითა სირაქლემა ნანდუ. გუანაკო კი სამხრეთ ამერიკის ბინადარ ლამას ერთ-ერთი სახეობაა.

ბამულეს. შახარებს ეს და ისე დავალებულად ვთვლი ჩემს თავს შენს წინაშე, თითქოს პირადად ჩემთვის გაგეკეთებინოს ეს. როგორც ჩანს, არ დაგვიწყებია დროის ის პატარა მონაკვეთი, რომელიც გაატარე ჩემს ჭერქვეშ. სიკეთე სიკეთით გადამიხადე. თუმცა შენ წითელკანიანი ინდიელი ხარ, ნადირის ტყავში გამოწყობილი, გულით მიხარია, რომ სადღაც შორეთში, ველურ პამპასებში გულითადი მეგობარი მეგულება. ამ პატარა ეპიზოდის საიდუმლო ალბათ უკვე ამოხსნა მკითხველმა. პატაგონიელების წინამძღოლი მართლაც მონაწილეობდა ერთ-ერთ ჩემს გამოფენაში. ხომალდ „კოსმოსით“ ჩამოიყვანა კაპიტანმა შვარცმა იგი ჰამბურგში ცოლთან და 12 წლის ვაჟთან ერთად. ეს პატარა ოჯახი ცოტა ხანს იყო სტუმრად ჩემს ზოოპარკში, სადაც მაყურებლებს უჩვენებდა ინდიელთა თამაშებს ლასოთი და ბოლათი.* დრეზდენში, სადაც რამდენიმე კვირით გავამგზავრე ინდიელები, პიტიოტჩეს ისე მოეწატრა თავისი სამშობლო, ისეთი სევდა შემოაწვა გულზე, რომ შემეეედრა, ჩემს მშობლიურ პამპასებში დამაბრუნეო. მისი თხოვნა შევიწყნარე და მომდევნო რეისის დროს „კოსმოსით“ კვლავ პუნტა-არენასაკენ გავამგზავრე. ხომალდზე ყოფნისას ოფიცრები განსაკუთრებული ყურადღებით ეექცეოდნენ ინდიელთა გონიერ და გულკეთილ ბელადს და ისიც სრული ნდობით იყო გამსჭვალული მათ მიმართ. „კოსმოსის“ ოფიცერთა ფორმა ძალიან ჰგავდა სამხედრო ფლოტის ოფიცერთა ფორმას. და როდესაც ინდიელმა შემთხვევით უცხო კაცი ნახა პამპასებში, იგი „კოსმოსის“ კაპიტნად მიიჩნია და მე გამიხსენა, რადგან მხოლოდ ჩემთან ენახა ასე გამოწყობილი ოფიცერი.

ასეთი შემთხვევები მომხდარა არა მარტო აფრიკის უდაბნოებში ანდა გრენლანდიის ყინვარებში, არამედ ციმბირის ტუნდრაშიც და ინდოეთის ჯუნგლებშიც. სადაც არ უნდა წასულიყვნენ ჩემი მზვერავები, მოგზაურნი და ტრანსპორტის

---

* ბოლა 1 — 1,5 მეტრი სიგრძის ტყავის თასმაა, რომლის ორივე ბოლოზე მიმაგრებულია ბურთულები. ნადირობის დროს მხედარი ამ ბურთულებს წრიულად ატრიალებს თავის თავს ზევით და ჭენების დროს უკანა ფეხებში ესვრის გაქცეულ მხეცს ბოლას. თასმა გაიშლება და ცხოველს მიწაზე დასცემს.

აგენტები, ყველგან შეიძლებოდა შეხვედროდნენ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული გამოფენებში და ჩემთან ერთად იყვნენ ნამგზავრნი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ისინი ნებაუნებურად ცოდნას იძენდნენ და თან მიჰქონდათ კულტურა თავიანთ სამშობლოში. სომალელები თუ ჰოტენტოტები, ყალმუხები თუ ავსტრალიელები, ერთი სიტყვით ყველა ისინი, ვინც კი ჩამომიყვანია ევროპაში, სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ჩემს მიერ მოწყობილ ეროვნებათა გამოფენებში. ამ მშვიდობიანი გამოფენების მსოფლიო მასშტაბის მკაფიო მაგალითია ანტიპოდების, კერძოდ, არქტიკისა და ანტარქტიდის მცხოვრებთა შეხვედრა, რომელიც ჩემს ზოოპარკში მოხდა.

ის იყო ესკიმოსები უკან გამგზავრებას აპირებდნენ თავიანთ სამშობლოში, რომ ამერიკის სამხრეთ სანაპიროდან ცეცხლოვანი მიწის მკვიდრნი ჩამოვიდნენ. ესკიმოსთა, ისევე როგორც ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებთა შორის თითო-თითო ჩვილბავშვიანი ქალი იყო. დედობრივი სიამაყის გრძნობამ შეაგულიანა ისინი, ერთმანეთისათვის შეედარებინათ თავიანთი შვილები. ქალებმა კაპიტანი იაკობსენი მოიხმარეს თარჯიმნად და მაშინვე განსაცვიფრებელი დავა გაიმართა დედამიწის ორივე ნახევარსფეროსათვის ჭეშმარიტად მარადიულ პრობლემაზე — „ბავშვის კვების საკითხზე“.

IV

როგორ გავხდი ცირკის დირექტორი და ძხეცების მომთვინიერებელი

საოცარია, მაგრამ ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო. ერთ მშვენიერ დღეს მოხეტიალე მსახიობთა დიადი არმიის რიგებში ჩავეწერე — ცირკის დირექტორი გავხდი.

ცეილონის დიდი გამოფენები რომ დაიხურა, სპილოების ძთელი ჯოგი დამრჩა და ამან ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა. ცხოველებს ყოველდღიურად ესაჭიროებოდათ საკვები და არცთუ მცირე რაოდენობით. ამიტომ სავსებით სამართლიანი იქნებოდა, თუ თვითონაც მიიღებდნენ მონაწილეობას სარჩოს შოვნაში, მითუმეტეს, რომ იმ ხანებში ძხეცებით ვაჭრობის საქმე უკან-უკან წავიდა. სასწრაფოდ უნდა მეღონა რამე, თორემ მალე გავკოტრდებოდი. ბოლოს აზრი დამებადა, ამერიკელებისმაგვარად მოხეტიალე ცირკი ძოძეწყო და ტურნე გამემართა. ბევრი სიძნელე და უსიამოვნება შემხვდა, ამ ახალ წამოწყებას რომ მოვკიდე ხელი. ახლა ამ ამბების მოგონებაც კი არ მინდა. ასე იყო თუ ისე, ბოლოს თავი ძოვუყარე კარგ მაახიობებს. დასში შედიოდნენ პროფესიონალი მომთვინიერებლები და ცირკის შესანიშნავი ცხენოსნები. ხალიჩასთან იყო ტომ ბელინგი, რომელსაც ბერლინის რენცის ცირკის მაყურებლებმა „ავგუსტი“ შეარქვეს. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ჩემი სპილოები, სხვადასხვა გაწვრთნილი ცხოველები, აგრეთვე სინგალეზთა ქარავანი.

1887 წლის 2 აპრილს ჰამბურგში ჰაილიგენგაისტფელდზე გაიხსნა „ჰაგენბეკის საერთაშორისო ცირკი და სინგალეზთა გამოფენა“.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ რომელიმე წარმოება, რომლის შექმნასაც ბევრი ჯაფა და ენერგია დასჭირდა, კრახით მთავრდება. ჩემს ცირკზე კი შეიძლება პირუკუ ითქვას. თავისი არსებობა კრახით დაიწყო და პრემიერა იყო საშინელი გრიგალი, რომელმაც სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში გაანადგურა მთელი ბალაგანი და არენა. ქარიშხალი რომ დაიწყო, ცირკში ვიყავი, ‘ბანეჟზე. უცებ ძლიერმა ქარტეხილმა ტილო გაგლიჯა და კარვის სახურავს შუაზე ვეებერთელა ბზარი გაუჩნდა. სახურავის დამჭერი ერთ-ერთი საანძე მორი ხრიალით გადმოიქცა და მიწას დაენარცხა. სამიოდე ნაბიჯით ამცდა, თორემ იქვე გამაცხებინებდა სულს.

გრიგალის შემდეგ ჩემი ცირკისაგან ნამსხვრევების გროვაღა დარჩა. ასეთი კატასტროფისაგან თავზარდაცემული შევცქეროდი კარვის დამსხვრეულ ჩონჩხსა და დაფხრეწილ აფრისს. გარს შემოხვეოდნენ გაოგნებული, თვალცრემლიანი არტისტები და ჰაგენბეკის ცირკის აღსასრულს იგლოვდნენ. მე თვითონაც სასოწარკვეთილებაში ვიყავი. მაგრამ მალე მოვიკრიბე გონება. მხოლოდ სისწრაფესა და ენერგიულობას შეეძლო ჩვენი ხსნა. ერთბაშად გული მომეცა და ომახიანი ხმით შევძახე ცხვირპირჩამომტირალ „მესაფლავეებს“. ჩემმა ბრძანებამ ყველა გამოაფხიზლა, და ისე თავგამეტებით შევუდექით საქმეს, რომ ერთობლივი ძალით ორ საათში ჰთლიანად ავკრიფეთ ნამტვრევები და იქაურობაც მივალაგ-ჰოვალაგეთ. შაბაშის დროს ლუდით გავისველეთ ყელი. ყველას ვარწმუნებდი, თუ დამეხმარებით, ყველაფრის აღდგენას შევძლებთ-ბეთქი. ცხოველები და ეროვნებათა გამოფენა გადავიყვანე ჩემს ზოოპარკში. რომელიც ნეიარ-პფერდმარკტზე იყო მოთავსებული. რამდენიმე დღეში ჰამბურგელი ხუროების დახმარებით ახალი ანძები შევუყენეთ კარავს და ყველაფერი ისე კარგად შევაკეთეთ და შევალამაზეთ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ხელმეორედ მოგვეწყო ცირკის გახსნა.

პირველსავე წარმოდგენაზე უხვად დაგვაჯილდოვეს ტა-

შით. თუმცა რენცის, ბარნუმის ან ბელის მაშინდელ ცირკს ჩვენი მოწყობილობა ვერ შეედრებოდა, მაგრამ მაყურებლები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ ჩემი არტისტებით, განსაკუთრებით მოეწონათ გაწვრთნილი ცხოველები და ცეილონის გაძოფენა. პრესამ ქება-დიდება შეასხა ახალგაზრდა მსახიობ ჭალს როზიტა დე ლა პლატს და მის დას დოლინდას, რომლებმაც ნამდვილად აღაფრთოვანეს მაყურებლები პირუეტებითა და სალტო-მორტალეთი. ზანგი მომთვინიერებელი ტომპსონი, რომელსაც შვიდი სპილო გამოჰყავდა არენაზე, სინგალეზები, რამდენიმე ლილიპუტი, თოთხმეტი მუშა სპილო და მოცეკვავე ეკვილიბრისტები ცხოველ ინტერესს იწვევდნენ მაყურებელთა შორის, რომლებიც მაშინვე ჯარასავით გარს შემოგვეხვეოდნენ, როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ ჩვენს სპეციალურ მატარებელს (რომლის ვაგონებზეც მხეცების თავები იყო გამოხატული), ფერად-ფერადად აჭრელებულ ცხოველებს და სხვადასხვა რეკვიზიტებს. რასაკვირველია, დიდი შემოსავალი არ ჰქონია ამ საქმეს, მაგრამ ასე თუ ისე სულის მოსათქმელად კმაროდა. ძალიან ძვირი გვიჯდებოდა ბალაგანი, რომელშიც ეტეოდა დაახლოებით სამი ათასი მაყურებელი, ცხოველების საჯინიბო და ფარდული, აგრეთვე ტრანსპორტი. სათანადო გამოცდილება არ გვქონდა, სააავტომობილო ტრანსპორტი კი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო. განათება ზეთით და გაზით იყო მოწყობილი და მუდამ იმის შიშში ვიყავით, ხახძარი არ გაგვჩენოდა, ლოკოძობილები წარამარა ფუჭდებოდა და ამასთან დაკავშირებით ერთი დავიდარაბა აგვიტყდებოდა ხოლმე, ხანაც ავდარი გვიშლიდა ხელს. განსაკუთრებით მძიმე ტვირთად გვაწვა სატრანსპორტო ხარჯები. 32-ვაგონიან მატარებელში ისეთ ქირას გვახდევინებდნენ, ტყავი გვძვრებოდა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში 40 — 60 ქალაქი მაინც უხდა მოგვევლო. მიზანი ასე თუ ისე მიღწეული იყო. ამიტომ, ძალიან რომ გამიჭირდა, გადავწყვიტე ხელი ამეღო ასეთ საქმიანობაზე.

1889 წელს ჩემი საქმე განვადებით მივყიდე ჩემს ყოფილ დირექტორს დრეკსლერს, გაწვრთნილი ცხოველები კი

საშხრეთ ამერიკაში გავატანე ახალ პატრონებს ბარნუმსა და ბელის. გამოცდილება და ახალი ცოდნა, რომელიც ცირკის დირექტორად ყოფნის დროს შევიძინე, მხეცებით ვაჭრობის დროსაც მქონდა. თუმცა კარგი მოადგილე მყავდა — ჩემი ცოლისძმა ჰენრიხ მერმანი, რომელიც შემდეგ ცნობილი ბოძთვინიერებელი გახდა, მაგრამ არც ერთი დავა არ გათავდებოდა ისე, თუ პირადად მე არ მოვევლინებოდი მოპაექრეებს როგორც Deus ex machina *.

ბოხეტიალე არტისტებს შორის, რა თქმა უნდა, ბევრი კეთილი და რიგიანი ხალხია. მაგრამ შემთხვევითი ადამიანებიც ეტმასნებიან ხოლმე მათ. მეტისმეტად ძნელია ასეთ ხალხთან მუშაობა. მაგონდება ერთი ასეთი სუბიექტი, ეგრეთწოდებული „ავგუსტი". კარგი მუშაობა იცოდა, მაგრამ საშინლად ბუზღუნა და შარიანი კაცი იყო. ცირკის ლიკვიდაციის დროს ჩემთან მოვიდა და თვალცრემლიანი შემეევედრა, ჩემი ვაჟი რომ აჯირითებდა, ის პონი მაჩუქეო. ეს ცხენი რომ ჰყოლოდა, მართლაც შეიძლებოდა ახალი ანგაჟემენტის იმედი ჰქონოდა. იმდენი მეხვეწა, ისე ლამაზად დამისურათა თავისი შვილის საიმედო მომავალი, რომ მართლაც ვაჩუქე პონი. მადლობა გადამიხადა და წავიდა. წავიდა და... მაშინვე მემწვანილეს მიჰყიდა ეს ცხოველი.

ცირკის მეპატრონედ ყოფნის პერიოდში ბავშვობაში დასახული ერთი გეგმის განხორციელება დავიწყე. საერთოდ, თუ არ ვცდები, ძირითადად საქმოსანი კაცი ვიყავი, მაგრამ უხდა გამოგიტყდეთ, მთავარი მაინც ის იყო ჩემს ცხოვრებაში, რომ გაგიჟებით მიყვარდა ცხოველები. შეუძლებლად მიმაჩნია ასეთ საქმეს მოჰკიდოს კაცმა ხელი, თუ ცხოველები არ უყვარს. დიდი ხანია ერთი ფარული აზრი მიტრიალებდა თავში: ხომ არ შეიძლება, ვფიქრობდი, რომ ცხოველების წვრთნის მკაცრი წესი უფრო ჰუმანურით შეიცვალოს? ცხოველი ისეთივე არსებაა, როგორც ჩვენ, და მისი ინტელექტი ჩვენისაგან განსხვავდება არა არსებითად, არამედ მხოლოდ

* ლათინური გამოთქმაა, ნიშნავს: „მოულოდნელად გამოჩენილი მშველელი". ცნება აღებულია ანტიკური თეატრიდან.

ხარისხითა და ძალით. ცხოველმა იცის ავისა და კარგის გარჩევა. სიკეთის წილ სიკეთეს მოგიზღავს, ბოროტების წილ — ბოროტებას. კარგა ხანია ვამჩნევ, რომ სიმკაცრესთან ერთად სიყვარულითა და დაჟინებით თუ მოვექცევით ცხოველს, შეტს მივაღწევთ, ვიდრე მხოლოდ უხეში ძალის გამოყენებით. აშავე დროს ხანგრძლივი დაკვირვებებით ისიც ვიცი, რომ ცხოველებს სხვადასხვაგვარი უნარი, ხასიათი და ტემპერაშენტი აქვთ. შეუძლებელია ყველას ერთი საზომით მივუდგეთ. ადამიანებივით მათაც ინდივიდუალური მიდგომა სჭირდებათ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მათი ნდობის მოპოვება, მათი უნარის გამოვლინება.

ასეთი შეხედულების კაცს, რასაკვირველია, გული მტკიოდა, როცა ვუყურებდი, რომ ცხოველების გასაწვრთნელად მხოლოდ შოლტს, ორთითასა და გავარვარებულ რკინას ხმარობდნენ მაშინდელი მწვრთნელები. მოხეტიალე ცირკის დირექტორად ყოფნის დროს გადავწყვიტე შემომეღო წვრთნის ახალი სისტემა. საჭირო იყო ცხოველთა ისეთი ეგზემპლარების არჩევა, რომლებიც მათი უნარისდა მიხედვით შეიძლებოდა მეგობრებად მექცია და არა მტრებად.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს ინგლისში ყოფნისას შემთხვევით გავიცანი მხეცების მომთვინიერებელი ჰანოვერელი დეიერლინგი. ავი დღე დაეყენებინა ლომს და საავადმყოფოდან ახალი გამოწერილი იყო. იმხანად უმუშევარი იყო და ჩემთან მოვიწვიე, მაგრამ წინასწარ შევუთანხმდი, რომ მხოლოდ ჩემი სისტემით გაწვრთნიდა ცხოველებს. დეიერლინგი დამთანხმდა და პირველი ცდა სწორედ ნადირთა მეფე ლომზე ჩავატარეთ. 1887 — 1889 წლებში ამ მიზნით ოცდაერთი ლომი შევიძინე. მათგან მხოლოდ ოთხი გამოგვადგა. (ეს ფაქტი, უდავოდ, იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ერთი და იგივე ჯიშის ცხოველები ინდივიდუალური თვისებების მიხედვით ფრიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იმასაც მიხვდება მკითხველი, თუ რაოდენ ძვირი ჯდება ასეთი ექსპერიმენტები). ლომებმა, რომელთაც ტუქსავდნენ და შოლტს უტყლაშუნებდნენ დაუჯერებლობისათვის, მაგრამ ეფერებოდნენ და ხორცით უმასპინძლდებოდნენ დავალების სწორად

შესრულებისათვის, ბევრი რამ შეისწავლეს ასეთი წვრთნით: აწყობდნენ პირამიდებს, სხდებოდნენ სკამებსა და კოფოებზე, შემდეგ ჩამოდიოდნენ და თავთავიანთ ადგილებს უბრუნდებოდნენ. ბოლოს მწვრთნელი ჯდებოდა ანტიკური რომის ეტლისმაგვარ ორთვალაში, რომელშიც სამი ლომი იყო შებმული, და ოთხამოღებით შემოივლიდა ცენტრალურ გალიას (გალია გარდიგარდმო 40 ფუტი იყო). ეს გახლდათ პროგრამის ჭეშმარიტად უდიდესი სენსაცია.

სამი თვის განმავლობაში დეიერლინგის სახელი პირზე ეკერათ საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებლებს, რომელთა წინაშე იგი ყოველდღიურად გამოდიოდა ახალი ცირკის შენობაში თავისი გაწვრთნილი ლომების დასთან ერთად და პროგრამას ყოველთვის ამ ნომრით აგვირგვინებდა. პარიზის შემდეგ ევროპის სახელმწიფოთა დედაქალაქებში მოაწყო ტურნე. 1889 წლიდან, ესე იგი დასის ჩამოყალიბების დღიდან, 1892 წლამდე ერთად მუშაობის მანძილზე ისეთ წარმატებებს მიგაღწია, როგორიც არც ერთ სხვა საქმეში არ მღირსებია. ფიქრად მქონდა ჩემი სისტემით გაწვრთნილი ცხოველების ასეთივე ახალი დასების შექმნა. ამჯერად გარკვეული მიზანი ჰქონდა ამ ჩანაფიქრს. 1893 წელს ჩიკაგოში უნდა გახსნილიყო მსოფლიო გამოფენა. ერთხელ ჰამბურგსა და ბრემენში მყოფ ამერიკელ კონსულებს ვაჩვენე დეიერლინგის ლომების დასი. მათ მაშინვე მოიწონეს ჩემი გეგმა, რომელიც ჩიკაგოში ცირკის წაყვანას გულისხმობდა. ახლა ადვილია ამის დაწერა, მაგრამ შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ საძნელო საქმე იყო ეს, რამდენი დაბრკოლების გადალახვა მომიხდა. საჭირო იყო საქმიანი, უნარიანი ვაჟკაცი ხალხი.

სანამ ჩემი გეგმის განხორციელებას შევუდგებოდი, უნდა შემერჩია გამოსადეგი ხალხი, ესე იგი ვაჟკაცი, საქმიანი და უნარიანი ადამიანები, რომელთაც ამავე დროს ცხოველები ეყვარებოდათ. არჩევანი ჩემს ცოლისძმა მერმანზე შევაჩერე, რომელიც უკვე იმხანად ჩემი ცირკის ხელმძღვანელი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ბუნებისაგან დაჯილდოებული იყო ცხოველების მწვრთნელისათვის საჭირო თვისებებით. როდესაც ამის შესახებ ვუთხარი მერმანს, შორს დაიჭირა და

კლასიკური პასუხი შემაგება: „დამცინი თუ?“ „გულახდილად გითხარი ჩემი აზრი, — მივუგე მე. — არ გაძალებ, მაგრამ, თუ სურვილი გაქვს და ვაუკაცობაც გეყოფა, მოიფიქრე. შენ ძალიან გიყვარს ცხოველები და აბიტომ დარწმუნებული ვარ, რომ არ გაგიჭირდება ეს საქმე“. მერმანი მოლბა. „თუ შენ გჯერა ამ საქმის წარმატების, — მიპასუხა მან, — მაშინ ვცადოთ“.

დავიწყეთ მზადება. ვიყიდე რამდენიმე ახალგაზრდა ცხოველი, დროებით ჩემს ბაღში დავდგი დიდი გალია. ასე დაიწყო მერმანის კარიერა. პირველი საბი კვირის განმავლობაში იგი ჩემი მითითების მიხედვით წვრთნიდა ცხოველებს. მაგრამ უკვე ათი დღის შემდეგ მითხრა, ახლა დამოუკიდებლადაც შემიძლია გავაგრძელო, მხოლოდ გამოცდილი კაცი მიშოვე, მცველად რომ დამიდგესო.

ჯგუფში საკმაოდ ბევრი ცხოველი გვყავდა, თანაც სხვადასხვა ჯიშის ეგზემპლარები. მართლაც რომ სენსაციურ სანახაობას წარმოადგენდა ჩვენი დასი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა თორმეტი ლომი, ორი ვეფხვი, რამდენიმე ჯიქი, ორი მურა და ერთი თეთრი დათვი. პირველ რიგში ეს მოუსვენარი ელემენტები უნდა შეგვეჩვია ერთად ყოფნის. ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო, მაგრამ მაინც შევძელით ამ სიძნელის პრაქტიკულად გადალახვა. ორ კვირას არ გაევლო, რომ ცხოველები უკვე ეთამაშებოდნენ ერთმანეთს და დამეგობრებასაც იწყებდნენ. საინტერესო საყურებელი იყო მათი თამაში დიდ გალიაში. წრის შუაში იდგნენ მწვრთნელი და მცველი მეთვალყურე, რათა საჭიროების შემთხვევაში გრძელი წვრილი ორთითათი ჭკუა ესწავლებინათ „მოხულიგნო“ ელემენტებისათვის, რომლებიც შეეცდებოდნენ ხუმრობიდან ნამდვილ ჩხუბზე გადასვლას. სხვა დროს ორთითას არც კი ვხმარობდით, სავსებით კმაროდა მოფერება და საჩუქარი: ხორცის ნაჭერი „კატებისა“ და შაქრის ნატეხი — დათვებისათვის!

გაცილებით მოკლე ვადაში, ვიდრე ამას ვვარაუდობდით, კერძოდ, 1890 წლის ზამთარში, ცხოველები უკვე ისე კარგად იყვნენ გაწვრთნილნი, რომ ანგაჟემენტის აღებაზე ვფიქრობდი. მომდევნო წლის გაზაფხულზე დავიწყეთ წარმოდგენების

გამართვა ლონდონის კრისტალ-პალასში. ამჯერად ძველი ფურგონების ნაცვლად ვიყენებდით ვეებერთელა გალიას, რომლის სიგანეც 40 ფუტს აღწევდა. ლონდონელები აღტაცებული იყვნენ. წარმოდგენას დაესწრო ორი ამერიკელი, რომელთაც 50 ათასი დოლარი შემომაძლიეს ნაღდად ჩემს ცირკში. უარი ვუთხარი, რადგან ჩიკაგოში ვაპირებდი ცირკის წაყვანას საგასტროლოდ. .რა ვიცოდი, რომ ჩემმა პასუხმა 200 ათასი მარკა დამაკარგვინა.

ჰამბურგში რომ ჩამოვიყვანე ჩემი ცხოველები, გამოირკვა, თურმე ყველანი ქოთაოთი იყვნენ დასნებოვნებულნი. სასწრაფოდ ვიხმე ჩემი მეგობარი ვეტერინარი ექიმი კოლიხი, მაგრამ ცხოველების გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა. შემდეგში შევიტყვე, რომ თურმე ლონდონში ყოფნისას უვარგის ხორცს გვიგზავნიდა ცხოველების საკვებად უსინდისო მეხორცე, მაგრამ ეს ხომ საქმეს არ უშველიდა. ზედიზედ დაიხოცნენ ჩემი საცოდავი „მსახიობები“. სიკვდილის წინ ისე საშინლად იტანჯებოდნენ, რომ მათ საცოდაობას ვერ ვუძლებდი და სწრაფად მოქმედი შხამით ვუსწრაფებდი სიცოცხლეს.

მსოფლიო გამოფენა კარზე იყო მომდგარი. როგორღა უნდა მომესწრო დანაკარგის ანაზღაურება, ცხოველთა ახალი დასის შეკრება და გაწვრთნა? საბედნიეროდ, კიდევ მყავდა რამდენიმე ცხოველი — ორი მშვენიერი ვეფხვი, ერთი დათვი და ექვსი ლომი. მეცოტავებოდა. ამიტომ სასწრაფოდ გავაგზავნე ტელეგრამა ინდოეთში, რათა გამოეგზავნათ ორი ახალგაზრდა ვეფხვი. 1892 წლის გაზაფხულზე ისინი მშვიდობიანად ჩამომიყვანეს ჰამბურგში, მაგრამ არაფერში გამომდგომიან, ერთი ავადმყოფი გამოდგა — შავი წყალი ჰქონდა. მეორე ისე გაეღიზიანებინათ გემზე მეზღვაურებს, რომ გაწვრთნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ხოლო დანარჩენი ცხოველები მეტისმეტად ახალგაზრდები იყვნენ. თითქოს კვალში ჩამიდგა უბედურება. ორ თვესაც არ გაევლო, რომ ცხოველები ავად გახდნენ, დაეწყოთ პირღებინება, კრუნჩხვები და ზედიზედ დაიხოცნენ. ვერა და ვერ ამოვიცანით ეს იდუმალი სენი, რომელმაც ყველა ახალგაზრდა მხეცი ამოგვიწყვიტა. ასაკოვანი ცხოველებიც დაავადდნენ, მაგრამ სიკვდილს გადარჩნენ.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შევიტყვეთ ამ უჩვეულო სიკვდილიანობის საიდუმლო. 1892 წლის აგვისტოში ჰამბურგში იფეთქა ქოლერის ეპიდემიამ. ასეთი რისხვა ჩემს მშობლიურ ქალაქს არ დასტყდომია თავს 1842 წლის ცნობილი ხანძრის შემდეგ.

მეტი რაღა გიამბოთ ამ უბედურების შესახებ. ჩემი ახალგაზრდა ცხოველები თითქოსდა წიხამორბედნი იყვნენ ამ საშინელების, რომელმაც იმავე წლის შემოდგომაზე ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. მძიმე დრო დამიდგა. საშინელმა დანაკლისმა ლამის სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. ცხოველების ამოწყვეტამ 70 ათასი მარკა მაზარალა. საბრუნავი კაპიტალი გამომელია. მაგრამ ერთმა ნაცნობმა ბანკირმა ხელი გამიმართა და კრედიტი გამიხსნა. ასე ვიშოვე ჩიკაგოში წასვლისათვის საჭირო თანხა. ჩემმა ძმამ ვილჰელმმა გაწვრთნილი ცხოველების სამი ჯგუფი მომყიდა. მერმანმაც წარმატებით დაამთავრა გადარჩენილი მხეცების მოთვინიერება. 1892 წლის 16 აგვისტოს ხომალდმა „ავგუსტა-ვიქტორიამ" აფრები აუშვა და ამერიკისაკენ აიღო გეზი. მაინც მივაღწიე ჩემსას. ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე შევიტყვე. რომ ჰამბურგს ქოლერის ეპიდემია მოსდებოდა. ამერიკის პრესას საერთოდ გაზვიადება სჩვევია. მაგრამ ისეთი საშინელი ცნობები გამოქვეყნდა, რომ ტანში გამცრა. კორესპონდენტები აღწერდნენ ჰამბურგელების მასობრივი გაწყვეტის შემზარავ სურათებს. მაშინვე უკან დაბრუნება მინდოდა, მაგრამ ცოტა რომ დავმშვიდდი და საღი გონებით განვსაჯე, გადავიფიქრე. მართლაცდა, ვის რას უშველიდა ჰამბურგში ჩემი დაბრუნება. ჩავედი ჩიკაგოში. მსოფლიო გამოფენაზე ჩემი კონტრაქტი რომ გავაფორმე, ჩრდილოეთ გერმანიის ლოიდის გემ „ლანზე" ავედი და სამშობლოსაკენ გამოვწიე. 7 სექტემბერს ჩამოვედი ბრემენში, რადგან ჰამბურგის ოთხივე გემი კარანტინში იდგა. როდესაც გვერდით ჩავუარეთ ამ გემებს, მგზავრები ცხვირსახოცების ფრიალით მოგვესალმნენ. გული დამეთუთქა. გამახსენდა ჩემიანები, რომელთა შესახებ არაფერი ვიცოდი.

როგორც იქნა, ჩამოვაღწიე ჰამბურგში. ცოლმა მაშინვე მომახარა, ოჯახში ყველანი კარგად ვართო. მაგრამ ქალაქი

კი მართლაც არ იცნობოდა. ქუჩები დაცარიელებული იყო. ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ, დარაბები დაეხურათ. ყველგან გლოვა და ზარი იდგა. ასეთ მდგომარეობაში ჩემი ქალაქი არასოდეს მენახა. სიკვდილს თავისი მსახვრალი ხელით ჩაეკლა ქალაქის ცხოვრება. ქუჩაში რომ მივდიოდი, საშინელი სევდა შემომაწვა გულზე, და სამარცხვინოდ არ მიმაჩნია გითხრათ, რომ ცრემლი ვეღარ შევიკავე.

ჩიკაგოში ექსპედიციის მოწყობას თითქოს ავი სული დასტრიალებდა თავს. სამი კვირის ჩამოსული ვიყავი ჰამბურგში, რომ ამერიკელი კომპანიონისაგან ტელეგრამა მივიღე. მატყობინებდნენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებ ჩიკაგოში ცხოველების ჩამოყვანის უფლებას, თუ ახლავე წაიყვან მათ ინგლისში და გაზაფხულამდე იქ ამყოფებო. ამერიკის მთავრობას აუცილებლად მიაჩნდა ასეთი კარანტინი, რათა თავიდან აეცილებინა ქოლერის გავრცელება. ჩემთვის ეს მოულოდნელი სიურპრიზი ნამდვილი რისხვა იყო. სასწრაფოდ უნდა გავმგზავრებულიყავი ინგლისში და შესაფერისი ადგილი მეშოვნა ცხოველების გამოსაზამთრებლად. ბლეკპულში არსებობდა საზოგადოება „ტაუერი“, რომელთანაც მე მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ბევრიც არ მიფიქრია, მაშინვე გავემგზავრე ინგლისში. როგორც იქნა, დავითანხმე საზოგადოება და ნება მივიღე მის კუთვნილ თავისუფალ ნაკვეთზე ამეშენებინა დროებითი ნაგებობა, რომელიც ჩემი ცხოველების საზამთრო თავშესაფარი იქნებოდა.

სამ კვირაში ყველაფერი მოვაგვარე. დაახლოებით ასი ცხოველი ჩამოვიყვანე გერმანიიდან. მაგრამ არ იკითხავთ, რა დამიჯდა ეს იძულებითი კარანტინი? იმისათვის, რომ მკითხველს მიახლოებითი წარმოდგენა მაინც ჰქონდეს ამაზე, გეტყვით, ინგლისიდან ამერიკაში მხეცების გადაყვანას ასი ათასი მარკა დასჭირდა. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი იყო ამ შორეული ექსპედიციისა. ასე იყო, თუ ისე, 1893 წლის მარტის დასაწყისში ნიუ-იორკის გავლით ჩიკაგოში გავემგზავრე და 20 მარტს მშვიდობიანად ჩავედი დანიშნულების ადგილზე.

უდიდეს საერთაშორისო გამოფენათა შორის ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენას ბევრი რამით პირველი ადგილი უჭი-

რავს. ჩიკაგო უზარმაზარი ქალაქია, ფუსფუსა, მოუსვენარი. ამერიკის დასავლეთის დედაქალაქად ითვლება. გამოფენისათვის მზადების დღეებში ხომ ნამდვილი ციებ-ცხელება დაიწყო. მე ვფიქრობ, ამერიკული სპეკულაციური სული არსად არ აყვავებულა ისე ძლიერად, როგორც ჩიკაგოში. მზის სხივებით ანთებული და დამშვენებული სუმახის* ალისფერი ფოთლები ზღაპრულ სილამაზეს ქმნიდა ვეებერთელა ჰაიდპარკში. სწორედ ამ პარკის გარშემო ააგეს ნაირგვარი საგამოფენო შენობები, რომლებშიც ათასობით ადამიანი ფუტკარივით ფუსფუსებდა და საქმიანობდა. განსაცვიფრებელი სიდიდის ოტელები ააგეს ლითონის ცხაურა ამწეებისაგან. გამოფენის ტერიტორიაზე და მის გარეშემო გაცხოველებული მშენებლობა იყო გაშლილი. კაცი იფიქრებდა, ამ ხალხმა ფულის ყადრი არ იცის და ამიტომ ფლანგავს ასე ხელგაშლითო. მაგრამ სინამდვილეში ასე როდი იყო. თუ რამ კეთდებოდა დღეს, მხოლოდ ხვალინდელი მოგების იმედით. ფრთა გაშალეს მხატვრებმა და არქიტექტორებმა. შემოქმედებითი გააზრების ხორცშესხმის, ჩანაფიქრის განხორციელების ასეთი უკიდეგანო შესაძლებლობა სხვა დროს არც კი მოსწრებიათ მათ. „ათას ერთი ღამის“ სიზმარსა ჰგავდა ოქროსფრად ნოვარაყებული გუმბათით დამშვენებული ადმინისტრაციული შენობა. სამრეწველო განყოფილება მოეწყო „მსოფლიოს უდიდეს სახურავზე“, გრძელი, წაწვეტებული შენობის თავზე. ეს უჩვეულო ნაგებობა იყო სიმბოლო ამერიკელების მიდრეკილებისა ბუმბერაზული მასშტაბებისადმი, ყველაფერში სიძლიერის გამოჩენისადმი. ეს იყო ამერიკელი მშენებლების ექსპანსიურ მისწრაფებათა ჭეშმარიტი ტრიუმფი. მიჩიგანის ტბის ლაქვარდებიდან რომ გახედავდით, ზღაპრულ ფერიას ჰგავდა გამოფენის მთელი ტერიტორია. ვეებერთელა მოედანზე განლაგებული იყო ხუთასამდე საგამოფენო შენობა. ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენის ეგრეთწოდებულ „მხიარულ ქუჩაზე“ (Midway plaisance) ცაში ატყორცნილიყო გიგანტური

---

* სუმახი — შხამიანი წვენის მქონე მცენარე, რომლისგანაც საღებავი მზადდება. მისი ფოთლები შეიცავს საღებავ და მთრიმლავ ნივთიერებებს, რომლებიც გამოიყენება საფეიქრო და ტყავის მრეწველობაში.

ბორბლის ლითონის ნაწილები. ყველგან გახურებული მუშაობა მიდიოდა. შენდებოდა გერმანული სოფელი, ირლანდიური ციხე-კოშკი, სილამაზის საერთაშორისო გამოფენა, თურქული კაფე. მაგრამ გამოფენის ამ კვარტალის ყველაზე უფრო სენსაციური ღირსშესანიშნაობა პირველიდან უკანასკნელ დღემდე „ჰაგენბეკის ზოოლოგიური არენა“ გახლდათ.

გამოფენის გახსნამდე ერთი თვე იყო დარჩენილი, ჩიკაგოში რომ ჩავედი, ელდა მეცა: ჩემი კომპანიონის ცხობა ტყუილი გამოდგა, სანახევროდაც კი არ იყო მზად ჩვენი არენის მოსაწყობად გათვალისწინებული შენობა. მუშების გაფიცვასა და ცუდ ამინდს შეეფერხებინა მუშაობა. მტკიცედ მოვითხოვე ახლავე დაიქირავეთ სხვა მუშები-მეთქი. აპრილის შუა რიცხვებში მერმანს ცხოველები უნდა ჩამოეყვანა ჩიკაგოში და ღია ცის ქვეშ ხომ ვერ დავტოვებდი მათ. ჩემდა ჭირად, იმ წელიწადს მეტისმეტად ცივი ამინდები დაიჭირა აპრილში. დაუმთავრებელ შენობაში საშინლად ციოდა, ბევრი ძაიმუნი და თუთიყუში დამეხოცა. გამოფენის გახსნამდე დაახლოებით ორი ათასი დოლარი ვიზარალე ცხოველების ამოწყვეტით. ისღა მანუგეშებდა, რომ გაწვრთნილი მხეცები გადარჩნენ.

მსოფლიო გამოფენის გახსნას ერთი კვირა აკლდა, რომ ახალი უბედურება დამატყდა თავს. ჩემი ცოლისძმა მერმანი ტიფით გახდა ავად და იძულებული გავხდით საავადმყოფოში მოგვეთავსებინა. აბა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ორი დღის შემდეგ უნდა მოგვეწყო სარეკლამო წარმოდგენა გამოფენის ადმინისტრაციისა და პრესის წარმომადგენელთათვის, რომლებიც შეერთებული შტატების ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ჩიკაგოში. სხვა რა გზა მქონდა, მე თვითონ უნდა შევსულიყავი გალიაში.

თავით ფეხებამდე შავ ტანსაცმელში გამოვეწყვე, ავიღე ხელჯოხი, შევედი ცენტრალურ გალიაში და სიტყვით მივმართე შეკრებილთ. ავუხსენი რაც მოხდა, მთავარი მწვრთნელი უცაბედად ავად გაგვიხდა, მე კი ხუთი თვეა, ცხოველებს არც კი მივკარებივარ-მეთქი. „მაგრამ რაც კი შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ კარგად ჩაიაროს წარმოდგენამ.

თუ, მიუხედავად ჩემი მოწადინებისა, თქვენი იმედების გამარ-თლებას ვერ მოვახერხებ, გთხოვთ გაითვალისწინოთ შექმნილი სამწუხარო გარემოება და მაპატიოთ". ასე დავამთავრე ჩემი სიტყვა და გალიის კარი გავაღე. ფრუტუნითა და ბუზღუნით შეშოძუნძულდნენ ჩემი მხეცები. ლომებმა, ვეფხვებმა და დათვებმა თავთავიანთი ადგილები დაიკავეს. დარაჯმა საჭირო რეკვიზიტი მოიტანა და წარმოდგენაც დაიწყო. თავისთავად ცხადია, რომ თავი არ დამიზოგავს, რაც კი გამოცდილება მქონდა, მოვიმარჯვე და ფრთხილად, მაგრამ ენერგიულად დავიწყე ნომრების შესრულება. ბედმა გამიღიმა. არც ერთი ინციდენტი არ მომხდარა. მაყურებლები განუწყვეტლივ ტაშს გვიკრავდნენ. ერთი სიტყვით, ბრწყინვალე წარმატება მხვდა წილად. როდესაც უკანასკნელი ვეფხვი გავიდა გალიიდან. დარბაზმა მქუხარე ოვაცია მომიწყო. აღტაცებულმა მაყურებლებმა სამჯერ გამომიწვიეს მანეჟზე. გამოფენის მომწყობმა კომისიამ ფრიად მოიწონა ჩემი პროგრამა და წარმატება მომილოცა. გარს შემომეხვიენ რეპორტიორები, სეტყვასავით დამაყარეს კითხვები, ყველაფრის გაგება სურდათ, რათა მეორე დღეს მკითხველთათვის დაწვრილებით მოეთხროთ სენსაციური ამბები, გამოექვეყნებინათ საინტერესო ილუსტრაციები.

ფრიად კმაყოფილი დავრჩი დასაწყისით. გული სიამით მქონდა სავსე. იმ დღიდან ჩემი ცირკი გამოფენის „მხიარული ჭუჭის" მთავარ ატრაქციონად გადაიქცა. ათასობით მაყურებელი უწყვეტ ნაკადად მოეშურებოდა ჩემი მხეცების სანახავად. წარმოდგენების ჩატარებაში მალე შემენაცვლა რიჰარდ სავადე, მთავარი დარაჯი, რომელსაც ადრე მწვრთნელობას ვასწავლიდი. ბოლოს კი, გამოფენის გახსნიდან თვეზე ცოტა მეტი რომ იყო გასული, მერმანიც დაგვიბრუნდა, რომელიც იმდენად გამოჯანსაღდა, რომ თავისუფლად შეეძლო თავისი მოვალეობის შესრულება.

რამდენიმე კვირის შემდეგ კიდევ უფრო დიდ წარმატებას მივაღწიეთ, როდესაც პროგრამა ახალი ნომრებით შევავსეთ. დეიერლინგმა გაწვრთნა ოთხი ლომი, შეაბა რომაულ ეტლში და ყოველ საღამოს წრეს უვლიდა მანეჟზე. ყურთასმენა აღარ

იყო აღტაცებული მაყურებლებისა და ტაშისცემისაგან. ცირკის არენაზე ასეთი ნომრის ჩვენება პირველი იყო. მომთვინიერებელ ფილადელფოსს ცხენზე შემჯდარი ლომი გამოჰყავდა მანეჟზე, ვილი ჯაჯს — გაწვრთნილი სპილოები, ჯამბაზ ბეკეტოვს კი... ღორები, რომელთა დანახვაზე დარბაზი განუწყვეტლივ ხარხარებდა.

სამწუხაროდ, გვარიანად შევცდი ჩემი ამერიკელი კომპანიონების შეფასებაში. საერთო ენა ვერ გამოვნახე ამ საქმოსან ხალხთან. ჩემი მდიდარი გამოცდილებისათვის რომ დაეჯერებინათ, ხუთჯერ მეტი იქნებოდა ჩვენი შემოსავალი. მიუხედავად ამისა, მაინც კმაყოფილი ვიყავი მოპოვებული წარმატებით. მართალია, გასტროლების დროს ნაშოვნი მთელი ფული უკანასკნელ ცენტამდე ამერიკაში დამატოვებინეს, მაგრამ სინანული რას უშველიდა საქმეს.

გამოფენის დახურვის შემდეგ ახალი კომპანიონების ძებნას შევუდექი. ამჯერად მეტ სიფრთხილეს ვიჩენდი და რატომღაც მეგონა, რომ თუკი წინასწარ სათანადო ხელშეკრულებას გაკაფორმებდი, ხიფათისაგან დაზღვეული ვიქნებოდი. ნურას უკაცრავად! ევროპაში რომ დავბრუნდი, ჩემი ზოოლოგიური ცირკი ჰაგენბეკის ალმით მოგზაურობდა შეერთებულ შტატებში. ადგილობრივ მესვეურთ საქმისათვის თავი ვერ გაერთმიათ და დიდ ვალში ჩავარდნილიყვნენ. ისევ მე გავები ხათაბალაში. ცირკი ჩემი ფირმის სახელს ატარებდა და ამიტომ მევე უნდა მეზღო ყველაფერი. ერთი სიტყვით. ოცდაათიათასი დოლარი დამიჯდა ეს მარცხი. ასე რომ, ჩიკაგოში ნაშოვნი ფული თითქმის მთლიანად უკანვე დავუბრუნე ამერიკელებს.

ასე დამთავრდა ჩემი საგასტროლო მოგზაურობა ამერიკაში. 1895 წლის ზაფხულში მთელი ზოოლოგიური ცირკი ჰამბურგს დაბრუნდა. გაწვრთნილი ცხოველების ჯგუფი ცოტა ხნის შემდეგ ჩემს ცოლისძმას გავატანე ევროპაში სამოგზაუროდ. დასმა მოიარა ბაზელი, სტრასბურგი, კოპენჰაგენი, ნიცა. ნიცაში გამოიზამთრეს და 1896 წლის გაზაფხულზე გერმანიის ქალაქებში განაგრძეს ტურნე; ეს გასტროლები დამთავრდა ბერლინში მოწყობილ სახელოსნო გამოფენაზე მოპოვებული ბრწყინვალე წარმატებით.

1904 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული მეორე მსოფლიო გამოფენის დროს სან-ლუისში ჩემს ამერიკელ მეგობრებთან ერთად ავაშენე მონუმენტური შენობა „The Zoological Paradis and Trained Animal circus"* ვეებეებერთელა ოცმეტრიან პორტალებს ჰაგენბეკის სახელი ამშვენებდა. ფირმის წარმომადგენელი ამჯერად ჩემი უმცროსი ვაჟიშვილი ლორენცი იყო. ჩვენმა ცირკმა იმ ხანებში მთელი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა შემოიარა. მისისიპის სანაპიროებზე, ისევე როგორც რიო-დე-პლატაზე, უდიდესი წარმატება გვხვდა წილად.

* ზოოლოგიური სამოთხე და გაწვრთნილი ცხოველების ცირკი.

V

როგორ ვწვრთნიდი გარეულ მხეცებს

ბევრს ალბათ უკვირს, ამ კაცს სხვადასხვა ჯიშის ათასობით გარეული მხეცი ჰყავდა და ისე როგორ გადარჩა, ერთმა მაინც არ შესანსლაო. რა თქმა უნდა, ჩემი სიფრთხილისა და ნაწილობრივ სიმარჯვის წყალობით მოხდა, რომ არ დამფლითა ვეფხვმა, არ გამთელა სპილომ, რქებზე არ წამომაგო კამეჩმა, არ მომახრჩო გველმა. ასეთი ფათერაკი კი ბევრჯერ გადამხდენია თავს და ზოგიერთ მათგანზე ალბათ მოვუთხრობ ჩემს მკითხველს. მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ადამიანები ხშირად უსამართლოდ ეჭცევიან მხეცებს და გაცილებით უფრო ცუდი წარმოდგენა აქვთ მათზე, ვიდრე ეს სინამდვილეშია. შეგიძლიათ თამამად მენდოთ და დამიჯეროთ, რომ მე მყავდა ნამდვილი მეგობარი მხეცები — ლომები, ვეფხვები, ავაზები, რომელთაც ისევე ინტიმურად და ნდობით ვეჭცეოდი, როგორც შინაურ ძაღლს.

დედამიწის ყველა კუთხეში ბინადრობენ ჩემი ძველი მეგობრები — ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები. საგულდაგულოდ ჩაკეტილ ფარდულებსა და გალიებში გამოუმწყვდევიათ ისინი. ხანმოკლეა მათი ცხოვრება. მალე ბერდებიან და იხოცებიან. ასე რომ, ჩემი მოგონებების უმეტესი ნაწილი წარსულს ეხება. ჩემს მეგობარ ცხოველთა შორის მაგონდება ერთი ვეტერანი, ვეებერთელა ლომი, რომელიც ჩემს ზოოლოგიურ პარკში ორი თვის განმავლობაში ყოფნის

შემდეგ კელნის ზოოლოგიურ ბაღს მივყიდე. მალე დაბერდა და დაძაბუნდა, მაგრამ მაინც არ დავვიწყებივარ. ერთხელ, კელნისაკენ რომ მივემგზავრებოდი, მატარებლის ვაგონში სანაძლეო დავდე, რომ ბებერი ლომი შორიდანვე მიცნობს ხმაზე-მეთქი. ჩემს კუპეში მყოფმა თანამგზავრებმა უნდობლად შემომხედეს. ნაძლევი კი მაინც მოვიგე, რადგან როგორც კი შევეხმიანე, ბებერი ლომი მაშინვე გალიის კარს ეცა და მანამდე არ დაწყნარდა, სანამ ხელით არ მოვეფერე. მსგავსი ამბავი შემემთხვა ნიუ-იორკის ზოოლოგიურ ბაღში. ბაღის დირექტორი დოქტორი ჰორნადეა ფრიად განცვიფრებული დარჩა, ორმა ლომმა და ერთმა ვეებერთელა ვეფხვმა რომ მიცნეს და სიხარულით შემეგებენ.

სხვათაშორის, ოკეანის გადაცურვა სულაც არაა საჭირო იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორ იცის მხეცმა შეჩვევა. ზოოპარკის შემოვლის დროს უფრო დიდხანს სწორედ მტაცებელი მხეცების გალიებთან ვჩერდები და გაოცებული ხალხი საკუთარი თვალით ხედავს, თუ როგორ მორბიან ჩემს დაძახებაზე გალიის ცხაურისაკენ მხეცები და როგორ ცდილობენ ხელები დამილოკონ. ყველა ცხოველი ძალიან მიყვარს. ძვალსა და რბილში მაქვს ეს გამჯდარი. მაგრამ ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობრები მტაცებელი მხეცები არიან. მათი შენახვა და მოვლა-პატრონობა ძალიან ძვირი ჯდება, მაგრამ ბევრ მათგანს გაცილებით მეტ ხანს ვიტოვებ, ვიდრე ჩემი საქმიანობა მოითხოვს ამას. ხშირად საკმაოდ სარფიან წინადადებაზეც კი მითქვამს უარი მხოლოდ იმიტომ, რომ მეძნელებოდა ალერსიანი ერთგული მეგობრის გამეტება.

ბევრი რამ, რასაც ახლა ვწერ, შესაძლოა პარადოქსალურად მოგეჩვენოთ. ხალხს სჯერა, რომ მტაცებელი მხეცი დაუნდობელი, ცბიერი და ვერაგია. არ არიან მხეცები დაუნდობელნი. ბუნებამ ახალი ხორცი დააწესა მათ საკვებად. ამიტომ იძულებული არიან სისხლი დაღვარონ და ისე ირჩინონ თავი. ის რატომღა გვავიწყდება, თუ რამდენ მილიონ ცხოველს ვხოცავთ ჩვენ ყოველწლიურად ადამიანის საჭმელად. რამდენ თევზს ვიჭერთ, რამდენ ნადირსა და ფრინველს ვწყვეტთ ადამიანის კუჭის საამებლად. იმაზე რაღას ვიტყვით, რომ სხვადასხვა

მოსაზრებათა გამო კაცი თავის ძმასა და თვისტომს კლავს ომში? ეს კი არ არის დაუნდობლობა?

ისევე როგორც ჩვენ, მტაცებელ ცხოველებსაც უყვარო თავიანთი შვილები. ახასიათებთ სინაზე, იციან სიკეთის დაფასება, შეჩვევა და ერთგულებაც. ისევე როგორც ადამიანთა საზოგადოებაში, ცხოველებშიც გამოერევიან ხოლმე ხულიგნები და ცუდი აღზრდით გაფუჭებული ეგზემპლარები. ვერც ერთი ჩემი თანამედროვე ტოლს ვერ დამიდებს, იმდენი სხვადასხვაგვარი ექსპერიმენტი მაქვს ჩატარებული მხეცებთან და ამიტომ საკუთარი გამოცდილებით შესანიშნავად ვიცი, თუ რაოდენ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება მხეცების მოთვინიერებითა და გაწვრთნით.

სხვადასხვა ჯიშის გარეული მხეცების პირველი ჯგუფი შამაჩემმა ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების ბოლოს იყიდა. ერთი მათგანი იყო უზარმაზარი ბენგალიური ვეფხვი, მეორე ჯიქი, დანარჩენი კი ძაღლები. ისინი ერთ გალიაში ცხოვრობდნენ და „ერთი გობიდან“ ჭამდნენ. ზედიზედ რამდენიმე წელიწადი სამხეცესთან ერთად მოგზაურობდა ეს ჯგუფი საგასტროლოდ და ერთხელაც არ მოსვლიათ ჩხუბი. სამოცდაათიან წლებში ერთი პატარა მაიმუნი მყავდა. ჰამბურგში იგი აფრიკიდან ჩამომიყვანეს ორ ახალგაზრდა ლომთან ერთად. ეს მოგზაურობა მაშინ სამოცი-სამოცდაათი დღე გრძელდებოდა და გზაში ცხოველები დამეგობრდნენ, როგორც ტოლი-ტოლს ისე ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. რამდენიმე თვის შემდეგ სამეულისაგან შემდგარი ეს ჯგუფი მივყიდე ერთი სამხეცის მეპატრონეს, ვინმე ალბერტ კალენბერგს, რომელიც შემდეგ წლების განმავლობაში ბაზრობებზე დაატარებდა მათ. მაიმუნს აძლევდნენ ხორცის პატარა ნაჭერს, ლომებს, რასაკვირველია, უფრო დიდი ულუფა ეძლეოდათ. თვითეული მათგანი მიირთმევდა მისთვის განკუთვნილ საჭმელს. არც გაუგებრობა ხდებოდა, არც ჩხუბი. ერთი სიტყვით, სრული ჰარმონია სუფევდა გალიაში. მაგრამ ერთხელ საცოდავმა მაიმუნმა თავხედობა ჩაიდინა. მსუნაგობამ წასძლია, გაკადნიერდა და ნადირთა მეფეს ძვალი წაართვა. განცვიფრებულმა

ლომმა თათი დაარტყა თავგასულ მასხარას და სული გააცხებინა.

ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ თურმე ისე დაამწუხრა ლომები, რომ როგორც კალენბერგმა მიამბო, რამდენიმე დღის განმავლობაში საცოდავად ბღაოდნენ. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა, მხეცებმა გამოიგლოვეს სამეფო კარის ტაკიმასხარა და ყველაფერი დავიწყებას მიეცა.

რაც მე მხეცები მინახავს, მათ შორის ყველაზე მძვინვარე იყო ერთი ვეფხვი, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში ინდოეთის ტრანსპორტმა ჩამომიყვანა კალკუტიდან. ბენგალიური ჯიშის იყო, ტანად უზარმაზარი. რამდენიმე თვის წინ დაეჭირათ და თავისუფლების დაკარგვას ჯერაც ვერ შერიგებოდა. როგორც კი მივუახლოვდი, მაშინვე ჩემსკენ გამოექანა, გალიიდან წინა თათი გამოყო და დარტყმა მომინდომა. მსწრაფლ გვერდზე გავხტი და ხელმოცარული დავტოვე მრისხანე მხეცი. არაფრად მომეწონა მისი ქცევა და შევუწყალერი. რამდენიმე დღის განმავლობაში ღრიალით ვეხმიანებოდი, ვცდილობდი მისთვის ძიმებაძა, თითქოს და მისსავე ენით ველაპარაკებოდი. ამან გასჭრა, უფრო მშვიდად მხვდებოდა. როგორც კი დამინახავდა, გალიის კედელს მოაწყდებოდა, მაგრამ ბრჭყალებგამოწეულ თათს აღარ მიღერებდა. ერთი კვირის შემდეგ ყოველ შემოვლაზე ხორცის ნაჭერი მომქონდა მისთვის ძღვნად, რადგან, თუ ცხოველის გულის მონადირება უნდა კაცს, კუჭი უნდა ამოუძღოს. უკვე ერთი თვის შემდეგ ხელის ძოკიდების უფლებას მაძლევდა. თანდათან მოთვინიერდა, თავის ნებით მოადგებოდა ხოლმე გალიის ცხაურს, წამოწვებოდა და მოფერების ნებას მაძლევდა (შემდეგ სხვებსაც „უწყალობა“ ეს უფლება). ბოლოსდაბოლოს ისეთი თვინიერი გახდა, რომ შემეძლო გამეყიდა. იგი დრეზდენის ზოოლოგიურმა ბაღმა შეიძინა.

საბედნიეროდ, ძალზე იშვიათია, რომ დაჭერილი ცხოველი ადამიანს დაესხას თავს და დაგლიჯოს. უფრო ერთმანეთში მოდით ჩხუბი მხეცებს, განსაკუთრებით ეს მაშინ ხდება, როდესაც მომვლელები სათანადოდ არ ადევნებენ თვალყურს და დროულად არ განაცალკევებენ. ადამიანებისა არ იყოს. მა-

თი ჩხუბის მიზეზიც უმეტეს შემთხვევაში გახლავთ „chercher la femme!“ ცხოველების ერთ ჯგუფში, რომელიც ჰენრის ბერმანს საგასტროლოდ ჰყავდა ჩიკაგოში, ბერლინსა და სხვა ქალაქებში, იყო კაპშტადტიდან (კეიპტაუნიდან). ჩამოყვანილი ლომი ლეო და ვეებერთელა ბენგალიური ვეფხვი კასტორი. ლომი მარტოხელა იყო, ვეფხვს კი მეტად ლამაზი ბენგალიური ძუ ჰყავდა ცოლად. ნუ გეწყინებათ, ადამიანებო, ცხოველები უფრო მგრძნობიარენი არიან. მაგრამ მათ მხოლოდ გარკვეულ პერიოდში იციან სიყვარული. და აი, როდესაც ეს პერიოდი დაუდგა ლომს, შეუყვარდა ძუ ვეფხვი და მეტოქეებს შორის „შავმა კატამ გაიარა“. ხვადი ვეფხვი საშინლად ეჭვიანი გამოდგა. ლომს კი თავისი ძალ-ღონის იმედი ჰქონდა, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა „ქმრის ეჭვიანობას“ და უბოდიშოდ ეარშიყებოდა ზოლებიან ლამაზმანს. ერთხელ დილით ნოიენ-პფერდმარკტზე მდებარე ჩემს ზოოლოგიურ ბაღში სეირნობისას საშინელი ღრიალი შემომესმა. მაშინვე გალიისაკენ გავიქეცი. გამძვინვარებულ მხეცებს დუელი გაემართათ. უკანა თათებზე შემდგარიყვნენ და ისე გამეტებით უტყლაშუნებდნენ ერთმანეთს ტორებს, რომ ბღუჯა-ბღუჯად სცვიოდათ ბეწვი. არასოდეს დამავიწყდება ეს სურათი — ერთმანეთის წინ საბრძოლო მდგომარეობაში იდგა ორი ვეებერთელა მხეცი, ორივეს საკუთარი ძალ-ღონის იმედი ჰქონდა, ორივე მზად იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. ხმაურზე გზად მიმავალმა დარაჯმა მოირბინა და მაშინვე გალიაში შევარდა. ეს გახლდათ შემდგომში ცნობილი მომთვინიერებელი რიხარდ სავადეყვირილით, გაწყრომით, მუქარით, შოლტის მოშველიებით ძლივძლივობით განარიდა ერთმანეთს მოშუღარნი. გალიაში სისხლის ნაკვალევი და დაგლეჯილი ბალანი დარჩა იმის ნივთიერ საბუთად, რომ ცოტა ხნის წინ აქ ცხარე შეტაკება მოხდა.

მტაცებელი ცხოველები, განსაკუთრებით ლომები და ვეფხვები, მძუნაობის ხანაში მეტისმეტად აგზნებული არიან მწვრთნელები ხშირ შემთხვევაში იძულებული ხდებიან ხანგრძლივი დროით განაცალკევონ ხვადები. ცხოველებს სიგიჟემდე სიყვარული სჩვევიათ, და თუმცა სინაზე კი იციან,

მაგრამ საშინლად სტანჯავთ მეტოქისადმი ეჭვიანობის გრძნობა. ლომი მეტოქედ თვლის ყველას, ვინც კი მიუახლოვდება ძუს. აღსანიშნავია, რომ იგი ეჭვიანობს არა მარტო ცხოველებზე, არამედ ადამიანებზეც, იმასაც ვერ იტანს, რომ დარაჯი შიეკაროს მის სატრფოს.

რადგანაც ლომები, ვეფხვები და საერთოდ კატის ჯიშის სხვა წარმომადგენლები ადამიანის „მაჭანკლობის" გარეშეც კარგად ახერხებენ სასიყვარულო საქმეების მოგვარებას, მათი შეჯვარება ადვილია. პირადად მე ხშირად მიმიღია ლომისა და ვეფხვის ნაშიერი. ასეთი შეჯვარებით მიღებული ბოკვერი მშობლებს აღემატება ზომითა და წონით. ლამაზია, დიდია, ძლიერია და ღონიერი თავი აქვს. ამავე დროს უჩვეულოდ მშვიდი და თვინიერია. მაგრამ დაკვირვებით ვიცი, რომ ეს ცხოველი შთამომავლობას არ იძლევა.

ტყეობაში მყოფ მტაცებელ ცხოველებთან ურთიერთობის სიძნელე თავს იჩენს მხოლოდ წვრთნის დროს, რადგან ისეთ რაიმეს მოითხოვენ ამ დროს მათგან, რაც არაა დამახასიათებელი მათი ბუნებისათვის. და თუ მიუხედავად ამისა, მაინც შევძელი ცხოველების ისე გაწვრთნა, რომ მაყურებლები აღტაცებულნი იყვნენ, თუ შევძელი სპილოსათვის მესწავლებინა სამთვლიან ველოსიპედზე ჯდომა, თეთრი დათვისათვის — საქანელაზე ქანაობა, ლომვეშაპისათვის — ნავთის ანთებული ლამპის დაკავება ცხვირზე, ყოველივე ეს მხოლოდ იმის შედეგად მოვახერხე, რომ ვიყენებდი ჩემ მიერ შემუშავებულ „ლმობიერი" წვრთნის სისტემას.

რასაც ძველი სკოლის წარმომადგენლები წვრთნას ეძახდნენ წინათ, სინამდვილეში სხვა არა იყო რა, თუ არა ცხოველების წამება. ძირითად დამხმარე საშუალებებად ძველი დროის მწვრთნელები იყენებდნენ მხოლოდ ჯოხს, ორთითასა და გავარვარებულ რკინას. გარწმუნებთ, რომ ცხოველებს არავითარი ნდობა არ ჰქონდათ თავიანთი მბრძანებლის მიმართ, მათ მხოლოდ ეშინოდათ და სძაგდათ შეუბრალებელი მწამებელი.

ასეთი წვრთნის ხელოვნება ის იყო, რომ შოლტითა და გავარვარებული რკინით დაშინებული საბრალო ცხოველები

ამ საშინელი იარაღის დანახვაზე შეძრწუნებულნი და დამფრთხალნი გარბოდნენ გალიიდან და რაც კი გზაზე დაბრკოლება ხვდებოდათ, ყველაფერს თავზე ახტებოდნენ.

რამდენიმე წლის წინ ინგლისში ვნახე ოთხი „გაწვრთნილი“ ლომი, რომელთაც საშინლად ჰქონდათ გარუჯული მთელი ფაფარი და სახე. თავისთავად ცხადია, რომ მაშინ ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც გამწარებული ცხოველები თავს ესხმოდნენ მწვრთნელს და „სამაგიეროს უზღავდნენ“. ნუ დავადანაშაულებთ გარეულ მხეცებს, რომლებსაც ისეთი დღე ადგათ ტყვეობაში და კაციჭამიები ხდებოდნენ. ისინი ხომ მხოლოდ აუცილებლობის გამო აკეთებდნენ ამას, რაკი თავს დაესხმოდნენ „მტერს“.

ინგლისში და გერმანიაშიც ბევრჯერ ვყოფილვარ ასეთი ველური მეთოდებით მხეცების გაწვრთნის მოწმე, და, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მაშინ დამებადა სურვილი საცოდავი ცხოველებისადმი მოპყრობის ეს უაზრო წესი შემეცვალა უფრო გონივრულით. მტაცებელთა წვრთნის ეს უმოწყალო მეთოდი ჰამბურგში პირველად 1863 წელს გამოიყენა რენცის ცირკში მწვრთნელმა თომას ბატმა. ულმობელი მოპყრობით თავზარდაცემული ექვსი ლომი აქეთ-იქით აწყდებოდა გალიის კედლებს, თვითონ თომას ბატი კი ამ დროს გამოსასვლელთან იდგა. რამდენიმეჯერ გაისროდა კარაბინს ჰაერში და შემდეგ გარედან დატანებული თავშესაფარი გალიით გამოდიოდა არენაზე. ყველაზე მეტად განსაცვიფრებელი ამ წარმოდგენაში ის იყო, რომ მხეცები თავს არ ესხმოდნენ მამაც მწვრთნელს. რა თქმა უნდა, მოთვინიერების ასეთი მეთოდის ბატონობის დროსაც კი თვითეული მწვრთნელი თავისებურ ხერხებს ძიმართავდა, მაგრამ სისტემა კი მაინც უცვლელი იყო. ზოგიერთი მწვრთნელი შედარებით უფრო ლმობიერად ეპყრობოდა თავის ცხოველებს, ყოველ შემთხვევაში, ზედმეტ სიმკაცრეს მაინც არ იჩენდა მათ მიმართ, მაგრამ ძირითადად მხოლოდ დაშინების მეთოდს მიმართავდა, რადგან, ვიმეორებთ, ასეთი იყო ძველი სისტემის ძირითადი პრინციპი. ამ კატეგორიის მწვრთნელებს მიეკუთვნება თომას ბატის შემკვიდრე კუპერი, რომელიც ისევე როგორც შემდ-

გომში ჰემპელი და სიტი, ფრიად პოპულარული თომას ბატის სახელით სარგებლობდა. საკუთარ დაკვირვებათა საფუძველზე კუპერი უკვე მაშინ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებელია ისეთი მხეცების განცალკევება დასიდან, რომლებიც მეტის-მეტად ავები და საშიშნი გახდნენ. ეს წესი ახლა აუცილებელ კანონად ითვლება ჰუმანური მეთოდებით წვრთნის სისტემაში

მაიერის ამერიკულ ცირკს ევროპაში გასტროლების დროს ანგაჟემენტით აყვანილი ჰყავდა კუპერის ლომების დასი. ამ ცირკის შეპატრონემ ერთხელ რამდენიმე ლომის შოვნა შემიკვეთა. სწორედ ის იყო ტრაბენის სამხეცემ მომყიდა ცხოველების დიდი ჯგუფი, რომელთა შორის გაწვრთნილი ლომებიც იყვნენ. კუპერი თვითონ ჩამოვიდა ჰამბურგში და ბრიუსელში წაიყვანა მხეცები. მაგრამ ერთი მძიმე შეცდომა დაუშვა — ეს ლომები თავისი დასის სხვა ლომებთან ერთად დაამწყვდია ერთ გალიაში. ერთმანეთთან ყოფნას შეუჩვეველი ლომები აფორიაქდნენ და, როგორც ახლა იტყვიან, განერვიულდნენ. ერთხელაც, როდესაც კუპერი შოლტის მოშველიებით აიძულებდა ცხოველებს შეესრულებინათ უხიაკი ფოკუსები, მოხდა კატასტროფა. სწორედ ყველაზე თვინიერი ახლად შეძენილი ლომი თავს დაესხა კუპერს და მაგრად დატორა. ეს კაცი, როგორც მოგახსენეთ, შედარებით ჰუმანური მწვრთნელი გახლდათ, არც ლომი იყო ბრაზიანი, მაგრამ მათ შორის ურთიერთგაგება რომ არ დამყარდა, სწორედ ამ მიზეზის გამო მოხვდა კუპერი ლაზარეთში.

ამავე დროს ჩემსა და ცირკის დირექტორ მაიერს შორის ერთი სასეირო ინციდენტი მოხდა. ზემოაღწერილი უბედური შემთხვევის მეორე დღეს ბრიუსელიდან მივიღე ტელეგრამა, რომელშიც ეწერა: ამასწინათ ლომები რომ მოგვყიდეთ, ერთი მათგანი ავადმყოფი გამოდგა და უკან დაიბრუნეთო. ტელეგრამის მიღებისას მე ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი კუპერის მარცხის შესახებ, თორემ მაშინვე მივხვდებოდი, რომ არავინ შეარჩენდა ლომს მწვრთნელზე თავდასხმას. და რაკი ეს არ ვიცოდი, დიდად არაფრად ჩამიგდია ტელეგრამა, რადგან ჰამბურგში კუპერს სავსებით ჯანსაღი ლომი ჩავაბარე და სათანადო საფასურიც უკვე მიღებული მქონდა, მაგრამ ერთხელ

კიდევ რომ გადავიკითხე დეპეშა, მივხვდი, ლომს რაღაც ფათერაკი შეემთხვა და უარი შევუთვალე ავადმყოფი ლომის უკან დაბრუნებაზე. მეორე დღეს მივიღე შემდეგი შინაარსის ტელეგრამა: „Jour lion is dead, what shall do wih him?“ (თქვენი ლომი მოკვდა, რა ვუყო?). ბევრი არ მიფიქრია და საპასუხო დეპეშა გავუგზავნე: „Pickle him, it yuu like“. (თუ გინდათ, დაამარილეთ).

გავიდა რამდენიმე კვირა. ეს ინციდენტი აღარც კი მახსოვდა, რომ ერთ შშვენიერ დღეს ჰამბურგში მივიღე რკინიგზით გამოგზავნილი ბაგაჟი — კასრში ჩადებული დამარილებული ლომი. ვირეშმაკა ტიპს მართლაც დაემარილებინა ლომი და ჩემი მისამართით გამოეგზავნა, რადგან ჩემს მიერ გაგზავნილი დეპეშა ხელთ ჰქონდა, უფიქრია, ირონიას ვინ მიხვდება, ლომის საფასურს კი გადავახდევინებო. რასაკვირველია, მტკიცე უარი განვაცხადე „დამარილებული“ ლომის გამოსყიდვაზე. შაიერმა სასამართლოში მიჩივლა, მაგრამ თვითონვე გამტყუნდა, რაიგან გაკვეთით დადასტურდა, რომ ნატანჯი ლომი ცემით იყო მკვდარი.

ძველი გერმანელი მწვრთნელები — კრაიცბერგი, კალენბერგი, პრაიშერი, შმიდტი, დაგეზელი, კაუფმანი და ზემოთ უკვე ნახსენები ამსტერდამის ზოოლოგიური ბაღის დირექტორი მარტინი თავს არიდებდნენ შეტისმეტად ველური ეგზემპლარების წვრთნას და ცდილობდნენ ისეთ ცხოველებთან ემუშავათ, რომლებიც პატარაობიდანვე იყვნენ შეჩვეულნი დაჯერებას. ნაწილობრივ სწორედ ამით ახერხებდნენ ისინი საინტერესო პროგრამის ჩვენებას.

მაშინდელი ცირკი ახლანდელს ხომ ვერა და ვერ შეედრება. წარმოიდგინეთ ჩაბნელებური ვიწრო გალია-ვაგონი და ვეებერთელა ვრცელი ცენტრალური გალია მანეჟზე. ეს გახლავთ ძველი ცირკის სურათი. ბავშვობიდანვე კარგად მახსოვს შოხუცი კრაიცბერგი, რომელიც ახალგაზრდა შვედი ქალის ცეცილიას დახმარებით თვალწარმტაც ნომრებს უჩვენებდა მაყურებლებს. საფრანგეთში დიდი წარმატება ჰქონდათ ძველებური სამხეცეების მეპატრონეებს ჟან ბატისტ პეზონს, ზემოთ უკვე ნახსენებ პიანეტს და, რა თქმა უნდა, ფრანსუა

ბიდელს, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავდათ ხალხი თავიანთი ძხეცებით. ამიტომაც მათი გასტროლების დროს მუდამ ხალხმრავლობა იყო ცირკში.

საძოციან წლებში, როდესაც კრაიცბერგის შვილმა განაგრძო მამის მოღვაწეობა, ბევრად გაუმჯობესდა წვრთნა. თუკი საერთოდ შეიძლება ვუწოდოთ ეს სახელი მხეცების მიმართ დაუნდობელ, ველურ მოპყრობას, რასაც ადგილი ჰქონდა ძაშინ. კარლ კრაიცბერგი ესპანეთში მოგზაურობდა ჩემგან ნაყიდი ლომების ჯგუფთან ერთად. ესპანელებს უთხოვიათ ხარისა და ლომის ბრძოლა მოაწყვეო. კრაიცბერგი, კაცი სულით სპეკულიანტი, მაშინვე დათანხმებულა. თავისი გაწვრთნილი მხეცები კრაიცბერგს დაჰყავდა ოვალური გალია-ვაგონით, როგორიც დღესაც იხმარება. ამ გალიის გარშემო იმდენი ატარეს თურმე ხარი, რომ განგებ უჭმელად დატოვებულ ლომს ნერწყვები წამოუვიდა. ბრძოლისათვის ააგეს სპეციალური ვეებერთელა გალია, რომელშიც ჩასვეს ლომი, და როდესაც ძაყურებელთა აგზნებამ აპოგეას მიაღწია, გალიაში ხარი შეუშვეს. ლომმა საშინლად დაიბღავლა და მაშინვე დაეტაკა ხარს, რომელმაც ვერც კი მოასწრო თავის დაცვა. და ერთ წუთში სული გააფრთხობინა. სისხლიანმა სანახაობამ აღაფრთოვანა ესპანელები და პორტუგალიელები, რომელთაც შემდეგში კრაიცბერგმა „ხარისა და ლომის ბრძოლა“ უჩვენა. კრაიცბერგს მიბაძეს სხვა მწვრთნელებმაც და მე სამჯერ ძოძიხდა მათთვის ლომების შოვნა აძ სანახაობის ჩასატარებლად. ორ შემთხვევაში არც ლომი დატაკებია ხარს და არც ხარს უცდია შეტევა, ისე სეირნობდნენ თურმე გალიაში, თითქოს ვერც კი ხედავდნენ ერთმანეთს. ხელმოცარულ ნადირობას ჰგავდა ასეთი წარმოდგენა. მესამე შემთხვევაში კი მართლაც დაიღვარა სისხლი, მაგრამ ვისი? ხარმა რქებზე წაძოიგო ლომი და ისეთი ჭრილობა მიაყენა, რომ ნადირთა ძეფემ მაშინვე მოკითხვის ბარათი წაიღო თავის წინაპრებთან.

მკაცრი, შეუბრალებელი მეთოდებით წვრთნა წარსულს ჩაბარდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან ძალის გამოყენებით იმის ძეასედის მოპოვებაც კი არ შეიძლება, რასაც ალერსით მიაღწევს კაცი. მაგრამ ეს როდია იმის მთავარი

ძიზეზი, რომ ჩემს ცირკში წვრთნის ჰუმანური მეთოდები შეძოვიღე. ცხოველები მებრალებოდნენ და თანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ცხოველის გულის მოსანადირებლად სხვა გზა და სხვა ხერხი უფრო გამოდგებოდა. გულით მჯეროდა, რომ დიდად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო გარეული და შინაური ცხოველებისადმი მოპყრობა. ცხოველები ძალიან კარგად ხვდებიან, თუ როგორ ვექცევით. მათ შეუძლიათ მეგობრული ურთიერთობის დამყარება ადამიანთან და მეტნაკლებად განვითარებული მეხსიერება აქვთ. ახალი სკოლის უპირველესი ამოცანა ისაა, რომ ინდივიდუალურად იქნენ შერჩეული წვრთნისათვის ყველაზე უფრო ვარგისი ცხოველები. ახლა საერთო მონაპოვარია ის, რისთვისაც ვიბრძოდი მე ოდესღაც. დღეს ყველამ კარგად იცის ეს და სათანადო მეთოდებით ატარებს წვრთნას. ვისაც უნარი აქვს, ამოიცნოს ცხოველების სპეციფიკური თავისებურებანი, ნამდვილად ნიჭიერი და ამ საქმისათვის შესაფერისი კაცია.

ერთხელ უკვე ვთქვი, რომ წვრთნის ჰუმანური სისტემის გამოყენების პირველი მოწადინების დროს ოცდაერთი ლომიდან მხოლოდ ოთხი გამომადგი ვარგისი. არცთუ მაინცდამაინც იოლი იყო გადარჩევა, რადგან ზოგიერთი ცხოველი დასაწყისში თითქოსდა ძალზე თვინიერი და დამჯერეა, მაგრამ სხვა ცხოველებში რომ გაერევა, ნერვიულობს და საშიში ხდება.

გრძელი თხრობით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ მე ვფიქრობ, მკითხველი სიამოვნებით დაესწრება წვრთნის „გაკვეთილებს“, რომელიც ჩემს „სკოლაში“ ტარდება.

პირველ რიგში სილამაზის მიხედვით ავარჩევთ ახალგაზრდა ცხოველებს და მათგან ვადგენთ „მსახიობთა“ ერთ ჯგუფს. დასში შეიძლება გავაერთიანოთ სხვადასხვა ცხოველები: ლომი, ვეფხვი, ავაზა, ჯიქი, თეთრი დათვი, ძაღლი. მაგრამ ეს ცხოველები სათანადო მომზადების გარეშე ერთბაშად რომ შევრეკოთ ერთ გალიაში, აუცილებლად წაიჩხუბებენ, ამიტომ ისინი წინასწარ უნდა გავაცნოთ და შევაჩვიოთ ერთმანეთს. ცხოველები შემოჰყავთ ცალ-ცალკე გალიებით, რომლებსაც მიჯრით დგამენ ერთმანეთის გვერდით. მათ შორის მხოლოდ



რკინის ცხაურია. ასე რომ, თავისუფლად შეუძლიათ უყურონ და თავიანთ ენაზე ელაპარაკონ მეზობლებს. მწვრთნელი ცალ-ცალკე ეცნობა „მოსწავლეებს“ და იჩვევს მათ. გარკვეული ხნის შემდეგ მხეცები ერთად შეჰყავთ არენაზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, მასწავლებლის მეთვალყურეობით. ისევე როგორც სკოლაში, პირველ გაკვეთილზე ცხოველები არ მუშაობენ, ისინი ეცნობიან, ეთამაშებიან ერთმანეთსა და მასწავლებელს, ეჩვევიან ახალ ადგილს.

ცხოველების ერთად ყოფნის პირველი წუთიდანვე მწვრთნელი განსაკუთრებული გულისყურით ადევნებს თვალს თვითეულ მათგანს. ხშირად იგი იძულებულია სასწრაფოდ ჩაერიოს ცხოველების ურთიერთობაში და მეგობრული ძიდგომით გააშველოს საჩხუბრად მომზადებული „მოსწავლეები“. ახალგაზრდა ცხოველებს, და საერთოდ ყველა ცხოველს, ძალიან უყვართ თამაში, მაგრამ ამავე დროს ადვილად მოსდით გული და ბრაზდებიან. აი, წამოდგა თეთრი დათვი და დინჯი ნაბიჯით გაეშურა ლომისაკენ, მივიდა ახლოს და ფაფარში წაეტანა ნადირთა მეფეს. ლომი ხუმრობას ვერ მიუხვდა და გვარიანად უთავაზა თავის ბანჯგვლიან კოლეგას. თვალის დახამხამებაში გაჩნდა იქ მწვრთნელი. ფერდში ოდნავ მიაწვა ხელით ლომს და აგრძნობინა, ასეთი უზრდელობა მეორედ აღარ ჩაიდინოო. ვეფხვი თავისი ბუნებით უფრო ჩხუბისთავია, თორემ აბა რას ერჩოდა მის გვერდით მშვიდად მყოფ ჯიქს, უცებ რომ ეცა და კლანჭები ჩაავლო. ჯიქი გამწარდა, საშინლად დაიღრიალა და ნახტომისათვის მოემზადა. მასწავლებელი თვალის დახამხამებაზე იქაა და აშველებს ამ „მოკინკლავე მამლებს“. ცხოველების ერთად ყოფნის პირველსავე დღეს შეუძლია მწვრთნელს, ზერელედ მაინც შეისწავლოს ცალკეული ცხოველების ხასიათი, გამოარჩიოს თვინიერნი და ჩხუბისთავნი, დამჯერნი და ჯიუტნი. მაგრამ წვრთნის წარმატებას განაპირობებს არა მარტო ხასიათი, არამედ ნიჭიც.

მეორე გაკვეთილზე არენაზე გამოიტანენ სხვადასხვა მოწყობილობებს და გამართავენ შესაბამის დეკორაციებს: წარმოდგენის ზუსტი გეგმა, რა თქმა უნდა, წვრთნის დაწყებამდეა შედგენილი. აი დაალაგეს ხარიხები, რომლებზედაც ცხოვე-

ლებმა პირამიდა უნდა გააკეთონ. კასრი კი ვეფხვისთვისაა გამიზნული, ზედ უნდა შედგეს და ისე აგორაოს, რომ არ გადმოვარდეს. ეს საქანელა გახლავთ, ეს კიდევ კასრის სალტეებია. წარმოდგენის დროს ეს ნივთები მხეცების კუთვნილება იქნება. მწვრთნელი შეიარაღებულია გრძელი წვრილი შოლტითა და ჯოხით. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მწვრთნელის ჭამარზე მიმაგრებული ტყავის პატარა ტოპრაკი, რომელშიც აწყვია ხორცის ნაჭრები — წარჩინებული მოსწავლეებისათვის. ენით აუწერელი მოთმინება სჭირდება მწვრთნელს იმისათვის, რომ შეასწავლოს მხეცებს თავთავიანთი ადგილები და მშვიდად ჯდომა მანამ, სანამ სათანადო ბრძანებას არ მიიღებენ.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხდება ცხოველების გადარჩევა, ოთხფეხა არტისტებს არქმევენ თავთავიანთ სახელებს. ამ სახელებს ეძახიან ხოლმე, როდესაც რაიმეს მოითხოვენ მათგან. საერთოდ კი სახელებს ხშირ-ხშირად უმეორებენ, რათა ცხოველებმა ყური შეაჩვიონ და დაიმახსოვრონ ისინი. როდესაც ცხოველები შეეჩვევიან თავიანთი ადგილების დაკავებას ძომთვინიერებლის ბრძანების მიხედვით, ეს იმას ნიშნავს, რომ დამთავრდა წვრთნის პირველი ეტაპი. შემდეგ თანდათან იწყება ახალი მასალის ათვისება. მაგალითად, მწვრთნელი ძიდის ლომთან, ალერსიანად ელაპარაკება, ხელში ხორცის ნაჭერი უჭირავს და ცდილობს ხარიხაზე აიტყუოს მხეცი. მაგრამ მას ჯერ არ დაუმსახურებია ჯილდო. ხორცის ნაჭერს ლომი ძხოლოდ მაშინ მიიღებს, როდესაც შეასრულებს დავალებას. ხარიხაზე ავიდა ლომი, მაგრამ ის კი არ იცის, რომ მშვიდად უნდა იჯდეს ზედ. რამდენჯერაც შეეცდება დაბლა ჩამოსვლას ანდა ჩამოხტება კიდეც, იმდენჯერვე ამოქმედდება „ხორცის მეთოდი". ბოლოს და ბოლოს ხვდება, რომ უნდა იჯდეს ხარიხაზე. ასე აჩვევენ ჯგუფში შემავალ თვითეულ ცხოველს თავის ადგილზე ყოფნას. ძომთვინიერებელს ეხმარება ასისტენტი, იგი თვალს ადევნებს მხეცებს, როდესაც მწვრთნელი ზურგშექცევითაა მათ მიმართ. მაგრამ მთავარი ძაინც ძომთვინიერებელია, რომელიც წარმოდგენის დროს ძარტოდმარტო რჩება მხეცებთან და იძულებულია მუდამ

ხელმძღვანელობის არეში ჰყავდეს თვითეული მათგანი. მუშაობისა და სწავლების პროცესში თანდათან გამოირკვევა, თუ რომელი ცხოველი გამოდგება და რომელი არა. ცუდი ზნის ცხოველები უნდა გაირიცხონ ჯგუფიდან, რადგან სასჯელი მათზე არ გასჭრის, პირიქით, უფრო ბრაზიანები გახდებიან და სხვებსაც გააფუჭებენ თავიანთი ცუდი მაგალითით. ყოველგვარი წვრთნის საფუძველი გახლავთ უსიტყვო მორჩილება. ამიტომ მომთვინიერებელმა უნდა მიაღწიოს, რომ მისი ბრძანება უეჭველად შესრულდეს.

მხეცების ჯგუფში აუცილებლად გამოერევა თითო-ოროლა უდისციპლინო, რომელთაც არა და არ შეუძლიათ მშვიდად ისხდნენ თავიანთი ამხანაგების გვერდით. ასეთი ჩხუბისთავებიც უნდა გაირიცხონ დასიდან, თორემ დაირღვევა საერთო სიმშვიდე. ასე მთავრდება სწავლების საანბანო პერიოდი. ესე იგი ამ ეტაპზე მთავარი ისაა, რომ ცხოველებს შევასწავლოთ თავიანთი ადგილები და საერთოდ წესიერი ყოფაქცევა. ამის შემდეგ ცხოველები გადადიან შემდეგ კლასში. საჭიროა ნამდვილად ჭკვიანი და ნიჭიერი მოწაფეების გამოვლინება, რადგან უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ შემდგომი წვრთნის დროს შეიძლება იმის გამორკვევა, თუ რომელი ცხოველის გამოძახება შეიძლება ცალკე. რაც უფრო მომთმენი და კეთილია მომთვინიერებელი, მით უფრო მეტი ნდობით არიან მის მიმართ გამსჭვალულნი ცხოველები. მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თუ გულკეთილობა არაა შეხამებული სიმკაცრესთან, ესე იგი აუცილებელი მორჩილების მოთხოვნასთან, დასის გამოყვანა არენაზე სახიფათოც კია. ცხოველებს მუდამ უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის რიდი და შიში. ისინი ინსტინქტურად უნდა გრძნობდნენ, რომ მბრძანებლისადმი მორჩილება აუცილებელია. თუ გამოვითვლით ყველა მოძრაობას, რომელთაც ასრულებენ დიდ დასში შემავალი მრავალრიცხოვანი ცხოველები, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითეული ნაბიჯის დასწავლას სჭირდება სიკეთის გამოჩენა, მომთმენობა და დაუსრულებელი განმეორებები, ამოლოდ მაშინ ვირწმუნებთ, რომ თანამედროვე მომთვინიერებელს ჭეშმარიტად ანგელოზის მოთმინება უნდა ჰქონდეს.

აღარც კი ღირს იმის განმეორება, რომ ასეთი მოთმინება მხოლოდ ისეთმა კაცმა შეიძლება გამოიჩინოს, რომელსაც მართლაც უყვარს თავისი ცხოველები. რაც არ უნდა თვინიერი გახდეს მხეცი გაწვრთნის შედეგად, რაც არ უნდა კარგად ეჭცეოდეს სხვა ცხოველებს, თავისი ბუნებით იგი მაინც გარეული მხეცია და მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მისი ნდობა. ამავე დროს რაც უფრო ხანში შედის, მით უფრო სახიფათო ხდება მასთან ურთიერთობა. უბედურების თავიდან ასაცილებლად გონიერმა მწვრთნელმა დროულად უნდა შეამჩნიოს მისი მხეცების ხასიათში მომხდარი ცვლილებები.

თუ მომთვინიერებელი ზუსტად დაიცავს სიფრთხილისა და პირადი სიმამაცის ზოგიერთ პრინციპს, რაც ასე რიგ ესაჭიროება ჩვენი ხელობის ხალხს, თანამედროვე მწვრთნელი თითქმის დაზღვეული იქნება ხიფათისაგან. სათითაოდაც ბევრმა ცხოველმა გაიარა ჩემთან წვრთნის სკოლა, ჯგუფ-ჯგუფადაც ბევრი მოგვითვინიერებია, მთელი დედამიწის ზურგი შემოუვლიათ მათ, ათასობით წარმოდგენაში მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ დღემდე მხოლოდ ორჯერ მოხდა მარცხი. ამ ორი შემთხვევიდან ერთი შეიძლება არც კი ჩავთვალოთ, რადგან უბედური შემთხვევის მიზეზი გახლდათ ერთი ზედმეტად ცნობისმოყვარე მაყურებელი, რომელიც მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, უნებართვოდ შევიდა მხეცებთან გალიაში. ჩემთვის უამბნიათ, რომ ერთი ინგლისელი თურმე წლების განმავლობაში ფეხდაფეხ დაჰყვებოდა საგასტროლოდ მყოფ ცირკს იმ „იმედით“, ეგებ ვნახო, როგორ დაგლეჯს მწვრთნელს ლომიო. იშვიათი ეგზემპლარი როდი გახლდათ ეს სუბიექტი. მისი მსგავსნი ბევრი სხვაც მინახავს. სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ის ახალგაზრდა ინგლისელი, რომელიც ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენის დროს ერთხელ ჩუმად შეიპარა მხეცებთან გალიაში სასადილო შესვენებისას. ძვირად დაუჯდა ეს ვიზიტი თვითმკვლელობის კანდიდატს. ის იყო ფეხი შედგა გალიაში და იმავ წამს ლომის კლანჭებში აღმოჩნდა. არაადამიანური ხმით დაიღრიალა საცოდავმა, ხმაურზე მაშინკე მოვარდა მწვრთნელი და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა ახალგაზრდა კაცი.

მეორე შემთხვევა კი ნამდვილად ჩვენი ბრალი იყო. ჩემს ცოლისძმას მერმახს ბერლინის სახელოსნო გამოფენაზე საგასტროლოდ ჰყავდა ცხოველების ჯგუფი, რომელშიც ერთი შავი დათვიც ერია. მართალი გითხრათ, მთლად საიმედოდ არ მიმაჩნდა ეს ცხოველი. მერმანმა ყური არ ათხოვა ჩემს რჩევას და რაღაც მოსაზრებათა გამო მაინც დაიტოვა ეს დათვი თავის დასში. სიფრთხილის უგულვებელყოფას კი მარცხი მოჰყვა. გასტროლების მეექვსე დღეს დათვი თავს დაესხა თავის მბრძანებელს და რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. ასე რომ, მთელი თვე საავადმყოფოში გაატარა მერმანმა. სულ ეს ორადორი უბედური შემთხვევა მოხდა გაწვრთნილ ცხოველებთან ჩვენი მუშაობის პერიოდში. დიდ ბოდიშს ვიხდი საშინელი ამბის მოლოდინში მყოფი მკითხველის წინაშე, თუ იმედი გავუცრუე. თავი და თავი ამბავი ისაა, რომ ჯერ ერთი, განსაკუთრებული სიფრთხილით ვარჩევდი ცხოველებს და, მეორეც, ჩვენს ფირმაში მომუშავე ყველა მწვრთნელი დაჯილდოებული იყო ამ საქმისათვის შესაფერისი თვისებებით. ზემოთ ნახსენებ მომთვინიერებლებთან ერთად არ შემიძლია არ ვახსენო რიხარდ ლისტი, ფრიც შილინგი, ავგუსტ მელკერი, ოლე ნანსენი, ჯონი შიპფმანი, ვილი პეტერსი, გერმან ბოჰერი, ვილი და ჩარლ ჯაჯები, კარლ ჰერბიგი, იოჰანეს და გუსტავ ოსმანები, კორადინი, ვაგნერი, ქრისტიანა და თეოდორ შრედერები და ზოგიერთი სხვაც, რომლებიც ჰუმანური მეთოდებით წვრთნის ჰაგენბეკისეული სკოლის აქტიური მომთვინიერებლები იყვნენ და წარმატებით მუშაობდნენ ცხენებთან, მაიმუნებთან, სპილოებთან, მტაცებლებთან, ზღვის ლომებთან, ლომვეშაპებთან და წლების მანძილზე საყვარელ მსახიობებად ითვლებოდნენ არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ჩემს გამოცდილ მწვრთნელებთან ახლა ბევრი ახალგაზრდა ასისტენტი და მეთვალყურე-დარაჯი მუშაობს და იმედი მაქვს, რომ ისინი კარგ რეპუტაციას შეუქმნიან წვრთნის ჰაგენბეკისეულ სკოლას.

ერთ-ერთ საუკეთესო მომთვინიერებლად ჩაითვლება ჩემი ძმა ვილჰელმიც, რომელიც აგრეთვე ახალი სისტემით მუშაობს. პარიზის იპოდრომისათვის ფრიად საინტერესო სიახლე

იყო, როდესაც ვილჰელმმა ცხენზე ამხედრებული ლომი გამოიყვანა მაყურებელთა წინაშე, მანვე მოაწყო პირველად გაწვრთნილი თეთრი დათვების დიდი ჯგუფის დემონსტრირება ცირკში. წინათ ძიაჩნდათ, რომ თეთრი დათვების მოთვინიერება შეუძლებელი იყო, ვილჰელმმა პირველმა დაამტკიცა, რომ კარგი მოპყრობით შესანიშნავად შეიძლება ამ ცხოველების გაწვრთნა, თუმცა ამას ბევრი დრო და დიდი მოთმინება სჭირდება. რუსული, ამერიკული და ინდური ჯიშების მსგავსად თეთრი დათვის მხოლოდ ბელი იწვრთნება. ასაკოვანი ეგზემპლარები, ვთქვათ სამი-ოთხი წლის ცხოველები კი მეტისმეტად ჭირვეული და საშიში არიან. საერთოდ კი უნდა იცოდეთ, რომ უბედური შემთხვევის უმეტესი ნაწილი სწორედ დათვებს აწევთ კისერზე ცოდვად. ბევრზე ბევრი ადამიანი დაუტორავთ და დაუგლეჯიათ ამ ბანჯგვლიანებს.

გამოგიტყდებით, რომ პირადად მე დიდად თავს ვერ დავდებ მწვრთნელობაზე. ჩიკაგოში მოწყობილ მსოფლიო გამოფენაზე ჩემი გამოსვლა პირველიც იყო და უკანასკნელიც, მიუხედავად ამისა, კარგად ვიცნობდი ყველა ცხოველს, რომელთაგან ვადგენდი დასს და რომელთაც ჩემი ხელმძღვანელობით წვრთნიდნენ. ისე კი ყოველთვის გულუშიშრად შევდიოდი გალიაში და საერთო ენას ვპოულობდი ცხოველებთან.

მწვრთნელის როლი პირველად სამოცდაათიან წლებში შევასრულე, მაგრამ ეს მოხდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შიხაურულ გარემოში. ერთ ზანგს ლედგარ დელმონიკოს, ინგლისში სახელგანთქმულ მწვრთნელს, მივყიდე სამი ახალგაზრდა ლომი და ამდენივე ახალგაზრდა ვეფხვი, რომელთაც იგი სამი თვის განმავლობაში წვრთნიდა ჩემთან სპეციალურად მოწყობილ გალია-ვაგონში. დელმონიკო ტრაბახობდა, ჩემს გარდა, ვერავინ გაბედავს გალიაში შესვლასო. გამგზავრების წინა დღეს წაქეზებით მკითხა, ხომ არ ინებებთ თქვენს მეგობრებს გამოეშვიდობოთო. დარწმუნებული იყო, რომ ამას „არ ვინებებდი“, მაგრამ მოტყუვდა. მართალია, მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა იმდენი გამოცდილება, რამდენიც შემდეგ შევიძინე, მაგრამ კარგად ვიცოდი, თუ რამდენად შეიძლება

ენდოს ადამიანი ცხოველებს. ბევრი არ მიფიქრია, მსახურთ თავ'შესაფარებელი გალიის მიდგმა ვუბრძანე და მშვიდად გავე'შურე დელმონიკოს მხეცებისაკენ. გალიაში რომ შეევედი, მოვითხოვე რეკვიზიტი, რომელსაც იყენებდა დელმონიკო და განცვიფრებული მწვრთნელის თვალწინ გავიმეორე მთელი მისი პროგრამა. ასეთი ექსპერიმენტი, რა თქმა უნდა, ფრიად სახიფათოა და შეიძლება ვერავითარმა სიფრთხილემ და სიმშვიდემ ვერ გიხსნას. მაგრამ, მერწმუნეთ, პირადად მე არასოდეს გადავყრივარ ფათერაკს. მხოლოდ ერთხელ შემემთხვა პატარა ხიფათი — ტანსაცმელი გამიფუჭდა. რამდენიმე ოფიცერთან ერთად, რომელთაც მანდილოსნები ახლდნენ თან, ვსეირნობდი ჩემს ზოოპარკში, და ჩვეულებისამებრ გალიის გარედან ვეფერებოდი და თავზე ხელს ვუსვამდი ცხოველებს. „გალიის გარედან მხეცების მოალერსება სულაც არაა საშიში, შიგ შესვლას კი ალბათ ვერ გაბედავთ", — დამცინავი კილოთი მითხრა ერთმა ოფიცერმა და როდესაც შევეპასუხე, მომიგო: — „ლაპარაკი ადვილია, მაგრამ თავგანწირვა სულ სხვა საქმეა". ეს იყო უტიფარი გამოწვევა, რომელიც მაშინვე მივიღე. მსწრაფლ მივედი გალიასთან, კარი გავაღე, შიგ შევედი და ჩავიკეტე, გარეთ დარჩენილებს მკვდრისფერი დაედოთ. მე კი თორმეტი ლომი და უამრავი ძაღლი შემომეხვია გარ'შემო. ხელთ არაფერი მქონდა და მათი უხეში ალერსის ძოგერიება მართლაც გამიჭირდა. მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე და ექსპრომტად შევასრულებინე რამდენიმე ნომერი, რომლებიც 'შესწავლილი ჰქონდათ ამ ცხოველებს. ტანსაცმელი კი 'შევწირე ამ ექსპერიმენტს, რადგან ცხოველებს სწორედ იმ ხანებში ბეწვი სცვიოდათ. გარეთ რომ გამოვედი, ისე ვიყავი ბალანში ამოგანგლული, ნამდვილ ლომსა ვგავდი. მაშინვე გარს შემომეხვიენ და სული ამომხადეს შეკითხვებით, რადგან ყველას ძალიან აინტერესებდა ცხოველების მოთვინიერების ამბები.

ძომთვინიერებელთა შორის ქალები საერთოდ ძალზე ი'შვიათად იყვნენ. მათგან მაგონდება ვინმე ფრაუ შტეინერი, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში წვრთნიდა აფთრებს, ძაღლებსა და დათვებს და შემდეგ მათგან შედგენილი დასით

საგასტროლო ტურნე მოაწყო. ივი გამოდიოდა „მის კორას" სახელით და ფრიად დიდი მოწონებით სარგებლობდა მაყურებლებში და არტისტულ წრეებში.

უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი შესანიშნავი და მშვიდი მწვრთნელი ქალი მინახავს, თუმცა ამ პროფესიას საერთოდ იშვიათად ირჩევდნენ ნაზი სქესის წარმომადგენლები. ჩემი პირველი ნაცნობი მწვრთნელი ქალი გახლდათ შვედი ცეცილია. მგონი ერთხელ უკვე ვახსენე იგი. ცეცილიას არენაზე გამოჰყავდა გაწვრთნილი ლომები, ვეფხვები და დათვები. ფართოდ იყო ცნობილი აგრეთვე კლერ ელიეტი, რომელიც ლომების ჯგუფს უჩვენებდა მაყურებლებს. არა-მარტო კარგი მუშაობა იცოდა ამ ქალმა, არამედ ამავე დროს ახერხებდა უაღრესად ეფექტურად წარმოედგინა თავისი ნომრები.

სრულიად სხვა კატეგორიას მიეკუთვნება გარეული და შინაური ცხოველების ერთობლივად წვრთნის ექსპერიმენტი. რადგანაც მათ ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო, თითქმის შეუთავსებელი თვისებები აქვთ ბუნებისაგან მონიჭებული. მაგრამ ჰუმანური მეთოდებით წვრთნამ ესეც კი შესაძლებელი გახადა. ასეთი ცდა პირველად 1899 წელს ჩავატარეგულმოდგინე მოწადინებისა და ხანგრძლივი ვარჯიშის წყალობით შევძელი ერთმანეთისათვის შემეჩვია ორი ვეფხვი, სამი ლომი, ორი შავი ავაზა, ორი შავთავა სომალიური ცხვარი. ერთი ცეროდენა ინდური ზებუ, შოტლანდიური პონი (ჯუჯა ცხენი) და პუდელი. თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა ისინი ახალგაზრდები იყვნენ, ასაკით — ექვსიდან რვა თვემდე. საძწუხაროდ, ამ დასის უმეტესი ნაწილი დაიღუპა ზემოთაღწერილი ქოლერის ეპიდემიის დროს. ცოცხლად გადარჩენილ ცხოველებს კი, რომლებიც ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზე მყავდა წაყვანილი, ეფექტური ნომრების ჩვენება არ შეეძლოთ.

ძოთვინიერებული მხეცები ხშირად უმეგობრდებიან არა მარტო მწვრთნელს, არამედ ერთმანეთსაც; და ასეთ შემთხვევაში სწორი იქნება, თუ მწვრთნელი ერთად გამოიყვანს მათ საძუშაოდ. როდესაც ნათესაური ჯიშის ცხოველებს შორის ჩნდება ასეთი მეგობრული ურთიერთობა, ეს არავის უკვირს.

მახსოვს, როგორ მეგობრობდნენ ერთმანეთთან წერო და დასავლეთაფრიკული სირაქლემა, მეორე შემთხვევაში — წერო და ბატი. უფრო საინტერესო იყო სპილოსა და პონის მეგობრობა. სქელკანიანი ბუმბერაზი დარდით კვდებოდა და საჭმელსაც კი აღარ ჭამდა, როდესაც თავის ლამაზ მეგობარს დააშორებდნენ.

ცხოველების პირველ შერეულ ჯგუფში, რომელიც, მახსოვს, მამაჩემმა შეადგინა, გაერთიანებული იყვნენ ერთი დიდი ბენგალიური ვეფხვი, ინდური ავაზა და ფოკსტერიერი. მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა ამ სამეულს ერთმანეთთან. საოცარია, რომ ძაღლი და ვეფხვი ერთად ხრავდნენ ერთ ძვალს, თანაც ვეფხვი სრულიადაც არ იყენებდა ბუნებით მინიჭებულ თავის „უფლებებს“ და ერთხელაც არ დაუჩაგრავს პატარა მეგობარი. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია, როდესაც ბუნებით ერთმანეთის მტერი ცხოველები ერთად „მუშაობენ“. მაგალითად, გაწვრთნილი ცხოველების თანამედროვე დიდ დასებში იშვიათად როდი ვხვდებით ვეფხვებსა და ლომებს, რომლებიც მშვიდად „თანამშრომლობდნენ“ თხებთან და ცხენებთან. ასეთ უჩვეულო საქმეში მოპოვებული წარმატებაც იმით უნდა აიხსნას, რომ ნაყოფიერად ვიყენებდი უბრალო, ძაგრამ მხეცის ბუნებაზე ფრიად კეთილსასურველად მოქმედ საშუალებას — ალერსს, აგრეთვე მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს — ჩვეულებას.

ძაგალითად, ცხენსა და ლომს, რომლებიც შემდგომში ერთად უნდა გამოგვეყვანა არენაზე, შორიახლო დავაბამდით ჯაჭვებით. ერთიმეორეს ვერ წვდებოდნენ, მაგრამ უყურებდნენ და ეჩვეოდნენ ერთმანეთის შესახედაობასაც და სუნსაც. გარკვეული პერიოდის შემდეგ ვაჩვევდით ერთმანეთის თანდასწრებით ძილსა და ჭამას. ერთი სიტყვით, თანდათან „ვუნერგავდით იმ აზრს“, რომ მათი ერთად ყოფნა ჩვეულებრივი, სავსებით ბუნებრივი რამაა. როდესაც მტაცებელს უკვე აღარ ჰქონდა მკვლელობის ჩადენის მოთხოვნილება, ხოლო ბალახისმჭამელი ცხოველიც აღარ ცახცახებდა მის დანახვაზე, ავუშვებდით ხოლმე მათ და მეთვალყურე-დარაჯის თანდასწრებით ახლო ძანძილზე შეეახვედრებდით ერთმანეთს. სწორედ ამ

დროს შედის ძალაში ჩვენ მიერ ზევით აღწერილი ჰუმანური მეთოდებით წვრთნის პრინციპი.

სამოცდაათიან წლებში განსაცვიფრებელ წარმატებებს ძიაღწია გარეული მხეცების წვრთნის საქმეში ამერიკელმა მომთვინიერებელმა ვუდვორდმა. ჩემს თანამედროვეებს ალბათ კარგად ახსოვთ სან-პაულიში შპილბუდენპლატცზე გამართულ სამხეცეში რომ გამოჰყავდა მას თავისი სელაპები და მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა. ამ რამდენიმე წლის წინ ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და მითხრა, სელაპების გაწვრთნა შემიძლია და გთხოვთ თქვენთან მიმიღოთ სამსახურშიო. სწორედ იმ ხანებში ხუთი მშვენიერი სელაპი მყავდა და ამიტომ სიამოვნებით დავიქირავე უცნობი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა თავისი საქმე. უკვე ოთხი თვის შემდეგ ჩემი სელაპები დახელოვნებული არტისტები გახდნენ: მოხდენილად უკრავდნენ დაირასა და გიტარაზე, მარჯვედ ისროდნენ პისტოლეტს, მსწრაფლ ამოჰქონდათ წყალში გადაყრილი ნივთები. შემდეგში ბარნუმს მივყიდე ისინი ორი ათას დოლარად. ასე სარფიანად სელაპები სხვა დროს არასოდეს გამიყიდია.

სელაპებზე უფრო ჭკვიანი და ნიჭიერი გამოდგნენ ზღვის ლომები. საოცრად რთულ ნომრებს ასრულებდნენ ცირკის არენაზე. ზღვის ლომი, რომელიც საერთოდ ყველაზე უფრო მხიარული ცხოველია ფარფლთათიანთა შორის, იოლად ეგუება ჩვენს კლიმატს. ადვილად გამრავლდნენ ისინი კელნის, პარიზის, ამსტერდამის, ანტვერპენის ზოოლოგიურ ბაღებში. ორმა ახალგაზრდა ინგლისელმა — ვილი და ჩარლზ ჯარჯებმა, რომლებიც რამდენიმე წელიწადს მუშაობდნენ ჩემთან, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ზღვის ლომების გაწვრთნის საქმეში.

პირველი ზღვის დიდი ლომი 1880 წელს ვიყიდე ჩემი ძველი მეგობრის ბარნუმისაგან. 300 კილოგრამზე მეტს იწონიდა ცხოველი. მალე ისე მიმეჩვია, რომ ძაღლივით დამდევდა უკან. მამაჩემს ძალიან უყვარდა იგი. ერთხელ კვირადღეს რამდენიმე ასეული კაცი მისეოდა აუზის მოაჯირს და ცნობისმოყვარეობით უყურებდა მამაჩემს, რომელიც კალათიდან თევზებს იღებდა და წყალში მყოფ ზღვის ლომს უყრიდა.

ნახევარი კალათი თევზი რომ შეაჭამა ცხოველს, შემობრუნდა, რათა შემოღობილი ადგილიდან გამოსულიყო, და სწორედ ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ. ელვის უსწრაფესად ამოხტა წყლიდან ზღვის ლომი, ზურგში ეცა მამაჩემს და უცებ შემოაფლითა პიჯაკი, შარვალი და ხალათი, ასე რომ სრულიად გაუშიშვლა სხეულის ის ნაწილი, რომელსაც ადამიანი ჩვეულებრივ გულმოდგინედ იფარავს. შემდეგ ერთბაშად კალათს ჩაავლო კბილები, ხელიდან გამოგლიჯა მამაჩემს და მშვიდად შეექცა დარჩენილ თევზს. მამაჩემი მაშინვე მეზობელ ბალაგანში შევარდა და სირცხვილის დასაფარავად სხვა გზა არ ჰქონდა, ზურგით აეყუდა კედელს. სახლში გავიქეცი, მეორე ხელი ტანსაცმელი მოვურბენინე. მამაჩემმა დახეული ტანსაცმელი გამოიცვალა და ისე გამოეცხადა განცვიფრებულ ხალხს, რომელიც ჯერაც გონს ვერ მოსულიყო. ზღვის ლომის თავდასხმა ბოროტი განზრახვით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მამაჩემის მიერ დაშვებული შეცდომით. იმაზე მეტი თევზი არ უნდა წამოეღო, რამდენიც ეკუთვნოდა ერთ ულუფად ამ ცხოველს. ზღვის ლომს, რასაკვირველია, მხოლოდ იმის დარდი აწუხებდა, კალათში კიდევ დარჩა თევზიო. ასეთი თავხედობა ზღვის ლომს სხვა დროს აღარ ჩაუდენია, თუმცა აღარც თევზი მიგვიტანია მისთვის კუთვნილზე მეტი რაოდენობით.

თავს აღარ შეგაწყენთ წვრთნის ჰაგენბეკისეული მეთოდების აღწერით, მაგრამ მწამს, რომ მალე თვალნათლივ დავანახებ მაყურებლებს ახალი სისტემის დიდ უპირატესობას. ვფიქრობ, ასეთი ტრიუმფი შორს არაა და იგი ნამდვილად დაჩრდილავს ძხეცებისა და ცხოველების წვრთნის საქმეში აქამდე მოპოვებულ ყოველგვარ წარმატებას.

VI

როგორ ვიჭერდი გარეულ მხეცებს არქტიკასა და ტროპიკებში

ჩვენს მხიარულ ფილოსოფოს ვილჰელმ ბუშს რომ დაუჯეროს კაცმა, მაიმუნების დაჭერა ძალიან იოლი საქმეა. იუმორისტული ჟურნალების მკითხველებს ალბათ წაუკითხავთ დამაჯერებლად ილუსტრირებული რეცეპტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიჭიროს კაცმა მარილის დახმარებით, წებოწასმული ფეხსაცმელებით ანდა გამოკვანძული კუდით პირქუში ლომი ან ცქვიტი მაიმუნი. სამწუხაროდ, ჩემმა მონადირეებმა ვერა და ვერ გამოიყენეს იუმორისტების მიერ მოწოდებული ნაცადი შინაური საშუალებანი. ამიტომ ფუჭად დრო რომ არ დავკარგოთ, სხვა ამბავს გიამბობთ. გიამბობთ. ერთ ჩემს მეგობარზე — ბაზასის ტომის შვილზე, რომელიც ჩემს აგენტებთან ერთად დადიოდა პავიანებზე სანადიროდ. აბდალა ოკუტი განთქმული მონადირე იყო, განსაკუთრებით ძარჯვედ იჭერდა სირაქლემებს. როგორც კი ჩვენმა ექსპედიციამ საჰანეის მთის ძირას, მდინარე ჰაშის ნაპირას გაშლილ ჩვენს ნუბიურ სადგურს მიაღწია, იგი მაშინვე მოვიდა ჩვენთან და თავისი სამსახური შემოგვთავაზა.

კლდის ძირას ვერცხლივით ლაპლაპებს დამშრალი მდინარის კალაპოტი, რომელიც მხოლოდ წვიმების დროს ივსება წყლით, წლის დანარჩენ დროს კი ქათქათა სილით მოფენილი ძიხდორი თვალისმომჭრელად ბზინავს. ალაგ-ალაგ ბუნებრივ ღრმულებში წყალი ჩამდგარა და სწორედ აქ მოდიან დასარ-

წყულებლად ანცი მაიმუნები. ყურთასმენა აღარაა მათი ჟრიამულისაგან, გამუდმებით რაღაცაზე დაობენ და ჩხუბობენ, ღამითაც კი არ ისვენებენ. მთელი ჯოგი მოხვეტილა აქ და შეფენია კლდის კალთებს, ბუზღუნებენ, ანცობენ, ყურები კი მუდამ დაცქვეტილი აქვთ, საშიშ მტერს უფრთხიან, ჯიქმა ხომ ფეხაკრეფით იცის წამოპარება.

ფრთხილად საბრალო მაიმუნებო! ნადირობის დიდოსტატი აბდალ ოკუტი მოეშურება თქვენკენ. ხელცარიელი დაბრუნება კი მას არ სჩვევია. მან კარგად იცის, რომ გულუხვ გასაძრჯელოს ძიიღებს ჩვენგან და ამიტომ მუდამ მზადაა დაიჭიროს რამდენიმე დიდი მურა პავიანი (Cynocephalus doguera), დიდი აღკაზმულობა როდი სჭირდება მაიმუნებზე ძონადირეს. საესებით საკმარისია რამდენიმე ცული, თოკი და ძშველელი. წყლიანი ორმოები მონადირეებმა ეკლიანი კვრინჩხით ამოავსეს და პავიანები იძულებული გახდნენ იმ ადგილას ესვათ წყალი, სადაც დადიან დასარწყულებლად ჩვენი შინაური ცხოველები.

მაიმუნებმა უდრტვინველად მიიღეს ჩვენი წინადადება, იოლად შეეგუენ ჩვენს მეზობლობას და ისე გათამამდნენ, რომ ჩვენს ცხოველებთან ერთად სვამდნენ წყალს, ჩვენგან სულ რაღაც ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე. წასათამამებლად მონადირეებმა წყლიანი ორმოს ახლომახლო დურა* დაყარეს, რომელსაც ხარბად შეექცეოდნენ დიდი პავიანები, თავიანთ სუსტ ამხანაგებს კი სიახლოვეს არ იკარებდნენ.

რა იცოდნენ მაიმუნებმა, რომ პირფერული იყო ეს გულუხვობა, რა იცოდნენ, რომ მახეს ვუგებდით საცოდავებს. ხაფანგი არცთუ ისე რთული მოწყობილობისაა. ესაა წნელისაგან მოწნული დიდი კალათები, რომელთაც გარშემო სიმაგრისათვის თოკი აქვთ შემოჭერილი. გალიისმაგვარი კალათი, სხვათაშორის, ძალიან ჰგავს ადგილობრივ მკვიდრთა ქოხის წოწოლა სახურავს, თანაც კარგა გვარიანად მძიმეა. მონადირეებმა ეს კალათები იმ ორმოების ახლომახლო დაალაგეს,

---

* დურა — ერთგვარი ფეტვი, რომელიც აფრიკელებისათვის კვების ძირითადი პროდუქტს წარმოადგენს.

სადაც მოდიოდნენ დასარწყულებლად მაიმუნები. კალათები დადგეს ძირით ქვევით, ცალი მხარე აუწიეს და მეორე მხარეს სქელი ჯოხი შეუყუდეს. მაგრამ ნადირობის დაწყება ჯერ ადრეა. ერთ ხანს კვლავ გრძელდება მაიმუნების მიტყუება და შიჩვევა. დურას ახლა ქვიშაზე კი აღარ ყრიან, არამედ ხაფანგის ქვეშ ალაგებენ. როდესაც ცხოველები შეეჩვევიან ასეთ იმპროვიზებულ „სასადილოში“ საუზმის მირთმევას, აბდალა თავის საქმეს შეუდგება.

ღამის უკუნეთ წყვდიადში იგი ჩუმად მიიპარება კალათთან და თოკს გამოაბამს ბიჯგად შეყენებულ ჯოხს, რომელიც იჭერს ხაფანგის კარს. ახლა ლოდინია საჭირო. თენდება, მაგრამ ნადირობის ჟამი ჯერ არ დამდგარა. დრო კი ნელა მიიზლაზნება, როგორც იქნა, მზე შუბის წვერზე წამოიწია, საშინლად ჩამოცხა. წყურვილისაგან დაოსებული პავიანები ჯოგად მოედინებიან წყლიანი ორმოებისაკენ. ყველაზე ღონიერი რამდენიმე ხვადი მაიმუნი პირის ჩასატკბარუნებლად შედის კალათის ქვეშ და სწორედ ამ დროს... გაჰკრავენ თოკს. ხაფანგის კარი იხურება. კალათი თავზე ემხობათ პავიანებს. ფლიბუსტიერები მახეში გაებნენ. შემდეგი სცენა უჩვეულოდ კომიკურია, თანაც დრამატიზმით აღსავსე. არა მგონი, ვინმემ შესძლოს ამ საოცარი სურათის ღირსეულად აღწერა. გაოგნებული ტყვეები ერთ წამს მონუსხულივით ირინდებიან. ელდანაკრავთ შიში ჩასდგომიათ თვალებში. შემდეგ ერთბაშად აფორიაქდებიან. კედლებს აწყდებიან, გასაქცევ გზას ეძებენ. ამაოდ. დამფრთხალი ჯოგი უკანმოუხედავად გარბის. ცოტა დრო რომ გავა და „გონს მოვლენ“, უკანვე ბრუნდებიან, შორიახლო უვლიან გალიას და ისეთ ღრიანცელს ტეხენ, ყურთასმენა აღარაა. ყვირიან, წკმუტუნებენ, ყოველნაირად აქეზებენ დატყვევებულებს, უფრო ღონიერები გაბედულად მიდიან ხაფანგთან, სხაპასხუპით ელაპარაკებიან ტყვექმნილ თანამოძმეთ. მაგრამ მონადირენი რის მონადირენი იქნებიან, თუკი მაიმუნებს დატყვევებულთა განთავისუფლებას დაანებებენ. როგორც კი გალიის კარი იხურება, ისინი ჩქარობენ სამალავიდან გამოსვლას და აი ახლა იწყება თავი და თავი ამბავი. ნუ გაიკვირვებთ და მთელ ამ ნადირობაში ყველაზე ძნელი საქმეა დაჭე-

რილი პავიანების გამოყვანა გალიიდან, რადგან ისინი მეტის-მეტად ღონიერები არიან და თანაც საშინელი კბენა იციან. თვითეულ მონადირეს ხელში უჭირავს ორკაპი გრძელი მარგილი, ასეთ პალოს აფრიკაში „შებას“ ეძახიან. შეჰყოფენ ამ ორთითას გალიაში და ცდილობენ კისერში გამოსდონ მაიმუნს. საკმაოდ ძნელი საქმეა ეს. მაგრამ რაკი ერთხელ გაჰყოფს ამ „ყულფში“ თავს ცხოველი, წასულია მისი საქმე. მონადირე მაშინვე კისერს მოუგრეხს და წაქცეულს მიწაზე „დააჭედებს“ ორკაპით. როდესაც ტყვეები მონებივით ქედმოხრილ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, კალათს ნელა ასწევენ ზევით და მაიმუნებს ცალ-ცალკე მაგრად გაკოჭავენ პალმის ბოჭკოსაგან დაგრეხილი თოკებით. სიფრთხილისათვის ამავე თოკით პირსაც აუკრავენ და შემდეგ ტანიან-ფეხიანად ტილოში გაახვევენ. ბოლში გამოსაყვანად გამზადებულ ძეხვსა ჰგავს საცოდავი პავიანი. შემდეგ ლატანზე ჩამოჰკიდებენ და ნადავლაკიდებული ორი ზანგი მხიარულად გაუდგება გზას ჩვენი თავშესაფარისაკენ.

დიდ მაიმუნებს კარგი ნერვები აქვთ. არცაა გასაკვირი. არც თამბაქოს წევენ, არც სასმელს ეტანებიან, არც მუშაობით იკლავენ თავს, თანაც მუდამ სუფთა ჰაერზე ცხოვრობენ. რამდენიმე დღის შემდეგ ტყვეობაში მყოფი ცხოველები გონს ძოდიან, გადატანილ უბედურებას ივიწყებენ, ახალ პირობებს ეგუებიან და ჩვეულებრივ უტიფრობას იწყებენ, როგორც კი ვინმე მიუახლოვდება, მაშინვე გამძვინვარებით მოასკდებიან გალიას და მზად არიან თავდასასხმელად. მეფური სიდინჯე დიახაც რომ აკლიათ ამ ვეება ცხოველებს, ამიტომაც ცალ-ცალკე ჰყავთ გამომწყვდეულნი, რადგან ჩხუბისთავები აუტანელი არიან საზოგადოებაში. წუთითაც კი რომ შეიყვანონ საერთო გალიაში, მაშინვე ჩხუბს ატეხენ. უმსხვერპლოდ არ თავდება მათი ბრძოლა. რა თქმა უნდა, მუდამ ძლიერი იმარჯვებს და სუსტი იღუპება. ძუსაც კი არ სცემენ დიდად პატივს. თუ უზრდელ ფაშას გალიაში შეუყვანეს ძუ, შიმშილით მოკლავს, რადგან თვითონ გადასანსლავს ყველაფერს. ნამდვილი ღორმუცელები არიან პავიანები და სწორედ ამიტომაა ადვილი ამ ყველაზე უფრო ღონიერი მაიმუნების დაჭერა. ზვიადი

ნაბიჯით მიეშურება ხოლმე ეს ტირანი საჰმელისაკენ (ხაფანგისაკენ), ხელქვეითნი განზე დგანან და შიშით შესცქერიან, მხოლოდ თავის კუროს თუ იახლებს შორიახლოს და დროდადრო ნასუფრალის აღების ნებას მისცემს.

რასაც აქ გიამბობთ მაიმუნების შესახებ, მენგესის მონაყოლიდან ვიცი. საერთოდ, ამ კაცს მდიდარი გამოცდილება აქვს ამ საქმეში, ბევრი საინტერესო ამბავი უნახავს. ახალგაზრდა ძუ მაიმუნი, რომელიც ადვილად იცნობოდა ნაიარევი ცხვირით, სამჯერ დაუჭერიათ და სამივეჯერ სხვადასხვა ხვადთან ყოფნისას. მონადირეებს მისთვის შესაფერისი სახელიც შეურქმევიათ. „ზიტს“ (ცოლს) ეძახდნენ თურმე და ძველი ნაცნობივით ესალმებოდნენ. მესამე შეხვედრის დროს აბდალას ვეღარ მოუთმენია და ჰიპოპოტამის ტყავისაგან დაწნული შოლტით მწარედ გაულახავს ეს „გამოუსწორებელი კახპა“. არ ვიცი, გამოდგება თუ არა ეს მაგალითი იმის საბუთად, რომ პავიანებს დიდად არ აწუხებთ ჭკუა-გონება. ის კი უტყუარია, რომ ეს ახალგაზრდა ქალბატონი, როგორც ჩანს, მეტისმეტად მოსწონდათ ხვადებს და ამიტომაც იყო, რომ დაქვრივების შემდეგ იგი ჯერ ერთმა „ფაშამ“ დაისაკა ხარჭად და შემდეგ მეორემ. ფაშას საერთოდ მონადა ჰყავს გადაქცეული თავისი საყვარელი, ხვადს მუდამ კუდში უნდა დასდევდეს ძუ. ვინც დაკვირვებია მაიმუნების ცხოვრებას, მისთვის ეს ახალი ამბავი არაა. მორჩილება და მხოლოდ მორჩილება. სხვა კანონი მათ არა აქვთ. აბა გაბედოს ძუ მაიმუნმა და უსიტყვოდ ნუ დაემორჩილება თავის მბრძანებელს. ურჩი მკაცრად ისჯება. ხაფანგისკენაც რომ გაეშუროს დიდგული ფაშა, ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს ცოლი.

პავიანებზე ნადირობას ბევრი სასაცილო ამბავი ახლავს-მეთქი თან, მოგახსენეთ, მაგრამ თვით მონადირეებისათვის სულაც არაა ეს საქმე თავშესაქცევი და უხიფათო გასართობი. ყველაზე უფრო ღონიერი პავიანიც კი ესხმის თავს ადამიანს უმიზეზოდ. მაგრამ მეტისმეტად სახიფათოა ახლად დაჭერილ ცხოველთან მიკარება. პავიანს ისეთი ძლიერი კბილები აქვს, როგორც ჯიქს, და გარდა ამისა, უზომოდ ღონიერია. პავიანების დაჭერისას მონადირე მძიმედ რომ დაიჭრება, ეს

სავსებით ჩვეულებრივ ამბად ითვლება. ბაზასებს, რომელთა დიდად პატივსაცემი ნაშიერი გახლდათ ჩვენი აბდალა, ნაკლებად აფიქრებთ ეს საფრთხე და ამიტომ ისინი სიამოვნებით ჭამენ პავიანებს.

რვა დღის განმავლობაში ოცდაორი დიდი ხვადი დაგვიჭირა, რომელთა სანახავადაც ხშირად მოდიოდნენ მათი თანამოძმენი. შუადღისას წყალს რომ დალევდნენ, პავიანების მთელი ჯოგი მოაშურებდა ზერიბს, ანცები პალმებზე აძვრებოდნენ და ტყვეებს ყვირილით ელაპარაკებოდნენ. პასუხად საცოდავი წრიპინი გაისმოდა. საუბარი ბოლოს გულშემზარავ კონცერტად იქცეოდა. ერთხელ რომელიღაც გულმოკლული ჭირისუფალი ბანაკის მავთულხლართს გადმოახტა და სირბილით მიაშურა ერთ გალიას, რომელშიც გამომწყვდეული იყო პავიანი. ვინ იცის, ეგებ ძმა იყო მისი, მამა ან ბიძა. ჩვენმა მონადირეებმა მაშინვე გარეთ გააგდეს გათავხედებული მამაცი, მაგრამ ხეებზე მოკალათებულმა „მაყურებლებმა“ ფრიად იწყინეს თანამოძმისადმი ასეთი უდიერი მოპყრობა და საშინელი ღრიანცელი ატეხეს. მაიმუნებზე ნადირობა ზოგჯერ ნამდვილ ბრძოლად გადაიქცევა ხოლმე, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, თუ მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი ჰამადრილები ჰყავთ თვალში ამოღებული მონადირეებს. ეს ჯიში მეტისჰეტად აგრესიულია, და რაკი ჰამადრილები მუდამ დიდ ჯოგებად დადიან, ძალზე სახიფათოა მათთან შუბმა. ერთ ჩემ ახალგაზრდა აგენტს, ერნსტ ვახეს, ერთხელ აბისინიაში უნახავს ჰამადრილების ბრძოლა, რომელშიც თურმე თითქმის სამი ათასი მაიმუნი მონაწილეობდა. საშინელი ჩხუბი იციან ამ ცხოველებმა. ფაფარს აიბურძგნიან, კბილებს აკრაჭუნებენ და გამეტებით აბაკუნებენ მიწაზე ხელ-ფეხს. შემდეგ ისინი ახლოს მიდიან მოწინააღმდეგესთან და ორთაბრძოლაში იწყებენ მას.

ამ ცხოველებზე ისევე ნადირობენ, როგორც ზევით იყო აღწერილი. მხოლოდ ესაა, რომ ხაფანგს აკეთებენ მიწაში ღრმად ჩასობილი ლატანებისაგან, რომლებზედაც მიმოზის ეკლიანი ტოტებია შემოხვეული. ასეთი მახე-სახლი მრგვალი ან ოვალური ფორმისაა, სიგრძით ექვსი, სიგანით კი ოთხი

მეტრი, ორივე მხარეს კარები აქვს, რომლებზედაც გამობმულია გრძელი თოკი. თოკი მახის თავზეა გადატარებული და მონადირის სამალავი ადგილისაკენ მიემართება. მაიმუნების დიდი არმია პატარ-პატარა ჯგუფებად ნაწილდება. თვითეულ ჯგუფს თავისი წინამძღოლი ჰყავს. როდესაც ჰამადრილების გუნდი მახეს მიუახლოვდება, წინამძღოლი კართან დგება სადარაჯოდ, მისი განებივრებული ხარჭები და ახალგაზრდა მაიმუნები კი საჭმელს შეექცევიან. შემდეგ თვით წინამძღოლი შედის „სასადილოდ", მის სადარაჯო პოსტს სხვა მაიმუნი იკავებს. მაგრამ უკანა კარი ღიაა და არც დარაჯი უყენია. სწორედ ამ კარიდან იპარებიან მახეში სხვა მაიმუნები; ასე რომ მალე გასანძრევი ადგილი აღარა რჩება „კალათში". უეცრად გაისმის ამაზრზენი ღრიალი და იწყება საშინელი ალიაქოთი— ორივე კარი დაკეტილია!

ვახე გვიამბობს, რომ ერთი ასეთი ნადირობის დროს დაახლოებით სამი ათასი მაიმუნი დაესხა თავს მცირერიცხოვან მონადირეებს, რომლებიც შაშხანებითა და კეტებით იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ მაინც იძულებული გახდნენ გაქცევით გადაერჩინათ თავი. გამარჯვებულნი დაეუფლენ ბრძოლის ველს, გააღეს ხაფანგის კარი და გაათავისუფლეს ტყვეები. ჰამადრილებთან გამართული ბრძოლის დროს ბევრი საინტერესო და გულისამაჩუყებელი რამ შენიშნეს მონადირეებმა. ერთ პატარა მაიმუნს თავში კეტი მოხვდა, გაბრუვდა და წაიქცა. ეს შენიშნა ვეება ძუ მაიმუნმა, მაშინვე აიტაცა დაჭრილი, რის ვაი-ვაგლახით გაიყვანა ბრძოლის ველიდან და ბუჩქებში შეაფარა თავი. მეორე ახალგაზრდა ძუ მაიმუნს ზურგზე ჰყავდა მოკიდებული თავისი პირმშო, მაგრამ როგორც კი დაინახა, რომ მისი შვილის ტოლ მაიმუნს დედა მოუკლეს, მაშინვე წამოიკიდა ზურგზე ობოლი. მაიმუნების ჯოგში სიმკაცრე, მკაცრი დისციპლინა გაცილებით ძლიერაა ფესვგადგმული, ვიდრე არაკად ქცეული სიყვარულის გრძნობა. წინამძღოლნი საშინელი, თითქმის სადისტური სიმკაცრით აჩვევენ თავიანთ ხელქვეითებს უსიტყვო მორჩილებას.

მაგრამ მონადირეების დამარცხება, როგორიც ახლახან აგიწერეთ, მაინც ძალზე იშვიათია. ადგილობრივი მცხოვრებ-

ხი ზოგჯერ უხაფანგოდაც იჭერენ მაიმუნებს. როდესაც ისინი ველად ჩამოდიან, რათა სოფლების ახლომახლო ადგილებში პირი ჩაიტკბარუნონ დურათი, მონადირეები ფეხდაფეხ დაედევნებიან ჯოგს და ხელით იჭერენ შვილებიან ძუებსა და ჯერ კიდევ მუხლგაუმაგრებელ ახალგაზრდა მაიმუნებს, რომლებიც მალე იღლებიან და ვეღარ მისდევენ ჯოგს.

ეს პატარ-პატარა ამბებიც კი კმარა იმის მისახვედრად, რომ მხეცებით ვაჭრობა ყველაზე ფართო მასშტაბებით უნდა იყოს დაკავშირებული პრაქტიკულ გეოგრაფიასთან. ასეთი ვაჭრობის სფერო მთელი დედამიწაა, მისი ყველა კუთხე-კუნჭული. ამიტომ აფრიკის ულრანი ტყეები იქნება, თუ ინდოეთის ჯუნგლები, შორეული ციმბირის ტაიგა, თუ არქტიკის ყინულოვანი სივრცეები — ყველგან უნდა გვყავდეს ამ საქმის მაცნე-მზვერავები. მათ კვალდაკვალ მიჰყვებიან მოგზაურნი და მონადირენი ადგილობრივი დამხმარე ძალების თანხლებით. მხეცებით მოვაჭრენი მონადირეებივით რომ არ უნდა იქცეოდნენ, ამას უთქმელადაც მიხვდებოდა მკითხველი, რადგან მათ ცოცხლად უნდა დაიჭირონ მხეცები და დაუზიანებლად მიიყვანონ დანიშნულების ადგილას. შორეული არაცივილიზებული ქვეყნებიდან ველ-მინდვრებისა და უდაბნოების გავლით მიეშურებიან ცხოველთა ქარავნები. უვალი და უცნობი გზებით უხდებათ მოგზაურობა, ბევრი სიძნელე და მოულოდნელობა ეღობებათ წინ, ხშირად დიდ დანაკლისსაც ნახულობენ.

მრავალი წლის მანძილზე ცხოველების ჭეშმარიტ სამოთხედ ითვლებოდა ეგვიპტის სუდანი. ამ ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნეს, ჩემ ძველ მეგობარ იოსებ მენგესს მრავალჯერ უმოგზაურია ჩრდილოეთ აბისინიაში, რომელიც გადაჭიმულია მასაუადან ცისფერი ნილოსის სათავემდე. ამ ადგილებში მობინადრე ცხოველებიდან შეიძლება ჩამოვთვალოთ: აფრიკული სპილო, შავი მარტორქა, ჰიპოპატამი, ჟირაფი, ლომი, ჯიქი და ჰეპარდი, ლაქებიანი და სრელა აფთარი, აფთრისმაგვარი ძაღლი, თაფლიჭამია, მიწის მგელი, გარეული ვირი, კაფრის კამეჩი, სხვადასხვაგვარი ჯიშის ანტილოპა, წყლის ვაცი, ჯაგნარის თხა, ნილგაუ, გნუ, არაბული ქურციკი, ჯუჯა ანტილოპა, მეჭეჭა, მიწის ღორი, მაჩვზღარბი, ძაღლისთავა პა-

ვიანი, საკუხიანი პავიანი და სხვა ჯიშის მაიმუნები. არც ფრინველთა სამყაროა ნაკლებ მდიდარი. აქ ბინადრობენ ფეხმარდი სირაქლემა, მარაბუ, აფრიკული მჩხავანა არწივი, აგრეთვე სხვადასხვა მტაცებლები და ათასგვარი ჯიშის ქათმები. უფრო სრული სურათი რომ მივიღოთ, ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ ნიანგები, გველები და კიდევ მრავალი სხვა ჯიშისა და გვარის ცხოველები.

ცხოველთა ეს სამეფო, სადაც ცხოველთა სამყაროს გიგანტებიც კი გვხვდება, ჯერ კიდევ კლასიკური ხანის წარსულში იწვევდა ევროპის მცხოვრებთა დიდ ინტერესს. არცაა გასაკვირი — ინდოეთის და საერთოდ აზიის ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ ევროპის ბაზარზე, რადგან მაშინ მეტისმეტად ძნელი იყო აფრიკის გარშემო მოგზაურობა.

ხომ ამდენი ნადირი და ფრინველი იცის ამ ქვეყანაში, საოცარი ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სულაც არ მისდევს ნადირობას. პირიქით, უმრავლესობა მიწათმოქმედებას ეწევა, ზოგიერთნი ვაჭრობენ ანდა ხელოსნობენ ქალაქებში, რომლებიც თითზე ჩამოსათვლელია. მოსახლეობის ერთი ნაწილი მომთაბარეობს — ერთი საძოვრიდან მეორეზე. მიერეკება ჯოგს, აქლემებზე აჰკიდებენ ხოლმე პრიმიტიულ კარვებსა და საოჯახო ბარგი-ბარხანას და გაუდგებიან გზას. სუდანში მცხოვრები ეროვნებებიდან ყველაზე უფრო ძლიერნი არიან: ჯალინები, შუქურები, დაბაინა, ჰამრანი, ბენი-ამერი, მარსა, ჰაბაბი, ჰალენგა, ჰაბენდო, აგრეთვე თავიანთი აქლემებით განთქმული აბაბდეჰ-ბიშარინი და ტაკრურები. ტაკრურები დარფუნიდან ჩამოსახლებული მაჰმადიანი ზანგები არიან. ისინი, ისევე როგორც დანარჩენი ნუბიური ტომები, წინასწარმეტყველის მიმდევრები არიან, ჩვენს მიმართ ყოველთვის სტუმართმოყვარეობას იჩენდნენ. ქალაქებსა და საბაზრო სოფლებში, როგორიცაა მაგალითად, კასალა (აქ. სხვათაშორის, ტელეგრაფიც კი არის), ჰედარეფი, დოგა, ჰალაბატი, შეიძლება ნახოთ საოცრად გაწაფული ადგილობრივი ხელოსნები, რომლებიც უაღრესად პრიმიტიული ხელსაწყოების დახმარებით ბევრ საინტერესო ნივთს აკეთებენ

გასაყიდად. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ, მაგალითად, სპილოს ძვლისა და კამეჩის ტყავისაგან ნაკეთი ფარები, შუბები, ხმლები, დანები, აგრეთვე ცხენისა და აქლემის უნაგირები. ქსოვაც კარგი იციან: ზოგჯერ ისეთ შესანიშნავ ყაჯარს წააწყდებით, თვალს რომ არ უნახავს. ოქრომჭედლობასაც მისდევენ აქაური მკვიდრნი. ოქროსა და ვერცხლის საოცარ ნივთებს, სხვადასხვა ზომის ფილიგრანულ ბეჭდებსა და სამაჯურებსაც აკეთებენ, ზოგს ხელზე წამოსაცმელად, ზოგსაც ფეხის მოსართავად.

ნუბიელი დღეში ორჯერ შეექცევა თავის „ლუხმეს“ — ნაციონალურ კერძს, რომელსაც რძეს ან „მელახს“ აყოლებს. ლუხმე დურას მარცვლებისაგან მზადდება და ფაფასა ჰგავს. ყველა რიგიან „ოჯახს თავისი მონა-ქალი ჰყავს, რომელიც ქვაზე ხეხვით ფქვილად აქცევს ამ მარცვლებს, შემდეგ ცხელ წყალში ყრის და მანამდე ხარშავს, სანამ სქელი ფაფა დამზადდება. ხორციანი კერძი მელახი ნუბიაში საწებლად იხმარება, ესე იგი, „უკულმართული“ წესით სადილობენ. მელახს ამზადებენ მზეზე გამხმარი და შემდეგ დაფქვილი ხორცის, ზეთისა და ხმელი ბალახისაგან, რომელსაც არაბულად „ვექას“ უწოდებენ. ჩამოთვლილ პროდუქტებს გულმოდგინედ აურევენ ერთმანეთში, მარილითა და წიწაკით შეაზავებენ და ძოხარშავენ. ამ საწებელს მოასხამენ ლუხმეზე, რომელსაც შემდეგ ხის ჯამში გადაიტანენ და მიწაზე დადგამენ. ოჯახის წევრები და სტუმრები გარშემო ჩაცუცქდებიან, იტყვიან „ბისმილა“ (რაც ჩვენებურ ენაზე ნიშნავს „შეგვეწია ღმერთი“) და იწყებენ ჭამას. ისევე როგორც ძველ ბიბლიურ ხანაში, თვითეული სუფრის წევრი გულმოდგინედ დაბანილ ხელს ჩაჰყოფს ჯამში, თითებით გუფთას გააკეთებს, საწებელში ჩააწებს და შეჭამს. ასე გრძელდება მანამდე, სანამ ჯამი არ დაცარიელდება ანდა ყველა არ გაძღება. ამის შემდეგ იწყება ჩვენთვის, ევროპელებისათვის ნამდვილად სასეირო ამბავი. ზნე-ჩვეულება მოითხოვს, რომ ყველა სტუმარმა მასპინძლის მიმართ თავისი პატივისცემა დაადასტუროს ამობოყინებით. ყოველ დაბოყინებას თან ახლავს ხმამაღალი

საზეიმო შეძახილი — „ელ-ჰამდულილა“, რაც ნიშნავს „გმადლობთ, უფალო“.

განსაკუთრებით საზეიმო შემთხვევებში, ვთქვათ, ქორწილის ან ოჯახური ლხინის დროს, დაკლავენ ხარს და იქვე შეექცევიან. ქონს მაშინვე იყენებენ თმის გასაპოხად. ჩვენებური კაცი განცვიფრებული დარჩება, რომ ნახოს, თუ როგორ სწრაფად ხდება ყველაფერი ეს. მოხედვას ვერ მოასწრებ და ცხოველი დაკლულია, გატყავებულიც, ნაჭერ-ნაჭერ აქნილიც, მუგუზლებზე შემწვარიც და... შეჭმულიც. კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია, თუ რამდენ ხორცს ნთქავს ერთ ჭამაზე ნუბიის მკვიდრი. თუ ნადირობის დროს კამეჩს ანდა ჟირაფს გადაეყარენ, იმწამსვე მოუსწრაფებენ სიცოცხლეს და ლხინს გაძართავენ. მალე მხოლოდ ძვლები და ტყავიღა დარჩება ცხოველისაგან. მაგონდება ერთი ამბავი. ერთხელ ატბარის* მახლობლად ბეჰემოტზე ნადირობდნენ ადგილობრივი მკვიდრნი და რამდენიმე ასეულმა კაცმა ორი საათის განმავლობაში ‘თანთქა მოკლული ცხოველი, რომელიც დაახლოებით 5000 გირვანქას (2500 კილოგრამს) იწონიდა. ლხინის დამთავრების ‘შემდეგ ნასუფრალს ‘ტაცებელი ცხოველები რომ ესტუმრენ, გამოხრული ძვლების მეტი აღარაფერი დახვდათ.

ადგილობრივ მკვიდრთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ ხმლით მონადირენი, ანუ „აგაგირი“ („აგარი“ — ხმლით მონადირეს ჰქვია, „აგაგირი“ — კი ამ სიტყვის მრავლობითი ფორმაა), რომლებიც თავიანთ თავს ტომის „არისტოკრატიად“ თვლიან, რადგან ხმლით ნადირობა ‘მართლაც საოცარ გამბედაობას, სიმამაცესა და ცოდნას მოითხოვს. ისინი ცხენდაცხენ გამოედევნებიან ნადირს და ბასრი დაშნით ბეჭში ან უკანა ფეხის აქილევსის ქუსლში დასჭრიან ცხოველს. მონადირეებს აბისინიური ჯიშის პატარა, მაგრამ ღონიერი და ფიცხი ცხენები ჰყავთ. ასეთი ნადირობა დიდ სიმარჯვეს მოითხოვს. განსაკუთრებით სახიფათოა კაფრის კამეჩზე, მარტორქაზე, ლომსა და სპილოზე ნადირობა. თუმცა

---

* ატბარა ნილოსის მარჯვენა შენაკადია, სიგრძით 1120 კილომეტრი, სათავეს იღებს აბისინიის მთიანეთში.

ამ ცხოველებზე ნადირობაში ორი, სამი ან ოთხი ხელხმლიანი ძოხადირე მონაწილეობს, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მდევარს გასაქცევად უხდება საქმე.

სპილოზე სანადიროდ ყველაზე მეტად გამოცდილი მონადირენი დადიან, რომელთაც კარგი ცხენოსნობაც იციან და ისეთი ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებთ, რომ გაჭირვებაში აუცილებლად მიეხმარებიან ერთმანეთს. თუკი ხელსაყრელ ადგილას მიიმწყვდიეს სპილოების ჯოგი, მონადირეები შეეცდებიან ცალკე გაიმარტოვონ საუკეთესო ეშვების მქონე ცხოველი. უხსოვარი დროიდან ნადირობს ადამიანი სპილოზე, ამიტომაც ჭკუა ისწავლა ახლა ამ ცხოველმა და იმდენად ფრთხილი და მშიშარა გახდა, რომ თუკი გასაქცევი გზა აქვს, უკან მოუხედავად გარბის. მაგრამ, თუ ალყაში აღმოჩნდება და შეატყობს, რომ გაქცევით თავს ვერ შველის, მაშინვე შეტევაზე გადმოდის. გამძვინვარებული მხეცი ისეთ ღრიალს იწყებს, რომ ცხენები ფრთხებიან და პატრონებს აღარ ემორჩილებიან. ასეთ პირობებში სპილოს თავდასხმა კარგს არაფერს უქადის მონადირეებს და ისინი იძულებული არიან გაქცევით განერიდონ გოლიათს. სპილო უმეტესად ღია ფერის, განსაკუთრებით ლურჯა ცხენებს ესხმის თავს, ვინაიდან მაინცადამაინც კარგ მხედველობას ვერ დაიკვეხნის იგი და ასეთი ფერი კი უფრო ადვილად გასარჩევია. მონადირეებმა იციან ეს და თავისებურ ხერხსაც მიმართავენ. ერთი მონადირე სწორედ ლურჯა ულაყზე ამხედრდება და ჭენებით რამდენჯერმე ჩაუქროლებს სპილოს, გაღიზიანებული ცხოველი გამოედევნება მონადირეს. დანარჩენი მონადირეები კი თვით მდევარს ჩაუდგებიან კვალში. როდესაც ერთ-ერთი მონადირე დაახლოებით ათიოდ ნაბიჯზე წამოეწევა სპილოს, მსწრაფლ ჩამოხტება ცხენიდან და იმ მომენტში, როდესაც სპილო მიწაზე დაადგამს ფეხს, ორლესულ მახვილს აძგერებს აქილევსის ძყესში. ცხოველი მაშინვე კოჭლდება. დაჭრილი ცხოველი თავის ვერაგ ძტერს შემოუტრიალდება, მაგრამ ამ დროს პირველი მონადირე ჩამოხტება ცხენიდან, ფრთხილად მიეპარება სპილოს და ხმლის ძლიერი მოქნევით მეორე ფეხის ძყესს გადაუჭრის. მეტიც არაა საჭირო ძლიერი ცხოველის

უსუსურ მდგომარეობაში ჩასაგდებად. თუ მონადირემ მოახერხა ხმლის ღონივრად მოქნევა, მთავარ არტერიასაც გადაუჭრის სპილოს; ამის შემდეგ ის სისხლისაგან დაიცლება და სულსაც განუტევებს. თუ მონადირეებს იარაღი აქვთ, დაჭრილ ცხოველს ტყვიით მოუღებენ ბოლოს და შემდეგ ძვირფას ეშვებს მოატეხენ. მოკლულ ცხოველს გაატყავებენ. მისი ტყავი უაღრესად ძვირფას მასალად ითვლება და გამოიყენება ფარების, ხმლის ქარქაშებისა და პრიმიტიული გუთნის შემოსაკრავების დასამზადებლად. მომთაბარეთა ბანაკი თუ ახლოსაა განლაგებული, მთელი მოსახლეობა მაშინვე ბრძოლის ადგილას მოგროვდება, მოკლულ სპილოს გრძელ-გრძელ ნაჭრებად აქნიან და მზეზე გაახმობენ და წვიმების დაწყებამდე მარაგად ინახავენ. ასე დამზადებული აპოხტი სამხრეთამერიკულ „ჩერკას“ ჰგავს.

თანამედროვე იარაღით აღჭურვილი ევროპელისათვის დიდ მხეცებზე ნადირობა ახლა არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენს. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაში არიან ადგილობრივი მკვიდრნი ცხოველთა სამყაროს გიგანტებთან ბრძოლისას. იქაური მონადირის იარაღი გაცილებით უფრო პრიმიტიულია დიდი მხეცების, მაგალითად, სპილოს თავდასაცავ იარაღთან შედარებით. ასეთი ნადირობა ორთაბრძოლას უფრო ჰგავს, ამიტომ მონადირეს განსაკუთრებული სიმამაცე, მოხერხებულობა და სიმარჯვე მოეთხოვება. სუდანელების თქმით, სპილოებზე მონადირე კაცი არასოდეს არ კვდება თავის ოჯახში, რადგან ადრე თუ გვიან ან ეშვებზე წამოიგებს გამძვინვარებული მხეცი ანდა ფეხით გასთელავსო. ასევე ნადირობენ ადგილობრივი მკვიდრნი კამეჩსა და მარტორქაზე. ამ მომთაბარე ხალხის დაუძინებელი მტერია ნადირთა მეფე ლომი, რომელსაც გულადი მონადირეები ხმლით ებრძვიან ხოლმე. კიდევ ბევრი რამის თქმა შემეძლო სხვა მონადირეებზეც, მაგალითად, ბედუინებზე, რომლებიც სირაქლემების დაჭერის ოსტატები არიან და დროდადრო საგასტროლოდ ჩამოდიან სუდანში, ანდა სპორტსმენ ევროპელებზე, მაგრამ შორს წაგვიყვანდა ნადირობის, ცხოველთა მასობრივი ხოცვის ამბები. რაკი მოკლედ უკვე გიამბეთ ამ ქვეყნის მხეცებსა და ადა-

მიანებზე, ახლა მოგითხრობთ იმაზე, თუ ცოცხლად როგორ იჭერენ გარეულ ცხოველებს. ჰაგენბეკის მონადირეებს მდინარე ატბარას ნაპირას გაუშლიათ ბანაკი. დილაა. ცელქი ნიავი ნაზად ეჩურჩულება ველის ბალახებს. შუბის წვერზე წამოსული აფრიკული მზის სხივებით გაჩახჩახებული ხეები ანთებულ ლამპრებსა ჰგვანან. მდინარისპირა ლერწმიანს ჩიტების ურიცხვი გუნდი შესევია და ჟღურტულით იკლებს იქაურობას, ისპოლინური მარაბუ გნებავთ, თუ წყლის ზედაპირზე მოლივლივე პაწაწინა, მინიატურული მერცხლები — ყველანი აქ არიან. მზეს კიდევ უფრო ემატება მცხუნვარება, უთვალავი მწერი ირევა ჰაერში. მდინარის პირას გაშლილი ჩვენი ბანაკიც ფუსფუსებს. საკმაოდ ვრცელი ტერიტორია მარგილების მესერითაა შემორაგული, ერთადერთი გამოსასვლელიც კი ეკლებითაა ჩახერგილი. ბანაკის ძირითადი ნაგებობანია ევროპელებისა და მათი შავკანიანი მსახურების ჩალის ქოხები, აქვეა ბაგები და ფარდულები დაჭერილი მხეცებისათვის, აგრეთვე სამეურნეო და სასურსათო მარაგის შესანახავი რამდენიმე პატარა ფარდული.

კარგა ხანია ჩააქრეს კოცონები, რომლებსაც ღამღამობით ანთებენ ხოლმე გარეული მხეცების დასაფრთხობად. ჰაგენბეკის მონადირეები წუხელ ჩამოვიდნენ ბანაკში და მხიარულება მოიტანეს თან. თეთრკანიანები, რომელთაც შესწავლილი აქვთ ადგილობრივი ენა, გულითადად მიესალმენ ძველ მეგობრებს და იქაური წესის მიხედვით საჩუქრები უძღვნეს ერთმანეთს. ჩამოსულებს მსუქანი ცხვრები, ქათმები, კვერცხები, თაფლი, ცხვრის აპოხტი, დურას ნახადი ლუდითა და თაფლის ღვინით ავსებული კოკები მიართვეს. ევროპელებმაც გულუხვობა გამოიჩინეს. შავკანიან მეგობრებს ათასგვარი ევროპული ნახელავი აჩუქეს. ასეთ საჩუქარს დიდად აფასებენ ადგილობრივი მკვიდრნი. ამასთან დაკავშირებით ჰაგენბეკის ბანაკში გაიმართა დიდი ლხინი, მხიარულებისა და სტუმართმოყვარეობის ზეიმი. ჯერ ძღვნად მორთმეული საჭმელები მოიტანეს, თუმცა ყველაზე მეტი თვით მასპინძლებმა მიირთვეს, შემდეგ დოლი დაუკრეს და საშინელი ყიჟინით მამაკაცებმა საომარი ცეკვა შეასრულეს. მათ საკმაოდ საამო შესა-

ხედაობის ქალები და ქალიშვილები შეენაცვლებ, ტაში და დოლის ხმა რიტმულად მიჰყვებოდა მთელ ცეკვას. საზეიმო პროგრამის მთავარი „ნომერი“ იყო ფეხმარდი დრომადერეების მარულა. შეჯიბრება გვიანობამდე გაგრძელდა, კოცონების სინათლე კიდევ უფრო ზღაპრულს ხდიდა ამ სანახაობას.

და აი გათენდა. ახლა კი საქმეს უნდა ეწიოს ხალხი. მეთევზეები ღია ცის ქვეშ საუზმეს ამზადებენ. ადგილობრივი მკვიდრნი სამსახურს თავაზობენ ჩემს წარმომადგენლებს — მონადირეებადაც გამოვდგებით და ცხოველების გამრეკებადაც. აზუსტებენ ნადირობის მარშრუტს, ინსტრუქტაჟს უწევენ ნადირობაში მონაწილეებს, ამოწმებენ მონადირეების აღჭურვილობას. ხელახლა ტენიან უნაგირის ბალიშებს, ლესავენ ვეება ხმლებს, მეთევზეები ტომრებში ყრიან დურას ფქვილს, ტიკებს წყლით ავსებენ. სანადიროდ გამზადებულ ექსპედიციას უკან მისდევს სურსათ-სანოვაგითა და წყლით დატვირთული რამდენიმე აქლემი და თხების მთელი ჯოგი, რათა დაჭერილ ცხოველებს რძე არ შემოაკლდეთ. ნადირობა ადგილობრივ მკვიდრთა წესისამებრ ტარდება. ზევით უკვე აღვწერეთ ეს. ნადირობა ჟირაფებზე, ანტილოპებზე და კამეჩებზეც კი სავსებით უხიფათოა, რადგან მონადირეების დანახვაზე ისინი უმეტეს შემთხვევაში დამფრთხალნი გარბიან და ბედის ანაბარად ტოვებენ თავიანთ შვილებს, მაგრამ ხშირად ახალგაზრდა ცხოველების ხელში ჩაგდება ისე არ ხერხდება, თუ, სამწუხაროდ, დედა არ მოუკალით. როდესაც შვილის განწირულ ყვირილზე გაქცეული ძუ მის დასაცავად მობრუნდება და გამძვინვარებით ესხმის თავს მონადირეებს, მისი მოკვლა სამწუხარო აუცილებლობას წარმოადგენს.

ასეთი ხერხით, ესე იგი ცხოველების ჯოგიდან ჩამოტოვების გზით პირველად დაიჭირეს ჟირაფები 1826 წელს კორდოფანში *. დიდი მასშტაბებით კი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ასეთი ნადირობა, როდესაც მკითხველისათვის უკვე ცნობილმა კაზანოვამ ტაკას ტომიდან თანაშემწეებად დაიქირავა მახვილით „მონადირენი — ადგილობრივი მკვიდრნი — და მათი შემწეო-

* პროვინცია სუდანში.

ბით დაიჭირა პირველი აფრიკული სპილოები. სამოცდაათიან წლებში კი ჩვენ თვითონ დავიჭირეთ 33 ჟირაფი, 10 სპილო, 13 ანტილოპა, 4 ლომი, 5 ჯიქი, 7 აფთარი, 6 სხვადასხვა პატარა მტაცებელი ცხოველი, უამრავი მაიმუნი, სირაქლემა და ათასგვარი იშვიათი ფრინველი. გარდა ამისა, ბევრი ბეჰემოტი დაიჭირა ჩემმა ძმამ დიტრიხმა, რომელიც 1874 წელს, სამწუხაროდ, უდროოდ დაიღუპა ზანზიბარში ციებისაგან.

ფასდაუდებელ შემწეობას გვიწევდნენ ტაკრურას ტომიდან აყვანილი მონადირეები, რომლებიც სპეციალურად ხაფანგებით ნადირობაში არიან გაწაფულნი. არანაკლები დახმარება გაუწევიათ ჩვენთვის ბეჰემოტებისა და ნიანგების დაჭერისას „ჰავატებს“, რომლებიც მამაცი, გამოცდილი წყალმონადირეები და შესანიშნავი მოცურავეები არიან. ისინი წყალშივე ნადირობენ ცხოველებზე ჰარპუნებით. ახალგაზრდა ბეჰემოტების დასაჭერადაც სპეციალურად დამზადებულ ჰარპუნებს იყენებენ. ასეთი იარაღით მიყენებული ჭრილობა ღრმა არაა და მალე ხორცდება. ასეა თუ ისე, წინათ ევროპაში ჩამოყვანილი ბეჰემოტების სამი მეოთხედი სწორედ ამ ხერხით იქნა დაჭერილი. ბუდამ ღრმა პატივისცემით ვიგონებ აფრიკის ამ შავკანიან მკვიდრთ, რომელთაც დიდი დახმარება გაუწევიათ ჩემი მონადირეებისა და აგენტებისათვის.

ეროვნებათა გამოფენების მოწყობის პროცესში გავიცანი ბევრი მამაცი მონადირე, რომლებიც მე ჩემი წარგზავნილი „მეომრების“ თავისებურ ბელადად მთვლიდნენ. მათი აზრით, ბელადისათვის შეუფერებელი ერთი დიდი ნაკლი მქონდა — ახოვანება მაკლდა. ამიტომაც ვიყავი ალბათ „დაჩაგრული“: მე მხოლოდ ერთი „ბიბი“ (ცოლი) მყავდა. მაშინ, როდესაც ადგილობრივი ტომის ბელადები მრავალრიცხოვანი ჰარემისა და უამრავი შვილების პატრონები იყვნენ. განსაკუთრებით ხანგრძლივი მეგობრობა მქონდა სომალელ ბელად გერსი ერასთან, რომელიც ერთხელ უკვე გავაცანი ჩემს მკითხველს, როდესაც ეროვნებათა გამოფენაზე მოვუთხრობდი. შემდგომში მან დიდი დახმარება გამიწია ევროპაში ორი ათასი სული დრომადერის ჩამოყვანაში.

ცოტა გადავუხვიე და შეიძლება მკითხველს დაავიწყდა

კიდეც, რომ მდინარე ატბარას ნაპირას ვიყავით, ჰაგენბეკის მონადირეთა ბანაკში. ახლოვდება განშორების ჟამი. ბაგები და საერთოდ მთელი ეზო სავსეა დაჭერილი ცხოველებით. მათი უმრავლესობა გალიებსა და ყუთებში რომ არ იყოს გამომწყვდეული, პატარა სამოთხეს დაემსგავსებოდა აქაურობა. ხეებზე ჯაჭვებით მიუბამთ ახალგაზრდა სპილოები, ჰიპოპოტამები, ჟირაფები, კამეჩები. ლომის ბოკვრები უდარდელად თამაშობენ ბალახებში, ანცი მაიმუნები — ანთარები მეტისმეტად გათამამებულნი თავზე ახტებიან მეფისწულთ. ხის პრიმიტიულ გალიებში ღრუტუნებენ ღორები, ღრიალებენ ჯიქები, იმანჭებიან მაიმუნები, გაჰყვირიან თუთიყუშები. მედიდურად სეირნობენ ეზოში სირაქლემები და მარაბუ. მხოლოდ ჩვენი შავკანიანი მეგობრები სდუმან, ნაღვლობენ. მიზეზიცა აქვთ — ჰაგენბეკის ხალხი აიშალა და წასასვლელად ემზადება. დამთავრდა სამზადისი, ყველაფერი მზადაა გასამგზავრებლად. ახლა იწყება ნადირობაზე უფრო ძნელი და რთული ამბავი — ხანგრძლივი მარში სანადირო ბანაკიდან დასატვირთ ნავსადგურამდე. გზა მეწამული ზღვისაკენ მიემართება. მძიმედ დატვირთული რამდენიმე ასეული დრომადერი იწყებს გრძელი ქარავნის მსვლელობას. 150 სხვადასხვა ცხოველი მიჰყვება შეწინავეებს, ბოლოში კი მობაკუნობს თხის ჯოგი — ჩვენი მოძრავი სარძევე ფერმა.

დაღამდა. მთვარემ ვერცხლისფერი სხივები უხვად მოაფრქვია გარინდებულ ქვიშნარ უდაბნოს. დღისით მეტისმეტად ცხელა ამ ადგილებში და ამიტომ ქარავანი ღამით მოგზაურობას ამჯობინებს. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა, ზოგჯერ აფთრის ხრინწიანი ხარხარი თუ დაარღვევს მყუდროებას. გველივით მიიკლაკნება ჩვენი ჭრელი ქარავანი სილახვავის კალთებზე, რომელთა ქედები ვერცხლისფრად ბზინავს ვარსკვლავთა ათინათით. ზომიერი ნაბიჯით ერთიმეორეს მისდევენ დატვირთული დრომადერები, მათ შორის კი: ფანტასტიკური სანახაობაა! — მოდიან სირაქლემები, ჟირაფები, სპილოები, კამეჩები, რომელთა უცნაური ჩრდილები მბზინავ ქვიშაზე გართხმულან და მდუმარე თანამგზავრებივით მათთან ერთად მიაბიჯებენ უკიდეგანო უდაბნოში. ტყავის აღკაზმულობის

ჭრიალი, ცხოველების ფრუტუნი და მათი გამცილებლების ყრუ შეძახილები თუ დაარღვევს დროდადრო ღამის მყუდროებას. ვარსკვლავებით აკიაფებული აფრიკული ზეცა ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გადაჰფარებია თავზე უდაბნოს! მეწამული ზღვის ახლომახლო ადგილები უხსოვარი დროიდანვე განთქმულია საშინელი პაპანაქებით — ზაფხულობით თერმომეტრი თითქმის ყოველთვის 45 გრადუსს უჩვენებს ჩრდილში. ღამითაც კი არ ნელდება სიცხე. ასე რომ, სიცხე და წყლის ნაკლებობა ფეხს უბორკავს ქარავანს. დასასვენებლად რომ გაჩერდებიან მოგზაურნი, ცხოველების გამყოლნი სანადიროდ გაეშურებიან, რათა სანოვაგის მარაგი შეავსონ. მაგრამ მთავარი მაინც წყალია. მასზეა დამოკიდებული ქარავნის ბედი, ადამიანებისა და ცხოველების სიცოცხლე.

ქარავნის მოძრაობის სიჩქარეს განსაზღვრავს ცხოველთა ნაბიჯის სიგრძე. მსვლელობა გრძელდება რამდენიმე საათს, შემდეგ დასასვენებლად ჩერდებიან, ცხოველებს სასმელ-საჭმელს აძლევენ და კვლავ აგრძელებენ სვლას გათენებამდე.

დიდ ცხოველებს მიჩენილი ჰყავთ ადგილობრივი მკვიდრნი. ჟირაფს სამი გამყოლი ახლავს, სპილოს — ორი ან ოთხი, ანტილოპასა და დიდ სირაქლემებსაც — ორი.

ქარავნის შუაში წყვილ-წყვილად შებმული დრომადერები მოაბიჯებენ მძიმე ნაბიჯით. აქლემების სასაპალნე უნაგირებზე მსხვილი მარგილებია გადებული და მათზე ჩამოკიდებულია მოქნილი ტყავის ღვედებგადაჭერილი უზარმაზარი ყუთი, რომელშიც ახალგაზრდა ბეჰემოტები არიან გამომწყვდეულნი. საკმაოდ მძიმეა ეს ყუთი — დაახლოებით 300 კილოგრამს იწონის. ქარავანი შესასვენებლად რომ გაჩერდება, პატივცემული ბეჰემოტები აბაზანას იღებენ. საამისო წყალს უდაბნოს ამ გრძელ გზაზე საკუთარი ზურგით ეზიდებიან დრომადერები ვეებერთელა რუმბებით. მზის ამოსვლიდან ერთი საათის შემდეგ ქარავანი მოძრაობას წყვეტს და გამყოლები დასასვენებლად ადგილს ირჩევენ მიმოზის ან აკაციის პაწაწინა ჩრდილის ქვეშ, ანდა ჭილობებისაგან აკეთებენ ხელოვნურ თავშესაფარს. ასეულ კილომეტრებს გაივლის კაცი უდაბნოში და ერთხელ თუ წააწყდება სადმე წყალსატევს.

ქარავანი რომ ძიადგება ამ სანატრელ ადგილს, ზოგჯერ იგი დაკავებული აღმოჩნდება ხოლმე მომთაბარეთა მიერ და იწყება გაუთავებელი დავა და ცხარე კამათი. უდაბნოს ლაღი შვილები იარაღსაც კი წამოავლებენ ხოლმე ხელს, მაგრამ ამ დროს საქმეში ჩაერევა ქარავნის წინამძღოლი და მოარიგებს ძოშუღართ. მომთაბარენი დახარბებული არიან ავსტრიულ ფულს. ამიტომ სასწაულთმოქმედებას ახდენს რამდენიმე ნაჩუქარი ტალერი. წყალსაცავში ზოგჯერ საშინელი წუმპე დგას, მაგრამ ასარჩევი არაფერია. მოგზაურნი მაინც სიამოვნებით აავსებენ ხოლმე ტიკებსა და რუმბებს. უახლოეს ოაზისამდე სამი-ოთხი დღის სავალია და ამ გრძელ გზაზე ქარავნისათვის წყლის საზიდავად 30 — 40 დრომადერი მაინცაა დასაქმებული.

ძიუხედავად გულმოდგინე მოვლა-პატრონობისა, ბევრი ცხოველი იღუპება გზაში. სიცხეს შეჩვეული ხვადი პავიანებიც კი იხოცებიან ხოლმე მზის დაკვრით. ასე რომ, განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდებათ როგორც ცხოველებს, ისე ადამიანებს. ზოგჯერ უცნაურ ამბავს გადაეყრებიან მექარავნენი. ერთხელ ჩრდილოეთ აბისინიისკენ მიეშურებოდა ჩვენი ქარავანი და მზის ჩასვლის წინ წყლის დასალევად რომ შევისვენეთ, ანაზდად, საკუხიანი პავიანების ჯოგს გადავეყარეთ. ძაიმუნებმა თვალი მოჰკრეს თავიანთ ტყვექმნილ მოძმეებს და ყივილ-ხივილით გარს შემოეხვივნენ. ქარავანმა გზა გახაგრძო, მაგრამ პავიანები არ გვცილდებოდნენ, მთელი ნახევარი საათის განმავლობაში უკან მოგვდევდნენ და რაღაცას უყვიროდნენ გალიაში გამომწყვდეულ თვისტომთ. ხანგამოშვებით რომელიმე ღონიერი და გაბედული პავიანი ოციოდ ხაბიჯზე მიუახლოვდებოდა დრომადერის ზურგზე აკიდებულ გალიას, კლდის ქიმზე შედგებოდა და გაცხოველებულ საუბარს გაუბამდა ძმობილს. ვინ იცის, ეგებ ჭკუას ასწავლიდა. თუ როგორ გაეტეხა გალია და გაეთავისუფლებინა თავი. მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლი მამაცები მალე იძულებული გახდნენ გასცლოდნენ იქაურობას, რადგან აქლემთა გამცილებლებმა სეტყვასავით დაუშინეს ქვები.

ბოლოს და ბოლოს, 30 — 40-დღიანი მოგზაურობის შემდეგ

ქარავანმა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქარავნის გადარჩენილმა ნაწილმა, მიაღწია მეწამული ზღვის ერთ-ერთ ნავსადგურს, საიდანაც გადაჰყავდათ საერთოდ ცხოველები სუეცში. სუეცში კი ჰამბურგისაკენ მიმავალ გემს, რომელიც ინდოეთიდან ან აღმოსავლეთ აზიიდან მოდის, მიჰყავს ცხოველები ევროპაში. ცხოველთა გადაყვანა შეიძლება აგრეთვე რკინიგზით. ტრანსპორტი ჯერ ჩადის ალექსანდრიაში, იქედან გემით ხმელთაშუა ზღვის რომელიმე ნავსადგურში: ტრიესტში, გენუაში ან მარსელში, შემდგომ კი კვლავ რკინიგზით გრძელდება მოგზაურობა და ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ მგზავრობისაგან დაქანცული ცხოველები ჰამბურგში ჩამოჰყავთ. ატბარის ან გაშის* ნაპირებიდან ქარავნის ჩამოყვანას დანიშნულების ადგილას თითქმის სამი თვე უნდება. აფრიკის უღრანი ტყეებიდან იძულებით ემიგრაციაში მოხვედრილი ცხოველები თანდათან ეგუებიან ახალ გარემოში „ცხოვრების ნორმალურ პირობებს". აქ მათ თავისუფლების მეტი არაფერი აკლიათ. ხანგრძლივი მოგზაურობისაგან დაღლილ-დაქანცულთ დასვენების სრული უფლება აქვთ.

სუდანის ცხოველთა „სამოთხე" თითქმის მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში დაკეტილი იყო და მის ჩარაზულ კარს ფხიზლად დარაჯობდა ცეცხლოვანი მახვილით შეიარაღებული ანგელოზი — წინასწარმეტყველის მემკვიდრე აბდულაჰ ხალიფა ელ მაჰდი.

როდესაც 1896 წელს ლორდი ჰერბერტ კიტჩენერი თავისი ჯარებით ომდურმანს მიადგა და მაჰდისტების აჯანყება ჩააქრო, ქალაქში ჯერ კიდევ გაისმოდა ხალიფას დაფდაფების ყრუ ხმა. გამარჯვებული ქალაქში არც კი იყო შესული, რომ აბდულაჰი გაიქცა და ერთხანს კორდოფანის მთებს შეეხიზნა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა და ერთ-ერთი ბრძოლის დროს მოკლეს. ომდურმანზე მოლაშქრე კიტჩენერის ჯარში სხვებთან ერთად იბრძოდა მამაცი ავსტრიელი სლატინ-ფაშა, ერთ-ერთი პროვინციის ყოფილი გუბერნატორი და ხალიფას მონა. მთელი ათი წლის განმავლობაში თურმე ტირანის ცხენის გვერ-

---

* გაში — ატბარის მარჯვენა შენაკადი.

დით ფეხდაფეხ არბენინებდნენ კეფაგაპარსულ და ფეხშიშველა კაცს. ფატა-მორგანის მსგავსად შექმნილ მაჰდის ბატონობას მალე მოეღო ბოლო. შუასაუკუნოვანი რომანტიკული ისტორიის გამოძახილს ჰგავდა ჩვენს ეპოქაში მომხდარი ეს ხანმოკლე ამბავი, მაგრამ ამ რომანტიკამ, სამწუხაროდ, მთლად გააპარტახა სუდანი. კასალში მყოფი ჩემი რეზიდენცია მსხვერპლად შეეწირა ამ შფოთიან ამბებს, ფანატიკოსებმა ნაკუწ-ნაკუწ აჩეხეს ჩემი აგენტი კონი. დროთა განმავლობაში თანდათან ნორმალურ კალაპოტში ჩადგა ცხოვრება, მაგრამ იმ ოლქებში, სადაც ჩვენ საქმიანობას ვეწეოდით, კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა. ცხოველთა მდიდარი სამყარო თითქმის მთლად გაჩანაგდა, მეათედიც კი აღარ დარჩა იმისა, რაც წინათ იყო ამ ადგილებში. სპილოების პატარ-პატარა ჯოგს თუ გადაეყრება კაცი ახლა იშვიათად, მარტორქები თითქმის მთლად განადგურდნენ, ტაკაზას ჩრდილოეთით ჟირაფი თითქმის აღარ მოიპოვება. წინათ აქაურობა სავსე იყო ანტილოპებით, ახლა მთელ ოლქებს მოივლი და ერთსაც ვერსად იპოვნი, ათასობით კამეჩი შავმა ჭირმა გაწყვიტა.

ცხოველთა სამყარო ასე რომ მოისრა, ამის მიზეზი მაჰდის ომებია, რადგან სწორედ ამ დროს ჩაუვარდათ ხელში ადგილობრივ ტომებს თანამედროვე იარაღი. მებრძოლთა გუნდები, განსაკუთრებით თეთრი ნილოსის ნაპირას ბინადარი ბაგარას ტომის არაბები, ისეთივე სახელგანთქმული მონადირენი, როგორიც არიან აღმოსავლეთსუდანელი ხელხმლიანი მონადირენი, უწყალოდ დაერიენ გარეულ ნადირსა და ფრინველს. ხორცს დახარბებულებმა მუსრი გაავლეს იქაურობას, უამრავი ძვირფასი ცხოველი დაიღუპა ამ მასობრივი ხოცვა-ჟლეტის დროს. სუდანელთა მეზობლებმა, აბისინიელებმაც დაიწყეს ულმრბელი ნადირობა. ეს კია, რომ მათ უფრო სარფიან საქმეს მიჰყვეს ხელი: სპილოების ამოჟლეტა დაიწყეს, რადგან ამ გზით გარდა ხორცისა, ძვირად ღირებული სპილოს ძვლის მოპოვებაც შეიძლებოდა. საზღვრისპირა პროვინციის მებატონე ერმეტომ მთელი ლაშქარი გამოიყვანა სანადიროდ და მარტო ერთ დღეში 56 სპილო მოკლა. მართალი გითხრათ, ნადირობაზე მეტად ბრძოლას უფრო ჰგავდა ეს ამბავი, რადგან

ცხოველებთან ერთად ოცი აბისინიელი მეომარიც გამოეთხოვა წუთისოფელს. მათი უმრავლესობა საკუთარი ამხანაგების ბრმა ტყვიებმა იმსხვერპლა.

აბისინიაში, სადაც არცთუ მაინცადამაინც დიდად ფასობდა ადამიანის სიცოცხლე და ცხოველები კი ზეციურ კუთვნილებად იყო მიჩნეული, საერთოდ ფართო მასშტაბებით ტარდებოდა ნადირობა. ერთხელ ერთმა ჩემმა აგენტმა მონაწილეობა მიიღო ჩემთვის განკუთვნილ ზებრებზე მოწყობილ ასეთ ნადირობაში. ამ ნადირობაში ჩაბმული იყო აგრეთვე ორიათასამდე ჯარისკაცი, რომლებმაც ზებრების ჯოგი სალი კლდეებით შემოზღუდულ დამშრალი მდინარის ქვიშიან კალაპოტში მიიმწყვდიეს. მეთაურთა ნიშანზე ჯარისკაცები ბარბაროსულად დაერივნენ უმწეო ცხოველებს. რამდენიმე საათს გაგრძელდა ეს დრამატული ამბავი. მაგრამ რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და ცხოველები დამარცხდნენ. თოკებით გაკოჭეს ისინი. მაგრამ გამარჯვებულთა ბანაკშიც იყო მსხვერპლი. ოცდაცამეტი ჯარისკაცი გამოაკლდა მათ, ზოგი დაიღუპა, ზოგიც მძიმედ დაიჭრა. რადგან ზებრები ზეციურ კუთვნილებად მიაჩნდათ, ისინი ადგილობრივ მკვიდრთა ქოხებში შელალეს. რამდენიმე დღის შემდეგ ცხოველებს გადატანილი უბედურება გადაავიწყდათ და ისე დამშვიდნენ, რომ ახლა ყოველგვარი ზედმეტი სიფრთხილის გარეშე შეიძლებოდა მათი წაყვანა. ეს ზებრები გრევის ჯიშისანი იყვნენ. ამ შესანიშნავ ცხოველებს არაჩვეულებრივი ხასიათი აქვთ და კარგი მოპყრობით ადვილია მათი მოთვინიერება. გაცილებით ძნელია კილიმანჯაროს უფრო გარეული ჯიშის ზებრის* გაწვრთნა, რომელიც ჯიუტობით სახედარს არ ჩამოუვარდება.

როდესაც მაჰდისტების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ჩემი აგენტები კვლავ ეწვიენ სუდანს და ადგილობრივ მოსახლეობაში ჩვენი ძველი მეგობრები და თანაშემწეები მოიკითხეს, სრულიად სხვაგვარი პირობები დაუხვდათ. ზოგიერთი ტომი

---

* ჰაგენბეკი აქ არსებითად ცდება: განსაკუთრებული სახეობის მთის ზებრა საძხრეთ აფრიკის ბინადარია. გრევის ჯიშთან შედარებით ის მართლაც უფრო ძნელი მოსათვინიერებელია, მაგრამ კილიმანჯაროს მთებზე ის არ მოიპოვება. იგი გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობს.

საერთოდ აღარ არსებობდა ანდა გადაშენების პირას იყო მისული. ომმა, შიმშილმა, გაჭირვებამ, ეპიდემიურმა სნეულებებმა — ყვავილმა და ქოლერამ ისე გააპარტახა იქაურობა, რომ მაჰდის ბატონობის ბოლოს, კერძოდ, 1885 წელს ადრინდელი მოსახლეობის ათი პროცენტი თუ იყო გადარჩენილი. ჰამრანის ძლიერი და ქედმოუხრელი ტომიდან, რომელიც საბელგანთქმული იყო ხელხმლიანი მონადირეებით, ოცი კაცი თუ მოგროვდებოდა. ხელხმლიან მონადირეთაგან კი ერთიც არ გადარჩენილიყო, ასე რომ, ახლანდელი ახალგაზრდობა მხოლოდ მოხუცების გადმოცემით იცნობს ამ კეთილშობილური რაინდული სახის ნადირობას. ახლა კი ყველას თოფი უჭირავს ხელში. თუმცა ისევ ძველებური ხერხით ნადირობენ, ესე იგი ასაკოვან ცხოველებს მოზარდეულს ტაცებენ, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ შორსმსროლელი თოფით გაცილებით მეტი ბებერი ნადირი იხოცება, ვიდრე წინათ, როდესაც მხოლოდ პრიმიტიული იარაღი მოეპოვებოდათ მონადირეებს. მხეცების დაჭერისას თოფის გარდა კვლავ იყენებდნენ ხაფანგებსა და ორმოებს. მაგალითად, ბეჰემოტი ხშირ შემთხვევაში სწორედ იმიტომ უვარდება ხელში მონადირეებს, რომ ჩვეულება აქვს წინ გაირეკოს მოზარდეული. რატომ იქცევა იგი ასე? ადვილი ასახსნელია: უკნიდან ცხოველს საკუთარი სქელი ტყავი იცავს, წინ კი შეუძლია იყუროს და დროზე შეამჩნიოს საფრთხე, რომელიც მის შთამომავლობას დახვდება გზაზე. ძუ ბეჰემოტს ისევე უყვარს თავისი შვილები, როგორც საერთოდ ყველა დედას. მაგრამ როდესაც უღრან ტყეში მშვიდად მიდის თავის პირმშოსთან ერთად, არავითარი საფრთხის მოლოდინი არა აქვს და უეცრად თვალსა და ხელს შუა კარგავს შვილს, შიშისაგან შეძრწუნებული ბეჰემოტი უკანმოუხედავად გარბის. თუ ყველაფერი კეთილსასურველად წარიმართა, მონადირეებს ნადავლი ხელთა აქვთ. ერთხელ, ამ ხერხით რომ დაიჭირეს ახალგაზრდა ბეჰემოტი, ჩემს მონადირეს მხიარულად შეეგებენ ადგილობრივი მკვიდრნი და მიაძახეს: „ბანა კიბოკო მაკუფა“ (ბეჰემოტი მოკვდა). შეშინებულ ბეჰემოტს გული გახეთქოდა. მონადირემ ესღა უპასუხა: „ნაკულა კიბოკო“ (შეჭამეთ ბეჰემოტი). სწორედ ამის იმედი ჰქონდათ და იმიტომ ხარობდნენ

თურმე. ზოგჯერ მონადირეები იძულებული არიან ღამის გასათევად ორმოშიევ დატოვონ ცხოველი. მაგრამ „სიმბა“ (ლომი) მოინახულებს ხოლმე ტყვექმნილს და დილით მოსულ მონადირეებს ტყავისა და ძვლების მეტი აღარაფერი ხვდებათ ადგილზე.

თუ ყველაფერი რიგზე იქნა, ორმოს გარშემო სასწრაფოდ შემოავლებენ მესერს და ამ ღობეში გატარებულ მარყუჟს ჩაუშვებენ ორმოში. მარყუჟი ისე მარჯვედ უნდა მოიხმარონ, რომ მკერდსა და წინა ფეხებს შორის გამოედოს ცხოველს. როდესაც ბეჰემოტი აგზნებულია, ოფლი გამოდის, სლიპინა სითხით ეზიპება სხეული, ამიტომ ფეხებს შორის მეორე მარყუჟის გამოდებაცაა საჭირო. როდესაც ეს პროცედურა დამთავრდება, ოციოდ კაცი მაინც დაეჭიდება თოკს და რამდენიმე სანტიმეტრით ასწევს ზევით ცხოველს. ახლა სხვა ექვსი კაცი ჩახტება ორმოში, ფეხებს დაუბორკავს და პირს აუკრავს ტყვეს, რადგან ბეჰემოტთან ხუმრობა სახიფათოა. სულელი და ბოროტი ცხოველია, ამავე დროს ძალზე ღონიერი და თანაც მეტისმეტად აგრესიული. მარტორქა მასთან შედარებით უცოდველი ბატკანია. რაკი ერთხელ შეეჩვევა ეს ვეება ცხოველი თავის ზედამხედველს, ძაღლივით მისდევს უკან ქარავანს. როდესაც ბეჰემოტს მაგრად გაკოჭავენ, მესერს დაშლიან და ორმოს ნაპირს ცალ მხარეს ირიბად გათხრიან. ამ გზით ამოიყვანენ ცხოველს ზევით და ტოტებისა და ლატანებისაგან გაკეთებულ ჯალამბარზე დააწვენენ. თითქოს ყველაფერი დასრულდაო, იფიქრებს კაცი. ნურას უკაცრავად! წინ დიდი და გრძელი გზაა, უღრანი ტყე ან კიდევ საშინელი ჭაობები. მეჯალამბრეებს ბილიკი თუ არ გაუკაფეს, ისე ბიჯსაც ვერ წარსდგამენ წინ, მით უმეტეს, რომ არცთუ ისე იოლი სატარებელი ტვირთი აქვთ. ახალგაზრდა ბეჰემოტი 1200 კილოგრამს მაინც იწონის. გზაზე თუ მდინარე შეხვდებათ, ადგილობრივ მცხოვრებთა ნავით გააგრძელებენ ბანაკისაკენ გზას და რის ვაი-ვაგლახით მიაღწევენ ადგილს. მაგრამ სანამ ევროპისაკენ გაამგზავრებდნენ დაჭრილ ცხოველს, ერთხანს ადგილზე უნდა ამყოფონ და ტყვეობასთან ერთად ახალ საშმელსაც მიაჩვიონ.

ნადირობას მხეცების დასაჭერად და საერთოდ ამ უცხო

ქვეყნებში ექსპედიციებს მუდამ თან ახლავს ფათერაკიანი ან კიდევ სასეირო თავგადასავალი. მოსაგონარი და მოსათხრობი ბევრია. იმ დროიდან, პირველად რომ დავიჭირეთ სელაპები, ამ წიგნის დაწერამდე სამოციოდე წელიწადი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, ბევრი ტრაგიკული ამბავი გადამხდა თავს, ბევრი თავშესაქცევი ისტორიის მომსწრეც ვყოფილვარ. ამ წლების მანძილზე ჰამბურგში დაუსრულებელ ნაკადად მოედინებოდნენ ქარავნები დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან — გრენლანდიიდან ვიდრე ცეცხლოვან მიწამდე.

ცეცხლოვანი მიწა! სწორედ აქ „შევისყიდე" მაგელანის სამი ბატი, რომლებიც ათი ათასი მარკა დამიჯდა! ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ჩემს კაბინეტში ვიჯექი და ექსპედიციის მოსაწყობად ახალ ადგილს რომ ვეძებდი, ანაზდად გამახსენდა ცეცხლოვანი კუნძული, ამერიკის სამხრეთ სანაპიროსთან რომ მდებარეობს. ეთნოგრაფიული და ზოოლოგიური თვალსაზრისით ძვირფასი ნადავლის შოვნა შეიძლებოდა იქ. ჩემი ვარაუდი შემდეგ მართლაც დადასტურდა. ერთმა ცნობილმა მოგზაურმა, რომელსაც მრავალი ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი, ოკეანე გადასცურა და პუნტა-არენასში ჩავიდა. აქ მან იალქნიანი ნავი დაიქირავა, გარს შემოუარა ცეცხლოვან მიწას და საოჯახო ნივთების ძვირფასი კოლექცია შეაგროვა ადგილობრივ მცხოვრებლებში, რომლებიც ქვის ხანის დროინდელი ადამიანის განვითარების დონეზე იყვნენ იმხანად. უკან დაბრუნებისას მამაცი მოგზაური საშინელ ქარიშხალში მოხვდა. სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, პატაგონიელ შტურმანს უბრძანა, ნაპირს მიაყენე ნავიო. ვერ გეტყვით, რა მიზეზის გამო, მაგრამ ეს კია, რომ პატაგონიელმა უარი განაცხადა მისი მითითების შესრულებაზე. მოგზაურმა რევოლვერი იშიშვლა და დაემუქრა ურჩს. ამან გასჭრა. იგი ნაპირზე გადმოვიდა და თავს უშველა, მაგრამ კოლექცია ბედის ანაბარად დარჩა. დიდი წვალებით გადაიარა თურმე პამპასები და როგორც იქნა, მიაღწია პუნტა-არენასს. სწორედ აქ შეიტყო სამწუხარო ამბავი: იალქნიანი ნავი და ურჩი შტურმანი ოკეანეს შთაენთქა. ასე დაიღუპა ძვირფასი ეთნოგრაფიული კოლექცია, რომლის მოპოვებასაც მოგზაურმა უამრავი დრო და ფული მოანდომა, ჯაფასა და ხიფათზე

რომ აღარაფერი ვთქვათ. ხელმოცარულმა კაცმა მაინც არ მოიშალა თავისი და ნადირობას შეუდგა. ბევრი წვალების შემდეგ დაიჭირა ოცდარვა ვეება პინგვინი და აურაცხელი ბატი, იხვი, გედი და სხვა ფრინველები. გახარებულმა მოგზაურმა დატვირთა ხომალდი ამ ძვირფასი ნადავლით და გზას გაუდგა. მონტევიდეომდე „კოსმოსი“ მშვიდობიანად მიცურავდა. მაგრამ ამ ნავსადგურში ღუზის აშვებიდან ორი დღის შემდეგ ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი, რომელმაც ხომალდიდან ოკეანის ზვირთებში გადაუძახა ტვირთის უმეტეს ნაწილს.

გავიდა რამდენიმე ხანი. კვლავ ჩემს კაბინეტში ვზივარ სამუშაო მაგიდასთან და ვანგარიშობ ცეცხლოვან მიწაზე გაგზავნილი ექსპედიციის შედეგებს: სამად სამი ბატი — აი მთელი ჩემი შემოსავალი. ათი ათასი მარკა დამიჯდა ეს სამი ფრინველი. მგონი, გვარიანად ძვირია, არა! მაგრამ ეს პატარა ექსპედიცია, რომელზედაც მოგახსენეთ ახლა, სიმძიმისა და ხარჯის მიხედვით არაფრით შეედრება იმ დიდ ექსპედიციებს, რომლებიც გავაგზავნე ციმბირსა და მონღოლეთში.

ერთ-ერთი ყველაზე მეტად საინტერესო ექსპედიცია ჩემი მფარველის ჰერცოგ ბედფორდის თაოსნობით მოვაწყვე აზიაში, რათა ევროპაში ცოცხლად ჩამოგვეყვანა გარეული ცხენები (პრჟევალსკის ცხენი).

ყველა ადრინდელი ცდა, ერთის გამოკლებით, უშედეგოდ დამთავრდა. მხოლოდ ფალც-ფეინმა, ცხოველების დიდად მოყვარულმა კაცმა და სანაშენოს მეპატრონემ, მოახერხა ამ იშვიათი ცხოველების რამდენიმე ეგზემპლარის ჩამოყვანა აზიის ტრამალებიდან თავის მამულ ასკანია-ნოვაში, ყირიმში.* ჩვენ მაშინ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვებოდა გარეულ ცხენებზე და საერთოდ არაფერი ვიცოდით, რომელ ადგილებ-

---

* ჰაგენბეკი ცდება. ასკანია-ნოვა ყირიმში კი არა, თავრიდის ველზე მდებარეობს. 1919 წელს 30 ათასი ჰექტარი ფართობი გამოცხადდა სახელმწიფო ნაკრძალად. ამჟამად აქ მუშაობს უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის ზონალური ინსტიტუტი, რომელთანაც მოწყობილია ზოოპარკი და ნაკრძალი.

ში ბინადრობს ის. ორმა ჩემმა გამოცდილმა აგენტმა ვილ-ჰელმ გრიგერმა და კარლ ვახემ გადაწყვიტეს წინასწარ დაეზ-ვერათ მარშრუტი, რათა შემდეგ ექსპედიცია გაგვეგზავნა მონ-ღოლეთში. შორეულ მოგზაურობაში, რომ ვისტუმრებდი, საკ-მაოდ ბევრი ფული მივეცი და გარდა ამისა, გავატანე ძვირფასი სარეკომენდაციო ბარათები რუსეთის მთავრობასა და ბერლინ-ში მყოფი ჩინეთის ელჩისაგან, აგრეთვე პრინც ალექსანდრე ოლდენბურგის წერილი, რომელმაც, სხვათაშორის, ყველაზე მეტად გასჭრა. პეტერბურგში იმხანად ცხოვრობდა ბუდის ფრიად ავტორიტეტული ლამა — დოქტორი რადმაია, რომე-ლიც მშვენივრად იცნობდა მონღოლეთსა და იქაური ხალხის ყოფაცხოვრებას. სწორედ მის სახელზე დაიწერა პრინცის წე-რილი, რომელიც მხურვალე რეკომენდაციას უწევდა გრიგერს.

გრიგერმა ცხოველების ტრანსპორტი წაიყვანა და, უპირვე-ლეს ყოვლისა, ფალც-ფაინს ეწვია სამხრეთ რუსეთში. მას იმედი ჰქონდა, რომ ფაინისაგან შეიტყობდა გარეული ცხენის ამბავს. ცხოველების ფრიად ნოყვარული კაცი იყო-მეთქი იგი, მოგახსენეთ, სამართლიანად დიდ საუნჯედ მიაჩნდა თავისი მონაპოვარი და გრიგერი ხელმოცარული გამოუშვა უკან. საყ-ვედური არ გვეთქმის. სრული უფლება ჰქონდა, არ გაეთქვა თავისი საიდუმლო. თუმცა გრიგერმა მაინც მოახერხა იმის გა-გება, რომ გარეული ცხენი ბინადრობს ალტაის მთების ჩრდი-ლოეთ განტოტების მიდამოებში, კობროს ახლომახლო ადგი-ლებში. რაკი ხელთ იგდო გეოგრაფიული ორიენტირები, გრი-გერი მშვენიერ გუნებაზე დადგა და მაშინვე პეტერბურგში გაემგზავრა, ფრიად ძვირფასი ცნობები მიიღო ბუდის ლამასა-გან და შემდეგ შორეულ ოთხიათასკილომეტრიან გზას გაჰყვა შიდა მონღოლეთისაკენ.

ლამას რჩევა-დარიგებანი კი მართლაც ფრიად სასარგებლო გამოდგა. გრიგერმა შეიტყო, მაგალითად, რომ მონღოლეთში ევროპული ფულით მოგზაურობა შეუძლებელი იყო. ამ ქვე-ყანაში თურმე მხოლოდ ვერცხლის ზოდები ფულობს, მათი შოვნა კი ადვილად შეიძლებოდა ჩრდილოეთ გერმანიის სად-ნობ ქარხანაში, რომელიც ჰამბურგში მდებარეობდა. მონღო-ლეთის მკვიდრნიო, უთქვამს ლამას, ჰამბურგულ „თეთრ“

ვერცხლს უფრო ამჯობინებენ (ასე უწოდებენ თურმე მონღოლები), ვიდრე ინგლისურ თალხსო.

ასეთი ვერცხლის ზოდები დაახლოებით თერთმეტ გირვანქას იწონის. იმისათვის, რომ ფულად მოჭრან, მონღოლები ოდნავ შეათბობენ ხოლმე ზოდს, პატარა ნაჭრებად დაანაწევრებენ და შემდეგ თითბრის ორიგინალურ სასწორზე აწონიან. დაწნეხილი აგურა ჩაიც დიდად ფასობს თურმე აქ, როგორც გასაცვლელი პროდუქტი. ასე ეძახიან განსაკუთრებული სახის ჩინურ ჩაის, რომელიც ფოთლიან-ყლორტიანად ნედლად იწნეხება ფილებად. ოცდაშვიდი ასეთი ფილა ჩაი შეადგენს ერთ თუნზას, სამი თუნზა კი 450 — 500 გირვანქა სააქლემო ტვირთია. ხურდა ფულად იყენებენ შალის ნაქსოვ ლენტებს, ეგრეთწოდებულ „ქათას", რომელსაც არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს და პირველსავე შემთხვევაში საჩუქრად გასცემენ ხოლმე. ქათა სიგრძით ერთი მეტრია, სიგანით ხუთი სანტიმეტრი, საერთოდ ერთფეროვანია, უმეტესად წითელი ან ლურჯი. ყვითელი ქათა ნახევარ ფასად გადის. „ხურდა ფულად" გრიგერმა მოიმარაგა აგრეთვე აბრეშუმის პატარ-პატარა ხელსახოცები, რომლებიც ოციდან ორმოც კაპიკამდე ფასობს.

ჰამბურგიდან ვერცხლის ზოდები რომ მიიღეს პეტერბურგში, ჩემი აგენტები გრიგერი და ვახე მატარებელში ჩასხდნენ და მონღოლეთისაკენ გაემგზავრნენ. ექსპედიცია ადგილზე უნდა ჩასულიყო ადრეულ გაზაფხულზე, სწორედ ამ დროს იგებენ კვიცებს ფაშატები. გრიგერი და ვახე მოსკოვის გავლით ციმბირის რკინიგზით ობამდე მივიდნენ. შემდეგ კი მარხილებით 250 ვერსი გაიარეს ბიისკამდე, რომელიც ალტაის აღმოსავლეთით დაახლოებით 75 ვერსზე მდებარეობს. აქამდე კიდევ როგორღაც შოულობდნენ სურსათ-სანოვაგეს ერთმანეთისაგან საკმაოდ შორი-შორ განლაგებულ საეტლო სადგურებში. ბიისკის შემდეგ კი ძალიან გაუჭირდათ მოგზაურთ. ადგილობრივ მცხოვრებლებში დაიქირავეს გამყოლნი და სასაპალნე ცხოველები, რომელთაც ჩვენი მოგზაურები ქვეყნის სიღრმეში უნდა შეეყვანათ. მოგზაურთ, რასაკვირველია, თან მიჰქონდათ თავიანთი ბარგი — დასაკეცი კარვები, აგრეთვე

კონსერვებით და, რაც მთავარია, ვერცხლის ზოდებით სავსე ყუთები.

ხან ცხენებით მოგზაურობდნენ, ხანაც აქლემებით. ერთი სიტყვით, უნაგირზე შემსხდრებმა 900 კილომეტრი გაიარეს ღრმა თოვლსა და ძლიერ ყინვაში, კოშაღაჩი გადაიარეს და კობდოს მიაღწიეს. როდესაც სასაპალნე ცხენებს ტვირთი ჩამოხსნეს და ყუთები შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ გარეული კვიცების გამოსაკვებად წამოღებული სტერილიზებული რძე მთლიანად გაყინულიყო, არც გასაკვირია ეს, რადგან გზაში ტემპერატურა რეომიურით 30 გრადუსი იყო ნულს ქვევით.

კობდო ექსპედიციის მთავარ ბაზად ჰქონდათ არჩეული ჩვენს მოგზაურებს. ეს შორეული პუნქტი რუკაზე თუმცა ქალაქად იყო აღნიშნული, მაგრამ მთელ მის მოსახლეობას სულ 1500 კაცი შეადგენდა. კობდო მდებარეობს პეკინიდან მომავალი საქარავნო გზის ბოლოში. ქალაქი წარმოადგენს ციხესიმაგრეს და ამავე დროს ჩინელი გუბერნატორის სარეზიდენციო პუნქტს. პეკინიდან წამოსული ქარავანი, რომელსაც საქონელი მიაქვს კობდოში, ორთვენახევრის შემდეგ თუ ჩამოაღწევს დანიშნულების ადგილას.

გაზაფხული ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ გრიგერი და ვახე გულხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ. ნადირობისათვის დამხმარეები სჭირდებოდათ, რომლებიც, თუ ხელმოცარულნი არ დარჩებოდნენ, კვიცების გამოკვებაშიც მოეხმარებოდნენ. მათ გადაწყვიტეს ალტაის ხეობაში დაექირავებინათ ასეთი ხალხი, ამ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს მდინარე ტეძიკნურის ნაპირებზე და სამხრეთით ალტაის ესაზღვრება, ბინადრობენ სხვადასხვა მონღოლური ტომები, რომლებიც ბელადს ან დიდგვაროვან დიდებულს ემორჩილებიან. მომთაბარეებმა მეგობრული გულთბილობით მიიღეს ჩვენი მოგზაურნი, მაგრამ თოვლში დადგმულ კარავში აუტანელი ყინვა იყო, თუმცა არც ბეწვეულის ქურქები აკლდა მათ და არც კიდევ თბილი საბნები. სათბობის შოვნა არ შეიძლებოდა, რადგან გამხმარი ნაკელი (წივა) გაზაფხულის პირას ყველას გამოლეული აქვს. მონღოლები სათბობად უპირატესობას ანიჭებენ ცხენის ნაკელს, რომელსაც ზვინებად აგროვებენ. მონღოლი აიღებს ასეთი გამხ-

მარი ნაკელის ერთ ნაჭერს, ხელში დაფხვნის და კვესით მოუკიდებს ცეცხლს. თუ ქარი უბერავს, ცეცხლი ადვილად გაჩაღდება, ხოლო თუ წყნარი ამინდია, თვითონ ჩაიმუხლებს და მანამ უბერავს, სანამ ალი არ წაეკიდება ნეხვს.

მთელი ოთხი თვის განმავლობაში მხოლოდ ცხვრის ხორცით იკვებებოდნენ ჩვენი მოგზაურნი. საჭმელზე დასაყოლებლად მონღოლები სვამენ „თზამბას“ — ჩაის, მარილისა და კარაქის ნარევს. თზამბა მონღოლეთისა და ტიბეტის ნაციონალური სასმელია, დიდად ფასობს აგრეთვე ჩინეთის მოსაზღვრე რაიონებში. მონღოლების მეორე საყვარელი სასმელი გახლავთ „არყა“ — ამქავებული რძის შრატისაგან დამზადებული არაყის მაგვარი სითხე. ბუნებისაგან ნაკლებ განებივრებული მონღოლები სრულიადაც არ არიან აზიზნი ჭამა-სმაში. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ დაკლავენ ჯანსაღ საქონელს. ყოველგვარი ზიზღის გარეშე შეექცევიან ავადმყოფი ცხოველის ხორცს, ლეშსაც კი. შიგნეულობას შიგთავსისაგან გაანთავისუფლებენ და მაშინვე ჩაყრიან ქვაბში, რომელშიც საჭმელი იხარშება. ფრიად საყურადღებოა, რომ არანაირ თევზს არ ჭამენ, რადგან იგი გველის ერთ-ერთ სახეობად მიაჩნიათ. ამიტომ მონღოლეთის მდინარეებში უამრავი კალმახია მომრავლებული. ზეძიკ-ნურში ხომ თითს ვერ ჩაყოფს კაცი, იმდენი თევზია, განსაკუთრებით გაზაფხულზე. გრეგორი თურმე შიშველი ხელით თევზაობდა. ერთხელ ასი კალმახი დაუჭერია, ზოგი შეუწვავს, ზოგი მოუხარშავს, ბოლოს დაშაშხვაც უსწავლია.

გრიგერი თვითონ ამზადებდა თავის ულუფა ხორცის კერძს. მის კარავთან არომატული ხორცის სუნზე პირველად უამრავ მათხოვარსა და ცნობისმოყვარეს მოუყრია თავი, მაგრამ მოგზაურს ისეთი ხერხი უხმარია, რომ მეორედ აღარავინ „სტუმრებია“. ხორცის ნაჭერზე ბლომად მოუყრია წიწაკა და ისე მიუცია მათხოვრებისათვის. „სტუმრებს“ მაშინვე ცხვირცემინება და ფურთხება დაუწყიათ და უკან მოუხედავად გაქცეულან. ამ მომთაბარე ხალხისათვის წიწაკა სრულიად უცხო რამ იყო. ამიტომ თუ რომელიმე მათგანი ერთხელ მაინც

გასინჯავდა საოცარი ევროპელის ცხარე და ცხელ კერძს, მეორედ ვერაფრით დაიყოლიებდით ამაზე.

გრიგერს სრული შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა მონღოლების უცნაურ წესებს და ადათ-ჩვეულებებს. მიცვალებულს მონღოლები ველზე გაიტანენ და დაუმარხავად მიატოვებენ ძაღლების, ყვავებისა და გარეული ფრინველების საძიძგნად. მიწათმოქმედებას ისინი თითქმის არ მისდევენ. მონღოლების ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობაა. ყოველ მამაკაცს ჰყავს ცხენი და შეიარაღებულია ძველებური თოფით — ვის ფილთა თოფი აქვს, ვის კაჟიანი. მამაკაცებიცა და ქალებიც შარვლებსა და მაღალყელიან ჩექმებს ატარებენ. შარვალს მეტწილად ლურჯი ხამი ტილოსაგან იკერავენ, ჩექმის განიერ ლანჩად იყენებენ რამდენიმე ფენა ტილოს ღაბაშს, რომლის სისქეც ორ სანტიმეტრს უდრის. მონღოლისათვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა თამბაქო. ამიტომ მისი სანუკვარი ოცნებაა თამბაქოს შოვნა. მონღოლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ ყალიონის გარეგნულ სილამაზეს. ამიტომ ხშირად ამ ნიშნის მიხედვით გამოიცნობა ხოლმე შეძლებული კაცი. ორმოცდაათიდან ორმოც სანტიმეტრამდე სიგრძის ხის ყალიონი შემკულია აქატის ქვის მუნდშტუკით. რაც უფრო გრძელია ეს მუნდშტუკი, მით უფრო მდიდარი და გავლენიანია მისი მფლობელი. მონღოლები საერთოდ ძალიან სტუმართმოყვარენი, მაგრამ სიტყვაძუნწნი არიან.

მონღოლთა ყოველ ალაჩოყს ტურის მსგავსი, მეტისმეტად ავი ძაღლების მთელი ხროვა დარაჯობს. როგორც კი სტუმარს მოჰკრავს თვალს, მასპინძელი მაშინვე გარეკავს აყეფებულ დარაჯებს, ალერსიანი ღიმილით მიეგებება მოსულს, ცხენს ჩამოართმევს, დუშაყს დაადებს და საძოვრად გაუშვებს მინდორში. სტუმარი შედის საერთო ალაჩოყში და დღე იქნება თუ ღამე, მონღოლი ქალი მაშინვე ჩაის მოართმევს და ლოგინს გაუშლის.

კობდოს ხეობაში გაზაფხულზე გრიგერმა სხვადასხვა ცხოველების მთელი გუნდი დაიჭირა. ამ კოლექციაში აღმოჩნდა ახალი, ევროპისათვის მანამდე სრულიად უცნობი სახეობის ხოხობი.

მაგრამ ექსპედიციას სრულიად სხვა მიზანი ჰქონდა და გრიგერს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა ეს. ნადირობის სეზონი რომ დადგა, ყოველგვარი სამზადისი დამთავრებული იყო. გრიგერი დაუმეგობრდა ერთი იქაური ტომის ბელადს, რომლის შემწეობითაც დაიქირავა ხელმარჯვე მონადირეები, მაგრამ მათ არ იცოდნენ ცხოველების ცოცხლად დაჭერა, ასე რომ ჩვენი მოგზაური იძულებული გახდა თვითონ ესწავლებინა ეს საქმე მათთვის.

უპირველეს ყოვლისა, შორიდან დაუწყეს თვალთვალი, როდესაც ცხოველები წყლის დასალევად მოდიოდნენ, რათა დაედგინათ, რამდენი კვიცი იყო ცხენების რემაში. გამოირკვა, რომ ამ მიდამოებში სამი ჯიშის გარეული ცხენები მოიპოვებოდა. ერთი ჯიშის ცხოველთა რემა დიდ ზეგანზე ბინადრობდა, მთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი მდინარე ჩამოუდის — კიიკუიუსი და ურუნგუ, ალტაის მხარეში რომ იღებენ სათავეებს. ორივე ეს მდინარე დასავლეთისაკენ მიედინება და ტბას ერთვის. მეორე ჯიშის ცხენებს საძოვრად აერჩიათ კობდოდან 300 კილომეტრზე სამხრეთით მდებარე ტრამალი, რომელიც ყოველი მხრიდან მთებით იყო შემოზღუდული, მესამეს კი სამხრეთ-აღმოსავლეთით დაედო ბინა დიდ პლატოზე, მდინარე ზეძიკ-ნურის მიდამოებში. სამივე ჯიშის ცხენებს აქვთ ხშირი და ტალღისებურად განლაგებული ბალანი (სხვათაშორის ფეხებზედაც კი), შავი თვალები, მეტ-ი-მეტად წინ გამოწეული შუბლი. მხოლოდ ფერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არც თუ მაინცა და მაინც ბევრი ცხენი იყო ამ მიდამოებში. გრიგერმა მხოლოდ რამდენიმე რემა დაითვალა, თვითეულში თორმეტი-თხუთმეტი სული იყო. ხანგრძლივი სამზადისი დამთავრდა, თვით ნადირობა ახლა აღარავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან ცხენები რამდენიმე საათს რჩებოდნენ დასარწყულებელ ადგილას.

ჰაგენბეკის აგენტების ხელმძღვანელობით ცხენოსანი მონღოლები ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ეპარებიან ცხენებს და დათქმულ ნიშანზე საშინელი ყიჟინით თავს ესხმიან საძოვარზე შეფენილ რემას. გარეული ცხოველებისათვის ეს

საშინელი მოულოდნელობაა, თავზარდაცემულნი მტვრის კორიანტელს აყენებენ და ველური ჭიხვინით ტრამალისაკენ მიჰქრიან. დამფრთხალ რემას ყიჟინით მისდევენ მდევრები ფეხდაფეხ. თავგამეტებული ჯირითი კარგა ხანს გრძელდება. მაგრამ აი მტვრის კორიანტელში მდევრებმა რამდენიმე წერტილი შენიშნეს. მიუახლოვდნენ. საცოდავი კვიცები რემას ჩამორჩენილან. კიდევ ერთი-ორი გარბენი და უსასოოდ ჩერდებიან ადგილზე. შიშისაგან ნესტოები გაგანიერებიათ, ფერდები ებერებათ, ძლივს დგანან ფეხზე, ვერხვის ფოთოლივით თრთიან. გრძელ ლატანზე გამობმული ქამანდებით იჭერენ მათ მონადირეები და ბანაკში მიჰყავთ, სადაც მათ კვიციანი მონღოლური ფაშატები ელოდებიან; ისინი იმიტომ მოიყვანეს აქ, რომ ძიძაობა გაუწიონ ძუძუთა ტყვეებს. სამი-ხუთი დღის შემდეგ „დედინაცვლები“ ეჩვევიან „შვილობილებს“. ასე ასწავლეს ჰაგენბეკის აგენტებმა მომთაბარე მონღოლებს გარეული ცხენების ცოცხლად დაჭერა. ისინი საკუთარი ინიციატივითაც აწყობენ ხოლმე ნადირობას. ექვსად ექვსი ცხენი შეუკვეთა მათ გრიგერმა, ბანაკში კი ოცდაათი დაგროვდა.

გრიგერმა არ იცის, როგორ მოიქცეს, რა უყოს ესოდენ ძვირფას ქონებას. იგი იძულებულია დეპეშით შეეკითხოს ევროპას. დეპეშის გამოგზავნა არცთუ ისე იოლია. გრიგერი იძულებულია შეჯდეს ცხენზე და გაუდგეს შორეულ გზას. ორი ათასი კილომეტრი გაიარა ტრამალებში, შემდეგ ოთხი დღე ხომალდით იცურა. ბოლოს და ბოლოს მიაღწია საფოსტო სადგურს. ორი დღე ელოდა დეპეშას ჰამბურგიდან. პასუხი რომ მიიღო, კვლავ კობდოსაკენ გაეშურა. ოცი დღე მოუნდა უკან დაბრუნებას. თვლა არა აქვს, იმდენჯერ გამოიცვალა ცხენები ჯერ გზაზე მონღოლეთის ღამის სათევებში, შემდეგ რუსეთის საფოსტო სადგურებში. ბანაკში დაბრუნებულს უკვე 52 კვიცი დახვდა. ვეებერთელა ქარავანი, რომლის შემადგენლობაშიც დაჭერილი კვიცებისა და მათი „ძიძების“ გარდა, სასაპალნე აქლემები და 30 მარეკი იყო, ევროპისაკენ მიმავალ შორეულ გზას დაადგა. მთელი თვეების განმავლობაში გზაზე იყო გაკრული წვიმასა და სიცხეში, მთებსა და ველებში, თითქმის სამი ათასი კილომეტრი გაიარა გრიგერმა მომქანც-

ველი მარშით, სანამ რკინიგზის სადგურს მიაღწევდა. დღისით თერმომეტრი 20 გრადუს სითბოს აჩვენებდა, ღამით კი ნულ-ქვევით ჩამოდიოდა. ცხოველებს მოვლა არ დაკლებიათ გზაში, მაგრამ ზოგიერთ კვიცს მაინც ძალიან გაუძნელდა დამქანცავი მოგზაურობა და სული განუტევა. ერთხელ კიდევ გამცილებელთა უყურადღებობის შედეგად რამდენიმე აქლემი გაექცათ და რის ვაივაგლახით მოახერხეს მათი ხელახლა დაჭერა. მეორედ იყო და, გამცილებლებმა შფოთი წამოიწყეს, დათქმული ქირა ცოტაა და მოგვიმატეთ, თორემ შუა გზაზე მივატოვებთ ქარავანსო. გრიგერმა სცადა მშვიდად მოთათბირებოდა სიტყვის გამტეხთ. არაფერმა გასჭრა. მაშინ მოთმინებიდან გამოსულმა ყირგიზულ მათრახს წამოავლო ხელი... ამან კი გამოიღო შედეგი. ქარავანმა გზა განაგრძო.

თერთმეტი თვე მოუნდა ტრანსპორტი გზას და 52 კვიცილან ჰამბურგში მხოლოდ ოცდარვა ჩამოიყვანეს ჩემმა აგენტებმა. ჩამოყვანიდან სამი დღის შემდეგ კვიცები ძუძუს მოაცილეს და მათ დაფქვილი შვრიით, გამთბარი ქატოთი და ყვითელი თალგამით კვებავდნენ. ასე ჩამოვიყვანე პირველად დასავლეთ ევროპაში გარეული ცხენები.

ცეცხლოვან მიწაზე მოწყობილი ექსპედიცია, თქვენვე დამეთანხმებით, გაცილებით იოლი საქმე აღმოჩნდა, ვიდრე აღმოსავლეთ აზიის ექსპედიციები, რომლებიც შემდეგში რამდენჯერმე მოვაწყვე. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის მიზანი იყო რამდენიმე ანგალის — დიდი გარეული ცხვრის — დაჭერა და ევროპაში ჩამოყვანა, რათა შემდეგ შინაურ ცხვრებთან შეგვეჯვარებინა ისინი. ვვარაუდობდით, რომ ასეთი გზით შეიძლებოდა მიგვეღო შინაური ცხვრის გაუმჯობესებული ჯიში, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სოფლის მეურნეობისათვის. ერთი ექსპედიცია ხელმოცარული დარჩა. გავგზავნე მეორე. ისიც უიღბლო გამოდგა. სამოცზე მეტი ცხოველი დავიჭირეთ, მაგრამ რომელიღაც ეპიდემიურმა სენმა გზაშივე მუსრი გაავლო ყველას. ორივე ეს ექსპედიცია ასი ათასი მარკა დამიჯდა.

შორეულ აღმოსავლეთში მოწყობილ ექსპედიციებზე იმ-

დენი რამ შემიძლია მოგითხროთ, მოგონებათა მთელი ტომი დაიწერება. მაგრამ არ მინდა მოვქანცო მკითხველი. მრავალ-ფეროვანებისათვის ინდოეთში სპილოებზე მოწყობილ ნადირობაზე მოგითხრობთ ზოგიერთ საინტერესო ამბავს. ვიცი, ბევრი რამ დაწერილა ამის თაობაზე, ამიტომ შეეცდები არ დაგღალოთ ვრცელი ამბების მოყოლით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გარეულ სპილოებს მონადირეები შერეკავენ ხოლმე ეგრეთწოდებულ „კრაალში“ — უღრან ტყეში მჭიდრო მესერით შემორაგულ მოედანზე — და როგორც კი ჯოგი შიგ აღმოჩნდება, მაგრად დაუკეტავენ კარს. იმისათვის, რომ ტყვეები დაიმორჩილონ და გაკოჭონ, იყენებენ სპეციალურად გაწვრთნილ დედალ-მამალ სპილოებს — ეგრეთწოდებულ „კუნკისებს“, რომლებზედაც მხედრები, ანუ კორნაკები სხდებიან. ორი-სამი დღის განმავლობაში ცხოველები მიტოვებული ჰყავთ და ელოდებიან მათ დამშვიდებას. ამის შემდეგ კუნკისებზე ამხედრებული კორნაკები შედიან გარეული სპილოების ჯოგში. თვითეულ გაწვრთნილ სპილოს კისერზე და მკერდზე შემოხვეული აქვს თოკისგან დაწნული ბადე, რათა მოსალოდნელი საფრთხის დროს კორნაკს ხელის მოსაკიდებელი ჰქონდეს. გარდა ამისა, თვითეულ კუნკისს მიჩენილი ჰყავს მეორე შინაური სპილო, თავისებური მოკრივე, რომელიც წიხლებით უმასპინძლდება გარეულ სპილოებს, თუკი ისინი თავს დაესხმიან კუნკისს.

ადამიანი და ცხოველი ურთიერთშეთანხმებით მუშაობენ. კორნაკი თავის სპილოს მიაწვდის თოკს, რომელსაც იგი ხორთუმით გამოართმევს და გარეულ სპილოს წამოაცმევს. ზოგიერთი კორნაკი თვითონვე ესვრის ხოლმე ქამანდს გარეულ სპილოს და უკანა ფეხებზე წამოაცმევს. თოკის მეორე ბოლოს იმავე წამს ხეზე მიაბამენ, ასე რომ შებორკილი ცხოველი ადგილიდან ვეღარ იძვრის. სპილო თავგამეტებით ცდილობს გაითავისუფლოს თავი, მაგრამ თოკი ამის საშუალებას არ აძლევს. ამის გამო ხშირად ღრმა ნაჭდევი რჩება ნათოკარ ადგილას. რამდენიმე ინდურ სპილოს, რომლებიც დაჭერის უმალ გავგზავნე ჩემს ზოოლოგიურ ბაღში, ისეთი იარები ჰქონდა, რომ რამდენიმე კვირა დაჭირდა მათ მოშუშებას.

გარდა მასობრივი ნადირობისა, სათითაოდაც იჭერენ სპილოებს. ასეთ შემთხვევაში ისე იქცევიან, როგორც ახალგაზრდა აფრიკულ სპილოებზე ნადირობისას. საფარიდან ანაზდად გამოცვივდებიან ხოლმე მონადირეები და ყიჟინით თავს ესხმიან სპილოებს. მოულოდნელობისაგან თავზარდაცემული ჯოგი დამფრთხალი გარბის, მაგრამ მონადირეები ახერხებენ ახალგაზრდა ცხოველების გამოცალკევებას. უსასაკო ცხოველს უკანა ფეხზე ხარის ტყავისაგან გაკეთებულ ქამანდს წამოაცმევენ, შემდეგ თოკით ხეზე მიაბამენ და ცხოველს გვერდზე წამოაქცევენ. ასეთი ხერხით იჭერენ სპილოებს ცეილონზე. უფრო გვიან კი სპილოებს ვყიდულობდით ადგილობრივ ბაზარზე, რომელთაგან ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი იყო სონპორა. სუნდას კუნძულებზე სხვადასხვა ჯიშის სპილოების დასაჭერად ჩემი აგენტები ორმოებს იყენებდნენ.

ინდოეთის ჯუნგლების შემდეგ, ჩემო მკითხველო, ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეს ვესტუმროთ. ორიოდე სიტყვით მოგითხრობთ ლომვეშაპებზე ნადირობის ამბებს. ეს საქმე მინდობილი ჰქონდა ჩემს აგენტს, ჰამერფესტელ კაპიტან ოლე ჰანსენს. თავისი თანამემამულის ნორვეგიელი ადრიან იაკობსენის მსგავსად, იგი მოყოლებული 1886 წლიდან იჭერდა ლომვეშაპებს არქტიკაში და თითქმის თექვსმეტი წლის განმავლობაში დაცურავდა ჩრდილოეთის ზღვებში თავისი ხომალდით, რომელსაც მეტისმეტად უცნაური სახელი ერქვა: „7 ივნისი“. 7 ივნისს კაპიტნის დღეობა იყო და მის პატივსაცემად მოინათლა ხომალდი.

ლომვეშაპებზე ნადირობა წარმოებს ჰარპუნებით სპეციალურად ამისათვის გამართულ ნავებიდან. ნავის სიგრძე ოცი ფუტია, სიგანე შვიდი ფუტი; ნავის ფიცრები ერთმანეთზე გადაჯვარედინებული კი არა, პირდაპირაა მიწყობილი და ამიტომ ქიმები თუნუქითაა შემოსალტული. წინ პლატფორმაა გამართული, ზედ ბოძი დგას, რომელიც დამაგრებულია ნავის კილზე. ბოძზე გრძელი თოკებით ამაგრებენ ჰარპუნებს, რომლებიც მუდამ მზადაა სასროლად. მეჰარპუნე დგას ბოძთან, ნიჩბებს სამი კაცი უსვამს. ჰარპუნს ისვრიან დაახლოებით ოცდაორი მეტრის მანძილზე. მარჯვე მეჰარპუნე უფრო შორსაც —

ოცდათოთხმეტ მეტრზეც კი ისვრის ჰარპუნს. როგორც კი ჰარპუნი მოხვდება, ლომვეშაპი მაშინვე წყალში ჩაყვინთავს, მაგრამ მალე ისევ ამოდის წყლის ზედაპირზე სასუნთქავად. ჰანსენს შეუმჩნევია, რომ ჰარპუნით დაკოდილი დედალი ლომვეშაპი, როგორადაც არ უნდა გაიჭიმოს თოკი, მაინც განაგრძობს ცურვას, მამალი კი ხშირ შემთხვევაში თავს ესხმის ნავს თავისი ძლიერი ეშვებით. ერთხელ თურმე ძლივს გადარჩნენ ჩემი მონადირეები: ოთხი კაცი პატარა სანადირო ხომალდით გასულიყო ზღვაში ჩემი ზოოპარკისათვის ახალგაზრდა ლომვეშაპის დასაჭერად. ნადავლით გახარებული მონადირეები ის იყო უკან გაბრუნებას აპირებდნენ, რომ დაჭერილი პატარა ცხოველების ყვირილი გაუგონია ვეება ლომვეშაპს, მაშინვე თავს დასხმია ნავს და სამ ადგილას კარგა გვარიანად გაუხვრეტია ის.

პატარა ლომვეშაპის ცოცხლად დაჭერა უმეტეს შემთხვევაში ისე არ ხერხდება, თუ დედა არ შეეწირა ამას მსხვერპლად. ასეთი ხერხით დაიჭირეს ჩემმა მონადირეებმა შტელინგენში ჩამოყვანილი ახალგაზრდა ლომვეშაპები. მოკლულ დედა-ლომვეშაპს თოკით მოზიდავდნენ, თითქმის ზედ მიაკრავდნენ ნავის ქიმს და ელოდებოდნენ მისი შვილის გამოჩენას. გარკვეული ხნის შემდეგ მართლაც მოცურდებოდა დაობლებული ლომვეშაპი და ზურგზე შეაცოცდებოდა დედამისს. ასეთ მდგომარეობაში, ცხადია, ადვილი იყო უსუსური ცხოველის დაჭერა.

ოლე ჰანსენის ნაამბობიდან ვიცი, რომ ყველაზე დიდი ლომვეშაპები ფრანც-იოსების ძიწის ახლომახლო ბინადრობდნენ. ლომვეშაპებზე მონადირეებს მოკლული ცხოველის ტყავში საფასურს წონით უხდიან — კილოგრამში 1,40 კრონს. გარდა ამისა, დიდად ფასობს ლომვეშაპის ზიპი. ამ ცოტა ხნის წინ შტელინგენში ჩამოყვანილ ახალგაზრდა ლომვეშაპზე ნადირობის დროს მოკლულ იქნა სამოცდარვა ცხოველი, მათ შორის ერთი ვეებერთელა ეგზემპლარი, რომელსაც 75 სანტიმეტრი სიგრძის ორკილონახევრიანი ეშვები ჰქონდა. თითო კილოგრამი ეშვი ექვს კრონად გაიყიდა. დედალ-მამალი ლომვეშაპის ერთად ნახვა ხმელეთზე მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერ-

ში, მძუნაობის პერიოდში შეიძლება. 1886 წელს ჰანსენს ჩრდილო-აღმოსავლეთ მიწის* ჩრდილოეთ სანაპიროზე უნახავს ლომვეშაპების 370-სულიანი ჯოგი, რომელიც პირწმინდად ამოუწყვეტია ხუთ მეზღვაურს. ყველაზე დიდი ლომვეშაპი, რომელიც ჩემმა მონადირეებმა ჰარპუნით მოკლეს უკანასკნელი ექსპედიციის დროს, თითქმის სამი ათას კილოგრამს იწონიდა. მოზარდეულს უმეტესად ფლორის კონცხთან იჭერენ. ლომვეშაპებზე ნადირობის თვალსაზრისით ამჟამად ყველაზე ხელსაყრელ ადგილად ჩაითვლება ციმბირის ჩრდილოეთ სანაპირო.

გაივლის ცოტა ხანიც და არქტიკის ცხოველთა სამყაროს ამ ძლევამოსილი წარმომადგენლების უკანასკნელი ეგზემპლარებიც გადაშენდება, თუ საერთაშორისო მასშტაბით დროულად არ იქნა მიღებული ზომები ასეთი დაუნდობელი ნადირობის წინააღმდეგ. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ზოოლოგიური ბაღებისათვის ხშირად მომიწყვია ლომვეშაპებზე ნადირობა და ყოველი ასეთი ექსპედიციის შემდეგ კაპიტანი ჰანსენი ახალ-ახალ ამბებს მიამბობდა არქტიკაზე.

ლომვეშაპი უმეტესად იკვებება პლანქტონით — „ცხოველური ფაფით“, რომელიც უმცირესი ბიოორგანიზმებისაგან შედგება. ერთხელ ჰანსენი ფრიად საინტერესო ამბის მომსწრე გამხდარა — ლომვეშაპი ეშვებით გლეჯდა თურმე მკვდარ სელაპს და მის ცხიმს ლოკავდა. ლომვეშაპმა ისეთი ყვირილი იცის, რომ მისი ხმა ქარის მიმართულებით ორ მილზე ისმის ხოლმე. ასე რომ კაპიტან ჰანსენს ბურუსის დროს ხშირად ამ ხმის მიხედვით განუსაზღვრავს თურმე თავისი ხომალდის კურსი. 1897 წელს ნადირობის დროს ერთ ღონიერ დედალ ლომვეშაპს გადაბრუნებული ნავიდან წყალში გადაცვენილი ოთხი კაცი მოუკლავს, იგი რამდენიმეჯერ ამოვიდა თურმე წყლის ზედაპირზე და თავს დაესხა მოცურავე მონადირეებს, რომელთაც საცერივით დაუხვრიტა ზურგი თავისი ძლიერი ეშვებით. ერთ მონადირეს მოუხერხებია ნავში აცოცება, მაგრამ ლომვეშაპს მაინც იმდენი „უმარჯვია“, რომ ხელახლა გადაუბრუნებია ნავი და ეს კაციც მოუკლავს.

---

* ლაპარაკია შპიცბერგენზე.

ფრიად საინტერესო სანახაობა იყო ხუთი ახლადჩამოყვანილი ლომვეშაპის შეხვედრა სამ თანამოძმესთან შტელინგენის „ყინულოვანი პანორამის“ აუზში, რომლის აგებისა და მოწყობის თაობაზე ქვემოთ მოგითხრობთ, როდესაც ლაპარაკი გვექნება შტელინგენის ზოოლოგიური პარკის შექმნაზე. როდესაც აუზის პირას ლომვეშაპებიანი ყუთები მიიტანეს, აუზის ძველი ბინადარნი საშინლად აფორიაქდნენ. წყლიდან ამოცოცდა მამაცი ლომვეშაპი თავისი ორივე მეუღლის თანხლებით. ეს რომ დაინახეს ახალმოსახლეებმა, საშინელი ყვირილი მორთეს, აღელვებისაგან სულ დორბლებს ყრიდნენ და სისხლი მოაწვათ თვალებში. მაგრამ როდესაც დამხვდურნი ალერსიანად შეეგებნენ და სტუმართმოყვარეობის ნიშნად სუნვა დაუწყეს, მოსულები დამშვიდდნენ და მადიანად შეექცნენ შეთავაზებულ თევზს. სულ მალე კი ახალბედა ბინადარნი ისე მოთვინიერდნენ, ისე შეეგუენ გარემოს, გეგონებოდათ ძველ მოსახლეებთან ერთად დაუდევთ ბინა სამხეცეშიო.

დოქტორი კარლ პეტერსი ამ რამდენიმე წლის წინ როდეზიაში მოგზაურობისას დაღლილ-დაქანცული ერთხელ რომელიღაც ბურის ფერმაში მოხვედრილა. ბურს უამბნია, თუ როგორ გააპარტახა მისი ძროხების ჯოგი შავმა ჭირმა და ბუზმა ცე-ცემ. დოქტორ პეტერსს შეუმჩნევია, რომ ბევრ ფერმერს საერთოდ ხელი ჰქონდა აღებული მიწების დამუშავებაზე, რადგან გამწევი მუშა-ძალა აღარ ჰყავდათ. ამ მდგომარეობიდან ერთგვარი გამოსავალი უპოვნია სწორედ იმ ბურს, რომელზეც მოგახსენებდით ზევით. აფრიკის ცხოველთა უმდიდრესი სამყაროდან ჯერ კიდევ შემორჩენოდა ამ შორეულ მივარდნილ კუთხეს ისეთი ცხოველები, რომლებიც ორმოცდაათიან წლებში კაპშტადტის ჭიშკრამდე მოდიოდნენ უშიშრად. ფერმის მეზობლად ჯოგებად ბინადრობდნენ კუდუ, ანტილოპა, ნილგაუ, გნუ, აგრეთვე სირაქლემა. ბალახსაც კი ერთად სძოვდნენ ეს თვინიერი ცხოველები. გონიერმა ფერმერმა იფიქრა, რატომ არ შეიძლება ვისარგებლო ბუნების ესოდენ უხვი წყალობითო. პეტერსს მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია, როდესაც დაუნახავს ბურის ბაკში მშვიდად მოსეირნე ექვსი

ჯანიანი გნუ. „ამ ცხოველებს მიწას მოვახვნევინებ, — უთხრა თურმე ბურმა, — ვინძლო ჩემი ფორანიც ატარონ ჩორთითო“. პეტერსს გაეცინა, ჯიბიდან ინგლისური ილუსტრირებული ჟურნალი ამოიღო და ბურს უჩვენა კარლ ჰაგენბეკისეული ჰამბურგის ზოოპარკის რამდენიმე ფოტოსურათი. „ეს კაცი, — უთხრა პეტერსმა ფერმერს, — კარგ ფასს მოგცემდათ ამ ცხოველებში. შესთავაზეთ, ეგებ იყიდოსო“. ბურები საერთოდ შესანიშნავი საქმოსნები არიან. ჭკუაში დაჯდომია პეტერსის წინადადება, და აი მოულოდნელად ტელეგრამას ვღებულობ როდეზიიდან: „მყავს თექვსმეტი გნუ, გთავაზობთ ამდენ და ამდენ მარკად. მიდეპეშეთ გადაწყვეტილება. თანხმობის შემთხვევაში ადგილზე ჩაგაბარებთ ექვსი თვის განმავლობაში“.

მართალი გითხრათ, ძალიან გამეხარდა, ჩემი სამხეცის შევსების შესაძლებლობა რომ მომეცა, ტელეგრაფით თანხმობა ვამცნე და ჩემი ნაცადი აგენტი იურგენ იოჰანსენი გავგზავნე აფრიკაში. ცხრა თვის შემდეგ დაბრუნდა იგი ჰამბურგში და ჩამომიყვანა ბურისაგან ნაყიდი გნუები, გარდა ამისა, მოაყოლა ბევრი სხვა ძვირფასი ცხოველიც, რომელთა დაჭერა როდეზიაში ასწავლეს მას ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და ბურებმა.

ცხოველების მოსაძებნად ოცდაათიოდე მარჯვე მხედარი მიეშურება ხოლმე. ხანგრძლივი და მეტისმეტად მომქანცველი მარშის შემდეგ ბოლოსდაბოლოს მიაგნებენ იმ ადგილს, სადაც ბინადრობს გნუ. ფართო ალყას შემოავლებენ ამ ადგილს. სიტყვას დავიწინაურებ და გეტყვით, რომ ასაკოვანი ხვადი 2400 გირვანქას იწონის. ისეთი ჯანი და ღონე აქვს ამ ცხოველს, რომ რამდენიმე ცხენს თავისუფლად დასცემს დაბლა. ვინ უნდა იყოს ისეთი თავზეხელაღებული, რომ ბუნების წიაღში სცადოს ამ ცხოველის ცოცხლად დაჭერა და მისი შემდგომი ტრანსპორტირება?! ამიტომ მონადირეები ნაცად ხერხს მიმართავენ — ცდილობენ მოზარდეული ჩამოაცილონ ჯოგს. მოულოდნელი თავდასხმით დამფრთხალი ჯოგი რომ გაიქცევა, ახალგაზრდა ცხოველებიც ფეხდაფეხ მისდევენ ასაკოვნებს, მაგრამ მალე იღლებიან, მუხლები ეკვეთებათ ხოლმე, და ქოშინი უვარდებათ. ჯოგს რომ ჩამორჩებიან, ჯირითს შეწყვეტენ,

ადგილზე გაჩერდებიან და ფოთოლივით ცახცახებენ. სწორედ ამ დროს წამოეწევა გაოგნებულ ცხოველს მონადირე, კუდში ხელს ჩაავლებს და ძალუმად დასცემს მიწაზე. შემდეგ მაგრად გაუკოჭავენ უკანა ფეხებს და გაახვევენ თბილ სახვევში. საქმეში ჩაუხედავ კაცს შესაძლოა ზედმეტად მოეჩვენოს ასეთი რამ. მაგრამ უამისოდ არ შეიძლება. რადგან განცდილი მღელვარების შემდეგ ახალგაზრდა ცხოველი იმდენად დაოსებულია, რომ აუცილებელია მისი დაცვა ტემპერატურის მკვეთრი მერყეობის ზეგავლენისაგან. აი ამიტომ ახვევენ ხოლმე დაჭერილ მოზარდეულ გნუს თბილ სახვევში. მაგრამ ესეც არ კმარა. მკითხველს ალბათ გაუკვირდება, რომ ვიტყვი: მონადირე მედიკოსობას იწყებს, დიახ, მედიკოსობას. საბანში გახვეულ ცხოველს კანქვეშ უშხაპუნებენ რაღაც ნივთიერებას, რომლის შემადგენლობა ჩემმა აგენტებმა, სამწუხაროდ, ვერ შეიტყვეს. ეს კი ვიცი, რომ ასეთი შეშხაპუნების შემდეგ რამდენიმე წუთში ცხოველი ცნობიერებას კარგავს და ღრმად იძინებს. ჩემი აზრით, მორფიუმს ან რომელიმე სხვა ალკალოიდს იყენებენ მონადირეები. შეშხაპუნება იმავე მიზანს ემსახურება, რასაც საბანქვეშ გახვევა. დაჭერილი ახალგაზრდა ცხოველი ისეა ხოლმე შეშინებული, რომ უმრავლეს შემთხვევაში გული უსკდება და კვდება. სწორედ ამის საწინააღმდეგო ღონისძიებაა შეშხაპუნება. მძინარე ცხოველი გადაჰყავთ ბანაკში და მთელი დღეღამის განმავლობაში ძინავს. ამ ხნის განმავლობაში მონადირეები ბანაკში მოდენიან წინასწარ შერჩეულ ძროხებს და, როდესაც გნუ გამოიღვიძებს, მიუყვანენ მეწველ ძროხას, რომელსაც უკანა ფეხები დაბორკილი აქვს. სუნის მიხედვით ძროხა ხვდება, რომ ეს მისი ხბო არაა, ამიტომ არც მიუშვებდა ჯიქანთან გნუს, ფეხები რომ არ ჰქონოდა შეკრული. რამდენიმე დღის შემდეგ დედინაცვალი ეჩვევა თავის შვილობილს, რომელიც ახლა ისევე დასდევს კუდში გამზრდელს, როგორც ადრე თავის მშობელ დედას. როდესაც ტყვექმნილი ცხოველი იმდენად წამოიზრდება, რომ შესძლებს ზღვამდე გრძელი მანძილის გავლას, ქარავანი გზას გაუდგება ხოლმე. სხვათაშორის, უამრავი ფოტოგრაფია მაქვს, რომლებზეც გამოსახულია ბანაკში აღზრდილი გნუები. აი, ერთად შეუბამთ ხარები, ჯორე-

ბი, ზებრები, გნუები და ნავსადგურისაკენ მიაგორებენ დატვირთულ ორთვალას.

ახლადდაჭერილი ან ტყვეობაში დაბადებული გარეული მხეცების ტრანსპორტირება ისეთი მეცნიერებაა, რომელიც მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებით შეიძლება შეითვისოს კაცმა. პირადად მე მთელი ჩემი ცხოვრება სწორედ ასეთ პრაქტიკაში გამიტარებია. ამიტომაც საკმაოდ ძვირად მიზის ეს მეცნიერება. რკინიგზის ვაგონებში და გემებზე სხვადასხვა ცხოველების დატვირთვის ხელოვნება, მათი „შეფუთვის“ ტექნიკა, შესაფერისი საკვების შერჩევა — ყოველივე ეს იმდენად ძნელი და რთულია, რომ იშვიათად ჩაივლის ხოლმე უმსხვერპლოდ. როდესაც დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან წამოსული ტრანსპორტი ხშირად ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობის შემდეგ ევროპაში ჩამოდის ხოლმე, ახლა აქ იწყება ახალი, სხვა სახის სიძნელეები. ხომალდიდან თავლაში გადაყვანა, თავლიდან რკინიგზის სადგურში, ვაგონებში ჩატვირთვა და იქედან გადმოყვანა. საერთოდ ვიწრო და ჯაყჯაყა ვაგონებში მგზავრობა დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან, ამიტომაც ხშირია ხოლმე ფათერაკები. ასეთი ამბები მე უკვე მოგითხრეთ წინა თავში, რომელსაც სათაურად ჰქონდა „მხეცებით ვაჭრობის განვითარების ისტორია“. ამჟამად ჩვენ გარკვეული გამოცდილება გვაქვს ცხოველების გადაზიდვის საქმეში, თუმცა საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა ასეთი ცოდნის შეძენა. გარდა ამისა, ახლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია მიმოსვლის საშუალებანი. წინათ კი სპილოს აყვანა გემზე და ევროპაში გამოგზავნა საზღაპრო საქმედ იყო მიჩნეული.

VI

რა უმნიშვნელო ფათერაკები შეგვმთხვევია გარეულ მხეცებთან

ჩვენდა სამწუხაროდ, ბარონ კნიგეს არაფერი დაუბარებია მხეცებთან მოქცევის წესებზე, არც ის ვიცით, თუ რა გამოცდილება შეიძინა ჩვენმა პაპისპაპა ნოემ, რომლის კიდობანიც, სანამ არარატის მთას წამოედებოდა, თერთმეტი თვის განმავლობაში დაცურავდა უკიდეგანო სივრცეში. ნოემ გადაგვირჩინა ცხოველთა სამყარო, სადაც ნაყოფიერად მოღვაწეობდა მისი ბადიშიშვილი ნებროთი — ფრიად შესანიშნავი მონადირე. თუ რაოდენ ძნელი იყო თუნდ ერთი ასაკოვანი სპილოს ტრანსპორტირება, ამაზე მინდა ერთი ეპიზოდი მოგითხროთ.

ერთხელ 1864 წელს ლიუტიხიდან წერილი გამომიგზავნა სამხეცის ძველმა მეპატრონე კრაიცბერგმა. ცხოველების გაყიდვა მწადიაო, მწერდა იგი. მაშინვე გავემგზავრე ვალონიის ამ ძველთაძველ ქალაქში. კრაიცბერგი ვაგზალზე დამხვდა და მასთან ერთად გავემგზავრე სადგურ შენეში, სადაც თავისი ცხოველები გაეგზავნა. როდესაც ადგილზე მივედით, ცხოველების ტრანსპორტი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული და იძულებული გავხდით იქვე გაგვეთია ღამე. გარიჟრაჟზე გაგვაღვიძეს და საშინელი ამბავი „გვახარეს“ — სპილოიანი ყუთი მეტისმეტად მაღალი გამოდგა, ბოლო გვირაბში გავლისას გვირაბის ჭერს დაეჯახა და ნაკუწ-ნაკუწად იქცაო. სქელკანიანი გოლიათი, საბედნიეროდ, ფლეგმატიკოსი ყოფილა, ანდა, შესაძლოა, ფილოსოფოსობაზე დებდა თავს. როდესაც ფათერაკის ად-

გილას მივედით, დავინახეთ, რომ იგი მშვიდად იდგა ყუთის ნამსხვრევებს შორის და თივას შეექცეოდა. მდედრობითი სქესის წარმომადგენელი გახლდათ იგი, არასდროს არ მინახავს ესოდენ ბუმბერაზი დედალი სპილო. ცხოველის სიმაღლე ცხრანახევარ ფუტს აღწევდა. ის ადრე რუსეთის მეფეს უჩუქებია კრაიცბერგისათვის. რაღა თქმა უნდა, მდიდარი ბიოგრაფია ჰქონდა ამ სპილოს. მამალი სპილოსა და სპეციალური გამყოლის თანხლებით იგი საკუთარი ფეხით ჩასულა ინდოეთიდან მოსკოვს. ეს მოგზაური-საჩუქარი რუსეთის მეფეს თურმე რომელიღაც მაჰარაჯამ გაძოუგზავნა. ამ თვინიერი ცხოველის ცხოვრების თანამგზავრი ნამდვილი შფოთისთავი გამოდგა; გამძვინვარებისას მოუკლავს თავისი მეთვალყურე-დარაჯი. ჯაჭვები დაუწყვეტია და უკან მოუხედავად მოუკურცხლავს. იძულებული გამხდარან მშველელად ჯარის ნაწილები გამოეწვიათ. ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს სპილოს და ტყვიებით მოუსწრაფეს სიცოცხლე. ასე დაქვრივებულა გოლიათი დედა სპილო, რომელსაც საკუთარი ფეხით მოუვლია თითქმის ნახევარი მსოფლიო, მცირე ხანს ინგლისში ყოფილა, ბოლოს კი მე ჩამივარდა ხელში. შემდეგ ის ერთ-ერთი ამერიკული სამხეცის მეპატრონეს მივყიდე.

მაგონდება კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს იმდროინდელ სატრანსპორტო სიძნელეებს. ამერიკა-ჰამბურგის სატრანსპორტო ხაზზე მომუშავე ხომალდები გაურბოდნენ ასეთ ტვირთს. ერთხელ ფრიად ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, როგორც იქნა, მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ სატრანსპორტო ტარიფით ხუთი ათას მარკად აიყვანდნენ უჩვეულო მგზავრს — ვეება სპილოს. ტრანსპორტირების არავითარი სხვა საშუალება არ გვქონდა, ამიტომ ამერიკელები იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ ესოდენ დიდი საფასურის გადახდაზე. გარდა ამისა, საჭირო გახდა ვეებერთელა ყუთის ატანა ხომალდზე სპილოს დასამწყვდევად. ყუთის სიგრძე ათი ფუტი იყო, სიგანე შვიდი ფუტი, სიმაღლე კი თოთხმეტი ფუტი. ყუთი ჰამბურგის მახლობლად შტაინვერდში გავაკეთებინეთ 2,5-დუიმიანი ფიცრებისაგან. გარშემო რკინის ვეებერთელა სალტეები ჰქონდა სიმაგრისათვის. ხო-

მალდზე რომ აიტანეს, საკვამლე მილის გვერდით დადგეს და მაგრად დაამაგრეს გემბანზე.

მთავარი მაინც ის იყო, თუ როგორ აეყვანათ სპილო გემბანზე და შეემწყვდიათ გალია-ყუთში. ამ მიზნით სპეციალური ხიდი აიგო ნაპირიდან ხომალდის გემბანამდე. იმხანად ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული ამწე, რომლის მეშვეობითაც აიტანეს 1898 წელს გემზე კრუპის მიერ ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზე გასაგზავნი უზარმაზარი ქვემეხი. ახლა ათასობით ამწე ექსკავატორი და ელევატორი აწარმოებს საოკეანო ხომალდების ტრიუმების დატვირთვა-განტვირთვას, მაშინ კი მამაპაპური აზარმაცისა და ჯალამბარის მეტი არაფერი გააჩნდათ მტვირთავ მუშებს.

ნამდვილ კომედიად გადაიქცა გემზე სპილოს აყვანა. სამების დღესასწაულის პირველი დღე იყო. დილითვე მოვიყვანე ჩემი სპილო ხიდთან. ცხოველი მეტად თვინიერად იქცეოდა. ამან გამათამამა, ჩავავლე ყურში ხელი და ხიდისაკენ გავემართე. სპილომ ფრთხილად მოსინჯა ფეხით ხიდის ფიცარნაგი, მშვიდად გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და ანაზდად უკან დაიხია.

პონტონებზე გამართული ხიდის რხევამ შეაშინა თუ სხვა მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ეს კია, რომ გაჯიუტდა და ხიდისაკენ გახედვაც კი აღარ უნდოდა. ჩვენი ყოველგვარი მოწადინება უშედეგო აღმოჩნდა. სხვას რომ ვერაფერს გავხდით, ბაგირები შევაბით წინა ფეხებზე. თითო ბაგირს ოცმა კაცმა მოჰკიდა ხელი, ესე იგი გემის ეკიპაჟის ორმოცივე წევრი ჩავაბით ამ საქმიანობაში. რომ დავიძახებდი „მარცხენა“, ოცი კაცი გასწევდა მარცხენა ფეხზე გამობმულ ბაგირს, „მარჯვენას“ დაძახებაზე კი მეორე ჯგუფი გასწევდა წინ ბაგირს. სპილო თითქოს დაყაბულდა ასეთ ძალმომრეობაზე. ასეთი ჭაპანწყვეტით კარგა მანძილი გავიარეთ. სულ რამდენიმე მეტრიღა იყო დარჩენილი გემბანამდე, რომ უცბად ძლიერად გაიქნია მარცხენა ფეხი და ოცი კაცი ლავაშივით გაეკრა იატაკს. მართალი გითხრათ, ძალიან შევშინდი, მაგრამ უსაფუძვლო გამოდგა ჩემი შიში. როდესაც სპილომ თავის ძალ-ღონეში დაგვარწმუნა, შემდეგ თვითონვე განაგრძო გზა და საკუთარი სურვილით და საკუთარი ფეხით მშვიდად შებრძანდა მისთვის განკუთვნილ ყუთ-

გალიაში. თითქოს იმის თქმა სურდა, რამდენიც არ უნდა გეწვალათ, ჩემი ნების გარეშე, ვერაფერს გახდებითო. საერთოდ, სიცილი რომ შეეძლოთ სპილოებს, ალბათ გულიანად გადაიხარხარებდა ეს გოლიათი, თავის ბაკში რომ შევიდა. ამერიკაში ჩემს ბუმბერაზს დიდი პოპულარობა მოუხვეჭავს. სახელად თურმე „იმპრესი"* შეარქვეს.

გარეულ მხეცებთან მოპყრობის არავითარი სპეციალური წესები არ არსებობს. ერთი მხეცი რომ მშვიდი და უწყინარია, მეორე საშინლად შმაგი და დაუნდობელია. ერთი და იგივე ოჯახის ერთი წარმომადგენელი იმდენად თვინიერად იქცევა, რომ შეგიძლიათ ხელი მოჰკიდოთ და ისე წაიყვანოთ, მეორე კი აუცილებლად უნდა შეიბორკოს და ეკიპაჟით იქნეს ტრანსპორტირებული. ყველაფერი დამოკიდებულია გარემოსიტუაციაზე, პრაქტიკულ მოსაზრებულობასა და სიმშვიდეზე, რადგან ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები მოქმედებენ არა გონებით, არამედ ინსტინქტით, იმპულსით, ამიტომ ყოველ წუთს მზად უნდა იყოთ მოულოდნელობისათვის.

ვთქვათ, გემიდან მარტორქა უნდა ჩამოვიყვანოთ ნაპირზე საბიჯელათი. რომ ვეახლოთ და მოვახსენოთ: — „დიდად პატივცემულო მარტორქავ, ეგებ მოიღოთ მოწყალება და გამობრძანდეთ გარეთ!" მერწმუნეთ, ვერაფერს გაიგებს იგი. კისერზე თოკი რომ გამოვაბათ და გავწიოთ, თანაც უკნიდან კეტი მოვიშველიოთ, მაინც ვერაფერს შეავგნებინებთ. ერთადერთი შედეგი, რაც შესაძლოა მოჰყვეს ასეთ მოწადინებას, ის იქნება, რომ თოკის მომზიდველი კაცი ცხოველის რქის ძალას იგრძნობს თავის წელქვეითა ნაწილზე. მაგრამ ამ გაიძვერასაც აქვს თავისი აქილევსის ქუსლი: კუჭი! დიახ, კუჭი, რომელიც საერთაშორისო ენაა ყველა ცხოველისათვის, მშობლიური და გასაგები. საჭმელი მიუტანეთ პირთან ამ სქელტანიანს და მერწმუნეთ, არავითარი ხვეწნა-მუდარა ან ძალმომრეობა არ დაგჭირდებათ.

მართალი გითხრათ, ადრევე დავეუფლე ამ სიბრძნეს, მაგრამ, მაგონდება, ერთხელ საშინელ ფათერაკს წამკიდა მარტორ-

---

* Empress — ინგლისურად დედოფალი.

ქამ: ეს მოხდა 1871 წელს, როდესაც ლონდონს ვესტუმრე ჩემს სახელზე ჩამოსული ცხოველთა ტრანსპორტის მისაღებად. ცხოველებს შორის ერთი კარგა მოზრდილი დედალი მარტორქაც იყო, რომელიც სპეციალურად მისთვის გაკეთებული ვეებერთელა გალიით ჩამოეყვანათ. ეს ყუთი, რაღა თქმა უნდა, არატრანსპორტაბელური იყო, ამიტომ გემიდან მარტორქა თივადაგებული ხიდით გვინდოდა გადმოგვეყვანა სატრანსპორტო ფურგონში. გემიდან ვაგონამდე დაახლოებით ხუთასი მეტრი იქნებოდა. მარტორქა უნდა გამოჰყოლოდა ოსტინდის დოკების პაკჰაუზებს შორის გაყვანილ ლიანდაგს. ჩვენმა გამოცდილმა კოლეგამ მისტერ ჯემრაჩმა გვირჩია, ცხოველი საკმაოდ თვინიერია, თოკი გამოვაბათ და ისე წაიყვანეთო. მეც დავეთანხმე. ის კი აღარ გავითვალისწინე, თუ რამდენად სახიფათო იქნებოდა ასეთი ხერხით ცხოველის ტრანსპორტირება. მარტორქას მსხვილი თოკი გამოვაბით კისერზე, მეორე უფრო გრძელი თოკი კი წინა ცალ ფეხზე შევაბით. გარდა ამისა, უამრავი თოკები მოვიმარაგეთ და გავუდექით გზას. მარტორქას ფიცარნაგზე წინ დაუდგა დარაჯი, რომელიც საკუთარი ხელით აწვდიდა საჭმელს და თან ნელი ნაბიჯით მიეშურებოდა ნაპირისაკენ. ცხოველი მშვიდად მიჰყვებოდა უკან. ცხოველის კისერზე გამობმული თოკი მეორე ბოლოთი ექვს კაცს დავაკავებინე ხელში და ვუთხარი, როგორც კი მიუახლოვდებოდნენ ვაგონს, გვერდითი კედლის ცხაურში გაეყარათ თოკი და ღერძზე მიებათ. მე კი ხელი მოვკიდე წინა ფეხზე გამობმულ თოკს და გულდაჯერებული ნაბიჯით გავყევი დოკების გრძელ რიგს. უკან მომყვებოდა ცნობისმოყვარეთა მრავალრიცხოვანი გუნდი.

ვაგონთან მისვლისას შევამჩნიე, რომ სტვენით და ქოშინით გვიახლოვდებოდა ორთქლმავალი, რომელსაც სატვირთო შემადგენლობა მოჰყავდა. მოსალოდნელი საფრთხე რომ დავინახე, მაშინვე ვაგონს შევახტი. ასეთივე სისწრაფით შეასრულეს დავალება ჩემმა დამხმარეებმა. ასე რომ, თვალის დახამხამებაში მოვასწარი ცხოველის დაბინავება და დაბმა. მემანქანე, როგორც ჩანს, თვალს ადევნებდა ჩვენს მოქმედებას და, რაკი დაინახა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მატა-

რებლის საყვირი დააკივლა. ძნელი სათქმელია, რატომ მოუვიდა თავში ასეთი სულელური ხუმრობა. ამან საშინლად ააფორიაქა მარტორქა. რის ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ მისი მეორე ფეხის მიბმა სამარაგო თოკებით. ორთქლმავალი კი კვლავ გაჰკიოდა საშინელი ხმით. ცხოველი მთლად გადაირია, ძლიერი დარტყმით ერთ წუთში მილეწ-მოლეწა ფურგონის ხარიხები. კიდევ კარგი, რომ ეს ნამტვრევები ცხენებს არ მოხვდა, თორემ საშინელ უბედურებას გადავეყრებოდით. ცოფმორეული მარტორქა ფურგონის წინა კედლის გამტვრევასაც შეეცადა, მაგრამ ამის ნება კი აღარ მივეცით. მსწრაფლ ავედი ფურგონის სახურავზე, თოკის ბოლოს ჩავავლე ხელი და რაც ძალი და ღონე მქონდა, დავცხე ყურებს შორის. ცხოველი, როგორც ჩანს, ჰიხვდა, რომ მასზე ნაკლები ძალა არც მე მქონდა. ბოლოს და ბოლოს ორივენი საშინლად მოვიქანცეთ. ჩემი ურჩი მეგობარი თანდათან დაშოშმინდა და ბოლოს სულაც დაწყნარდა. როგორც იქნა, მივაღწიეთ ბაგებს, ახლა საჭირო იყო ცხოველის ჩამოყვანა ფურგონიდან. თოკი, რომელიც წინა ფეხებზე ჰქონდა მარტორქას გამობმული, გავუყარეთ ბაგის კედელში დატანებულ რგოლში. მაგრამ მარტორქა კვლავ გამძვინვარდა, გარშემო ცნობისმოყვარენი შემოგვეხვივნენ და მათმა ხმაურმა კიდევ უფრო გააღიზიანა ცხოველი. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხეთ მისი დაბინავება ბაგაში. მაგრამ ისე გავწვალდით, რომ ჰამბურგში გადაყვანისათვის დიდი ყუთი დავამზადებინე. იმ მომენტში, როცა ორთქლმავალი მოგვიახლოვდა, მარტორქა ხელიდან რომ გამსხლტომოდა, სამწუხარო ამბავი მექნებოდა მოსაყოლი, რადგან ადამიანის მსხვერპლის გარეშე არ ჩაივლიდა ეს ფათერაკი.

სხვა დროს ბევრჯერ მინახავს, თუ როგორ მოტეხია რქა გამძვინვარებულ ცხოველს, მაგრამ ამით დიდად არაფერი დაშავებია. რქა ისევ იზრდება ხოლმე და ერთი წლის განმავლობაში კარგა გვარიანი ზომისა ხდება. იმ თავში, რომელშიც მხეცების დაჭერაზე გიამბობდით, უკვე მოგახსენეთ, რომ ახალგაზრდა მარტორქა ადვილად ეჩვევა ხალხს. ნუბიის ქარავანში, რომელიც სამოცდაათიან წლებში გამოფენაზე მყავდა ბერლინის ზოოლოგიურ ბაღში, სამი ახალგაზრდა მარტორქა იყო, რო-

მლებიც თავისუფლად დაკუნტრუშებდნენ ბაკში. მაყურებლები აღტაცებით უყურებდნენ, მეთვალყურე-დარაჯი ხუმრობით რომ დაემალებოდა სადმე ცხოველებს, ისინი კი ღოროტოტოსებური ღრიალით შეუდგებოდნენ მის ძებნას.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კაზანოვამ პირველად ჩამოიყვანა ევროპაში აფრიკული მარტორქა. თუმცა ცხოველი დაბალი იყო — სულ რაღაც ოთხმოციოდე სანტიმეტრი, ერთ მშვენიერ დღეს ათლეტად მოგვევლინა და ვაქკაცურად გამომიწვია ორთაბრძოლაში. ტრიესტიდან ვენაში მივემგზავრებოდი. ჩემს ძვირფას თანამგზავრთან ერთად ცალკე კუპეში მოვთავსდი. კუთხეში მივჯექი. დაღლილი ვიყავი და ცოტა წამთვლიმა. უცებ ვიღაცამ მუჯლუგუნი წამკრა, მაშინვე თვალები დავაჭყიტე და დავინახე, რომ ცხოველი გულმოდგინედ ღეჭავდა ჩემი პიჯაკის კალთას. ზრდილობიანად ვცადე პიჯაკის გადარჩენა, მაგრამ ონავარმა ხელი არ აიღო ამ გასართობზე, პირიქით, ძალიანაც ეწყინა, ერთბაშად გამძვინვარდა, საშინელი ხმით დაისტვინა და გააფრთებით თავს დამესხა. დალუპვა მემუქრებოდა, ერთი ნახტომით თავს გადავევლე დახვავებულ ტომრებსა და ყუთებს. ერთი ტომარა, 150 გირვანქა მაინც რომ იქნებოდა, მარტორქას ფეხებთან დაეცა, ცხოველი მაშინვე დაეძგერა და პატარა ბურთივით ააგდო ზევით. რაღა თქმა უნდა, მაშინვე გავეცალე ჩემს აფრიკელ თანამგზავრს. არავითარი სურვილი არ მქონდა, ბურთივით ვეთამაშებინე ჰაერში. ერთხელ კიდევ ზღვაზე მოგზაურობისას იმის მოწმე გავხდი, თუ როგორ აქცია ერთი დარტყმით ნაკუწ-ნაკუწ საკმაოდ სქელი ფიცრებისაგან გაკეთებული თავისი ყუთი გამძვინვარებულმა მარტორქამ. მაშინვე მთელ გალიას აფრისი შემოვახვიე, თორემ საშინელი უბედურება დაგვატყდებოდა თავს.

მარტორქას არაფრით ჩამოუვარდება და შეიძლება სჯობია კიდეც ბეჰემოტი — სქელკანიანთა შორის ყველაზე უფრო სქელკანიანი და ზორზოხი პირუტყვი. ხომ საშინლად ტლანქი და მოუხეშავია ბეჰემოტი, მაგრამ ერთმა ჩემმა აგენტმა მაინც მოახერხა მისი გადაყვანა სამგზავრო სკივრით. ეს ამბავი არაკად მოეჩვენება მკითხველს და ალბათ მოა-

გონებს ერთ ამერიკელ კომივოიაჟერს, რომელიც მოგზაურობისას ჩემოდნით დაატარებდა სატელეგრაფო ბოძების ნიმუშებს. რამდენიმე წლის წინ ერთ გერმანულ იუმორისტულ ჟურნალში დაიბეჭდა კარიკატურა. რომელიც განასახიერებდა ჰაგენბეკის ფირმის აგენტს, უცნაურად, კომიკურად შეფუთული ცხოველებითურთ. იქნებ მხატვარს მხედველობაში ჰქონდა სწორედ ეს ეპიზოდი, რომელზედაც გიამბობთ ახლა.

ერთხელ ბორდოში გავაგზავნე ჩემი დარაჯი, რომელსაც უნდა მიეღო ჩემს სახელზე გამოგზავნილი პატარა ბეჰემოტი; დარაჯმა ნახვრეტებიან სკივრში ჩასვა ცხოველი და როგორც ბაგაჟი, ისე ჩამოიყვანა ჰამბურგში. ეს კია, რომ დედალი ბეჰემოტი ოთხმოციოდე გირვანქას თუ იწონიდა. შემდეგ იგი კარგა ხნის განმავლობაში იყო ჰანოვერის ზოოლოგიური ბაღის ბინადარი.

ბეჰემოტი საერთოდ ადვილად ეგუება ტყვეობას და კარგად მრავლდება. უკვე მეხუთე წელს იძლევა ის შთამომავლობას. დაგრილება წყალში ხდება. საინტერესო სანახავია დედა-შვილის თამაში. როდესაც შვილი მოიქანცება ანცობისა და თამაშისაგან, ზურგზე ააცოცდება დედას და ასე ისვენებს. ამერიკულ ცირკში ერთხელ ორი ასაკოვანი ბეჰემოტი ვნახე, რომლებიც საოცრად თვინიერად იქცეოდნენ. სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობის დროს ისინი მშვიდად მიჰყვებოდნენ დარაჯს გვერდით და ერთხელაც არ მომხდარა რაიმე პატარა ფათერაკი მაინც.

მაგონდება, ამ მშვიდმა ცხოველმა ერთხელ ნამდვილ მალემსრბოლად რომ მაქცია! კაუფმანის სამხეცის მეპატრონისაგან ზორზოხა დედალი ბეჰემოტი შევიძინე და საშმელთან ერთად ყუთში ჩასმულს დავუპირე ჰამბურგში გაგზავნა. მაგრამ ჩემი მოწადინება უშედეგო აღმოჩნდა. წინასწარ ყველაფერი გულდასმით მოვამზადეთ, ვაგონიდან გალიამდე მცირე მანძილი იყო, მაგრამ სიფრთხილისათვის მაინც შევღობეთ. ამასაც რომ მოვრჩით, ჩემს თანაშემწეებს ვუბრძანე, უკნიდან ძლიერად დაერტყათ ცხოველისათვის დიდი ფიცარი, რათა შეშინებული წინ გაქცეულიყო. გზის ცალი მხარე ბიჯგებით გამაგრებული ხის ჩარჩოებით გვქონდა შეღობილი. ღობის გადაღმა ორი

მცველი დარაჯი დავაყენე, მე კი ფიცარნაგზე დავდექი და გა-საატყუებლად საჭმელი გავუწოდე ბეჰემოტს. ცხოველმა ორი ნაბიჯი გადმოდგა, უეცრად ხელიდან საჭმელი გამომტაცა და უკან დაბრუნება მოიწადინა, მაგრამ ამ დროს უკან მდგომმა დარაჯმა ღონივრად უთავაზა წელს ქვემოთ. ეს როგორ გამიბე-დეთო, გადაირია ბეჰემოტი. ვეება ხახა გააღო და წინ გაიჭრა, მაგრამ ფიცარნაგმა მის სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩა-იმტვრა. შეშინებული ცხოველი ახლა მავთულღობეს მიაწყდა და თავზე გადაამხო დარაჯებს. ის იყო გამძვინვარებული მხე-ცი უიარაღო ხალხს უნდა დარეოდა, რომ მთელი ძალით წიხ-ლი ამოვკარი უკან. ამ ხერხმა გასჭრა, ბეჰემოტმა თავი მიანება წაქცეულ დარაჯებს, ჩემსკენ შემობრუნდა, კიდევ უფრო მაგ-რად გააღო ხახა და შემომიტია. წამიც არ დამიხანებია და სინ-დიოფალასავით მოვკურცხლე. გაშმაგებით გამომედევნა უკან ცხოველი. თვალის დახამხამებაში თავს გადავევლე აუზის ღო-ბეს, მეორე მხარეს გავიქეცი და რკინის მჭიდრო მესერზე გა-დავძვერი. შემდეგ ისევ ღობისაკენ გამოვიქეცი და ცხვირწინ მივუკეტე კარი მდევარს. ბეჰემოტი ტყვეობაში აღმოჩნდა.

შემთხვევით ამ საოცარი ამბის მომსწრენი იყვნენ ლოხდო-ნის ზოოლოგიური ბაღის დირექტორი დოქტორი სლატერი და ბრიტანეთის მუზეუმის დირექტორი პროფესორი გიუნტერი, რომლებიც უხიფათო ადგილას იდგნენ და საკუთარი თვალით დაინახეს ყველაფერი. დიდი სინანული გამოთქვეს, რომ იმ მომენტში არც კინოაპარატი ჰქონდათ ხელთ და არც ფოტო-აპარატი, რათა აღებეჭდათ ეს სენსაციური სანახაობა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვიზიტად ვეწვიე ამ ჯიუტ ნილოსელ ქალბატონს. კიპლინგი რომ დასწრებოდა ამ ვიზიტს, შესანიშ-ნავ ნოველას დაწერდა. ბეჰემოტის ბაკთან იდგა ვეებერთელა კენგურუ, რომელმაც ერთ მშვენიერ საღამოს მოისურვა იუნო-ნას ტანის მქონე იმპოზანტური მეზობლის მონახულება. რად-გან ბაკის კარი დაკეტილი დახვდა, კენგურუმ, ჭეშმარიტად, აკ-რობატული ნახტომი გააკეთა და თავს გადაევლო ექვსნახევარი ფუტის სიმაღლის კედელს. დარაჯმა რომ მიხმო, საოცარი სა-ნახაობა გადამეშალა თვალწინ: კენგურუ დასკუპებულიყო ბე-ჰემოტის წინ და თავგამეტებით სცემდა სახეში თათებს. ძუ

ცხოველი ადგილიდან არ იძვროდა, არც თავს იცავდა. ტორის ერთი დაკვრით ანდა ვეება თავის მობრუნებით შეეძლო სული გაეფრთხობინებინა თავხედისათვის, მაგრამ გაშტერებული იყო ავსტრალიელი კავალერის მოულოდნელი სტუმრობით და წარმოუდგენელი უტიფრობით. ზოგჯერ წესიერ კაცსაც ემართება ასეთი რამ: ვინმე მაწანწალა უხამს რამეს აკადრებს და ის კი დგას გაშეშებული. ჩემთვის კი ეს სცენა ცხოველთა ცხოვრების ერთი სამხიარულო ეპიზოდი იყო. სასწრაფოდ უნდა გამეძევებინა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, თორემ თუ ბეჰემოტი გაბრაზდებოდა, ვერაფერი იხსნიდა თავხედ კენგურუს. მოვატანინე ბადე, რომლითაც ვიჭერდი ხოლმე აუზში სელაპებს და კედელს გადაღმიდან თავზე გადავაცვი კენგურუს. სწორედ დროზე მოვასწარი, სანამ გაოცებული ბეჰემოტი ვეება ხახას დახურავდა.

ცივილიზებულ ქვეყნებში არც ერთ ცხოველს არ გამოუწვევია ისეთი ცხოველი ინტერესი, როგორიც ჟირაფს. დიდ ქალაქებში მცხოვრები პატარა ბიჭუნებიც კი უფრო ხშირად ნახულობენ ახლა ამ ცხოველს, ვიდრე ძროხას ან ღორს. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენიცაა ის უზომო გაოცება, რასაც იწვევდა ევროპაში პირველად ჩამოყვანილი ჟირაფები ხალხში. 1926 წლის ზაფხულში ეგვიპტის მთავრობამ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს საჩუქრად უბოძა პირველი ჟირაფები. თითქმის მთელი წელიწადი მოუნდა ამ ტრანსპორტის ჩამოყვანას ევროპაში. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რამდენი ხალხი ეხვეოდა გზადაგზა ამ უცხო ცხოველებს, რომლებიც შავკანიანი გამცილებლების თანხლებით მარსელიდან ლიონზე გავლით პარიზისაკენ მოეშურებოდნენ — Iardin des Plantes. ლონდონის ზოოლოგიური ბაღისათვის განკუთვნილი ჟირაფი აფრიკიდან რომ მოგვყავდა, კარგა მანძილზე დრომადერის ზურგზე გვყავდა დაკრული. და ალბათ ამიტომ გაუჩნდა სახსრების ავადმყოფობა, რამაც 1829 წელს სიცოცხლე მოუსწრაფა ლონდონში. მომდევნო წლებში თითო-ოროლა ჟირაფი თუ ჩამოჰყავდათ ევროპაში. მხოლოდ შენბრუნის სამეფო სამხეცესა და ამსტერდამის ზოოლოგიურ ბაღს შეეძლო ეამაყა ესოდენ იშვიათი და ძვირადღირებული ცხოველების ყოლით.

1867 — 1877 წლებში კი ევროპაში უკვე საკმაო რაოდენობით ჩამოიყვანეს ჟირაფები. ევროპას ამ ცხოველებით ჩემს გარდა ამარაგებდა ალფელდში მყოფი რეიხის ფირმა.

ფრიად ორიგინალური ცხოველია ჟირაფი, ჭკუა-გონება მაინცადამაინც არ აწუხებს, სამაგიეროდ, გულუბრყვილობაში თითქმის ტოლი არა ჰყავს. ნამდვილად რომ თავშესაქცევი სანახავია, როდესაც სახანძრო კოშკის სიმაღლიდან გადმოგცქერით თავისი შავი თვალებით, ანდა განზე რომ გაშლის ხოლმე წინა ფეხებს და ისე დასწვდება ბალახს მიწაზე, ან კიდევ უზომოდ გრძელი „მარწუხებით“ ხის კენწეროებს რომ წაეტანება ფოთლის მოსაწყვეტად. მაგრამ გასართობი საქმიანობა არ ეთქმის იმ კაცის შრომას, რომელსაც უხდება ერთი ან რამდენიმე ჟირაფის გატარება ქალაქის ქუჩებში. ეს ცხოველი ძალიან მფრთხალია, სულ მცირე მიზეზითაც კი საშინელი შიში დაეუფლება ხოლმე და მაშინ მისი გრძელი ფეხები მეტისმეტად საშიშ იარაღად იქცევა. შემიძლია გიამბოთ ბევრი საინტერესო ამბავი, გასართობიცა და ფათერაკიანიც, რომლებიც თავს გადაგვხდენია ჟირაფების ტრანსპორტირების დროს.

1876 წელს ორი დიდი ჟირაფი მივყიდე ვენის ზოოლოგიურ ბაღს და თვითონვე წავიყვანე ისინი ვაგზლიდან ახალი საცხოვრებელი ადგილისაკენ. როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე ასეთ შემთხვევაში, ახლაც უამრავი ცნობისმოყვარე მეხვია გარშემო. ერთბაშად ხალხს გამოეყო ერთი გამოწკეპილი კაცი, რომელსაც თავზე კრიალა ცილინდრი ეხურა, და, მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, ახლო მანძილზე მიუახლოვდა ცხოველებს, რომლებსაც უკვე ეტყობოდათ ნერვიულობა. ცხოველებმა ტლინკების ყრა დაიწყეს, ცილინდროსანი რატომღაც აჰყვა მათ და თვითონაც ხტუნაობა დაიწყო. ცნობისმოყვარე ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ასეთი თავშესაქცევი ამბის მომსწრენი რომ გახდნენ. მივხვდი, უხიფათოდ არ ჩაივლიდა ასეთი ტაკიმასხარობა და მაშინვე მივაძახე ცილინდროსან ჯამბაზს, შორს გამეცალე-მეთქი. ჩემი გაფრთხილება ყურად არ იღო. ამ დროს ერთმა ჟირაფმა გემრიელად უთავაზა წიხლი თავქარიანს, მაგრამ ისე მარჯვედ გააკეთა ეს, რომ მხოლოდ ცილინდრი გადაუგდო თავიდან. გალახული ბავშ-

ეივით გაფითრებული იდგა ეს კაცი, ერთ ადგილას გაშეშებული და, ეტყობოდა, რომ ცილინდრს გაატანა თავისი ისედაც მწირი ჭკუა-გონება, შემდეგ კი... გაიპარა უსიტყვოდ და უკანმოუხედავად. ორი სანტიმეტრით ახლოს რომ ყოფილიყო იგი ჟირაფთან, მერწმუნეთ, მარტო უცილინდროდ კი არა, უთავოდაც დარჩებოდა.

როდესაც ჟირაფი გარბის, თორმეტმეტრიან ნახტომებს აკეთებს, ასე რომ მისი გამცილებელიც ძალაუნებურად „მალემსრბოლი" ხდება, რადგან აღვირი ხელში უკავია. ერთხელ ჰამბურგში შტერნშანცენის ვაგზლიდან ასე მარბენინა ერთმა დიდმა ჟირაფმა. ამსტერდამის ზოოლოგიური ბაღის დირექტორის მოადგილე მახლდა თან. ჩემი გასაჭირი რომ დაინახა, მომეშველა და კუდში ჩაავლო ხელი ცხოველს. მაგრამ ისეთი სისწრაფით გაიყოლა ჟირაფმა, რომ ხელის გაშვება ვეღარ მოახერხა. საოცარი მალაყები გააკეთა ცხოველის კუდზე „გამობმულმა" ჩემმა მშველელმა, ბოლოს კი ტყაპანი მოადინა მიწაზე. საბედნიეროდ, არაფერი დაშავებია. მაგრამ სასეირო სანახავი კი იყო ეს ამბავი.

არ იფიქროს ჩემმა მკითხველმა, თითქოს ამ კაცის დასაცინად გავიხსენე ეს ეპიზოდი. გულახდილად რომ გითხრათ, დიდად არ ვაფასებ მეტისმეტად ფრთხილ, ჯანჯალ ადამიანს, რომელიც მართლაც ათასჯერ გაზომავს, სანამ ერთხელ გასჭრიდეს. გაცილებით უფრო მომწონს ისეთი კაცი, გაბედულად რომ მოქმედებს. ამავე დროს, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი რამ მე თვითონაც გადამხდენია თავს. მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც სუეცში შემემთხვა. ვაგზალში უნდა მიგვეყვანა ერთი ჟირაფი, რომელიც მანამდე დიდხანს გვყავდა ბაკში დამწყვდეული. დიდი ხნის განმავლობაში უმოძრაოდ ყოფნის შემდეგ, ცხენისა არ იყოს, ჟირაფიც მეტისმეტი ანცობის ხასიათზეა ხოლმე. ჟირაფზე გამობმული გრძელი თოკი რატომღაც რამდენჯერმე დავიხვიე ხელზე. გზაში ჟირაფი რაღაცამ დააფრთხო და უკანმოუხედავად მოკურცხლა. რა თქმა უნდა, მეც თან გამიყოლა. იმასღა ვფიქრობდი, როგორმე არ წავქცეულიყავი, თორემ წასული იყო ჩემი საქმე. მაზეპას გაქცევის ამბავი ხომ გაგიგონიათ, სწორედ იმას გავდა, ეს, მაგრამ,

რასაკვირველია, არა პირდაპირი გაგებით. მაზეპა ფეხით გარბოდა. ჟირაფი კი ოთხით მიქროდა და მეც კუდში მივდევდი „ჩემს მეგზურს“ მთელი სუეცის მანძილზე. ჯერ იყო, თავზე გადავევლეთ დახროვებული ბოთლებისა და ჭურჭლის ნამტვრევებს. შემდეგ მეხანძრეების სისწრაფით ჩავიქროლეთ ვიწრო ქუჩებში, ქუჩაბანდებში, შუკებში, ბოლოს ბაზრისაკენ ავიღეთ გეზი. ჩვენი დოღით გვარიანი ზარალი მივაყენეთ არაბებსა და ფელახებს, რომლებიც ხან იცინოდნენ და ხან გვემუქრებოდნენ. უამრავი ხალხი მოგვდევდა უკან. საბედნიეროდ, ჩემმა სიმარჯვემ გადამარჩინა. ბოლოს შევიჭერით შუაგულ ხალხში, რომელიც დაფრთხა და მაშინვე გაიფანტა. ორკილომეტრიანი მარუა იმით დასრულდა, რომ რის ვაივაგლახით გავითავისუფლე ხელი და მაშინვე მოცელილი ბალახივით დავვარდი მიწაზე. ისე ვიყავი ღონემიხდილი, მეშინოდა, წვეთის დაცემას არ მოვეკალი. არც ჟირაფი იყო, როგორ ჩანს, „გუნებაზე“, ორმოცდაათიოდე ნაბიჯი კიდევ გაირბინა და ტელეგრაფის ბოძთან გაჩერდა. რომელიღაც ზანგის ბიჭი მშვიდად მიუახლოვდა ცხოველს და ბოძზე მიაბა. სული რომ მოვითქვი, ექვსი არაბი დავიხმარე და მათი შემწეობით მივიყვანე ლტოლვილი ვაგზალში.

ერთხელ ერთმა მდიდარმა ბრაზილიელმა დამირეკა ტელეფონით და მითხრა, ჟირაფი მინდა თქვენგან ვიყიდო და რიოდე-ჟანეიროს ზოოლოგიურ ბაღს ვაჩუქოო. ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც სუდანიდან ჟირაფების შემოყვანა შეწყდა მაჰდისტების ომთან დაკავშირებით. მაგრამ გერმანიის ერთ-ერთ ზოოლოგიურ ბაღში მაინც ვუშოვე ერთი დიდი ხვადი ჟირაფი, რომელიც სიმაღლით 12 ფუტს აღწევდა. მისი სარგო ყუთი ფორანზე არ დაეტეოდა და ამიტომ იძულებული გავხდით, მრგვალ მორებზე შეგვეყენებინა და ისე გორებ-გორებით გვეტარებინა იგი. კიდევ კარგი, რომ ზოოლოგიური ბაღი ვაგზლიდან შორს არ იყო. ოკეანეში მოგზაურობამ მშვიდად ჩაიარა, არავითარი ხიფათი არ შეგვმთხვევია. მაგრამ ბრაზილიაში ჩასვლისას მაინც გადავეყარეთ მცირე ფათერაკს. ჟირაფისათვის მოწყობილი ბაკი გარშემოვლებული იყო ჩვეულებრივი მავთულებით, როგორსაც საქათმეებისათვის იყე-

ნებენ ხოლმე. ცხოველმა ადვილად გაარღვია ეს ბადე და ოთხით მოკურცხლა ტყისაკენ. საღამო ხანი იყო და ჟირაფი მაშინვე თვალს მიეფარა. მალე დაღამდა კიდეც. უკუნეთ სიბნელეში შეუძლებელი იყო ლტოლვილის მოძებნა. მაგრამ ერთ ჩემს აგენტს გენიალური აზრი მოუვიდა თავში. გულზე ფარანი ჩამოიკიდა, ზურგზე — თივის ძნა და ისე წავიდა ტყეში. ჟირაფმა მაშინვე შეამჩნია სინათლე. აგენტმა მალე ცხოველის ფლოქვების ხმას მოჰკრა ყური, რამდენიმე წუთის შემდეგ ჟირაფიც დაინახა. ჭკუამახვილმა „მონადირემ“ ზურგი შეაქცია ცხოველს, ესე იგი თივა შესთავაზა მას. ცხოველი სიამოვნებით შეექცა ნუგბარ საუზმეს, აგენტი კი ნელი ნაბიჯით გაეშურა ზოოლოგიურ ბაღისაკენ, რა თქმა უნდა, ჟირაფის თანხლებით. ასე დავიბრუნეთ ლტოლვილი, რომელსაც ახლა კი საიმედო დაცვა მივუჩინეთ.

ამ თავის დასასრულს მინდა გიამბოთ, თუ როგორ მოვაგვარე გარეული ცხოველების შოვნის ერთი ყველაზე დიდი საქმე. როგორიც კი შემხვედრია ცხოვრებაში. გერმანიის მთავრობამ შემიკვეთა ორიათასი დრომადერის შოვნა, ისინი უნდა მიგვეყვანა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში საექსპედიციო კორპუსში, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა გერეროს* აჯანყების ჩაქრობაში.

დავალება სასწრაფო იყო! კალაჰარის ქვიშნარში ავტომანქანები, რომლებიც იმ დროს საერთოდ ძალიან მცირერიცხოვანი იყო, ვერ გადიოდა. ამის შესახებ მითხრეს ბერლინში, კოლონიების სამმართველოში და თანაც მთხოვეს პირველ რიგში ათასი უნაგირდადგმული დრომადერი ჩამეყვანა სვაკოპმუნდში. წინათ არაერთხელ გამიკეთებია ასეთი უნაგირები ჩემი ზოოპარკის საჭიროებისათვის, მაგრამ ამჯერად, რა თქმა უნდა, ექსპერიმენტების დრო არ იყო. მოდელად ავარჩიე აფრიკის მკვიდრთა უნაგირი, რომელიც უკვე შემოწმებული მქონდა რამდენჯერმე. კიდევ კარგი, რომ ჩემი ცოლისძმის უმლაუ-

---

* გერეროს (ბანტუს ერთ-ერთი ენობრივი ჯგუფი) ტომის აჯანყება სამხრეთ დასავლეთ აფრიკაში — გერმანიის ყოფილ კოლონიაში — მოხდა 1904 — 1907 წლებში და მიმართული იყო კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ფის მუზეუმში აღმოვაჩინე დრომადერის ნუბიური დაწნული უნაგირი, რომელიც ევროპაში ჩემს მიერ მოწყობილი ნუბიელთა გამოფენიდან შემორჩენილიყო. ბერლინიდან ჩემი დაბრუნების მეორე დღეს ამ მოდელის მიხედვით დავამზადებინე უნაგირის ჩონჩხი, მაგრამ ორიგინალთან შედარებით უფრო მაგარი და გამძლე. იმავე საღამოს ათასი ასეთი ჩონჩხის დამზადება შევუკვეთე სამ საწარმოს, რომლებსაც ორი კვირის განმავლობაში უნდა შეესრულებინათ ჩვენი შეკვეთა. იმავდროულად უნაგირის ბალიშების, თასმებისა და გარსაკრავების დამზადება დავუკვეთეთ სარაჯებს, რომლებიც მაშინვე შეუდგნენ მუშაობას.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის შესრულებაზეც იყო დამოკიდებული ექსპედიციის წარმატება, გახლდათ საკვების დამზადება. თანაშემწეებთან მოთათბირების შემდეგ გადავწყვიტეთ ალაფი ჰამბურგში დაგვემზადებინა და გაგვეგზავნა მეწამული ზღვის ნავსადგურში, სადაც მოხდებოდა ცხოველების დატვირთვა გემებზე. 17 დეკემბერს ჩემმა რწმუნებულმა ყოველგვარი სამზადისი დაამთავრა, გაურიგდა ხალხს, რომელთაც ორი კვირის განმავლობაში ჰამბურგის ნავსადგურში უნდა მოეზიდათ რამდენიმე ასეული ათასი კილოგრამი თივა და ბზე, დიდი რაოდენობით შვრია, ქატო, ტორფის საფენი, მედიკამენტები, კრეოლინი და საპონი. პირველმა ნაქირავებმა გემმა, რომელიც უკვე გზაში იყო და უკან ბრუნდებოდა, ზღვაზე ნისლის გამო დაიგვიანა და ამის გამო დიდი ჯაფა დაგვადგა, რადგან სამ დღეში მოგვიწია ბაკების აშენება სამასი თუ ოთხასი აქლემისათვის, აგრეთვე მთელი ბარგის დაბინავება. ასე იყო თუ ისე, ამასაც მოვაბით თავი და 1903 წლის 3 იანვარს ხომალდმა „მარია მენცელმა“ ჰამბურგის ნავსადგურში ღუზა აუშვა და გზას გაუდგა. გემზე იმყოფებოდნენ ჩემი საუკეთესო მეთვალყურე-დარაჯები. მათ თვალყური უნდა ედევნებინათ ტრანსპორტისათვის, რომელიც მეწამული ზღვის ნავსადგურში დაიტვირთებოდა ხომალდზე.

ამერიკიდან გამოვიწვიე ჩემი უმცროსი ვაჟიშვილი ლორენცი, რომელიც ცირკს ხელმძღვანელობდა იქ, და გავგზავნე პორტ-საიდში, სადაც „მარია მენცელი“ 1906 წლის 22 იანვარს

ჩავიდა. მთავარი საქმე — ცხოველების შეძენა — იოსებ მენგესს დავავალე (მას უკვე იცნობს ჩემი მკითხველი). ჩემი ვაჟიშვილი ლორენცი, რომლის ნაამბობსაც გიყვებით ახლა, მასაუაში შეხვდა მას. „მისტერ მუნგუსს“ (ასე ეძახდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები ჩემ საყვარელ აგენტს, საყოველთაოდ ცნობილ მენგესს) უკვე მზად ჰყავდა გასამგზავრებლად სამოცდათექვსმეტი დრომადერი. აქლემები დატვირთეს „მარია მენცელზე“ და ხომალდმა, გაიარა თუ არა „ცრემლის ჭიშკარი“, გეზი აიღო ჯიბუტისაკენ.

ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა მიხაკისფერ ლოყებზე ჩვენს ძველ მეგობარ გერსი ეგას, სომალიელთა ბელადს, რომელსაც მკითხველები იცნობენ ლონდონში მოწყობილი აფრიკული გამოფენებით. თვითონაც და საერთოდ მთელმა მისმა ტომმა გულით გაიხარეს, როდესაც ჩემს ვაჟიშვილს და ჩვენს აგენტს კვლავ შეხვდნენ თავიანთ ცხელ ქვეყანაში; საზეიმო მასპინძლობა მოუწყვეს, მხიარულ ცეკვა-თამაშს სიმღერა ენაცვლებოდა. მაგრამ ლხინის გარდა, გერსი ეგამ კეთილსინდისიერი მუშაობაც იცოდა. ასთვრამეტი დრომადერი უკვე მზად იყო გასაგზავნად. ამ ტრანსპორტის დანარჩენი ნაწილი ბერბერში დაიტვირთა გემბანზე.

განსაკუთრებით გაძნელდა ცხოველთა მიღება ისეთ ნავსადგურებში, რომელთაც არ ჰქონდათ ნავმისადგომები. დრომადერებს მიერეკებიან ნაპირთან, წყალთან რაც შეიძლება ახლოს და პალმის ბოჭკოებისაგან დაგრეხილი რბილი თოკებით საფოსტო ამანათის მაგვარად შეკრავენ. დრომადერს გვერდზე წამოაქცევენ, თორმეტიოდე კაცი მისცვივდება და ღრიანცელით წაათრევენ ორჩხომელისაკენ, ცხოველის თავი ორ კაცს უჭირავს ხელში. ორჩხომელის კიდეზე დრომადერს სხვა მუშები დახვდებიან, რომლებიც გემბანზე აიყვანენ მას და პალმის ფოთლებით სქლად მოგებულ იატაკზე დააწვენენ.

ათ-თორმეტ აქლემს ასე შტაბელებად რომ დაალაგებენ ორჩხომელზე, აფრას აუშვებენ და გაეშურებიან გემისაკენ, რომელიც ნაპირისაგან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით რეიდზე დგას. გემბანზე დრომადერები ჯალამბარის დახმარებით აჰყავთ. გემზე აქლემების აყვანისას არა ერთხელ მომხდა-

რა, რომ საჰაერო მოგზაურობის დროს ცხოველი მარყუჟიდან ვამომძვრალა და თავდაყირა გადაშვებულა მეწამულ ზღვაში. თუმცა „უდაბნოს ხომალდებმა“ კარგი ცურვა იციან, ადგილობრივი მკვიდრნი მაშინვე გადახტებიან ხოლმე წყალში, მარყუჟიდან გაათავისუფლებენ ცხოველს და მალე კვლავ ამუშავდება ჯალამბარი. ცხოველების გემზე დატვირთვა გრძელდება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ დროს დაღუპულიყოს აქლემი ან ძის გადასარჩენად გადამხტარი ადგილობრივი მცხოვრები, თუმცა ზღვა სავსე იყო ზვიგენებით: ასეთი სახიფათო და პრიმიტიული წესით დაიტვირთა გემზე 400 აქლემი. მეორე პარტიას მეწამული ზღვა უნდა გადაეცურა არაბული ორჩხომელებით, რადგან ჩვენმა გემმა ვერ შესძლო გაგზავნის ადგილიდან მათი აყვანა გემბანზე. მაისში ტემპერატურა რეომიურით 35 გრადუსს აღწევდა ჩრდილში და მხოლოდ ცოტა ნაკლები იყო ღამით. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ჯოჯოხეთური სიცხე იქნებოდა გემის ტრიუმში, მითუმეტეს, რომ ხომალდი მთლიანად რკინისაგან იყო ნაკეთები.

გემებზე ცხოველების დატვირთვას იმდენი ჯაფა სჭირდებოდა, თანაც ისე სწრაფად ხდებოდა ეს, რომ ადამიანებს კი არა, აქლემებსაც უჭირდათ ამ აურზაურისა და ფაციფუცის გაძლება. გზაში სიო დათამაშებდა ხომალდს და სიცხე შედარებით ნაკლებად აწუხებდათ ცხოველებს. მაგრამ ეს არ კმაროდა, აფრისისაგან საბერველები გავაკეთეთ და გემის ტრიუმებში სუფთა ჰაერს ვაწვდიდით ცხოველებს, რომლებიც ოფლად იღვრებოდნენ.

6 თებერვალს ლორენცმა მიდეპეშა, „მარია მენცელმა“, რომლის გემბანზეც 403 დრომადერი და 60 აფრიკელი იმყოფება, ექსპედიციის მეთაურის, შენი ძველი ციმბირელი მოგზაურის ვილჰელმ გრიგერის მეთაურობით სვაკომპუნდისაკენ აიღო გეზიო. სანამ ლორენცი გერსი ეგასთან იყო სტუმრად და მისი შემწეობით დრომადერებს ყიდულობდა მეგობრულად განწყობილი ტომის წევრებისა და გზად მიმავალი მექარავნეებისაგან, ამ ხნის განმავლობაში ასეთივე გზით დავტვირთე მეორე ხომალდი „ჰენრიხ მენცელი“. საერთოდ კი ნამდვილი

ფლოტილია შეავადგინე ხუთი გემისაგან, რომლებიც მეწამული ზღვის სხვადასხვა ნავსადგურიდან გამოვიდნენ. ლიუდერიცისა და სვაკოპმუნდისაკენ აიღეს გეზი აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროსა და კეთილი იმედის კონცხის შემოვლით. ცოცხალი ბარგის გადატვირთვა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან ნაპირიდან შორს რეიდზე მდგომი გემებიდან დრომადერების გადმოყვანა ნაპირზე წარმოებდა დიდი ლიხტერებით, რომლებსაც ზღვის მოქცევის დროს ბაგირებით ეზიდებოდნენ ხმელეთისაკენ.

გამცილებელი არაბების დაქირავებაც კი გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ადგილობრივ მოსახლეობაში ათასგვარი ჭორი იყო გავრცელებული და ამიტომ გაურბოდნენ ისინი ჩვენთან ქირით მუშაობას. მაგრამ მენგესი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებში და ამის წყალობით მოახერხა საჭირო ხალხის დაქირავება. ჯერ იყო და, რის ვაი-ვაგლახით გავაგებინეთ, თუ რას მოვითხოვდით მათგან, მაგრამ კიდევ უფრო გაგვიჭირდა ისეთი პირობების დადება, რომ მათ როგორღაც ვალდებულად ეგრძნოთ თავი ჩვენს წინაშე. დამოუკიდებელ არაბეთში მცხოვრები ბედუინები ძალიან დაშინებული იყვნენ. ზოგს თურმე არწმუნებდნენ ოქროს საბადოებში წაგიყვანენ და ვეღარც ეღირსებით მიწისქვეშა მაღაროებიდან მზის სინათლეზე ამოსვლასო. ზოგი კი ფიქრობდა, ჯარისკაცებად უნდა დაგვიქირავონო. უფრო ფართოდ გავრცელებული ვერსიის მიხედვით, ექსპედიცია მიეშურებოდა ნიამ-ნიამის ქვეყანაში, სადაც ბინადრობენ კაციჭამიები, რომლებიც შესანსლავდნენ ამ ბედკრულთ. ვინც კი გაბედა და დასაქირავებლად მოვიდა, ძონძებში იყო გახვეული, ამიტომ იძულებული გავხდით ტანსაცმელიც მიგვეცა მათთვის და ბეც. არაბების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა დაქირაცებული დროულად მოვიდა გემის გასვლისას — არც ერთ კაცს არ უფიქრია ტანსაცმლისა და ბეს შერჩენა. პირიქით, ღია ზღვაში შესვლისას ხშირად ვპოულობდით ხოლმე უბილეთო ფერადკანიან მგზავრებს, რომლებიც ბედის საძებნელად მალულად ამოსულიყვნენ გემზე.

თუმცა დრომადერები ამ ადგილებში მრავალრიცხოვან ჯო-

გებად ბინადრობენ, ადგილობირივი მკვიდრნი მაინცადამაინც დიდი ხალისით არ ყიდიან ამ ცხოველებს.

რაოდენობით-ბევრი კი შემოგვთავაზეს, მაგრამ ვარგისიანობის მიხედვით ყველა დრომადერი როდი იყო ჩვენთვის გამოსადეგი. აღმოსავლეთ აფრიკის მცხოვრებნი ფიქრობდნენ, რომ ევროპელებს არაფერი გაეგებათ ამ ცხოველების ავკარგიანობის და ეს მართლაც ასეა. აღმოსავლური ფერადოვნებით გვიქებდნენ თავიანთ ცოცხალ საქონელს, თანაც ცდილობდნენ უვარგისი ცხოველები შემოეტყუებინათ. ასე რომ, ჩემს თარჯიმნებსა და რწმუნებულებს დიდი ჯაფა დაადგათ კარგი საჯდომი დრომადერების არჩევაში. ასეთი აქლემების ნაკლებობის მიზეზია დიდი დანაკარგები, რაც გამოიწვია ბოლო ხანებში აფრიკის ომებმა. დაახლოებით სამოცი-სამოცდაათიათასი დრომადერი დაიღუპა მაჰდისტების ჯარების წინააღმდეგ ინგლისელთა ლაშქრობის დროს. აბისინიელებისა და სუდანელების წინააღმდეგ იტალიელთა კამპანიამ ოცდაათიათასი დრომადერი იმსხვერპლა, ამდენივე აქლემი დაიღუპა სომალიში მულას* წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო ექსპედიციის დროს.

ფრიად ნაკლებმომთხოვნი ცხოველია დრომადერი, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს — ხშირად უჩნდება კანის დაავადებანი და სხვადასხვა პარაზიტებიც ბევრი ჰყავს. ჩემს აგენტებს ინსტრუქცია მივეცი, რომ მთელი მგზავრობის მანძილზე ებანათ და რეგულარულად დეზინფექცია ეკეთებინათ ცხოველებისათვის. ჰექტოლიტრობით კრეოლინი და ცენტნერობით საპონი დაიხარჯა ამ საქმეზე. ყოველი ასეთი დაბანა-გასუფთავება, რაც ხმელეთზე ჩვეულებრივ საბაზრო მოედნებზე ტარდებოდა ხოლმე, ნამდვილ კომედიას წარმოადგენდა. ვისაც კი ეცალა, ამ სანახაობას არ გამოტოვებდა, ყაყანებდნენ და სიცილით იხოცებოდნენ. მაყურებელთა წრის შუაგულში ჩემი ხალხი იდგა და ყვირილითა და ლანძღვა-გინებით ბანდა ჯიუტ დრომადერებს, რომელთა ღრიალი აღმოსავლეთის ბაზ-

---

* მულამ, რომელსაც ინგლისელები „ცოფიან მულას“ ეძახდნენ, აჯანყება მოაწყო და ხანგრძლივ ბრძოლას ეწეოდა ბრიტანეთის სომალიში კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

რის ხმაურს აჭარბებდა. ჯერ ტუმბოს მეშვეობით გაასუფთავებდნენ, შემდეგ კი ზღვაში გაბანდნენ ხოლმე ცხოველებს. ბოლოს ისე გაიწაფენ ამ საქმეში ჩემი აგენტები, რომ ერთი დღის განმავლობაში ასი ცხოველის გაწმენდა-გაბანას ასწრებდნენ, ამავე დროს, არც კბენა დაკლებიათ მათ და არც წიხლი ასეთი პროცედურების ჩქარებით უკმაყოფილო დრომადარეებისაგან.

ბერლინში კოლონიათა სამმართველოში ჩემი პირველი საუბრის შემდეგ ზუსტად 192-ე დღეს ჩემმა ვაჟიშვილმა სამხედრო შეკვეთების მიმღებს ჩააბარა ჩვენთვის შეკვეთილი ორიათასი დრომადერის უკანასკნელი ტრანსპორტი. ცხოველების გადაყვანა წარმატებით დამთავრდა. მეწამული ზღვის რაიონში მზის მცხუნვარებამ და კეთილი იმედის კონცხთან ქარიშხალმა ნავარაუდევ ხუთ პროცენტზე ნაკლები დანაკლისი მოგვცა; ეს დანაკარგიც ნაწილობრივ შეივსო ოცი ახალი ცხოველის დაბადებით. აქლემების ამ პარტიაში იყო წმინდასისხლიანი საჯდომი დრომადერები, რომელთა მოვლა-პატრონობა ფრიად სახიფათო იყო ჩემი აგენტებისათვის: არაბებს ეს მეტისმეტად აღიზიანებთ, რადგან საკუთარ მონოპოლიად თვლიან მათ მოშენებას.

ესოდენ გრანდიოზული შეკვეთის შესრულება ფინანსიურადაც დიდ დაძაბვას მოითხოვდა ჩვენგან. სანიმუშოდ მხოლოდ ორ ციფრს დავასახელებ, ისიც არაპირდაპირი დანახარჯების აღმნიშვნელს: მხოლოდ უნაგირები დამიჯდა სამოცდაათიათასი მარკა, აუცილებელმა სატელეგრაფო დანახარჯებმა კი ოცი ათას მარკას მიაღწია.

VIII

სპილოებსა და მიუნჰენის პანიკაზე

მეცნიერებისა და ხელოვნების ღმერთად ინდოელებს განეზა ჰყავთ. განეზას, მათი წარმოდგენით, სპილოს თავი აქვს, და ეს არც გასაკვირია, რადგან, ინდოელთა რწმენით, სპილო ყველაზე გონიერი ცხოველია, იგი ინდრას წმინდა საჯდომი ცხოველია, სიამის ჰერალდიკური ნიშანი, ცოცხალი არსება, რომელსაც სანსკრიტულ ენაზე ასობით საპატიო სახელი აქვს. სპილო რომ ყველაზე გონიერ ცხოველთა რიცხვს მიეკუთვნება, ამის დადასტურება მეც შემიძლია საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. სხვა ცხოველებთან შედარებით სპილოს ყველაზე მეტად ახასიათებს ინდივიდუალური თვისებები, ამიტომ ყოველ ცალკეულ ეგზემპლარს საკუთარი ხასიათი აქვს. სპილოს საოცარი მეხსიერება აქვს, ბუნებასაც სწრაფი აღქმის უნარით დაუჯილდოებია. საკმაოდ გონიერია და ამდენად სქელკანიანი არ ეთქმის. სიყვარულშიაც და სიძულვილშიაც სერიოზულობას იჩენენ, გულმოდგინედ არჩევენ ისეთ არსებას, რომელსაც შეიძლება შიენდონ. ცოლქმრობაში ხომ ძლიერი სიყვარული იციან, შვილებს თავს ევლებიან. ხშირად ვყოფილვარ შვილებსა და მშობლებს შორის ნაზი ურთიერთობის მოწმე. მაგრამ საოცარი ისაა, რომ არა მარტო მშობლები, არამედ სხვა სპილოებიც კი ისე ეთამაშებიან პატარებს, ისე ნაზად ექცევიან თავისი სამყაროს ჩვილ წარმომადგენლებს, როგორც ჩვენ ვექცევით ბავშვებს. პატარა სპილოები ციკანივით ხალისიანი და მხიარულები არიან. ცელქობით სხვა სპილოებს მუც-

ლის ქვეშ შეუძვრებიან და ანცობენ. საერთოდ ისეთ მოძრაობებს აკეთებენ, რომ მოულოდნელიც კია ასეთი მოუქნელი ცხოველისაგან. ჩემი დაქირავებული დარაჯებისათვის არაერთხელ გაუმართავთ ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა და როდესაც რომელიმე მათგანს მოუხერხებია თავისი მოწინააღმდეგის ბეჭებით ძირს დაცემა, გამარჯვებულ პატარა სპილოს სიხარულით ოთხივე ფეხით ცეკვა წამოუწყია.

სპილოების ოჯახური ცხოვრება, თუკი შეიძლება ასე ითქვას, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეს ცხოველები განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე დგანან სულიერად. ისე ვიგონებ ხოლმე ზოგიერთ სპილოს, მათ ინდივიდუალურ ხასიათს, თითქოს ადამიანები ყოფილიყვნენ. ბევრმა სპილომ გაიარა ჩემს ხელში და კარგად მაქვს შესწავლილი მათი თვისებები და ინდივიდუალური ხასიათი. მიუხედავად ამისა, რამდენიმეჯერ სასიკვდილო საფრთხეში ჩავუგდივარ მათ, თუმცა ამ მიზეზის გამო მაინც არ შეიძლება მათი ჩათვლა სახიფათო ცხოველებად. ჩვენს ჩვეულებრივ შინაურ ცხენს ისეთივე ფიზიკური ძალა რომ ჰქონდეს, როგორითაც დააჯილდოვა ბუნებამ სპილო, რამდენი მეეტლე დაიღუპებოდა ყოველწლიურად მარტო გერმანიაში! თუ რამდენად თვინიერი და წინდახედულია სპილო, იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ კუნძულ ცეილონზე ძიძად იყენებენ მას და მშობლები გულდამშვიდებით ანდობენ თავის ჩვილ ბავშვს.

ეს გონიერი ცხოველი ზოგჯერ უგუნებო ხასიათზეა, მაგრამ ამას ჩკეულებრივ არავინ აქცევს ყურადღებას. გარდა ამისა, ხვადები დროდადრო ჯიუტობას იჩენენ და ამ დროს სახიფათოც კია მათთან ურთიერთობა. გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს ერთმა სპილომ კინაღამ საიქიოს გამისტუმრა. იმხანად ტრიესტში შევისყიდე სამხეცე, რომელშიც ერთი ძუ სპილო იყო, სიმაღლით რვა ფუტი, უაღრესად თვინიერი და გულკეთილი ცხოველი, მაგრამ ესაა, რომ ზოგჯერ მეტისმეტად ჭირვეულობდა ხოლმე, როგორც საერთოდ სჩვევიათ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს. მცირე ხნის შემდეგ დავუმეგობრდი ლიზის (ასე ეძახდნენ ამ დედალ სპილოს). გვერდით რომ ჩავუვლიდი ხოლმე, ყოველთვის

ვაძლევდი პირის ჩასატკბარუნებელს და იგიც სიყვარულით სავსე თვალებით მიმზერდა. ერთხელაც ჩვეულებრივ გვერდზე ჩავუარე და, რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მომსვლია, რომ მოვრიდებოდი, რადგან საერთოდ მთელი ცხოვრების მანძილზე მუდამ ნდობით ვეპყრობოდი ხოლმე ყველა ცხოველს. მაგრამ ამჯერად ყოვლად უნამუსო ფარისევლობას გადავეყარე. ლიზი ხშირად ეთამაშებოდა ჩვენს დარაჯს, რომელიც მისივე სიტყვიერი განკარგულებით ხორთუმით აჰყავდა ზევით და შემდეგ კი ნელა სვამდა მიწაზე. ბრძანების ტექსტი ასეთი იყო: „ლიზი, აპორტ“. სადილობის დრო იყო, ლიზი მარტო იდგა თავის ბაკში. ეშმაკი შემიჯდა ალბათ, და ჩემდა ჭირად მომინდა სპილოს ალერსი და მისი ხორთუმით ჰაერში გასეირნება, როგორც უსრულებდა ხოლმე ბრძანებას შეჩვეულ დარაჯს. თამამად მივედი ლიზისთან, მივუალერსე, პურის ხმელი ქერქით გავუმასპინძლდი; ხორთუმზე ხელი მოვუსვი და შევძახე: „ლიზი, აპორტ“. თვალისუსწრაფესად ჰაერში აღმოვჩნდი. მაგრამ შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ იატაკზე დავესვი, ლიზიმ ისეთი ძალით გამისროლა ბაკის ხის მოაჯირს იქით, რომ თითქმის უგონოდ გადავვარდი სამხეცეში. წამოდგომა არც კი მიცდია, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველა ძვალი დამტვრეული მქონდა. მოაჯირს რომ დაცემოდი, უკეთეს შემთხვევაში ხეიბარი გავხდებოდი. კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, მომაკითხა მოხუცმა დარაჯმა ფილიპმა, ფეხზე წამომაყენა და სამართლიანად დამტუქსა ქარაფშუტობისათვის. კარგა ხანს ვკოჭლობდი ამ ფათერაკის შემდეგ, გულში ეგებ დამცინოდა ეს ჭკუათხელი ქალბატონი, ის კი ვიცი, რომ მასხრად აიგდო ჩემი სიყვარული.

ამჯერად კი გადავრჩი ხერხემლის გადატეხას, მაგრამ მეორე შემთხვევაში ერთმა მამალმა სპილომ თავისი ეშვებით კინაღამ სატვირთო ვაგონის შიდა კედელზე მიმალურსმნა: ეს მოხდა ჰამბურგის ვაგზალ შტერნშანცენში, სადაც ამერიკაში გასაგზავნ სპილოებს ვტვირთავდით. ჩემი თანაშემწეები ერთი წუთით სადღაც წავიდნენ და მარტო დავრჩი ერთ ვეება სპილოსთან, რომლის სიმაღლეც თითქმის ექვს ფუტს აღწევდა. ანაზდად საშინელი დარტყმა ვიგრძენი ზურგში და ჩემს ფერდ-

თან სპილოს გრძელი ყვითელი ეშვები დავინახე. მაშინვე მივხვდი, რომ სპილო კედელზე „მიჭედვას“ მიპირებდა: დარტყმა ძლიერი იყო, მაგრამ ჩემდა ბედად მოვექეცი ეშვებს შორის, რომლებიც მარწუხებივით შემომეჭდო წელზე და კინაღამ ნეკნები ჩამიმტვრია. როგორც ჩანს, ინსტინქტურად შემოვტრიალდი და მაშინვე იატაკზე გავიშხლართე. დარაჯი დროზე მომეშველა და წამომაყენა. ღვთის წყალობით იოლად გადავრჩი: ნაჭდევები და დალურჯებული ადგილები დიდად არ მაწუხებდა. სპილოს ეშვებმა ისე გამიარა წელის ორივე მხარეს, რომ მხოლოდ ტანსაცმელი გამეხა.

– გიამბობთ კიდევ ერთ ავ სპილოზე, რომელიც ოთხმოციანი წლების შუა ხანებში მყავდა. ერთხელ კინაღამ შემოაკვდა კაცი, რომელსაც დროზე მოუსწრო დარაჯმა და გადაარჩინა. დარაჯმა საერთოდ კარგად იცოდა თურმე ამ სპილოს უხიაგი ხასიათი და ახლაც დროულად მიუხვდა ავ განზრახვას. როგორც კი მოუალერსა ამ კაცმა, მაშინვე დამშვიდდა ცხოველი. მე კიდევ სტაფილო და პური მოვუტანე. სპილო სიამოვნებით შეექცა სადილს. ამავე დროს მაგარი თოკებიც მოვატანინე, ერთი წინა ფეხზე გამოვაბით, მეორე — უკანაზე და ნელ-ნელა წავიყვანეთ ეს გოლიათი ბაკისაკენ. აქ თოკის მეორე ბოლოები რკინის ბოძზე გამოვაბით და ისე დავამოკლეთ, რომ სპილო იძულებული გახდა მისთვის მიჩენილ ადგილას დამდგარიყო. დარაჯმა თოკის ბოლო ის იყო კედელში დამაგრებულ რკინის რგოლში გაუყარა და უკან ოდგომი სხვა ორი სპილოს უკან გაძრომას აპირებდა, რომ უცაბედად რატომღაც საშინელმა ბრაზმა მოუარა გოლიათს. თოკებით მაგრად იყო დაბმული და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ისეთი ძალით გაჰკრა გვერდით მდგომ ძუ სპილოს, რომ ეს უკანასკნელი მაშინვე მიწაზე დაენარცხა, თუმცა სიდიდით ბევრად არ ჩამოუვარდებოდა მას. თანაც დაცემისას ძუმ თავის მეზობელს გაჰკრა უნებურად გვერდი და კინაღამ ისიც დაბლა დასცა. სპილო რომ ღონიერი იყო, ეს ადრეეც კარგად ვიცოდი, მაგრამ ასეთი „ნომრის“ მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არ მენახა.

ესოდენ ძვირადღირებული ცხოველის მოკვლას ძნელად გადაწყვეტს კაცი. მაგრამ ამჯერად უყოყმანოდ გადავწყვიტე

სასწრაფოდ ამელაგმა გაავებული ცხოველი, თორემ მოსალოდნელი იყო საშინელი უბედურება. მიუხედავად ამისა, იძულებული გავხდი გადამედო სპილოს დასჯა, რადგან მეორე დღეს ინგლისში მომიწია გამგზავრება. ბრიტანეთში რომ ჩავედი, ეს ამბავი შემთხვევით ვუამბე მისტერ როლანდ ვარდს, რომელიც ცხოველების ფიტულებს აკეთებდა და თავის ქალას პრეპარირებას ახდენდა ამ საქმის მოყვარულთა ფართო წრისათვის. მისტერ ვარდმა ამასთან დაკავშირებით ერთი ორიგინალური წინადადება მომცა, თუ ძალიან ძვირს არ დამიფასებ, ვიყიდი მაგ ცხოველს, რადგან დარწმუნებული ვარ, ვიპოვი ისეთ „სპორტსმენს“, რომელიც ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგს მომცემს, ოღონდ კი თავისი ხელით მოვაკვლევინო სპილოო. ერთი კვირის შემდეგ იგი მართლაც ჩამოვიდა ჰამბურგში ახლადგამომცხვარი ნებროთის თანხლებით, რომელმაც სხვადასხვაგვარი იარაღის ლამის მთელი არსენალი ჩამოიტანა თან. დილის ათ საათზე უნდა მოწყობილიყო „სპილოზე ნადირობა ბაკში“. იმ მიზნით, რომ უფრო ხელსაყრელი გარემო შემექმნა, სპილო გარეთ გამოვაყვანინე და სახლის კედელზე მაგრად მივაბმევინე, რომ გაქცევის საშუალება არ ჰქონოდა.

კედელზე სქელი ფიცრები მიაკრეს, რომ ტყვია არ ასხლეტილიყო. მოახლოვდა საზეიმო მომენტი — მოვიდნენ პოლიციელები. საათმა ათჯერ დარეკა, მაგრამ მონადირე არსად ჩანდა. გავიდა კიდევ ერთი საათი. ლოდინი მომწყინდა და მე თვითონ წავედი ქალაქში ინგლისელის მოსაყვანად. თორმეტზე უკან დავბრუნდით. სპორტსმენმა უამრავი სასროლი იარაღი მოიტანა თან. ნადირობის ჟინმა, ეტყობა, ისე აიტანა, რომ ნერვიული ცახცახი დააწყებინა და აღელვებულმა ვერა და ვერ მოახერხა სროლა. ერთმა ჩემმა აგენტმა, რომელიც შემთხვევით დაესწრო ამ ამბავს, სთხოვა, თქვენს მაგივრად მე ვესვრი სპილოსო, მაგრამ სპილოს მყიდველმა უარი უთხრა. სხვა რომ არაფერი გამოვიდა, ცხოველის დახრჩობა შევთავაზე ჩემს ინგლისელ ნაცნობს; ამის წინააღმდეგ კი აღარ წასულა. სიკვდილმისჯილი გათოკეს და კვლავ ბაკში წაიყვანეს. კისერზე მარყუჟი ჩამოაცვეს, თოკის ბოლო ჭერის მორზე მიმაგრებულ დიდ რგოლში გაუყარეს, ექვსი კაცი მოეჭიდა ამ თოკს და შეუდგ-

ნენ ეგზეკუციას. დავიწყე ხმამაღლა თვლა. ერთი, ორი, სამი! მესამე თვლაზე სპილოს წინა ფეხები მიწას ასცილდა და თითქმის მაშინვე ცხოველს თავი გვერდზე ძოექცა, ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და ბრაგვანი მოადინა ძირს. ერთ წუთში დალია სული სპილომ. ასე დაასრულა სიცოცხლე ამ გოლიათმა, რომელიც შემდეგ ფიტულის სახით აღსდგა მკვდრეთით ჰამბურგის მუზეუმში.

ახლა კი სამხიარულო ამბავზე გადავიდეთ. ჩემს ნაცნობ სპილოებს შორის ბოროტი ბუნების ცხოველები საერთოდ იშვიათად შემხვედრია. უმრავლესობამ თავი დამამახსოვრა თავისი გონიერებით, მოსაზრებულობით, გულკეთილობითა და მოსიყვარულეობით. ჩემი ცხოველებიდან ყველაზე მოსაზრებული და ხალისიანი შვიდი ფუტი სიმაღლისა და ორფუტიანი ეშვების მქონე დედალი სპილო იყო. როდესაც ამ სპილოს ყიდვა შემომთავაზეს, იგი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყვანილი ევროპაში. აღწერით მეტისმეტად თვინიერი ცხოველი უნდა ყოფილიყო. საერთოდ მე პრინციპულად ვერიდები დედალი სპილოების ყიდვას, რადგან ვიცი, გარკვეულ ასაკს რომ მიაღწევენ, ზოგჯერ ბრაზიანები ხდებიან ეს ცხოველები. მაგრამ როდესაც პირველად ვნახე ეს სპილო (გემიდან არც კი იყო ჯერ ჩამოყვანილი), დავრწმუნდი, რომ მართლაც თვინიერი ცხოველი უნდა ყოფილიყო.

გვიანი შემოდგომა იყო. ტყვექმნილი მოგზაური ღია ჰაერზე იდგა გემბანზე და მთელი სხეულით ცახცახებდა სიცივისაგან. მაგრამ როდესაც ზოოპარკში მოხვდა, თბილი ბაკი დავახვედრეთ, სუფთა თივა დავუგეთ, მოვლა და მზრუნველობა არ დაგვიკლია, რასაც პირადად მე ვადევნებდი თვალყურს. ყოველივე ამან პირდაპირ სასწაული მოახდინა. სხვა დროს არასოდეს მინახავს ასეთი მოსიყვარულე სპილო. ჩემს ხმას ან ფეხის ნაბიჯს რომ გაიგონებდა, გახარებული ყვირილს მორთავდა ხოლმე და პირის ჩასატკბარუნებელს მთხოვდა, იცოდა, რომ ხელცარიელი არ მივიდოდი მასთან. ჩემს ახალ მეგობარს ბოსკო დავარქვი. ამ სახელით გამოდიოდა შემდეგ იგი ცირკში და დიდი წარმატებითაც სარგებლობდა.

უკვე ერთი თვის შემდეგ ბოსკოს გამოუჩნდა მყიდველი —

ერთი არგენტინული ცირკის მეპატრონე. მაგრამ პირობა დამიდო — სანამ წავიყვანდე, ბოსკოს სხვადასხვა ოინების გაკეთება უნდა შეასწავლოთო. ამისათვის თვენახევრის ვადა ვთხოვე მყიდველს. იმჯერად კი მისი ცირკისათვის მივყიდე უკვე გაწვრთნილი ლამაზი ლომების ჯგუფი, რომელიც მწვრთნელთან ერთად პირველივე გემით გავამგზავრე ბუენოს-აირესში. ბოსკოს მყიდველი და მე შევუდექით სპილოს წვრთნას და მალე ნამდვილი სასწაული ვიხილეთ. საერთოდ ყველა სპილო გონიერია, მაგრამ ბოსკო რაღაც განსაკუთრებით ნიჭიერი გამოდგა. არ ვაზვიადებ, სწორედ რომ ძალიან ნიჭიერი ცხოველი იყო. რამდენიმე დღეში ისწავლა კასრებზე სიარული. უკვე პირველსავე დღეს ჯდებოდა და წვებოდა ჩვენი მითითებით. სულ მცირეოდენი ძალდატანებაც საკმარისი იყო, რომ მაშინვე ჩვენს ნება-სურვილს დაჰყოლოდა. უკვე ერთ თვეში ბოსკო თავისუფლად დადიოდა ბოთლებზე, დგებოდა უკანა ფეხებზე, ყირას აკეთებდა. გაშლილ სუფრას მიუჯდებოდა, ზარს დარეკავდა და მაიმუნს უბრძანებდა მომემსახურეო, ჭამა-სმაში მარჯვედ ხმარობდა ბოთლსა და თეფშებს, ერთი სიტყვით, ნამდვილი მსახიობივით იქცეოდა. თვენახევრის შემდეგ კმაყოფილმა მყიდველმა სამხრეთ ამერიკაში წაიყვანა ბოსკო და იმდენი ფული იშოვა ცირკის გასტროლებით, რომ ოთხი თვის შემდეგ კვლავ მეწვია ჰამბურგში და მხეცების ახალი პარტია შეიძინა ჩემგან.

შემდეგში ერთხელ კიდევ ვნახე ჩემი დიდი მეგობარი ბოსკო. მაგრამ ფრიად უცნაური იყო ჩვენი შეხვედრა. ორი წლის შემდეგ, ერთ-ერთი მოგზაურობიდან უკან დაბრუნებულს, ბოსკო ბაკში დამხვდა, სამხრეთამერიკელ მეპატრონეს მოეყვანა იგი. თუმცა კარგა მოსაღამოებული იყო, მაინც გავეშურე ძველი მეგობრის სანახავად. ბაკში ბნელოდა. „ჰელო, ბოსკო“, — შევძახე მე. სპილო მაშინვე გამომეპასუხა ხალისიანი ხმით. უფრო ახლოს რომ მივედი და პურის რამდენიმე ნაჭერი გავუწოდე, გახარებულმა სპილომ უცნაური ხორხისმიერი ბგერები ამოუშვა პირიდან. ასეთი ხმით ყვირილი იციან ხოლმე სპილოებმა, როდესაც განსაკუთრებით კარგ გუნებაზე არიან. კიდევ რომ მივუახლოვდი, ხორთუმი დაიმოკლა და სახეზე ლოკვა დამიწ-

ყო, თანაც მხიარულად ღმუოდა. გულისამაჩუყებელი სანახავი იყო ცხოველის სიხარული თავის ძველ პატრონთან შეხვედრისას, პატრონთან, რომელიც მთელი ორი წლის განმავლობაში თვალითაც არ ენახა. ეს გახლდათ სპილოს განსაცვიფრებელი მეხსიერების მშვენიერი დადასტურება.

საშინელი გაიძვერა გახლდათ ეს სამხრეთამერიკელი ვაჟბატონი. ბოსკო ერთ წელიწადს იყო ჩემთან, შემდეგ მისმა პატრონმა ერთი დედალი სპილო და ერთიც ჩვილი სპილო იყიდა ჩემგან და სამივე ცხოველი წაიყვანა ბუენოს-აირესში, სადაც უცნაური სანახაობა გამართა და უამრავი ხალხი მოიზიდა არგაგონილი რეკლამის წყალობით. ამ ოინბაზმა ხმა გაავრცელა, თითქოს ბოსკო დასაქორწინებლად იყო ევროპაში, და აი, ახლა უკან დაბრუნდა თავის ცოლშვილთან ერთად, რათა ოჯახის სრული შემადგენლობით წარსდგეს რიო-დე-ლა-პლატაზე დიდად პატივცემული მოქალაქეების წინაშეო. ასეთი მარჯვე ხერხის წყალობით არგენტინელმა კვლავ ბლომად ფული ჩაიჯიბა.

სპილოების გასაოცარი გამჭრიახობის ბევრი მაგალითი შეიძლება მოიყვანოს კაცმა. რამდენიმე წლის წინ ბრესლავლის თეატრის დირექტორმა სპილოს ყიდვა გადაწყვიტა ჩემგან, მაგრამ ისეთი უნდა იყოს, რომ თავისუფლად შემეძლოს ზედ შეჯდომა და სეირნობაო. ამ ცხოველს მონაწილეობა უნდა მიეღო პანტომიმაში, რომელიც ორი კვირის შემდეგ ეწყობოდა. იმხანად მე ბევრი მოვალეობა მეკისრა — დირექტორიც ვიყავი, მოგზაურიც, კორესპონდენტიცა და მწვრთნელიც. ახალი პატრონისათვის სპილოს ჩაბარების ვადამდე ორი დღით ადრე ამსტერდამიდან დავბრუნდი და მაშინვე შეეუდექი წვრთნას. პირველი ორი საათის განმავლობაში დიდი ჯაფა დამადგა, ოფლად გავიღვარე დაძაბულობისაგან. მაგრამ მომდევნო ორ საათში სრულ წარმატებას მივაღწიე — ჩემი ბრძანების მიხედვით ცხოველი წვებოდა, ზურგზე შეჯდომის ნებას მაძლევდა და შემდეგ ჩემივე სურვილით ფეხზე დგებოდა. უკვე მეორე დღეს სპილოს ზურგზე მოვაჯექი და სამხეცის ტერიტორიაზე გავისეირნე. იმავე საღამოს დარაჯის თანხლებით, რომელიც წვრთნაში მეხმარებოდა, ცხოველი ბრიუსელში გავგზავნეთ.

უნდა მოგახსენოთ, რომ შეგირდს არ შევურცხვენივარ და თეატრის სცენაზე წარმატებით გამოდიოდა მაყურებელთა წინაშე.

ჩემს ნუბიურ ქარავანში, რომელიც ბერლინის ზოოლოგიურ ბაღში სამოცდაათიან წლებში მოწყობილ გამოფენაში მონაწილეობდა, იყო ევროპაში ახალი ჩამოყვანილი ხუთი აფრიკული სპილო, სიმაღლით ხუთნახევარი ფუტისა. პროფესორმა ვირხოვმა, გამოფენის დასათვალიერებლად რომ გვეწვია ერთხელ, მითხრა, ურიგო არ იქნებოდა, თუ ამ სპილოებს ინდური სპილოებივით გაწვრთნიდითო. იმხანად ჯერ კიდევ გავრცელებული იყო მცდარი შეხედულება, რომ თითქოს აფრიკული სპილოები არც სამუშაოდ გამოდგებიან და არც გასაწვრთნელად. ვირხოვი ფრიად განცვიფრებული დარჩა, როდესაც ვუთხარი, ხვალ ნასადილევს გიჩვენებთ ხუთ „განსწავლულ“ სპილოს, თუმცა დღემდე ფიქრადაც არ გვქონია ამ ცხოველის გაწვრთნა-მეთქი. ეტყობოდა, მაინცადამაინც არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი. როგორც კი წავიდა გამოფენიდან, მაშინვე შევუდექით ცხოველების წვრთნას. ყველაზე მარჯვე ნუბიელები შევარჩიე და კარგი საჩუქარი აღვუთქვი, ვინც მოახერხებდა სპილოს ზურგზე შეჯდომას ისე, რომ ცხოველს არ გადმოეგდო იგი. პირველად არაფერი გამოგვივიდა. სპილოები უკმაყოფილოდ გაჰყვიროდნენ, ცდილობდნენ სასწრაფოდ მოეშორებინათ უჩვეულო ტვირთი; ამასთან ისე აცახცახებდნენ ტანს, რომ ჩვენი შავკანიანი მხედრები სულ ყირამალა ცვიოდნენ დაბლა. რი დესაც ცხოველები რამდენადმე დამშვიდნენ, პურითა და ბოსტნეულით გავუმასპინძლდით, დავუყვავეთ და თავიდან შევუდექით საქმეს. საღამო ხანს სამი სპილო უკვე ისე იყო მოთვინიერებული, რომ ნუბიელები თამამად ასხდებოდნენ ზურგზე და დაასეირნებდნენ. ამ სამი სპილოს მაგალითმა კეთილსასურველი გავლენა მოახდინა სხვა ცხოველებზეც. ასე რომ მეორე დღეს მათაც მიბაძეს თანამოძმეთ და ტვირთის ტარებასაც კი აღარ თაკილობდნენ. ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ზოოლოგიურ ბაღში პროფესორი ვირხოვი გვეწვია გეოგრაფიული საზოგადოების რამდენიმე წევრის თანხლებით. ფრიად გაოცებული დარჩა, აფრიკული

სპილოების ასეთი სასწაულებრივი გარდაქმნის მოწმე რომ გახდა.

სპილოების ტრანსპორტირებისას სხვადასხვა სათავგადასავლო ამბებზე უკვე გიამბეთ ზევით, როდესაც ლაპარაკი გვქონდა მხეცებით ვაჭრობის განვითარებაზე. ახლა მინდა მოგითხროთ ერთი ფათერაკის შესახებ, რომელიც შეგვემთხვა 1868 წელს. ეს ამბავი იმის დასტურად გამოდგება, რომ ცხოველთა სამყაროშიც ამარცხებს ხოლმე დავითი გოლიათს. მორიგი დიდი აფრიკული ტრანსპორტი ჩამოვიყვანე ერთხელ ტრიესტში. ცხოველებიცა და ადამიანებიც მეტისმეტად დაიქანცნენ მოგზაურობისაგან და ჩამოსვლისთანავე დაწვნენ დასაძინებლად. შუაღამე იქნებოდა, მოხუცმა დარაჯმა რომ გამაღვიძა და მითხრა, ერთი სპილო ძალიან კვნესის, ალბათ, ავად გახდაო. შევშინდი და მაშინვე მინდოდა წასვლა ამბის გასაგებად, მაგრამ დაღლილობამ დამძლია და ძილს ვერ წავართვი თავი. ერთი საათის შემდეგ მეორე დარაჯი მომადგა და იგივე გამიმეორა. მაშინვე წამოვხტი ფეხზე და ბაკებისაკენ გავეშურე, მაგრამ დავაგვიანე. ერთი სპილო მკვდარი დამხვდა, დანარჩენი ორი კი სიკვდილის პირას იყო მისული. მკვდარი სპილო დავათვალიერეთ და გამოირკვა, რომ თურმე ტერფები სამ ადგილას გამოეღრღნათ ვირთაგვებს და სისხლდენის შეჩერება შეუძლებელი იყო. ასეთი საფრთხის წინასწარ გათვალისწინება, ღმერთმანი, არავის შეეძლო. მხოლოდ დიდი დანაკლისი თუ ასწავლის ხოლმე კაცს ჭკუას. მეორე დღეს ნამდვილი ნადირობა გავმართეთ და სამხეცის იატაკქვეშეთში სამოცი მკვლელი დავიჭირეთ, რომლებიც, რა თქმა უნდა, მაშინვე დავხოცეთ. სიფრთხილისათვის ხის იატაკიც ავყარეთ.

ჩემი ნაამბობი სპილოებზე უნდა დავაბოლოვო ერთი სამწუხარო ფათერაკის აღწერით, თუმცა, საბედნიეროდ, ასეთი რამ საერთოდ იშვიათად ხდება ხოლმე. უფრო მეტიც — ფაქტიურად ეს ერთადერთი, განუმეორებელი შემთხვევა იყო. ლაპარაკია მიუნჰენის პანიკაზე, რომელიც გამოიწვიეს საზეიმო ლაშქრობაში მონაწილე სპილოებმა 1888 წლის 31 იანვარს, როდესაც გველეშაპად შენიღბული ლოკომოტივიდან, მექანიკოსის გაუფრთხილებლობის მიზეზით, ნაპერწკლები დააცვივდა თავ-

ზე სპილოებს. ამ ამბის მომსწრეებს, ვგონებ, ახლაც არ სძინავთ მოსვენებით და მათ უკეთ შეეძლოთ შთაბეჭდილებათა გადმოცემა. მაგრამ უმჯობესი იქნება მკითხველისათვის, თუ მოვიყვან იმდროინდელ რამდენიმე საგაზეთო ახსნა-განმარტებას, რომელიც მივეცი პრესას ამ ამბავთან დაკავშირებით.

საშინელი პანიკა, რომელიც გამოიწვიეს
მიუნპენის საზეიმო ლაშქრობაში მონაწილე სპილოებმა
(„მაგდებურგიშენ ცაიტუნგ", 1888 წლის 1 აგვისტო).

საზეიმო ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად ჰაგენბეკის ცირკიდან გამოყვანილი სპილოები საკმაოდ გრძელი გზის გავლის შემდეგ მღელვარებამ მოიცვა, ხოლო როდესაც პროცესიამ ლიუდვიგშტრასეზე წინ ჩაუარა პრინც-რეგენტს, ცხოველები საშინელმა შიშმა აიტანა. გამცილებლები მაგრად ჩაებღაუჭენ სპილოებს, მაგრამ გაცოფებულმა ცხოველებმა, რომელთა შეჩერებასაც შეეცადნენ ხმალამოწვდილი კავალერისტები, გვერდით ქუჩაში გაუხვიეს, შემდეგ ხალხის ტალღა გაარღვიეს, გაცვივდნენ ბრენერშტრასეზე და ოდეონის მოედანზე, სადაც აუწერელი აურზაური გამოიწვიეს. საშინლად დამფრთხალი ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა აქეთ-იქით. ცხენები გაცოფდნენ, ასე რომ, არც ჟანდარმერიას და არც კავალერიას აღარ ძალუძდა წესრიგის დამყარება. რამდენიმე სპილო შეცვივდა რეზიდენც-თეატრის კოლონადაში, შემდეგ სამეფო თეატრის წინ ფანჩატურს ეცენ და რამდენიმე ქანდაკება გადააყირავეს. სპილოებს წინა ფეხები დაბორკილი ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოველებმა ჯაჭვები დაწყვიტეს. კავალერისტების დახმარებით მოხერხდა ოთხი სპილოს დაჭერა და სადგომში მიყვანა. შემდგომი პანიკა კი გააღვივეს ხულიგნებმა, რომლებიც სტვენითა და ყვირილით ცდილობდნენ კიდევ უფრო მეტი აურზაური გამოეწვიათ ხალხში. მარიენპლატცზე უკანმოუხედავად გარბოდა ყველა.

მოულოდნელი პანიკის მიზეზი იყო ქალაქის რკინიგზის ორთქლმავალი, რომელმაც, გველეშაპად შენიღბულ-მორთულმა, სწორედ იმ დროს გამოიარა, როდესაც სპილოების კოლონა



მოდიოდა ქუჩაში. თვალის დახამხამებაზე ასობით მაყურებელი მიწას გაერთხო, წაქცეულებს კიდევ სხვებმა გადაუარეს თავზე, რადგან ყველა ცდილობდა გაქცევით ეშველა თავისათვის. სპილოები ორ ჯგუფად გაიყვნენ, პანიკა მეზობელ ქუჩებსაც მოედო. ბევრმა მოქალაქემ ფეხი მოიტეხა. რეზიდენციპალატცზე კედელს აკრული შეშინებული გამვლელები გაშლილ ქოლგებს წინ უფრიალებდნენ სპილოებს, რითაც კიდევ უფრო აღიზიანებდნენ ცხოველებს. ლუიტპოლდ-პალასში თხუთმეტი დაშავებული წევს, ოდეონში — მრავალი მძიმედ დაჭრილი. ქალაქში, სადაც ახლა ას ორმოცდაათი ათასი უცხოელი იმყოფება სტუმრად, ენით აუწერელი მღელვარებაა. პოლიციის ცნობით, ერთი ქალი გარდაიცვალა.

კარლ ჰაგენბეკი სპილოების მარცხიან შემთხვევაზე
(„მიუნჰენერ ალგემაინე ციტუნგ", 1888 წლის 2 აგვისტო).

სამი თვეა, რაც გამუდმებით მიხდება საქმიან მოგზაურობაში ყოფნა. უკანასკნელ ხუთშაბათს ლონდონში მყოფი ჩემი ცოლისძმის, მერმანისაგან, რომელიც ცირკს ხელმძღვანელობს, ცნობა მივიღე, რომ ამა წლის 31 ივლისს მიუნჰენში დიდი ზეიმია დანიშნულიო. მე ძალიან მიყვარს მხატვრული სანახაობები და სიამოვნებით ვღებულობ ხოლმე მონაწილეობას დღესასწაულებში. ამიტომ ყველა ღონე ვიხმარე, რომ დროზე ჩამოვსულიყავი. თუმცა საქმეები ხელს მიშლიდა, მაგრამ სამი დღე-ღამის მგზავრობის შემდეგ 31 ივლისს დილის 9 საათზე მაინც ჩამოვედი ჩქარი მატარებლით მიუნჰენში. იმავე საღამოს ვაპირებდი ჰამბურგში გაბრუნებას და ამიტომ ბარგი ვაგზლის შესანახ საკანში მივაბარე და მაშინვე ცირკისაკენ გავეშურე, რათა ქალაქში გასვლამდე მიმესწრო ჩემი თანაშემწეებისა და სპილოებისათვის. მართლაც დროზე მივედი: ის-ის იყო გამწკრივებულიყვნენ და პროცესიაში მათთვის მიჩენილი ადგილისაკენ აპირებდნენ წასვლას.

ყველაფერი წესრიგზე დამხვდა. მხოლოდ ერთ სპილოს მოვხსენით მაღალი უნაგირი, რომელიც უშნოდ ედგა ზურგზე; ასევე მოვექეცი კიდევ სხვა ორ სპილოსაც, რადგან ეტყობო-

და ისინიც უხერხულად გრძნობდნენ თავს. კორტეჟი დაიძრა, ყველაფერი კარგად მიდიოდა, ჩემი ცხოველები ცხვრებივით თვინიერად იქცეოდნენ. სამეფო ლოჟას რომ მიუახლოვდნენ, სპილოები მწვრთნელის კომანდაზე გამწკრივდნენ და ლოჟაში მყოფთ მიესალმნენ. ზოგიერთ ვიწრო ქუჩაში, სადაც გაჩერება უხდებოდათ ცხოველებს, ხალხი ტყვიასავით ესროდა პურსა და ხილს. ამის მსგავსი რამ რომ ჩაედინათ რომელიმე სხვა ცხოველების მიმართ, ისინი ისე მშვიდად როდი მოიქცეოდნენ, როგორც თვინიერად იტანდნენ ამას ჩემი სპილოები. ცხოველები წესიერად იქცეოდნენ. სანამ უკან გამობრუნებისას გველეშაპ-ლოკომოტივს არ შეხვდნენ. სპილოების ქარავნის მიახლოებამდე გველეშაპი მშვიდად იდგა, მაგრამ მოულოდნელად ამოძრავდა, თუმცა ორთქლმავლის მემანქანეები გაფრთხილებული იყვნენ, რომ ჯერ ცხოველები გაეტარებინათ წინ. ლოკომოტივმა ერთბაშად საშინელი ორთქლი გამოუშვა სპილოების მხარეს; ამან ისე დააფრთხო ცხოველები, რომ გადაწყვიტეს გაქცევით ეშველათ თავისათვის. იმწამსვე ბოლოში მიმავალ ოთხი სპილოსაკენ გავიქეცი, რათა როგორმე შემეჩერებინა ისინი, და, უდავოდ, ჩემი თანაშემწეების დახმარებით შევძლებდი ამას. ცოტაოდენი თავშეკავება მაინც რომ გამოეჩინათ მოქალაქეებს, მაგრამ ხალხის წივილ-კივილმა კიდევ უფრო დააფრთხო ცხოველები, რომლებმაც ძუნძულით განაგრძეს გზა. კიდევ კარგი, რომ ცხოველები ორ ნაწილად გაიყვნენ — თითო ჯგუფში ოთხი სპილო მოხვდა. ოთხჯერ შევძელი ჩემი ოთხეულის შეჩერება, მაგრამ ოთხივეჯერ ხალხმა ჯოხებით, ქოლგებითა და დანებით კვლავ წინ გარეკა ისინი. სპილოებმა თეატრს რომ ჩაუარეს, წინა ორ ცხოველს გამოკედევნე და ბეწვზე გადავრჩი, თორემ ლავაშივით გამაბრტყელებდნენ. ბოლოს მაინც შევძელი სპილოების შეჩერება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა ცხოველების ასეთი სიმშვიდე. გამოქცეულმა ხალხმა, რომელიც მთელი ხმით გაჰყვიროდა, ხელახლა დააფრთხო ცხოველები. ამის შემდეგ კარვებს მივაშურე. ისე ვიყავი დაქანცული, რომ ფეხზე დგომა აღარ შემეძლო. ჩემმა ორმა თანაშემწემ ოთხი სპილო რომელიღაც ეზოში შერეკა და იქ შებორკა. № 3 კარავში მომუშავე

მეფუნთუშემ თავაზიანად მიმიღო. ცოტახანში ძალ-ღონე მოვიკრიბე და მაშინვე ცირკში წავედი, სადაც მაცნობეს, დანარჩენი ოთხი სპილოც მშვიდად მოჰყავთ ბიხაშიო.

ადგილობრივი ჟურნალისტები და საინფორმაციო ბიუროს კორესპონდენტები კარგა ხანს ერთობოდნენ „სპილოების პანიკის“ დაწვრილებითი ამბების აღწერით და ხშირ შემთხვევაში მეტისმეტად ამახინჯებდნენ ნამდვილ ფაქტებს. მღელვარების კოცონი რომ ჩაქრა და „ჯუნგლებიდან მოყვანილი ურჩხულების მიერ გათელილნი“ სავსებით ჯანსაღად მყოფნი ლუდსა და თალგამს რომ შეექცეოდნენ ლუდხანაში, მიუნჰენელმა რეპორტიორმა დოქტორმა ფრიდრიხ ტრეფცმა კვლავ მოიმარჯვა კალამი. იგი ოდეონის მოედანზე ტრიბუნაზე იჯდა თურმე მეფე ლიუდვიგ I-ის ძეგლის მახლობლად და გამეხებული ილესებოდა ჩემი სრულიად უდანაშაულო სპილოების წინააღმდეგ. ბოლოს სტატიაც გამოაცხო და სათაური წააწერა:

სპილო გოფგრაუჰაუზში

... და აი ჩვენ ვიხილეთ მდიდრულად მორთულ-მოკაზმული რვა სპილო, რომლებიც კარლ ჰაგენბეკის წინამძღოლობით აღმოსავლეთის ვაჭრობას განასახიერებდნენ. დათქმული იყო, რომ საზეიმო პროცესია გაივლიდა ლიუდვიგშტრასეზე, რომელიც მიუნჰენის საკმაოდ განიერი საპარადო არტერიაა, მივიდოდა გამარჯვების ჭიშკრამდე, იქ მოუხვევდა და ისეთი მარშრუტით გააგრძელებდა გზას, რომ პროცესიის მონაწილეებს საშუალება მისცემოდათ თვითონაც ენახათ სამასკარადოდ გამოწყობილი ხალხი და მორთულ-მოკაზმული ორთვალები. საზეიმო მარშის მონაწილეთა ერთ ჯგუფს „მოჰყავდა“ ვეებერთელა გველეშაპი. რომელიც დროდადრო ცეცხლს აფრქვევდა ნესტოებიდან. ამ ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულზე იჯდა პატარა ბავშვი, რომელსაც ხელში ეჭირა ურჩხულის კისერზე გამობმული თოკი. ეს გახლდათ ბუნების ძალებზე ადამიანის ბატონობის სიმბოლო. სწორედ იმ მომენტში, როდესაც „გველეშაპი“ ჰაგენბეკის სპილოებს გაუსწორდა, მემანქანემ ერთბაშად ცხელი ორთქლი გამოუშვა და ცეცხლის ალი ჰაერში

ავარდა. სპილოებს თავზარი დაეცათ. მართალია, თვითეულ მათგანს გამყოლი ახლდა, მაგრამ შიშისაგან დამფრთხალი ცხოველები ადვილად გაუსხლტნენ მათ ხელიდან და, მიუხედავად იმისა, რომ წინა ფეხები დაბორკილი ჰქონდათ, ძუნძულით გაუყვნენ ქუჩას. მე ამ დროს ტრიბუნაზე ვიჯექი და სპილოებს ვერ ვხედავდი. უცებ ტირილითა და წივილ-კივილით მოცვივდნენ გოგონები და ქალები და ხვეწნა დაგვიწყეს, ახლავე წადით შემთხვევის ადგილზეო. მაშინვე წამოვიშალეთ და დავინახეთ, ტრიბუნისაკენ მორბოდნენ აქოშინებული ვეება ცხოველები. დამფრთხალი ხალხი ისე ღრიალებდა, რომ ყურთასმენა აღარ იყო. სპილოებმა ჩაუქროლეს ტრიბუნას, გაარღვიეს ხალხის წრე და გაიჭრენ ნაციონალური თეატრისაკენ, რომლის კიბეებზეც იმდენი ხალხი იდგა, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა.

ნეტავ გენახათ, რა ტრაგიკომიკური სცენები გათამაშდა. პანიკა რომ დაიწყო, ერთი მიუნჰენელი კომერციული მრჩეველი „გველეშაპზე" აძვრა და კისერზე შემოეჭდო. ერთი ცალინდროსანი კი, რომელსაც განმკარგულებლის თეთრ-ცისფერი ყელსახვევი ეკეთა, კუდზე მოეჭიდა სპილოს და ასე სცადა მისი გაჩერება. გულკეთილი ცხოველები, მიუხედავად იმისა, რომ მეტისმეტად გაღიზიანებული და აფორიაქებული იყვნენ, მაინც ფრთხილად იქცეოდნენ და არავინ დაუშავებიათ, ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა, თვით ბრბოს დაბნეულობისა და ველური პანიკის ბრალია. ათასობით ადამიანი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ქუჩებში, არც გვერდით იხედებოდნენ, არც წინ. ბავშვებიც კი გადათელეს. უმრავლესობამ პირველად არც კი იცოდა, რაში იყო საქმე, მაგრამ სპილოები რომ დაინახეს მთლად გადაირია ხალხი. ზოგი შიშისაგან კედელს აეკრა, უმრავლესობა კი ერთი მეორეზე გადადიოდა. მიწაზე წაქცეულთაგან ზოგიერთი სპილოებმა გაქელეს, ზოგიც სახლების კედლებზე მიიჭყლიტა. ყოველი მხრიდან ისმოდა გულისწამღები წივილ-კივილი. ირგვლივ არნახული აურზაური იყო. ჰაგენბეკი, რომელიც ორ სპილოს შორის მოდიოდა და ყოველნაირად ცდილობდა ცხოველების შეჩერებას, უგრძნობლად დავარდა მიწაზე. საბედისწერო როლი შეასრულა ამ ისტორი-

აში ერთმა ცხენოსანმა ჟანდარმმა, რომელიც სპილოებს დაუწინაურდა და მთელი ხმით დაიღრიალა: „თავს უშველეთ, სპილოები მოდიანო“ კარგის გაკეთება უნდოდა, ალბათ, ამ კაცს, მაგრამ ამაზე მეტ სისულელეს ვერავინ მოიფიქრებდა.

ერთმა კაცმა, რომელიც რატუშის ფანჯრიდან უყურებდა ამ კატასტროფის პერიპეტიებს, დაინახა, რომ სავსებით მშვიდად მყოფი ხალხი ერთბაშად მოცელილივით წაიქცა მიწაზე და საშინელი გმინვა დაიწყო. პროცესიის შემადგენლობაში მყოფმა სამხედრო მუსიკოსებმა, საბედნიეროდ, სამაგალითო თავშეკავება გამოიჩინეს და მიუხედავად საშინელი აურზაურისა, არ შეუწყვეტიათ დაკვრა, და ამან, უდავოდ, რამდენადმე დამაშოშმინებელი გავლენა მოახდინა ხალხზე. საყურადღებოა. რომ ბევრგან საზეიმო მსვლელობა ნორმალურად მიმდინარეობდა და პროცესიის მონაწილეებს არც კი გაუგიათ, რა მოხდა. მაგრამ სხვა ადგილებში პანიკა თანდათან ძლიერდებოდა. ერთ ზორზოხა კაცს, რომელსაც თავისი სიმსუქნის გამო სწრაფი სირბილი არ შეეძლო, სპილომ ფეხის კოჟრზე დაადგა ტორი და ისე ატკინა, რომ გულწასული გაიშხლართა ქუჩაში. ზოგიერთს ნეკნები ჩაემტვრა, ზოგს ხელი მოტყდა. უფრო მოხერხებულად რომ ეყურებინათ ზეიმისათვის, ზოგიერთს სკამი, სკამფიცარი და კიბე გამოეტანა სახლიდან. პანიკა რომ დაიწყო, ეს ნივთები ყირამალა გადააბრუნეს და გაქცეულ ხალხს ფეხებში ებორკებოდა. ოდეონის მთელი მოედანი მოფენილი იყო ხელჯოხებით, ქუდებით, ცხვირსახოცებით, თავსაფრებითა და ტუალეტის სხვა ნივთებით. ბევრ ადგილას ისე ჩაიხერგა გზა ოთხთვალებით, სკამებით და სხვა საგნებით, რომ ნამდვილი ბარიკადები გაკეთდა.

დიდ დროს არ გაუვლია კატასტროფის დაწყებიდან, რომ მოხერხდა ოთხი სპილოს დამშვიდება. ისინი სადგომში წაიყვანეს. დანარჩენი ოთხი კი განაგრძობდა ქალაქის ქუჩებში ნავარდს. ერთი მათგანი რატომღაც განსაკუთრებით დაინტერესდა ძველებური ტურნირჰოფით, რომელიც კურფიურსტის დროს ხშირად ყოფილა არაჩვეულებრივ სანახაობათა მოწმე. ცხოველმა ჭიშკარი შეამტვრია და ეზოში შევარდა. ეს რომ დაინახა იქ მყოფმა ხალხმა, მაშინვე სახურავზე აძვრა. ორმა

სპილომ კი ორთვალა ეტლი გადააბრუნა და ბოლოს თავი შეაფარა სამშენებლო მოედანზე. მეხანძრეები გამოიძახეს, კავალერიის მთელი ესკადრონი მოვიდა, მაგრამ კარგა ხნის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ გამოიყვანეს ისინი ამ ადგილიდან. მეოთხე სპილომ რძის ფარდულში დამპალი იატაკი ჩაამტვრია და სარდაფში ამოჰყო თავი. ერთმა მანდილოსანმა ქოლგა გაშალა და ამით აპირებდა სპილოსაგან თავის დაცვას. სინამდვილეში კი უფრო მეტად დააფრთხო ისედაც შეშინებული ცხოველი. სამეფო გვარდიის პოლკის ერთმა ყოჩაღმა ჯარისკაცმა იფიქრა, კარგ საქმეს გავაკეთებ, ხიშტით თუ ვუჩხვლეტ სპილოს კუდშიო. გამძვინვარებულმა ცხოველმა ხორთუმი ჩაავლო მამაც მეომარს, ჰაერში ააკონწიალა და ასე შემოატარა ქუჩები.

რა თქმა უნდა, შეშინებული ცხოველების ცემა დიდი შეცდომა იყო. თავის ნებაზე რომ მიეშვათ სპილოები, ალბათ ირბენდნენ, ირბენდნენ და თვითონვე დამშვიდდებოდნენ, არც მსხვერპლი იქნებოდა და არც ასეთი აურზაური. ერთი სიტყვით, ისეთი სასეირო ამბები მოხდა, რომ ბევრ კომიკოსს შეშურდებოდა. ერთმა გაქცეულმა სპილომ იმ ადგილს მიაღწია, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლებიც და უცხოელებიც ძველი მიუნჰენის ცენტრად თვლიან, და გოფბრაუ-ჰაუზს ეწვია. გოლიათი სტუმარი რომ მოადგათ კარზე, ლუდის მსმელებს თალგამი ყელში გაეჩხირათ. მაგრამ სპილო დიდხანს არ დაყოვნებულა ლუდის წუწკებთან და ახლა საბილიარდოს მიაშურა. მართალია, იმ დროს არავინ თამაშობდა ბილიარდს, მაგრამ რამდენიმე ტიპი, მათ შორის ერთი ცნობილი წეროსანი მეგაზეთე, ლუდს შეექცეოდა. სპილოს არაფერი დაუშავებია მათთვის, არც მათ დაუძრავთ კრინტი, რადგან შიშისაგან ენა ჩაუვარდა ყველას. მხოლოდ საღამოხანს შესძლეს ჰაგენბეკის დარაჯებმა ცხოველების დაჭერა. დამფრთხალი სპილოების ჯირითი რომ დაინახა, ხალხს თავზარი დაეცა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ცხოველებმა მაინც დიდად დაინდეს მოქალაქენი. მიუხედავად ამისა, ბევრია მკვდარი და დაჭრილი. პოლიციის ცნობით დაკარგულია და ეძებენ ას ბავშვს. კატასტროფის შემდეგ ხშირად გაიგონებდით: „ყველაზე გონიერად სპილოები იქცეოდნენო!“

IX

რა გადამხდენია თავს გიგანტურ გველებთან და ნიანგებთან

როდესაც მაუგლიმ, რედიარდ კიპლინგის სახელგანთქმული მოთხრობის გმირმა, ერთხელ მიწისქვეშა გამოქვაბულში იპოვა ურიცხვი სიმდიდრე, რომელსაც მახრჩობელა გველი დარაჯობდა, წარმოსთქვა: უმჯობესია გავეცალო Poison people-ს — „შხამიან მოდგმასო". მაუგლი ბუნების შვილია. ცხოველებიცა და ადამიანებიც გაურბიან შხამიან გველებს და ეს შიში უვნებელ გველებზეც კი გადააქვთ. გველის ჯიში სრულიად განცალკევებით დგას ცხოველთა სამყაროში, არავითარი სულიერი კავშირი არა აქვს მას სხვა არსებებთან. გველს მეგობარი არა ჰყავს, მას ყველა მტრობს, ზოგი მის მოკვლას ცდილობს, ზოგი კი შიშისაგან გაურბის. ერთხელ, 1874 წლის ზაფხულში ჩემს სამხეცეში უზარმაზარი გველი გაგვექცა სადგომიდან და ისეთი ამბავი ატეხეს ცხოველებმა, მეორედ მოსვლა ეგონებოდა კაცს. ეს გველი აფრიკიდან მყავდა ჩამოყვანილი. Pyton sebae-ს ჯიშის საკმაოდ სუსტი ეგზემპლარი იყო. ხის ვარცლში თბილი აბაზანა მოვუმზადე. ვარცლს საკეტიც ჰქონდა და გარდა ამისა, ზევიდან საბანი ეფარა. როდესაც ყველაფერი სათანადოდ მოვამზადეთ, მე ჩემს სამუშაო კაბინეტში წავედი კორესპოდენციების გასაცნობად. ორი საათის შემდეგ საშინელი ამბავი შემატყობინეს: გველი ამოძვრა აბაზანიდან და მაიმუნებისა და თუთიყუშების გალიაში დასრიალებსო. მაშინვე სამხეცეს მივაშურე. საშინელი ალიაქოთი დამხვდა. უკლებლივ

ყველა ცხოველი საოცრად აგზნებული იყო. აფორიაქებული მხეცები თვალს არ აშორებდნენ გველს. გარეული ნადირები, თითქოს ცოფი მორეოდათო, ბორგავდნენ, დაძუნძულებდნენ, ღრიალებდნენ და გალიიდან გამოსვლას ლამობდნენ. მაიმუნები და თუთიყუშები საშინლად ჭყიპინებდნენ, წიოდნენ, კიოდნენ, ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთური გნიასი გაემართათ. არც ერთი ცხოველი არ დარჩენილა მშვიდი მაყურებლის როლში. არც ერთს არ უნდოდა გველის მეზობლობა.

გველის დაჭერა და თავის ადგილას ჩასმა არც თუ ისე იოლი საქმე იყო. ბევრჯერ ვცადეთ რაიმე დაგვეფარებინა თავზე, მაგრამ ამაოდ: ქვეწარმავალი ისე გამთბარიყო აბაზანაში, რომ საშინლად სწრაფად მოძრაობდა და ყოველგვარი ჩვენი მოწადინება უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე და გველს თავზე ჩამოვაცვი სპეციალური ტოპრაკი, რომელსაც ვხმარობდით ყუთიდან გალიაში პატარ-პატარა მხეცებისა და მაიმუნების გადასაყვანად. მაშინვე კისერში ჩავავლე ხელი და დარაჯების დახმარებით ყუთში ჩავსვი.

მხეცების იმდღევანდელი შიში სავსებით ბუნებრივია. გარეული ცხოველებიდან ყველაზე მეტად სახიფათოა გველი. შხამიანი ქვეწარმავალი ხომ საშიში და საშიშია, მაგრამ არც უშხამოა დიდად სანდო, რადგან სწორედ ასეთი ჯიშის გველს აქვს საოცრად ძლიერი კუნთები და, თუ გაბრაზდა, თავდასხმაც იცის და კბენაც. არც ერთ სხვა ცხოველს არ ჩავუგდივარ იმდენჯერ სასიკვდილო საფრთხეში, რამდენჯერაც გველებს.

ათასობით გველმა გაიარა ჩემს ხელში. დაწვრილებით შევისწავლე მათი ხასიათი, ჩვეულებანი, ცხოვრება. არაერთხელ შემხვედრია ხელჩართული ბრძოლა დიდ ეგზემპლარებთან და საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ თვრამეტიდან ოც ფუტამდე სიგრძის გველს ძალიან მალე შეუძლია ადამიანის დახრჩობა. რაკი ვიცი, თუ რამდენსა ჭამს უხსენებელი ტყვეობაში, ბეჯითად შემიძლია ვთქვა, რომ კუნძულ ბორნეოზე ბინადარ ასაკოვან პითონს ადვილად შეუძლია შეჭამოს ასიდან ასოცდახუთ ფუტამდე წონის ადამიანი. ისე კი ათასგვარი ხმებია გავრცელებული ამ ქვეწარმავლის ღორმუცელობაზე. რამდენიმე წლის წინ ერთი გაზეთის ამონაჭერი გამომიგზავნეს: ეს იყო

თითქოსდა სანიმუშო „ზუსტი მეცნიერული აღწერა.“ გაზეთი იტყობინებოდა:

„გველმა ცხენი გადაყლაპა. მისტერ ჰარდნერს თავის „ბრაზილიაში მოგზაურობის ამბებში“ განსაცვიფრებელი ცნობები მოჰყავს იმაზე, თუ რამდენის გადაყლაპვა შეუძლია ბოა-კონსტრიქტორს. ბოა ბინადრობს გოიასის მთელ პროვინციაში. მაგრამ განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ზღვისპირეთის ტყიან ნაწილში, მდინარეებისა და ჭაობების ახლომახლო. ზოგიერთი ბუმბერაზი გველი, ავტორის სიტყვით, ორმოცი ფუტი სიგრძისაა. ყველაზე დიდი უხსენებელი, რომელიც შემხვედრია ჩემს ცხოვრებაში. სწორედ ამ მიდამოებში ვნახე, მაგრამ იგი მკვდარი იყო. კაპეში ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე კვირის წინ დაიკარგა სინიორ ლაგოერას საყვარელი ცხენი. ბევრი ეძებეს. მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნეს, თუმცა იგი სახლის ახლოს ძოვდა მინდორზე ბალახს. დიდ ხანს არ გაუვლია. რომ ტყეში, წყალში ტოტებჩამოშვებული ერთი დიდი ხის ფუღუროში ვეებერთელა მკვდარი გველი იპოვეს. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ცოცხალს მოუსწრო წყალდიდობამ და, რადგან მთვლემარე მდგომარეობაში იყო, ადვილად დაიხრჩო. ორი ცხენი გამოაბეს და ძლივს გამოათრიეს ნაპირზე. ოცდაჩვიდმეტი ფუტი სიგრძისა იყო გველი. როდესაც გაფატრეს, ცხენის დამსხვრეული ძვლები და ნახევრადმონელებული ხორცი უნახეს მუცელში. თავის ქალას ძვლები დაუზიანებელი იყო და ამის საფუძველზე დაასკვნეს. რომ ბოას მთელად გადაეყლაპა ცხენი“.

შეთხზვაც ამას ქვია! მოცლილი მონადირეებისა და კორესპონდენტების ასეთი ზღაპრების გარეშეც შეიძლება დარწმუნდეს მკითხველი გველის ღორმუცელობაში. უტყუარი ფაქტიც კმარა ამისათვის. ამ ცოტა ხნის წინ მოვაკვლევინე კოლექციისათვის გამოუსადეგარი ერთი რაქიტული ჯუჯა ჩინური ღორი. და ჩავაგდებინე დიდ ყუთში, რომელშიც ბორნეოდან ჩამოყვანილი ორი დიდი გველი მყავდა დამწყვდეული. ღორი ორმოცდაათ გირვანქას იწონიდა და იგი ორმოცდახუთ წუთში გადასანსლა ერთმა გველმა. ამის შემდეგ გადავწყვიტე გამეგრძელებინა გველების კვებაზე დაკვირვება, თუკი მკვდარი ცხოველი აღმოჩნდებოდა ჩემს ხელთ. მალე შემთხვევა მომეცა და

ორი ანტილოპა-ნილგაუ მივართვი ვახშმად უხსენებელს. თვითეული ცხოველი დაახლოებით ოც გირვანქას მაინც იწონიდა, მაგრამ გველმა ერთ ღამეში შეჭამა ორივე. ერთხელ კიდევ იმის მოწმე გავხდი, თუ როგორ გადასანსლა ოცდახუთი ფუტი სიგრძის ქვეწარმავალმა მთელი ცხვარი, რომელიც ოცდარვა გირვანქას იწონიდა. მაგრამ არც ეს ეყო ღორმუცელას და რამდენიმე საათის შემდეგ დამატებით მივეცი ოცდაცხრამეტგირვანქიანი ცხვარი, რომლის შეჭმაზეც მანამდე სამმა გველმა თქვა უარი. ეს გაუმაძღარი კი ისე ეცა ცხვარს, თითქოს დამშეული ყოფილიყოს, და ნახევარ საათში გადაყლაპა. თურმე ნუ იტყვით, და უფრო მეტის ჭამა შესძლებია ამ გველს! რვა დღის შემდეგ მოგვიკვდა ერთი ციმბირული თხა, რომელიც სამოცდათოთხმეტ გირვანქას იწონიდა. რქები მოვაჭრევინე, ლეში კი გველს ჩავუგდეთ ყუთში შესაჭმელად. დარაჯმა მითხრა ამოდენა ცხოველს გველი ვერ გადაყლაპავსო. მართალი გითხრათ, მეც ასე მეგონა. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ერთი საათის შემდეგ პავილიონში მოვბრუნდი და თვალს არ დავუჯერე: ერთი კვირის წინ ორი ცხვარი რომ მიირთვა, ვითომც არაფერიო, ახლა ამ თხას მიდგომოდა ეს გაუმაძღარი. თხის თავი უკვე გადაყლაპული ჰქონდა. იმწამსვე ფოტოგრაფი ვიხმე, რათა ეს საინტერესო სანახაობა სურათზე აღგვებეჭდა. როგორც ჩანს, ყლაპვა დიდ დაძაბვას მოითხოვდა გველისაგან, ამიტომაც დროდადრო კვნესოდა. ეს სრულიად უცხო ამბავი იყო ჩემთვის. როდესაც თითქმის მთლიანად გადაყლაპა ცხოველი და თხის ერთი ფეხიღა უჩანდა გველს ვეებერთელა ხახიდან, ფოტოგრაფს სურათის გადაღება ვთხოვე. მაგრამ მაგნიუმის ანთებამ ისე დააფრთხო უხსენებელი, რომ უკანვე გადმოაგდო თავისი მსხვერპლი, რომლის გადაყლაპვასაც თითქმის ორი საათი მოანდომა. იმ მიზნით, რომ განმესაზღვრა გველის კუნთოვანი ძალა, მისი მუცლიდან უკან ამოგდებული თხა გავაკვეთინე. გამოირკვა, რომ კისერი ამოგდებული და ნეკნები ჩამტვრეული ჰქონდა. ეს ფაქტიც კმარა გოლიათი გველის კუნთოვანი ძალის წარმოსადგენად.

ცოცხალ ცხოველს გველი სწრაფად კლავს. თავში მიწვდება და ტანის ზედა ნაწილით თვალის უსწრაფესად შემოეხვევა კი-

სერზე და ხერხემლიდან ამოუგდებს. გველი მხოლოდ მკვდარ ცხოველს ჭამს. სალტესავით რომ შემოეჭდობა, მანამდე უჭერს ხოლმე თავის მსხვერპლს, სანამ არ დარწმუნდება, რომ ცხოველმა მართლა გააცხო სული, ესე იგი სრულიად შეწყვიტა ყოველგვარი მოძრაობა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს იგი ჭამას. თუ მეტისმეტად დიდი ცხოველი შეხვდა, ჯერ თავს დაუნერწყვავს, რომ უფრო ადვილად გადაუსრიალდეს ყელში. ნადავლის გადაყლაპვის დროს გველს ქვედა ყბა რეზინივით ეწელება, უგანიერდება. ყლაპვისას თავისი კუდის ბოლოთი შემოეჭდობა ნადავლს და თანდათან პირში იტენის ცხოველს, თანაც განუწყვეტლივ ამოძრავებს ყბებს. დროდადრო ისვენებს კიდეც. ასეთი პაუზა თორმეტიოდე წუთს გრძელდება ხოლმე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ერთხელ გველმა საათნახევარში გადაყლაპა ერთი თხა, რომელიც ოთხმოცდაოთხ გირვანქას იწონიდა!

როდესაც ხედავ, თუ როგორ მშვიდად წევს მინის თბილ გალიაში უზარმაზარი გველი-გიგანტი, ძნელი წარმოსადგენია, რა ძალღონე აქვს ამ ქვეწარმავალს, როგორი მარჯვე და სწრაფია. ვიმეორებ, სხვადასხვა ჯიშისა და სახის ასობით გიგანტმა გველმა გაიარა ჩემს ხელში, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. უთვალავჯერ დავუკბენივარ მათ, მაგრამ ამ გოლიათების კბენა საშიში არაა და ამიტომ აინუნშიც არ ჩამიგდია. ნემსივით წვრილი და მახვილი კბილი, ჩვეულებრივ, ჭრილობაში რჩება და მაშინვე უნდა ამოიძროთ ის, ნაკბენი ადგილი კი გულმოდგინედ მოიბანოთ და შეიხვიოთ. მახსოვს, ერთხელ, ერთმა მყიდველმა თვითონვე მოინდომა გველის ამორჩევა და ისე უგერგილოდ მოიქცა, რომ ქვეწარმავალმა მაგრად უკბინა ხელზე და ბევრი ვიწვალე, სანამ სახიფათო მდგომარეობიდან გამოვიყვანდი. ჭრილობაში ჩარჩენილი კბილები მაშინვე ამოვაძრე და ნაკბენი წყლით მოვბანე, მაგრამ დაშავებული მეტისმეტად ქარაფშუტულად მოიქცა, ამიტომ შემდეგ მაინც იძულებული გახდა ექიმისათვის მიემართა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ ხმარობდა დაკბენილ ხელს, მაგრამ ბოლოს ყველაფერმა გაუარა.

გიგანტი გველის კუნთოვანი რგოლები გაცილებით უფრო

საშიშია, ვიდრე პირი. მრავალჯერ შემმთხვევია ფათერაკი გველებთან, მაგრამ თუ მშვიდობიანად გადავრჩენილვარ, ამის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ მუდამ ვინარჩუნებდი სიმშვიდეს და ამავე დროს მარჯვედ და მოხერხებულად ვიქცეოდი განსაცდელის ჟამს. ყველაზე დიდი საფრთხე შემემთხვა ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც იძულებული გავხდი ხელჩართული ბრძოლა გამემართა ამ გიგანტებთან. დარაჯის დახმარებით ერთი ყუთიდან მეორეში უნდა გადამეყვანა ოთხი რუხი პითონი, რომელთა სიგრძე თხუთმეტიდან თვრამეტ ფუტამდე იყო. როგორც ვიქცეოდი ხოლმე საერთოდ ასეთ შემთხვევაში, ამჯერადაც შალის დიდი საბანი მოვიმარჯვე პირისახის დასაცავად, რადგან გველი სწორედ აქ ეტანება უმეტესად საკბენად. ორი ქვეწარმავალი შედარებით ადვილად გადავიყვანე ახალ ყუთში, როდესაც ჯერი მესამეზე მიდგა, მეოთხე გველი ელვის უსწრაფესად მეცა პირგაღებული და იოლად ვერ გადავრჩებოდი, რომ უცებ არ მომესაზრებინა და ჩემი ფეტრის ქუდი არ მესროლა მისთვის. გველი მაშინვე ეცა ქუდს და გაცხარებით დაუწყო ღრღნა, მე კი ვისარგებლე ამით, კისერში წავავლე ხელი და დარაჯს მივაძახე, სასწრაფოდ სახაფახგე ტომარი მომიტანე-მეთქი, მაგრამ ის ისე იყო შეშინებული, რომ მგონი ვერც კი გაიგო ჩემი ნათქვამი. გიგანტი მაშინვე შემომეხვია მარჯვენა ფეხზე და თავისი კუნთოვანი რგოლები მომიჭირა. თანაც ცდილობდა ქვევიდან შემომხვეოდა ტანზე. თავგამეტებით ვუძალიანდებოდი. ვიცოდი, თუკი ერთხელ მომიმწყვდევდა თავის მარწუხებში, ვეღარაფერი გადამარჩენდა. უცებ იატაკზე თვალი მოვკარი გველის კუდის ბოლოს და, რაც ძალა და ღონე მქონდა, მარცხენა ფეხი დავაჭირე. არ ვიცი ძალიან ეტკინა, თუ შეეშინდა, ეს კია, რომ მაშინვე დამეხსნა. მაგრამ ელვისუსწრაფესად ხელახლა მომვარდა. მაინც მოვასწარი და უკვე შეიარაღებული შევხვდი ახალ თავდასხმას. შალის საბანი გადავახურე შიგ გავახვიე და ყუთში ჩავაგდე. მეორე გველი, ჩემდა საბედნიეროდ, მთელი ამ ამბის დროს გორგალივით იყო დახვეული და ნახევრადმოჭუტული თვალებით უყურებდა ჩვენს ბრძოლას როგორც ნეიტრალური მხარე.

1904 წლის გაზაფხულზე გადავიტანე კიდევ უფრო სერი-

ოზული ბრძოლა, რომელმაც მკაფიოდ დამანახა ამ ქვეწარმავლის ავი და ველური ბუნება. ამ ბრძოლას კინაღამ მსხვერპლად შეეწირა ჩემი უფროსი ვაჟი ჰენრიხი. მოულოდნელად ვეებერთელა გველი დაესხა თავს მას, მაგრამ არ დაიბნა, თვითონაც მაგრად მოეჭიდა და ტანზე შემოხვევის საშუალებას არ აძლევდა. თავისთავად გასაგებია, თუ ვის მხარეზე იქნებოდა გამარჯვება ამ უთანასწორო ორთაბრძოლაში, დროზე რომ არ მივშველებოდით. ჰენრიხმა. დარაჯმა და მე, ლაოკონიის ცნობილი გუნდის მაგვარად, მთელი ძალა მოვიკრიბეთ და შევებით ურჩხულს. უეცრად გველმა თავისი განთავისუფლებული კუდი მარჯვენა ფეხზე შემოახვია ჰენრიხს და თანდათან ზევით აწევა დაიწყო. ახლა კი მართლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. რის ვაივაგლახით მოვიგეთ ეს ჭიდილი, შეერთებული ძალით დავძლიეთ უხსენებელი და ჩემი ინსპექტორის დახმარებით ტომარაში ჩავაგდეთ. ეს ეგზემპლარი ორას გირვანქას იწონიდა და სიგრძით ოცდაექვსი ფუტი იყო.

მხოლოდ ხანგრძლივი გამოცდილებით შეუძლია ადამიანს გამოიმუშაოს ამ საშიშ რეპტილიებთან მოქცევის ოსტატობა და სიმარჯვე. ცოდნის შეძენას, რასაც დიდი ჯაფა დასჭირდა. წინ უძღოდა ექსპერიმენტირება, რომელიც ყოველთვის როდი მთავრდებოდა წარმატებით. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ერთმა კაპიტანმა ბრაზილიიდან ჰამბურგში ჩამოიყვანა ორი ბოა-კონსტრიქტორი. როგორც კი ხომალდის გემბანზე ავედი, სტიუარდმა მითხრა, გველები ყუთში წვანან, მაგრამ ისე უძრავად არიან, ალბათ დაიხოცენო. დეკემბრის შუა რიცხვები იყო. ქვეწარმავლები კი ცივ სადგომში ჰყავდათ დაუთბუნებლად და, როგორც ჩანს, სიცივისაგან გათოშილიყვნენ. ამ დროს ჩემთან მოვიდა კაპიტანი, რომელსაც უკვე გაეცა ბრძანება გველების ზღვაში გადაყრის შესახებ. როდესაც ვუთხარი, ვცდი, ეგებ გამოვაცოცხლო-მეთქი, მეზღვაურს გაეცინა, მაგრამ მაინც თანხმობა მომცა. უსიცოცხლო რეპტილიები შალის საბანში გავახვიე, ეტლი დავიქირავე და გავეშურე შპილბუდენპლატცზე, სადაც ვცხოვრობდით იმხანად. მამაჩემმა, გველები რომ დაინახა, გაიცინა და მითხრა: „თუ შენ შესძლებ ამ ორი გველის საიქიოდან მობრუნებას, სასწაულმოქმედი იქნებიო“. ავიღე გვე-

ლები და ჩიტების განყოფილებაში ღუმელთან დავსვი. ერთი საათის შემდეგ მაცნობეს, ჩიტები საშინლად აფორიაქდნენ და ქვივილ-ხვივილი აქვთ, ალბათ, რაღაც უჩვეულო მოხდაო. მივედი და რას ვხედავ, სადღა არიან „მკვდარი გველები“. ჩიტების ხმაზე ადვილად მივაკვლიე გასასეირნებლად გაპარულ ქვეწარმავლებს. ბევრი საოცარი რამ ხდება ქვეყანაზე! „საიქიოდან მობრუნებული“ გველების დაჭერას რომ ვლამობდი, სწორედ ამ დროს გაიღო კარი და კრაიცბერგი შემოვიდა. ეს კაცი, სამხეცის ძველი მეპატრონე, ის-ის იყო რუსეთიდან დაბრუნებულიყო. ჩემი საქმიანობა რომ დაინახა, ისიც დამეხმარა ნადირობაში და როდესაც ლტოლვილები დავიჭირეთ, ღიმილით მითხრა, სწორედ გველების საყიდლად მოვედი ახლა თქვენთანო. მოვრიგდით და ოთხმოცი ტალერი ჩამითვალა. კიდევ ორ კაცს ელოდა სიურპრიზი — მამაჩემს და კაპიტანს, რომელსაც მეორე დღეს ორმოცი ტალერი — ნავაჭრის ნახევარი დავუდე მაგიდაზე.

შემდგომ შევიტყვე, რომ გველების გამოცოცხლება არც თუ ისე იშვიათი შემთხვევა ყოფილა. თუმცა სხვა დროსაც ჰომიწადინებია „მკვდარი“ გველების გამოცოცხლება, მაგრამ ზოგჯერ ხელმოცარული დავრჩენილვარ. 1883 წელს ერთი საინტერესო ამბავი შემემთხვა. ინგლისში ვიყიდე 163 გიგანტი გველი, რომლებიც ათასი გირვანქა სტერლინგი დამიჯდა. ქვეწარმავლები ჰამბურგში გამოაგზავნეს. მესამე დღეს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და ქვანახშირის ნაკლებობის გამო გემი იძულებული გახდა ლონდონში მობრუნებულიყო. გრეივსენდში სათბობის მარაგი შეიესო და შემდეგ კვლავ ჰამბურგისაკენ აიღო გეზი. ტროპიკულ სითბოს მიჩვეული გველები შვიდი დღის განმავლობაში ჩრდილოეთის ცივ ზღვაში მოგზაურობდნენ. ჰამბურგში რომ ჩამოიყვანეს, ისე იყვნენ გათოშილები, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. არავითარმა შინაურულმა საშუალებამ არ გასჭრა. ვერა და ვერ გამოვაცოცხლეთ. წყალში გადამეყარა ამდენი ფული. ათას გირვანქა სტერლინგად ხომ მყავდა ნაყიდი და, გარდა ამისა, ერთი ამდენი კიდევ ვიზარალე, რადგან სათანადო ფასად უკვე გაყიდული მყავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასე რომ, დამერწ-

მუნეთ, სავსებით გულწრფელად გამოვიგლოვე დახოცილი გველები.

„შხამიან მოდგმასთან“ ჩემი პირველი ნაცნობობა ჭრელი გველებით დაიწყო. სამოციანი წლების ერთ ზაფხულს მოგვიტანეს დიდი ბრტყელი ყუთი, რომელსაც თავზე მავთულბადე ჰქონდა გადაჭერილი და ზევიდან დაფიცრული იყო. ყუთი სავსე იყო ჭრელი გველებით, რომელსაც სხვაგვარად გველგესლასაც უწოდებენ. ასეთ ყუთში გველგესლების ყოლა არ შეიძლებოდა, ამიტომ სპეციალურად გავუკეთე უფრო მოხერხებული ყუთი. საკმაოდ ძნელი ამოცანა იყო მათი გადაყვანა ახალ ყუთში. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცნობდი ჭრელი გველების ბუნებასა და თავისებურებებს. ვიფიქრე, უბრალოდ გადავყრი ერთი ყუთიდან მეორეში-მეთქი. ავაძვრე ერთი ფიცარი, გადავწიე მის ქვეშ გადაჭიმული მავთულბადე და დავიწყე ყუთის ნჯღრევა. გველგესლებმა მაშინვე გამოჰყვეს თავები ნახვრეტში, მაგრამ მეორე ყუთში გადასვლა არც უფიქრიათ, განზე გასრიალება მოიწადინეს და მართლაც კინაღამ გამექცნენ. ახლაც შიშით გამცრის ხოლმე ტანში, როცა გამახსენდება, თუ რა საშინელი საფრთხე მემუქრებოდა მაშინ. მივხვდი, რომ ამ გზით საწადელს ვერ მივაღწევდი და ისევ დავიწყე ყუთის ნჯღრევა, რათა კვლავ უკან ჩამებრუნებინა გველები. თავის ძველ ყუთში რომ დავაბინავე გველგესლები, ხვრელს მეორე ყუთი მივაფარე. ავიღე წვრილი ხერხი და გველების ყუთში დაახლოებით სამი დიუმის სიგანის ოთხკუთხედი ხვრელი გამოვხერხე და მეორე ცარიელი ყუთი ისე მივუდგი გვერდით, რომ მისი საკეტიანი ხვრელი უშუალოდ გველებიანი ყუთის ნახვრეტს მიედო. პირველ ყუთს თავზე ფიცრები ავაძრე, რათა მავთულბადით დღის სინათლე მოხვედრილიყო შიგ. ვიცოდი, რომ გველებს საერთოდ სიბნელეში ყოფნა ურჩევნიათ. მართლაც, არ გასულა ერთი საათი, რომ რვა გველგესლა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ნებაყოფლობით გადაძვრა მეორე ყუთში, რომელსაც შემდეგ საკეტით დავუხურე ხვრელი.

ამის შემდეგ უსაზღვრო პატივისცემითა და რიდით გავიმსჭვალე შხამიანი გველების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ განსაკუთრებულ სიფრთხილეს ვიჩენდი ხოლმე, ერთხელ

კინაღამ მიმსხვერპლა ჩხრიალა გველმა. 1898 წლის ზაფხულში, საქმიანი მივლინებიდან რომ დავბრუნდი, რეპტილიების განყოფილების ინსპექტირებას შევუდექი. ადგილზე რომ მივედი, ლეშის სუნი ვიგრძენი და ამან გამაოცა. გულმოდგინედ დავჩხრიკე ყოველი კუთხე-კუნჭული და გველების ერთ დიდ გალიაში, რომელსაც გარშემო მავთულბადე ჰქონდა შემოვლებული, ცოცხალ ჩხრიალა გველებში ორი მკვდარი ქვეწარმავალი ვიპოვნე, რომელთაც უკვე დაეწყოთ გახრწნა. ლეშები სასწრაფოდ უნდა გადაგვეყარა. ამ ყუთს ცალ მხარეს საკეტიანი პატარა სარკმელი ჰქონდა, ამ ადგილიდან გალიაში სქელი მოკაუჭებული მავთული შევუყარე და შევეცადე მკვდარი გველების გამოთრევა. პირისახით ყუთისაკენ ვიყავი მიბრუნებული და მავთულს კი მარცხენა ხელით ქვევიდან ვუყრიდი ყუთში. ერთ ლეშს ადვილად გამოვდე კაუჭი და გარეთ გამოვათრიე. მეორე გველი უფრო შორს იყო და ერთბაშად ვერ მივუდექი, რადგან ორი ცოცხალი ქვეწარმავალი აწვა ზევიდან. იძულებული გავხდი ადგილიდან დამეძრა ისინი. ძალიან იწყინეს, განსაკუთრებით გაბრაზდა ერთი მათგანი, უფრო დიდი რომელიც იყო. სახე პირდაპირ გალიას მივადე, რომ უკეთ შემეხედა შიგნით, თანაც მარჯვენა ხელით მზეს ვიჩრდილებდი. ერთბაშად გველი ფართოდ გაღებული პირით ბადეს მოასკდა. შეშინებული მაშინვე განზე გავხტი. მცირე ხანი ვადროვე და როცა დავრწმუნდი. რომ დამშვიდდა და აღარაფერს მერჩოდა, ხელახლა შევუდექი ჩემს საქმეს და უხიფათოდ გამოვათრიე მეორე ლეშიც.

მხოლოდ მეორე დღეს შევიტყვე, რა საშინელი ხიფათის წინაშე ვყოფილვარ. ბეწვზე გადავრჩენილვარ თურმე სიკვდილს. ტანსაცმელს რომ ვიცვამდი, ჩემმა ცოლმა რაღაც ლაქები შენიშნა მარჯვენა სახელოზე. ჯერ ჭუჭყი მეგონა, მაგრამ მალე მივხვდი, რაშიც იყო საქმე და შიშისაგან გამაჟრჟოლა. ეს იყო პატარ-პატარა თხელი მომწვანო კრისტალები. თავს რომ დამესხა, გველმა მავთულბადეს უკბინა და სახეზე შემომასხა შხამი. მაგრამ, ბედად, ხელი მქონდა მოჩრდილული და ამან გადამარჩინა. მზისაგან ბევრ ადგილას კანი მქონდა გადამძვრალი და შხამი რომ მომხვედროდა, ადვილად შეაღწევდა სისხლში და

თქვენს ჭირს წავიღებდი. მინახავს, ზღვის გოჭებსა და ვირთაგვებს ერთ წუთში რომ კლავდა ჩხრიალა გველის ნაკბენი.

მიუხედავად ამისა, ერთხელ იმის მოწმეც გავხდი, თუ როგორ მოუღო ბოლო ჩხრიალა გველს ვირთაგვამ, რომელიც შესაჭმელად ჩაუგდეს მას გალიაში. ჩვენს ვანცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მეორე დილით უჩვეულო სანახაობა ვიხილეთ. ვეებერთელა ჩხრიალა გველს ყელი ჰქონდა გამოღადრული, ვირთაგვა კი მშვიდად დასკუპებულიყო გალიის კუთხეში და სიამოვნებით შეექცეოდა ნადავლის ხორცს. სამწუხაროდ, არავინ დასწრებია ამ საინტერესო ორთაბრძოლას. ამ ვირთაგვას გმირობა ნამდვილად დასაფასებელი იყო — შემდგომში გველებს აღარ ვაძლევდით შესაჭმელად ახლადდაჭერილ გარეულ ვირთაგვებს.

გველებს ხშირად მოსდით ერთმანეთთან ჩხუბი. უთანხმოების მიზეზი ნადავლია. ზოჯგერ უფრო დიდი და ღონიერი ქვეწარმავალი სადავო ნადავლთან ერთად გადაყლაპავს ხოლმე მოქიშპეს. გველებს საერთოდ უაზრო ღორმუცელობა ახასიათებთ. ერთი ბოა-კონსტრიქტორი, რომელიც თბილი ბალონებით გამთბარ გალიაში მყავდა დამწყვდეული, ერთ საღამოს კარგად გავაძღე და ღამის სიცივისაგან რომ დამეცვა, შალის საბანი გადავაფარე. როგორ გგონიათ, ვახშამი იკმარა ღორმუცელამ? მიმდგარა და დაუწყია საბნის ყლაპვა, მაგრამ ღამის განმავლობაში ნახევარზე მეტს ვერ მორევია. დილით მკვდარი დამხვდა. საბანი ყელში გაჩხეროდა და დამჯრჩვალიყო.

ასეთი სულელური შემთხვევა სხვა აღარ მინახავს, მაგრამ იმის მოწმე კი ბევრჯერ ვყოფილვარ, თუ როგორ გადაუყლაპავს ერთ გველს მეორე. ზოგჯერ საშინელი ბრძოლა იმართებოდა ნადავლის გამო. ერთხელ ორი პითონი — ერთი ცხრა და მეორე შვიდი ფუტი სიგრძისა — ერთდროულად დაეძგერა ბაჭიას. ერთმა თავიდან დაიწყო მისი გადაყლაპვა მეორემ კუდიდან. ეს ორთაბრძოლა იმით დამთავრდა, რომ დიდმა გველმა ბაჭიასთან ერთად მეორე მომცრო გველიც გადაყლაპა. მეორე დილით მკაფიოდ ეტყობოდა, რომ მეორე გველი ჰყავდა მუცელში მთელ სიგრძეზე.

ერთხელ კიდევ ოთხი დიდი გველი ერთდროულად დაეძგე-

რა ერთმანეთს. დავა გამოიწვია ერთმა მკვდარმა ბაჭიამ, რომელიც საჭმელად შევუგდეთ გალიაში. ისეთი თავგანწირული ბრძოლა ჰქონდათ, რომ შეუძლებელია ამის აღწერა. თვალის დახამხამებაში სამი ქვეწარმავალი გორგალივით გადაეხლართა ერთმანეთს და ბურთივით კოტრიალი დაიწყეს. როდესაც ერთი მათგანის თავი მეორის ხახაში აღმოჩნდა, ვცადე მოჩხუბრების გაშველება. ეს როგორ გაგვიბედეო, დააღეს პირები და ახლა ჩემსკენ გამოემართნენ. სხვა რა გზა მქონდა, გავეცალე და თვითონვე მივანდე დავის გადაწყვეტა. სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ ქანცგამოლეული რეპტილიები დაეხსნენ ერთმანეთს. თითქოს ამას უცდიდაო, ახლა მეოთხე მომცრო გველი, აქამდე გულდამშვიდებული მაყურებლის როლში რომ იყო, გამოძვრა კუთხიდან. ბაჭიას მიუცოცდა და ის იყო უნდა გადაესანსლა, რომ მოულოდნელად მოქიშპე გამოუჩნდა, ერთმა ნაომარმა ქვეწარმავალმა, რომელსაც ჯერაც ვერ მოეკრიფა ძალა, კისერზე რამდენიმეჯერ შემოახვია თავისი კუდი და ისე მაგრად მოუჭირა, რომ პატარა გველმა მაშინვე მიანება თავი ბაჭიას და საერთოდ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. პატარა გველი ჯერაც თავის კუნთოვანი რგოლებით ეჭირა, რომ დიდმა ელვის უსწრაფესად გადასანსლა ბაჭია და მხოლოდ ამის შემდეგ მოხსნა ბორკილი დატყვევებულ თანამოძმეს. თავისუფლება რომ იგრძნო, ბრაზმორეული მომცრო ქვეწარმავალი ახლა თვითონვე ეცა გამარჯვებულს, ერთბაშად შემოეხვია ტანზე და ისე მოუჭირა, რომ დიდმა გველმა კვნესა დაიწყო. ხელახლა აიშალნენ ქვეწარმავლები და დაერივნენ ერთმანეთს. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თერთმეტ საათს გაგრძელდა. სამხეცეში ჯერ არავის უნახავს ასეთი საშინელი ბრძოლა ინდოეთის ვეებერთელა პითონებისა, რომელთაც გიგანტ გველებში საერთოდ ბადალი არა ჰყავთ სიდიდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ მეორე დღეს ერთ-ორ მკვდარ გველს მაინც ვიხილავდი ბრძოლის ველზე. თქვენც არ მომიკვდეთ! ოთხივე ჩხუბისთავი გორგალივით დახვეული მშვიდად იწვა თავის კუთხეში.

მიუხედავად ამისა, ასეთი ბრძოლა თამაშობაა იმ ამბებთან შედარებით, რაც ბორნეოდან ჩამოყვანილ გიგანტურ გველებს

შორის ხდება. ერთმანეთს რომ შემოეჭდობიან ხოლმე ეს არაფერია, ძაღლებივით იკბინებიან დანასავით ბასრი კბილებით. ენით აუწერელი გაცოფება იციან ხოლმე ღორმუცელობის გამო. მაგონდება ერთი შემთხვევა, როდესაც უზარმაზარმა გველმა კეფაში უკბინა უფრო მომცრო ქვეწარმავალს, შემდეგ მთელი ტანით შემოეხვია და კარგა მოზრდილი ხორცი ამოაჭამა თავის მსხვერპლს კისერზე. მხოლოდ იმას შეუძლია გაიგოს, თუ რას ნიშნავს ძალის ასეთი ვამოვლინება, ვინც იცის, რა განსაცვიფრებელი ელასტიკურობა ახასიათებთ დიდტანიან გველებს. ეს საშინელი ჭრილობა ისე სწრაფად მიაყენა დიდმა გველმა, რომ ვერც კი მოვასწარი რაიმე მეღონა. იმავე დღეს დაკბენილი გველის სურათი გადავაღებინე ფოტოგრაფს. რამდენიმე დღის შემდეგ ქვეწარმავალი მოკვდა. ბოლო წლებში ჩემს შტელინგენის ზოოლოგიურ პარკში ხშირად ვყოფილვარ ასეთი ორთაბრძოლის მოწმე. ზოგიერთ მათგანზე ბოლოში მოგითხრობთ.

ცნობილია, რომ გველის მიერ საკვების მიღების წესი და მის მუცელში მოხვედრილი ულუფის მოცულობა საჭმლის ნორმალური მონელებისათვის განსაკუთრებულ ძალას საჭიროებს. ჩემ სიცოცხლეში თუ რაიმე მინახავს საინტერესო, ყველაზე განსაცვიფრებელი ამბავი იყო ინდური პითონის ღორმუცელობა. თოთხმეტი ფუტი სიგრძე ჰქონდა ამ გიგანტს. ერთი დღე-ღამის განმავლობაში გადასანსლა ოთხი ბატკანი, თვითეული მათგანი თერთმეტიდან ჩვიდმეტ გირვანქამდე იწონიდა და თანაც შვიდი სანტიმეტრი სიგრძის რქები ჰქონდა. ორი დღის შემდეგ მუცელში დაგროვებული გაზებისაგან პითონი ისე გასივდა და გაიბერა, რომ სიგრძეზე ოცდაათ სანტიმეტრზე და სიგანეზე ხუთ სანტიმეტრზე კანი გაუსკდა. მხოლოდ მეათე დღეს დასრულდა ამ „სადილის“ მონელება. მატყლი ბღუჯაბღუჯად გამოყარა თეთრი ფერის ექსკრემენტების სახით, რქები და ჩლიქები კი საერთოდ ვერ მოენელებინა. მეთერთმეტე დღეს კიდევ ერთი ბატკანი გადაყლაპა... გარეული ღორი, როგორც ჩანს, უფრო ძნელი მოსანელებელია. მაგალითად, ერთხელ სინგაპურიდან ზოოპარკში ჩამომიყვანეს ბორნეოს ბინადარი ვეებერთელა გველი, სიგრძით ოცდახუთი ფუტისა. ჩვენ-

თან ყოფნის მერვე დღეს ამ ცხოველის ექსკრემენტში გარეული ღორის ჩლიქები და ეშვები იყო.

გულაზიზ მკითხველს შესაძლოა ზიზღი მოჰგვაროს გველების ასეთი არაესთეტიკური ღორმუცელობის ამბავმა. დასამშვიდებლად მოგახსენებთ, რომ გველებს შეუძლიათ დიდხანს იშიმშილონ და ზოგჯერ ნებაყოფლობით აკეთებენ ამას. მეტისმეტად გაუმაძღარი რეპტილიები, რომლებიც ზოგჯერ განუწყვეტლივ ჭამდნენ საკვებს სამი-ოთხი კვირის მანძილზე, უცებ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე უარს ამბობდნენ შეთავაზებულ საჭმელზე და მთელი ექვსი თვით იწყებდნენ შიმშილობას, თანაც ასეთი რეჟიმი სრულიადაც არ ვნებდათ მათ.

მე ვიცი შემთხვევა, როდესაც ერთ გველს მთელი წლის განმავლობაში ლუკმა არ ჩაედო პირში და შემდეგ ვითომც არაფერი მომხდარაო, უცებ მივარდა საჭმელს და კარგად გამოძღა. ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადს იცოცხლა ამ გველმა ამსტერდამის ზოოლოგიურ ბაღში. უფრო კარგად და სწრაფად ჭამენ გველები კარგ ამინდში, ღია ჰაერზე. გველის ბინა — ვალია თბილი უნდა იყოს და კარგად ნიავდებოდეს. ტემპერატურა რეომიურით თვრამეტ გრადუსზე დაბლა არ უნდა ჩამოდიოდეს, მაგრამ უმჯობესია, თუ ოცდახუთი გრადუსი იქნება. თუ გველი სათანადო ტემპერატურის პირობებში არაა, არ ჭამს, არ მოძრაობს და, გარდა ამისა, გაცივების გამო პირში ლპობის პროცესი ეწყება. მაგრამ საკმარისია დიდტანიანი რეპტილია დიდ აუზიან თბილ გალიაში მოათავსოთ, რომ თვითონვე განიკურნოს. კვირაობით არ ამოვა წყლიდან, მხოლოდ ცხვირის წვერი აქვს ამოყოფილი სასუნთქავად. წყალი ასუფთავებს დასნებოვნებულ პირის ღრუს, ალბობს წყლულებს, რომლებსაც ცხოველი თავის ქნევით იცილებს. ზოგჯერ ჩვენც მივხმარებივართ და ფრთით მოგვიცილებია დამპალი კორძები. ბევრი გველი გაგვიკურნავს ასე.

გველის გალია დროდადრო „საბავშვო ოთახად“ გადაიქცევა ხოლმე. გველები, რომელთა შესახებაც გიამბობდით აქ, დებენ კვერცხებს და შემდეგ ჩეკავენ; წყლის გველი ცოცხალ წიწილებს შობს. თხუთმეტიოდე წლის წინ ერთხელ შემთხვევა მომეცა საკუთარი თვალით მეხილა ასეთი მშობიარე დე-

და — წარმოშობით Eunectes murinus ბრაზილიის ბინადარი ბუმბერაზი ჯიშის წარმომადგენელი იყო. სიგრძე თხუთმეტი ფუტი ექნებოდა და თანაც საოცრად სქელი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ორმოცდარვა წიწილა დაბადა. დამეთანხმებით, ცალკეული შთამომავლობაა! ეს სასიხარულო ამბავი ვერა და ვერ შეეატყობინე ბედნიერ მამას, რადგან იგი ბრაზილიის ტყეებში დარჩა სადღაც. მაგრამ ნაადრევიც იქნებოდა ჩემი მახარობლობა, რადგან გველის წიწილები, რომლებიც ცალ-ცალკე პარკებში ისხდნენ დაბადებიდან, სამწუხაროდ, მკვდრადშობილები აღმოჩნდნენ. კვერცხისმდებელი გველები ურიცხვ წიწილას ჩეკავენ. მაგონდება რუხი პითონის ჯიშის ერთი გველი, რომელმაც მგზავრობის დროს უთვალავი კვერცხი დადო. როდესაც კვერცხებზე დამჯდარი გველი დავაფრთხე და წამოვაგდე, დავინახე სამი თუ ოთხი წიწილა, რომელთაც თავი გამოეყოთ პერგამენტისმაგვარი ნაჭუჭებიდან. გველის წიწილა ნაჭუჭს ისე იყენებს, როგორც თავის სახლს, დროდადრო გამოძვრება ხოლმე გარეთ და შემდეგ უკანვე შესრიალდება. კვერცხებზე გამოსაჩეკად დამჯდარი გველი „დედიან-ბუდიანად“ დროებით საკმაოდ დიდ გალიაში გადავიყვანეთ. ორმოცდაათი კვერცხიდან ოცდაერთი წიწილა გამოჩეკა, დანარჩენი გაუცუდდა — გაუშრა. ზოგიერთი წიწილა საერთოდ არ გამომძვრალა ნაჭუჭიდან. პირველ ხანებში ძალიან დაგვაფიქრა კვების საკითხმა. ბაყაყებს წიწილები არ მიირთმევდნენ. სამაგიეროდ, ფრიად ესიამოვნათ თეთრი თაგვები, რომლებსაც ისევე ხოცავდნენ და ყლაპავდნენ, როგორც ასაკოვანი გველები. ბოლოს გველის მთელი ოჯახი — დედიან-წულიანად პარიზში მივყიდე lardin d' Acclimatation-ს. სამწუხაროდ, ხეირიანად ვერ მოუარეს გველის წიწილებს და ყველა დაიხოცა. მაგრამ ეს კია, რომ მკვდარი წიწილებისაგან ფიტულები გააკეთეს, კვერცხის ნაჭუჭებში ჩასვეს, და თუ ვინმეს გაინტერესებთ, ახლაც შეგიძლიათ ნახოთ ისინი პარიზის ზოოლოგიურ ბაღში.

რაც უფრო დიდხანს და მეტს ვაკვირდებოდი გველებს, უფრო გაუგებარი ხდებოდა, თუ რატომ არის მიჩნეული ეს ქვეწარმავალი სიბრძნის სიმბოლოდ. უაზრო ღორმუცელობა, საშინელი სიზარმაცე და ზოგჯერ საოცარი გაშმაგება — აი რა

წარმოადგენს, ჩემის აზრით, ძირითადად გველის ცხოვრების თავსა და ბოლოს. მიუხედავად ამისა, სულაც არ ვფიქრობ, ვინმეს დავუმტკიცო, თითქოს ყოვლად უნიკო აოსება იყოს ეს ქვეწარმავალი. ამის საბუთია გველების მომნუსხავ-მომთვინიერებელთა მუშაობის შედეგი, მაგრამ. მე არ მჯერა, თითქოს შეიძლება ამ ცხოველების ნაწილობრივ მაინც ისე მოთვინიერება, როგორც იწვრთნებიან განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ცხოველები. განა გველის მომთვინიერებელს შეუძლია ისეთსავე მეგობრულ ურთიერთობაში იყოს ქვეწარმავალთან, როგორითაც მწვრთნელები არიან სხვა ცხოველებთან? ინდოელი მომთვინიერებლებისაგან განსხვავებით მათი ევროპელი და ამერიკელი კოლეგები არასოდეს არ მუშაობენ კობრებთან ანდა ინდურ სათვალიან გველებთან. დიდ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, მაგრამ უნდა გავამჟღავნო მათი ერთი საიდუმლოება — ისინი გიგანტი გველების (როგორიცაა, მაგალითად, ინდური პითონი ან კიდევ ამერიკული ბოა) მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა ეგზემპლარებთან მუშაობენ.

ხომ ხშირად ნახულობს ჩვენი ხალხი გველებსა და სხვა ცხოველებს ზოოლოგიურ ბაღებში ან ცირკში, მაინც ცოტა რამ იცის მათ შესახებ. ჩემს ზოოპარკში ხშირად მომისმენია ასეთი რეპლიკები: „შეხედე, შეხედე, რა ლამაზი სირაქლემაა. რა შესანიშნავი ფარშევანგის ფრთები აქვს!“ ერთხელ, მახსოვს, ტრიესტში, ერთი პატარა აფრიკული მარტორქა მომყავდა და უცებ ყური მოვკარი საინტერესო საუბარს: „შეხედე, პატარა სპილო მოდის“. „სპილო არა, ის არ გინდა. სადა აქვს ხორთუმი!“ „რა გაგეგება ამ ქვეყნის, ჯერ პატარაა, გაეზრდება!“ საინაძლეოს დავდებ, რომ ათასში ერთი თუ გამოიცნობს. რომელ გველს უჩვენებენ ცირკში ან ზოოპარკში.

გველების მომთვინიერებელ-მომნუსხველთა პროფესია ახლა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წარსულს ჩაბარდა. მაგრამ იყო დრო, როდესაც დიდი რაოდენობით მიხდებოდა გველების იმპორტირება. ერთხელ ერთად ჩამომიყვანეს Pyfhon bivittafus-ის 276 ეგზემპლარი, რომლებიც შემდეგ კარგ ფასად გავყიდე ამერიკის შეერთებულ შტატებში. გველის მომთვინიერე-

ბელი არასოდეს არ იმუშავებს შხამიანი ჯიშის ეგზემპლართან, თუკი მას კბილები არა აქვს დამძვრალი. უპირველეს ყოვლისა, სწორედ გესლგამომყოფ კბილებს ამოაძრობენ მხოხავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საფრთხე ემუქრება მომთვინიერებელს. რადგან გველს ხელახლა ეზრდება შხამიანი კბილები. თავისთავად ცხადია, რომ შხამიანი გველი, თუკი მას დამძვრალი აქვს კბილები, ნაკლებ საშიშია, ვიდრე გიგანტი გველის ახალგაზრდა ეგზემპლარი, ასაკოვანზე რომ არაფერი ვთქვათ. გარდა ამისა, გიგანტ გველს გაცილებით უფრო ძლიერი ყბები აქვს. ვიდრე კობრას.

არასოდეს მინახავს, რომ რაიმე ჯამბაზობა გაეკეთებინოთ გველებს. ერთადერთი რამ, რასაც მიაღწიეს მწვრთნელებმა, ისაა, რომ სიბნელეში ნამყოფი გველი სინათლეში გამოჰყავთ. ჯადოსნიანებული ქვეწარმავალი სრიალს და კლაკვნას იწყებს და მაყურებელს ჰგონია, საცაა თავს დაესხმის მწვრთნელსო, რომელიც მუსიკით დაამშვიდებს მას. დაბეჯითებით გეუბნებით, რომ ბუნებაში არ მოიპოვება ისეთი სულიერი არსება. რომელზედაც მეტნაკლებად არ მოქმედებდეს მუსიკა. რასაკვირველია, იმის თქმას არ ვაპირებ, თითქოს მშიერ გველს მთვარის სონატა ერჩიოს ბაჭიას, მაგრამ ის კი უდავოდ მიმაჩნია, რომ სხვა ცხოველების მსგავსად გველიც სიამოვნებით ისმენს მუსიკას.

კიდევ ერთი ამბავი მინდა მოვუთხრო მკითხველს, თუ არ მოწყინდა ამდენი ლაპარაკი გველებზე. ჯერ კიდევ ჩემი კარიერის დასაწყისში. როდესაც ცირკის დირექტორის მოვალეობას ვასრულებდი, ჩემს მსახიობებში იყო ერთი კაცი, რომელიც თავბრუდამხვევ ნომერს უჩვენებდა ხალხს. არც მეტი, არც ნაკლები — ფეხით დადიოდა ჭერზე. განცვიფრებული მაყურებელი საკუთარი თვალით ხედავს ჭერზე ბუზივით მოსრიალე ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც შემდეგ სირბილითაც შემოუვლიდა ხოლმე წრეს. ამ ჯამბაზობის მთელი საიდუმლოება ის იყო. რომ ფეხზე ეცვა სპეციალურად ამ მიზნით შეკერილი ფეხსაცმელები, რომელსაც შიგნიდან ღრუოვანი ლანჩები ჰქონდა. ეს სიცარიელე ჰაერით ივსებოდა და ამიტომ ფეხები ადვილად „ეწებებოდა“ ჭერზე. წლების განმავლობაში

იმეორებდა იგი ამ ნომერს და კარგა გვარიანი ფულიც მოაგროვა. ბოლოს დაიღალა. გარდა ამისა, რამდენიმეჯერ ფათერაკი შეემთხვა და ყირამალა წამოვიდა ზევიდან. ერთი ლამაზი ქალიშვილი მყავდა გუნდში, წარმოშობით პროვანსელი. ამ კაცმა ერთხელ შემთხვევით ნახა იგი და ძალიან მოეწონა. დახატული გოგო იყო, ნაზი, ტანკენარი, განსაცვიფრებელი შავი თვალები ჰქონდა, საოცრად უხდებოდა შავი კულულები. მოეწონა და ბევრი რომ არ გავაგრძელო, ცოლადაც შეირთო, შემდეგ კი გველების მოთვინიერება შეასწავლა. ამ გზით კარგი შემოსავლის წყარო გაიჩინა ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა.

ახალგაზრდა მანდილოსანმა, რომელსაც ფრიად მელოდრამატული სახელი ერქვა — ნალადამაიანტა, დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ფორეპოგის ცირკში მართავდა გასტროლებს და დიდ ჰონორარსაც ღებულობდა გამოსვლებში. ნალადამაიანტამ გველების წვრთნისა და უვნებელყოფის განსაკუთრებული მეთოდი შეიმუშავა. კაუჩუკის წვრილი ძაფისაგან მოაქსოვინა წმინდა ბადე, ისეთი, როგორსაც ჩვენი ბანოვანები შინიონისათვის ხმარობენ. თავის გველებს ასეთ ბადეს ალიკაპივით წამოაცმევდა პირზე და თავის უკან, კეფის ყველაზე განიერ ადგილას დაამაგრებდა. რამდენიმე დღის შემდეგ გველები მიხვდნენ, რომ ჯიუტობასა და წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ამიტომაც ნება მისცეს მწვრთნელს შეხებოდა კიდეც და ნებისმიერ მდგომარეობაში დაესვა ისინი. წარმოდგენა მიდიოდა აღმოსავლური მუსიკის თანხლებით. გველებისათვის საკუთარი პროექტის მიხედვით გააკეთებინა განსაკუთრებული ყუთები, რომლებიც ღამით თავის საწოლ ოთახში მიჰქონდა. ნალადამაიანტამ განსაკუთრებით იმით მოხიბლა მაყურებელი, რომ წარმოდგენის ბოლოს რამდენიმე გველს თავისუფლად უშვებდა არენაზე და ომახიანი მარშის ხმაზე ჯოხით წამდაუწუმ აღიზიანებდა. გაბრაზებული პირდაფჩენილი გველები გაცხარებით თავს ესხმოდნენ მწვრთნელს, და იყო ერთი სანახაობა. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ვიცი სამხრეთის პირმშვენიერ ასულს რეპუტაცია აღარ გაუფუჭდება, და ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ გავანდო მკითხველს, რომ ამ გველებს დამძვრა-

ლი ჰქონდათ შხამიანი კბილები, და საერთოდ, იგი უმეტეს შემთხვევაში უბრალო პითონებთან მუშაობდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ ჭკუათხელი გველებიც კი მრავალჯერადი განმეორების შემდეგ მიხვდნენ ჯაძბაზობას. თვენახევარში ყველაზე ბრაზიანი გველებიც კი აღარ აკეთებდნენ ეფექტურ ნახტომებს და თავს აღარ ესხმოდნენ მწვრთნელს, როდესაც იგი ჯოხით აბრაზებდა მათ. ამიტომ ნალადამაინტა იძულებული იყო ხშირად ეყიდა ხოლმე ახალ-ახალი გველები. მრავალი წლის განმავლობაში იგი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მუშტარი იყო. თითქმის ყოველ ორ თვეში ერთხელ ვუგზავნიდი ამერიკაში სხვადასხვანაირი გველებით დატვირთულ ყუთებს. ყველა ქვეწარმავალი ხომ ერთნაირი არაა. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ გონიერი იყო და არა მგონი ასე თავის ნებაზე ეთამაშებინოს მწვრთნელს: ბეჯითად არ ვიცი, მაგრამ მე მგონი, ასეთ ეგზემპლარებს იგი მოგებით ყიდდა სხვა მუშტარზე.

გველზე უფრო უსიამოვნო არსება თითქოს რაღა უნდა იყოს. მაგრამ არის ერთი ცხოველი, რომელმაც არც ნაცნობობა იცის, არც მეგობრობა. და ვინც საკუთარი თავის მტერი არაა, მუდამ შორს უნდა დაიჭიროს თავი მისგან. მე მინდა ცოტა რამ გიამბოთ ნიანგებზე, რომელთა წინაპრები მილიონი წლის წინ ბინადრობდნენ პირველყოფილ ტყეებში. დიდად კი ვაფასებ ამ ღორმუცელა მოდგმის შორეულ ისტორიულ წარსულს, მაინც მუდამ ვერიდებოდი: ეგებ ჩემი ბედი იყო, რომ ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას ისეთი დაღი დამასვა ნიანგმა, რომ სამუდამოდ დამამახსოვრდა ამ ოთხფეხა ქვეწარმავლის ვერაგული ბუნება. ერთხელ ერთმა მომცრო ნიანგმა, სულ ორი ფუტის სიგრძისამ, მწარედ მიკბინა საჩვენებელ თითზე და მხოლოდ დროული საექიმო დახმარების წყალობით გადავრჩი ხელის ამპუტაციას. ამის შემდეგ დაახლოებით ორიათასმა ნიანგმა მაინც გაიარა ჩემს ხელში და, როგორც ხედავთ, არც ერთ მათგანს არ გადავუსანსლივარ. მით უფრო გასაკვირია ეს, რომ ერთხელ, დიუსელდორფის გამოფენაზე გასაგზავნი ოცი ალიგატორის შეფუთვის დროს უცაბედად თავდაყირა გადავეშვი ნიანგებით სავსე აუზში! ენით აუწერელია, რა სწრაფად ისაზრებს

და მოქმედებს თურმე ადამიანი, საშიშროების წინაშე რომ ალმოჩნდება. სანამ ნიანგები გონს მოვიდოდნენ და მიხვდებოდნენ, რაც მოხდა, მე უკვე ამოსული ვიყავი აუზიდან. ერთი ნიანგი მაინც რომ მომწვდენოდა, ვერავითარი ლოცვა-კურთხევა ვერ გადამარჩენდა. გამოცდილებით ვიცი, რომ თუ ერთმა ნიანგმა მაინც ჩაავლო თავისი ბასრი კბილები მსხვერპლს, იმ წუთშივე დანარჩენებიც მიცვივდებიან და გათავებულია საქმე.

არაერთხელ ვყოფილვარ ალიგატორების ბრძოლის მოწმე. მართალი გითხრათ, საშინელი სანახავია. მე კი ორმაგად მეწვოდა გული, რადგან ასეთი ბრძოლის დროს ძვირფასი საქონელი მეღუპებოდა და გვარიან ზარალს ვნახულობდი. გამძვინვარებული ნიანგი დაუნდობელია. ჭიანჭველებისა არ იყოს, რომ დაერევიან ერთმანეთს ჩხუბის დროს, მანამდე არ მოისვენებენ, სანამ თავს არ გაუჭეჭყავენ მოწინააღმდეგეს. ერთხელ, ეს იყო ოთხმოციან წლებში, საკუთარი თვალით ვუყურე ნიანგების ასეთ ცხარე ბრძოლას. ის-ის იყო ალიგატორების დიდი, პარტია მივიღეთ — სამასი ცალი ოთხფეხა ქვეწარმავალი. გზაში გუნება გაფუჭებოდათ, საშინლად გაავებულები იყვნენ. მძვინვარებისაგან ისე ქშინავდნენ, გეგონებოდათ მანქანა ორთქლს უშვებსო. ალიგატორიანი ყუთები სპეციალური ღობის უკან დავალაგეთ დიდი აუზის ირგვლივ. ის იყო ძეხუთე თუ მეექვსე ალიგატორი გამოძვრა თავისი ყუთიდან, და ყოველგვარი მიზეზისა და საბაბის გარეშე ცოფიანი ძაღლებივით ეცენ ერთმანეთს და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ჩაებღაუჭენ ერთმანეთს, კუდებით საშინელი ტყლაშა-ტყლუში ატეხეს, აქოშინდნენ, დორბლები გადმოყარეს, აგორდა ეს ცოცხალი გორგალი აუზში, აგორდა, მაგრამ რა აგორდა. იშვიათად ნახავს კაცი ასეთ გამძვინვარებულ დაუნდობელ ჩხუბს. ხმლების ჭახა-ჭუხს გავდა ძვლების მტვრევის ხმა, ლუკმა-ლუკმა აგლეჯდნენ ერთმანეთს ხორცს. აქაფდა წყალი, ჯერ თეთრად, შემდეგ თანდათან სიწითლე შეეპარა — უხვად სდიოდათ მოჩხუბრებს სისხლი ღრმა ჭრილობიდან. როგორ არ ვეცადეთ მოჩხუბართა გაზავებას, არაფერი გამოგვივიდა. სხვა ვერაფერი ვიღონეთ და პირამდე ავავსეთ აუზი, რომ ღრმა წყალში უფრო ადვილად

დაეცვათ თავი. მეორე დღეს წყალი გავუშვით და ბრძოლის ველს დავხედეთ. ექვსივე ნიანგი დაგვხვდა, ზოგიერთი ჯერაც ცოცხალი იყო, მაგრამ რაღაა ასეთი სიცოცხლე! ორ ალიგატორს ყბები ჰქონდა დამსხვრეული, მეორე ორს წინა თათები მოტეხოდა და კანზეღა ეკიდა. მეხუთესათვის თვალი დაეკარგოთ, მეექვსესათვის კი კუდი მოეჭამათ ძმაკაცებს. ამ ექვსეულიდან სწორედ ეს უკუდო გადარჩა. რომ გაჯანსაღდა, გავყიდეთ.

ასეთი მწარე გამოცდილება რომ შევიძინე, შემდეგში სხვაგვარად ვიქცეოდი. ყველა ახლადმიღებულ ნიანგს წვრილი თოკისაგან ნაქსოვი ალიკაპით ვუკრავდი პირს. როგორც წესი, ყოველთვის ჩხუბით იწყებოდა მათი ნაცნობობა, მაგრამ ზიანს კი ვეღარ აყენებდნენ ერთმანეთს, რადგან მაგრად ჰქონდათ პირი აკრული. ექვსი-რვა დღის შემდეგ ალიგატორები მშვიდდებოდნენ და ალიკაპებს ვხსნიდი. შორს დავდგებოდი და გრძელ ჯოხზე მიმაგრებული დანით გადავჭრიდი ხოლმე ნიანგის კისერზე შეკრულ თოკს. შემდეგ გრძელ კაუჭს გამოვდებდი მარყუჟს და ასე წამოვაძრობდი ალიკაპს ცხვირიდან. თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა ნიანგს ერთდროულად არ ვათავისუფლებდით. ბევრი დრო გაივლიდა, სანამ ისინი პირის დაფჩენის უფლებას მოიპოვებდნენ.

ნიანგს კვირაობით, ზოგჯერ თვეობითაც შეუძლია იშიმშილოს. ალიგატორებს ცხელ დღეებში ვაძლევდი საჭმელს, უმეტესად საღამოს საათებს ვარჩევდი. ავიღებდი ცხენისა და ძროხის წვრილად დაჭრილი ფილტვებით სავსე ვედროს, მივიდოდი აუზთან და ნაჭერ-ნაჭერ, თანაც ტყლაშუნით ვუყრიდი წყალში. ნიანგები თავს ამოყოფდნენ წყლიდან და დაეძგერებოდნენ ხორცს. შემდეგში ცოტა სხვაგვარად ვიქცეოდი. ხორცის ნაჭერს ხის ერძელი ჯოხის წვერზე წამოვაგებდი, წყალში ჩავყოფდი და ვუცდიდი, სანამ გამომართმევდნენ მიწოდებულ ლუკმას. თანდათან მივიჩვიე ცხოველები, უფრო და უფრო ახლოს მივდიოდი ხოლმე აუზთან, ბოლოს იმასაც მივაღწიე, რომ ერთი თვის ან თვენახევრის შემდეგ ზოგიერთი მათგანი პირდაპირ ხელიდან მართმევდა საჭმელს. მაგრამ არ იფიქროთ,

თითქოს მტკიცე საფუძველი ჰქონდა ასეთ ნდობას. ნიანგსა და ადამიანებს შორის მეგობრობაზე ლაპარაკი უაზრობაა. თუ სიფრთხილის განსაკუთრებული ღონისძიებები არ მიიღე, ისე მოგაჭამენ ხელს მიწოდებული ხორცის მაგივრად. ვითომც არაფერი იყოს. საჭმელს რომ ვაძლევდით ნიანგებს, ყოველთვის ქშინავდნენ, მაგრამ ეს სიბრაზის ნიშანი არ იყო.

უასაკო ალიგატორებს ხშირად უკვე მერვე დღეს ვაჩვევდი ხოლმე ჩემი ხელით კვებას. ცხრაგირვანქიანმა ნიანგმა, ე. ი. არც თუ მაინცდამაინც დიდმა ეგზემპლარმა, ერთხელ ჩემს თვალწინ ორმოცდასამი გირვანქა ხორცი გადასანსლა. კარგი მოვლის პირობებში ნიანგი ძალიან სწრაფად იზრდება. ჩემი ვარაუდით, თვრამეტი ან ოცი წლის ასაკში ამთავრებს ზრდას.

ყველაზე დიდი ალიგატორი, რომელიც საკუთარი თვალით მინახავს, სიგრძით თორმეტი ფუტი იყო, თუმცა გამიგონია, რომ თოთხმეტფუტიანიც ბევრი მოუკლავთ. ჩემ მიერ იმპორტირებული ნიანგების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნებოდა Alligator missisipiensis ჩვეულებრივ სახეობას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატების სამხრეთ შტატებში ბინადრობს. ამ ცხოველების პირველი ტრანსპორტი 1856 წელს მივიღეთ; იგი ჩამოიყვანა ჰამბურგის ძველმა მკვიდრმა, გვარად ტიშერმა. იგი ახალ ორლეანში ცხოვრობდა და ნიანგებისა და სხვა ცხოველების ჭერას მისდევდა. მამაჩემის მიერ შესყიდული მხეცები ბრემენში ჩვენ მიერ სპეციალურად დაქირავებულ პატარა გემზე გადავტვირთეთ. ამ ხომალდით ჰამბურგში ჩამოვიტანე სხვადასხვა ზომის ალიგატორებითა და სხვა ცხოველებით (მათ შორის იყო სხვადასხვა სახეობის რამდენიმე კუ, აგრეთვე ჩხრიალა გველები და ამერიკული ანკარები) დატვირთული ოცდაათიოდე ყუთი. ეს ტრანსპორტი ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ექვსას პრუსიულ ტალერად შევისყიდეთ. ასეთი მორიგებით გახარებულმა გამყიდველმა ერთი პატარა ალიგატორი მაჩუქა, სულ სამნახევარი ფუტი სიგრძისა თუ იქნებოდა. თუმცა ცალი თვალით ბრმა გამოდგა ჩემი „ნობათი“, მაგრამ ნათქვამია, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო.

ცხოველები დავაბინავეთ სან-პაულიში, მუზეუმის ძველ შენობაში გამართულ სათავსოში, რომელიც მეტისმეტად პრიმიტიულად იყო მოწყობილი. ალიგატორების ერთი ნაწილი სელაპებისათვის განკუთვნილ ვარცლებში ჩავსვით. უკლებლივ ყველა კუ ჰამბურგის მუზეუმს მივყიდეთ. მეთვალყურე ზიგელი, შემდგომში ჰამბურგის ზოოლოგიური ბაღის ინსპექტორი, კარგად იცნობდა ამ ცხოველებს, რომელთა უმეტესი ნაწილი მან შემდეგში ევროპის სხვადასხვა მუზეუმს მიჰყიდა. ყველაზე მეტი მუშტარი იმ ხანებში ნიანგს ჰყავდა, რადგან ეს ცხოველი იშვიათობას წარმოადგენდა მუზეუმებისა და სამხეცეებისათვის. ჩემი ცალთვალა ალიგატორი რვა პრუსიულ ტალერად გავყიდე. თორმეტი წლის ბიჭისათვის ეს მთელი ქონება იყო. ასეთი ცხოველების ტრანსპორტები ტიშერს მომდევნო წლებშიც ჩამოჰყავდა ჰამბურგში. შემდეგ კი ისე გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყოო. გვიან შევიტყვეთ, რომ გველის ნაკბენს მოუკლავს ეს კაცი.

განგსა და ბრაჰმაპუტრაში ბინადარ დიდ ინდურ ნიანგებთან შედარებით ამერიკული ალიგატორები ნამდვილი ჯუჯები არიან. ერთ-ერთი ასეთი გიგანტი კიპლინგმა აღწერა და მთავარ მოქმედ პირადაც გამოიყვანა თავის შესანიშნავ მოთხრობაში „გვამების მესაფლავე". გავიალის ჯიშის (Gavialis gangeticus) ერთი ახალგაზრდა ნიანგი, ოცდაოთხი ფუტი სიგრძის გიგანტი, მდინარეში ცხოვრობს ერთი ინდური სოფლის მახლობლად და დღენიადაგ ზვარაკს ითხოვს სოფლელებიდან. „მუგერ მუგერგატი" გახლდათ ეს ღორმუცელა. როგორც კიპლინგი წერს, ურჩხული ხომალდის სამმაგად დამოქლონილ, ლურსმნებით შემოჭედილ და ფისით შემოგლესილ ფუტლარში იწვა. ფლეიტისმაგვარი ქვედა ყბიდან ყვითელი ბასრი კბილები მოუჩანდა. მე მგონი, ინგლისელი მწერალი სავსებით მართალ სურათს აღწერს. დიდი ხნის წინ ერთხელ მეც შევისყიდე ორი ასეთი ცხოველის ტყავი. ჩემმა მომავალმა აგენტმა იოჰანსენმა, რომელიც იმხანად ჰანზეის გემზე მუშაობდა უფროს ოფიცრად, ჩამომიტანა ეს ტყავები, რომლებიც ახლა ვენის სამეფო მუზეუმში ინახება.

აი რა მიამბო იოჰანსენმა ამის თაობაზე. რამდენიმე წლის წინ ასამიდან ორჩხომელით სპილოების ქარავანი მომყავდა მდინარე ბრაჰმაპუტრაზე და უცებ ორი გავიალი დავინახე, თვითეული ოცდახუთი ფუტი სიგრძისა იქნებოდაო. მაშინვე ვესროლე ნიანგებს და სამასი რუპია შევთავაზე ორჩხომელის კაპიტანს, თუ დამეხმარებოდა და გემბანზე ამომათრევინებდა ძვირფას ნადავლს. სამწუხაროდ, ჩვენმა მოწადინებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. სწრაფმა დინებამ ხელი შეგვიშალა და ნიანგები ვეღარ ვიპოვნეთო. იოჰანსენი ირწმუნება, რომ უფრო დიდი გიგანტი-ნიანგებიც მინახავს, ოცდაათი ფუტი სიგრძისაო. კვლავ რომ წავიდა სამოგზაუროდ, დავავალე გავიალების ჩამოყვანა. ასეთი ცხოველის ცოცხლად ჩამოყვანა მაშინ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ახალგაზრდა ეგზემპლარები ტრანსპორტირებას ვერ უძლებდნენ და იხოცებოდნენ ხოლმე. თეთრ ნილოსსა და აფრიკის დიდ ტბებში ოცი ფუტი სიგრძის ნიანგები ცხოვრობენ. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი მაინც ინდური ნიანგია. ეგებ ოდესმე ტყვეობაშიც ვიხილოთ ეს გიგანტი?

X

ცხოველების მოშენება და აკლიმატიზაცია

როდესაც სამოციან წლებში პირველად ჩავედი ინგლისში, ზამთარში ერთ სამხეცეში, რომელიც ვინმე დეიუს ეკუთვნოდა, დიდი შიმპანზე ვნახე. მაიმუნი თოვლში გორაობდა ტილოს კარვის სახურავზე. როდესაც შეცივდებოდა, კარავში შეძვრებოდა და ღუმელთან თბებოდა. შიმპანზე ისე იქცეოდა, როგორც ადამიანი, რომელიც თავისი ნებით გადის ხოლმე სიცივეში, რადგან იცის, რომ ეს ჯანმრთელობას რგებს, მაგრამ ძალიან თუ შეაწუხებს ყინვა, სითბოს დაუწყებს ძებნას. ამ პატარა ეპიზოდმა ჩამაფიქრა.

შემდგომში მიუნსტერშიც (ვესტფალია) მინახავს ჰაერზე სასეირნოდ რომ გამოჰყავდათ მაიმუნები ზამთარში. გარეთა გალია შიგნითასთან დაკავშირებული იყო დასაკეტი კარით, რომელსაც ცხოველი თვითონვე აღებდა, როცა ერთიდან მეორეში მოუნდებოდა შესვლა. შიდა სათავსოში რეომიურით ათიდან თხუთმეტ გრადუსამდე სითბო იყო, მაგრამ ცხოველები ოცგრადუსიან ყინვაშიც კი გამოდიოდნენ სასეირნოდ.

ყოველთვის მაინტერესებდა, შეიძლება თუ არა ჩვენი ზამთრის ტემპერატურას შევაჩვიოთ ცხელი ქვეყნის ცხოველები ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს მათ ჯანმრთელობას. დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ სანამ შემთხვევა არ მომეცა, პრაქტიკულად ვერ განვახორციელე. ამაში ისიც დამეხმარა, ძალიან მიყვარდა ცხოველები და გულმოდგინედ ვაკვირდებოდი მათ ცხოვრებას. ეს მოხდა ნოიენპფერდმარკტზე მოთავსებული ჩე-

მი საწარმოს ორგანიზაციის დასაწყისში. ერთხელ, სექტემბრის თვეში ინდოეთიდან ჩამომიყვანეს სარუზის წერო, მორუხოცისფერი დიდი ლამაზი ფრინველი, ლოყები თითქოს წითელი საღებავით ჰქონდა მოხატული. ფრინველი ღია ვოლიერში ჩავსვით ეგრეთწოდებული სელაპის ტბორის მახლობლად, სადაც დაზამთრებამდე ვამყოფეთ. ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, რაც საერთოდ ხშირად ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, საქმეზე გავემგზავრე. ერთი კვირის შემდეგ უკან რომ დავბრუნდი, ზამთარი უკვე ძალაში შესულიყო. ღამე იყო, და თუმცა ჩვეულებად მქონდა საღამოხანს ცხოველების შემოვლა, მგზავრობისაგან დაღლილმა დავიზარე და ძილი ვარჩიე. გამთენიის ხანს წეროს უჩვეულო ყვირილმა გამაღვიძა. მაშინვე ლოგინიდან წამოვარდი და, შეჭირხლული ფანჯრები რომ დავინახე, ელდა მეცა. თერმომეტრი ექვს გრადუს ყინვას უჩვენებდა. ჩემი საბრალო წერო, გავიფიქრე შეშინებულმა, ალბათ ყინულის ლოლუად იქცა ამ სიცივეში, ფეხებიც მოეყინებოდა, უძრავად თუ გდია ახლა გაყინულ მიწაზე-მეთქი. სასწრაფოდ გადავიცვი ტანსაცმელი და გარეთ გამოვვარდი. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული და განცვიფრება: ეშმაკუნა წერო, თითქოსდა დამცინის, ასე რამ შეგაშინაო, ცეკვა-ცეკვით დახტოდა და დაკუნტრუშებდა, მხიარულად აფათქუნებდა ფრთებს და ზამთრის სუფთა ჰაერით გახალისებული ომახიანად გაჰყვიროდა. რახან ეგრეა, ჩემო ლამაზო, რახან შესანიშნავად გრძნობ თავს და სულაც არ გაწუხებს ექვსგრადუსიანი ყინვა, ჩემი შეცოდება და თანაგრძობა აღარ გჭირდება. ინავარდე თავისუფლად. მერე რა, რომ ჩვეულებრივი ზამთარი უცხოა შენთვის, სამაგიეროდ, სუფთა ჰაერი მოგიხდება და გაგაკაჟებს. მისსავე ვოლიერში ავუშენე ქარისაგან დაცული, მაგრამ სამხრეთის მხრიდან ღია თავშესაფარი, რომელიც შიგნიდანაც და გარედანაც კარგად დავათბუნე თივით. იმ წელიწადს ხანგრძლივი და ცივი ზამთარი დაიჭირა, მაგრამ ჩვენს წეროს აზრადაც არ მოსვლია სითბოში შესვლა. ქარსა თუ ქარბუქში, თოვლსა თუ წვიმაში ღია ჰაერზე დანავარდობდა და შესანიშნავად გრძნობდა თავს. სწორედ ამ წეროს უნდა ვუმადლოდე ჩემს პირველ ცდას, რომლის საფუძველზეც ტყეობა-

ში მყოფი ცხოველებისათვის მაქსიმალურად შესაძლო თავისუფლების მინიჭების საკუთარი სისტემა ჩამოვაყალიბე შემდგომში.

ამ პირველი დაკვირვებების შემდეგ დავიწყე საკუთარი სისტემით ცხოველთა აკლიმატიზაციის ცდების ჩატარება. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ამ მუშაობამ და კარგი შედეგებიც მომცა შტელინგენის ზოოლოგიურ პარკში. სხვა ქვეყნების ბინადარი ცხოველების აკლიმატიზაციის ხელოვნება მხეცებით ვაჭრობის ერთ-ერთ ძირითად პირობად იქცა ევროპაში გარეული მხეცების პირველი ტრანსპორტის ჩამოყვანისთანავე, თუმცა პირველ ხანებში, როდესაც არც სათანადო ცოდნა გვქონდა და არც გამოცდილება, თითქმის ბრმად, გარკვეული სისტემის გარეშე ვმუშაობდით. ცხოველების პრაქტიკული მოვლით უნდა შეგვემუშავებინა ისეთი ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც უცხო გარემოში მოხვედრილი ცხოველები მიეჩვეოდნენ ცხოვრებისა და კლიმატის შეცვლილ პირობებს და ხელოვნურად მომზადებულ საჭმელს.

წარმოსადგენადაც კი ძნელია, რაოდენ დიდი ძვრები ხდება ცხოველის ცხოვრებაში ტყვეობაში მათი ყოფნისა და მოშენების დროს. მტაცებელი მხეცი ბუნებაში თავისუფლად დანავარდობს სივრცეში, და დროთა განმავლობაში თანდათან უვითარდება სიმამაცე, ეშმაკობა და ძალ-ღონე, რადგან იძულებულია დღედაღამ ეძებოს ნადავლი, ჩაუსაფრდეს, ინადიროს და შემდეგ თან წაათრიოს. ტყვეობაში კი იგი მოკლებულია ძირითადი თვისებების გამომჟღავნების საშუალებას, შეზღუდული აქვს მოძრაობაც კი, რომელიც აუცილებელია მისი ჯანმრთელობისათვის. ველ-მინდვრებსა და ტყეებში ბინადარი ბალახისმჭამელი ცხოველები — ჟირაფები და სპილოები, ნაზი ქურციკი, რომლებიც ოდითგანვე მიჩვეული არიან ჯოგებად ცხოვრებას და დიდ მანძილზე იცვლიან ადგილსამყოფელს, ტყვეობის დროს უჩვეულო გარემოში აღმოჩნდებიან ხოლმე და ჯოგისაგან მოწყვეტით განმარტოებული ცხოვრება უხდებათ. ასე რომ, ირღვევა ცხოველის ჩვეულებრივი ცხოვრების ყაიდა, თავისუფალი ნება პარალიზებულია, ცხადია, რომ ბუნების სილაღის შემდეგ ხელოვნურ პირობებში მოხვედრა იწ-

კევს ორგანიზმის დასუსტებას, ხელს უწყობს დაავადებებს და ამცირებს სიცოცხლისუნარიანობას. ახლადდაჭერილ ცხოველებში ხშირად აღინიშნება მკაფიოდ გამოხატული დეპრესია და ამიტომ აუცილებელია სათანადო ზომების მიღება. განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი ცხოველები, განსაკუთრებით გორილები, როგორც ჩანს, სამშობლოზე დარდით იხოცებიან ტყვეობაში.

აკლიმატიზაციის მიზანია ყველა ამ თანდაყოლილი თვისებების წინააღმდეგ ბრძოლა. სხვადასხვა ჯიშის ცხოველები სხვადასხვაგვარად იტანენ აკლიმატიზაციას. ერთი ჯიშის ცალკეული წარმომადგენლებიც კი ერთნაირად არ რეაგირებენ ჩატარებულ ცდებზე, თუმცა ძირითადი გამოვლინებანი მაინც საერთოა. ჰავის გამოცვლას უფრო ადვილად ეგუებიან დიდი კონტინენტური ვაკეების ბინადარი ცხოველები, რადგან ისინი ისედაც შეჩვეული არიან დღისა და ღამის ტემპერატურათა მკვეთრ ცვალებადობას. როდესაც ლაპარაკია კონტინენტურ ცხოველებზე, მაღალმთიანი რაიონების ბინადრებზე ანდა ტრამალების მცხოვრებზე ან კიდევ ზღვის ცხოველებზე, ახალ პირობებს ისინი სრულიად სხვადასხვაგვარად ეგუებიან.

ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში დავიწყე ჟირაფებისა და სპილოების აკლიმატიზაციის ცდების ჩატარება ნოიენ-პფერდმარკტზე მდებარე ჩემს ზოოპარკში. და უკვე მაშინ დავრწმუნდი, რომ დაბალი ტემპერატურა არავითარ ზიანს არ აყენებს ცხოველებს. იმ წელიწადს მკაცრი ზამთარი დაიჭირა; მიუხედავად იმისა, რომ განუწყვეტლივ ვანთებდით ღუმელებს, ჟირაფების სადგომში ტემპერატურა რეომიურით ოთხ გრადუსს არ ასცილებია, ღამით კი სამ გრადუსზე ჩამოდიოდა, მიუხედავად ამისა, ჟირაფები კარგად გრძნობდნენ თავს.

ხანგრძლივი დაკვირვებისა და ცდების შედეგების საფუძველზე წარმოშობილი აზრებისა და იდეების განხორციელება კი მხოლოდ მაშინ შევძელი, როდესაც საფუძველი ჩავუყარე „ცხოველების სამოთხეს“ (ამის შესახებ ქვემოთ გიამბობთ). დიახ, ჩემს მიერ შექმნილი შტელინგენის ზოოლოგიური პარკის ერთი მთავარი ამოცანა იყო სწორედ ცხოველების აკლიმატიზაციის ცდების ჩატარება, აგრეთვე ცხოველთა ახალი სა-

ხეობების გამოყენანა ზოოლოგიური ბაღებისათვის. ჩემი ძირითადი სახელმძღვანელო იდეა მაშინ ის იყო, რომ პირველ პლანზე ყოფილიყო ცხოველი, ავდრისაგან დასაცავად ნაგებობებსა და ბაკებს კი დამხმარე როლის შესრულება დაკისრებოდათ. მთავარი ყურადღება ექცეოდა ზოოპარკში ცხოველების ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც შესაძლებლობისდა კვალობაზე საშუალებას მისცემდა მათ გამოევლინებინათ ბუნებრივი ზნე-ჩვეულებანი.

სამი წლის წინ ოქტომბერში შტელინგენში ახალგაზრდა სირაქლემების ტრანსპორტი ჩამოიყვანეს აფრიკიდან. ეს ფრინველები ძველად მიღებული წესის მიხედვით კი არ მოვათავსეთ სეზონისათვის შესაფერისად გამთბარ დახურულ შენობაში, არამედ თავისუფლად გავუშვით შემოღობილ ტერიტორიაზე. ამ დიდ ბაკში სპეციალურად ავუშენეთ ხის სახლი ღამის გასათევად. ასე გაატარეს სირაქლემებმა მთელი ზამთარი და მშვენივრად გადაიტანეს სიცივეები, თუმცა რეომიურის თერმომეტრი ზოგჯერ ათ გრადუს ყინვას უჩვენებდა. 1906 წლის პირველ იანვარს თოთხმეტგრადუსიანი ყინვა დაიჭირა. სირაქლემებმა ამ დღეს ჰაერზე დაჰყვეს თითქმის მთელი ხუთი საათი — დილის ათი საათიდან სამ საათამდე. ფრიად განცვიფრებული დავრჩი, როდესაც დავინახე, რომ ისინი სიამოვნებით იღებდნენ თოვლის აბაზანებს. ამ ექსპერიმენტში თორმეტი სირაქლემა მონაწილეობდა.

თავისთავად ცხადია, ცხოველებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ სურვილისამებრ თავი შეაფარონ ბინას. სირაქლემებისათვის აგებულ შენობაში დავყარეთ ათი სანტიმეტრის სისქეზე ტორფის ფენა, რომელსაც სქლად დავაყარეთ ზემოდან ბზე. ვენტილაციის მიზნით ბინის ფანჯრები მთელი დღე-ღამის განმავლობაში ღია გვქონდა, ასე რომ, შენობაში საკმაოდ ციოდა. მთელი ზამთრის განმავლობაში ფრინველებმა სულ რვა დღე თუ გაატარეს ბინაში, ისიც მაშინ, როდესაც მიწა მოიყინა: შეიძლებოდა დაცურებულიყვნენ და ფეხი მოეტეხათ. ერთი ფრინველი მაინც დაგვეღუპა — შენობაში დაიწყო ნავარდი და ანცობის დროს ფეხი მოიტეხა.

იმ მიზნით, რომ უფრო ეფექტური შედეგი მიმეღო ცხო-

ველთა აკლიმატიზაციის მიზნით ჩატარებული ცდების დროს, ჩემს ზოოლოგიურ პარკში წინასწარ მოვაწყვე სათანადო ნაგებობანი. ავაგეთ სპეციალური შენობები, რომლებიც აღჭურვილი იყო სხვადასხვაგვარი მოწყობილობებით, მაგალითად, ფარდულებით, სადაც ცხოველები წვიმასა და თოვლში თავს შეაფარებდნენ და მშრალ მიწაზე დაწვებოდნენ. ზოგიერთ ნაგებობას კუთხური გამოსასელელები გავუკეთეთ, რომ ქარი პირდაპირ არ მოხვედრილიყო ცხოველების სადგომში. გვერდითა მხრიდან ჩამოვაბით კარები, რომელსაც ჯერ დერეფანში შევყავართ და შემდეგ შენობაში. ეს პავილიონები არ თბება, კარებიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში ზამთარ-ზაფხულ ღიაა, ასე რომ, ცხოველებს შეუძლიათ, როცა კი მოესურვებათ, შევიდნენ შენობაში ან გამოვიდნენ გარეთ. სიცივე მაინც არაა ასეთ პავილიონში. სააკლიმატიზაციო შენობებიდან ნაკელი გარეთ კი არ გამოაქვთ, არამედ იქვე ტოვებენ და ერთ ფუტ სიმაღლეზე რომ დაგროვდება, შემდეგ ყოველდღიურად ზევიდან აფარებენ მშრალ ბზეს; წვას რომ იწყებს ნაკელი, სითბოს გამოჰყოფს. ასე რომ, ცხოველებს გამთბარი საწოლი აქვთ. სუფთა ჰაერი კი, რომელიც განუწყვეტლივ შემოდის შენობაში, კარგად აშრობს ბზის ზედა ფენას.

ასეთივე ცდები ჩავატარეთ მტაცებელ მხეცებზე და გამოირკვა, ლომები და სამეფო ვეფხვები ზოოპარკში მოწყობილ ბუნაგში კარგად იტანენ სიცივეს ღია ჰაერზე. ღია ვოლიერის უკან აგებულ პავილიონში გაამართულია სპეციალური გამთბობი მოწყობილობა, რომელიც ვოლიერის გასათბობად მხოლოდ დიდ სიცივეებში გამოიყენება, ისიც იმ მიზნით, რომ მიწა არ გაიყინოს. ცხოველები ყოველდღე გამოდიოდნენ გარეთ და თოვლსა და წვიმაში თავისუფლად დანავარდობდნენ ღია ჰაერზე. ერთი ინდური ჯიქი ისე შეეჩვია სიცივეს, რომ იშვიათად თუ შევიდოდა თავის გალიაში, დღის უმეტეს ნაწილს ზამთარში გარეთ ატარებდა, ერთი დიდი ხის ტოტზე ნებივრად წამოწოლილი. განსაცვიფრებელი შედეგი მოგვცა ღია ჰაერზე ორი ახალგაზრდა ლომის ყოლამ, რომლებიც პირველ ხანებში დახურულ შენობაში იზრდებოდნენ და ჭირიანებივით დღე ერთი იყო და ათჯერ ავადმყოფობდნენ. მხეცები დიდ ყუთში ჩასვეს

და ისე გამოიყვანეს გარეთ. ხის უბრალო ყუთი იყო მათი თავშესაფერი. ის ღღე იყო და ის — მოიხედეს, მომჯობინდნენ და ახლაც შესანიშნავად გრძნობენ თავს. გადაწყვეტილი მაქვს, უახლოეს წლებში ჩემს ზოოლოგიურ პარკში ასეთი ვოლიერები მოვაწყო ჯიქების, ავაზების, პუმებისა და ვეფხვებისათვის.

აკლიმატიზაციის ასეთი ცდები მაიმუნებზეც შეიძლება ჩატარდეს, როდესაც დამთავრდება მათთვის განკუთვნილი შესაფერისი შენობის აგება. ჯერჯერობით კი ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ გვაქვს გაკეთებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ცდას ორ ორანგუტანგზე, რომლებიც შესანიშნავად შეეგუენ ახალ ჰავას. როდესაც ეს ცხოველები (წარმოშობით ისინი ბორნეოს დასავლეთ სანაპიროდან იყვნენ), ექვსი წლის განმავლობაში უკვე ნამყოფნი ტყვეობაში, შტელინგენში ჩამოიყვანეს, ჩავსვით დიდ გალია-ვაგონში, რომელიც სამხრეთის მხრიდან ღია იყო. ვაგონში კი ყუთი დავუდგით სიცივის დროს თავის შესაფარებლად. დარაჯის თანხლებით მაიმუნები ყოველდღე სეირნობდნენ პარკში და ერთხელაც არ გამხდარან ავად.

აქ მოყვანილი მაგალითებით არ ამოიწურება იმ ცხოველების სია, რომლებზედაც ჩატარდა აკლიმატიზაციის ცდები. ზამთრობით ჩემი ზოოლოგიური პარკი ისეთივეა, როგორც ზაფხულობით. სარუზის წეროები, გვირგვინოსანი წერო, ნუმიდიის წეროები, უცხო ქვეყნებიდან ჩამოყვანილი უამრავი ხოხობი, ავსტრალიური შავი გედები მთელი ზამთრის განმავლობაში თავისუფლად დანავარდობენ და თვალს ახარებენ. მარაბუ და იბისები კარგად იტანენ ხუთ გრადუსამდე ყინვას. ავსტრალიური კაკადუ-განგა და არარა რვა გრადუსი ყინვის დროსაც კი არ შედიან გალიაში თავშესაფარებლად. რასაკვირველია, შეუძლებელია ყველა ტროპიკული ძუძუმწოვარა ცხოველისა და ფრინველის, დიდისა თუ პატარას, აკლიმატიზაცია. ასევე ვერ შეეგუებიან ჰავისა და გარემოპირობების მკვეთრ გამოცვლას ზოგიერთი სახეობის ქვეწარმავლები და ამფიბიები. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ამ მიმართულებით წარმოებული შემდგომი ცდები ბევრ გასაოცარ შედეგს გამოიღებს.

აკლიმატიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ცხოველე-

ბის მოთავსება დიდ შენობაში ან ბაკში, რათა მათ თავისუფლად შესძლონ მოძრაობა. შტელინგენის ზოოლოგიურ პარკში ცხოველების ყოველ ცალკეულ ჯგუფს ისე შეეურჩიე ადგილმდებარეობა, რომ შემექმნა რამდენადმე მაინც მათი ჩვეულებებისა და თავისებურებების შესაფერისი გარემო პირობები და ამავე დროს ცხოველებს თავისუფლების ილუზია ჰქონოდათ. თან იმასაც ვითვალისწინებდი, თუ რა გუნებაზე იყვნენ ტყვექმნილი ცხოველები. ის მხეცები, რომლებიც დიდ ბაკებში მოვათავსეთ თავიანთი „ნათესავების“ ან და სხვა ჯიშის ცხოველების მეზობლად, გაცილებით უფრო მხნედ გრძნობდნენ თავს და მალე ეჩვეოდნენ ახალ ჰავას, ვიდრე ცალ-ცალკე დამწყვდეულები. ტყვეობაში მყოფი ცხოველის ჯანმრთელობის უბოროტესი მტერია სევდა. მოძრაობა ახალისებს ცხოველს, კარგ გუნებაზე აყენებს, ასეთ პირობებში მადაც უკეთესი აქვს და სხეულიც თავის ჩვეულ მოქნილობას ინარჩუნებს. ამ შემოღობილ დიდ სივრცეებში თავისუფლად დარბიან ტყეებისა და ტრამალების ბინადარი ფეხმარდი ცხოველები, ამ ბაკების გვერდით ამფითეატრივით შეფენილ მდელოებზე ერთად სეირნობენ სხვადასხვა ჯიშის ცხოველები, რომლებიც ავდარში თავიანთ ბინებში მიდიან თავშესაფარებლად. ცოტა უფრო მოშორებით ხელოვნურ კლდეებზე ჩრდილოეთისა და სამხრეთის მთის ცხოველები დაბანაკებულან. აი მთის პლატოზე ჩრდილოეთის ირმების ჯოგი შეფენილა, მათ ხომ ქარისა არ ეშინიათ. ყინულოვან კლდეებისმაგვარ ქვებზე თეთრი დათვები მიბობღავენ დინჯად. მრავალრიცხოვანი კაშხალებით ალაგ-ალაგ გადაღობილი დიდი ტბორები ხელს უწყობს წყლის ფრინველების, სელაპების, პინგვინების სწრაფ აკლიმატიზაციას.

ჩვენი დროის პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზოოლოგიური ბაღის მოწყობა ახლა გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე წინათ. მასიური დიდი სახლები, ისევე როგორც გათბობის ძვირადღირებული მოწყობილობანი ახლა ნამდვილი ზედმეტობაა. გაცილებით ადვილია და, რაც მთავარია, უფრო პრაქტიკულიც ახალი ტიპის იაფი ნაგებობების აშენება. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე დადგება ისეთი დრო, როდესაც ყველა ქალაქს, სადაც ასი ათასი სული მაინც ცხოვ-

რობს, ექნება საკუთარი ზოოლოგიური ბაღი, რომლის მოწყობა და შენახვა, თუ წესიერად წარმართავენ საქმეს, არავითარ რისკთან არ იქნება დაკავშირებული.

აკლიმატიზაციის ცდების აღწერისას ნებაუნებურად ცხოველთა ჯიშების მოშენებასა და შეჯვარებასაც უნდა შეეხო. უნდა მოგახსენოთ, რომ შტელინგენის ზოოლოგიურ პარკში ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება ექცევა და მომავალში კიდევ უფრო გავაფართოვებთ ამ მხრივ მუშაობას. აკლიმატიზაციის პრობლემასთან ერთად მუდამ წამოიჭრება ხოლმე ცხოველების მოშენების პრობლემაც, რასაც ნაკლები როლი როდი ენიჭება. ტყვეობაში მყოფი გარეული მხეცების მოვლა-პატრონობის, მოშენებისა და აკლიმატიზაციის გამოცდილება შეიძლება შინაურ ცხოველებშიც გამოვიყენოთ. გაცილებით უფრო ფართოვდება მწარმოებლის შერჩევის შესაძლებლობა, როდესაც იყენებენ გარეული ცხოველების აკლიმატიზაციის შედეგებს. ჩვენებური შინაური ცხოველების რასებთან შეჯვარების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო უკვე ცნობილი გარეულ ცხოველთა ჯიშები, არამედ აგრეთვე არაცივილიზებული ქვეყნების ბინადარი ადგილობრივი საქონელიც. თუმცა ამ ცხოველებს ტყვეობაში უხდებათ ყოფნა, მაგრამ მათი ცხოვრების პირობები უფრო მიახლოებულია ბუნებრივთან, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ არიან ისე მოწყვეტილი ბუნებას, როგორც ჩვენებური შინაური ცხოველები და გაცილებით უფრო მეტ ამტანობას და გამძლეობას იჩენენ ჰავის ცვლილებების მავნე გავლენის მიმართ. გამრავლების უნარის შესწავლა და სწორი, ამა თუ იმ მეურნეობისათვის ხელსაყრელი შეჯვარებისათვის საჭირო ეგზემპლარების შერჩევა შესაძლებლობას მოგვცემს გამოვიყვანოთ ცხოველების ახალი გაუმჯობესებული ჯიშები. შტელინგენში, მაგალითად, სერიოზული ყურადღება ექცევა ინდურ ზებუს შეჯვარებას არგენტინულ და ბრაზილიურ ჯიშებთან. ზებუსთან შეჯვარება მუშა საქონლის ამტანობასაც ზრდის და ხარისხსაც აუმჯობესებს. ეს საკითხები, ცხადია, ფრიად საინტერესოა სოფლის მეურნეობებისათვის.

მრავალი წელია უკვე, რაც ცდებს ვატარებ ცენტრალური

აზიიდან ჩამოყვანილი გარეული ვერძისა და ჩვენებური ევროპული ‘მიშაკის შეჯვარებაზე. არაერთხელ ჩამვარდნია ხელთ ვეება გარეული ვერძები, რომელთა ზოგიერთი ეგზემპლარი ხუთას გირვანქას იწონიდა, თუმცა უფრო პატარებიც ბევრი მინახავს; მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ პატარა ცხოველების შეჯვარებამ გამოიღო შედეგი. დიდტანიანი ჯიშის წარმომადგენლები მალე იხოცებიან, რადგან ძნელად ეჩვევიან ჩვენს ჰავასა და ცხოვრების ახალ პირობებს. ამ დაკვირვების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედი, რომ გარეული ვერძები, ისევე როგორც გარეული ცხენები, მხოლოდ ახალგაზრდები უნდა დაიჭიროს კაცმა. ამ მიზნით რამდენიმე ექსპედიცია გავგზავნე ცენტრალურ აზიაში. მეტისმეტად გაუძნელდათ თურმე ახალგაზრდა ვერძების დაჭერა. ბოლოს მაინც მოუხერხებიათ, მაგრამ გზაში ყველა დაიხოცა.

ახალი ამ ამბავში, ვგონებ, არაფერია, რადგან ამაზე ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი ცენტრალური აზიიდან გარეული ცხოველების იმპორტის დროს. მაგრამ რაკი მოხერხდა ამ ადგილებიდან გარეული ცხენების, ირმის, შვლისა და სხვა ცხოველების ჩამოყვანა ევროპაში, ბოლოს და ბოლოს ალბათ ცოცხალი და ჯანსაღი ვერძის ჩამოყვანასაც შევძლებთ. პირველი შვილები, რომლებიც ციმბირიდან ჩამომიყვანა ჩემმა აგენტმა, ასაკოვნები იყვნენ. ზამთარი ყოფილა და თოვლში დაუჭერიათ. ცოცხლად ჩამომიყვანეს ისინი ჩრდილოეთ გერმანიაში დიდ ციმბირულ მარალებთან — ლამაზ ცხოველებთან ერთად. მაგრამ ერთი წლის მანძილზე ყველა დაიხოცა. ასეთი მარცხის შემდეგ ჩემს აგენტებს დავავალე, რომ შვლისა და მარალის მხოლოდ ახალგაზრდა ეგზემპლარები ჩამოეყვანათ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისეთი შესანიშნავი შედეგები მივიღე. და ალბათ ახლო მომავალში ბევრ მადლობას მეტყვიან თავგამოდებული მონადირეები.

ძალიან კარგ შედეგს იძლევა ამ ცხოველების შეჯვარება ჩვენებურ შვლებთან. ციმბირული ახალგაზრდა ვერძები დამაკმაყოფილებლად ეგუებიან ჩვენს ჰავას და მშვენივრად მრავლდებიან.

განსაკუთრებით ხელსაყრელი გამოდგა მონღოლური ხოხ-

ბების იმპორტი. ჩვეულებრივ სანადირო ხოხობთან ამ ფრინ-ველის შეჯვარებით განსაცვიფრებელი შედეგი მივიღეთ — ჰიბრიდი ოცდაათი პროცენტით უფრო მძიმე გამოდგა თავის მშობლებთან შედარებით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ინგლისში ყოველწლიურად ასი ათასამდე ხოხობს ხოცა-ვენ, დაახლოებით მაინც შეიძლება იმ დიდი სარგებლობის წარმოდგენა, რასაც იძლევა და მომავალშიც მოგვცემს ასეთი შეჯვარება.

ცალკე უნდა ითქვას ზებრისა და ვირის შეჯვარების პრო-დუქტებზე — ზებროიდებსა და ჯორებზე, რომლებსაც რატომ-ღაც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ გერმანიაში. ზებრო-იდს შეუძლია მძიმე ტვირთის ტარება, ყოველ შემთხვევაში, ამტანობით არ ჩამოუვარდება ჯორს. გერმანიისათვის ფრიად ხელსაყრელი იქნებოდა, უფრო ფართოდ რომ აწარმოებდეს ჯორების მოშენებას. ამერიკელებმა, როგორც ჩანს, უკეთ გა-იგეს ძვირფასი თვისების მქონე ცხოველების მოშენების სარ-გებლიანობა. რამდენიმე წლის წინ შემთხვევით ხელთ ჩამი-ვარდა სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით ამერი-კის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად დაახლოებით ორას ორმოცდაათი ათას ჯორს ზრდიან.

XI

შტელინგენის ზოოპარკის შექმნა

თავიდანვე მოგახსენეთ, რომ გარეული მხეცებით ვაჭრობის საქმეში პირველი ბიძგი მოგვცა სან-პაულის მოედანზე გამოფენილმა ხის ვარცლმა, რომელშიც სელაპები გვყავდა ჩასმული. ამ დასაწყისს თავისი გაგრძელება მოჰყვა. სავაჭრო საქმის განვითარებამ ჰაგენბეკები ჯერ ჰამბურგის შპილბუდენ-პლატცზე მოგვიყვანა, შემდეგ ამას სამხეცე და ცირკი მოჰყვა, ბოლოს — შტელინგენის ზოოპარკი. ასევე მიხვეულ-მოხვეული გრძელი გზა განვლო ამ სტრიქონების ავტორმა. ჯერ იყო და ცხოვრებამ მოხეტიალე არტისტებისა და აგენტების საზოგადოებაში მომახვედრა, შემდეგ ავმაღლდი და მეცნიერებსაც ვეწვიე. მთავრობის წრეებშიც კი გამიცნეს.

დედამიწის სხვადასხვა ქვეყანაში ჩემი მრავალფეროვანი საქმიანობის დროს ბევრ ხალხს შევხვედრივარ, ბევრს ნდობით გამოუწვდია ჩემსკენ მეგობრული ხელი და ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ მრავალი მეგობარი და შემწე შევიძინე სრულიად სხვადასხვაგვარი მდგომარეობის მქონე ადამიანებში, სხვადასხვა ერის შვილებში.

როდესაც ახლა გონების თვალით წარმოვიდგენ ხოლმე ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილ სახეებს, განცვიფრებული ვრჩები მათი ურიცხვი რაოდენობით. მირონცხებული გვირგვინოსნები, ძლიერნი ამა ქვეყნისა, ველური ტომების წინამძღოლები, მეცნიერები და მწვრთნელ-მომთვინიერებლები, სახელგანთქმული მოგზაურნი და არტისტები, ფილოსოფოსები და

ტაკიმასხარები — ვის არ შევხვედრივარ ცხოვრებაში! ჩემმა სასტუმრო დავთარმა შთამომავლობას შეუნახა ბევრი სახელი იმ ადამიანებისა, რომლებიც ხშირად მთელი ჩვენი სამყაროს ბედიღბალზე ახდენდნენ გავლენას. სპილოს ტყავის ყდაში აკინძული ჩემი მოგონებების ტომეულის გვერდით ცეცხლგამძლე კარადის ერთ განყოფილებაში სათუთად ვინახავ მამაჩემის ნაქონ ცისფერი ფაიფურის საათს. მაგონდება, პირველად რომ დამსაჯა დაგვიანებისათვის, სწორედ ამ საათზე მიმითითა. აქვე ინახება ჩემი პირველი ფირნიშიც, 1871 წლის 11 მარტს ახლადჯვარდაწერილმა საკუთარი წარმოება რომ შევქმენი, მაშინ დავაწერინე პატარა დაფაზე ლამაზი ასოებით — „კარლ ჰაგენბეკი“. ახლა მე თვითონვე გახლავართ თეთრწვერებიანი „მოხუცი ჰაგენბეკი“.

წინა თავებში აქა-იქ გაკვრით გიამბეთ რამდენიმე სათავგადასავლო ეპიზოდი, რომლებიც შტელინგენის ზოოლოგიურ პარკთანაა დაკავშირებული. ახლა უფრო დაწვრილებით გიამბობთ ამ ამბებზე.

ფესვმაგარ ხესავით გაიტოტა და გაიფოთლა მხეცებით ვაჭრობის საქმე: ეროვნებათა გამოფენაო, მხეცების წვრთნის სკოლაო, ცხოველების მოშენების მრავალრიცხოვანი ცდებიო და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი აზრი და პროექტი, რომელთაც ყვავილებიც გამოიღეს და ნაყოფიც გამოისხეს. მაგრამ ჩემი წარმოების ერთი დარგი მანამ არ აყვავდა და არ გაიფურჩქნა, სანამ მიწის ერთი დიდი ნაკვეთი არ შევისყიდე. უწყვეტ ქარავნად მოედინებოდა შორეული ქვეყნებიდან გარეული ცხოველების ტრანსპორტები, ფართოდ გაჩაღდა შინაური და სარეწაო ცხოველების იმპორტი და ექსპორტი. ინტენსიურად ტარდებოდა ცხოველების აკლიმატიზაციის, მოშენებისა და უცხო რასებთან ადგილობრივი ჯიშების შეჯვარების სამუშაოები. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ახლად შექმნილი ზოოლოგიური ბაღები დიდ შეკვეთებს გვაძლევდნენ. სად უნდა წაგვეყვანა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი ცხოველები, სანამ ამერიკაში გავაგზავნიდით? ერთი სიტყვით, ადგილი გვჭირდებოდა, მიწის დიდი ნაკვეთი.

მაგრამ განა მარტო ეს ორი ზოოპარკი ყიდულობდა ჩემგან

ცხოველებს. ჩემი მუშტრების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და არცაა საჭირო. თუ რაოდენ ფართოდ განვითარდა მხეცებით ვაჭრობის საქმე, ამის საილუსტრაციოდ იმ ფაქტის მოყვანაც კმარა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თავიანთი სტუმრობით პატივი დამდეს: გერმანიის იმპერატორმა, ავსტრიის იმპერატორმა, რუსეთის მეფემ, თურქეთისა და მაროკოს სულთანებმა, აგრეთვე იაპონიის მიკადომ. ამიტომ იძულებული გავხდი მეძებნა მიწის ისეთი ნაკვეთი, რომელიც შესაძლებლობას მომცემდა გამეხორციელებინა ჩემი მომავალი გეგმები.

ჰამბურგში, რასაკვირველია, ვერსად ვიშოვიდი ასეთ ადგილს. მართალია, ჰამბურგის გარეუბნის ჰორნში ერთი მოზრდილი ნაკვეთი მქონდა, მაგრამ მის ირგვლივ მიწები მთლიანად ქალაქს ეკუთვნოდა, ასე რომ, პრაქტიკულად გამორიცხული იყო ჩემი შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა. ერთხელ შევეკითხე ქალაქის მმართველობას, ხომ არ მომყიდით ამ ადგილებს-თქო, მაგრამ კატეგორიული უარი მივიღე. რამდენიმე წლის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდი ჰამბურგის მახლობლად შესაფერისი სიდიდის ნაკვეთის შეძენას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს მშობლიურ ქალაქში საჩემო ადგილი არა და არ მოინახა.

... კვირა დღე იყო, მზიანი დილა. გადავწყვიტე სტუმრად წასვლა ერთ ჩემს ძველ მეგობარ ვაგნერთან. რომელიც ქალაქიდან კარგა მოშორებით, პრუსიელების ადგილ-მამულში ცხოვრობდა ერთ მიყრუებულ სოფელში. ეტლი დავიქირავე და მეეტლეს მივაძახე: „შტელინგენში!“ ამ ხანგრძლივი მოგზაურობის დროს მეეტლე ორჯერ იძულებული გახდა გამვლელთათვის ეკითხა გზა. აი ასე, კითხვა-კითხვით, რის ვაივაგლახით ბოლოს მივაკვლიე ჩემი მეგობრის სახლს. კაცს რომ სათვალე ეკეთა და გამწარებული სათვალეს ეძებდა, — სწორედ ასე დამემართა თურმე. საუბრის დროს ვაგნერმა მკლავში ხელი მომკიდა და მითხა: „წამოდი, თუ გინდა, მიწის ერთ მშვენიერ ნაკვეთს გაჩვენებ, შიგ პატარა ვილაც დგას. თუ მოგეწონება, ახლავე შეგიძლია იყიდო. ძვირი არ დაგიჯდება“. ეზოში გამოვედით, ვაგნერმა მესერთან მიმიყვანა და ღობის გადაღმა დაბურულ ბაღში პატარა ვილა დამანახა. ეს მამული, რომლის

ფართობიც ორასიათას კვადრატულ ფუტს უდრიდა, ოცდათხუთმეტ ათას მარკად იყიდებოდა. უკვე ორი დღის შემდეგ ეს ადგილი ჩემს საკუთრებას წარმოადგენდა. შემდეგ ოთხშაბათს — 1897 წლის 9 სექტემბერს—ჩემი მეგობრისაგან შევიტყვე, რომ თურმე მეზობლად ორი ნაკვეთიც იყიდებოდა ხელსაყრელ ფასში. ორ დღეში ეს ადგილებიც მივუმატე ჩემს ახალ სამფლობელოს.

რამდენ ხანს ვეძებე ასეთი ადგილი და ბოლოს ერთი უბრალო შემთხვევის წყალობით რამდენიმე დღეში ავისრულე დიდი ხნის ნატვრა. ეს შესანიშნავი მიწის ნაკვეთი საკმაოდ მაღალ ადგილას მდებარეობდა და სავსებით გამოსადეგი იყო ზოოლოგიური პარკის მოსაწყობად. ჩემს გონებაში მაშინვე დავაგეგმარე მთელი ტერიტორია. ეს აზრები შემდეგ პრაქტიკულად ნახაზზე აისახა და უკვე ხუთი თვის შემდეგ პარკში მზად იყო თორმეტი დიდი ბაკი და ხუთი ლამაზი პავილიონი.

რაკი ერთხელ დაიძრა საქმე, მუშაობაც თანდათან გაცხოველდა. ბაკები და ნაგებობები ზუსტად შეესატყვისებოდა თავის მიზანდასახულობას; ერთადერთი ნაკლი ამ ნაკვეთს ისა ჰქონდა, რომ საკმაოდ შორს იყო ჩემი ძირითადი ადგილსამყოფელიდან. თანაც მოუგვარებელი იყო ჰამბურგსა და შტელინგენს შორის მიმოსვლის საქმე. ამიტომ ვიფიქრე, ხომ არ შეიძლება, იაფად შევისყიდო ადგილები ჩემს ახალ სამფლობელოსა და ჰამბურგს შორის და შემდეგ მივყიდო იგი რომელიმე კონსორციუმს, რათა პირდაპირი მიმოსვლა გაიხსნას პრუსიულ შტელინგენსა და ჰამბურგის ეიმსბიუტელს შორის-მეთქი. მაგრამ არც ისე იოლი საქმე გამოდგა ეს, როგორც თავიდან მეგონა. მთელი ხუთი თვე მოვცდი ამ საქმეზე და მაინც არაფერი გამოვიდა, რადგან არავინ ამიბა მხარი. ბოლოს ისევ ჩემმა ძველმა და ერთგულმა მეგობარმა მიხსნა—კვლავ შემთხვევა დამეხმარა.

ერთხელ ჩემს მიმართ საკმაოდ კეთილად განწყობილი ერთი ჰამბურგელი მოქალაქე მეწვია, რომელიც იმხანად ინგლისში ცხოვრობდა. თავისი ძმის თანხლებით იგი ნოიენ-პფერდმარკტზე დაბანაკებულ ჩემს მაშინდელ სამხეცეში მოვიდა რამდენიმე უნგრული ირმის საყიდლად. შევთავაზე ჩემი ახალი

ხოლოგიური პარკის დათვალიერება. სიამოვნებით დამთანხმ-დნენ. წავედით შტელინგენში. ახლადჩამოყვანილ ირმებსა და თხებს რომ ვაჩვენებდი, საუბარში სიტყვა ჩამოვუგდე ჩემს მომავალ გეგმებზე. ვუთხარი, რომ ქალაქის მიჯნასთან მდებარე ახალი მიწების შესყიდვას ვფიქრობ, რათა ჩემს მიერ შემუშავებული ორიგინალური სისტემის მიხედვით მოვაწყო დიდი ზოოლოგიური პარკი. ესაა ჩემი დიდი ხნის ოცნებამეთქი.

ჩემი „მოხსენება“ რომ დავასრულე, ერთმა მათგანმა დაფიქრებული სახით შემომხედა და მითხრა: „მე მგონი, ამ საქმეს კარგი პირი უჩანს. წილში შემოვალ და ჩემ მხრივ ასი ათას მარკას დავდებ“-ო. მეორე ძმამაც მოიწონა ჩემი გეგმა და ერთი ამდენი მან აღმითქვა. თანაც დასძინა, მე მგონი, თავისუფლად შევძლებთ ერთი პატარა საზოგადოების შექმნას და პროექტის განხორციელებასო. ორ თვეში მართლაც წარმატებით მოვაგვარე საქმეები. მე კიდევ ჩემი მხრივ ვალდებულება ვიკისრე მთელი ჩემი საწარმო გადამეტანა შტელინგენში, საერთო ფონდში შემეტანა სულ ცოტა ასორმოცდაათი ათასი მარკა და ახალი ტიპის ზოოლოგიური პარკი მომეწყო ჩემს ახალ ადგილ-მამულში.

ძალიან რომ არ გავაჭიანურო ამბის თხრობა, მოკლედ მოგახსენებთ: ჩემი სისტემის ძირითადი იდეა ის იყო, რომ ცხოველებისათვის მაქსიმალური თავისუფლება მიმეცა, რომ გალიაში კი არ ყოფილიყვნენ გამომწყვდეული, არამედ თავისუფლად ენავარდათ დიდ ბაკში. ამავე დროს მნახველები საკუთარი თვალით უნდა დარწმუნებულიყვნენ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს აკლიმატიზაციას. დიდი, პრაქტიკული და მუდმივი ზოოპარკის შექმნა იმის თვალსაჩინო მაგალითი უნდა ყოფილიყო, რომ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს ძვირადღირებული ნაგებობების აშენება, ვეებერთელა ღუმელების გამართვა და რომ გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა ცხოველების ყოფნა ღია ჰაერზე და ახალ ჰავასთან შეგუება. „ცხოველების სამოთხე“ ისეთ ადგილას უნდა შემექმნა, სადაც წინათ მხოლოდ ნარ-ეკალი ხარობდა. ზოოლოგიური პარკის გარკვეული პუნქტიდან შეიძლება ვუმზიროთ სხვადასხ-

ვა გეოგრაფიული სარტყლის ბინადარ ცხოველებს, ამავე დროს ყოველ ჯიშსა და ყოველ სახეობას ცხოვრების მაქსიმალურად ბუნებრივი პირობები ექნება. ქურციკებს, გარეულ ცხვრებსა და კლდის ბინადარ თხებს ხელოვნური მთებისა და კლდეების ზონას მივუჩენდით, ველის ცხოველებს ფართო მდელოებს გამოვუყოფდით, მტაცებლები თავისუფლად ინავარდებდნენ შემოუღობავ ღარტაფებში, რომლებსაც მესრის ნაცვლად მხოლოდ ღრმა თხრილი ექნებოდა გარს შემოვლებული. ზოოლოგიური პარკის ცენტრში აშენდებოდა მთავარი ნაგებობა, სადაც მოეწყობოდა დიდი არენა ცხოველების გასაწვრთნელად, გვერდით აიგებოდა დიდი შენობები ცხოველების ვაჭრობასთან დაკავშირებული ტრანზიტის საჭიროებისათვის. ერთი სიტყვით, უამრავი სამუშაო გვქონდა.

1902 წლის ოქტომბერში წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები დავამთავრეთ და ნაკვეთის დაგეგმარებას შევუდექით. სულ მალე ჩვენი მომავალი ზოოპარკი „ალადინის ჯადოსნური ლამპარის“ ზღაპარს დაემსგავსა. სამწუხაროდ, საშუალება არ მქონდა ხელით შევხებოდი შესალოცად ამ ჯადოსნურ ლამპარს და სულის ერთი შებერვით ამესრულებინა ჩემი სურვილები. ჩემი გეგმების განხორციელებაზე დიდხანს და გულმოდგინედ მუშაობდა მხატვრების, არქიტექტორების, ინჟინრების, მებაღეებისა და დამხმარე მუშების პატარა შტაბი. ასე თანდათან, შენდებოდა ჩემი ზოოლოგიური პარკი.

. ბარებით, ნიჩბებით, წერაქვებით შეიარაღებული მუშები ჭიანჭველასავით შეესიენ მიწას, რახრახებდნენ ორთვალები, ვიწრო ლიანდაგებზე ნარნარით დაასრიალებდნენ დატვირთულ ვაგონებს მუშა სპილოები. ორმოცი ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოების შესრულება მოუხდათ მშენებლებს, სანამ ჩემს მთავარ მებაღეს გინშს საშუალება მიეცემოდა ნამდვილ სამოთხედ ექცია ეს უდაბური ადგილები. მომავალი სამთო ნაგებობის ცაში აზიდულ ჩონჩხებზე გენიალურმა შვეიცარიელმა მოქანდაკემ ურს ეგენშვილერმა კალატოზებისა და ხუროების ბრიგადასთან ერთად საჭრისისა და ქაფჩის მეშვეობით ალპური სალი კლდეები გამოძერწა. ამ ღრუოვანი კლდეების შიგნით წყალსატუმბის სადგურები მოეწყო. კიდევ ბევრი

თავისუფალი ადგილი დარჩა, რომლებიც გამოვიყენეთ ზოოპარკის მომავალი ბინადრების — ჰიმალაის მთიანი რაიონების მკვიდრი. გარეული ცხოველების თავშესაფარ ბაკად. თანდათან მაღლა მიიწევდა აგრეთვე თანამედროვე სასტუმროების, პავილიონებისა და პარკის მთავარი შენობის კედლები.

საქმე განუწყვეტლივ წინ მიდიოდა, მაგრამ ბერლინის სახელოსნო გამოფენის ანდა სან-ლუისის სამრეწველო გამოფენისაგან განსხვავებით ბუტაფორიას კი არ ვაშენებდით თაბაშირისა და ქსოვილისაგან, არამედ ვცდილობდით მსოფლიოში პირველად შეგვექმნა ჩრდილოეთის პირობებში აკლიმატიზაციის შესაძლებლობა ყველა გეოგრაფიული სარტყელის ბინადარი ცხოველებისათვის.

1907 წლის 7 მაისს ჩემი ზოოლოგიური პარკის ჭიშკარი ფართოდ გავაღე პირველი სტუმრების მისაღებად. მძინარე მზეთუნახავივით გამოფხიზლდა შტელინგენი. სწორედ იმ დღეს გაიხსნა ჰამბურგ-შტელინგენის საქალაქო რკინიგზაც, რომელმაც უამრავი ხალხი ჩამოიყვანა ამ სოფელში. ზოოლოგიური პარკის მთავარ შესასვლელს ამშვენებდა მოქანდაკე იოზეფ პალენბერგის ნახელავი — ბრინჯაოს სპილოს თავებზე ვეებერთელა ლარნაკები იდგა. ლომები და თეთრი დათვები ტროპიკული და არქტიკული სარტყლების ცხოველთა სამყაროს განასახიერებდნენ, სომალიელი და ინდიელი სიუს ტომის მეომრების ბრინჯაოს ქანდაკებები კი, რომლებიც ფრანკებერლინმა ჩამოასხა, ორი კონტინენტის ეროვნებათა გამოფენის სიმბოლოს წარმოადგენდა.

საზეიმოდ მორთულ ჭიშკარში ვიდექი, ხელში ცილინდრი მეჭირა და ვესალმებოდი მოწვეულ საპატიო სტუმრებს, რომლებიც ეტლებითა და ავტომობილებით ჩამოვიდნენ შტელინგენში. პირველსავე დღეს გვეწვიენ ჰამბურგისა და ალტონის ობერ-ბურგომისტრები, სენატორები, უცხო ქვეყნების ელჩები და კონსულები, ხელისუფლების წარმომადგენლები და ცნობილი პიროვნებები, საზღვაო კომპანიებისა და სავაჭრო სახლების მეპატრონეები, აგრეთვე (ისინი განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიო) ევროპის ზოოლოგიური ბაღების დირექტორები,

ზოოლოგები და საერთოდ ცხოველთა მოყვარულნი. პიროვნულად რომ დავასახელო რომელიმე მათგანი, ასეთი გამორჩევა, რა თქმა უნდა, ეწყინებოდა ჩემს ბევრ კეთილ მეგობარს, რომლებიც რჩევითაც და საქმითაც ძალიან მეხმარებოდნენ. სწორედ მათი შემწეობით მოვახერხე, რომ იმ დღეს საზეიმოდ წარვუდგინე საზოგადოებრიობას ჩემი ნაღვაწი — „მხეცების სამოთხე". ზოოლოგიური პარკის დათვალიერების კულმინაციური წერტილი იყო ცხოველების წვრთნის დემონსტრირება. ახალთახალ სამანეჟო დარბაზში ფრიტც შილინგი მნახველებს თვალნათლივ უჩვენებდა, თუ რა შედეგს იძლევა ახალი სისტემით წვრთნა — არენაზე მას გამოჰყავდა მტაცებლების — უდაბნოებისა და მარადიული ყინულეთის მბრძანებელთა დიდი შერეული გუნდი — ისინი „უსიტყვოდ" ემორჩილებოდნენ ადამიანების ნება-სურვილს და ასრულებდნენ მის ბრძანებებს. დათვალიერების ბოლოს გაიმართა შტელინგენის ზოოპარკის გახსნის აღსანიშნავი საზეიმო ბანკეტი. კოპენჰაგენის ზოოლოგიური ბაღის დირექტორმა იუმორით გამთბარი სადღეგრძელო წარმოთქვა და გაფურჩქვნა-აყვავება უსურვა „ცხოველების სამოთხეს", „სამოთხე" ედემს შეადარა, მე და ჩემი ცოლი კი — ადამ და ევას.

პრესისა და კრიტიკოსთა გამონათქვამები რომ შევკრიბე შემდეგ, რამდენიმე სქელი ტომი აიკინძა. შტელინგენი მტკიცედ ჩადგა სანახაობათა მწკრივში. ყოველდღიურად ახალ-ახალი დამთვალიერებლები მოედინებოდნენ განუწყვეტელ ნაკადად. ზოოლოგიური პარკის დათვალიერება ნავსადგურის გარშემო მოგზაურობასთან და საოკეანო ხომალდების ნახვასთან ერთად აუცილებელ ექსკურსიად იქცა თუნდ ერთი დღით ჰამბურგში ჩამოსული სტუმრებისათვის. ჰამბურგის გზამკვლევში შტელინგენი შეტანილ იქნა როგორც ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა. გახსნის პირველ წელიწადს სამების დღესასწაულზე ზოოლოგიური პარკი ორმოცდასამი ათასმა მნახველმა დაათვალიერა, შტელინგენის „ცხოველთა სამოთხის" არსებობის მეორე წელიწადს კი ეს რიცხვი ერთი ორად გაიზარდა. ეროვნებათა გამოფენების ექსპოზიციის უკეთ მოწყობისა და ახალ ნაგებობათა გაფართოების მიზნით ამ

დროისათვის მიწის ნაკვეთის მეორე ნახევარი კაიზერ-ფრიდ-რიხშტრასეზე გამართული დაკიდებული ხიდით უკვე შეერთებული მქონდა დიდ პარკთან, რომლის ფართობიც დაახლოებით ორას ორმოცდაათი ათას კვადრატულ მეტრს უდრიდა.

იქ, სადაც წინათ მხოლოდ კარტოფილის ნაკვეთები და გაუვალი შამბნარი იყო, ახლა თვალს ახარებს აყვავებული ლანდშაფტი, რომელიც ჩრდილოეთ გერმანიისათვის დიახაც, რომ უცხოა, მაგრამ თავის მიზანდასახულობას კარგად შეესატყვისება. ხელოვნური მთები და კლდეები ცას ებჯინებიან, მათ ძირში მწვანედ ბიბინებენ აქოჩრილი მდელოები, სარკესავით ბზინავს ტბორებში დაგუბებული წყალი, ტბორებზე გადებულ უცნაური შესახედაობის ხიდებს წითელი ლაქით გაპრიალებული სატაძრო ჭიშკრების გავლით იაპონურ კუნძულზე მივყავართ. მთები, ღარტაფები, წყლები კიდევ უფრო გაულამაზებია ხმელეთისა და წყლის ცხოველებს, რომლებიც ისე გრძნობენ აქ თავს, როგორც თავის სამშობლოში. ჭეშმარიტად, მომხიბლავი სანახაობაა. ზოოლოგიური პარკის დიდ ნაგებობასთან რომ მივიდეთ, სადაც მთავარი რესტორანია გამართული, და შემდეგ ზურგისაკენ შემოვბრუნდეთ, თვალწინ გადაიშლება იშვიათი და გრანდიოზული პანორამა: „ცხოველთა სამოთხე“.

წინა პლანზე კლდეებით შემოსალტულია ფრინველების ვეებერთელა ტბორი, რომლის ნაპირებზეც სეირნობენ ფლამინგოები, წეროები, პელიკანები, იბისები, წყლის ზედაპირზე კი ზვიადად დაცურავენ სხვადასხვა ჯიშის ყელმოღერებული გედები, იხვები, ბატები. შორეთში აფრიკული ტრამალები მოჩანს. ზანტად მილაყლაყებს დრომადერი, ზებრების ჯოგს მისდევს, წამოწევას ლამობს. კანჭმაღალი სირაქლემები მედიდურად ბოლთას სცემენ ფეხმარდ ქურციკებსა და ანტილოპებს შორის. პარკის სიღრმისაკენ გრძელი ბილიკი მიემართება, ბაკებისაკენ მივყავართ მას. გავყვეთ ამ გზას, თუ გვინდა, რომ განსაცვიფრებელი, ნამდვილად ზღაპრული სანახაობა ვიხილოთ. ბალახისმჭამელი ცხოველების მეზობლად, მათგან სულ რამდენიმე ნაბიჯზე ღია ხეობაში თავისუფლად მიდიმოდიან ფაფარაყრილი ლომები, ცოტა უფრო მოშორებით კი ცისკენ



აზიდული მთების კალთებზე ჯოგებად დასეირნობენ მთის ბინადარი სხვადასხვა ჯიშის ურიცხვი ცხოველები.

ციცაბო კლდეზე განმარტოებით დგას მარკორული თხა, რომლის ხუჭუჭა ბეწვი ლამაზად მოჩანს ცის ლაჟვარდოვან ფონზე. ანაზდად უკან იხევს, თითქოს ტანის წინა ნაწილი ზამბარასავით შეეკუმშაო, უცებ ადგილიდან მოსხლტება და ფრინველივით თავზე გადაევლება კლდის ნაპრალს. ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოყვანილი ხშირმატყლიანი ცხვრები, სახელგანთქმული ციმბირული გარეული ვერძები, ჰიმალაის გარეული თხები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სხვა ჯიშისა და სახეობის ცხოველები ნავარდობენ კლდის ფერდობებზე. თავისუფლება, ასე რომ ახარებთ ამ ცხოველებს, მოჩვენებითია და თანაც თითქოს ნამდვილი. ლომებს საშუალება აქვთ ძალ-ღონე გაივარჯიშონ ვრცელ მღვიმეებში. მათი ადგილსამყოფელი გალიის ცხაურით კი არაა შემოზღუდული, გარე სამყაროსაგან ისინი მხოლოდ განიერი თხრილით არიან განცალკევებული, მაგრამ თხრილის გასწვრივ ხეები ისე ახლო-ახლოა დარგული, რომ ამ შეზღუდვასაც ვერ გრძნობენ მტაცებლები. ილუზია იმდენად სრულყოფილია, რომ მნახველთა უმრავლესობა ვერც კი ხვდება ზღუდის არსებობას, თუ სპეციალურად არ გაყვება ვინმე კლდის პირას გაყვანილ ვიწრო გზას და საკუთარი თვალით არ ჩაიხედავს ღრმა თხრილში.

ასეთი თავისუფლება პირველად მივანიჭე ცხოველებს 1896 წელს ბერლინის გამოფენაზე, და ამის დამადასტურებლად საშეფო საპატენტო ბიურომ № 91492 პატენტიც კი მომცა „პანორამისათვის“. სანამ ასეთ ღია თავშესაფრებს მოვაწყობდი მხეცებისათვის, გულმოდგინედ შევისწავლე სხვადასხვა ჯიშის ცხოველების ხტომის უნარიანობა. კატის ჯიშის მტაცებლები ჯერ კიდევ მაშინ გამოვცადე, როდესაც ვეებერთელა გალია მქონდა მოწყობილი ნოიენ-პფერდმარკტზე. იმ მიზნით, რომ გაგვეგო, რა სიმაღლეზე შეეძლოთ ნახტომის გაკეთება ამ ცხოველებს, მიწიდან სამი მეტრის სიმაღლეზე პალმის ტოტზე მტრედის ფიტული დავამაგრეთ. გალიაში შეშვებულმა ლომებმა, ვეფხვებმა, ავაზებმა, ჯიქებმა შეამჩნიეს მტრედი და, რასაკვირველია, შეეცადნენ მის ხელში ჩაგდებას. ლომები და

ვეფხვები ორ მეტრზე მაღლა ვერ ხტებოდნენ. შავი ავაზა და ჯიქი სამმეტრიან ნახტომს აკეთებდნენ, ასე რომ, მართლაც შეეძლოთ შესწვდომოდნენ პალმის ტოტს, მაგრამ მტრედი ცოტა უფრო მაღლა „იჯდა“ და, თუმცა მოწადინება არც ერთ ცხოველს არ დაუკლია, ვერა და ვერ აიღეს მეტი სიმაღლე. კატის ჯიშის ცხოველებიდან, რომელთაც ჩვენ სპეციალურად ვწვრთნიდით, ყველაზე მაღალ ნახტომს აკეთებდა ერთი ჯიქი არენაზე: ადგილიდან, ესე იგი გამორბენის გარეშე, სამ მეტრზე ხტებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ გამორბენით ოთხ-ოთხნახევარ მეტრზეც გადახტებოდა ეს ცხოველი.

შტელინგენის ზოოლოგიური პარკის მოწყობისას, რა თქმა უნდა, მხედველობაში მივიღეთ ასეთი ცდის შედეგები. ათი მეტრის გამოქცევითაც კი რომ ეცადათ მხეცებს თხრილზე გადახტომა, შუა თხრილს ძლივს მიაღწევდნენ, და რასაკვირველია, შიგ ჩავარდებოდნენ. კიდევ მეტი უშიშროების მიზნით ბაკის შიგნითა კიდეზე დამატებით გავათხრევინე წვრილი თხრილი. იგი რამდენადმე უფრო ღრმაა, ასე რომ ნახტომისათვის მომზადებულ ცხოველს წინა ფეხები უფრო დაბალი ექნება, ვიდრე უკანა; ასეთი უხერხული მდგომარეობა გრძელი ნახტომის გაკეთების საშუალებას არ მისცემს მას. ხოლო თუ მხეცი სიგრძივ გაჰყვება ამ თხრილს, იძულებული იქნება სწორი კუთხით იაროს ნახტომის მიმართულების მიმართ და, რასაკვირველია, ამ მდგომარეობიდან იგი თხრილს ვერ გადაახტება.

არქტიკული ზღვის მშვენიერი პანორამა შექმნა ხელოვნური მთების მშენებელმა ურს ეგენშვილერმა. ლომვეშაპები, ზღვის ლომები, თეთრი დათვები, ჩრდილოეთის ირმები და წყლის ფრინველები შესანიშნავად გრძნობდნენ აქ თავს მათთვის სპეციალურად გაკეთებულ მღვიმეებში, ნაპრალებსა და მრავალრიცხოვან ტბორებში. პოლარული ლანდშაფტის ილუზიას ქმნიან ხელოვნური ყინულოვანი ხერგილები, სადაც არქტიკულ ცხოველთა სამყაროს თითქმის ყველა წარმომადგენელს შეუფარებია თავი. მაგრამ ეს ადგილები ისეა აგებული, რომ თეთრ დათვებს საშუალება არა აქვთ სელაპებითა და ზღვის კატებით სავსე აუზებში შეექცევ გემრიელ ვახშამს.

ყველა ცხოველს, ისევე როგორც ადამიანებს, ძალიან უყ-

ვარს თამაშობა. მართლაცდა, რომ დავაკვირდეთ, მთელი ზოოპარკი ჩაბმულია გართობაში. რამდენადაც კი შეიძლება ხელს ვუწყობთ ასეთ მისწრაფებას, მაგრამ მომავალში, ვფიქრობთ, სპეციალური მოწყობილობანი შევუქმნათ ამისათვის ცხოველებს. კალიფორნიულ ზღვის ლომს ეკვილიბრისტობის თანდაყოლილი ნიჭი აქვს. ასე რომ, საკმარისია ხის მორი გადაუგდოთ წყალში და იგი მაშინვე იწყებს ჟონგლიორობას. მარტორქა კი, პირიქით, ბუნებით ათლეტია და ამიტომ სავარჯიშო იარაღები უფრო მოსწონს. როგორც კი ხელთ მოიგდებს ასეთ იარაღს, მაშინვე თავისი ძალღონის გამოცდას იწყებს. მარტორქის ბაკში თივით მაგრად გატენილი ტომარა ჩამოვაკიდებინე. ეს იყო თავისებური „პანჩიგ-ბოლი“, რომელსაც ამერიკელი მოკრივეები იყენებენ ახლა ვარჯიშის დროს. როგორც ჩანს, მარტორქამ სწრაფად გაიგო ამ მოწყობილობის დანიშნულება: იმწამსვე ცხარე კრივი გაუმართა ტომარას და სამუდამო გასართობი იშოვა ამით. ბიზონებმა, რომლებიც აგრეთვე გამოირჩევიან დიდი ფიზიკური ძალით, კასრი მიიჩნიეს სათამაშოდ. განუწყვეტლივ აქეთ-იქით აგორებდნენ, ხანაც რქებით ზევით აისროდნენ ხოლმე. Panem et circenses* ცხოველების სამყაროსაც კარგად გამოადგა და ამის მეშვეობით ზოოპარკის მკვიდრნი გაცილებით უკეთეს გუნებაზე დადგნენ.

საჭმელთან და გასართობთან ერთად ცხოველების ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს აგრეთვე მესამე მძლავრი ფაქტორი — სიყვარული და მეგობრობა. ცხოველებმა რომ ისეთივე ჭორაობა იცოდნენ, როგორიც ადამიანებს სჩვევიათ, ზოოპარკში გაძლება შეუძლებელი იქნებოდა. პირველ და მთავარ საბაბად, რასაკვირველია, მეზალიანსები ექნებოდათ, რადგან ეს არც თუ ისე იშვიათია აქ. იმაზე უფრო საოცარი შეუსაბამისობა რა უნდა იყოს, როდესაც კენგურუ დედალ სპილოს ეკურკურება! ასეთი შემთხვევა კი ნამდვილად გვქონდა შტელინგენში. თანაც მეტისმეტი ძლიერი მეგობრობა აკავშირებდათ ამ ცხოველებს. ყოველდღე ერთად თამაშობდნენ. სპილო თავისი ხორთუმით ნაზად ეალერსებოდა კენგურუს, ერთმანეთის გარეშე

---

* Panem et circenses (ლათ.) — „პური და სანახაობა“.

ვერ ძლებდნენ. ერთხელ კიდევ მეორე სპილო, ამჯერად მამალი, ლამაზ დედალ პონის დაუმეგობრდა. ამაზე უკვე გიამბეთ ზევით. ძალიან ხშირად აღინიშნება ასეთი შემთხვევები სხვადასხვა ჯიშის ფრინველებში. განუყრელი მეგობრები იყვნენ წერო და სამხრეთამერიკული სირაქლემა, აგრეთვე მამალი იხვი და სუსხური; თუმცა იმის თქმა მიჭირს, მხოლოდ უბრალო მეგობრობა აკავშირებდათ მათ, თუ სიყვარული. სადაც უხვად ანათებს მზე, იქ ჩრდილიც მეტია, და ეჭვიანობის სცენებს ბოლო არ უჩანს.

ჩემი ზოოლოგიური პარკის ბინადართა შორის ყველაზე საინტერესო ცხოველებად ლომვეშაპები მიმაჩნია. ლომვეშაპებზე ნადირობის ამბები, ჩემი აგენტის ოლე ჰანსენის ნაამბობის მიხედვით, ზევით, სხვა თავში გიამბეთ უკვე და აქ აღარ გავიმეორებ. ლომვეშაპი მეცნიერების ხვედრია, რადგან ჯერ არავის ჩაუტარებია სრულყოფილი დაკვირვება ტყვეობაში მის ცხოვრებაზე. ისე კი მეტისმეტად ნაზი ცხოველია და ფაქიზ მოვლას მოითხოვს, რადგან ძალიან ადვილად ცივდება ხოლმე. მაგრამ, სხვათაშორის ორთქლის აბაზანებით წარმატებით განკურნეთ ასეთი ლომვეშაპი. ლომვეშაპს ყოველდღიურად აძლევენ საჭმელს, თანაც, დარაჯი როგორც პატარა ბავშვს, ისე ელოლიავება — პირდაპირ პირთან მიუტანს საკვებს და იგი ნელ-ნელა შეექცევა თავის კერძს. მადით ვერა და ვერ შეედრებიან ისინი ბავშვებს. სამმა ახალგაზრდა ლომვეშაპმა, რომლებიც 1907 წლის ოქტომბერში დაიჭირეს კუნძულ ვაიგაჩის მახლობლად, ერთ თვეში გადასანსლეს 5035 გირვანქა ვირთევზა და ორაგული. ეს საკვები კი 710 მარკა დაჯდა. ასეთი ღორმუცელა მდგმური ერთბაშად გაგაჩანაგებს.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება, თუ გავაცნობ ცხოველთა ქალაქის მოსახლეობასა და მათ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. მაგალითად, 1908 წლის აგვისტოში შტელინგენის ზოოლოგიურ პარკში (გაწვრთნილი ცხოველების ჯგუფთან ერთად) იყო: კატის ჯიშის 91 მტაცებელი ცხოველი, მათგან 49 ლომი, 26 ვეფხვი, ლომისა და ვეფხვის 3 ჰიბრიდი, 18 თეთრი დათვი და სხვა ჯიშის კიდევ 12 დათვი, 40 აფთარი, მგელი და ძაღლი (თხუთმეტი ჯიშის); 15 ანთროპოიდი, ოცდაორი სხვა-

დასხვა ჯიშის 109 მაიმუნი, 13 სპილო, 3 ბეჰემოტი, 2 აფრიკული მარტორქა, 4 ტაპირი, 3 ჟირაფი, 21 აქლემი, დრომადერი და ლამა, 57 ირემი და შველი, 43 ხარი, ბიზონი და კამეჩი, 84 გარეული ვერძი, თვრამეტი სხვადასხვა ჯიშის კლდის თხები, 43 ანტილოპი და ზღვის თხა, 73 ცალჩლიქიანი, მათგან 21 ზებრა. გარდა ამისა, 3 ლომვეშაპი, 8 სელაპი, ზღვის კატები, ზღვის ლომები და ა. შ. რვა სახეობის 93 მღრღნელი; 8 ჯავშნოსანი, 12 კენგურუ, 36 კუ, 12 იგუანი და სხვ., 11 ნიანგი და ალიგატორი, აგრეთვე 68 გველი. ფრინველთა სამყარო წარმოდგენილი იყო 1072 ეგზემპლარით, მათ შორის იყო 48 აფრიკული სირაქლემა, 18 სამხრეთამერიკული სირაქლემა, 11 ავსტრალიური სირაქლემა და 13 კაზუარი; გარდა ამისა, გვყავდა 295 წყლის ფრინველი, 273 კანჭა, მათგან 90 ფლამინგო და 82 წერო; ამას გარდა, 187 ქათმისნაირი ფრინველი, 69 თუთიყუში, 21 ტუკანი, 16 მტაცებელი ფრინველი და ა. შ. სულ ზოოპარკში გვყავდა ორიათასზე მეტი ცხოველი, რომელთა საერთო ღირებულება 1 125 000 მარკას აღემატებოდა.

ახლა ამ უცნაური ქალაქის სამზარეულოსაც გავეცნოთ. ზოგადი წარმოდგენის მისაღებად მკითხველს ისიც ეყოფა, თუ ვეტყვით, რომ ასაკოვანი ლომები და ვეფხვები ყოველდღიურად 10 — 15 გირვანქა ხორცს მიირთმევენ, ხოლო ასაკოვანი სპილო, თუ არ მუშაობს, თავისუფლად ნთქავს 10 გირვანქა შვრიას, 5 გირვანქა ქატოს, 40 გირვანქა თალგამს და 60 გირვანქა თივას. ამავე დროს სვამს 6 — 8 ვედრო წყალს. მაგრამ სპილოს კიდევ უფრო დიდი ულუფა სჭირდება, თუ მუშაობს. ცხოველები დელიკატესებს არ არიან ჩვეულნი, მიუხედავად ამისა, მათ მენიუში მრავალფეროვანი საკვები შედის, რაც მკაფიოდ ჩანს იმ პროდუქტების ჩამოთვლით, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში დაიხარჯა შტელინგენის ზოოლოგიური პარკის ბინადართა შენახვაზე:

85 107 კგ ცხენის ხორცი
34 945 „ საქონლის ხორცი
120 მტრედი
270 ბაჭია
150 ქათამი
55 128 კგ თევზი
(აქედან:
28 825 კგ — ლომვეშაპებისათვის)
18 156 „ თეთრი პური
15 425 „ ჭვავის პური

4 300 კგ. კომბოსტო	7 000 კგ კარტოფილი
250 „ სალათა	850 „ ცხენის ხორცის ჭენჭი (მელასა)
400 „ ფუნთუშა	4 500 „ ძირხვენები
800 „ სელის კოპტონი	99 555 „ თალგამი
3 000 „ წაბლი და რკო	1 225 „ კენაფი
210 „ ფინიკი	1 205 „ წიწიბურა
4 500 ცალი კვერცხი	975 „ ფეტვი
1 104 კგ შვრიის ფქვილი	1 625 „ ბრინჯი
13 838 ლ რძე	60 000 „ დაწნეხილი ბზე
12 110 კგ ხორბალი	86 000 „ დაწნეხილი თივა
88 857 „ შვრია	76 559 „ მთისა და მდელოს თივა
7 600 „ ქერი	15 000 „ სამყურა
44 650 „ ქატო	12 400 „ ტიმოთელა (ტიმოთელას ბალახი)
800 „ მუხუდო	6 000 „ ქარაგოზი
8 600 „ ცხენის გალეტი	6 850 „ დაკეპილი თივა
7 600 „ ძაღლის გალეტი	22 980 „ შვრიის ბზე
16 700 „ სიმინდი	
18 300 „ სიმინდის ნარევი	

ამას უნდა დაემატოს აგრეთვე 50 000 კილოგრამი ჭვავისა და შვრიის ბზე, 30 000 კილოგრამი ტორფის ქვესაფენი და დაახლოებით 240 000 კილოგრამი კოქსი და ნახშირი. ამ სიაში ჩამოთვლილი საქონლის საერთო ღირებულება 150 000 მარკას შეადგენდა. ამ თანხაში შედის ხორციან სუპებზე, რძისა და ხილის სუპებზე, კენკროვან ღვინოზე, ფქვილზე, ალუბალზე, ყურძენზე და სხვა სამხრეთულ ხილეულზე გაწეული ხარჯები. ასეთი პროდუქტების ძირითადი მომხმარებლები იყვნენ ადამიანის მსგავსი მაიმუნები, კერძოდ, შიმპანზე მორიცი და ორანგუტანგების წყვილი — იაკობი და როზა.

ორივე ორანგუტანგი მომყიდა ერთმა ფერმერმა, რომელმაც ჩვილები ჩამოიყვანა ისინი კუნძულ ბორნეოდან და საწოვარით გამოზარდა. მაიმუნებმა შვიდი წელი გაატარეს ფერმერთან, ასე რომ, ბავშვობის ასაკიდანვე მიეჩვიენ ადამიანთა საზოგადოებას. სადილობისას ისინი საერთო სუფრასთან ისხდნენ და იმასვე შეექცეოდნენ, რასაც ფერმერი და მისი ოჯახის წევრები მიირთმევდნენ. ერთი სიტყვით, ბავშვებივით ექცეოდნენ და ზრდიდნენ, მათაც საკმაოდ ზრდილობიანად ეჭირათ თავი სუფრასთან. ეს ჩვევა არც შტელინგენში დაუ-

კარგავთ მაიმუნებს. ადამიანთა საზოგადოებისაგან გარიყულად რომ არ ეგრძნოთ თავი, სპეციალურად მივუჩინე დარაჯი, რომელსაც ამ ცხოველების მოვლა-პატრონობისა და გართობის მეტი არაფერი ევალებოდა. ვფიქრობდი, ამით გადავაყოლებინებ გულს, რომ თავისუფლების დაკარგვა არ იდარდონ-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, სავსებით გამართლდა ჩემი ვარაუდი. უზომოდ გავიხარე, როდესაც დავრწმუნდი, რომ მაიმუნები მშვენივრად გრძნობდნენ თავს და გონებრივადაც ვითარდებოდნენ. თუკი დარაჯი გვერდით არ ჰყავდა, მორიცი მოწყენილი იყო და ცდილობდა ანცობით გაერთო თავი, უმეტესად თავის მეზობლებს — ორანგუტანგების ოჯახს ეთამაშებოდა. თავშესაქცევი ბღლაძუნის დროს მორიცი ოსტატურად გაურბოდა იაკობის მკლავებში მოხვედრას და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. თუმცა იაკობი თავქუდმოგლეჯილი გამოეკიდებოდა ხოლმე, მაგრამ თითქმის ვერასოდეს ვერ ეწეოდა რადგან ორანგუტანგები საერთოდ არ ხტუნავენ და გაცილებით უფრო ზანტად მოძრაობენ, ვიდრე შიმპანზეები.

განსაკუთრებული გონიერება გამოამჟღავნა შიმპანზემ თავისუფლების მოპოვების სურვილის განხორციელებაში. ჟირაფების პავილიონი, სადაც შეკედლებული არიან მაიმუნები, ისედაც ძალიან მაღალია და ამიტომ ხის ტიხარი სახურავამდე არაა აყვანილი, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ვერ შეძლებდნენ ამ სიმაღლეზე გადაძრომას და გარეთ გამოსვლას. მორიცი კი თურმე სხვაგვარად ფიქრობდა. არა მარტო თვითონ შეეცადა ამ გზით თავის დახსნას, არამედ თავისი მეგობარი როზაც აიყოლია. ეს ფაქტი თავისთავად მაიმუნებს შორის ეშმარიტი ურთიერთგაგების არსებობაზე მეტყველებს. მაიმუნების გალიაში ერთი დიდი ღრუოვანი ლითონის ბურთი ეგდო. მორიცის ჩაგონებით და მისი დახმარებით როზამ ეს დიდი ბურთი კუთხეში მდგარ საძინებელ ყუთზე დადგა. შემდეგ თვითონ ზედ აძვრა და კედელს აეკრა. მორიცი კი მხრებზე ააცოცდა თანაგამზრახველს, ისკუპა და ტიხრის მეორე მხარეზე ჩახტა ჟირაფებთან. ჟირაფებს არად ჩაუგდიათ შიმპანზეს სტუმრობა. მორიცი მაინც ფხიზლად იყო და როგორც კი რო-

შელიმე მათგანი მიუახლოვდებოდა, სეტყვასავით დაუშენდა ხოლმე მუშტებს და თავიდან იშორებდა შაბეზარს.

მორიცის გაქცევის ამბავი რომ შეიტყო, დარაჯმა გაოცებისაგან პირი დააღო. ვერაფრით ვერ მიხვდა, როგორ გაეპარა მაიმუნი. მაგრამ მორიცმა თავისი არ დაიშალა და მეორედაც სცადა გაქცევა. მაშინ კი მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და ტიხარს სიმაღლე მოუმატეს. მაგრამ შიმპანზე არ დაიბნა და ახლა სხვა ხერხი მოიგონა. მაიმუნის გასართობად გალიის ჭერზე ჩამოკიდებული იყო მსხვილი თოკი. მორიცმა დაასკვნა, კარგად რომ გავქანდე ამ თოკით, თავისუფლად გადავახტები ტიხარსო. ამასაც მიუხვდნენ და ჭერამდე აფიცრეს კედელი. მორიცმა მაინც არ დაყარა ფარხმალი. ერთხელ თავის მცველ დარაჯს გასაღებების აცმულა აართვა და რიგრიგობით დაუწყო კლიტეს მორგება. შრომამ ფუჭად არ ჩაუარა და იპოვნა კიდეც თავისი კარის გასაღები. სწორედ ამ დროს შემთხვევით გავიარე მის გალიასთან. გაოცებულმა დარაჯმა დაწვრილებით მიამბო ყველაფერი. მორიცს მივუბრუნდი და ჩემდაუნებურად ვკითხე: „მორიც! როგორ მოახერხე ეს?“ ვითომცდა ჩემი შეკითხვის პასუხადო, ეშმაკურმა ღიმილმა გადაუარა სახეზე შიმპანზეს. მორიცმა გასაღები მიჩვენა, თითქოს იმის თქმა სურდა: „აი, ამ გასაღებით გავაღეო“.

მაიმუნების ინტელექტუალური განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია აგრეთვე შემდეგი ფაქტი: იმ მიზნით, რომ რკინის ურდულიდან ბოქლომი მოეძრო, იაკობმა ბერკეტად იხმარა მის მიერვე წინასწარ მოტეხილი რკინის წნული. ცხოველების მოყვარულთ ალბათ ესიამოვნებათ იმის ყურება, თუ როგორ სადილობენ ადამიანის მსგავსი მაიმუნები. მკითხველისათვის უკვე ნაცნობი მაიმუნები — მორიცი, იაკობი და როზა — საუზმეზე მიირთმევდნენ ტკბილ ფაფას, რძეს და პურს, სადილად კი ისეთ კერძებს, რომლებსაც ჩვეულებრივ შეექცევიან ჩვენს ოჯახებში ადამიანები. საერთოდ მაიმუნებმა პირის გემო იციან და შეჩვეული არიან ოჯახურ საჭმელებს, რომლებიც ძალიან მოსწონთ. ზოგჯერ სადილზე წყლით სანახევროდ გაზავებულ შავ ღვინოსაც აძლევენ. თანაც იაკობს უფრო მოსწონდა ღვინო, ვიდრე როზას. საერთოდ, როგორც ქალის

წესია, როზას არ უყვარდა ალკოჰოლი. დარაჯმა ისე გაწვრთნა სამივენი, სადილად რომ დასხდებოდნენ სუფრასთან, მათ ყურებას არაფერი სჯობდა. მორიცი უფროსი ოფიციანტის როლს ასრულებდა — სამზარეულოდან კერძები მოჰქონდა და მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა ამ საქმეს. ნასადილევს სუფრის ალაგებაც მისი მოვალეობა იყო. სუპს მაიმუნები კოვზით მიირთმევდნენ, მაგრამ თუ შეამჩნევდნენ, რომ დარაჯი თვალს არ ადევნებდა, მაშინვე პირდაპირ თეფშიდან იწყებდნენ წვენის ხვრეპას. მაგრამ დარაჯის ერთი სიტყვაც კმაროდა — და ისევ ამუშავდებოდა კოვზები. გალიასთან თავმოყრილ მაყურებლებს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მაიმუნების სადილობის ყურება.

ერთხელ ჩემი შვილიშვილი ფრიც ვეგნერი და ახალგაზრდა ინგლისელი მწვრთნელი როიბენ კასტანგი ველოსიპედით სეირნობდნენ და მაიმუნების გალიას ჩაუარეს გვერდით, ოთხხელა ცხოველებმა მაშინვე მიბაძეს მათ მოძრაობას. რაკი ასეთი ინტერესი გამოიწვია ველოსიპედმა მაიმუნებში, რატომ უნდა ჩაგვეკლა ეს ნიჭი. რამდენიმე დღის შემდეგ საბავშვო ველოსიპედზე შესკუპებული მორიცი მარჯვედ დაქროდა შტელინგენის ზოოლოგიური პარკის ბილიკებზე. ბუნებით სანგვინიკს ძალიან მოსწონდა ველოსიპედით სეირნობა. ისე სწრაფად დაქროდა ზარის განუწყვეტელი რეკვითა და ყვირილით, რომ თანხმლები დარაჯი ვერც კი ეწეოდა.

ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, რისი დასწავლაც შესძლო ამ გონიერმა ცხოველმა. ერთი სიტყვით, ადამიანივით იქცეოდა და ისეთ ტრიუკებს იგონებდა, როგორიც მხოლოდ მსახიობს შეუძლია გააკეთოს. ჩაცმითაც კი ადამიანივით ეცვა: ეს წინდები და ფეხსაცმელებიო, საცვლები, ჟილეტი, პიჯაკი და ქუდიო. ისეთსავე კერძებს მიირთმევდა, როგორსაც მისი ერთგული მასწავლებელი და თანამგზავრი რ. კასტანგი. სხვათაშორის, კასტანგის საწოლში ეძინა, მის სიგარეტებს ეწეოდა, მის ღვინოს მიირთმევდა, ხოლო მოგზაურობისას მეორე კლასით მგზავრობდა!

გაზაფხულზე მცირე ხნით ერთხელ კიდევ გვესტუმრა შტელინგენში. რომ დამინახა, გამოიქცა და კისერზე შემომეხვია.

მართალი გითხრათ, ისე გაეხარდა ჩემი ნახვა, გული ამიჩუყდა. ახლა იგი კვლავ მოგზაურობს ევროპის სხვადასხვა ქალაქში.

ჩემი აზრით, ადამიანის მსგავსი მაიმუნები, განსაკუთრებით გორილები, ტყეობაში მალე რომ იხოცებიან, ამის მიზეზია არა იმდენად ცუდი მოვლა, რამდენადაც მათ სულიერ ცხოვრებაზე ზემოქმედების უცოდინარობა. დღემდე თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ამ მაღალორგანიზებული მაიმუნების მგრძნობელობას, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ტყეობაში მყოფი გორილების უმრავლესობა სამშობლოზე დარდმა იმსხვერპლა.

ძალიან საინტერესო სანახავი იყო ჩემი სამი მაიმუნის შეხვედრა გორილასთან, რომელიც მათ თანამგზავრ ორ პატარა ზანგთან ერთად ჩამოიყვანა ჩემს ზოოლოგიურ პარკში ბატონმა გენიკმა კამერუნიდან. შიმპანზემ თავისი აღტაცება ჯერ ხმამაღალი შეძახილებით გამოხატა, შემდეგ კი გალიის ცხაურში გაჰყო მკლავები და გორილას წაეპოტინა, მაგრამ რომ ვერ მისწვდა, გაბრაზებულმა ჯერ ქვიშა მიაყარა და მერე ქვა დაუშინა. ჩემი ორანგუტანგებიც დიდად დაინტერესდნენ ახალი ბინადარით და მორიცის მსგავსად მათაც გაიწვდინეს ხელები ცხაურში. იაკობმა სრული სოლიდარობა გამოუცხადა შიმპანზეს და მანაც ქვიშა და ქვები მიაყარა „ახალს“, როზამ კი მღელვარებისაგან თამაშობა დაიწყო. ნამდვილად თავშესაქცევი საყურებელი იყო მთელი ეს ამბავი — ადამიანისმსგავსი მაიმუნების სამი წარმომადგენლის შეხვედრა თავიანთ შორეულ ნათესავთან. მუსიკალურ ინსტრუმენტებზე როცა უკრავენ ხოლმე მაიმუნები, სიცილით იხოცებიან მაყურებლები. დიდი ხვეწნა და მუდარა არაა საჭირო, მიეცათ დოლი, დაირა, ჟღარუნა... და კონცერტი მზადაა! უკრავენ პრანჭვა-გრეხით, ოთხივე ხელით. ნამდვილი ფორტისიმოა, ყველა ტონში. როდესაც თვალს მოაცილებ მუსიკალურ ექსტაზში შესულ ცხოველებს და ახარხარებულ ხალხს შეხედავ, ვერ მიხვდები, ვის უფრო მეტ სიამოვნებას გვრის ეს მუსიკა—მაიმუნების გალიის წინ მსხდომთ, თუ გალიაში მყოფებს.

თავისთავად იგულისხმება, რომ სხვადასხვა ჯიშისა და სა-

ზეობის ათასობით ცხოველს ისე ვერ მოუვლი და უპატრონებ, რომ რომელიმე ავად არ გაგიხდეს. რა თქმა უნდა, ყველა სნეულება ისე საშიში არაა, როგორც, ვთქვათ, ქოლერა, რომელმაც, როგორც უკვე გიამბეთ ადრე, ერთხელ მოკლე დროში მუსრი გაავლო ჩემს ცხოველებს. არც ისეთ გამოვლინებებს ვთვლი სერიოზულ ავადმყოფობად, რომლებიც აღენიშნებათ ცხოველებს კონტინენტის სიღრმიდან შორეული მოგზაურობისა და ზღვებისა თუ ოკეანეების გადალახვის შემდეგ. მკითხველმა წინა თავებიდან უკვე იცის, თუ როგორ ძლიერ აგზნებას ან კიდევ საოცარ ძალმიხდილობას იწვევს ასეთი მოგზაურობა ცხოველებში. როდესაც ცხოველების ახალი ტრანსპორტი ჩამოდის ზოოპარკში, ცხოველების მომვლელების უპირველესი ამოცანა ისაა, რომ ნერვები დაუმშვიდონ მათ და ნორმალური ჯანმრთელობა აღუდგინონ ზომიერი კვებითა და ჰავასთან თანდათანობით შეჩვევით. როდესაც ცხოველები ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდებიან და რამდენადმე ახალ ჰავასაც შეეჩვევიან, შემდეგ ეძლევათ საჭმელი ჩემს მიერ მტკიცედ დადგენილი წესების მიხედვით. ასაკოვანი ლომი ღებულობს სპეციალურად მისთვის გამოწერილ რაციონს: კვირაში სამჯერ — ცხენის ხორცს და კვირაში ერთხელ — საქონლის ხორცს (თავისა და გულის ჩათვლით). კვირაში ერთი დღე მტაცებლებს სამარხვო აქვთ. მაგრამ ეს კეთდება არა ეკონომიის მიზნით, არამედ იმიტომ, რომ ბუნებას მინდობილ მტაცებლებს საერთოდ ყოველდღიურად არა აქვთ ხორციანი „სადილი“ და ამდენად ასეთი რეჟიმი უფრო უახლოვდება მათი ცხოვრების ბუნებრივ პირობებს. დიდი რაოდენობით ვაძლევ აგრეთვე ძვლებს, რადგან მწამს, რომ გონივრული აზრია ჩაქსოვილი ერთ ხალხურ თქმაში „ძვლის დედა ძვალიაო“, გარდა ამისა, ძვლიანი საჭმელი ხელს უწყობს ყბების გაღონიერებას. ერთი საოცრად ლამაზი ბერძერული ლომი მყავდა, რომელსაც წინა ლოჯებზე ფისტულები გაუჩნდა. გარდა ამისა დაზიანებული ჰქონდა ზედა ყბაც. პირველ ხანებში აძლევდნენ რძეს, კვერცხს, დაკეპილ საქონლის ხორცს, ერთი სიტყვით, ისეთ საკვებს, რომელიც არ გაუღიზიანებდა დაავადებულ ადგილებს. გასიებული ტუჩები მალე დაუცხრა, ცხოველი გამოკეთდა და როდე-

საც განვაახლე ძვლიანი საჭმლის მიცემა, გაფუჭებული კბილები მოემტვრა და თავისთავად ჩამოცვივდა.

ალბათ სპეციალისტებს უფრო დააინტერესებთ, ვიდრე ჩვეულებრივ მკითხველთ, ერთი საოცარი შემთხვევა, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ. ერთი ინდური ფურკამეჩი, რომელიც ჩემთვის უნდა ჩამოეყვანათ ევროპაში, გამგზავრების წინ თავის სამშობლოშივე დაავადდა. გაურკვეველი მიზეზით უეცრად ცხვირის ძლიერი ანთება დაეწყო. მთელი ტანით ცახცახებდა, ხურვება დააწყებინა, თვალსა და ხელს შუა დნებოდა საცოდავი. გამოკვლევით დადასტურდა, რომ ანთება გამოიწვია ჩირქგროვამ, რომელიც მატლებით იყო სავსე. მაშინვე მეცნიერული მეთოდით დაუწყეს მკურნალობა, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო. ერთ დღეს ვიღაც მოხუცი ინდოელი მოვიდა ჩვენთან რაღაც საქმეზე. სხვათაშორის, უამბეს კამეჩის ავადმყოფობის ამბავი. უთხრეს, რომ ბევრი საშუალება ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდაო. ინდოელმა გაიცინა და გვითხრა, თუ გინდათ, ერთ დღეში მოგირჩენთ ავადმყოფსო. კამეჩი ჩვენ მაინც განწირულად მიგვაჩნდა და ამიტომ უყოყმანოდ დავთანხმდით „ცდის ჩატარებაზე". ბერიკაცს მეტი არაფერი უთქვამს. ადგა და წავიდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა უკან, ხელში ჩვენთვის რაღაც უცნობი ბუჩქოვანი მცენარის აყვავებული ტოტები ეჭირა. ამ მცენარეზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მის ყვავილებს საკმაოდ მძაფრი, გამაბრუებელი სუნი ჰქონდა. ინდოელმა ეს ყვავილები მაგრად გამოაბა ცხოველს კუდის წვერზე. ამან, რასაკვირველია, ფრიად შეაწუხა კამეჩი, რომელმაც კუდის ქნევა დაიწყო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცხვირპირში ირტყამდა კუდს და ცდილობდა ამ გზით მოეშორებინა ტოტები. რამდენიმე ხნის შემდეგ ცხვირიდან თავისთავად გადმოცვივდა მატლები, ყვავილის სუნმა თუ გააბრუა ისინი. ჩირქგროვა გამოირწყო, მოშუშდა და ცხოველიც განიკურნა.

ამ შინაური ხერხივით მარტივია, რა თქმა უნდა, თუ იცი, ყველა სხვა სამკურნალო საშუალება, რომელსაც მე თვითონ მივაკვლიე. უნდა მოგახსენოთ, რომ დროთა განმავლობაში ასეთი მეთოდებით მკურნალობის მწყობრი სისტემა შევქმენი-

გადამდებ სნეულებათა გარდა, ავადმყოფობის ყველა სხვა შემთხვევაში ვცდილობდი ძველებური შინაური საშუალებები გამომეყენებინა. ისედაც შეუძლებელი იყო წარამარა ექიმის გამოძახება ყველა ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ჩემი ცხოველი (ასეთები კი ათასობით იყო) სურდოთი გახდებოდა ავად ანდა ფეხს იღრძობდა. ერთ მაგალითს მოვიყვან იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მივაღწიე წარმატებას გულმოდგინე დაკვირვებისა და მოფიქრების წყალობით. ერთ თეთრ დათვს, რომელიც ადრინდელ პატრონს ვიწრო გალიაში ჰყოლოდა დამწყვდეული, უძრაობით უკანა თათებზე ისე ჩაზრდოდა ბრჭყალები ხორცში, რომ მეორე მხარეს გამოსვლოდა. ასეთი რამ საერთოდ ხშირად ემართებათ თეთრ დათვებს, რადგან ჩვეულება აქვთ, ყოველი მობრუნების შემდეგ აუცილებლად მთელი ტანით უნდა ჩაჯდნენ უკანა თათებზე. გავაკეთებინე ერთი დიდი ყუთი, რომელშიც გადავიყვანეთ გალიიდან ჩვენი თეთრი დათვი. წინა მხრიდან ყუთს გაკეთებული ჰქონდა ცხაური. რამდენიმე კაცის დახმარებით ყუთი ისე გადავაბრუნე გვერდზე, რომ ცხაური ქვევით მოექცა. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ბრჭყალები დამეჭრა დათვისათვის. მოვერიდე ცხოველის გათოკვას და, მით უმეტეს, უსიამოვნო ნარკოზის გაკეთებას. როდესაც დათვი ცხაურზე აღმოჩნდა და ფეხზე წამოდგა, თოკების დახმარებით ყუთი ხარიხაზე შევდგით. შემდეგ ცხაურის ქვეშ შევძვერი და მავთულის საჭრელი ფოლადის მაშით დავაჭერი ცხოველს ბრჭყალები. რა თქმა უნდა, წინასწარ ჯერ ერთი ფეხი დავუბი და შემდეგ მეორე. მოჭრილი ფრჩხილები შედარებით ადვილად მოვაცილე დამპალი ხორციდან. ოპერაცია რომ დავამთავრე, დათვი გადავიყვანეთ მეორე გალიაში, რომელსაც თუთია ჰქონდა იატაკზე დაგებული. გალია ნახევრად წყლით გავავსებინე. ასე რომ, დათვი იძულებული იყო უკანა თათებით წყალში მჯდარიყო. წყალს ხშირ-ხშირად ვუცვლიდით და ვაცივებდით. ორ კვირაში ცხოველი სავსებით განიკურნა და შემდეგ კარგ ფასში მივყიდე ერთ სამხეცეს.

ცხოველთა სამყაროს ზოგიერთ წარმომადგენელს მეტისმეტად უყვარს ალკოჰოლი და შაქარი. ალბათ ყველამ იცის, რომ

დოღის ცხენებს ჯირითის დაწყების წინ შამპანურს ასმევენ ხოლმე და ნესტოებსაც უზელენ ამ ღვინით. ისიც ცნობილია, რომ მაიმუნები სიამოვნებით სვამენ ღვინოსა და არაყს. უდავოა, მკითხველს მოაგონდება ერთი შეზარხოშებული სპილო, რომელმაც დიდი ჯაფა დამაყენა ტრანსპორტირების დროს და ბოლოს, ღვინო რომ მოერია, ნებიერად გაიშოტა ბზეზე. ერთხელ რამდენიმე ევროპული დათვი მივყიდე ერთი სამხეცის პატრონს, ვინმე მალფერტაინერს. მორიგებისას შემთხვევით გავიგე, თუ როგორ უღმერთოდ ათრობენ თურმე დათვებს არაყით, მაგრამ არა გასართობად, არამედ იმიტომ, რომ საშინელი გულქვაობით ეკიდებიან ამ ცხოველებს. დარწმუნებული ვარ, ვისაც ცოტათი მაინც უყვარს ცხოველები, ყველა აღშფოთდება, ამ ამბავს რომ შეიტყობს. გაყიდული დათვები რომ გადავეცი ახალ პატრონს, მისი გალიები არ მომეწონა და ვუთხარი, ესენი ასეთი დიდი და ძლიერი ეგზემპლარისათვის არ გამოდგებამეთქი. სწორედ ამ დროს შემთხვევით მოვიდნენ ბოშები და, დათვები რომ დაინახეს, სახეზე სიხარული გამოეხატათ. მალფენტაინერმა შეიტყო, რომ ბოშებს ფული ჰქონდათ, ბევრი არ უფიქრია და მაშინვე მიჰყიდა დათვები ამ მოხეტიალე მკითხავებსა და მკალავებს. როდესაც ვკითხე, როგორ აპირებთ ნაყიდი დათვების წაყვანას გალიების გარეშე, ისინი ხომ გაწვრთნილები არ არიან-მეთქი, ბოშებმა ეშმაკურად გაიცინეს და მიპასუხეს, ჩვენი საქმე ჩვენ ვიცითო. ჯერ იყო და, ორი დღე აშიმშილეს დათვები. შემდეგ მოიტანეს ორი კასრი ქაშაყი. თუმცა ამ ჩორთა ცხოველებს არაფრათ ეპიტნავებათ ასეთი საჭმელი, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდათ და რა უნდა ექნათ. შიმშილმა იცის ზიზღის დაძლევა. ერთი სიტყვით, მესამე დღეს დათვები მაგრად დააძღენ თევზს. საშინლად მოწყურდათ, გულქვა ბოშებმა კი წყლის ნაცვლად სპირტგარეული სითხე მისცეს. მისცვივდნენ ხახაგამშრალი დათვები და სვეს, რამდენიც შეეძლოთ, მაგრად გამოთვრნენ და დაიძინეს. ახლა კი გული მოეცათ ბოშებს, უშიშრად შევიდნენ გალიაში და უგონო ცხოველებს მაშებით დააძრეს ეშვები და ბრჭყალები. არც კი უფიქრიათ, რომ ოპერაციის დროს შეიძლება გამოღვიძებოდა ცხოველებს. ხორციანად ისე ამოაგლიჯეს ბრჭყალე-

ბი, რომ არც ერთ მათგანს არ უგრძვნია სიბრალული და შეცოდება. შემდეგ ორივე დათვს ნესტოებში რკინის რგოლები გაუყარეს. კისერზე კი ამ რგოლებში გატარებული ჯაჭვი დააბეს. ასე დაბორკილი ცხოველები ოთხთვალაზე დაყარეს და გაუდგნენ გზას. რამდენიმე საათის შემდეგ დათვებმა გამოიღვიძეს, ახლა კი დაბლა ჩამოსვეს ცხოველები, ჯაჭვის მეორე ბოლო ოთხთვალას გამოაბეს და ისევ განაგრძეს გზა. ძუნძულით მისდევდნენ უკან თავის ახალ პატრონებს საცოდავი ცხოველები. ბოშებმა თურმე ესეც არ აკმარეს და ალიკაპები გაუკეთეს დათვებს. ესეც სრულიად ზედმეტი იყო, რადგან ჯერ კიდევ ნახევრადმთვრალ ცხოველებს, რომლებსაც თანაც საშინლად სტკიოდათ თათები, ფიქრადაც არ ჰქონიათ თავდასხმა თავიანთ მწვალებლებზე.

1908 წელს გადავწყვიტე შტელინგენში მომეწყო სირაქლემების პირველი გერმანული ფერმა და უკვე ერთი წლის შემდეგ პრაქტიკულადაც განვახორციელე ჩემი ჩანაფიქრი. დიდ მინდორზე ლაღად დასეირნობდა ასობით სირაქლემა. აფრიკული ჯიშის თითქმის ყველა იმ წარმომადგენელს შეხვდებით ჩემს ფერმაში, რომლებიც კეთილი იმედის კონცხიდან ცისფერ ნილოსამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე ბინადრობენ. მათ შორის ბევრი იყო შტელინგენში დაბადებული. განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებდნენ სტუმრები ინკუბატორს, რომელიც ისეთივე საინკუბაციო აპარატებით იყო აღჭურვილი, როგორსაც იყენებენ კალიფორნიაში სირაქლემების ფერმაში. საკუთარი თვალით მიყურებია, თუ როგორ იჩეკება კვერცხიდან სირაქლემა, რომელიც ორთქლის კლაკნილათი გამთბარ სილაზე გამოშრება ხოლმე. ახალშობილი სირაქლემა პირველ დღეებში კვერცხის ნაჭუჭის წვრილ-წვრილი ნამტვრევებით იკვებება. ინკუბატორის შენობა კარგად თბება, გარედან სქელი მინის კედლები აქვს, შიგნით პატარა მდელოა, იონჯა ხარობს. პირველ ხანებში სწორედ აქ ბალახობენ ახალგამოჩეკილი სირაქლემები. შემდეგ კი, ცოტა რომ წამოიზრდებიან, საკუთარი სურვილისდა მიხედვით შეუძლიათ შემინული კარი გაიაროონ, გარეთ გამოვიდნენ და ჩვეულებრივი საკვები ჭამონ. ექვსი თვის ასაკში სირაქლემებს ბუმბულს

ვჭრით. ეს საკმაოდ ძნელი პროცედურაა, მაგრამ იძულებული ვართ, ცხრა თვეში ერთხელ მაინც გავიმეოროთ.

ცხოველების მოყვარულთ ერთ საიდუმლოს გავუმხელ, სირაქლემები, თუკი, რა თქმა უნდა, ჯანსაღად არიან, დღენიადაგ ღია ჰაერზე დასეირნობენ და სწორედ ამის წყალობითაა, რომ ასე ძალიან ეზრდებათ ბუმბული. თოვლის აბაზანებს რომ იღებენ ყოველწლიურად ეს საოცარი ტროპიკული ფრინველები, ესაა, ჩემის აზრით, შტელინგენის ზოოლოგიური პარკის ყველაზე საინტერესო სანახაობა.

ჩემი პროფესია, ჩემი ვეებერთელა წარმოების საჭიროება ხშირად უცნაურ ნახტომებს მაკეთებინებს ხოლმე, ვეტერინარიიდან ზოგჯერ ქალის მოდების სფეროშიც კი გადავდივარ. ასევე ხშირად იძულებული ვხდები გავცილდე მეცნიერული ზოოლოგიის ფარგლებს და მოსაზღვრე დისციპლინებს შევეხო. Panta rhei — ყველაფერი იცვლება, — ამბობდა ჰერაკლიტე,* და ამით იმას აღიარებდა, რომ ფაუნა, რომელიც ბინადრობს ამჟამად დედამიწაზე, ერთ დღეს კი არ შექმნილა, არამედ განუწყვეტლივ ვითარდებოდა უცნობი საწყისიდან სხვადასხვა გეოლოგიური ეპოქების მანძილზე. დედამიწის არსებობის განმავლობაში კლიმატური და ბიოლოგიური პირობების კვალობაზე ჩნდებოდა სხვადასხვა ცხოველური სამყაროები, რომლებიც, როგორც ამას პალეონთოლოგია გვიმტკიცებს, აღიგვებოდა ხოლმე პირისაგან მიწისა, როცა ცხოვრების პირობები შეიცვლებოდა. გადაშენებული და გაქვავებული ცხოველების ჩონჩხების ნაპოვნი ნაშთების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის ისტორიამდელი გიგანტები, რომლებიც სახლობდნენ ოდესღაც ჩვენს პლანეტაზე. 1861 წელს ზოლინგოფენის მახლობლად იპოვნეს მფრინავი ხვლიკის გაქვავებული ანაბეჭდი. შემდგომი აღმოჩენების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ისტორიამდელი ფრინველის — არქეოფტერიქსის რეკონსტრუქცია. ამერიკაში დიპლოკოკის კარგად შენახული მთლიანი ჩონჩხის პოვნამ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია, მე კი აზრი დამებადა ამ

---

* ჰერაკლიტე — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს ერამდე V საუკუნეში.

ურჩხულის ქვის ქანდაკება ჩემი ზოოლოგიური პარკის ახალ ტერიტორიაზე დამედგა.

ჩემი ამ ჩანაფიქრის განხორციელება მივანდე მოქანდაკე იოზეფ პალენბერგს, რომელმაც ადრე ნოიენ-პფერდმარკტზე განლაგებული ჩემი წარმოების რეპტილიების პავილიონისათვის ნიანგებისა და ხვლიკების ისეთი შესანიშნავი ბარელიეფები გამიკეთა, რომ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ახალგაზრდა დიუსელდორფელი, რომელიც აღტაცებული დარჩა ჩემი წინადადებით, სპეციალურად გავაგზავნე არგენტინაში ლა-პლატას მუზეუმში, რათა ადგილზე შეესწავლა ისტორიამდელი ხანის ამ გიგანტი ცხოველის ნაპოვნი ნაშთები. პალენბერგმა გულმოდგინედ შეისწავლა ისტორიამდელი ცხოველების ნაშთები ბერლინის, პარიზის, ლონდონისა და ნიუ-იორკის მუზეუმებში და ისე კარგად აღადგინა მათი გარეგნობა, რომ მისმა მოდელებმა აღტაცებაში მოიყვანა ცნობილი ევროპელი და ამერიკელი პალეონტოლოგები.

1908 — 1909 წლებში პალენბერგმა თავის თანამშრომელთა დახმარებით შექმნა უხსოვარი დროის ურჩხულების ნატურალური სიდიდის ქანდაკებები. აი, უძველესი ხანის მარტორქა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შებმია სტეგოზავრს. აი, კიდევ, ალოზავრი ნთქავს ბრონტოზავრის ლეშს, ხეების კენწეროებში კი მოჩანს საშინელი თავი იგუანოდონისა, რომელიც თავისი გრძელკუდა სხეულით თითქოს კენგურუს მიაგავს. მღვრიე წყლიდან თავი ამოუყვიათ და ხახადაფჩენილები გაშეშებულან თანამედროვე ნიანგების ჯავშანქერცლიანი წინაპრები. მფრინავი ურჩხულები, რომლებიც თავისი ვეებერთელა ფრთებით კლდეებს წამოდებიან, გაშტერებით თავს დასცქერიან ზღაპრულ ქმნილებას — სამრქიან ბიკოზავრსა და სხვა ისტორიამდელ ცხოველებს, რომელთა შორის განსაკუთრებით იტაცებს მაყურებლის თვალს ოცდაოთხმეტრიანი დიპლოდოკი. რაც კი ხმელეთზე ძუძუმწოვარი ცხოველები არსებობს ან ოდესმე არსებულა, მათ შორის ყველაზე დიდ ცხოველად უნდა ჩაითვალოს ეს ნამარხი ხვლიკი, რომელიც 20 000 კილოგრამს იწონის. საერთოდ კი ყველაზე გრანდიოზული ძუძუმწოვარა ცხოველი, როგორიც კი ოდეს-

ზე შეუქმნია ბუნებას, გიგანტური ანუ ცისფერი ვეშაპია, რომელიც შვიდჯერ მეტს იწონის, ვიდრე დიპლოკოკი და ატლანტიკის თვალუწვდენელ სივრცეებში ბინადრობს. ზოოლოგიური პარკის დამთვალიერებელს შეუძლია გაიაზროს ამ საოცარი ბუმბერაზი ცხოველის სიდიდე, როდესაც დაათვალიერებს არქტიკულ პანორამას, სადაც გამოფენილია გრენლანდიური ვეშაპის ყბა, რომელიც ტაძრის პორტალსა ჰგავს.

ოკეანის სივრცეები, ჯერ კიდევ შეუსწავლელი წყალქვეშა სამყარო ანდა ციებ-ცხელების ბუდე — აფრიკის ჭაობები, სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, ვინ იცის, რამდენ საიდუმლოს ინახავს გარდასული ეპოქებისას, რომელთა გამოძახილს ვპოულობთ ცხოველთა სამყაროს სიძველეთა საცავში — ავსტრალიაში.

არაერთხელ ჩამოუტანიათ ჩემი ექსპედიციის წევრებს დიდი კონტინენტების სიღრმეში მოსახლე ადგილობრივ მკვიდრთაგან მიღებული ცნობები ჩვენთვის უცნობი ცხოველების სახეობათა არსებობაზე. ბევრს, ალბათ, ჰგონია, რომ ან ტყუილს ჰყვებიან ადგილობრივი მცხოვრებლები, ანდა მეტისმეტად აზვიადებენო. მაგრამ ყოველთვის ასე როდია. პირიქით, უფრო ხშირად ასეთი ცნობების გულმოდგინე შემოწმების შედეგად ბევრი გასაოცარი სიახლე შეგვიტყვია. თანამედროვე ცხოველთმცოდნეობაში განსაკუთრებით გახმაურდა სამხრეთ ამერიკაში გიგანტური ნელმავალის ნამარხი ნაშთების პოვნის ამბავი. ჯერაც ახსოვს ხალხს, თუ როგორ ააღელვა მეცნიერული წრეები ოკაპის აღმოჩენამ. ხშირ შემთხვევაში მკვიდრი მოსახლეობის ხელოვნების ნაწარმოებთა პრიმიტიული ნიმუშებიც გვანიშნებს ხოლმე ცხოველთა უცნობი სახეობების არსებობას. მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინ სხვადასხვა წყაროებიდან მივიღე ცნობები როდეზიის კლდეებსა და გამოქვაბულებში ნახატების არსებობაზე. ერთი ასეთი ცნობა მომაწოდა ჩემმა აგენტმა, მეორე კი ერთმა წარჩინებულმა ინგლისელმა, რომელიც სანადიროდ ყოფილიყო ამ ადგილებში. ერთი მათგანი სამხრეთ-დასავლეთიდან მივიდა კონტინენტის ცენტრში, მეორე კი — ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. უდავოდ, საგულისხმო ფაქტია, რომ ორივე ცნობა ზუს-

ტად დაემთხვა მკვიდრი მოსახლეობის ნაამბობს იმის თაობაზე, რომ მათ ნახეს საშინელი ურჩხული — ნახევრად სპილო, ნახევრად გველეშაპი, რომელიც ჭაობებში ბინადრობს. ამ რამდენიმე ათეული წლის წინათაც უამბნია ჩემს შესანიშნავ აგენტს მენგეს ასეთი ზღაპრული ურჩხულის ამბები. ცენტრალურ აფრიკაშიც ნაპოვნია მღვიმეების კედლებზე ადგილობრივ მკვიდრთა მიერ პრიმიტიულად გამოხატული ურჩხულის სურათები. ჩემის აზრით, ეს ურჩხული ბრონტოზავრის რომელიღაც სახეობაა. ეს ცნობები, როგორც მოგახსენეთ, სხვადასხვა წყაროებიდან მაქვს მიღებული და, რაც მთავარია, საოცარი სიზუსტით ემთხვევიან ერთმანეთს. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ეს ცხოველი დღესაც არსებობს, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სიტყვით, ამ ადგილებში არც ნიანგები მოიპოვება და არც ბეჰემოტები. მაგრამ უნდა დავსძინო, რომ ჩემი აგენტების მტკიცებით, ამ რაიონებში ასეთი ცხოველი არ არსებობს.

თუმცა საკმაოდ დიდი ხარჯი მოითხოვა ამან, მაინც გავაგზავნე ერთი ექსპედიცია აფრიკის ამ რაიონში, მაგრამ ექსპედიცია ხელმოცარული დაბრუნდა უკან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რამდენიმე ასეულ კილომეტრზე გადაჭიმულ ამ გაუვალ ჭაობებში ხალხი ავად გახდა მძიმე ფორმის ციებცხელებით, და მეორეც, ექსპედიციის წინსვლას ძალზე აფერხებდა ადგილობრივი მეომრული ტომების ხშირი თავდასხმები. მეორედ მონაწილეობა მივიღე ტენდაგურუს მრავლისაღმთქმელ ექსპედიციაში, რომელმაც თუმცა ვერ მიაკვლია ჭაობის ურჩხულს, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთი უზარმაზარი ისტორიული ცხოველის ნაშთები ჩამოიტანა.

მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ზოოლოგებს როდისმე წარვუდგენ ასეთი ცხოველის არსებობის დამამტკიცებელ მასალებს და ამრიგად ბიძგს მივცემ ახალ აღმოჩენებს. როდესაც ადამიანები დარწმუნდებიან, რომ ახლაც არსებობს ისეთი ცხოველი, რომელიც რამდენიმე ათასწლეულის წინ გადაშენებულად მიიჩნდათ, ისინი ახალი ენერგიით შეუდგებიან ხმელეთისა და ზღვის ცხოველების ჯერ კიდევ უცნობი სახეობების ძებნას.

ბოლოსიტყვაობა

(ამ წიგნის 1948 წლის საიუბილეო გამოცემის ლორენც ჰაგენბეკისეული წინათქმიდან და ბოლოსიტყვაობიდან)

„მთელი ჩემი ცხოვრება პრაქტიკულ საქმიანობაში გავატარე. ეს ჩანაწერები საქმიდან სიტყვაზე გადასვლის ჩემი პირველი ცდაა. მე პროფესიონალი მწერალი არ გახლავართ და შეწყალებას ვთხოვ გამოცდილ ლიტერატორებს, აგრეთვე მკითხველებს. მაგრამ მწამს, რომ ამ შრომის შინაარსი გამოისყიდის გადმოცემის ფორმის ნაკლოვანებებს, რომელთა დაძლევაც ვერ შევძელი ჩემს ამ პირველ და უკანასკნელ წიგნში“, — ასე წერდა მამაჩემი 1908 წელს თავის ცხოვრების მოგონებების პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში.

ამის შემდეგ კიდევ ოთხი წელიწადი გვარგუნა ბედმა ერთად მუშაობა მაშინ უკვე მთელ მსოფლიოში დაქსელილი ჩვენი წარმოების შემდგომ გაფართოებაზე. მე, ლორენც ჰაგენბეკს, დავალებული მქონდა ჩვენი ცირკის მმართველობა, რომელიც მსოფლიო გამოფენის დახურვის შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში იმყოფებოდა საგასტროლოდ, უნდა მეხელმძღვანელა აგრეთვე მხეცების ზღვისიქეთა ვაჭრობის საქმისათვის. ჩემი ძმა ჰენრიხი შტელინგენის ნიმუშის მიხედვით ზოოლოგიურ ბაღს აწყობდა რომში და ჰამბურგის გზით ეზიდებოდა მხეცებს იტალიაში, მე კი ბუენოს-აირესში ჩვენი ცირკის მომავალ გასტროლებთან დაკავშირებით, 1910 წელს პირველი ექსპედიცია გავაგზავნე ანტარქტიკაში. იობლიანმა მოგზაურმა იოჰან პალენბერგმა, სახელგანთქმული მოქანდა-

კის ძმამ, პირველად ჩამოგვიყვანა შტელინგენში სამი ზღვის სპილო და იშვიათი სახეობის რამდენიმე პიხგვინი, რომლებსაც სამხრეთ პოლუსის პანორამის ახალ აუზში მივუჩინეთ ბინა. პინგვინებმა ნამდვილი სენსაცია გამოიწვია. სეზონის მეორე ღირსშესანიშნაობა იყო ჰანს შომბურგკის მიერ ლიბერიიდან ჩამოყვანილი ჯუჯა ბეჰემოტები.

სამწუხაროა, რომ ცხოველებით ვაჭრობის ჩვენი წარმოების არსებობის პირველი ორმოცი წლის განმავლობაში ჩამოყვანილი იშვიათი ეგზემპლარების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ შესწავლილი ზოოლოგების მიერ. ბრაუნშვაიგელი პროფესორი დოქტორი ნოაკი გახლდათ პირველი ზოოლოგი, რომელმაც შეისწავლა სომალიური ვირი (Asinus somaliensis Noak), სწორედ ის ცხოველი, ერთხელ ბისმარკის ყურადღება რომ მიიქცია. ნოაკი შემდგომშიც მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი ფირმის მიერ ახლადჩამოყვანილი ცხოველების მიმართ. ასევე დაინტერესებული იყო ჩვენი ცხოველებით ინგლისში ლიდეკერი. უკვე 1913 წელს 60-მდე ავიდა იმ ძუძუმწოვარა ცხოველების ახალ სახეობათა რიცხვი, რომლებიც პირველად ჩამოიყვანა ცოცხლად ევროპაში ჰაგენბეკმა. შემდგომში, როდესაც ჩვენი თანამშრომელი ზოოლოგები — დოქტორი სოკოლოვსკი, დოქტორი კნოტნერუსმაიერი, პროფესორი დოქტორი დე ბო და ქუკოვსკი შეუდგნენ ზოოლოგიის ამ სფეროს შესწავლას, ახალი სახეობების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ასე რომ, 1937 წელს ცოცხლად პირველად ჩამოყვანილი ზღვის ჯიქი (Ogmorhinus leptonyx Blainville) ერთადერთი სიახლე როდია ჩვენს ზოოლოგიურ პარკში. თუკი ესოდენ დიდი ყურადღება მიიქცია ძუძუმწოვარა ცხოველებმა, რომლებსაც მეცნიერები ადრეც იცნობდნენ, მაგრამ არც გერმანიაში და არც სხვაგან ევროპაში არასოდეს ენახათ ტყეოობაში, ზოოლოგებისათვის, ცხადია, უფრო საინტერესო იყო ცხოველთა ისეთი სახეობები, რომლებიც ჩვენი იმპორტის შემწეობით საერთოდ პირველად იქნა დემონსტრირებული. მეცნიერულ ლიტერატურაში ასეთ ცხოველებს სახელწოდებას რომ აძლევდნენ, თავსართად უკეთებდნენ „hagenbecki“-ს. ასე მოინათლა, მაგალითად, გი-

განტი კენგურუ (Macropus hagenbeck Rotsehild, ჩრდილოეთ ავსტრალია), რომლის კლასიფიკატორი გახლავთ ინგლისელი სერ უოლტერ როტშილდი, კაცი დიდად მოყვარული ცხოველებისა.

ასეულობით ცხოველთა ახალი სახეობები მიაკვლია აღმოსავლეთ ციმბირში ჩვენმა ძველმა მოგზაურმა, აწ 97 წლის ფრიც დორიესმა, რომელმაც ოცდაშვიდი წელი დაჰყო რუსეთის ამ ნაწილში და ისეთი ძვირფასი კოლექცია შეაგროვა, რომ მხოლოდ მწერების, პეპლებისა და სხვათა რიცხვმა 87 000 მიაღწია. დორიესი მამაჩემის ბავშვობის მეგობარია. ამ წიგნის პირველ თავში ნახსენებია ერთი მეფუნთუშე, რომელსაც მამამ ვესტ-ინდოეთიდან მიღებული ხოჭოების კოლექცია აჩვენა. სწორედ ამ კაცის შვილი გახლავთ ფრიცი. როდესაც ბავშვობის დროს პატარა მეგობრებმა პირველად დაიჭირეს ბაყაყები ჰამბურგის ქალაქის კედლებთან, მილერნის ბეჭე-კარის დასაცავად მიჩენილი დარაჯი თითო შილინგს ახდევინებდა თურმე ჭიშკარში გავლის მსურველთ. 25 წლის შემდეგ კი ახალგაზრდა ენტომოლოგმა კარლ ჰაგენბეკის თხოვნით და დავალებით ფეხით შემოიარა მთელი სახალინი. ეს ის დრო იყო, როდესაც მამაჩემი ცხოველებით ამარაგებდა ჩრდილოეთ ამერიკაში ქალაქ ცინცინატში (ოჰაიოს შტატი) მისივე გეგმით მოწყობილ ზოოლოგიურ ბაღს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში კარლ ჰაგენბეკი საზოგადო სახელად იქცა მთელ მსოფლიოში. საქმემ, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება შეალია მან, დამსახურებული აღიარება ჰპოვა. მაინის ფრანკფურტის, კოპენჰაგენის, ლონდონის, მოსკოვის, პარიზის, ამსტერდამისა და ნიუ-იორკის ზოოლოგთა და ბუნებისმცოდნეობის მეცნიერულმა საზოგადოებებმა თავის საპატიო წევრად აირჩიეს იგი. პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ Officier d' Academie Frace-ს საპატიო წოდება მიანიჭა მას. მსოფლიოში ცნობილმა მრავალმა პიროვნებამ პატივი დასდო მამაჩემს, პირადად ინახულა და თავისი აღტაცება გაუზიარა. სამწუხაროდ, აღარ გვყავს ჩემი ძმა ჰენრიხი — კაცი ჟამთააღმწერლად დაბადებული... პირადად მისი გაფორმებულია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ბევრი ზო-

ოლოგიური ბაღი, მისივე აგებულია ვეებერთელა ბაკები შტელინგენში. მე კი სხვაგვარი სამუშაო მხვდა წილად: ცირკის ბალაგანთან ერთად ცხრაჯერ შემოვიარე დედამიწის ზურგი მილრეისების, დოლარების, იენებისა და პიასტრების საშოვნელად. ჩვენს წარმოებას ხომ უამრავი ფული სჭირდებოდა.

უდიდესი მწუხარებით ვიგონებთ კარლ ჰაგენბეკის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებს. იგი გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას და დროულად შეადგინა ანდერძი. არც ერთი თავისი ძველი თანამშრომელი არ გამორჩენია. უკანასკნელ დღემდე დადიოდა ხოლმე ზოოპარკში თავისი საყვარელი ცხოველების სანახავად. იგი ხომ კარგად იცნობდა თვითეულ მათგანს.

1913 წლის 14 აპრილს საღამოს გაზეთების სატელეგრაფო აგენტებმა მთელ მსოფლიოს ამცნეს კარლ ჰაგენბეკის გარდაცვალების ამბავი. საერთაშორისო პრესა კარგა ხნის მანძილზე ათავსებდა ვრცელ სტატიებსა და გრძელ ნეკროლოგებს, რომლებშიც აღწერილი იყო „ზოოლოგიური ბაღებისა და მხეცებით ვაჭრობის ხელმწიფის“ ცხოვრება და მოღვაწეობა. ცნობილმა მწერლებმა გრძნობით აღსავსე ნეკროლოგებით მოიხადეს ვალი მამაჩემის ხსოვნის წინაშე. მესამე დღეს ჩვენმა დარაჯებმა ერთხელ კიდევ გაატარეს ჰაგენბეკის ცხედარი ზოოლოგიურ პარკში და ოლსდორფის სასაფლაოსკენ გაეშურენ. მამაჩემის უკანასკნელი სურვილის მიხედვით გზაში პროცესია რამდენჯერმე შეჩერდა მის საყვარელ ადგილებში.

მისი სიკვდილის შემდეგ ყველაზე ძვირფას ანდერძად დაგვრჩა მისი მთელი ცხოვრების ნაყოფი — შტელინგენის ზოოპარკი. მძიმე ხვედრი გვარგუნა ჩვენ ბედმა: უნდა გადაგვერჩინა და შესაძლებლობის კვალობაზე აღგვედგინა მთელ მსოფლიოში განშტოებული ჩვენი წარმოება, რომელიც საშინლად დააზარალა ორმა გამანადგურებელმა მსოფლიო ომმა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გვარიანად კი შეთხელდა, მაგრამ მაინც გადარჩა ჩვენი ზოოლოგიური პარკი და, რაც მთავარია, ნეიტრალურ ქვეყნებში „კარლ ჰაგენბეკის ცირკის“ გასტროლების წარმატებამ საშუალება მოგვცა კვლავ აღგვედ-

გინა იგი. მეორე მსოფლიო ომის ხანძარმა კი ისეთი ზიანი მოგვაყენა, გვეგონა, სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა მამაჩემის ნოვატორულ საქმეს.

1943 წელს საჰაერო თავდასხმამ 90 წუთში გაანადგურა ასობით ძვირფასი ცხოველები, რომელთა გამოზრდასაც საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, ბომბებმა მიწასთან გაასწორა შტელინგენის პავილიონები და ფარეხები. ვენაში დაინგრა ჩვენი ცირკის შენობა, განადგურდა აგრეთვე მოხეტიალე ცირკების მთელი მოწყობილობა. სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა უახლოესი თანამშრომლები. აღარ გვყავს ჩვენი დაუვიწყარი ძმა ჰენრიხი და ჩემი საყვარელი შვილი ჰერბერტი.

მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მივცემივართ და, მიუხედავად დიდი გასაჭირისა, მაშინვე შევუდექით შტელინგენის აღდგენას. ჩვენმა გამრჯე მუშა სპილოებმა ძველ დარაჯებთან და მოსამსახურეებთან ერთად გულმოდგინედ გაწმინდეს ზოოპარკის ტერიტორია შენობებისა და პავილიონების ნანგრევებისაგან და უკვე ერთი წლის შემდეგ მწვანედ აბიბინდა ბომბებით გადათხრილი და გადამწვარი ზოოლოგიური პარკის გაზონები, გაიფურჩქნა და აყვავდა არემარე. შტელინგენის ემბლემის მსგავსად ცაში ატყორცნილი მწვერვალების ციცაბოებზე აბობღებულან ქვისაგან ნათალი თხები და ზემოდან დასცქერიან მთელი დედამიწის ცხოველთა სამყაროს, რომელიც ადრინდელთან შედარებით გვარიანადაა შეთხელებული, მაგრამ მილიონობით დამთვალიერებელს მაინც სიამოვნებას მოჰგვრის და ცოდნას შემატებს. ჩემი ძმისშვილი კარლ-ჰენრიხი და ჩემი ვაჟიშვილები კარლ-ლორენცი და ერიხი — ჰაგენბეკების მეოთხე თაობის წარმომადგენლები, მხარში მიდგანან. ასე საერთო ძალებით ვცდილობთ აღვადგინოთ და სათანადოდ მოვუაროთ 1848 წელს დაარსებულ ჩვენს წარმოებას.

დაე ამ ახლადგამოცემულმა წიგნმა მსოფლიოს ყველა კუთხეში მიაკვლიოს ცხოველთა მოყვარულებს. მაშინ ეს მოგონებები კარლ ჰაგენბეკის ცხოვრებაზე, რომელსაც „ზოოლოგიური ბაღების ხელმწიფეს“ ეძახდნენ, შეასრულებს თავის დანიშნულებას: იგი ადამიანებს ცხოველთა სამყაროს სიყვარულს გაუღვივებს, ასწავლის მის სულსა და გულში ჩახედვას და მომხიბლავ სანახაობას გადაუშლის თვალწინ.

ჩარლზ მაიერი

ბოთლი ვიხილეთ ბაღში ეთვალა

თარგმნა

ნათელა ულენტმა

სულების მთა

ჩემი ცხოვრების თვრამეტი წელი მალაკის ნახევარკუნძულზე გარეული მხეცების ჭერაში გავატარე; ამერიკაში მობრუნებულმა წიგნად დავწერე, რაც თავს გადამხდა. მკითხველებისაგან უამრავი წერილი მივიღე. რას არ მეკითხებოდნენ: „რომელი ცხოველი შეიძლება ჩაითვალოს უძლიერესად?“ „რა ზომისაა დიდი ორანგუტანგის გულ-მკერდის ყაფაზი?“ „მოერევა თუ არა ორანგუტანგი სპილოს?“ მწერდნენ ექიმები. რომლებსაც აინტერესებდათ ჯუნგლებში გავრცელებული ციებ-ცხელების (რომელიც, სხვათა შორის, მეც შემეყარა) მიზეზები და ისტორია. სპილოების მომთვინიერებელი მთხოვდა ცნობებს მოთვინიერების ხერხების შესახებ...

აუარებელი საქმე მქონდა. სიდნეის ზოოლოგიურ ბაღში გავგზავნე გარეული მხეცებით სავსე ხომალდი. გულით მეწადა კარლ ჰაგენბეკის ჰამბურგის ზოოლოგიური ბაღისათვის მომენადირებინა მარტორქა, რამდენიმე ვეფხვი და ავაზა. გადავწყვიტე, ისევ ტრენგანაში* წავსულიყავი, სადაც უამრავი ნადირი ირეოდა.

---

* ტრენგანა — სამთავრო მალაკის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. 1948 წლიდან შედის მალაის ფედერაციაში.

ტრენგანის სულთანს კარგად ვიცნობდი. როცა პირველად ჩამოვედი ამ მხარეში, საჩუქრად არღანი მივართვი. სულთანმა სპეციალურად შექმნა „მუსიკის ოსტატის“ თანამდებობა და „ოსტატი“ მართავდა არღანს. ახლა, როგორც კი ჩამოვედი კუალოში (დედაქალაქი), მაშინვე სულთანს ვეახელი. არც ამჯერად ვყოფილვარ ხელცარიელი — ძღვნად ფონოგრაფი მივართვი. რითაც ძალზე გავახარე. ფონოგრაფმა ფრიად დააინტერესა იგი, მაშინვე იხმო „მუსიკის ოსტატი“ და უბრძანა, ფონოგრაფი მოშორებით დაედგა და აემუშავებინა. „ოსტატი“ შიშისაგან ცახცახებდა ახალი, საიდუმლოებით მოცული საგნის დანახვაზე, რომელიც ადამიანის ხმას გამოსცემდა. სულთანს კი არაფერი აშინებდა და ქვეშევრდომების შიში ართობდა კიდეც. ბანჯომ და ორკესტრმა ყველა დააფრთხო, სამაგიეროდ სიცილი მოეწონათ. თუმცა, ქალები ყველაფერმა აღაფრთოვანა.

სულთანს მოვახსენე, ქვეყნის შუაგულში შეღწევას რომ ვაპირებდი — მინდა იქ ვცადო მხეცების დაჭერა-მეთქი. მან წარმატება მისურვა და თავისი ხალხი შემომთავაზა.

მდინარე ტრენგანის აყოლებაზე ხუთმეტი დღის მგზავრობის მერე ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მივადექით უკანასკნელ კაპპონგს (სადგომი): ამის იქით არც ერთ ნახევარკუნძულელს ფეხი არ წაუდგამს: იქით „სულების მთა“ (ბუკიტხანტა) იყო. ამ მთას ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი — იქაურები ამბობდნენ, მთაზე ავი სულები ბუდობენო. ვინც კი გაბედავს ამ მთაზე შედგას ფეხი, ან ვეფხვი შეჭამს, ან კიდევ უარესი — თვითონ იქცევა ვეფხვადო.

კარგა ხანია აქეთკენ ვიწევდი, რადგან ადგილობრივ მკვიდრთა მონათხრობიდან ჩანდა, რომ იქაურობა სავსე იყო ნადირით, მაგრამ როცა გზის გაკითხვა დავიწყე, მდუმარების გადაულახავ კედელს წავაწყდი — სულების მთაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. მაშინ გადავწყვიტე ცრუმორწმუნეობას სიცრუითვე შევბრძოლებოდი და მთელ სოფელს გავანდე, რომ მე პაუანგი (სულების მჩხიბავი) ვიყავი, იქაურებს ვარწმუნებდი, რომ გაჩენის დღიდან არც ერთ ბოროტ სულს ჩემთვის

არაფერი დაუშავებია და მათაც ავ სულთაგან დაცვა აღვუთქვი. ისე დაბეჯითებით ვლაპარაკობდი, რომ ყოველგვარი ეჭვი გავფანტე. ვთხოვე, მხოლოდ მთის მისადგომებამდე მიმყოლოდნენ. გამყოლები შევარჩიე საკაების[1] ტომიდან. ისინი იქვე, ჯუნგლებში ცხოვრობდნენ. მსურველები საკმაოდ აღმოჩნდნენ. განზრახული მქონდა ავსულიყავი სულების მთაზე, თუკი საერთოდ ეს ძალუძს ადამიანს. ვიმედოვნებდი, იქ მდინარესაც მივაგნებდი — მე ხომ ქვეყნის შუაგულში ვიმყოფებოდი და თუ რომელიმე მხეცის მონადირებას მოვახერხებდი, გადაყვანის საშუალებაც უნდა გამომეძებნა.

მივაღწიეთ უახლოეს კამპონგს. მისი პენგ-ხულია (უხუცესი) უაღრესად აღელვებული დაგვიხვდა. გარს შემოხვეოდნენ აწიოკებული ქალები და ბავშვები. ის კი აქეთ-იქით აწყდებოდა და ამაოდ გაიძახოდა: „წყნარად!.. წყნარად!..“

მეც მომაძახა: „უბედურება, უბედურება შეგვემთხვა, ტუან (ბატონო)! ვაი, რანაირი უბედურება!..“

ვკითხე, რა დაგემართათ-მეთქი. ამ მხარის ზნე-ჩვეულებანი კარგად რომ არ მცოდნოდა, მისი პასუხი გამაოცებდა. გამოირკვა, ეს-ეს არის გადაუხდიათ ცხარე ბრძოლა „დიურიანისათვის“[2], რომელიც ველურად იზრდება ჯუნგლებში. იქაურები თავს არ ზოგავენ, ოღონდ კი ხელთ იგდონ ამ ხის არაჩვეულებრივი ნაყოფი. შეტაკებაში მომკვდარიყო ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი; ორი მამაკაცი და ერთი ქალი მძიმედ დაჭრილიყო. მიცვალებულები დაემარხათ. ახლა უხუცესი კუალოში უნდა გამგზავრებულიყო და სულთანისათვის მოეხსენებინა

---

[1] საკაი — ასე ეძახიან პირობითად მალაკის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებ მონადირე ტომებს. ანთროპოლოგიურად ცეილონელებს უახლოვდებიან. ნადირობენ შუბითა და ერთგვარი თოფით — სუმპიტანით.

[2] დიურიანი — Durio zibetinus. ამ ხის ნაყოფის ატანა ინგლისურ გემებზე თავისი მყრალი სუნის გამო აკრძალულია. აკრძალულია ავრეთვე ნახორმალებისა და ნაფცქვენების ქუჩაში დაყრა.

ყველაფერი. თან დაჭრილები უნდა წაეყვანა, რათა ციხეში მოეთავსებინათ ისინი. დაჭრილები იქვე იწვნენ, ტლანქ საკაცეზე. დარწმუნებული ვიყავი, ისინი გზას ვერ აიტანდნენ და დედაქალაქში მისვლამდე დაიხოცებოდნენ. ასეც ვუთხარი უხუცესს, მაგრამ მან მომიგო, დაჭრილების ტანჯვასთან არაფერი მესაქმებაო. თუ დაიხოცებიან, ჩანს, ასეთია ნება ალაჰისა. მათი წაყვანა კი აუცილებელია. თუ არა და, სულთანი მე დამსჯისო. როგორც უხუცესი, იგი აგებდა ყველაფერზე პასუხს.

დიურიანის ხის დაუფლებისათვის ჯუნგლებში გამუდმებით მიმდინარეობს თავგანწირული ბრძოლები. თუ ხე სასაზღვრო ხაზზე მოხვდება, მაშინ მისი მოპოვებისას მთელი ტომები შეაწყდებიან ხოლმე ერთმანეთს.

ამ ხის ნაყოფი ზომითა და შესახედაობით ანანასს ჩამოჰგავს. ნაყოფს მწვანე კანზე მაგარი ეკლები ასხია. თუმცა კანი მეტად მკვრივია, მაინც ადვილად იჭრება და იფცქვნება. თვითონ შიდა ნაყოფი ხუთ-ექვს ნაწილად იყოფა ფორთოხალივით. სამწუხაროდ, ვინც ჯუნგლებში არ ყოფილა, ამ ნაყოფს ვერ იგემებს: უმალ ფუჭდება და გამოტანა არ ხერხდება. ხე, რომელიც ამ ნაყოფს ისხამს, ჩვენებურ თელას მოგაგონებთ, ოღონდ ქერქი უფრო გლუვი აქვს. სიმაღლით სამოც-სამოცდაათ ფუტს აღწევს. დამწიფებისას ნაყოფი მიწაზე ცვივა, ასე რომ. იქაურებს არ სჭირდებათ ხეებზე ცოცვა. როცა ნაყოფი შეითვალება, ჯუნგლელები ხის ირგვლივ კარვებს შლიან და ელოდებიან, როდის ჩამოცვივა მწიფე ნაყოფი. ამასთანავე ფრთხილობენ, რომ ჩამოვარდნილმა ნაყოფმა ხალხი არ დააშავოს, რადგან შეიძლება დიურიანის მახვილმა ეკალმა კაცს საშიში ჭრილობა მიაყენოს.

ამ ნაყოფს უჩვეულო სუნი და გემო აქვს. როცა დიურიანს ეზიდებიან, სუნი წინ-წინ მოდის, ვიდრე ურემი გამოჩნდებოდეს. ეს სუნი ევროპელისათვის გულისამრევია. მე ისე მეზიზღებოდა, რომ მალაკის ნახევარკუნძულზე ჩემი ყოფნის მერვე წელს ძლივს გავბედე მისი გასინჯვა. იქაურები მარწმუნებდნენ:

— გასინჯე... კარგია... ერთბაშად დაგცხება...

მაგრამ როგორც კი სუნი მეცემოდა, პირს ვიბრუნებდი. მერე, როცა მტკიცედ გადავწყვიტე გასინჯვა, ვფრთხილობდი

და ცხვირზე ხელი მოვიჭირე. იქაურების მთელი გუნდი გარს მეხვეოდა, გულით უნდოდათ, მეც მომწონებოდა მათი საყვარელი სასუსნავი და ჩემს მანჭვაზე ეცინებოდათ. პირველი ლუკმა საეჭვოდ მეჩვენა; მეორეზე გავიფიქრე, ვგონებ, გემრიელია-მეთქი. მესამეზე მივხვდი, ნამდვილად გემრიელი იყო. ნაყოფი სილბოთი კრემს მაგონებდა. ბანანი რომ გახეხოთ, მიუმატოთ იმდენივე ნაღები, დაუმატოთ ცოტაოდენი შოკოლადი და მაგრად შეაზავოთ... ნივრით, მიიღებთ ნარევს, რომელიც დიურიანს ჩამოჰგავს. ამასთანავე, სუნი განსაკუთრებით წმინდა და თან მძაფრია. მას მერე პირდაპირ ვგიჟდებოდი დიურიანისთვის. ახლაც, როცა ამას ვწერ, საოცრად მომინდა იქ ყოფნა და მწიფე დიურიანი.

შუა ზაფხულში ადამიანებიც და ცხოველებიც განიცდიან დიურიანის ნაყოფის მოთხოვნილებას, რაც მერე ერთგვარ გამოლენჩებამდე მიდის.

როგორც მონადირეს, დიურიანი დიდ სამსახურს მიწევდა: სადაც ის ხარობს, იქაა სანადირო სარეჯგვავის ადგილი. როგორც ეტყობა, არც ერთ მხეცს არ შეუძლია გაუძლოს მისი სუნის ცთუნებას. სპილო მანამდე აკოტრიალებს მიწაზე ნაყოფს, სანამ ეკლები არ მოუცვდება. მერე ფრთხილად დაადგამს ფეხს. ფცქვნის ნაყოფს და შეექცევა ჯერ გულს, მერე ქერქსაც. მარტორქა, გარეული ღორი, ტაპირი, კამეჩი და ირემი ფეხს სცემენ, სანამ არ გაიბზარება. დათვი, ჯიქი. ვეფხვი და კატის მოდგმის სხვა მხეცები ნაყოფს ხლეჩენ მახვილი ჭანგებით.

თავშესაქცევი სანახაობაა, როცა დიურიანს პატარა მაიმუნი ეძიძგილავება. მაიმუნები, ცხადია, არ ელოდებიან ნაყოფის ჩამოცვენას. ხშირად პაწაწუნა მაიმუნი ჩააფრინდება ჯერ კიდევ შემოუსვლელ ნაყოფს და მოგლეჯს. იბადება კითხვა: როგორღა გაფცქვნის? საკმარისია იპოვოს სულ პატარა ბზარი, რომ შიგ როგორმე შეყოს თითი და კანი მაშინვე შემოეცლება. მაიმუნი აცოცდება ხეზე, ჩამოაგდებს ნაყოფს და თვითონაც კისრისტეხით გადმოჰყვება მას. მაგრამ ზოგჯერ მეორე, ხის ქვეშ განაბული ნადირი მოსტაცებს ნადავლს და გარბის. მაშინ მისი ყვირილი ჯუნგლებს აყრუებს. მაიმუნების

ჭყივილისა და ღრიანცელის ხმაზე ხშირად აგნებენ დიურიანის ხეს.

ერთ კამპონგს, სადაც მომიწია შეჩერება, იშვიათი ბედნიერება გააჩნდა — თავის მფლობელობაში ითვლიდა დიურინის ოთხ ხეს. ხეები ბამბუკის მაღალი მარგილებით შემოერაგვათ და ლერწმით შემოეწნათ. გარეული ღორებისა და ირმებისათვის, რომლებიც იმ არემარეში მრავლად დაეხეტებოდნენ, მესერი მიუდგომელი იყო. ერთხელ, როგორღაც, იქ ერთი საათის განმავლობაში დავხოცე თვრამეტი ღორი.

მაგრამ ვერავითარი ღობე ვერ იპატივებს დიურიანს ფრინველებისა და მაიმუნებისაგან და, თუ რასმეს არ იღონებენ, არც ერთი ნაყოფი არ გადაურჩებათ. სადაც ეკალი და ძეძვი არ შველის საქმეს, იქ ხმაურს მიმართავენ: აწყობენ ბამბუკის უზარმაზარ სატკაცუნებს. ბამბუკის გახლეჩილი ღეროს ნახევარი მიმაგრებულია დიურიანის ხის ტოტებზე, მეორე კი თავისუფლად ჰკიდია. თუ თოკს მაგრა მოქაჩავ და მერე ხელს შეუშვებ. მეორე ნახევარი ეხლება პირველს და გამაყრუებელი ხმაური წარმოიქმნება. ერთ-ერთი ჩემი საყვარელი გასართობი იყო ბალღების ყურება, რომლებიც დილაადრიან ჯგუფად, შვიდი-რვა კაცი, ისხდნენ ხეების ქვეშ და რიგრიგობით ექაჩებოდნენ თოკს. ერთი შეხედვით უბრალო ბავშვური თავშექცევა იყო, სინამდვილეში კი ფრინველები და მაიმუნები ფრთხებოდნენ, პანიკურ შიშს ეძლეოდნენ. მოგვიანებით, დღისით, როცა მზე ზენიტს უახლოვდებოდა და აუტანელი ხვატი დგებოდა, მაიმუნები და ფრინველები თავს ანებებდნენ ლუკმის მოპოვებას და ბავშვებიც მშვიდ ძილს ეძლეოდნენ.

ისეც ხდება, რომ ჯუნგლელები აიძულებენ გაწვრთნილ მაიმუნებს დაკრიფონ დიურიანის ნაყოფი ისევე, როგორც სხვაგან ქოქოსის ნაყოფს აკრეფინებენ. როცა პირველად ეს ვნახე, გავოცდი: გრძელთოკჩაბმული მაიმუნი რომ აიძულო აცოცდეს ხეზე, ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ როგორ უნდა მიახვედრო, რომელია სასურველი ნაყოფი? ჯერ შეუძლებლად მეჩვენა. მაიმუნმა კი თათი შეახო ეკლიან ნაყოფს და შემკრთალმა გადმოიხედა ძირს. ეს არ იყო ის ნაყოფი, რომელიც მის პატრონსა

სურდა. მან მაგრად მოქაჩა თოკი და მიაძახა: „ტიდაკ, ტიდაკ!“ (არა, არა).

მაიმუნი მეორეს შეეხო, მერე კიდევ ერთს...

ბოლოს შეეცთარად შეეხო და პატრონმა დაუძახა: „ია!“ (ჰო).

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ნაყოფი ხომ ისევ ხეზეა!

ფრთხილად, ეკლებს რომ არ დაეჩხვლიტა, მაიმუნი ნაყოფს ერთ მხარეს აბრუნებდა. დროდადრო ჩერდებოდა, რათა თათის სწრაფი მოძრაობით თავიდან მოეშორებინა აბეზარი მწერი. როცა ყუნწი მოიღვლერჭა, კბილებით გადაღრღნა. ნაყოფი ჩამოვარდა. ამ დროს მაიმუნის სიფათი უნდა გენახათ — სახეზე ყველაფერი იყო: შიშიც, მოუთმენლობაც და, ბოლოს, სიხარულიც, როცა პატრონი შეძახილით აქეზებდა.

სოფელი, სადაც დიურიანმა სიკვდილი მოიტანა, მალე დავტოვეთ და სულების მთისაკენ განვაგრძეთ გზა. თან მახლდა უხუცესი, ათიოდე მისი კაცი, სამი ჩემი მენავე და ჩინელი „ბოი“. ჩვენ მოგვიწია გზა გაგვეკვლია ჯუნგლების უღრან ტევრებში. თვითეული ჩვენგანი ეზიდებოდა ოცდაათ გირვანქა ბრინჯსა და ხმელ თევზს.

სამიოდე საათის შემდეგ ტყიდან უეცრად წმინდა ქვიშით მოფენილ ველზე გავედით. იგი ასოცდახუთი ფუტის სიგრძეზე იყო გადაჭიმული.

ის იყო წინ წასვლა დავაპირე, რომ უხუცესმა უენ-მეტმა ხელი მტაცა და მომაძახა:

— ფრთხილად, ტუან! მერყევი ქვიშის ზოლი იწყება!..

გაფრთხილებამ მეც და ჩემი მხლებლებიც საშინელი ხიფათისაგან გვიხსნა. ეს კია, არსად მსმენია, რომ მერყევ ქვიშაში ცხოველები იღუპებოდნენ.

წინ დაწალიკებით მივიწევდით. ათი კამპონგელი მამაკაცი მიგვიძღოდა. მალე მეწინავეები ხმამაღალ ლანძღვასა და ყვირილს მოჰყვნენ. ისინი წააწყდნენ ბამბუკის წვერწამახულ პალიებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, საკაები არჭობენ მიწაში, რათა თავი დაიზღვიონ ფეხშიშველი მტრისაგან. წარმოუდგენელი გნიასი ატყდა: სცემდნენ ამოღარულ ძელებზე, ყვიროდ-

ნენ, იწყევლებოდნენ; სად იყო და სად არა, სოფლიდან ხალხი გამორბოდა.

უენ-მეტმა დაიძახა: „არ ისროლოთ — ეს მე ვარ, უენ-მეტი!“

იგი გაუნძრევლად იდგა. საკაების უხუცესი იხმო და განუმარტა, რომ მე — თეთრი რაჯა ვარ და მერე სალამი მიართვა. უთხრა, რომ სულთანის მფარველობის ქვეშ ვიყავი. მაშინ ყველანი მომესალმნენ. ისინი მოვალენი იყვნენ ხელი გაემართათ, რაც უნდა მომეთხოვა. არადა, სულთანის რისხვა დაატყდებოდათ თავს.

უენ-მეტი რომ არ გამომქომაგებოდა, საკაები ჩამისაფრდებოდნენ და ჰაერის ლულებით მომკლავდნენ. ჰაერის ლულა საშიში იარაღია — ისვრის პალმის ფოთლების შუათანა ფხის მოწამლულ ისრებს.

როცა სადგომად მივედით, ქალები და ბალღები გაიფანტნენ. ეს მორიდებულობით როდი ჩაიდინეს: უბრალოდ, მიფრთხოდნენ — მათ ხომ აქამდე არასდროს ენახათ თეთრი ადამიანი. თუმცა ჩემი მოვლინების მერე აღარ გამოჩენილან, ვგრძნობდი, რომ ათობით თვალი მომჩერებოდა ხეებიდან და ხშირი ფოთლებიდან.

მახლობელ სოფლებს ერთმანეთში გარეგნულად მშვიდობიანი ურთიერთობა აქვთ უხუცესთა მეცადინეობის წყალობით; ნედლ კაუჩუკს, ბრინჯსა და ხმელ თევზს ცვლიან ერთმანეთში. ვაჭრობის საქმეს უხუცესი აწესრიგებს და იგი თავის სოფლის წარმომადგენელია. ყიდის ბურთისებრ რეზინის მასას: ნედლ კაუჩუკს დებენ ცხელ წყალში, დინდგილივით ირბილებენ, მერე მისგან ბურთებს აკეთებენ. შრეს შრეზე უმატებენ. რახან ასეთი ბურთები წონით იყიდება, ზოგჯერ შიგადაშიგ კენჭებს ატნევენ. ადგილობრივი ვაჭრები ტყუვდებიან, მაგრამ ვერასდროს ვერ აბერხებენ ჩინელის მოღორებას: ჩინელს თან აქვს გრძელი, სამართებელივით ალესილი დანა და ბურთს ოთხ ალაგას გადაჭრის; კენჭები ხელად გამოჩნდება.

საკაები ამ ადგილების მკვიდრად ითვლებიან. ისინი მალაელებზე შავები არიან. ხუჭუჭი თმები აქვთ, რაც ხშირად სცვივათ მკვნეტარისაგან. ამ მომთაბარე ხალხს არ უყვარს ერთსა

და იმავე ადგილას გაჩერება რამდენიმე კვირაზე ხანგრძლივად: ხშირად ინაცვლებენ ადგილს და ჯუნგლების სხვადასხვა კუთხეში იშენებენ ხიმინჯებზე წამოყუნცულ კარვებს. კიბის ნაცვლად იყენებენ ბამბუკის ღეროს, რომელსაც ნაჭდევებს უკეთებენ. მამაკაცები, ქალები და ბალღები მაიმუნებივით ცოცავენ ზედ. ტანსაცმლის ნაცვლად საკაებს თეძოებზე შემოკრული აქვთ უხეში ქსოვილის ნაჭერი. ქალები ატარებენ რაღაც წინსაფრის მაგვარს, ანდა ტყავის ნაკუწს, რომელიც წელზე ჰკიდიათ.

საკაები ცრუმორწმუნეები არიან. ერთხელ ერთ საკაის გავუწოდე პატარა სარკე. ჩაიხედა, მერე უკან მოუსვა ხელი და შიშისაგან თვალებგადმოკარკლული დაჟინებით გაიძახოდა საკაურ სიტყვას, რაც ნიშნავდა „სულებს“. საკაები თვლიან, რომ მიცვალებულის სული სამარესთან რჩება. ამიტომ მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ მთელი ბანაკი წამოავლებს ხელს თავის ავლადიდებას და შეშინებულები აიყრებიან — ახალ სადგომს ეძებენ.

ჩვენ სულები არ ვყოფილვართ, ცოცხალი ადამიანები ვიყავით, სულთანის მეგობრები. ამიტომ საკაებმა ნება დაგვრთეს მათთან დავრჩენილიყავით და ბანაკში მოვწყობილიყავით. შევარჩიეთ ოთხი ახალგაზრდა ხე, რათა მათ შორის გაგვეშალა კარავი. ირგვლივ ხეების გაკაფვა მოგვიწია, — თუ ქარიშხალი ამოვარდებოდა, ჩვენი სახელდახელო ნაგებობა არ დაეზიანებინა. მერე მიწიდან ოციოდე ფუტის სიმაღლეზე ავაგეთ ბაქანი. ნაგებობა თან მოტანილი ბამბუკით გადავხურეთ. შემდეგ გავშალეთ „ტიკარები“, — საძინებელი ჭილოფები, დავამაგრეთ ფარდები ქინქლებისაგან თავდასაცავად და საღამოს პირზე ჩვენი ბინაც მზად გაბლდათ.

რახანია ჯუნგლებში დავდივარ და ამდენი ქინქლა არსად არ მინახავს. ყოველგვარი საუბარი მალიმალ წყდებოდა ტყაპატყუპითა და წყევლა-კრულვით. ფარდას შევეფარე, მაგრამ არც ამან მიშველა — როგორც კი ავწიე ქობა ჩემი წილი ვახშმის ასაღებად, ქინქლები ღრუბელივით დამედო. საბედნიეროდ, ადრევე ვიზრუნე, რომ ჩემს მენავეებსა და ბოის მოე-

მარაგებინათ ფარდები, უენ-მეტი და მისი თანამგზავრები კი გაწვალდნენ. ჩვენ ქვემოთ, მდინარეზე, ჭერეხივით ეყარნენ ნიანგები. ისინი ხახას აფჩენდნენ და მანამ ჰქონდათ ასე, სანამ ბუზსაჭერი ქაღალდივით წებოვანი ენა სულ ერთიანად არ დაიფარებოდა ქინქლებითა და ღამურა მწერებით. მაშინ ხმაურით მუწავდნენ ხახას და ისევ აფჩენდნენ, თითქოს ცოცხალი მახეაო. ასე გრძელდებოდა მთელ ღამეს. ეს ხმა ერთვოდა განუწყვეტელ ტყაპატყუპს: უენ-მეტი და მისიანები ქინქლებს იგერიებდნენ შეშინებულები, ცოცხლად არ დაგეჭამონო. მხოლოდ ჯუნგლების უკუნეთის შიში აჩერებდა ამ ხალხს, რომ არ წამომხტარიყვნენ და აქაურობას არ გასცლოდნენ. დილას ამაზრზენი სანახავი იყვნენ.

საკაები კი არხეინად ცხოვრობდნენ ამ ქინქლებში, არსად ჩანდა თავდასაცავად ბადურები. ეტყობა, მათ კანს ქინქლა ვერას აკლებდა.

უენ-მეტი თარჯიმნად დავიყენე და საკაების ბელადს, ნეიზარს, გავესაუბრე. მან გვითხრა, რომ სპილოების, მარტორქების, ტაპირებისა და ვეფხვების კვალს წასწყდომია და საიდანაც ჩვენ მოვედით, იმის საპირისპირო მხარეს მიგვითითა. ნეიზარმა აგვიხსნა, რომ თვითონ ისინი არასოდეს არ მიდიან სადგომიდან ნახევარი დღის სავალზე შორს. როგორ მიგვეღწია ბუკინ-ხანტამდე, მან არ იცოდა.

— არა, ტუან, არა! არავინ არ ასულა სულების მთაზე, არავინ არასდროს არ ყოფილა იქ!

ბელადი როგორღაც გაშტერებული მომჩერებოდა. იგი შეგიპირე, რომ ამ დღეებში მოვიდოდა უენ-მეტის სადგომში. ჩემი მხრიდან აღვუთქვი, რომ ვეფხვებისა და ჯიქებისათვის ორმოებისა და სარეჯგვავების გამართვას ვასწავლიდი. მალე დავრწმუნდი, რომ ბადის, ფაცერისა და ასმანაკის საქმეში ბადალი არა ჰყავდა.

სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, დანარჩენები უკან გასაბრუნებლად შეემზადნენ. გულით გაიხარეს, როცა გამგზავრების ნიშანი მივეცი. დაბრუნება თამაშად გვიჩნდა — გზა ხსნილი იყო. როცა ჩვენს სადგომს მივუახლოვდით, შესახვედრად გამოიქცნენ შეშინებული ქალები და ბავშვები. ისინი ღრმად

იყვნენ დარწმუნებულნი, რომ გზაზე რაღაც ცუდი შეგვემთხვა და ამიტომ მოვბრუნდით ასე მალე. როცა შეიტყვეს, რომ ყველაფერი რიგზეა და ჩვენი წყლულები ქინქლების ნამოქმედარია, ხარხარი ატეხეს და უშვერად ხუმრობდნენ. ჩვენ სიცილის არაქათი აღარ გვქონდა: გვეძინებოდა, დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექით.

მეორე დღეს ექვსი კაცის თანხლებით გამოგვეცხადა ნეიზარი, საკაების უხუცესი, ხაფანგების დაგება რომ შეესწავლათ. ტლანქი მახე გავაკეთეთ. ისინი ინტერესით გვადევნებდნენ თვალს. ხაფანგი უზარმაზარ სათაგურს მოგაგონებდათ: იატაკად მიწა ჰქონდა, მავთულის მაგიერ კი მიწაში მარგილები იყო ჩარჭობილი. ტოტებით გადავხურეთ. ვაჩვენეთ, როგორ იღება კარი და როგორ დაიკეტება, როგორც კი შიგ მხეცი მოხვდება. საკაები ჩვენს ყველა მოძრაობას გულდასმით აკვირდებოდნენ, სახეზე ვატყობდი, რომ მიხვდნენ საქმის არსს. ეს გახლდათ პრაქტიკული გაკვეთილი, უსიტყვოდ. მერე საკაებს გავუმასპინძლდით: ფინჯნების ნაცვლად ქოქოსის ნაჭუჭში ჩაი ჩავუსხით და თეთრი შაქარი მივეცით. მათ აქამდე ჩაი არ ენახათ და დალევას ერიდებოდნენ, ენა დააწეს და თქვეს: „მწარეა“. ჩაიში შაქარი ჩავუყარეთ — ასე მოეწონათ და დიდი ყლუპებით სვამდნენ, მაგრამ ხმელა შაქარი უფრო მოსწონდათ. მათი აზრით, მწარე ჩაის დასატკბობად შაქრის ხარჯვა უგნურებაა. საკაებს ჩვენი მასპინძლობა ბალღებივით ახარებდა. შესანიშნავი განწყობილებით წავიდნენ ჩვენგან და იმედოვნებდნენ, თუ ტუანისათვის ნადირს დაიჭერდნენ, „რინგიტს“ (დოლარი) იშოვიდნენ.

ნეიზარის დაბრუნების მოლოდინში გავმართეთ ფაცერი და ასმანაკი რამდენიმე ადგილას, მაგრამ უშედეგოდ. გავიდა ერთი კვირა. უცბად ნეიზარი გამოჩნდა. იგი ჭენებით გამორბოდა და გაჰყვიროდა:

— ვეფხვი!.. ხაფანგში ვეფხვია!...

მაშინვე შევუდექით გადასატანი გალიის კეთებას. ვაკეთებდით ნორჩი ხეების ტანისა და ტოტებისაგან. ფსკერისათვის ტოტებს ერთიმეორეზე ვაბამდით რატანით (ლერწამი): სახურავი და კედლები მეჩხერი იყო: ტოტები ერთიმეორისაგან

დიუმნახევრით დავაშორეთ. ყველა სახსარი რატანით გადაკაბით. იქაურები ამ საქმეს საოცარი სისწრაფით ართმევდნენ თავს: საღამომდე გალია მზად იყო. გრძელი და ვიწრო გაკაკეთეთ, სრულიად საკმარისი, რომ შიგ მოზრდილი ვეფხვი დატეულიყო, ოღონდ ისე, რომ ვერ მოტრიალებულიყო. გალია ორ გრძელ ჭოკზე დავამაგრეთ. ჭოკები ორსავე მხარეს კარგაძალზე იყო გაშვერილი. გალიის ერთი მხარე, საიდანაც ვეფხვი უნდა შესულიყო, ღიად დავტოვეთ.

მეორე დილას, გამთენიისას, გავეშურეთ ჩვენი ნადავლისაკენ. გალიაში ცოცხალი ქათამი დავაბით, პირველი მოსაკითხი ვეფხვისათვის მის საკანში... ნეიზარი მიგვიძღოდა და დაახლოებით ოთხი საათის შემდეგ მივაღწიეთ იმ ადგილამდე, სადაც მან ხაფანგი გამართა. ხაფანგში შესანიშნავი, ზრდასრული ვეფხვი გაბმულიყო, ხვადი, დაახლოებით ცხრა ფუტის სიგრძისა. მხეცი შესანიშნავ მდგომარეობაში იყო — ეს გახლდათ ერთ-ერთი ულამაზესი ნიმუში კატისებრთა ჯიშისა, რომელიც კი ოდესმე მინახავს.

გალია ხაფანგისაკენ ღია ნაწილით დავდგით, ხაფანგის მარგილები ამოვაძვრეთ და ვეფხვს ვერეკებოდით, სანამ გალიაში არ შევიდა. გალიის დაკეტვა უკვე ადვილი საქმე იყო. საერთოდ, ხაფანგიდან გალიაში ვეფხვის გადაყვანა საძნელო საქმე არაა. მონადირე გაცილებით ნაკლებს ირჯება, ვიდრე ხვანცალა და მკივანა მაიმუნების გადაყვანისას.

როგორც კი შევიდა გალიაში, ვეფხვი იატაკზე გაწვა, ყურები ჩამოყარა და თვალები მილულა. ასწია ზედა დრუნჩი და შესანიშნავი ეშვები გამოაჩინა. სუნთქვა სტვენით სწყდებოდა მკერდიდან. ცოცხალი ქათამი, მის ზემოთ რომ ფათქუნობდა, აღიზიანებდა. თათის ერთი მოქნევით სული გააფრთხობინა, მაგრამ ძალიან გაშმაგებული იყო და პირი არ დაუკარებია. სხვა დროს, თუ მშიერი არ იქნებოდა, კატასავით შეიქცევდა თავს: მაღლა შეისროლა და წარმოიდგენდა, ქათამი ცოცხალია და გამირბისო.

ცხოველების შეპყრობა ჩემთვის ხელობაა და არა სპორტი, მაგრამ ნადირობისას ყოველთვის განვიცდიდი მღელვარებას და მუდამ ვტკბებოდი ცხოველების გრაციითა და საოცარი

ზნით. ეს ვეფხვი სავსე იყო იდუმალებით, თავისი ჯიშის იდუმალებით. თვალებში მივჩერებოდი, მაგრამ ჩემს მზერას გაურბოდა. ვცდილობდი გამომეცნო მისი მძვინვარების დონე. ტყეობისას მხეცის მძვინვარება მისივე საწინააღმდეგოდ მოტრიალდება ხოლმე. ისიც ხდება, შეპყრობილი ვეფხვები გალიაში კუდს იკვნეტენ. ამას იმ დროს ჩადიან, როცა სიშმაგისაგან გონება ებინდებათ. მე თვითონ არასდროს მინახავს ამგვარი მძვინვარება, მაგრამ ერთმა იქაურმა მიამბო ასეთი შემთხვევა.

გადავწყვიტე, რაც შეიძლება ფრთხილად მოვპყრობოდი ჩემს ძვირფას ნადავლს. გალიის გადატანა მივანდე თექვსმეტ მზიდავს: რვა მალაელი და რვა საკაე ეზიდებოდნენ. უენ-მეტი, ერთი თოფიანი მამაკაცი და მე მივუძღვოდით ამ მსვლელობას. წინ გაშლილი გზა გვედო. მოვიპოვეთ ის, რისთვისაც ვიღწვოდით და ამ პატარა ჯგუფში საზეიმო განწყობილება სუფევდა.

უცებ ჯუნგლის ტევრიდან გაისმა ღრენა, ბრდღვინვა...

საჭურველთმტვირთველმა სწრაფად დაუშვა ჩემი ვინჩესტერი, მობრუნდა, ჩემთვის რომ გადმოეცა, მაგრამ უნებლიეთ ისე მომცხო ლულა, რომ ფეხზე ველარ დავდექი. ჯაგებისა და ლიანების ტევრში გავიხლართე და ამაოდ ვლამობდი წამოდგომას. ამ დროს გაისმა ყვირილი, გოდება და ყმუილი. როცა სანახევროდ წამოვიწიე, დავინახე, ჩემს მახლობლად მიჰქროდა უზარმაზარი მასა. პირველი სიტყვა, რომელიც ამ ქაოსში გავარჩიე, „ბადაკი“ (მარტორქა) გახლდათ.

„ბადაკი!“ ერთასნაირ ხმაზე გაჰკიოდა თავზარდაცემული ხალხი. როგორც იყო, თავი ავიშვი ჯაგებისაგან და გზაზე გამოვედი. ჩემს წინ ეგდო ნაფოტებად ქცეული გალია. ვეფხვი ნამტვრევების ქვეშ მოქცეულიყო. უშველებელი ჭრილობა ჰქონდა ფერდში, სისხლი შადრევანივით სცემდა. ყოველ ამოსუნთქვაზე საბრალობელად ბღაოდა. მის ბღავილს თითქმის ფარავდა კაცის შემაძრწუნებელი ყვირილი. სამი საკენის მოშორებით მიწაზე გართხმულიყო სამი საკაი. ერთი უკვე მკვდარი იყო, ორი — მძიმედ დაჭრილი. დანარჩენები გაჰყვიროდნენ და ხელებს იქნევდნენ.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ვერც კი მოასწრეს გალიის მიწაზე დადგმა და გაქცევა. მარტორქა ჯუნგლებიდან გამოვარდა, თავი დაღუნა და შეტევაზე გადმოვიდა. უნდოდა, ვეფხვამდე მიეღწია და ამასობაში უზარმაზარმა მხეცმა მოკლა ერთი საკაი და ძირს დასცა ორი. თავის ერთი დარტყმით სათამაშოსავით გაანგრია გალია, რქით ვეფხვს ფერდი შეუნგრია და ასფუთიანმა ზონზროხა მხეცმა გალია ვეფხვიანად გაათრია ოთხ საქენზე. მერე ღრიალით შემოიბერტყა ყველაფერი და ღრენა-ბუზღუნით ჯუნგლებს შეეფარა. მან, ალბათ, ვერც კი გაიგო, რა საოცარ ამბავს გადააწყდა: ვეფხვს რომ ქალბატონივით მიაბრძანებდნენ.

მან, უბრალოდ, ვეფხვის სუნი იგრძნო, სასიკვდილო დარტყმა აგემა და გზა განაგრძო.

მარტორქა ბეცია, მაგრამ სამაგიეროდ არაჩვეულებრივად მახვილი ყნოსვა აქვს. იგი მუდამ ყნოსვით იკვლევს გზას და ისე ესხმის თავს ვეფხვებს. არასოდეს არ შეებმის სპილოს,— ამ ვეებერთელა მხეცებს ერთმანეთისა ეშინიათ, თუმცა მარტორქა ვერც გაუმკლავდება სპილოს, როცა იგი ზემოთ ასწევს ხოლმე ხორთუმს. ხელი რომ არ შეუშალოს, და ეშვებს მოიმარჯვებს. ვეფხვი ვერ ჯაბნის მარტორქას და არც ცდილობს შებრძოლებას: საამისოდ მას არავითარი მძლავრი იარაღი არ გააჩნია. დიდ ცხოველებს ვეფხვი ასე ხოცავს: მაგალითად, ხარს — დააცხრება, შეიმართება უკანა თათებზე, წინათი კი ხარს იჭერს — ერთს მხარზე მოავლებს, მეორეს — გავაზე. მერე კბილებში იგდებს კისერს, თავს გადაიგდებს და წინ უკან ექაჩება ხარის კისერს, სანამ არ გადაამსხვრევს. ცხადია, ამ ხერხით მარტორქას ვერაფერს დააკლებს: მისი ტყავი მეტად ტლანქია. ამიტომ ვეფხვი ყოველთვის გაურბის სპილოსა და მარტორქას. საერთოდ, ვეფხვი სულაც არაა ისეთი ძლიერი და გულადი, როგორც ფიქრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ავაზა ერიდება მასთან შეხვედრას, ვფიქრობ, ორი მომცრო ავაზა ადვილად მოუღებს ბოლოს დიდ ვეფხვს. მათ შეუძლიათ ერთი წუთის განმავლობაში სამჯერ მეტი ჭრილობა მიაყენონ, ვიდრე ვეფხვს. არასდროს შემხვედრია სხვადასხვა ჯიშის, ან

თუნდაც ერთი ჯიშის მხეცების მეგობრობის შემთხვევა: გარეული ცხოველები ინსტინქტურად მტრობენ ერთმანეთს.

მარტორქისაგან დაჭრილი ჩვენი ვეფხვი ამაოდ ცდილობდა გალიიდან გამოსვლას. მისი გადარჩენის არავითარი იმედი არ იყო. ერთადერთი, რაც მისთვის შემეძლო გამეკეთებინა, — ბოლო უნდა მომეღო მისი ტანჯვისათვის. გამყოლს გამოვართვი თოფი, რომელსაც უაზროდ იქნევდა აქეთ-იქით და მხეცს სასკდომი ტყვია დავახალე. მან ხრინწიანად ამოახველა და სული განუტევა. ფუჭ სინანულს თავი ვანებე და ერთ-ერთ დაჭრილ საკაის მივუბრუნდი. ჩემი საცვლებიდან სახელდახელოდ დავამზადე სუფთა სახვევები და გალიის ნამტვრევებიდან მოტეხილი ფეხისათვის ქირურგიული არტაშანი მოვახლაფორთე. მეორე საკაის ისე ჰქონდა ჩაჩეჩქვილი ზურგი, აღარაფერი ეშველებოდა.

მალაელები ვაიძულე გაეკეთებინათ წყვილი საკაცე გალიისგან გადარჩენილი ნაწილებისაგან. ძველი ცრურწმენა ერთიანად ბოჭავდა მათ. ისინი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულები, რომ მარტორქა ბოროტი სული იყო და სულების მთამ მოგვიგზავნა იგი, რადგან არ უნდოდა, რომ თუნდაც ერთ ვეფხვს ცოცხალს დაეტოვებინა მისი საუფლო.

მათი საუბარი მომხდარი ფაქტების, ფანტაზიისა და აშკარა სიცრუის ნარევს წარმოადგენდა. ერთი ირწმუნებოდა, რომ მარტორქა თეთრი იყო — თეთრი, როგორც ყველა სული, ანდა, როგორც იგი ამბობდა, „თეთრი, როგორც ბავშვის კბილები“. მეორე გაიძახოდა, დედალი იყოო. კარგად დავინახეო,— ჰყვებოდა იგი, — როცა მარტორქამ ჯუნგლებში გადაუხვია, წინ თავისი შვილი გაიგდო და რქით ერეკებოდაო. მართალია, გაშლილ ადგილებში შეიძლება დაინახო ამგვარი სურათი, მაგრამ ხშირ ბუჩქნარში ვერაფრით ვერ გაარჩევ.

დედალი მარტორქა სანიმუშო დედაა. შვილი მუდამ გვერდით ჰყავს და ისე დაჰკანკალებს, როგორც მზრუნველი ძიძა.

ჯუნგლებში მარტორქა ხშირად ღიზიანდება. განსაკუთრებით აბეზრებენ თავს მისი კანის ნაოჭებში დაბუდებული მწერები. როცა შეპყრობილ მარტორქას აბანავებ, ამ ნაოჭებში

ჯოხი უნდა შეუჩიჩხინო. ამით მწერებს გარეკავ და მარტორქის დიდ შვებას მიანიჭებ.

მოკლული საკაი მისმა სამმა ამხანაგმა წაასვენა. ისინი ცოტაპილა დარჩნენ (მხოლოდ ხუთნი გადაურჩნენ მარტორქის თავდასხმას), რათა ეზრუნათ დაჭრილებზე. გარდა ამისა, რადგან მიმაჩნდა, რომ თავსდატეხილ უბედურებაზე პასუხისმგებელი მე ვიყავი, გადავწყვიტე, ყველაფერს გავაკეთებ. რაც შემიძლია, რომ დაჭრილებს საუკეთესოდ მოუარონ-მეთქი. კიდეც რომ მნდომოდა მათი წაყვანა საკაების სადგომში, რომელიც ბუდეებივითა ხეებზე მიშენებული, მალაელებს ვერასგზით ვერ ვაიძულებდი ისევ ბუკინ-ხანტის გზას დასდგომოდნენ.

და, აი, განვაგრძეთ გზა. გალიის ნაცვლად, რომელშიაც შესანიშნავი ვეფხვი გვყავდა, ამჯერად ორი საკაცე მიგვქონდა. გადარჩენილი საკაები, რომლებიც გამოლენჩებულები მისჩერებოდნენ ჩვენს საქმიანობას, თავიანთ თანამეტომეებს საოცრად მარტივი ხმით გამოეთხოვნენ. ერთ მათგანს ისინი ვერასოდეს იხილავდნენ: ზურგი დამსხვრეული ჰქონდა და კამპონგში მისვლისთანავე განუტევა სული.

მალაელებმა ცხედარი ტილოში გაახვიეს და რაღაც მწუხარე სიმღერა უთხრეს. შეიძლება, ეს მადლიერების სიმღერაც იყო — ყველა მალაელი საღ-სალამათი გადარჩა.

დროებით თავი ვანებე სულების მთაზე ასვლის ფიქრს. გადავწყვიტე, თუ ოდესმე განვიზრახავდი ამას, თან დაიაკებს წავიყვანდი — მონადირეებს, რომლებსაც არ აშინებს არც კაცი, არც მხეცი და არც სული.

სპილოების მარეკი

კუალოში ჩემი სახლი მდინარე ტრენგანისა და სამხრეთ-ჩინეთის ზღვის შუა მოქცეულ ქვიშიან ზოლზე იდგა. იქ ვისვენებდი სულების მთაზე ასვლის წარუმატებელი ცდის შემდეგ. ვფიქრობდი, მომავლისათვის უფრო საფუძვლიანად შემემუშავებინა გეგმები. ვერანდაზე ვიჯექი და ნებიერად გავცქეროდი მდინარეს. მოშორებით რაღაც დავლანდე. რამაც მაფიქრებინა, ჩემს მაგიერ ვინმეს ხომ არაფერი მოუსაზრებია-მეთქი. წელამდე გაშიშვლებული, ბრინჯაოსფერი რვა მენიჩბე პირდაპირ ჩემს სახლს უახლოვდებოდა. ნავში ერთადერთი მგზავრი იჯდა. მის თავთან თეთრი დროშა ფრიალებდა. დროშაზე არ იყო არავითარი ნახატი ან სამშვენისი, სწორედ ისეთი ჩანდა, დაზავების დროს რომ აღმართავენ ხოლმე. ეს გახლდათ ტრენგანის სულთანის დროშა: საგვარეულო კი არა, პირადად მისი. მგზავრი კი აბდული იყო, სულთანის სანდო კაცი.

როცა ნავი ნაპირს მიადგა, აბდული ვერანდას მოუახლოვდა. ვერ შემკადრა ვერანდაზე ამოსვლა, მისალმების ნიშნად შუბლთან მიიტანა ხელი და მითხრა:

— ტაბეკ, ტუან (სალამი, ბატონო).

— აპა ხაბარ (რა ამბავია)? — ვკითხე მე.

— სულთან მაუ ჯუმპა, ტუან (სულთანს შენი ნახვა უნდა, ბატონო).

— ბაიკ (კარგი), — მივუგე მე. — ახლავე გავემზადები.

მენიჩბეებმა (არ ვიცი, შეიძლება თუ არა კაცმა ასე უწოდოს მათ, რადგან ნიჩბის მაგივრად ხელთ ჭოკები ჰქონდათ) ჩქარა მიგვიყვანეს სასახლესთან. სასახლე ჩვეულებრივი აგუ-

რის სახლი გახლდათ. აგურისავე გალავანი ჰქონდა შემორტყმული. გალავანში დატანებული იყო ხის ჭიშკრები, რომელთა წინ მეკარე იდგა. იგი მცნობდა და როცა მივუახლოვდი, უხმოდ მომესალმა. მისაღებ პავილიონს გვერდი ავუქციე, სულთანის სააუდენციო დარბაზს მივაშურე და მასთან მოუხსენებლად შევედი. სულთანი წითელ-ყვითელ ბალიშზე იჯდა და იქაურ, მდარე თამბაქოსაგან გაწყობილ, პალმის ფოთოლში გახვეულ პაპიროსს ეწეოდა.

მშვიდად მომესალმა, ტაში შემოჰკრა და შემოსულ მსახურს უბრძანა:

— ბაუა ტუან კრაზი (ბატონს სკამი მოართვი).

მოიტანეს სკამი: სწორზურგიანი მაგარი სკამი. როგორც კი დავინახე, მაშინვე ვთქვი: „თქვენის ნებართვით ბალიშზე ჩამოვჯდები თქვენს პირდაპირ", და იატაკზე მოვიკალათე.

მან ისევ შემოჰკრა ხელი — მკვეთრად, მბრძანებლურად.

მოგვართვეს ყავა და ნამცხვარი. ნამცხვარი წარმოადგენდა ბრინჯის ფქვილისა და შაქრისაგან გამომცხვარ ოთხკუთხა ნაჭრებს. შაქარი ბლომად ჰქონდა, ფქვილი — ნაკლებად. ყავაში შაქარი და ყავა თითქმის პირიპირზე იყო. სულთანი აშკარა სიამოვნებით შეექცეოდა ყველაფერს.

— ტუან, — თქვა მან, — არის სპილოები. — და გაიღიმა.

ეს ღიმილი იმ პატივისცემას გამოხატავდა, რაც დავიმსახურე ტრენგანაში ჩემი პირველი მოგზაურობის დროს, როცა სამოცი სპილო შევიპყარი ერთ ხელობაზე. ამან არა მარტო სახელი გამითქვა ერთ დღეში, არამედ „ბატონი სპილოს" არაოფიციალური ტიტულიც მომიტანა.

— სად? — ვიკითხე მე.

— მდინარე ტარ-პუს ოლქში. იქ ათი სპილოა, შეიძლება მეტიც. ერთმა კაცმა ნახა, მერე კიდევ ერთმა და კიდევ ერთმა. ეგენი ისეთი ხალხი როდია, პატარა სიმართლიდან დიდ ტყუილს რომ ბერავენ, როგორც ჩემი მსახურების უმრავლესობა ჩადის. სპილო ნამდვილად არის. შენც აქვე ხარ, შენ, რომელიც იჭერ ველურ ქმნილებებს და თვითონ ისევე ძნელად მოსახელთებელი ხარ, როგორც ისინი, ვისაც შენ იჭერ. ეს ბედ-

ნიერება ალაჰმა მომანიჭა. სპილო, როგორც შევნიშნე, რინგიტს ჰგავს: ვისაც ბევრი ჰყავს, კიდევ და კიდევ მეტი უნდა.

— მე წავალ და შევიპყრობ სპილოებს, — მივუგე მე.

მან დინჯად დამიქნია თავი.

— თან წავიყვან, — განვაგრძე მე, — თქვენს ოთხ სპილოს. ოთხსაც, ტუნკუ-ბეზარს რომ ეკუთვნის, იმათ.

ამჯერადაც დიდის ამბით დამიქნია თავი.

წამოვაყენე ჩემი პირობები: უნდა მიშოვოს საჭირო რაოდენობის ხალხი. მე ვკისრულობ მთელი ჯოგის შეპყრობას. დიდ სპილოებს სულთანს მივცემ, პატარებს კი ჩემთვის დავიტოვებ.

მან ჩემი პირობა მიიღო. ეს „ჯენტლმენური“ შეთანხმება გახლდათ: არაფერი დაგვიწერია შავით თეთრზე, არ დაგვითქვამს, რომელი ჩაგვეთვალა დიდ სპილოდ და რომელი — პატარად.

შინაური სპილოები, რომლებთანაც მომიწევდა მუშაობა, შესანიშნავი ეგზემპლარები გახლდათ. სულთანის ოთხსავე სპილოს ეშვები ჰქონდა, რვა და მეტი ფუტის სიმაღლისა იყვნენ. მისი სიძის, ტუნკუ-ბეზარის სპილოებიც აგრეთვე დიდები იყვნენ და თანაც მამლები. ისინი მე შევიპყარი ჩემი პირველი ექსპედიციის დროს და ავტორის სიამაყით შევცქეროდი მათ. კარგად უვლიდნენ და დროთა განმავლობაში მოათვინიერეს. მაგრამ ჩემს წამოწყებაში იყო ერთი გარემოება, რომელსაც შეიძლება მათი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო: ამ სპილოებს ჯერ არ მიეღოთ მონაწილეობა თავიანთ თანამოძმეებზე ნადირობაში. იმის იმედი მქონდა, რომ ძლიერები იყვნენ, გამყოლებმა კარგად იცოდნენ მათი ზნე და სპილოებიც ყველაფერს უგონებდნენ გამყოლს. ამავე დროს საშიშროების ელემენტი მომავალ ნადირობას სპორტულ ეშხს მატებდა, ამიტომ მოუთმენლად ველოდი გამგზავრებას.

იმ წუთს ძალიან მიხაროდა, რომ ტრენგანა სიამი არ იყო. სიამში ყველა გარეული სპილო ხელმწიფის საკუთრებაა. მთის სპილოები მთიელებს ეკუთვნით, ისინი კი, ველზე რომ დაეხეტებიან, არც კი შეიძლება „ველურებად“ ჩაითვალოს, მთავრობის სპეციალური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. ჯოგი,

რომელიც მეტწილად ოთხასამდე სპილოს ითვლის, თავისუფლად ხეტიალობს, მაგრამ მუდამ თვალს ადევნებენ, დროდადრო ალყას შემოარტყამენ და ათვალიერებენ. ყოველ ორ-სამ წელიწადში ეწყობა დიდი ნადირობა. შეარჩევენ ხოლმე ეშვიან სპილოებს, დანარჩენებს გასამრავლებლად უშვებენ.

რაც შეეხება ჩემს სახლს, მხოლოდ კარის გამოხურვაღა დამრჩენოდა: შიგ არაფერი მქონდა, ქურდები რომ გაბრიყვებულიყვნენ.

ჩემი ბოი მდინარის ნაპირზე გავგზავნე ნუზლის საშოვნელად: ბრინჯი, თევზი და ორიოდე დუქინი ქათამი მეყოფოდა. ქათმებს დუქინობით ყიდდნენ ერთ დოლარად, ამიტომ იმდენი ვიყიდე, რამდენის წაყვანასაც შევძლებდი.

სამოსი იგივე მეცვა, რითაც სულთანს ვეწვიე. ოღონდ მაღალყელიანი და ორმაგლანჩიანი ჩექმები კი ჩავიცვი. გარდა ამისა, თან წავიღე შალის პაჭიჭები, რომ ჯუნგლებში შესვლისას წვივზე ჩამეცვა.

წამოვკრიფე რამდენიმე ხელი გამოსაცვლელი ტანსაცმელი, რაც აუცილებელია ამ ცხელ, მაგრამ ნესტიან მხარეში. მთელ იმოდენა ბარგში ყველაზე მნიშვნელოვანი ქინქლებისაგან თავდასაცავი ბადეები გახლდათ. ჩვეულებრივ, დაწოლისას ლეიბის ზემოთ ვკიდებდი. ლეიბი თხელი მქონდა, ადვილად იკეცებოდა და გადასატანადაც მოხერხებული იყო. საითაც უნდა წავსულიყავი, ეს ბარგი მუდამ თან მქონდა.

სულთანთან სტუმრობისას ჩვენ შევთანხმდით, რომ მე ბვალვე გავუდგებოდი გზას მდინარე ტარ-პუს აყოლებით, ხალხს კი იმავე გზით გამომაყოლებდა ჩემი წასვლის მეორე დღეს. სულთანს გამოვეთხოვე და გაღმა გამოვედი, ჩემს სახლში, რათა ექსპედიციისათვის შევმზადებულიყავი.

მეორე დღეს, მზის ჩასვლისას, გავუდექით გზას, აღმა შევყევით, ჩქარი მდინარების წინააღმდეგ. შვიდი მენიჩბისა და მესაჭის გარდა. რომლებიც ჩემს მრგვალფსკერა ნავს მართავდნენ, თან მახლდა ჩემი ჩინელი ბოი, ხსი-ჩუ-აი. იგი ჩემი მსახური, ლაქია და მზარეული იყო ერთდროულად. მე კიჩოზე მოვეწყვე, რომელიც ბამბუკის ჭოკებზე დამაგრებული პალმის ტოტებით იყო გადახურული.

ბოი შეუდგა ჩაის მომზადებას. რაც უნდა სწრაფი მდინარება ყოფილიყო, უმ წყალს მაინც არ ვსვამდი. რამდენი კასრი წყალი შემისვამს მალაკის ნახევარკუნძულზე ჩემი თვრამეტი წლის ყოფნის დროს, ძნელი სათქმელია. ხსი-ჩუს ღუმელის მაგივრობას უწევდა ნავის ბოლოზე მიმაგრებული ქვიშიანი ყუთი. ქვიშაში სამ ჯოხს ჩაარჭობდა, ზედ ქვაბს ჩამოკიდებდა და ცეცხლს გააჩაღებდა. პირველყოფილი საშუალებაა, მაგრამ სრულიად დამაკმაყოფილებელი.

მენიჩბეები შეთანხმებულად უსვამდნენ, მესაჭე კი მართავდა. მას „ორანგ კამუდის“ (საჭის კაცი) ეძახდნენ. ნავს მართავდა ბრტყელი ჭოკის მეშვეობით, რომელიც ორივე ხელით ეკავა. საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრებოდა და მეც თვეში ოცდახუთ მექსიკურ დოლარს ვუხდიდი. ჩვეულებრივი მენიჩბეები ოც დოლარს იღებდნენ. ყველას ვუნაწილებდი ბრინჯს, ხმელ თევზსა და ჩაის. გარდა თევზზე შემოხვეული ირდაგისა, ნიჩბოსნები არავითარ სამოსს არ ატარებდნენ, ყოველ შემთხვევაში. მუშაობის დროს.

მზის ჩასვლიდან ექვსი საათის შემდეგ სამუშაო დღე დასრულდა. ნავი შეჩერდა. ტანთ გავიხადე და მდინარეში გადავეშვი, რათა მებანავა და წყალში მენებივრა. ჩემი თანამგზავრები უკან მომყვნენ. ყველა საუკეთესო მოცურავე იყო. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან მალაელები ახალშობილს წყალში აყურყუმალავებენ და, საერთოდ, წესად აქვთ ხშირი ბანაობა. „მშვიდობაა — წყალში შედი“ — ასეთია მალაელების დევიზი. სამაგიეროდ ჩემს ბოის ბანაობის არავითარი სურვილი არ გააჩნდა. ძლივს დავიყოლიეთ. მაგას „ხატი სამა აიამ“ (ქათმის გული) აქვსო, — დაასკვნეს მალაელებმა.

ბანაობის მერე ნავი ქვიშრობზე გამოვათრიეთ და პალოზე მივაბით. ბრინჯი მოსახარშად შემოვდგით და ჩაის სამზადისს შევუდექით.

მე ჩაის შაქრით ვსვამდი. მალაელები ბინდბუნდში ფეხაკრეფით მიდიოდნენ ბოისთან და ჩურჩულით სთხოვდნენ: „შაქარი მომე“.

ამას პასუხად სდევდა: „მორჩი, ქვიშა ჭამე!“

ვახშმობისას ვხუმრობდით, ვიცინოდით და ბალღური თა-



მაშობებით ვიქცევდით თავს. როცა ყველაფერი მოგვწყინდებოდა, უსათუოდ მეტყოდნენ:

— მენ ხობატან, ტუან (ჯადოქრობანა ითამაშე, ბატონო)!

ხელის სისწრაფეზე დაფუძნებული ათასნაირი ფოკუსი ვიცოდი, — ცირკში ვისწავლე, როცა ჩემს პატარა ბიჭობაში იქ ვმუშაობდი. ამით მოვიპოვე მალაელების დიდი პატივისცემა.

ჩემი ხალხი გარს შემომეხვეოდა, მე კი კოკონის სინათლეზე ვაჩვენებდი მარტივ ფოკუსებს მონეტითა და სამი კარტით ხელში. გაოცების ყვირილი აღმოხდებოდათ ხოლმე. როცა რომელიმე მათგანი ვერ ამოიღებდა საჭირო კარტს, დასცინოდნენ: „აკალ სამ აიმა!“ (ქათმისტვინა).

— აბა, მოვრჩეთ! — წამოვიძახებდი მე და ყველას დასასვენებლად ვისტუმრებდი კაიანგის ქვეშ. კაიანგი პალმის ფოთლებისაგანაა დაწნული. იგი თვითონ მოჰქონდათ, დახვეული იდო ნავის ფსკერზე და შესვენებისას მიწაში ჩარჭობილ ჭოკებზე გადასჭიმავდნენ ხოლმე. ქვემოთ მეორე კაიანგი ეფინათ. მე კი ნავთან ვბრუნდებოდი, იქ ლეიბს გავშლიდი და ქინქლებისაგან თავდასაცავად ბადეს ჩამოვიფარებდი.

თენებისას ყველანი ვდგებოდით და დილის რვა საათამდე. სანამ მზე ნაპირზე არ გამოგვყრიდა, მდინარის აყოლებაზე ვიცურავდით. ნაპირზე ვისაუზმებდით და მზის ჩასვლამდე გვეძინა. მდინარის აღმა მოგზაურობას სამი ღამე მოვანდომეთ.

როცა კამპონგს მივაღწიეთ, ქალები და ბალღები ნაპირზე გამოიშალნენ და ხმამაღლა ყვირილს მოჰყვნენ — ჩვენ გვესალმებოდნენ. ისინი მე მიცნობდნენ. ტიტლიკანა ბავშვები ჩვენს წინ გარბი-გამორბოდნენ და ყვიროდნენ: „ტუან დატანგ!“ (ბატონი მოვიდა).

უხუცესი შემომეგება, ღიმილით მომესალმა:

— რუმა აპა (რომელ სახლში)? — ვკითხე მას.

— ჩემს სახლში, ბატონო! — სასწრაფოდ მომიგო მან.

ჩემმა ბოიმ სოფელში ყველაზე კარგი სახლი ამოარჩია. სანამ ჩემს ბარგი-ბარხანას გადაზიდავდა, ხელით გაჩორკნილი და დროთა განმავლობაში მოსწორებული ფიცრის იატაკი მორეცხა. ეს გახლდათ შესანიშნავი იატაკი — ჭუჭრუტანები და ბზარები არ მოეძევებოდა. ჩვეულებრივად, მალაური სახლის

იატაკს განზრახ ატანენ ფართო ნახვრეტს, სადაც ჰყრიან ნაგავსა და ათასნაირ ნარჩენებს. სახლი მაღალ ხიმინჯებზეა შედგმული, ქვეშ ქათმები და იხვები იბუდებენ და ამგვარი მოწყობილობა მეტად პრაქტიკულია.

არავითარი „სარწმუნო სიგელი“ არ გამაჩნდა, მაგრამ ყველამ იცოდა, სულთანის გამოგზავნილი რომ ვიყავი და რომ ჩემი სიტყვა — კანონია. პირველი ბრძანებით ოთხი კაცი გავგზავნე მარყუჟებისა და თოკებისათვის რატანის მოსატანად.

ჩემი გაგზავნილები მალე დაბრუნდნენ და თან მოიტანეს მთელი შეკვრა ეკლიანი ღეროები, რომელთაგან ზოგიერთი სიგრძით ოც ფუტს აღწევდა. ჩაიტანეს მდინარეზე და იქ გასხიპეს, ე. ი. შემოაცალეს ეკლიანი ქერქი.

მერე შეუდგნენ მარყუჟებისა და ბაგირების დამზადებას. ეს საკმაოდ მარტივი საქმე იყო. რატანისაგან დამზადებული მარყუჟი ფართოა, თავისუფლად შეიძლება სპილოს ფეხზე ჩამოაგო და ბორკილივით გაუკეთო. მეორე სახის მარყუჟი (მე ვბრძანე, ორივე სახისა დაემზადებინათ) უბრალო რგოლს წარმოადგენდა, რომლითაც შეიძლებოდა სპილოს ორივე ფეხით გაბმა. ყველა მარყუჟზე მიმაგრებული იყო ბაგირები, რითაც გვეკავა მარყუჟები. ბაგირებს იყენებენ, რათა სპილოს მხრებზე გადაუგდონ აღვირივით. ბაგირი მზადდება შეგრეხილი ნედლი ბამბუკისაგან. ზოგჯერ, როცა ღეროები დაჩეჩქვილია. ანდა ძალიან წვრილი, ორ-ორს იღებენ ერთად. ერთ წვერს ხეზე გამოაბამენ და ღეროებს თმასავით წნავენ. თუ ამ საქმიანობისას იქაურებს მაყურებელი ჰყავთ, არაჩვეულებრივ სწრაფად წნავენ სამწვერა თოკს.

იმ დროისათვის, როცა შინაურმა სპილოებმა მოაღწიეს (მათ ჯუნგლების ტევრში ერეკებოდნენ ნაპირ-ნაპირ), ბაგირები და მარყუჟები მზად გვქონდა და ოცი მარეკი გავგზავნე, რათა გარეული ჯოგისათვის თავს დაეარათ და აეძულებინათ წრიულად ემოძრავათ. ამისათვის უნდა აეტეხათ ტამ-ტამების (დაფდაფი) ცემა. მარეკები გავაფრთხილე, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ, დაიხსომეთ, ცხოველებს არ დაენახოთ-მეთქი. შევეცადე ჩამეგონებინა, რომ თუ სპილოები მათ შენიშნავენ, გაიგონებენ კაცის ხმას, ანდა ფეხქვეშ გატეხილი ფიჩხის ტკა-

ცუნს, ჯოგს პანიკური შიში მოიცავს და მარეკებს გადათქერავენ. თუ რომელიმე მათგანი ცოცხალი გადარჩება, სულერთია, სულთანი მკაცრად დასჯის, რადგან ჯოგი დააფრთხეს და სულთანს სპილოების შეპყრობის შემთხვევა ხელიდან გამოაცალეს.

მარეკების თავკაცი წინ წამოდგა, ხელი შუბლთან მიიტანა და თქვა: „ბატონო, ჩვენ ისე უჩუმრად ვივლით, როგორც გველი, რომელიც მუცლით ხოხავს!“

— კარგი, — მივუგე მე და ისინი წავიდნენ თავის ძნელ და საკმაოდ სახიფათო საქმეზე.

ამჟამბაში მომახსენეს, რომ მდინარით ნავი გვიახლოვდებოდა. ნაპირისაკენ გავიქეცი. თოთხმეტი ღონიერი მენავე ერთობლივად უსვამდა ნიჩაბს, თან მონოტონური სიმღერით სულს იბრუნებდნენ. ნავი სწრაფად მოსრიალებდა მდინარების წინააღმდეგ. ნავზე ყვითელი დროშა ფრიალებდა. ეს გახლდათ ტუნკუ-ბეზარის (დიდი უფლისწული) გემი. ტუნკუ-ბეზარი სულთანის სიძე და მისივე პრემიერ-მინისტრი იყო. მთელ სახელმწიფოში უფლისწული უყვარდათ და ეშინოდათ კიდეც მისი. სამართლის საქმეში იგი მიუდგომელი და პირუთვნელი იყო. აღმოსავლეთში მე არ შემხვედრია მასზე უფრო მხიარული, გულწრფელი და დიდსულოვანი კაცი. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ინტიმური საუბრის დროს მისი საყვარელი კითხვა იყო:

— თქვენ რაღას ფიქრობთ ამაზე?

და მე მუდამ ვგრძნობდი, რომ ჩემს პასუხში იგი იმდენად ჩემს პირად აზრს არ ხედავდა, რამდენადაც დასავლური შეხედულებების გამოხატულებას.

სულაც არ გამკვირვებია, რომ სპილოებზე ნადირობის პერსპექტივამ მოიყვანა იგი აქ. თან ახლდა საყვარელი ცოლი ასაი და მისი ოთხი სეფექალი.

ასაის მივეშველე ნავიდან გადმოსვლისას. იგი სრულიად მშვიდად მიენდო ჩემს მკლავს, არც სახე დაუფარავს. ჩვენ ძველი მეგობრები ვიყავით, ხშირად ვსაუბრობდით და გულიანად ვიცინოდით.

მალაური სიყვარული ნობათების რიცხვით იზომება. ერთხელ ასაიმ მიჩვენა სარონგი — სწორი მალაური ქვედაწელი

კაბა, რომელიც უფლისწულმა აჩუქა და, რომელიც, როგორც ასაიმ თქვა, ას ორმოცდაათი დოლარი ღირდა. ასეთი ძვირფასი საჩუქრით თავმოწონება პირველ ცოლს როდი შეეძლო. თუმცა ცუდად ვერკვევი ქალის ტუალეტში, მაინც მივხვდი, ეს კაბა მართლა ძალიან ლამაზი რამ იყო. აბრეშუმის ქსოვილი მალაური წითელი ფერისა გახლდათ, ყვითლად და ლურჯად შემრეშილი. სახეები ოქრომკედით ჰქონდა ამოქარგული, რგოლისებური ნაყშები იყო გამოყვანილი. ახლაც, თუმცა მივარდნილ ადგილას ჩამოვიდა, ბაჯუზე (ხიფთანი) დამცნეული ჰქონდა სამი აბზინდა, რომელთაც „კრუზანგს“ ეძახიან და სამივე ბრილიანტებით იყო მოოჭვილი.

დიდი უფლისწულის კამპონგში მობრძანებამ ენით აუწერელი მღელვარება გამოიწვია. უხუცესმა ბრძანა ღია სხდომა მოეწვიათ და ქალებს დაავალა ლხინის სამზადისი. სპილოებზე ნადირობა დღესასწაულად იქცა.

გამყოლები შევკრიბე და ვრცელი სიტყვით მივმართე. სიტყვა ამგვარი შინაარსისა იყო: თითო შინაურ სპილოს სამი კაცი გაჰყვებოდა — გამყოლი და ორი მონადირე, რომლებიც გარეულ სპილოს შეიპყრობდნენ.

როცა ალყაშემორტყმულ ჯოგს მიაღწევდნენ, გამყოლებს წყვილად უნდა ემუშავათ. მათ მიზანში უნდა ამოეღოთ რომელიმე სპილო და ფრთხილად, ისე რომ დანარჩენები არ დაეფრთხოთ, ჯოგისათვის ჩამოეცილებინათ და რომელიმე ხესთან მიემწყვდიათ. შინაური სპილოები, რომლებზედაც მონადირეები და გამყოლები ისხდნენ, აქეთ-იქით უნდა ამოსდგომოდნენ გარეულს. ამასობაში ორი მონადირე ჩამოქვეითდებოდა, სპილოს ფეხებს გაუბლანდავდნენ და ბაგირით მიაბამდნენ მაღალ ხეს. მარეკებმა კარგად შეისმინეს ჩემი მითითებანი, მაგრამ სპილოებისა და ხალხისათვის მაინც უნდა მოეწყო რეპეტიცია — ეს ვთქვათ, გენერალური რეპეტიცია, კოსტუმებითა და ბუტაფორიებით.

რეპეტიციის სამზადისი საინტერესო გახლდათ. საამისოდ ისე გულდაგულ შევარჩიეთ ადგილი, თითქოს დიდ საცირკო წარმოდგენას ვმართავდით. ველი სანადიმო ფანჩატურის პირდაპირ მდებარეობდა. ტუნკუ ფანჩატურში ჭილოფზე ჩაცუცქ-

და. იქვე ჩამოსხდნენ ასაი და მისი სეფექალები. მისი უდიდებულესობისადმი მოკრძალების ნიშნად ქალებისათვის ადგილი სასარონგე ნაჭრის ფარდით გამოჰყვეს, მაგრამ ეს ფარდა განზე იყო გადაწეული.

ამოვარჩიე ყველაზე თვინიერი შინაური სპილო და „გარეული სპილოს“ როლი დავაკისრე. იგი სპილოებმა ხისაკენ ზურგით მიიმწყვდიეს და, მისდა გასაოცრად, გასაქანი არ მისცეს. იმათ, ვისაც სპილოს დაბორკვა ევალებოდათ, დაქვეითება ვუბრძანე. სპილოდან ჩამოხდომა არცთუ იოლი საქმეა. მალაელები ტომრებივით ჩამოცვივდნენ ძირს. ფანჩატურში ქალის სიცილი გაისმა.

— ტიდაკ ბაიკ (არ ვარგა)! — წამოიძახა უფლისწულმა. ისიც სიცილისაგან იგუდებოდა.

— ჩობი ლაგი (ერთხელ კიდევ)! — გაიძახოდნენ ქალები.

თუ ამ ტრიუკს ასეთ პირობებში ჩემი მალაელები თავს გაართმევდნენ, მაშინ გარეული სპილოების მთელი ჯოგიც ვეღარ დაუდგებოდათ... „უნაგირის თოკს მოეჭიდენით-მეთქი“, — მივაძახე მათ.

მეორე ცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ისინი მუცელზე ჩამოცოცდნენ და როგორც კი მიწას შეეხნენ, თოკს ხელი უშვეს. როცა სპილომ, რომელიც „გარეულს“ განასახიერებდა, ფეხი ასწია, მაშინვე მარყუჟი ჩამოაცვეს და სწრაფად მიაკონეს ხეზე. ამ დროს საჭიროა სისწრაფე და მოქნილობა. მალაელები კატასავით გრაციოზულები იყვნენ. მთელი დღე რეპეტიციას მოვანდომეთ, ვვარჯიშობდით ცხოველებთან, სანამ ყველაფერი დამში არ მოვიდა. მთელი დღის განმავლობაში, გარდა უსაშველო ხვატის საათებისა, „პუბლიკა“ ფანჩატურიდან უყურებდა წარმოდგენას და შეძახილებით გვამხნევებდა. არა მგონია, მონადირეებს დაღლილობა ეგრძნოთ: ისინი ბედნიერები იყვნენ მოთამაშე ბალღებივით, რომელთაც სიყვარულით უყურებენ უფროსები.

ჩვენი რეპეტიციის მეორე დღეს, გამთენიისას, გავუდექით გზას. თან გვახლდა ხუთმეტი მარეკი, რომელთაც ალყა უნდა შემოერტყათ გარეული ჯოგისათვის და წრეში მოექციათ.

ადრიანი დილის მიუხედავად, ტუნკუ-ბეზარმა გამოგვაცილა.

— რა იქნებოდა, ბარემ ჩვენთან ერთად წამოსულიყავით, — სპილოზე ამხედრებულმა გადავძახე მას.

— სპილოთი რომ ვიმგზავრო, — მომიგო მან, — მთელ თვეს ვეღარ დავჯდები.

— ეს კი მართალია, — ვუთხარი მე. — მახსოვს, პირველად სპილოზე ცირკის პროცესიაში ვიმოგზაურე. შესანიშნავ ტახტრევანში ვიჯექი, მაგრამ მაინც ცუდად გავხდი. ერთ-ერთმა მხედარმა ქალმა თავი დამიჭირა, ხალხს კი ეგონა, სასიყვარულო სცენაო.

— აქ ცირკის ქალები არ არიან, — შენიშნა უფლისწულმა, — და ვერაფრით ამიტყუებ სპილოზე.

აქლემებს შორის არიან კარგი და ცუდი მატარებლები. სპილო კი ყველა ცუდია.

სპილოთი მგზავრობა ქვეყანაზე ყველაზე აუტანელი მგზავრობაა. ტყავი არაფრად ვარგა. იგი სრულია, ყოველი ფეხის გადადგმაზე ლაღლაღებს. ამის გარდა, სპილოს ბიჯი ზედ მჯდომისათვის პირდაპირ წამებაა. პატარა ნავით აღელვებულ ზღვაზე მოგზაურობა არაა ისე მავნებელი საშვლის მონელებისათვის, როგორც სპილოზე ჯდომა.

ცირკის ქალები. რომლებიც სპილოთი გამოდიან არენაზე და მაყურებელს ჰაეროვან კოცნას უგზავნიან, დამატებით გასამრჯელოს თხოულობენ. ეკუთვნით კიდეც.

ამჯერად სპილოს გამყოლის უკან დავჯექით. ორი კაცი, რომელთაც გარეული სპილო უნდა დაებორკათ, ჩემს უკან მოთავსდა. დანარჩენი სპილოები მწკრივად მოგვყვნენ.

ორი საათის მერე დავინახეთ ჩვენი მარეკები. „სრული მდუმარების“ ნიშანი მივეცი და დანარჩენი ხუთმეტი მარეკი, რომელთაც სპილოები ალყაში უნდა მოემწყვდიათ, გავამწკრივე. მათ ვუბრძანე წრე გაეშალათ „ანაკ სუნგაისთან“ (ნაკადული), საიდანაც უნდა დაგვეწყო ნადირობა. ნახევარი საათი ვადროვე, რომ წრის შეკვრა მოესწროთ. იქაურები შესანიშნავად ერკვევიან დროში — მზის სინათლის ინტენსივობის ცვალებადობით, რომელიც ხშირ ფოთლებში ატანს, და აგრეთვე

სხივის ფოთლებზე დაცემისა და არეკლვის კუთხის მიხედვით. ნახევარი საათის მერე მათ უნდა დაეწყოთ წრის შეკვრა ძალიან ნელა და, რაც მთავარია, უხმაუროდ; მაგრამ თუ, მიუხედავად ყოველგვარი სიფრთხილისა, სპილოები მაინც დაფრთხებოდნენ, და მათკენ გაქანდებოდნენ, უნდა აეტეხათ ტაძ-ტამების ცემა, ყვირილი და გაერეკათ ისინი. ამგვარი დარიგების შემდეგ მარეკები საქმეზე მივუშვი.

როცა, ჩემი ვარაუდით, ისინი უკვე მოასწრებდნენ ალყაში ცხოველების მომწყვდევას, დანარჩენებს ვანიშნე და წინ წავედით. რვა შინაური სპილო ლარივით იყო დაწყობილი, ერთიმეორისაგან ათი ფუტით იყვნენ დაშორებულნი, ასე რომ გამოგვივიდა ოთხმოცფუტიანი ფრონტი. ასე მივაღწიეთ ჯოგამდე. შორიდანვე დავთვალე თორმეტი დიდი და ხუთი ახალგაზრდა, მათ შორის ერთი ძუძუთა სპილო.

როგორც კი მივუახლოვდით, ბებერი სპილო შემობრუნდა და შემოგვხედა. დანარჩენები გაუნძრევლად იდგნენ და მის პირველ მოძრაობას ელოდნენ. არც ერთს ხმა არ გაუღია. ნება-ნება ვმოძრაობდით მათ შორის. გამყოლები დარიგებულები იყვნენ, რომ პირველად დედალი სპილოები და მათი შვილები შეეპყროთ. ჩვეულებრივ, ათიდან ცხრა შემთხვევაში ახალგაზრდა სპილოები პირველები იწყებენ პანიკას და კისრისტეხით გარბიან სხვადასხვა მხარეს.

გამყოლს, რომელიც მე მახლდა, ვუბრძანე, რომ პირველად ბებერი, მამალი სპილო მოემწყვდია, რომელიც ახლა თავაღერილი, ყურაცქვეტილი იდგა და ყრუდ მურმურებდა. იგი გაშმაგებული იყო. თავი გაიქნია, მთელი ძალით დასცხო ხორთუმი მიწაზე და აბღავლდა. ამასობაში ჯოგის შუაგულში შევაღწიეთ. ხმადაბლა, დამარცვლით ვაძლევდი მითითებებს იმ გამყოლებს, რომელთაც ჩემთან ერთად უნდა ემოქმედათ. ნელ-ნელა შუაში მოვიმწყვდიეთ სპილო. ჩუმად ვუთხარი გამყოლებს:

— იაგა, დია მაუ ბერ-პრანგ (ფრთხილად იყავი, შეგვებრძოლება).

ბებერ სპილოსთან შებმის მოლოდინში აღარ შემეძლო თვალყური მედევნებინა დანარჩენებისათვის. ვიმედოვნებდი, რომ ისინი ჩემს ყველა მითითებას გაართმევდნენ თავს.

მარეკების წრეც მოგვიახლოვდა. ისინი თვალებგადმოკარკლულები იდგნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ ხეზე ასაძროვად, თუ პანიკა დაიწყებოდა.

როცა ბებერი სპილო შუაში მოვიმწყვდიეთ, იგი უცებ მოგვიბრუნდა და უნდოდა ეშვზე წამოეგო ჩემგან მარცხნივ მდგომი სპილო, მაგრამ მეორე შინაურ სპილოს გადააწყდა. ამან კი მძლავრად გადაუჭირა ხორთუმი და შეაჩერა. იმავე წუთს ჩემმა სპილომ ეშვები აძგერა მკერდზე. მეორე გამყოლს მივაძახე, სპილო შემოებრუნებინა და აეძულებინა ჩხუბში ჩაბმულიყო. ბებერი სპილო ხმაჩახლეჩილი ხიხინებდა და ბღაოდა კიდეც, გაშმაგება და შიში ისმოდა ამ ხმაში, შინაური სპილოები კი განუწყვეტლივ სცემდნენ ეშვებს და უტყლაშუნებდნენ ხორთუმებს. როცა დავრწუნდი, რომ სპილო ყურადღებას არ მიაქცევდა, რა ხდებოდა მიწაზე, მის ფეხებთან, ჩემს მონადირეებს მივუბრუნდი და ვუჩურჩულე: „სასწრაფოდ დაქვეითდით, ფეხები შეუბორკეთ და ხეზე მიაბით!“

შინაურმა სპილოებმა თავი მიაყრდნეს გარეულს კისერზე და შეაკავეს, სანამ მონადირეები მიწაზე ჩაცოცდებოდნენ, უკანა ფეხებზე მარყუჟებს ჩამოაცმევდნენ და ხეზე მიაბამდნენ. ამ სახიფათო საქმეს სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა. ჯერ ერთმა, მერე მეორემ მომაძახეს:

— ხაბის. ტუან (მზადაა. ბატონო)!

შინაური სპილოები ერთხელ კიდევ მიაწვნენ მოწინააღმდეგეს და განზე გადგნენ. ბებერი სპილო მათკენ გამოქანდა, მაგრამ ჩაიჩოქა. სიშმაგისა და ძრწოლისაგან აბღავლდა და მთელი ძალით ეძაგრებოდა ბაგირს, მაგრამ ნედლი რატანის გაწყვეტა შეუძლებელია.

ახლა შემეძლო დანარჩენებზედაც მეფიქრა. ერთადერთი ჩვენი ბებერი სპილო ყოფილა მებრძოლი ზნისა. დანარჩენები, გაოგნებულები, ჯგროდ შეიყარნენ. ასე უფრო იოლი იყო მათი დაჭერა. გამყოლები და მბორკავები უდავიდარაბოდ ართმევდნენ საქმეს თავს.

მარეკებმა იწყეს ახლოს მოსვლა და ფეხებში გვებლანდებოდნენ, ნადავლის ნახვა აინტერესებდათ. მივაძახე: „ახლოს არ მოხვიდეთ, გაუნძრევლად იდექით!“

ბაგირები და მარყუჟები შევამოწმე. უნდა დავრწმუნებულიყავი, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. ყველა სპილო დაბორკილი იყო, გარდა ოთხისა. ისინი პაწაწინები იყვნენ და, სულერთია, დედებს არ მოშორდებოდნენ. როცა დავრწმუნდი, რომ ვერც ერთი შეპყრობილი სპილო თავს ვერ აიშვებდა და ვერ გაგვექცეოდა, ხალხს ვუხმე. ერთი შინაური სპილო და მისი მხედარი უკან გავგზავნე ტუნკუ-ბეზართან. შევუთვალე, რომ ნადირობა წარმატებით დამთავრდა და დავძინე, დიდხანს ვეღარ განახავ, რადგან ბევრი საქმე მაქვს-მეთქი.

ჩვენი ნანადირევი შედგებოდა სამი მამალი, ცხრა დედალი, ერთი ძუძუთა, ერთი ხუთწლიანი და ორი პატარა სპილოსაგან. მამალი სპილოები დაახლოებით შვიდნახევარი ფუტის სიმაღლისანი იყვნენ. ბებერი სპილო შესანიშნავი იყო — ოთხფუტიანი მარტო ეშვები ჰქონდა.

ბაკი უნდა აგვეშენებინა სადგომად — სპილოებს ერთხანს ადგილზევე ვიყოლიებდით. ამიტომ ხალხი ტყის საჩეხად გავუშვი. ტევრი გაჩეხეს თავიანთი პარანგებით — მოკლე, მჭრელი დანებით. მძიმე სამუშაო დავავალე. სამუშაო ჯერ დამთავრებული არ ჰქონდათ, ბრძანება გავეცი:

— სადღეისოდ მუშაობა გვეყოფა; ჯერჯერობით გარეულ სპილოებს ხეები დაიჭერენ. ახლა კი სახლში დავბრუნდეთ.

ვერც ერთი საცირკო აღლუმი ვერ შეედრებოდა კამპონგში ჩვენს დაბრუნებას. შინაური სპილოები დაწალიკებით მიდიოდნენ. ჩემი სპილოს გარდა, თითოეულზე იმდენი კაცი მოთავსდა, რამდენიც დაიტია სპილოს განიერმა ზურგმა. წინ ქვეითი მონადირეები მიგვიძღოდნენ, მერე მე მივდიოდი, ბოლოს დანარჩენი სპილოები მოგვყვებოდნენ. ყველანი იცინოდნენ, მღეროდნენ, ტამ-ტამებს სცემდნენ. მთელი სოფელი გამოეფინა ჩვენს შესახვედრად. იმ ღამეს თვალი არავის მოუხუჭავს. დიდი ზეიმი გაიმართა. დაიწყო ბრწყინვალე ნადიმი: ჩამოარიგეს ბრინჯი, თევზი, ქათამი და, როგორც განსაკუთრებული თავი საქმელი — ნაკვერჩხლებზე შემწვარი იხვი. შამფური შაქრის ლერწმისა იყო და ხორცს შესანიშნავ გემოს აძლევდა. ყველაფერი ქალებმა შეამზადეს, სუფრაზე გვემსახურებოდნენ, მაგრამ მამაკაცებთან ტრაპეზის გაყოფა ეკრძა-

ლებოდათ. ტუნკუ-ბეზარსა და მე პირველად მოგვართმევდნენ ხოლმე თეფშებით, რომლებიც დიდმა უფლისწულმა თან ჩამოიტანა. მისი რანგის პირს არ ეკადრებოდა ფოთლებზე ჭამა, როგორც დანარჩენი მეინახეები შეექცეოდნენ, თუმცა ხელით კი მიირთმევდა და ამაში არაფერი იყო საჩოთირო. იგი მარჯვედ ასორსლებდა ბრინჯს და პირისკენ აქანებდა. ამ ხელოვნებას მეც დავეუფლე ხანგრძლივი და გულმოდგინე პრაქტიკის შემდეგ. ნანადირევსა და ფრინველს ხელით ვგლეჯდით, ძვლებს ვტკვერდით, ვღრღნიდით. ასე გემრიელად არაფერი მიჭამია. ჩაისა და ღვინოს ქოქოსის ნაჭუჭით ვსვამდით. სპირტიანი სასმელი არ ჰქონდათ. ტრაპეზის შემდეგ სიმღერა წამოიწყეს. ერთ ამოჩემებულ კილოს მღეროდნენ მთელ ღამეს. ხმას ხან აუწევდნენ და ხანაც დაუწევდნენ ხოლმე მონოტონურად. დიდმა უფლისწულმა ამიხსნა, ეს სატრფიალო სიმღერაა. დაღლილ-დაქანცულს ეს სიმღერა ჭკუიდან შემშლელ ზუზუნად მეჩვენებოდა.

მეორე დღეს ოცდაათი კაცი უხუცესის წინამძღოლობით გაემგზავრა გუშინდელი ნადირობის ალაგას, რათა დაემთავრებინათ ტევრის გაჩეხვა და ჯოგისათვის ბაკის აგება, სადაც ცხოველებს დააყენებდნენ და მოათვინიერებდნენ.

ტუნკუ-ბეზარს ძალიან უნდოდა ენახა ჩემი ნანადირევი, მაგრამ სპილოზე ამხედრების გაგონებაც არ სურდა. მძიმე კაცი გახლდათ და არცთუ ისე მარდი. მანძილის ფეხით გავლასაც არ ჰქონდა აზრი. ამიტომ სასწრაფოდ ავაგე ორი ტახტრევანი. ბამბუკისაგან მოწნეს ორი ტლანქი სავარძელი და ორ პარალელურ ჭოკზე ჩამოვკიდეთ. ამგვარ ტახტრევანს იყენებენ ჩინეთის ზოგიერთ მხარეში. თექვსმეტი კაცი შევარჩიე მზიდავებად — თითოეულისათვის რვა-რვა, თანაც ტუნკუსათვის უფრო ღონიერები. ტახტრევანი ბალიშებით მოვაგეთ. მზიდავები სწრაფად და მსუბუქად გვატარებდნენ. ოდნავი რყევა სასიამოვნოც კი იყო და, ტუნკუმ დაასკვნა, რომ მე დიდი გამომგონებელი ვიყავი.

როცა ადგილზე მივედით, ტუნკუ გააოცა შეპყრობილი სპილოების რიცხვმა და იმ დიდმა საქმემ, რომელიც ასე მცირე დროში შევასრულეთ.

ხეებქვეშ, რომლებზედაც სპილოები იყვნენ მიბმული, მიწა გადაჯირგალებული დაგვიხვდა. ყველა ეძაგრებოდა ბაგირს, ბღაოდნენ, საყვირის ხმას გამოსცემდნენ, ბრაზმორევით ბუზღუნებდნენ. პაწაწინა სპილოები კი იქვე არხეინად სეირნობდნენ.

ტუნკუ დაქვეითდა და ერთ-ერთ პატარას ბანანი გაუწოდა. სპილომ ხარბად შეესანსლა. მაშინ ტუნკუმ მოითხოვა მიეცათ მოხარშული ბრინჯი. როცა მიართვეს, ხელისგულიდან აჭამა პატარა სპილოს. პატარას, ეტყობა, ეს ახალი საჭმელი ეგემრიელა. დიდი უფლისწული ბალღივით ბედნიერი იყო.

— უყურეთ! — გაიძახოდა იგი. — მაგას ჰგონია, მეც სპილო ვარ. როგორ მომენდო!

შეიძლება, მართლაც ასე იყო, ეს კია, დედამისი არ იზიარებდა ამ ნდობას, ის გამაფრთხილებლად შეეხმიანა შვილს. მაგრამ პატარას მცირეოდენი ყურადღებაც კი არ მიუქცევია მისთვის.

მაინც ყველაზე მეტად ტუნკუ ძუძუთა სპილომ გაართო. დაიჩემა, ძუძუსთვის თავს გავანებებინებო, მოატანინა რძე და თბილ წყალში შეურია. მერე პატარას ხორთუმი ჯერ ვედროში ჩააყოფინა, მერე პირში ჩაუდო. სპილუკა თითქოს მიუხვდაო, ხორთუმი მოწუწნა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სითხე ჩაეყლაპა, ისევ ხორთუმში ჩააბრუნა და სულ ერთიანად გაწუწა უფლისწული. საბედნიეროდ, მან ადრევე გაიხადა ბაჯუ და ახლა სარონგისა და ჩინური განიერი შარვლის ამარა იდგა. მის ბრინჯაოსფერ სხეულზე რძე ღვარად წამოვიდა.

— შეხედეთ! — წამოიძახა მან. — მაგას ჰგონია, ეც ტყავით ვარ დაფარული.

არასდროს არ მინახავს ასე ატაცებული. განზე გამიხმო:

— ვფიქრობ. — თქვა მან, — რომ პატარა სპილო მაიმუნზე სასაცილოა. ეგ რომ ასაის ვაჩუქო, მწუხარე ფიქრებს გაუქარვებს.

— მართალი ხარ, — დავუდასტურე მე. — ესაა სიცილი ოთხ ფეხზე. შეთანხმების თანახმად ეგ სპილო მე მეკუთვნის. მაგრამ მაინც ჯერ სულთანს დავეკითხოთ. თუ ნებას დაგვრთავს, რომ პატარა სპილო ასაის ერგოს, ერგება კიდეც.

— მართალია, — დამეთანხმა იგი. — იქა ვნახავთ.

ამასობაში ოცდაათი კაცი, რომლებიც დილასვე გამოვგზავნე უხუცესის თანხლებით, გულმოდგინედ შრომობდა. ზოგი მათგანი მოჭრილ ხეებს ძელებად ხერხავდა ბაკისათვის, სხვები პალმის ტოტებს აგროვებდნენ „ატაპად“ (სახურავი); ათამდე მალაელი კი ამზადებდა ქოქოსის ნიგოზს, რბილ ქერქებსა და ბანანს სპილოების გამოსაკვებად.

საქმე კარგად მიდიოდა. ხალხის მეთვალყურეობა უხუცესს მივანდე და კამპონგში მოვბრუნდი ტუნკუ-ბეზართან ერთად. ავუხსენი, რომ ერთი კვირის შემდეგ ცხოველებს მათთვის განკუთვნილ შენობაში მოვათავსებდი. ტუნკუ-ბეზარმა გადაწყვიტა, ამ ამბავს აღარ დალოდებოდა და კუალოში წასულიყო.

გამცილებელთა შორის მეც ვერიე. უფლისწული და მისი ბანოვანები მდინარით წავიდნენ.

— სალამათ ჯალან (გზა მშვიდობისა)! — დიდხანს მივძახოდით მათ.

ასაიმ გამოთხოვებისას მომაძახა:

— როდის ჩამომიყვანთ ჩემს სპილუკას?

— ინი მინგო (მომავალ კვირაში)!

მე ხუმრობით ვუპასუხე და, არც მას მიუღია სერიოზულად: უბრალოდ, სასიამოვნო მოლოდინი მიჰქონდა თან.

ბაკი მზად იყო. გადავწყვიტე, პირველად ბებერი სპილო გადამეყვანა გადახურულ შენობაში. იგი შეშლილ მდგომარეობაში დამიხვდა. თვალები სისხლით ავსებოდა და გამუდმებით, მუქარით ბღაოდა. საშიში იყო მისი დაბორკვა, საშიში გახლდათ ადამიანებისათვისაც და მოთვინიერებული სპილოებისთვისაც. ვამჯობინე, ისევ ხეზე მიბმული დამეტოვებინა ერთიორ დღეს და მენახა, როგორ იმოქმედებდა მასზე შიმშილი და მარტოობა.

მანამდე კი ბაკში შევრეკეთ გაცილებით მშვიდი ცხოველები. საამისოდ ასეთი ხერხი გამოვიყენე: მოიყვანდნენ ორ მოთვინიერებულ სპილოს ველურთან, ისინი შუაში მოიმწყვდევდნენ ტყვის კისერს, სანამ ჩვენ უკანა ფეხზე თოკს ჩავაბამდით. მერე ცხოველებს ხიდან ავხსნიდით. ათი-თორმეტი კაცი ეჭიდებოდა უკანა ფეხზე გამობმულ თოკს. წინააღმდეგობის შემთხვევაში

ამ თოკს ღუზის მაგივრობა უნდა გაეწია. ერთი მოთვინიერებული სპილო წინ მიუძღოდა ტყვეს, რათა წინ გაქცევაში ხელი შეეშალა, მეორე — უკან მისდევდა, ორნი კიდევ გვერდებზე ედგნენ. მოთვინიერებული სპილოები ერეკებოდნენ ტყვეს, ეშვებს სცემდნენ, და თუ ტყვე ჯიუტობდა, მაშინ ბოლო სპილო მთელი ძალით სცემდა უკანალზე და ისიც უნებლიეთ წინ მიიწევდა.

ერთი სიტყვით, ჯოგს ადვილად გავუმკლავდით. ორმა-სამმა დედალმა სპილომ სცადა გაბრძოლება, მაგრამ შინაურმა სპილოებმა მალე დააშოშმინეს ისინი. ძუძუთა სპილოს დედამ ძალიან გაიწია. იძულებული გავხდით, წაწვეტებული ჭოკებით გვეჩხვლიტა, ხოლო უკან მიმდევარი სპილო მთელი ძალით აწვებოდა მას. სპილუკა კი ამასობაში თამაშობდა: ეტყობა, მთელი ეს პროცედურა ერთობ საინტერესოდ ეჩვენა. როცა ყველა ცხოველი ბაკში შევრეკეთ. გადავწყვიტეთ, ბებერი სპილოსათვის მიგვეხედა. უკვე მეოთხე დღე იყო, რაც შევიპყარით. მშიერ-მწყურვალე იყო. სასმელს არ ვაძლევდით. იწევდა, ცდილობდა ახლო მისულისათვის ხორთუმი დაერტყა. ხან წამოდგებოდა, ხან ჩაიჩოქებდა; ეშვებით მიწას ჩიჩქნიდა, მთელი ძალით ეწეოდა ბაგირს, რომლითაც უკანა ფეხები ჰქონდა გაბორკილი. ქანცი გაუწყდა. როგორი უმოწყალობაც უნდა ყოფილიყო — მაინც ავისრულე საწადელი: ადამიანის სიცოცხლეს ხომ არ გავწირავდი! გადავწყვიტეალალბედზე არ მემოქმედა და მელოდა, სანამ დაქანცულს სიშმაგე არ გაუვლიდა.

ვბრძანე, მის წინ ერთ-ერთი მოთვინიერებული სპილო დაეყენებინათ ყურადღების გასაფანტავად, ამასობაში ორი სხვა აქეთ-იქიდან ეცა და მიწაზე დასცეს. იგი მძიმედ წაიქცა, სუნთქვა შეეკრა. ოთხი კაცი მივარდა და სამი წუთის განმავლობაში რატანის მათრახს უტყლაშუნებდნენ. მერე წამოდგომის საშუალება მისცეს. ბარბაცით წამოდგა და გამოთაყვანებული იდგა. თავს აქეთ-იქით აკანტურებდა. ნიშანი მივეცი და ისევ წამოაქციეს, ისევ ცემა დაუწყეს. მესამეჯერ, როცა გამეტებით სცემდნენ, უცებ აბღავლდა და ამაზრზენი ხმა გამოსცა, დაგვ-

მორჩილდა. ჩვენც ვაკმარეთ სასჯელი: მისი წინააღმდეგობა. უკვე გატეხილი იყო.

ვანიშნე. წამოდგომის საშუალება მიეცათ. მისი ვეებერთელა სხეული კანკალმა აიტანა, მაგრამ წვრილი თვალების გამოხედვაზე ეტყობოდა, ჩვეულებრივი მეთოდით ბებერ სპილოს ბაკში ვერ შევიყვანდი და სხვა საშუალება ვარჩიე, გაცილებით ხანგრძლივი, მაგრამ უშიშარი. მიწაში ჭადრაკულად ჩავარჭვეთ ბოძების ორი რიგი იმ ადგილიდან მოყოლებული, სადაც იგი ება, ბოძები ერთმანეთისაგან სპილოს ბიჯის მანძილით იყო დაშორებული — შვიდი ფუტის სიგრძით — ამ ბოძებს მივაბით პყრობილის ფეხები. ერთი შინაური სპილო წინ ედგა, მეორე — უკან. ჩემს ნიშანზე სწრაფად ახსნეს მარცხენა წინა და მარჯვენა უკანა ფეხი და წინა ბოძებზე მიაბეს. ამას რომ მორჩნენ, ამავე მეთოდით გადაადგილეს მარჯვენა წინა და მარცხენა უკანა ფეხი. ბებერი სპილო მისი სურვილის წინააღმდეგ მიდიოდა. ხორთუმს აქეთ-იქით აცეცებდა, მაგრამ ისე დაუძლურებული იყო, რომ თავის ნებაზე ვერ ხმარობდა. ყრუ ბუზღუნს არ ეშვებოდა.

ორი საათის შემდეგ სპილო გადაბურულში აღმოჩნდა. მიწაში ჩავარჭვეთ ორი გრძელი, მძიმე ბოძი. მათ შორის გავაყოფინეთ თავი, მერე ბოძის თავები ერთმანეთზე გადავაბით. ბოძები მაგრად იჭერდა სპილოს. მას აღარც ძალა შესწევდა და აღარც სურვილი ჰქონდა წინააღმდეგობისა. მუცელზედაც ამოვაკარით გრძელი ჭოკი, მკვიდრად დავუმაგრეთ ქვემოდან. გარდა ამისა, ამ ჭოკის გარდიგარდმო კიდევ ორი ჯოხი მივამაგრეთ: ერთი წინა ფეხების წინ, მეორე — უკანა ფეხების წინ. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ახლა პირველად იგრძნო თავი უძლურად: მხოლოდ ფეხის ოდნავ აწევა და წინ და უკან მოძრაობა შეეძლო; ხორთუმით რაც უნდოდა, იმას აკეთებდა. ეს იყო და ეს. დაწოლა ან რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელი იყო.

როცა ყველაფერი საიმედოდ მოვაწესრიგეთ, ერთგვარი შეღავათი მივეცით: ვარცლში სასმელი წყალი ჩავუსხით და პირდაპირ წინ დავუდგით. ხარბად ჩაპყო ხორთუმი და სულმოუთქმელად შესვა ორმოცდაათი გალონი (თხუთმეტი ვედრო)

წყალი. მერე ნებივრობა დაიწყო, ხორთუმით წყალს იშხეფებდა და კმაყოფილებისაგან ყროყინებდა. ეს იყო თავისი აწინდელი ყოფის შეგუების დასაწყისი. საკმაოდ სწრაფი, სხვათა შორის... მერე მიუყარეს ბანანის ნორჩი ყლორტები, მწვანე ქერქი და პალმის ტოტები. სპილომ უჩვეულოდ მოულხინა საჭმელს.

სხეული ჭრილობებით ჰქონდა დაფარული, მაგრამ, ეტყობა, ეს ამბავი მაინცდამაინც არ აწუხებდა; ხორთუმით ზედ მიწას იყრიდა, რათა ბუზებს აღარ შეეღონებინათ. ჭრილობები ნელ-ნელა შუშდებოდა. მისი დაფლეთილი კანი კალიუმის პერმანგანატით მოვაბანინე. ბებერი სპილოსადმი პატივისცემით აღვივსე, აღტაცებულიც კი ვიყავი. როგორც ყველა მისი მოძმე, ისიც ფიზიკურმა ტკივილებმა გატეხა, მაგრამ არც ისე მალე, როგორც ჩვეულებრივი სპილო!

ჯერ ისევ გაცხარებულ მუშაობაში ვიყავით, მოციქული მოგვივიდა და წერილი მომიტანა ჯონ ანდერსონისაგან, რომელიც იმხანად სინგაპურში იმყოფებოდა. იგი მთხოვდა თავს ვედო ზღვით გადაყვანა ცხოველებისა, რომელთაც სიამიდან ესპანეთში გზავნიდნენ. დავალება საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი გახლდათ. ვატყობდი, ჩვენი უხუცესი ამიერიდან შესანიშნავად გაართმევდა თავს სპილოების მოვლას. მას მივანდე ჩემს არყოფნაში მიეხედა ცხოველებისათვის, თვალყური ედევნებინა, რომ კარგად ეჭმიათ. განებანათ, მოეევლოთ სპილოებისათვის და განსაკუთრებით — პატარებისათვის.

მან ხელი შუბლთან მიიტანა და დიდის ამბით მითხრა:

— ბატონო, მაგათ ისე გაუფრთხილდებიან, როგორც საკუთარ პირმშოს შვილს.

გადავწყვიტე, კუალოში შემევლო და ტუნკუ-ბეზარისათვის მეთხოვა, ჩემს მაგივრად ეხელმძღვანელა სპილოების წვრთნისათვის. იგი პირველ ნადირობაზე თან მახლდა და იცოდა, როგორ უნდა მოპყრობოდნენ უწვრთნელ ცხოველებს. კუალოში ჩამოსვლისას პირდაპირ სულთანს მივაშურე. მან გულითადად მომილოცა. თავიდან ბოლომდე ვუამბე ნადირობის ამბავი — ყველაფერი დაწვრილებით უნდოდა სცოდნოდა.

— კიდევ, — მთხოვა მან, — კიდევ მოყევი!

მას ავუხსენი, რომ ძალიან მცირე დრო მქონდა და სიამის მთავრობის მიერ დაკისრებული სამუშაო მელოდებოდა.

ამ ამბავმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, გაშვებით მაინც არ გამიშვა, სანამ თავიდან არ ვუამბე ბებერი სპილოს შეპყრობის ამბავი. სპილოზე ტუნკუმ თქვა:

— იტუ გაჯა ბანიაკ ჯახატ: დია ბი-კინ სიუზა (ეგ სპილო ძალიან ცუდია: უბედურებას რასმე მოახდენს)!

სულთანი დავარწმუნე, რომ ცხოველს არავითარი ვნების მოტანა აღარ შეუძლია, რომ უკვე ავლაგმეთ და რომ ეს სპილო შესანიშნავი ეგზემპლარია. მისი ასაკი ორმოცდახუთიდან ორმოცდაათამდე აღწევდა. ჩემს ვარაუდს მის დანაოჭებულ საფეთქლებსა და ყურების მდგომარეობაზე ვამყარებდი: ყურები უკან გადაყრილი და ნაპირებშემოგლეჯილი ჰქონდა — გარდახდილი ომების კვალი ემჩნეოდა. ცალი ეშვი ოთხი ფუტის სიგრძისა იყო, მეორე — ოთხი ფუტი და ორი დიუმისა. სიმაღლით ცხრა ფუტსა და რვანახევარ დიუმს აღწევდა, მთელ სამ ტონას იწონიდა.

ადრევე ვთქვი, რომ იგი სავსებით მოთვინიერდებოდა. შემდგომ ეს წინასწარმეტყველება ბრწყინვალედ გამართლდა. ამერიკაში ჩემს გამგზავრებამდე ხშირად მინახავს ეს ბებერი სპილო. მას უწყინარი ხასიათი აღმოაჩნდა და თავისი ყოფის მადლიერი იყო. სულთანმა ჩანტეკ-კუატი შეარქვა, რაც „ლამაზსა და ძლიერს“ ნიშნავს. ვიმედოვნებ, იგი არაერთხელ ასახელებს ტრენგანას.

მთელი ჯოგიდან ეს სპილო ერთადერთი გახლდათ, რომელიც სულთანმა თავისთვის დაიტოვა. ჩემი კუთვნილი პატარა სპილოების გარდა, დანარჩენები გაიყვეს ტუნკუ-ბეზარმა, უმცროსმა უფლისწულებმა და მემკვიდრემ — რაჯა მუდამ, რომელიც იმ დროს ცამეტი წლის ბიჭი გახლდათ. მამამ მას ორი სპილო აჩუქა. ორმა საკუთარმა სპილომ ბიჭი გააყოყოჩა.

საუბრის ბოლოს სიტყვა გადავუკარი, რომ ტუნკუ-ბეზარს ძუძუთა სპილო მოსწონს-მეთქი. ეტყობა, უფლისწულმა საამისო ნიადაგი შეამზადა, რადგან სულთანმა მაშინვე მომიგო:

— ამ პაწაწინამ ერთიანად მოაჯადოვა უფლისწული. მიეცი მას სპილუკა.

და აი, ჯუნგლების ნებიერი, რომელიც საბოლოოდ მოსწყვიტეს დედას, სულ ტუნკუს სახლის ტერასზე იყო. კიბეებზე არბი-ჩამორბოდა და სიამოვნებისაგან ზმუოდა. სპილუკა ასაის რჩეულად ითვლებოდა, უფლისწულს სულ უკან დასდევდა გოშიასავით. უფლისწულიც საათობით ეთამაშებოდა და შინ შესვლის ნებასაც რთავდა. ალბათ, „ბალღი“ უკვე გაიზარდა და პრივილიგიებიც ისევე მოეხსნა, როგორც ნაჭერშემოხვეული, დაწნული რატანის ყელსაბამი.

ტუნკუ-ბეზარს უყვარდა ჩემთან სპილოებზე სიტყვის ჩამოგდება. ისინი რაღაცნაირად იზიდავდნენ მას და იპყრობდნენ მის გონებას. ერთხელ მკითხა:

— როცა გარეულ ჯოგს ერეკებიან, სპილოები რატომ არ დაითრევენ მოთვინიერებულებზე მსხდომთ? აკი ამტვრევენ ტოტებს ხეებიდან, რატომ კაცს არ ჩამოაგდებენ და არ გადათქერავენ, ხომ შეუძლიათ ამის გაკეთება?

ეს კითხვა მეც ხშირად დამბადებია და პასუხი ვერ გამიცია. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ კაცს, რომელიც შინაური სპილოს ზურგზე ზის, გარეულ სპილოთა ჯოგში არავითარი საფრთხე არ ელის.

ეს რომ ასე არ იყოს, ბებერი სპილო ცოცხალს არ დამარჩენდა და ვერც ამ ამბავს მოგიყვებოდით.

გალიები გემგანზე

სიამის მთავრობის დავალება დიდი წარმატებაა; თუ იგი ვისმე მიენდობა, ამ კაცს განუსაზღვრელი უფლებები ენიჭება და შეუძლია მომჭირნეობა არ გასწიოს. ამიტომ აღტაცებული დავრჩი, როცა სინგაპურიდან ჯონ ანდერსონის წერილი მივიღე. იგი მატყობინებდა, რომ სიამს განზრახული აქვს ესპანეთს საჩუქრად გაუგზავნოს მხეცების დიდი პარტიაო, პასუხისმგებლობას მათ გადაყვანაზე მე მაკისრებდა. მაშინვე გადავწყვიტე, ბანგკოკს გავმგზავრებულიყავი, რათა მეხელმძღვანელა ცხოველების ჩატვირთვა-გამგზავრებისათვის და ერთი წუთითაც არ მოვშორებოდი მათ გზაში. ეს დავალება ჩემს გეგმებს ემთხვეოდა: მალე დადგებოდა მუსონების სეზონი, ეს კი მუდამ წყვეტდა ჩემს საქმიანობას. მიყვარდა ევროპაში ზამთრის გატარება და, ჩვეულებრივ, ვახერხებდი კიდეც ამას.

როცა სპილოებზე იღბლიანი ნადირობის შემდეგ სინგაპურში დავბრუნდი, აღმოჩნდა. რომ მეორე დღეს ბანგკოკში პატარა ორთქლის კატერი მიდიოდა.

ჩემს ჩინელ ბოის, ხსი-ჩუ-აის ვუბრძანე მომზადება. საკმარისი იყო მეთქვა: „კემას-კან პაკიან“ (ჩაალაგე ტანსაცმელი), მაგრამ მე დავუმატე: „მაუ პერგი ბანგკოკ“ (ბანგკოკში მივემგზავრები).

ბანგკოკს მშვიდობიანად მივაღწიეთ ოთხ დღეში. მინისტრი, რომელმაც დავალება მომცა, იქ არ აღმოჩნდა. იგი ხშირად მოგზაურობდა და, ამჯერად მოლაპარაკება მის ძმასთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან მომიწია. იგი მუდამ ინგლისურად

მელაპარაკებოდა და ძალიან კარგადაც, თუ არ ჩავთვლით, ცოტას რომ უქცევდა. შევთანხმდით, რომ მე მივიღებ ორიათას ხუთას მექსიკურ დოლარს, იქით-აქეთობისას ვიმგზავრებ პირველი კლასით მათ ხარჯზე. მინისტრმა მოიგონა ჩემი ძალიან მარჯვე მგზავრობა რამდენიმე წლის წინ, როცა ასევე წავიყვანე ავსტრიაში გარეული მხეცები. ისინი მეტწილად მტაცებლები იყვნენ, კატისებრთა ოჯახიდან. სრულიად უვნებლად ჩავიყვანე ადგილზე, სულ უბზინავდათ ბეწვი და თვალები უბრწყინავდათ. ასე ჩავაბარე მხეცები ავსტრიის მთავრობას.

როცა ახლანდელ პარტიას გავეცანი, აღმოჩნდა, რომ უნდა წამეყვანა ორი შესანიშნავი ვეფხვი, ექვსი ავაზა — ამათგან ოთხი ხალებიანი და ორი შავი, ერთი ტაპირი, ოთხი ციკეტი, ოთხი მომცრო ვეფხვისებრი კატა, ორი გიბონი და ორნაირი ჯიშის ოცამდე მაიმუნი — ზოგი გრძელკუდიანი და ზოგი მოკლეკუდიანი. ესენი სრულიად საკმარისნი იყვნენ მომცრო ზოოპარკის გასახსნელად.

სიამში უამრავი ნადირია, რომლებიც თითქმის მთელს ევროპაში იგზავნება: პორტუგალიიდან მოკიდებული ვიდრე სკანდინავიის ქვეყნებამდე. კატისებრთა ჯიშის ცხოველები სიცივეს ადვილად ეგუებიან.

მაგრამ არის ერთი ცხოველი, რომელსაც სიამი ვერ ელევა — არც ჩემსობას. არც ჩემს შემდეგ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სიამიდან სადმე გაეგზავნოთ სპილო. თუმცა სიამელები სპილოს არ ეთაყვანებიან, როგორც ჩვეულებრივ ვარაუდობენ ხოლმე, მაგრამ დიდი პატივით კი ეპყრობიან, ხოლო მოსახლეობის მორწმუნე ნაწილის მოკრძალება თეთრი სპილოების მიმართ თაყვანისცემამდის მიდის, რადგან თვლიან, რომ მეფის წინაპრების სულები თეთრ სპილოში სახლდებიანო.

სინამდვილეში თეთრი სპილო სხვა არაფერია, თუ არ ალბინოსი და ანომალიას წარმოადგენს. როცა მათ „თეთრს" უწოდებენ, სიმართლის წინაშე სცოდავენ: ისინი მოვარდისფრონი არიან, თვალებიც კი ვარდისფერი აქვთ. ის ოთხი თეთრი სპილო, რომლებიც კი მოიძევება სიამში, ბანგკოკის სასახლეში ცხოვრობს. მე არაერთხელ მინახავს ისინი სასახლის პარკში მოსეირნენი, მაგრამ ისე იყვნენ ათასნაირ ზიზილპი-

პილებში გახვეულები, რომ ვერც კი დაინახავდა კაცი მათ ფერს.

თეთრი სპილოების გამყოლები უამრავ ფულს ჰხვეტენ. ჰყიდიან ბალნის ბეჭდებს, რომლებსაც ვითომც ამ სპილოების ძუისაგან აკეთებენ. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ასეთ ბეჭდებს ათობით გრეხენ და ჰყიდიან, ხოლო სპილოს კუდზე რამდენიმე ბუწუწი ასხია, ცხადი გახდება, რომ სპილოებისადმი მოკრძალება გამყოლებს ყალთაბანდობაში ხელს არ უშლის.

ჩემდა საბედნიეროდ, ჩემზე მონდობილი ცხოველები წმინდანებად არ ითვლებოდნენ. ისინი მოეთავსებინათ საჩეხში, საპყრობილის ეზოში, უხეირო გალიებში და ამ გალიებითვე უპირებდნენ გემზე გაგზავნას. გალიები წარმოადგენდა დამპალიატაკიან უზარმაზარ ნაგებობას. ერთი ავაზა, მაგალითად, მოეთავსებინათ ოცდათექვსმეტი კვადრატული ფუტის გალიაში, ერთიმეორეზე გადადებული რკინის ძვლებისაგან რომ გაეკეთებინათ. ერთი ღერო მეორისაგან მხოლოდ დიუმით დაეშორებინათ. ცხოველს საკმაო ადგილი ჰქონდა თავის დასასახიჩრებლად. გალიის იატაკი სამგზავროდ უვარგისი იყო, ხოლო გალიები — წარმოუდგენლად მძიმე. მთელი ტვირთით სინგაპურში ახალ გემზე უნდა გადავბარგებულიყავი, რადგან აქაური გემები შორს არ მიდიან. გამოდის, გალიები ჯერ პლაშკოუტზე უნდა ამეტანა, მერე ხმელეთზე გადმომეტვირთა, მერე ხარ-ურმით გადამეზიდა და ჩამეტვირთა მომცრო გემზე, რომელიც ევროპაში გაემგზავრებოდა. გასაგებია, ამგვარ ვითარებაში ზედმეტი გირვანქაც კი გაგაწვალებს. ბუნებრივია, სიამის მთავრობას ცხოველების გაგზავნაში ბედი რომ არ სწყალობდა.

გადავწყვიტე, მეპოვა საუკეთესო ჩინელი ოსტატი, როგორიც კი მოიძებნებოდა ბანგკოკში და მისთვის შემეკვეთა ახალი გალიების გაკეთება, თანაც, რაც შეიძლება ჩქარა. ხსიჩუ-აიმ იკისრა საჭირო კაცის გამოძებნა, რადგან ბანგკოკში ყველა დურგალი მის ენაზე ლაპარაკობდა. მან ხელად იგრძნო მასზე დაკისრებული დავალების მნიშვნელობა და სახელდახელოდ მასწავლა რამდენიმე ჩინური სიტყვა, რომლებიც

დურგლებთან საუბარში დამჭირდებოდა. განსაკუთრებით მოსწონდა, როგორ ვიმეორებდი ერთ ფრაზას, რომლის შესახებაც ის ამბობდა, „ძალიან მაგარი სიტყვებიაო“. ეს ფრაზა უნდა მეთქვა იმ დროს, თუ მუშაობა შენელდებოდა.

ნახაზი შევადგინე და დურგალს ჩავაგონე, რომ დამკვეთი თვითონ მინისტრია. გალიები უნდა დაემზადებინათ დიუმნახევარი სისქის სერაის ხის ფიცრებისაგან (იატაკი, კედლები, სახურავი), ნაწიბურებს დიუმიანი რკინით მოჭედავდნენ. გალიაში მხეცი ზეზეულად უნდა გამართულიყო, მობრუნების საშუალება კი არ უნდა ჰქონოდა.

თითოეული ეგზემპლარი განცალკევებით უნდა მოგვეთავსებინა, გარდა მაიმუნებისა, რომელთა მოთავსება შეიძლებოდა ორ ვრცელ გალიაში: ერთში გრძელკუდიანები და მეორეში მოკლეკუდიანები. მაიმუნებს მუდამ უნდა ჰქონდეთ საკმარისი სივრცე, რომ ცოცვა და ხტუნვა შესძლონ, ხოლო კატისებრთათვის სამგზავროდ ვიწრო გალიები უმჯობესია. გადმოტვირთვის შემდეგ ცხოველები ერთ ხანს გაშეშებულები არიან, მაგრამ მალე მოეგებიან ხოლმე გონს. გარდა ამისა, დავამზადებინე ხის ფარები, ჩატვირთვისას რკინის ცხაურებზე მისაფარებლად. ფარებს დატანებული ჰქონდა საჰაერო ხვრელები.

ერთი გალიიდან მეორეში გარეული ცხოველის გადაყვანა ძნელი საქმე არაა: ახალი გალიის იატაკზე დგამენ საჭმელს, მერე მეორე გალიასთან მიაჩოჩებენ, ცხაურებით ერთმანეთს მიადგამენ და გისოსებს გამოაცლიან. თითქოს არაფერია საძნელო, მაგრამ იმ დროს, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ, ჯერ კიდევ ცხადივით მახსოვდა ერთი საშინელი შემთხვევა: სინგაპურში, ჩემს სამხეცეში, ახალ გალიაში გადამყავდა დიდი ორანგუტანგი. ეს გახლდათ უკვე ზრდასრული, ძალზე თვინიერი ცხოველი. ახალ გალიაში დადეს მისი საყვარელი სასუსნავი — ხახვი — და ძველ გალიასთან მიაჩოჩეს. მე გალიების ზემოთ ვიდექი და ცხაურის ამოღებას ვლამობდი, რათა ცხოველისათვის მეორე გალიაში გასვლის საშუალება მიმეცა. კილოები ჩაჟანგებულიყო და რკინის ჯოხების ამოძრობა გაჭირდა. ბოლოს, ერთიღა დარჩა. ვერაფერს გავხდი. ორივე ხელით ვეჯაჯგურებოდი და ვეწეოდი. უცებ ჯოხი ცოცხალივით შეხტა,

ცხვირში მეტაკა, ერთიანად გამიბრტყელა და გაოგნებული, მიწაზე გავიშხლართე. ჩემი მუშები ვერც კი მიხვდნენ, რა დამემართა და იცინოდნენ.

მერე გამოირკვა: ორანგუტანგი მომჩერებოდა, როგორ ვაძრობდი ჯოხებს, მიხვდა, რას ვაკეთებდი და რადგან ერთი სული ჰქონდა ხახვს მისწვდენოდა, წამეხმარა — ჯოხს ხელი სტაცა და ზემოთ უბიძგა. მე რომ ამ დროს მისი მახვილი წვერი მარცხენა ხელში არ მჭეროდა, იქვე გავაფრთხობდი სულს. მერე ვნახე: ხაი-ჩუ-აი მისჯდომოდა ჩემს ორანგს, მოხარშული ბრინჯით უმასპინძლდებოდა და მალაურად ელაპარაკებოდა: „ჯუნგლების შვილო, რომ შემეძლოს ჩემს ნებაზე გამუშაო, მთელს წელიწადს აღარაფერს გავაკეთებდი“. მართლაც, ცხოველი არნახული ღონისა იყო. ამას ადასტურებს ჩემი ცხვირის მცირე გამრუდება, რომელიც მისგან სახსოვრად დამრჩა.

ცხოველებთან მუდამ საოცარ ამბებს გადაეყრება კაცი. მაინც, ის ხალხი, ბანგკოკში რომ მეხმარებოდა, ისე მშვიდად იყო და თავის საქმიანობას ისე დაუდევრად ეკიდებოდა, თითქოს საქმე შინაურ, თვინიერ ცხოველებთან ჰქონოდეთ. მე კი მათი გათათხვაც არ შემეძლო, მხოლოდ ვაფრთხილებდი და ვარიგებდი თარჯიმნის პირით. თარჯიმანი ამავე დროს საპატიმროს ზედამხედველი გახლდათ, ხოლო ჩემი თანაშემწეები ყველანი პატიმრები იყვნენ. მინისტრმა ნება დამრთო, რამდენიც მინდოდა, იმდენი პატიმარი დამესაქმებინა. ვთხოვე. ექვსი კაცი გამოეგზავნათ. ისინი მძიმე ბორკილებში ჩაჭედილნი გამოცხადდნენ. ბორკილებს რომ არ ეჩხარუნა, წელზე თოკით მიებათ. მუშაობაში მაინცადამაინც არ უშლიდათ, ოღონდ რაღაცნაირად დადიოდნენ. სიამში კაცს, რომელიც ერთ ხანს მჯდარა ციხეში, ხელად გამოიცნობთ სიარულზე, მეზღვაურივით. ისინი ღონიერები და მხიარული ბიჭები იყვნენ, ძალიან დაინტერესდნენ ცხოველებით, მუდამ ხუმრობდნენ და იცინოდნენ.

სადურგლო სახელოსნოდან მზა გალიები ურმით მოვიტანეთ; ურემში ხარების ნაცვლად პატიმრები იყვნენ შებმულნი, ბორკილდადებულნი და წყვილ-წყვილად გადაბმულნი. პატიმრები გზათა კეთილმოწყობის დეპარტამენტმა გვათხოვა. ამ

პატიმრების ბედი ასეთი გახლდათ: ერთი წლის განმავლობაში ურმები უნდა ეთრიათ, მერე კი სიკვდილით დასჯიდნენ. სიამში ასე სჯიან მკვლელებსა და ბანდიტებს.

პირველ გზობაზე გალიების მოტანისას ბევრი იყვირეს, იცინეს, იხუმრეს. ხსი-ჩუ-აიმ ამიხსნა — თვითონ მას ეს ამბავი ერთი ჩინელისაგან შეეტყო, — რომ ყველას, ვინც გალიებიანი ურმები მოათრია. მეორე დღეს სჯიდნენ.

— ეგენი ხუმრობენ, ბატონო, — მამცნო მან, — რადგან ხვალ ღრეობა ექნებათ. ძღომაზე აჭმევენ, ბატონო, და მერე დასჯიან.

მეორე დღეს ისეთი მითქმა-მოთქმა იყო, რომ გადავწყვიტე მუშაობა შემეჩერებინა და დასჯისათვის მეყურებინა. სიამელები დასჯას დღესასწაულად აქცევენ ხოლმე. ღრეობა სამ დღეს გრძელდებოდა: სიკვდილმისჯილები ოცდათექვსმეტნი იყვნენ; დღეში თორმეტი კაცი უნდა დაესაჯათ. მსჯავრდადებულნი ღია პავილიონის იატაკზე ჭილოფებზე ისხდნენ მეგობრებითა და ნათესავებით ჭარშემორტყმულნი და უკანასკნელ ტაბლას შეექცეოდნენ. მოჰქონდათ ნაირ-ნაირი სასუსნავი და ბრშვიათი საჭმელები; ღრეობის ყველა მონაწილეს ნება ჰქონდა ძღომამდე ეჭამა. ერთადერთი, რაც ეკრძალებოდათ ამ ღრეობაზე — ალკოჰოლი (ყოველნაირი) და ოპიუმი გახლდათ. სპეციალური მოხელეები იკვლევდნენ საჭმელს და ადასტურებდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო. დანიშნულ დროს პავილიონიდან დაიძრა პროცესია და გაემართა დასჯის ადგილისაკენ, რომელიც იქაურობას დაახლოებით ერთი მილით იყო დაშორებული და სასახლის სიახლოვეს მდებარეობდა; წინ ერთ კაცს დიდი ზარი მიჰქონდა და სიარულისას იქნევდა. მას მოსდევდნენ მსჯავრდადებულები პოლიციელების თანხლებით. პოლიციელების გვერდით, ანდა პროცესის ბოლოს მოდიოდნენ მეგობრები და ნათესავები. როცა დასჯის ალაგს მივუახლოვდით, იქ უკვე ზღვა ხალხი შეყრილიყო და პალმების ჭალის ჩრდილქვეშ შეეფარებინათ თავი. პოლიციამ თავაზიანად მიუჩინა მსჯავრდადებულთა მეგობრებსა და ნათესავებს უკეთესი ადგილები, საიდანაც ყველაფრის დანახვა შეიძლებოდა. მეც გამოვნახე ჩემთვის კარგი ადგილი.

სამას-ოთხასფუტიანი მოედნის შუაგულში სამი მხრიდან დააფინეს თორმეტი ბანანის ფოთოლი. თითოზე თითო მსჯავრდადებული დასვეს. ისინი ინახით ისხდნენ. თითოეულის ზურგს უკან ჩარჭობილი იყო ბოძი. ბოძზე მიჭედებული იყო ჯოხი, რომელზედაც დასასჯელებს მკლავები გაუკრეს. ხელებზე ბორკილები ედოთ, მაგრამ ნებების მოძრაობა შეეძლოთ. ბოძს იქით ისევ ბოძი იყო. მის დანიშნულებას მოგვიანებით მივხვდი. მსჯავრდადებულებს ჩამოურიგეს პაპიროსები და მათაც გულიანად გააბოლეს. როცა ყველანი მიაბეს, ერთმა პოლიციელმა სათითაოდ ჩამოურა მათ. დაბლიდან მიწას იღებდა და ჯერ ერთ ყურს უცობდა ტალახით, მერე მეორეს. ამიხსნეს, ამას იმიტომ აკეთებენო, მსჯავრდადებულმა მოახლოებული ჯალათის ნაბიჯების ხმა რომ არ გაიგონოსო. მერე პოლიციელმა თავი დაახრევინა და ტალახი ახლა კეფაზე წაუსვა. ამ ხნის განმავლობაში, თვით მაშინაც, როცა თავები დაახრევინეს, მსჯავრდადებულნი თამბაქოს ეწეოდნენ. როცა თორმეტივე ტალახით გათხაპნეს და ყველას თავები დაახრევინეს, ნიშანი მისცეს და თორმეტი ჯალათი გამოვიდა მოედანზე. ისინი ცეკვაცეკვით მოდიოდნენ და თავს ზევით მახვილებს იქნევდნენ. ჯალათები წითელ სამოსში იყვნენ გაწყობილნი, სარონგები ისე ჰქონდათ აკვალთული, რომ შარვალს წააგავდა, სახე კი წითელ-ყვითელი ზოლებით დაეფარათ. თითოეულმა თავისი მსხვერპლის უკან დაიკავა ადგილი. ბრბო აღელდა: ნაძლევს დებდნენ, რომელი ჯალათი უფრო მარჯვედ გაართმევდა საქმეს თავს. ისევ მისცეს ნიშანი. თორმეტმა ხმალმა ჰაერში ფანტასტიკური წრე მოხაზა და ერთად დაეშვა ძირს. ამ შემოკვრით შუაზე გაყვეს ტალახის ლაქა მსჯავრდადებულთა კეფაზე და გადასჭრეს კისრები, ოღონდ ისე, თავი ტანს არ მოშორებოდა. ეს სხვა თორმეტ ჯალათს უნდა გაეკეთებინა. ამათ თავიანთი საქმე გააკეთეს და ნახევრად მოკვეთილი თავები დასჯილთა უკან მარგილზე ჩამოაგეს. სანამ ხმლის ცემის ხმა ისმოდა, ბრბო გაყუჩდა, ხოლო როცა თავები მარგილზე წამოაცვეს, რამდენიმე ქალი წიოკობით გაიქცა. მე შევხედე უახლოეს თავს —

ცხვირის ნესტოებიდან თამბაქოს ბოლი გამოდიოდა. მეტის გაძლება აღარ შემეძლო...

ამ სეირის მერე ძალიან გამიჭირდა მთელი გულისყური ცხოველების გალიებში მოთავსებისათვის მიმედევნებინა. ამისდა მიუხედავად, საქმეს უხიფათოდ მოვრჩით. ცხაურებს ხის ფარები ავაფარეთ და გალიები ურმებზე შევდგით. გზათა კეთილმოწყობის დეპარტამენტს ბანგკოკში კიდევ დარჩენოდა, როგორც ეტყობოდა, საკმარისზე მეტი პატიმარი და ცხოველების გადასაყვანად გამოგვიყვეს, რამდენიც გვინდოდა. თითოეულ ურემს წინ ორი კაცი მიუძღოდა და ორიც უკან მიჰყვებოდა. წყვილად გადაბმულებმა, ცხოველები დოკებამდე მიიყვანეს, სადაც „პუ-ანა" გველოდებოდა.

გემი ჯერ არ მენახა და უკვე ვგრძნობდი — კოპრით იყო დატვირთული. კოპრა ქოქოსის კაკლის გულია, მზეზე გამომშრალი. ხომ ძალიან ყარს აღმოსავლური დელიკატესი — ბლაჩანი (გახრწნილი თევზი), მაგრამ კოპრა უფრო მყრალია, ვიდრე დიურიანი, რომელსაც დასავლეთელებმა „მყრალი დიურიანი" შეარქვეს. იქაურებისათვის კი ეს საჭმელები უშესანიშნავესი „აიერ ვენგია" (არომატი). „პუ-ანას" უკანა ტრიუმში სამოცდაათი ტონა კოპრა იყო მოთავსებული. გემით მიჰყავდათ აგრეთვე სინგაპურის ბაზარზე გასაყიდი ხარები (სულ ასი სული). ისინი ის-ის იყო ჩატვირთეს და ჩვენც მოვედით ჩვენი გალიებიანად. ხარები ამრიგად აჰყავდათ გემზე: რქებში ბაგირს ჩააბამდნენ, მერე ჰაერში აქაჩავდნენ და პირდაპირ ბაქანზე გააქანებდნენ. იქ მოაჯირზე აბამდნენ ცხვირში გაყრილი რგოლში გამობმული თოკით. ჩემი გალიები გემზე აზიდეს და შუათანა ლიუკში მოათავსეს. მე თვითონ ვამოწმებდი, გალიები მყარად მდგარიყვნენ და ადვილი მისადგომი ყოფილიყო, რათა ადვილად მიგვეწოდებინა ცხოველებისათვის საჭმელი, დაგვერწყულებინა და დაგვესუფთავებინა იქაურობა. სულ თვრამეტი გალია იყო. არც თუ იოლი საქმე გვეკისრებოდა.

მას აქეთ, რაც ცხოველები გემზე ავიყვანეთ, გემბანზე ხალხიც ამოვიდა. ასამდე მგზავრი იყო, ბავშვების ჩაუთვლელად. ყველანი მალაელები იყვნენ, სინგაპურში მიმავალნი.

ნუზლი და ბარგიბარხანა უამრავ ფუთებში ჰქონდათ გამოკრული. ზოგს ხელში პატარა ზანდუკებიც ეკავა, რომელთაც სკამადაც იყენებდნენ და სასთუმლადაც. ყველანი ზედა ბაქანზე იდგნენ ჯგროდ, მათთვის სხვა ადგილი არ იყო. დაწოლითაც ვერსად დაწვებოდნენ. მხოლოდ ბრინჯსა და წყალს აძლევდნენ. ხუთი დღე ბრეზენტქვეშ უნდა გაეტარებინათ.

ჩემი ცხოველები გაცილებით უკეთეს პირობებში იყვნენ. მაიმუნებს ბრინჯის გარდა იამსაც (ერთგვარი კარტოფილია. ტროპიკებში ხარობს) აძლევდნენ — უმს ან მოხარშულს — და ხახვს, მაიმუნების საყვარელ სასუსნავს. ტაპირისათვის ბლომად მოვიმარაგე პურის ხის ნაყოფი. პურის ხე ჯუნგლებში იზრდება. მისი ნაყოფი ხშირად აღწევს ორნახევარ ფუტს სიგრძით და თვრამეტ დიუმს სიმსხოთი, თანაც მსხლის ტოლ ნაწილებად იყოფა.

ტაპირი მხდალი და ღორმუცელაა. რაც შეეხება მტაცებლების კვებას, ეს ძნელი არ იყო, როცა გემბანზე ასი სული ხარ ება. ვერც კი მოვასწარით ნაპირს გავშორებოდით, რომ ჩინელმა ყასაბმა ერთ ხარს თავში ჩაქუჩი ჩასცხო გასაბრუებლად და მერე ყელი გამოსჭრა. რახან ხორცის მჭამელებს არავითარი მოციონი არ გააჩნდათ, ხორცთან ერთად გოგირდსაც ვაძლევდი. მგზავრობისას ეს მეტად ხელსაყრელი და სასარგებლოა. გალიებს ზემოდან გაფისული ბრეზენტი გადავაფარებინე და ვბრძანე, დროდადრო დაენამათ. „პუ-ანა“ ძველებური რკინის გემი გახლდათ და ლითონის გემბანი ძალიან ხურდებოდა. აუცილებელი იყო მისი გამუდმებით მორწყვა.

ხსი-ჩუ-აის კარგად ესმოდა, რა სჭირდებოდათ ცხოველებს. თამამად შემეძლო მათი მოვლა-პატრონობა მისთვის მიმენდო, თუ ორ თანაშემწესაც გამოვუყოფდი. ამრიგად, საკმაო დრო მქონდა კრიბეჯი (ბანქოს თამაშია) მეთამაშა ბესკთან, გემის კაპიტანთან. მას ადრევე ვიცნობდი, ძალიან მესიმპატიურებოდა და კაიუტაში მასთან დავბინავდი. იგი მზად იყო დილიდან საღამომდე ეთამაშა კრიბეჯი. მდინარე მენამს არ გავცდენოდით, კრიბეჯს ჩავუჯექით და სიამის ყურეს რომ მივადექით, ისევ გავიძახოდით: „ხუთმეტი და ორი, ხუთმეტი და ოთხი...“

ნოემბრის პირველი კვირა იდგა. უკვე ამოვარდა ჩრდილო-

აღმოსავლეთის მუსონი, თითქოს ნამდვილ ქარიშხლამდე ჯერ კიდევ შორს იყო; მაგრამ მეორე დღესვე გზაში აბრდღვინდა ერთ-ერთი ვეფხვი.

— მაიერ, — მითხრა კაპიტანმა, — ამინდი წახდება! ვეფხვმა იგრძნო.

— მაგას ზღვის ავადმყოფობა შეეყარა, — მივუგე მე, — ამიტომ ბღავის.

— არა! ჯერ ზღვის ავადმყოფობა სადაა, მერე შეეყრება. სანამ ადგილზე ჩავალთ, ეგ უკვე გამოჯანდრული ზღვის ვეფხვი, ძველი მეზღვაური დადგება.

მაიმუნების დასახედად წავედი. რამდენიმე მათგანი დაწანწალებდა, მაგრამ უმეტესობა თვალდახუჭული იჯდა და თავს აკანტურებდა. მე ხელში ხახვი დავიკავე, მაგრამ ზედაც არ შეხედეს, აწრიალებულებმაც კი. ბევრ მათგანს მუცელში ეტაცა ხელი. სხვა გალიებშიც თითქმის ყველა მხეცი ავად გამხდარიყო.

ხსი-ჩუ-აის მოსაძებნად წავედი. შტურმანის საწოლზე სამად მოკუნტული დამიხვდა. მეც გადავწყვიტე წამოწოლა. როცა წამოვდექი. ქარი გახალისებულიყო. კაიუტაში წავედი და წავასწარი, კაპიტანი რაღაცას ფუსფუსებდა. ირგვლივ მიმოფანტულიყო მისი ტუალეტის ნაწილები.

— თქვენ რა, სამეჯლისოდ ემზადებით? — ვკითხე მე.

— დიახ, საოცარი მეჯლისი იქნება.

მივხვდი რას შვრებოდა: ვისკისა და ჯინის ყველა ბოთლი ამოეღო, თეთრეულსა და ტანსაცმელში ხვევდა და ისე ალაგებდა განჯინაში. მერე კარი მიუგდო. გასაღები გადააბრუნა და კაიუტიდან გავიდა ხმის ამოუღებლად. მე ჩემს საწოლს ვეცი. ქარი წუთით-წუთზე ძლიერდებოდა. ჩვენ თავს ვარიდებდით. ცხადი შეიქნა, რომ ბესკი შიშობდა, შემობრუნებისას ქარიშხალს პირისპირ არ შეჩეხებოდა. ქარის ღმუილში ჩემამდე აღწევდა კივილი გემბანიდან: ქარმა მოგლიჯა ბრეზენტის საფარი და მგზავრები ქარსა და წვიმაში დარჩნენ.

ჩემი მხეცები თანდათან გონს მოდიოდნენ. ერთ-ერთი ვეფხვი საბრალოდ ღნაოდა. სხვა ნადირებიც მას შეუერთდნენ. ქარი თანდათან ძლიერდებოდა და სულ მალე ხმების გარ-

ჩევა შეუძლებელი შეიქნა — ყველაფერი ერთმანეთში აირია: ქარიშხლის კივილი, მხეცების ღმუილი და გემბანის მგზავრეერების ღაღადისი.

მესამე დღეს, შუაღამისას, როცა საწოლზე გვერდი ვიბრუნე, თვალი მოვკარი, კაპიტანი იატაკზე გაწოლილიყო, რუკას ათვალიერებდა და ცდილობდა გარკვეულიყო, სად ვიმყოფებოდით.

— სადა ვართ? — შევბღავლე მე.

— თუ ასე გაგრძელდა, ბორნეოს ან ავსტრალიას მივადგებით.

რუკა შეგრაგნა და ხელი გაიწოდა ორცხობილიანი ყუთისაკენ. აიღო ერთი ბღუჯა ორცხობილა და ზედ ქვის ფილტრიდან რამდენიმე წვეთი აპკურა. შევიხსენი ღვედები, რითაც საწოლზე ვიყავი მიბმული, გადმოვფორთხდი და მეც იატაკზე გავწექი. კაპიტანი ზურგით კაიუტის კედელს მიეყრდნო, მე — კარადას. სიმყარისათვის ფეხები ერთმანეთს მივაბჯინეთ და ნელ-ნელა შევუდექით „სერობას“. გათენებამდე ორცხობილას შევექცეოდით. თენებისას მალაელმა შტურმანმა შემოყო კარებში თავი. ქარი შემოვარდა, მაგრამ შტურმანი კარს იმაგრებდა. იგი ბარბაცებდა, ცდილობდა წონასწორობის შენარჩუნებას, და მაინც მოახერხა წესისამებრ მისალმებოდა კაპიტანს. ამაზე გულიანად ვიცინე.

— სიუზა (უბედურება), კაპიტანო! — დაიძახა მან.

— რაო? კიდევ რა უბედურებაა? — იღრიალა კაპიტანმა პასუხად.

— ხარები! — აღმოხდა შტურმანს. — ზოგიერთები მოსწყდნენ საბმურს, ფეხები გადაიმსხვრიეს.... აქეთ-იქით აწყდებიან, სხვებსაც აშავებენ, გემბანიდან გადაცვივდებიან.

— მაიერ! — მომაძახა ბესკმა, — ეგ წყეული ხარები დაღუავენ ჩვენს ძველ რკინის ვარცლს.

თითქოს მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა, ისე ექცეოდა. ფეხი ისე წამკრა, თითქოს კარადაში შეჩურთვას ძიპირებდა.

— გადაუშვი ბორტიდან! — გაჰყვიროდა იგი.

— როგორ მოვახერხო? — გაიძახოდა პასუხად შტურმანი.

— სათითაოდ გადაყარე ზღვაში!

ისეთი საძაგელი მდგომარეობა იყო, ზღვის ავადმყოფობა გადამავიწყდა კიდეც. გავედი ბოგურაზე, საიდანაც შემეძლო თვალი მედევნებინა, რა ხდებოდა ქვემოთ. ხარები ბღაოდნენ, გორავდნენ გემბანზე, აწყდებოდნენ ერთმანეთს, ეხეთქებოდნენ კედელს... მათ შორის მოხვედრა — ნაღდი სიკვდილი იყო. უცებ დავინახე, ერთი ყმაწვილი მიცოცავდა გემბანზე — ეს მხრებში თოკი ჩაება, ბოგურაზე ჩემს შორიახლოს მდგომ ორ სხვა მეზღვაურს ეკავა ბაგირის ბოლო. ყმაწვილს ხელზე ჩაქუჩი ჰქონდა მიბმული: ცდილობდა შკაფუტის (გემბანის საფეხურები) გახსნას. არა მგონია ვინმეს, გარდა მალაელი მეზღვაურისა, გაებედა ასეთი რამ. თვალს ვადევნებდი მის მოძრაობას. უცებ ფეხი დაუცდა და ზღვაში გადავარდა. ბოგურაზე მდგომმა მეზღვაურებმა უკანვე ამოათრიეს. ისევ განაგრძო თავისი საქმე. ამჯერად მიაღწია კიდეც შკაფუტს. ბორტმა მაღლა აიწია. მეზღვაური ჭანჭიკებს ჩაქუჩს სცემდა. მეჩვენებოდა, რომ საქმე წინ არ მიდიოდა. უეცრივ კარი გაიღო და ახლოს მყოფი ხარები ზღვაში გადაცვივდნენ. „პუ-ანას“ ოთხი შკაფუტი გააჩნდა — ქვედა გემბანის ორსავე მხარეს ორ-ორი ჰქონდა დატანებული. ერთიმეორის მიყოლებით განიხვნა ოთხივე. ზოგიერთი ხარი, რომელთაც სიცოცხლის ნატამალი ჯერ კიდევ შერჩენოდათ, ხედავდნენ, როგორ ინთქმებოდნენ სიცარიელეში მათი ამხანაგები, ისინიც უერთდებოდნენ და ზღვაში ცვივოდნენ. საცოდავები!

მას აქეთ, რაც გემბანი ნაწილობრივ მაინც გაიწმინდა, ოთხმა მეზღვაურმა გაბედა და იწყეს დახოცილი და სულთმობრძავი ხარების ზღვაში გადაყრა. ხანდახან, როცა ხარს უკვე კარებთან მიათრევდნენ, რყევა ისევ უკან გადმოისროდა. უცებ ჩემი გალიებიდან საშინელი ხმები შემომესმა: გალიები დაიძრნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ და მერე საერთო ძალით მოსრიალებდნენ გემბანზე. ისე, გალიები კიდეც რომ დამტვრეულიყო, ცხოველები არ იყვნენ საშიშნი: ვეფხვები და ავაზები ისე იყვნენ დაოსებულები ბოლო დღეებში, რომ ჩვეულებრივ კატებზე საშიშნი აღარ იყვნენ. საშინელება ის იყო, რომ გალიების მოძრაობა ძველ გემს საფრთხეს უქადდა.

არც კი გამკვირვებია, როცა ბესკი მომიახლოვდა და პირდაპირ ყურში ჩამძახა:

— ახლავე ზღვაში გადაუძახეთ თქვენი სამხეცე!

— უმალ თქვენი გემი დაიმსხვრეს! — დავიღრიალე პასუხად.

ფეხმოტეხილი ხარები, აბღავლებული ცხოველებით გატენილი გალიები — ყველაფერი ერთმანეთში აირია, ცოცხლად აიზილა. მარტო შეხედვაზედაც კი გულს მეყრებოდა. სტვენით უხმეს ყველას ზემოთ, რომ „პუ-ანას“ მიშველებოდნენ განთავისუფლებულიყო ნახევრადცოცხალი ტვირთისაგან... ხალხი ყველაფერს აკეთებდა, რაც ძალედვათ. მაგრამ ძირითადი საქმე მაინც რყევამ და ღია შკაფუტებმა გააკეთა: ჩემი სერაის გალიები ერთიმეორეზე გადადიოდა ზღვაში, ან არადა, ჰყრიდნენ. ცხადია, წყალმა გალიები ზევით მოიგდო, ვხედავდი, როგორ ქანაობდნენ ტალღებზე. კარგა ხანს გავცქეროდი მათ, მერე კაიუტაში შევედი. ღვედებით ჩავები საწოლზე და ნირვანაში წასული რამდენიმე საათს ვიწექი. დროდადრო წამოვიწეოდი და ან წყალს წავწვდებოდი, ან ორცხობილას ავიღებდი და ვღეჭავდი. კაპიტანიც თითქმის სულ კაიუტაში იყო. დღე და ღამე ამერია. უცებ შემომესმა, კაპიტანი გულმოსულად ელაპარაკებოდა შოტლანდიელ მექანიკოსს. აკი ქარი ჩაცხრა, რაღას გაჰყვირიან ხმისჩახლეჩამდე-მეთქი, — გავიქეცი გუნებაში. შოტლანდიელი მოსულიყო მოსახსენებლად, რომ ნახშირი თითქმის გათავებულიყო.

— დაწვით ძელები! — ბრძანა ბესკმა. — დაწვით ეს კარები, საწოლები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მოგვეძევება.

ეს გამოსავალი არ იყო. შოტლანდიელიც ხვდებოდა ამას. კაპიტანმაც იცოდა. ამ რკინის ძველ გემზე რაც ფიცარი იყო, ძლივს გვეყოფოდა ათოდე კვანძის გასავლელად. მაგრამ რაც უნდა ფუჭი ყოფილიყო, ეს იდეა, მაინც შეუდგნენ საქმეს: მოვიდნენ ცულიანი მეზღვაურები და კარი ჩამოხსნეს.

როცა კარი წაიღეს, საძაგელი სუნი შემოვარდა. საწოლიდან გადმოვვარდი. კაპიტნის საძებნელად წავედი და ბოგურაზე წავაწყდი.

— მაიერ! — მითხრა მან, — საძაგელი ძველი ვარცლი წყლით ივსება, ვიღუპებით!

— კოპრა! — მივუგე მე, — კოპრა!..

ისე შემომხედა, თითქოს გადარეული ვყოფილიყავი.

— დაწვით კოპრა, რაღას უდგახართ? დაწვით კოპრა!

— ეშმაკმა დალახვროს, — იღრიალა მან. — შტურმანმა რატომ ვერ მოიფიქრა? რატომ მე თვითონ არ მომივიდა აზრად?

გაოგნებული მომშტერებოდა.

— მაიერ, — მკითხა მან, — არასოდეს არ მინახავს, კოპრას რომ შეშად უკეთებდნენ. როგორ იწვის?

— ქონის სანთელივით.

ისე შემომხედა, თითქოს ათასი დოლარი მეჩუქებინოს.

კაპიტანი ბესკი ორმოცდაათი წლის კაცი იყო, მაგრამ ბიჭივით მკვირცხლად გაიქცა. „პუ-ანა“ ორი დღის შემდეგ დაადგა სინგაპურის რეიდს, შავი კვამლი მძიმედ ამოდიოდა ქოქოსის კაკლით ამოვსებული საცეცხლურიდან. ჩინური სამპანები (მომცრო ნავები) გემს გარს შემოეხვივნენ, რომ ნაპირამდე გავეყვანეთ. ნავებში გადავსხედით. მაგრამ ისინი მეტ ტვირთს მოელოდნენ და თითქმის ცარიელები დაბრუნდნენ. ზღვას დავუტოვეთ ასი ხარი, ოცდაცხრამეტი მტაცებელი და გარეული ნადირი და სამი მგზავრი, რომლებიც ზღვამ წალეკა, როცა გემბანის ნაწილი მოგლიჯა.

როცა ჯონ ანდერსონის კანტორაში გამოვცხადდი, იგი ჩემს დანახვაზე შეხტა.

— მაიერ, — წამოიძახა მან. — უკვე ცოცხლებში აღარ მეგულებოდი: ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ „პუანა“ ჩაიძირა.

— იგი რეიდზეა, — ვთქვი მე, — მაგრამ თორმეტი გალია გარეული ცხოველებიანად ჩინეთის ზღვაში ქანაობს ტალღებზე.

ძალიან მიჭირდა ამის თქმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სიამის სალარო გამეძარცვოს.

— ნუ ჩამოგტირის ცხვირ-პირი! — წამოიძახა მან, — ბედს უნდა უმადლოდე: ცოცხალი რომ გადარჩი. პირადად მე ძალიან მიხარია ეს ამბავი.

— თქვენ თუ გიხარიათ, — მივუგე მე, — მეც თქვენ შემოგიერთდებით.

ჯადოსნური ბადე

ეს ამბავი მაშინ შემემთხვა, ტრენგანაში რომ ვნებივრობდი და ყოველდღე სულთანის სტუმარი ვიყავი: უცებ ერთმა აზრმა გამიელვა და ხელად მომბეზრდა რბილი დორეულები, თამბაქო და გაჭიანურებული საუბრები. უცბად გადავწყვიტე სუმატრაზე, პალემბანგში გამგზავრება და საქმესაც შევუდექი.

— მოემზადე, — ვუბრძანე ხსი-ჩუ-აის, სულთანს კი მოვახსენე: „ჩემი წასვლის დრო დადგა“.

— შენ იმ კაცს ჰგავხარ, — მითხრა სულთანმა, — რომელსაც ვიღაცის ხელი ეწევა. ვინ გაძლევს ნიშანს? კეთილის მომასწავებელია ეს ნიშნები?

— არ შემიძლია ამაზე სიტყვებით გიპასუხო, — მივუგე მე, — რადგან იგი სურათად შეჩვენა. გნებავთ, დაგიხატავთ!

ავიღე ფანქარი და ქაღალდი და გეგმა დავხაზე. შავით თეთრზე გამოსახული იყო ჩემი ახალი იდეა: როგორ უნდა შემეპყრო ხეებზე მოხეტიალე გარეული ცხოველები. ყველაფერი არაჩვეულებრივ მარტივი გახლდათ. საოცარი მხოლოდ ის იყო, რატომ აქამდე ვერავინ მოისაზრა. თან ვხატავდი და თან სულთანს ვუმარტავდი ჩემს მოსაზრებებს. დასასრულს ვთქვი: „და ავაზაც გაება!“ სულთანმა თვალებში ჩამხედა.

— შენ ძალიან ჭკვიანი ხარ, — გაჭიანურებით ამოთქვა მან.

ამ წუთს ისე კმაყოფილი ვიყავი ჩემი გამოგონებით, აღარ შევდავებივარ.

ტრენგანიდან პალემბანგამდე კარგა დიდი მანძილია, მაგრამ კარგად ვიცნობდი სუმატრას, ვიცოდი, რომ ეს ადგილები გარეულ მხეცებზე მონადირეთათვის ნამდვილი სამოთხეა და

სული მიმდიოდა, სანამ ჩემს გამოგონებას გამოვცდიდი. სინგაპურში ჩავედი და იქიდან მომცრო კატერით ორ დღეში მივაღწიე პალემბანგს.

ჩემთან ერთად ჩამოხდა ოცამდე მგზავრი, მალაელები და ჰოლანდიელები. მარტო მე ვიყავი ამერიკელი. როცა ნაცნობ ადგილებს მოვკარი თვალი, როცა ხშირი ჯუნგლების ფონზე დავინახე ქვიშიანში გაბნეული სახლები, მაშინვე მივხვდი, რომ აქ მარტო გარეული მხეცების შეპყრობის სურვილს არ ძოვუყვანივარ — ძალიან მინდოდა მენახა მოხუცი ჰაჯი — ჩემი პირველი ნამდვილი მეგობარი მალაკში. იგი აღარ მინახავს მას აქეთ, რაც ალი, მისი ძმისწული და ჩემი ერთგული მსახური ჩემს თვალწინ გადათქერა სელანდანგმა *.

თუმც ძალიან ვეშურებოდი მალაელების უბნისაკენ, მაგრამ ჯერ მთავრობას წარვუდექი. დანარჩენ მგზავრებთან ერთად გავემართე ორსართულიანი შენობისაკენ, სადაც თეთრი ტილოს სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა კაცმა დამკითხა ადრე, „ცირკის“ დღეებში, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ყველას, ვინც ამ ჩინოვნიკივით ჩამაცივდებოდა, თავს გავუჩეჩქავდი. რაღა არა მკითხა!

დავაშოშმინე, რომ არ ვაპირებდი მღელვარების ატეხას, რომ ვიცნობდი მალაელებს და მათ ჩვეულებებს, რომ ბოროტად არ გამოვიყენებდი ჩემთვის მონიჭებულ უფლებებს. როგორც იქნა, დამეხსნა და ცოტაოდენი თავისუფლებაც მომცა. ასე, მაგალითად, არა მარტო მალაურ უბანში ყოფნის უფლება მქონდა, არამედ, სურვილისამებრ, შემეძლო კიდეც მიმეტოვებინა იქაურობა და ჩინურ ან ჰოლანდიურ კვარტალში გადავსულიყავი. მალაელებს ამის ნება არ ჰქონდათ, თუ ისინი მზის ჩასვლის შემდეგ დატოვებენ თავის კვარტალს, ნებართვა

---

* სელანდანგი — მალაის არქიპელაგზე გავრცელებულ გარეულ კაცჩრჩებს ასე უწოდებენ ადგილობრივი მკვიდრნი. ის ძირითადად მალაკის ნახევარკუნძულზე, სუმატრასა და ბორნეოზე გვხვდება. გამოირჩევა შეუპოვრობითა და ბოროტი ზნით. მამაც კაცზე მალაელები ამბობენ, სელანდანგის გული აქვსო. სელანდანგმა გადათქერა ჩ. მაიერის მსახური — ალი. მაიერის წიგნის მიხედვით ძნელი დასადგენია, თუ კერძოდ რომელ სახეობას განეკუთვნებოდა დასახელებული სელანდანგი.

უნდა აიღონ უხუცესიდან და თან ანთებული ფარანი იქონიონ. როცა ჯუნგლებში ასეთ მკაცრ კანონებს წავაწყდი, გაოგნებული დავრჩი.

სანამ ჰაჯის სახლამდე მივიდოდი, მივხვდი. რომ გზადაგზა შემხვედრებმა მიცნეს. მამაკაცები, რომელთაც ვახსოვდი, ფეხზე წამოდგომით მესალმებოდნენ. ჰაჯი გამომეგება. ხელი შუბლთან მიიტანა, მერე გულზე მიიდო და დაღარული, კეთილი სახე სიამოვნებისაგან გაებადრა. ალის სიკვდილის გამო არასოდეს მოუთხოვია პასუხი ჩემთვის: მალაელი სიკვდილს ჩვენსავით როდი უყურებს.

— სიკვდილი ხანაა, — ამბობდა ჰაჯი. — სიცოცხლე კი ეშმაკეულითაა სავსე.

როცა სახლს მივუახლოვდით, ჰაჯიმ ალის ქვრივს უხმო. კარებში გამოჩნდა ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი, ზურგი შეგვაქცია და ისე იწყო კიბეზე ჩამოსვლა. მას ნანგს ეძახდნენ. ძლივს ვიცანი — ისე გაზრდილიყო და დამშვენებულიყო. ახლა ნანგი ოცდაორი წლისა იქნებოდა; როცა ალიმ შეირთო, ის-ღა იყო ცამეტისა შესრულდა.

ის ღიმილით შემომყურებდა.

— ტაბეკ, ტუან (სალამი, ბატონო)! — მითხრა მან.

— თქვენთვის საჩუქარი მაქვს, — მივუგე მე და მექსიკური ასდოლარიანი გავუწოდე.

— ნუ ინებებთ ამას. ბატონო! — მომაძახა ჰაჯიმ, მაგრამ მის ხმაში მოწონებაც ისმოდა.

ნანგმა კეკლუცად გადამიხადა მადლობა. მალაელებმა — ქალებმაც და კაცებმაც — არა მარტო საჩუქრის გაცემა იციან, თვითონაც სიამოვნებით იღებენ მას.

ალბათ გარსშემოჯარული ბრბო აქ სცენით ტკბებოდა. მე ზოგიერთები შევიცანი და მცირე საჩუქრები ჩამოვარიგე — თითო. ორ-ორი. სამ-სამი დოლარი — ჩვენი უწინდელი დამოკიდებულების შესაბამისად. ამით ამ ხალხს დიდი სიამოვნება მივანიჭე — ის, რომ ისინი შევიცანი, ფულზე მეტად ახარებდათ, მოსწონდათ აგრეთვე ფულის ჩამორიგების მანერაც.

განცვიფრება გამოვთქვი. რატომ აქამდე მეორეჯერ არ გათხოვილა-მეთქი ნანგი. მან ამიხსნა, რომ არ ჩქარობს: როცა

ისურვებს, მაშინვე გათხოვდება. მისი წუნიობის მიზეზი, ვფიქრობ, ნაწილობრივ მეც ვიყავი: ალი ჩემთან სამსახურის დროს დაიღუპა. ნანგი, ახალგაზრდა ქვრივი, თავისი მწუხარე ბედით ძალიან მებრალებოდა და ხშირად ვუგზავნიდი ფულს. ამ თანხას იგი საქმეზე ხარჯავდა: საღებავებს ყიდულობდა და ძალიან დაოსტატდა „ბატიკში“ (ქსოვილების დაჩითვის განსაკუთრებული, ადგილობრივი ხერხი). მის სარონგებს დიდი მოწონება ჰქონდა, ჩინელი ვაჭრები ფულს არ იშურებდნენ. ნანგმა იცოდა, თუ გათხოვდებოდა, ქმარიც უნდა ერჩინა. იგი ხშირად მიგზავნიდა თავის ნახელავს. თუმცა სარონგის სილამაზით ვტკბებოდი, მაგრამ არასოდეს მიტარებია: მას ბამბის ქსოვილისაგან ამზადებდნენ და უხეში და მოუქნელი მეჩვენებოდა.

ჰაჯის ნანგი ძალიან უყვარდა. მეც შვილივით მიყურებდა. ამიტომ არც გამკვირვებია. როცა საქორწინო გეგმები გაუჩნდა. მშვიდად გამიყვანა განზე და მითხრა:

— ნანგი ლამაზი და კეთილია. ხელიც გაწაფული აქვს. რატომ არ შეირთავ?

უცბად პასუხი ვერ მოვისაზრე და უარის ნიშნად თავი გავიქნიე. ჰაჯი აღარ ჩამციებია და თავისი წყნარი, სასიამოვნო ხმით მითხრა:

— ასეთი საქმე ალაჰის ხელშია...

მერე ისევ ამოიოხრა და დაუმატა:

— შენ ჩემი, ბერიკაცის სანახავად მოხვედი და შენი მოსვლით დიდი პატივი დამდე. მაგრამ შენ აქ რაღაც სხვა საქმეზეც მოგიყვანა. რამ?

— სურათი მეჩვენა, — მოვუგე მე. — ის თითქოს ფეხით მოვიდაო. ცხადლივ დავინახე, ვითომ გარეულ მხეცებს ვიჭერდი ახალი და უცნაური ხერხით.

— შენ მუდამ დიდი ჯადოქარი იყავი, ბატონო, — მითხრა მან. — ამიწერე ეგ ჩვენება სიტყვებით.

გულით მინდოდა. ჰაჯის ჩემი გეგმა მოსწონებოდა. შევიცადე, სანამ ვერანდაზე ფეხმორთხმით ჩამოვსხდებოდით და დავიწყე:

— როცა მარტორქის დაჭერა მინდა, ვცდილობ ისეთ ად-

გილას შევიტყუო, რომ ეგონოს, ფეხქვეშ მყარი მიწა მაქვსო; როცა იქ ფეხს დაადგამს, ნიადაგი გამოეცლება. ასევე მოუვა ავაზასაც: დაიმედებული, რომ ტოტი გაუძლებს, ზედ შეხტება, მაგრამ იგი სანახევროდ მოხერხილი დახვდება და ავაზის სიმძიმეს ვერ გაუძლებს.

— როცა მიწაზე დაენარცხება, იმ წუთს ფეხზე წამოხტება და მოჰკურცხლავს.

— არა, არა! მოხერხილ ტოტზე ცოცხალი ქათმის სუნი იიტყუებს და ხეზე გაფენილ ბადეში გაეხვევა.

— და ბადეც და ცხოველიც ძირს ჩამოცვივა?

— არა. ბადის ნაპირა თვლები თოკზეა ასხმული. თოკის ბოლო მოხერხილი ტოტის ზემოთ, მყარ ტოტზეა მიბმული. როცა ქვედა ტოტი მოსტყდება და ჩამოვარდება, ბადე ცხოველის სიმძიმის წყალობით დაბლა დაიწევს, თოკი კი პირს მოუკრავს, ბადე ხეზე ჩამოეკიდება და ასე იქნება, ვიდრე მე ჩემი ხალხით არ მივალ და მხეცს არ გამოვხსნი.

თან ვყვებოდი და თან ვუხაზავდი თქმულს. მან ბალღივით გაიხარა:

— ბატონო, შენ ისევ ჩაიდენ საარაკო საქმეებს! — წამოიძახა მან.

— ხვალ, — ვთქვი მე, — ბადეს გავაწყობთ, ტოტს გადავხერხავთ და მაგ ჯადოსნობას გამოვცდით.

მოხერხებულად მოვეწყვე ჰაჯის სახლში. ფარდით გამომიყვეს ოთახის კუთხე. ხსი-ჩუ-აიმ გემიდან გადმოზიდა ჩემი მცირე ავლადიდება, გაშალა ლეიბი და ბადე ჩამოჰკიდა ქინქლეზისაგან თავდასაცავად. მერე აბანო მომიწყვეს. ეს იოლი საქმე იყო: უზარმაზარი ჩინური კოკით მოიტანეს წყალი; მე ცხაურა ლატაკზე შევდექი და თხემით ტერფამდე გადავივლე წყალი. სამწუხაროდ, მდინარეში ბანაობა არ შეიძლებოდა: სწორედ იმ ხანად შიგ უამრავი ნიანგი ირეოდა. იქაურები მდინარეზე ჩადიოდნენ: ნაპირს ბამბუკის მარგილებით შემორაგვავდნენ ხოლმე და ისე ბანაობდნენ. ღობეზე ნიანგი ვერ გადმოვიდოდა. ეს ხერხი არ მხიბლავდა — მესერს იქით მოდგაფუნე ნიანგები ბანაობის ხალისს მიკარგავდნენ.

ღამით ოთხივეს: ჰაჯის, მის პირველ ცოლს, ჰაჯივით წლე-

ბისაგან გატეხილს, ნანგსა და მე ერთ ოთახში გვეძინა. მალაე-ლის პირობაზე, ჰაჯი შეძლებულად ცხოვრობდა. მას ქონების გამო აფასებდნენ. იგი წესრიგზე პასუხს აგებდა ჰოლანდიელი რეზიდენტის წინაშე. მისი ნებართვის გარეშე ვერც ერთი ადგილობრივი მკვიდრი მალაურ კვარტალს ვერ დატოვებდა. იგი უხუცესი იყო და ამ თანამდებობაში წელიწადში ოცდახუთ გირვანქას იღებდა. გარდა ამისა, ჰაჯი განსწავლული კაცი გახლდათ და არაბულ ენაზე ადგენდა საბუთებსა და წერილებს. გარკვეულ თანხას ამითაც შოულობდა. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ძირითადი შემოსავლის დანამატი გახლდათ: იგი კაუ-ჩუკით, რატანითა და გარეული ნადირით ვაჭრობდა. თავის დანარჩენ სამ ცოლს ყოველთვიურად კუთვნილ ორმოცდაათ სენტზე გაცილებით მეტს აძლევდა.

ხსი-ჩუ-აიმ თავის ქვიშიან ყუთში მოამზადა საუზმე: ჩაარ-ჭო ჯოხები, ზედ კარდალა ჩამოჰკიდა და მოხარშა ბრინჯი. არა-სოდეს, რაც ამერიკაში ჩამოვედი, ასე დიდებულად მოხარშული ბრინჯი აღარ მიჭამია: რაღაცნაირად, თითოეული მარცვალი ცალკე იყო ჩაფანტული.

დილის ტრაპეზის შემდეგ შევუდექით რატანისაგან საცდე-ლი ბადის მოქსოვას. ჰაჯიმ ორი გაწაფული ხელოსანი გამოარ-ჩია. მათ ირგვლივ შემოეხვივნენ ცნობისმოყვარენი — მქსოვე-ლების ხელს თვალს ვერ მიატანდა კაცი. ბადეს მალე მორჩნენ. სიგანით იმოდენა იყო, დიდი ავაზა ჩაეტეოდა, სამი ფუტის დიამეტრი ჰქონდა. თვლები რატანის თოკზე ავასხით. როცა ყველაფერი მზად იყო ბადის გამოცდად, ჩემი სახელი მთელ მალაურ კვარტალს მოეფინა და როცა ხის შესარჩევად გამო-ვედით, უამრავი ხალხი გამოგვყვა.

კამპონგის განაპირას ვნახეთ შესაფერი ხე, შევარჩიეთ ორი მკვიდრი ტოტი ერთიმეორის ზემოთ. ქვედა სანახევროდ მოვ-ხერხეთ და ზედ ბადე გავფინეთ. ბადეს პირი გადახსნილი ჰქონდა, რატანის წმინდა თოკით იყო მიმაგრებული ზედა ტოტზე. როცა ამ საქმეს მოვრჩით, ერთ-ერთი მოსეირეთაგანი ხეზე ავიდა, ზედა ტოტზე ჩამოჯდა ბადის პირდაპირ. ოცგირ-ვანქიანი ქვა მიაწოდეს. წუთით შეყოვნდა და მერე ქვა ბადეზე დაუშვა. გაისმა ტკაცანი და ყველაფერი ქვევით წამოვიდა —

ტოტიც, ბადეც, ქვაც... ხალხი მიმოიფანტა, მაგრამ ბადე ძირს არ ჩამოვარდნილა: იგი ზედა ტოტზე ეკიდა და მიწამდე არ სწვდებოდა. თავი მოკრული ჰქონდა. ჯერჯერობით ჩემი გამოგონება კარგად მოქმედებდა. გაოცებულ მაყურებლებს ჰაჯი უმარტავდა, რომ ეს მხოლოდ რეპეტიციაა და შემდგომში ქვის ნაცვლად ბადეში ავაზა გაებმებაო. საინტერესო იყო მათი სახისათვის თვალის დევნება, როცა საქმის არსს ჩახვდნენ: „ბეტიულ“ (მართალია), — ამბობდნენ ისინი და ისევ და ისევ იმეორებდნენ: „ბეტიულ, ბეტიულ“, თან თავს ნება-ნება აკანტურებდნენ.

ბედმა გამიღიმა: ამ ამბავს შეესწრო ვინმე აბდულ რახმანი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან მოსულიყო ამ მხარეში, მდინარე მუსის ნაპირებიდან, აქედან ექვსი დღის სავალზე. იგი ბამბუკის ტივით მოსულიყო და თან მოეტანა ნედლი კაუჩუკი და საუკეთესო რატანი, ეგრეთწოდებული „სეგა აიერ“ — გასაყიდად გამზადებული, თექვსმეტგირვანქიან კონებად შეკრული. თითო კონაში ასი ცალი ლერწამი იყო. ტივიც უნდა დაშლილიყო და ბამბუკად გაყიდულიყო. თავის მუშებიანად უკან ნავით გაბრუნდებოდა, რომელიც ბუქსირით ჩამოიყვანა; თან წაიღებდა ბრინჯს, ხმელ თევზსა და დანებს. ასეთი იყო თავდაპირველად მისი გეგმები, მაგრამ როგორც მამაცსა და გაბედულ კაცს შეეფერება, მაშინვე გადაწყვიტა შეეცვალა გეგმა და თან წავეყვანე. იგი პირდაპირ აღტაცებული დარჩა ჩემი ბადით.

აბდულ რახმანი სამი კამპონგის უხუცესი იყო და თავის ოლქში დიდად აფასებდნენ. ჩვეულებრივ, პალემბანგში მუდამ ასეთ ოფიციალურ პატაკს უგზავნიდა ჰოლანდიის რეზიდენტს: „ყველა მშვიდადაა“ და თუ ვინმე არ ისვენებდა, იგი დაუყოვნებლივ დაამშვიდებდა.

ვერც ერთი გუბერნატორი თავის სამფლობელოში ისე ღირსეულად ვერ მიმიწვევდა, როგორც აბდულ რახმანმა დამპატიჟა თავის კამპონგში.

— იქ, ჯუნგლებში, უამრავი ნადირია — მითხრა მან. — ბევრის ბევრი. ბეწვი ისე უბზინავთ, როგორც მდორე წყალი მზეზე.

მოვეთათბირე ჰაჯის. მის აზრს ძალიან ვაფასებდი. მან დამარწმუნა, რომ ეს კაცი არ ტყუოდა.

მაინც აბდულ რახმანის ბამბუკის მოხერხებულმა ტივმა გადამაწყვეტინა წასვლა. ყველაზე კარგი ცხოველიც არაფრად მიღირს, თუ ადვილად ვერ გადავიყვან იქ, სადაც ჯერ არს.

— წამოვალ, — დავეთანხმე მე.

აბდულ რახმანმა ისე დამიკრა თავი, თითქოს დიდი პატივი დამედოს.

ჰაჯიმ თვითონ შემირჩია ნავები. იმ ნავს, რომლითაც მე უნდა მევლო, ორმოცი ფუტი სიგრძე ჰქონდა, ხოლო რომლითაც ნუზლი და ბარგი მოგვქონდა — ოცდახუთმეტი. სატვირთო ნავს ტონანახევარი ტვირთის წაღება შეეძლო. ნავები უზარმაზარი ძელებისაგან იყო გამოთლილი და ფორმით ინდურ ნავს წაგავდა.

როცა საქმე ხელქვეითთა შერჩევაზე მიდგა, მდგომარეობა გართულდა. თითქმის ყველა კამპონგელი მამაკაცი თავის სამსახურს მთავაზობდა. მე არა მარტო გაწაფული ჯადოქრის საბელი მქონდა გავარდნილი, არამედ გულუხვი კაცისაც. ჰაჯიმ ათი კაცი შემირჩია — შესანიშნავი ჰაბუკები — ნავზე ხუთ-ხუთი კაცი. ყველას წინდაწინ გადავუხადე თითო თვის ჯამაგირი, რათა ცოლებისათვის დაეტოვებინათ სახარჯოდ. მენავეები გავაფრთხილე, თვეზე მეტხანს დავყოფთ-მეთქი სხვაგან.

მალაელები ხელსალთად მოგზაურობენ. თან წამოიღეს თითო ხელი სარონგი და ისიც თავზე შემოიხვიეს ჩალმასავით. ზოგმა წოპწოპა ჩინური ქუდი წამოიღო. ხანღახან, მზისგან თავდასაცავად ჩამოიფხატებდნენ, მაგრამ მეტწილად კალათად ხმარობდნენ: ბეტელის კაკალსა და თამბაქოს აწყობდნენ შიგ. წელზე ყველას პარანგები ეკიდათ — მძიმე, თვრამეტდიუმიანი დანები: უდანო მალაელი რა მალაელია!

მე მიჩვეული ვარ ჩემი მარაგი მინიმუმამდე დავიყვანო. ბრინჯი, ხმელი ხილი, თოფები, ბლომად ტყვია-წამალი, პერანგები, ხაკის შარვლები. წინდები, ჩექმები, ლეიბი, წყალგაუმტარი საბნები, ქინქლებისაგან თავდასაცავი ბადე — აი, თითქმის სრული სია. თან მქონდა ბარები და წალკატები ხაროების სათხრელად. კიჩოზე ჩარდახი მოახუხულავეს, მცხუნვარე მზის-

გან თავი რომ დამეცვა. საბარგო ნავზე ხსი-ჩუ-აიმ თავისი ქვიშიანი ყუთი მოათავსა საჭმელების მოსამზადებლად.

მზის ჩასვლისას გზას გავუდექით. ჰაჯი და სხვა გამცილებლები ნაპირზე იდგნენ და გზას გვილოცავდნენ. „სალამათ ჯალან“ (კეთილი მგზავრობა) და „ენტონგ“ (ხელი მოგემართოთ) მოგვდევდა კვალდაკვალ.

აბდულ რახმანის ნავი წინ მიდიოდა. გეზს გვიჩვენებდა. საჭე რომ გემართა, არ იყო აუცილებელი მდინარის ცოდნა ზედმიწევნით — წყალი ჩვენი ნავისათვის საკმაოდ ღრმა იყო. ნავები ფუტნახევრამდე იჯდა წყალში. ჩვეულებრივ მდინარეებაში ოთხნიჩბიანი ნავი ძალიან სწრაფად მიდიოდა. როცა მდინარება აჩქარდებოდა, მეხოფეები ნიჩბებს თავს ანებებდნენ და ჭოკებს იმარჯვებდნენ. ორი მენიჩბე ნავის ცხვირთან დგებოდა, ბამბუკის ჭოკს მდინარის ფსკერს აბჯენდა, მხრით ეყრდნობოდა და უბიძგებდა, თან ნავის მთელ სიგრძეს გაივლიდა კიჩოდან ბოლომდე. როცა პირველი წყვილი ბოლოში გავიდოდა, იმავე მოძრაობას იმეორებდა მეორე წყვილი და, ამრიგად, არც ერთი წუთით არ ყოვნდებოდა ნავი. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ასე მიჰყავდათ ნავი ძლიერი მდინარების წინააღმდეგ შედარებით წყნარი წყლებისაკენ.

ჩვენს წინ გამუდმებით ერთი და იგივე სურათი იყო გადაშლილი: ხშირი ჯუნგლები ზედ მდინარეზე ეშვებოდა, თითქოს მწვანე კედლებიაო, რაც იშვიათად წყდებოდა ქვიშის მეჩეჩებით. იმ ადგილებში, სადაც მდინარე ვიწროვდებოდა, ტოტები და ხვიარა მცენარეები კამარას ჰკრავდნენ ჩვენს თავს ზემოთ. ზოგჯერ ისმოდა ვეფხვის ან ავაზის ღრიალი, ფარშევანგის ჩხავილი, რქანისკარტას ყრანტალი და კრიახი. ხანდახან წყნარი ხმებიც აღწევდა — მომღერალი ფრინველების სტვენის ხმა მოდიოდა, მაგრამ ამ ხმას მალე ფარავდა მაიმუნების ლაყაფი. დიდი წერო მედიდურად გვიყურებდა რამდენიმე წუთს, მერე ფრთების ფათქუნით გაეცლებოდა იქაურობას. ქვიშიან ნაპირზე მოჩანდა დასარწყულებლად ჩამოსული ტახი.

ჩვენ ღამღამობითა და ადრიან დილით ვცურავდით. როცა შუადღის ხვატი იდგა, გვეძინა.

მხოლოდ მეორე დღეს შემოგვხვდა კამპონგი. ნაპირს მი-

ვადექით. სასიამოვნო იყო გადმოსვლა და მუხლის გაშლა. აბდული და მისიანები ბამბუკის ღობის იქით გადავიდნენ მოყვრების სანახავად. ჩემი ხალხი ჩემთან დარჩა ღობის აქეთ. მათი ყურება მართობდა — იცოდნენ, რომ ქალები უთვალთვალებდნენ და იპრანჭებოდნენ. დანებს ატრიალებდნენ, თავი ამაყად ეჭირათ, გაჯგიმულები იდგნენ. უხილავი მსმენელების გასაგონად მოურიდებლად ხუმრობდნენ. ზოგჯერ ისმოდა ქალიშვილების შეკავებული სიცილი. ჩემი ყმაწვილები ამაოდ ფლანგავდნენ ძვირფას დროს — ჯობდა დაეძინათ.

მეექვსე საღამოს მივაღწიეთ აბდულ რახმანის კამპონგს. შორი მანძილიდანვე შევატყვე, რომ საოცრად მოხერხებული მდებარეობა ეკავა. ნიადაგი ქვიშიანი იყო. მდინარე ამ ადგილებში თავთხელი გახლდათ. ქოქოსის პალმები ქვიშაში ხაროობენ, ნიანგებს კი ქოქოსი არ უყვართ. ისინი ღრმა წყალსა და შლამს ეტანებიან. აბდულ რახმანის ტომს კარგად შეურჩევია საცხოვრებელი ადგილი.

ნაპირზე ხალხი შეიყარა. კამპონგი, ცხადია, ელოდა უხუცესის დაბრუნებას და შესახვედრად ემზადებოდა, რომ უცებ, ერთის ნაცვლად სამი ნავი მიადგა ნაპირს. ჩემმა კაიანგმა იმთავითვე ამცნო მათ, რომ ნავში ევროპელი იყო — იქაურები მზეს არ ერიდებიან. როცა ნაპირს საკმაო მანძილზე მივუახლოვდი, დამფრთხალი სახეები დავინახე. ერთადერთი, რაც მათ შეეძლოთ ჩემს დანახვაზე ეფიქრათ, ის იყო, რომ მე ჰოლანდიელი უფროსის გამოგზავნილი ვარ რაიმე ბეგარის ასაკრეფად, ანდა ვისმე დასაკითხად. არასოდეს მინახავს იქაურები ასე შეშინებულ-შეშფოთებულები. მაინც დიდის პატივით გამოიტანეს ჩემი ნავი ნაპირზე.

აბდულ რახმანმა შეიცადა, სანამ ხმელეთზე გადმოვიდოდით და ხალხი შემოგვეხვეოდა. მერე აუწყა შეკრებილთ:

— ტუანი — ბრძენი პაუანგია. არც ერთ მხეცს არ ძალუძს ხელყოს მისი სიცოცხლე. მოსულა ჯუნგლებში ნადირის დასახოცად. იგი სასწაულებს ჩადის. ჩემი თვალით ვნახე.

ბრბო მდუმარედ უკუდგა და გზა გვიტიეს მე და ჩემს ხალხს. ყველანი ჩემდამი შიშნარევი მოწიწებით აღივსნენ.

აბდულმა თავის სახლში დამაყენა. სანამ ვერანდაზე ვიჯექი,

მისი ქალები შეუდგნენ ფხეკა-წმენდას. ჩემმა ბარგი-ბარხანამ ხალხი მიიზიდა. ხსი-ჩუ-აიმ ნება დართო ყველაფერი გადმოეზიდათ. გარდა თოფისა. თოფზე თვითონ ეჭირა თვალი. ყველა მამაკაცს წილად ხვდა პატივი წაეღო ტუანის რაიმე ნივთი. მესმოდა მათი ლაპარაკი: „ეგ ჰოლანდიელი არაა“ და თან დაურთავდნენ: „იგი სასწაულებს ახდენს: პეხგ-ხულიომ თვითონ იხილა“.

პალემბანგში აბდულ რახმანს ჩემს შესახებ ძალზე გაზვიადებულად უამბეს. თვითონაც ბევრი რამ შეალამაზა. ამ ამბებს ვინმე თეთრკანიანი რომ შესწრებოდა, ალბათ მთელ თამაშს ჩავაფლავებდი: ერთმანეთს გადავხედავდით და სიცილი აგვიტყდებოდა. მაგრამ რახან არავინ იყო, დიდის ამბით დავრთე ნება ავეყვანე კვარცხლბეკზე და თაყვანი ეცათ ჩემთვის. უნდოდათ, ახლავე წავსულიყავი ჯუნგლებში და საქმეს შევდგომოდი. ძლივს შევაგნებინე, რომ მოსვენება მეჭირვებოდა. თან, ყველას საქმე გავუჩინე: აბდულს ვუთხარი, რომ ეშოვათ ოცდაათი ფუტის სიგრძის რატანი ბლომად; გარდა ამისა, უნდა მოეტანათ ორი დიუმის სისქისა და თორმეტი ფუტის სიგრძის ახალგაზრდა სწორი ხეები.

სანამ იქაურები ამ საქმეს გაართმევდნენ თავს, გადავწყვიტე, ჯუნგლებში გამევლო და არემარე კარგად დამეთვალიერებინა. გავიყოლიეთ ათი ჩემიანი და აბდული, საძი კაცის თანხლებით.

არსად არ შემხვედრია ამდენი წითელი ჭიანჭველა, არც გველი მინახავს ჯუნგლებში სადმე ამდენი. პითონები ხეებიდან მსხვილი ბაგირებივით იყვნენ გადმოკიდებული. შეფერილობით ისე ჰგავდნენ ტოტს, რომ მზერა ძალიან უნდა დაგეძაბა, რათა მორიდებოდი მათ. ცოტა მანძილი გავიარეთ და მეწინავეები ადგილზე გაშეშდნენ:

— რომაუ ადა (ვეფხვი)! — ყვიროდნენ ისინი.

ვეფხვს მოულოდნელად წაადგნენ და ისიც, ალბათ, ჩვენზე არანაკლებ გაოცებული იყო, რადგან იშვიათად გამოდის დღისით. ხალხი უკან მოაწყდა და მე ყველაზე წინ აღმოვჩნდი. ჯუნგლებში, ჩვეულებრივ, პარანგის მეტი არაფერი მაქვს ხელთ. თოფი აბდულს მოჰქონდა. იგი ფეხდაფეხ მომყვებოდა.

გამომიწოდა თოფი და ჩამოვართვი. ეს იყო ჩემი პირველი გამოცდა ადგილობრივ მკვიდრთა თვალში. მეტად მნიშვნელოვანი წუთი დადგა. ვეფხვი ჩვენგან ას ფუტზე იწვა. ულუბ კუდი აბზიკა. გამოცდილებით ვიცოდი, რომ ვეფხვები მუდამ აბზეკენ ხოლმე კუდს, სანამ მსხვეპლს დააცხრებიან. წუთიც და, დაიღრიალებს, თითქოს ჩაახველაო და მიწას მოსწყდება ერთი ნახტომით. ბევრჯერ მსმენია ეს ღრიალი. იგი კაცს გონს უბნევს. არც კაცს, არც ცხოველს არ შეუძლია მისი მშვიდად მოსმენა. ამჯერად ღრიალი აღარ გაგვიგონია. სრელა მზეთუნახავს მკერდზე თეთრი, ქათქათა ლაქა ჰქონდა, თითქოს განზრახ, მონადირისათვისო. სწრაფად, მაგრამ დაკვირვებით დავუმიზნე სწორედ ამ ადგილას და სასკდომი ტყვია დავახალე. ვეფხვი ერთი კი შეტრიალდა, მერე სული შეუგუბდა და ბალახებში გაგორდა.

ვეფხვთან მივირბინე. ტყვიას სასიკვდილო ჭრილობა მიეყენებინა და მთლად დაეფლითა ტყავი.

ხალხი თათხავდა მოკლულს, აფურთხებდნენ და აგინებდნენ.

— რატომ შინ არ დადექი! — გაჰყვიროდნენ ისინი. — გინდოდა გენახა, ვინ გვეწვია? რომ ნახე!.. ქათამი მოგინდა? ახლა ტყვია მიირთვი!

მოკლული ვეფხვი მაღლა ჩამოჰკიდეს, რომ ჩვენს მობრუნებამდე რამეს არ შეეჭამა და, გზა განვაგრძეთ. როცა ორი საათის შემდეგ უკან გამოვბრუნდით, ყველამ წაგვახმარა ხელი გატყავებაში. ტყავის შენახვის მალაური წესი ასეთია: გაწმენდენ და მარილს დააყრიან. ასე, მართალია, ტყავი ინახება. მაგრამ ძალზე მოუქნელია. თუ ტყავი ისე კარგია, რომ ჩინელი ვაჭარიც კი იყიდის, თრიმლავენ.

ულვაშები ფრთხილად ამოაცალეს. ამას მალაელი და ჩინელი ექიმები ყიდულობენ, წვავენ და ფერფლს წამლად ხმარობენ. შიგნეულობაც გამოსადეგია: ჩინელებს კარგ სამკურნალო საშუალებად მიაჩნიათ. კბილები ავგაროზისთვის სჭირდებათ.

მალაელებს ნანადირევის გაყოფის თავისებური წესი აქვთ. ყველაფერმა მეგობრულად ჩაიარა. მე მხოლოდ ბრჭყალები ავიღე. ისინი ყოველთვის და ყველგან საღდება: ცრუმორწმუ-

ნეები ევროპაშიც და აზიაშიც თილისმად იყენებენ. ის, ვისაც საათის სამაჯურზე ვეფხვის ბრჭყალი ჰკიდია, მშვიდადაა; მიაჩნია, რომ დაზღვეულია უბედურებათაგან. ზოოლოგიურ ბაღებსა და სამხეცეებში ნადირებს „მანიკიურს“ უკეთებენ: თოკით მიათრევენ ცხაურთან და თათს გარეთ გამოაყოფინებენ. მერე ბრჭყალებს ძირამდე აჭრიან. როგორ ღრიალებენ! მაგრამ მომვლელთათვის ძალზე საშიშია ბრჭყალების დატოვება.

ჩვენი გუნდი ზეიმით დაბრუნდა კამპონგში — იმდენად ვეფხვის მოკვლა არ გვახარებდა, რამდენადაც ის, რომ გამოცდამ კარგად ჩაიარა. როცა ჩემი ხელმძღვანელობით რამდენიმე ბადე მოწნეს, მამაკაცებს ვუხმე და ვაჩვენე, როგორ უნდა მოეხმარათ ეს ბადეები.

დადგა ღამე. მოიტანეს დამარით — ხის ფისით გაჟღენთილი პალმის ფოთლების ჩირაღდნები. წითელ შუქს გამოსცემდა და საშინლად ხრჩოლავდა. ამ ჩირაღდნების შუქზე ქვიშაზე დავხაზე ჩემი სქემა და ავუხსენი ყველაფერი, როგორც რვა წლის ბალღს აუხსნიან ხოლმე. ისინი თავს მიქნევდნენ და გაიძახოდნენ „ია, ია“, მაგრამ ვერაფერი შეისმინეს: ჭკუისათვის ძალდატანება ღლიდა მათ.

აბდულ რახმანმა შუბლთან ხელი მიიდო:

— ტუან, ეგრე ვერაფერს მიხვდებიან. გულისხმას ვერ მოვლენ, რომ მანდ ჯუნგლები და ბადეა გამოსახული. როცა თვალით ნახავენ, ყველაფერი გასაგები იქნება.

მეორე დღეს წავედი ხეების შესარჩევად, რომლებიც ბადის გასაფენად გამოდგებოდა და ათიოდე ხე ვნახე, რომელთაც ქერქზე ეტყობოდა ავაზის ახალი კვალი. ავაზამ, კატასავით, ადგილის ამოჩემება იცის და, სადაც ერთხელ ყოფილა, მეორედაც მოვა. საბედნიეროდ, სანამ საქმეს შევუდგებოდი, მაიმუნები მომაგონდა: ახლომახლო უამრავი მაიმუნი ირეოდა. ზედა ტოტზე შებმული ჩემი თოკი მაიმუნმა რომ შენიშნოს, ნასკვის გახსნას მოინდომებს, ანდა თოკზე აცოცებას დაიწყებს ცნობისმოყვარეობით. გადავწყვიტეთ, როცა საქმეს მოვრჩებოდით, ზედა ტოტსა და თვითონ ბადეზეც წაგვესვა ჩიტის წებო, რომელსაც ფისისა და კაუჩუკისაგან ამზადებენ. ამ წებოს იქაურები ხმარობენ მაიმუნების და ზოგჯერ ვეფხვებისა და ავა-

ზების საჭერადაც კი. ეს ხერხი მარტივია: მონადირე წებოს წაუსვამს ფოთლებზე. ცხოველი ფეხს დაადგამს და როგორც კი წებოვან ნივთიერებაში მოუხვდება თათი, ვეღარაფრით ვეღარ ამოიღებს იქიდან. მხეცი ცდილობს დაკბინოს ფოთოლი, მაგრამ ახლა დრუნჩს წაჰკრავს წებოში. ასე და ამგვარად სულ ერთიანად ამოიგანგლება. ნადირი ცოფდება, თანაც ისეთი უმწეო ხდება, რომ მისი დაჭერა სულ იოლია.

ახლა ამ წებოთი აბეზარი მაიმუნებისაგან ვიცავდით ასმანაკებს. ყველგან წავუსვით, გარდა იმ ადგილისა, საიდანაც ნადირი უნდა მოხვედრილიყო. მაიმუნებს მაინც რჩებოდათ შესაძლებლობა, ჩამხტარიყვნენ ბადეში და ზედა ტოტი მოეტეხათ, მაგრამ ამ დათმობაზე უნდა წავსულიყავით.

საქმეს დიდი ინტერესითა და მღელვარებით შევუდექი, ყველა ბადე ფრთხილად გავმართე.

თითოეულ ბადეზე მივაბით თითო წყვილი ანჩხლი ქათამი და კამპონგში დავბრუნდით, სადაც, უნდა გამოგიტყდეთ, ღამე თეთრად ვათიე.

მეორე დილას რვა საათისათვის გავემართე ბადეების დასახედად, რომ მენახა, რა გვარგუნა ბედმა. თან ოცი კაცი მახლდა. პირველი ბადე ცარიელი დაგვიხვდა. ზედ მაიმუნი იჯდა და გაუჩერებლივ ლაყბობდა. თათი ფრინველის წებოთი მოეთხვარა და სულ წაეხდინა რატანის თოკი, რომელსაც ბადის პირი ღიად ეკავა. ეს შეცდომა გამოვასწორეთ და შემდეგი ასმანაკისაკენ გავემართეთ. ისიც ცარიელი დაგვიხვდა. წავედით მესამისაკენ. აბდულ რახმანი წინ-წინ მიდიოდა. როგორც კი თვალი მოჰკრა ბადეს, ადგილზე დაერჭო, გამაფრთხილებლად ასწია ორივე ხელი და იდგა გაუნძრევლად, ხმისამოუღებლად. მივირბინე მასთან. იგი მობრუნდა და დაბინდული მზერა მომაპყრო. ჯუნგლებში გაზრდილი კაცი არნახულმა საანახაობამ შეაშინა... მეც ერთ ხანს გულისხმას ვერ მოვედი. ნათლად ვხედავდი ბადეს: იგი პარკივით იყო ჩამოკიდებული ზედა ტოტზე. ცხადია, შიგ ნადირი გაება. მაგრამ მალე ისეთი საოცრება მოხდა, რომლის მსგავსი ჩემს ცხოვრებაში არ მენახა — ბადე ნელა შეირხა ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, მერე ზემოთ აიწია და ჰაერში გამოეკიდა ზემოდან ან ქვემოდან რაი-

მე საყრდენი წერტილის გარეშე. მერე ისევ იმ საოცარი მოძრაობით შეირხა, მძიმედ დაეშვა და ისევ ტოტზე ჩამოეკიდა. ხალხი ჯგროდ შეიყარა და ისე შესცქეროდნენ ამ სასწაულს. მათი სულთქმა მესმოდა.

— ხანტუ, ია, ხანტუ (სული, დიახ, სული)! — ჩურჩულებდნენ ისინი.

ირგვლივ ყველაფერი გამოუცნობმა შიშმა მოიცვა. ასეთი შიში გადამდებია. აქამდე არასოდეს არ მენახა, რომ მიზიდულობის კანონი ასე უჩვეულოდ დარღვეულიყოს. აბდულ რახმანმა დაარღვია დუმილი.

— წავიდეთ, გავცილდეთ აქაურობას, ტუან!..

უცებ თითქოს გამოვფხიზლდი და წინ გავიწიე. მზის სხივები მიშლიდა კარგად გამერჩია რამე, მაგრამ როცა თითქმის ზედ გადაეაწყდი ბადეს, ყველაფერს მივხვდი. ჩემი გამოფხიზლება იმაში გამოიხატა, რომ ინგლისურად დავიწყე ლაპარაკი — ენაზე, რომელზედაც თვეობით არ მიწევდა საუბარი. უცებ ვიგრძენი, როგორ გავყვიროდი მთელი ხმით: ასეთი რამ სიზმარშიც არ მოგელანდება-მეთქი.

ბადეში მოხვედრილიყო ვეებერთელა პითონი.* იგი ქათამმა მიიტყუა და ერთი მათგანი შეესანსლა კიდეც. ამ დროს ტოტი, რომელზედაც ეყრდნობოდა, ჩამოუტყდა და სანახევროდ გაეხვია ბადეში. მერე კუდი გაშალა და ზემო ტოტს მოებღაუჭა. ისევ დაიწყო უცნაურად ხვანცალი ჰაერში. თავი ვერ შევიკავე და გადავიხარხარე. ხარხარზე უფრო დამამშვიდებლად არაფერი არ მოქმედებს. მალაელები მომცვივდნენ. როცა ისინიც მიხვდნენ საქმის ვითარებას, მათი ნახევრადშიშველი სხეული სიცილისაგან იგრიხებოდა.

მალე ხარხარი შევწყვიტე. აზრად მომივიდა, რომ თუმცა ჩვენ არცთუ ისე ცუდი ალაფი გვერგო, მაგრამ სამ იარდზე მეტი ჯერ ისევ გარეთაა. ამ ფიქრმა უცებ გამომაფხიზლა. პითონის კუდი სიცოცხლეს საფრთხით ემუქრება. საბედნიეროდ, ჩვენ ბლომად გვქონდა მაგარი თოკი. ერთი ენერგიული, ღო-

---

* პითონი — ზოგჯერ პიტონსაც ეძახიან. ეს გახლავთ დიდი, უგესლო მახრჩობელა გველი. მისი სიგრძე ზოგჯერ 10 მეტრს აღემატება.

ნიერი ბიჭი დავარიგე და ხეზე ავგზავნე. მას მარყუჟი უნდა ჩაება პითონის კუდისათვის. მერე თოკი ტოტზე გადაატარა და ძირს ჩამოუშვა, ქვემოთ მდგომ მალაელს ჩამოაწოდა. თოკს მოქაჩეს და კუდის ერთი რგოლი გამოხსნეს. მერე თოკის ბოლო ისევ ზემოთ შეისროლეს და ტოტზე მჯდომს მიაწოდეს. იმან ისევ გადაატარა თოკი და ისევ ჩამოაწოდა ქვემოთ მყოფებს. ამათაც ისევ მოქაჩეს და მეორე რგოლიც გაიშალა. ერთი სიტყვით, გველის თითოეული რგოლი გამოხსნეს თოკით, რომელიც თითქოს კუდის გაგრძელება იყო. მეორე თოკი წელზე ჩააბეს, სადაც ბადე ჰქონდა შემოხვეული, და გველი გათანეს. კუდზე გამობმული თოკი ისევ ხეზე მჯდომს ეკავა და მზად იყო თავის დროზე ჩამოეშვა ძირს. ეს ძალიან ძნელი და სახიფათო საქმე გახლდათ. თუმცა პითონის ნახევარი ბადეში იყო მოქცეული, გარეთ დარჩენილი ნაწილითაც კი შეეძლო მომაკვდინებელი დარტყმა. როცა უკანასკნელი რგოლი გაშალეს, თოკი მოქაჩეს და ბადე მიწაზე ჩამოეშვა.

სანამ ბადე მიწაზე დაეშვებოდა, პითონის თავს მივხედეთ. მან მოახერხა ბადის თვლებიდან თავის გამოყოფა და საზარლად სისინებდა. პითონს გესლი არა აქვს, მაგრამ მაგრად შეუძლია დაკბენა. ერთმა მამაკაცმა სარონგი გაიხადა. მოკეცა, თავში მიარტყა პითონს და აიძულა ისევ ბადეში შეეკო. მერე გველის კუდი შემოახვია ბადეს, როგორც მასრას ახვევენ ხოლმე; რაც თოკები გაგვაჩნდა, სულ ზედ დავახვიეთ, რომ ვერ განძრეულიყო. ფუთას რვა ფუტის სიგრძე ჰქონდა. მერე ეს ფუთა ჭოკზე მივაბით, რომ მოხერხებული სატარებელი ყოფილიყო. პითონი ორას გირვანქას იწონიდა. სიგრძით ოცი ფუტი იყო. მის გამოხსნასა და შებოჭვას ორი საათი შევალიეთ. მალაელი რომ აიძულო ორ საათს შეუსვენებლივ იმუშაოს, თავისთავად ესეც დიდი სასწაულია. ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ. გადავწყვიტე, დამესვენებინა ისინი, სანამ გზას გავუდგებოდით. მიწაზე ჩამოვსხედით. მე ვეწეოდი, ისინი კი ბეტელს ღეჭავდნენ. თითოეული ჰყვებოდა, თუ რა გაიფიქრა, როცა დაინახა, რომ ბადე ცოცხალივით ირწეოდა ჰაერში.

აბდულ რახმანი ჩემკენ გადმოიწია, ხელი შუბლთან მიიდო და მორიდებულად მკითხა:

— ხომ არ დამდებდა ტუანი პატივს, — თქვა მან, — და არ მეტყოდა, რა შელოცვა წარმოსთქვა, როცა დაინახა, როგორ აიწია ბადემ? ეს განა ჯადოსნური სიტყვები იყო?

ერთ ხანს ვერაფერი მოვისაზრე. მერე უცბად გამახსენდა, ინგლისურად რომ წამოვიძახე: ასეთი რამ სიზმარშიაც არ მოელანდება-მეთქი.

— აბდულ რახმან, — დიდის ამბით ვუთხარი მე. — ეს ისეთი შელოცვაა, ყველაზე საშინელ ეშმაკსაც რომ მოათვინიერებს.

ვეფხვისა და კამეჩის შერკინება

როცა ჩემი მეგობრის, აბდულ რახმანის კამპონგში ვეებერთელა პითონი მოიყვანეს, მთელი მოსახლეობა ნადავლის დასახედად გამოეფინა. ძუძუთა ბავშვებიც კი გამოიყვანეს პითონის სანახავად. მისი შეპყრობის ამბავს გაზვიადებულად ჰყვებოდნენ და უკვე ამბობდნენ, გველიანი ბადე ხის კენწერომდე ადიოდაო.

სწორი მერქანი გადახლართეს რატანით და შეპყრობილი პითონისათვის რაღაც კალათისმაგვარი გააკეთეს. კალათს ექვსი ფუტის სიგრძე ჰქონდა და სიგრძე-სიმაღლე — სამ-სამი. პითონი ისევე გაკოჭილი ჩადეს კალათში, როგორც მოიყვანეს, ოღონდ გადაჭრეს მარყუჟები, რითაც გველი ჭოკზე იყო მიკონილი. მერე კალათს ხუფი დაახურეს და თოკი გადაუჭირეს. თოკებისა და ბადისაგან გველის გამოხსნამ დიდი დრო წაიღო. მალაელები ხელს ჰყოფდნენ ხლართებში, ჩეხდნენ ბაგირსა და რატანს და ნაწილ-ნაწილ გამოჰქონდათ კალათიდან. დროდადრო გველი საზარლად სისინებდა, მაგრამ საერთოდ მშვიდად იყო, ეტყობა, მაშინ დაუძლურდა, როცა მახეში გაება და ცდილობდა თავი დაეხსნა ბადისაგან — ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რა ხანი დაჰყო ბადეში: შეიძლება ერთი საათი, შეიძლება ოციც. გველს არაფერი განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება — ჩვეულებრივ, იშვიათად ჭამს ხოლმე, გზაში — თუნდაც ხანგრძლივი მოგზაურობისას — არასოდეს არ ვაჭმევ. როცა პითონი კარგად ისადილებს — გადასანსლავს მთელ ღორს ან ცხვარს, მერე მთელ თვეს უჭმელადაც იოლას გადის.

გველის მადა საოცრად ჭირვეულია. იგი თითქოს სავსებით

დამოკიდებულია გველის განწყობილებაზე. ზოგჯერ ბაჭია რამდენიმე დღეს დაცანცალებს გველის გალიაში, ის კი პირსაც არ აკარებს, თუმცა რამდენიმე თვის მშიერია.

პითონები ტყვეობაში ხახის კიბოთი ავადდებიან. ავადმყოფობაში არანაირ საჭმელს პირს არ აკარებენ და იძულებით კვებავენ მათ: ქათამს, უმ ხორცს—ერთი სიტყვით, რაც კი ხელთ მოხვდებათ, ტყავის ნაჭერში გაახვევენ და ხახაში ჩასჩრიან. როცა საჭმელი საყლაპავ მილში მოხვდება, კუნთები უნებურად აკეთებს თავის საქმეს და გველი ბოლოსდაბოლოს ყლაპავს საჭმელს. ხახის კიბო არ უშლის გველს საჭმლის მონელებას — ინელებს ყველაფერს — ბუმბულს, თმებს, ტყავს, ძვლებს, ფრჩხილებს. გველს შეუძლია ჩაყლაპოს თავის თავზე დიდი ცხოველი. ამაში ადვილად დაგვერწმუნება ყველა, ვისაც კი მათი ხახა უნახავს. მე ბუნებისმეტყველი არა ვარ, მაგრამ განმიმარტეს, რომ გველის ქვედა ყბის ძვლები იჭიმებაო. მე შემთხვევა მქონია, ძალისძალად მეჭმია გველისათვის და დავრწმუნდი, რომ ეს მართალია. მისი ხახა წარმოუდგენლად ფართედ იღება. როცა ჭმევის მერე შემიხედავს, როგორ იზრდება მისი ტანი, მზად ვარ ვირწმუნო, რომ ტანიც ელასტიკურია, ხოლო ნეკნები — სახსრებიანი. ბუნებამ გველის წიწილები ერთი მოწყობილობით დააჯილდოვა, რაც მუდამ იპყრობდა ჩემს ყურადღებას — კვერცხი იოლად რომ გამოტეხოს და იქიდან გამოვიდეს, დრუნჩზე სპეციალური კბილი აქვს, რომელიც კონსერვის ქილის გასახსნელს ჩამოჰგავს.

პითონი, რომელიც ჩემი „ჯადოსნური ბადით“ შევიპყარი, ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში მოხვდა, პერსტსკის ზოოლოგიურ ბაღში. შესაძლებელი რომ იყოს გველის გაწვრთნა და, საერთოდ, მისი ძალის მიმართვა სასარგებლოდ (ძალა კი შესწევს — ცხენს, თუნდაც კამეჩს ძვლებს გადაუმსხვრევს), იგი დიდ საქმეებს გაართმევდა თავს. მაგრამ მან მთელი ცხოვრება ისე გაატარა, რომ მხოლოდ მაყურებლებს იზიდავდა თავის გალიასთან.

სანამ პითონს ვიჭერდი, ჩემსა და სუმატრელებს შორის კეთილგანწყობილება დამყარდა. ვგრძნობდი, მათ არა მარტო თავის წრეში ჩამრიცხეს, არამედ აღარც მიფრთხოდნენ. ამაში

ერთგვარი უხერხულობაც იყო: ტროპიკებში ჩემთვის დღის საუკეთესო დრო ბანაობის საათები გახლავთ. მაგრამ ამ სიამოვნებას აბდულ რახმანის კამპონგში მოვაკლდი; განურჩევლად იმისა, მდინარეში ვბანაობდი, თუ, უბრალოდ, კოკიდან ვივლებდი წყალს, იმ წუთს, როგორც კი გაშიშვლებას შევუდგებოდი, მთელი სოფელი მოუთმენლად ელოდა.

ამ ხალხს ცხოვრებაში ცოტა რამ უნახავს და მათთვის თეთრკანიანი ადამიანი სასეირო სანახაობა იყო და, ამაზე უარის თქმა მათ ძალას აღემატებოდა... მამაკაცები და ბიჭუნები საზეიმოდ, თითქოს რაიმე ცერემონიას ასრულებენო, შექუჩდებოდნენ ჩემს გარშემო და ეს ამბავი დიდ თავაზიანობად უნდა მიმეღო მათი მხრიდან. მაგრამ მათს გამომეტყველებაში იყო რაღაც ისეთი, რაც უსიამოვნო გრძნობებს აღძრავდა: მეჩვენებოდა, რომ ჩემს უფერულ კანს ისევე უყურებდნენ, როგორც ჩვენ მივჩერებივართ ბაყაყის თეთრ მუცელს. გარდა ამისა, სრულიადაც არ მეჭაშნიკებოდა, ქალები რომ მითვალთვალებდნენ შორიდან. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ქალები ვერ ხედავდნენ ყველა წვრილმანს, მაგალითად, ლურჯ ძარღვებს, რაც ასე აოცებდა მამაკაცებს.

— თითქოს დიდი ლურჯი მდინარეებიაო, პატარა ღელეებით შეერთებული, — ამბობდნენ ისინი.

დიდ ინტერესს იწვევდა აგრეთვე ჩემი წვერი, რომელიც იმხანად მოვუშვი. მალაელებს ისე ცოტა წვერი ასხიათ სახეზე, რომ როცა რამდენიმე ღერი ამოწვერავს, ამოიწიწკნიან ხოლმე.

ერთხელ, როგორღაც, როცა საყოველთაო დათვალიერების საგანი გახლდით, გამახსენდა ჩემი „ფენომენები“, ჩემი მეგობრები იმ დღეებისა, როცა მრავალი წლის წინ ფრეიერას ცირკში ვმუშაობდი ლონდონში. „ცოცხალი ჩონჩხი“, „კაუჩუკის კაცი“ და „მსოფლიოში ყველაზე სქელი დედაკაცი“ გაიფიცნენ: ისინი პროტესტს აცხადებდნენ იმის გამო, რომ მათ აფიშებში „ფენომენებს“ უწოდებდნენ. მოითხოვდნენ, ეწოდებინათ „ბუნების საოცრება“. ახლა, როცა ერთადერთი თეთრი კაცი ვიყავი რამდენიმე დღის სავალზე, მივხვდი, რა არასასიამოვნოა „ფენომენად“ ყოფნა.

აბდულ რახმანმა ხომ სულ გამაცოფა. გულზე ხელი მიიდო,

თავაზიანად მომესალმა და მითხრა, რომ მისი მეორე ცოლის დედას, ქალს გონიერსა და სიბრძნეთა შემკრებს, სურს შეიტყოს, ტუანის ფანჩვნიერი მკერდი იმის ნიშანი ხომ არაა, რომ იგი გარეული მხეცების მბრძანებელი იქნება?

— შემთხვევით მოჰკრა ამას თვალი, — დაუმატა მან. — და ფრიად აღტაცებულია.

ვგონებ, არცთუ ისე თავაზიანად მივუგე:

— გადაეცი შენს სიდედრს, რომ ალაჰმა ეს მიბოძა იმის ნიშნად, რომ მუდამ მიდუღდეს სისხლი და შიში რა არის, არ ვიცოდე.

აბდულმა, ეტყობა, დაიჭირა უკმაყოფილო ტონი ჩემს პასუხში.

— გადავცემ, — მითხრა მან. — ჩემი სიდედრი ძალიან ცნობისმოყვარე ქალია, ყველაფერს უნდა ჩაეძიოს...

მეორე დღეს, როგორც იქნა, დავმალე პირსახოცი და ისეთი სახე მივიღე, ვითომ უბრალოდ, გასასეირნებლად გამოვედი. შეუმჩნეველად, ამალის გარეშე გავედი მეორე ნაპირზე. იქ მხოლოდ ორი ტიტლიკანა ბალღი დამიხვდა, წყალში ჭყუმპალაობდნენ. იქვე იწვა კამეჩი. მან, ეტყობა, დაასრულა დღიური საქმე და ახლა წყალში ნებივრობდა, ზემოთ მარტო დრუნჩი ამოეშვირა. ტანსაცმელი გავიხადე და ის იყო მდინარეში უნდა შევსულიყავი, რომ უეცრად ამ უზარმაზარმა მხეცმა დაიღრიალა და პირდაპირ ჩემზე გამოიწია. ბავშვებმა მომაძახეს:

— ტუან, მოეცალეთ მანდაურობას!

კამეჩს თეთრი კანი ჭკუაში არ დაუჯდა, გადაწყვიტა, იმ არემარედან გავეგდე. ბავშვებმა წამოჰკრიფეს ჩემი შარვალ-ხალათი, წინდები, ფეხსაცმელები და მომირბენინეს. საჭიროდ სცნეს მობოდიშება:

— კამეჩი ბრიყვია, ტუან! — მითხრეს მათ.

თუ წყლის კამეჩმაც ასე ამითვალწუნა, სხვა რადა დამრჩენოდა, ჩემს მდგომარეობას უნდა შევგუებოდი და უნდა დავთანხმებულიყავი „ფენომენობაზე". მხოლოდ ერთ რამეზე მწყდებოდა გული: ჩემს მაყურებლებს სანახაობაში ფულს არ ვახდევინებდი.

მეორედ ჩვენს ბადეში მოხვდა ხალებიანი ავაზის უშესანიშნავესი ეგზემპლარი, ექვსი წლის ხვადი. ამჯერად არავითარი სიურპრიზი არ ყოფილა, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. სანამ დავინახავდით, ჯერ კიდევ ხმაზე შევატყვეთ, რომ მახეში მხეცი იყო გაბმული. ის ხან ღმუოდა, ხან ღრიალებდა. ან რა გასაკვირია — თავქვე ეკიდა. არც იბრძოდა — თოკებისთვისაც კი არ ეხლო პირი. იქაურები აღტაცებისაგან კინაღამ შეიშალნენ. მათი საქციელის შემყურეს ეგონებოდა, მთელი ჯუნგლები დაუპყრიათო. ბადე ჩამოვუშვით, პირი მოვუკარით საიმედოდ და ჭოკზე ჩამოვკიდეთ. გზადაგზა ყველანი მხიარულ სიმღერებს მღეროდნენ. სახელდახელოდ შევჭედეთ გალია. მერე ზეიმი გაიმართა. ყველაფერი ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ სხვა გზა არ მქონდა, უნდა ავყოლოდი ჩემს თანაშემწეებს და თამაშების ორგანიზება ვითავე. მოიტანეს ბანანის ხე და მიწაში ჩაარჭვეს სამიზნედ — შუბი უნდა ეტყორცნათ. მეხვეწებოდნენ, მეც მიმეღო შეჯიბრებაში მონაწილეობა. უარი ვუთხარი. საიდუმლოდ გავანდე, რომ საამისო მიზეზი მქონდა; მართლაც რომ მქონდა მიზეზი: ამ საქმისა არაფერი გამეგებოდა. აბდულ რახმანის ხალხს კი ბადალი არა ჰყავდა. შუბს ექვს ფუტამდე სიგრძე ჰქონდა. ისინი ისროდნენ ორმოცდაათი, ასი ფუტის მანძილიდან. მე პრიზებს ვარიგებდი — ჭკირე ფულად ჯილდოებს. მერე, საბედნიეროდ, გამახსენდა ერთი თამაშობა, რომელიც განსაკუთრებით მეზღვაურებს უყვართ. ესაა „თოკის გადაძალვა“. მოვითხოვე თოკი და თითოეულ მოთამაშეს ვაჩვენე, სად უნდა მდგარიყო. ორივე მხარეს ათ-ათი მამაკაცი დავაყენე, თანაც სულ ერთიმეორის საფერო ჯვილები შევარჩიე. ამ დროისათვის უკვე კარგად ვიცნობდი მათ და დიდის სიფრთხილით, წონისა და ძალის გათვალისწინებით ამოვარჩიე ხალხი, და დაიწყო მხიარულება: ეწეოდნენ, ეძაგრებოდნენ, ფეხებით მიწას ებჯინებოდნენ — ოღონდ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ. ქალები ყვიროდნენ და ვიშვიშებდნენ. ყველამ შვებით ამოისუნთქა, როცა ერთმა პარტიამ ბოლოს და ბოლოს გადასძალა. მე ჯილდოები ჩამოვარიგე—თითოეულ მონაწილეს ხუთ-ხუთი ცენტი მივეცი, სულ ერთი დოლარი დავხარჯე.

ფული ისეთის ამბით გადავეცი, თითქოს ვერცხლის თასები ყოფილიყოს.

ამ დღის შემდეგ ნადირობა კარგად წავიდა. ჯუნგლებში უძლიერესნი გავიყოლიე ორმოების სათხრელად. ბარებითა და წალკატებით თხრიდნენ. ინსტრუმენტები მართლაც შესანიშნავი გვქონდა — ჩინელების ნახელავი. რახან ჩვენ მუდამ ვმოგზაურობდით და ვცდილობდით ხელმსუბუქად ვყოფილიყავით, ტარებს ადგილზე მისვლისას ვაგებდით ხოლმე.

კამპონგში დარჩენილი მამაკაცები მთელი დღეების განმავლობაში გალიებს აკეთებდნენ და ასმანაკებს ხლართავდნენ. ქალები უფრო წმინდა ბადეებს ქსოვდნენ. ეს ბადეები სათხეველს ჰგავს და ყველაზათვის ცნობილი ხერხით იქსოვება. ქალებს ნამუშევარში სარფიანად ვუხდიდი და თანაც გასამრჯელოს ქმრებს კი არ ვაძლევდი — თვითონ მათ ვურიგებდი. მათთვის ეს ახალი ამბავი გახლდათ: ფული თვითონ იშოვეს! და საქმეს დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ. ბავშვებიც კი მოიშველიეს: რაღაცას ეზიდებოდნენ, გრეხდნენ, კონჯავდნენ... აბდულმა დაფიქრებით მკითხა:

— ტუანი ხომ არ მომცემს თავის თილისმას, რომლითაც იგი აიძულებს ხალხს ასე გულმოდგინედ იმუშაოს?

— ეს თილისმა მხოლოდ იმ ხალხის ხელშია, ვინც იმ ქვეყანაში დაიბადა, სადაც სიცივე იკბინება.

აბდულმა ამოიოხრა და ზარმაცად გაიშოტა. აუტანელი ხვატი იდგა და დასვენება განსაკუთრებით სასიამოვნო იყო...

ჯერჯერობით კამპონგის ორმოცდაათი ოჯახის თითქმის ყველა წევრი დიდის მონდომებით მუშაობდა, ხოლო მოჰამედ ტაიმ, აბდულის სიძემ, მშვენიერი აღნაგობის ახალგაზრდამ. ოცდახუთი წლის კაცმა გადაწყვიტა ეჩვენებინა ჩემთვის ვეფხვზე ნადირობის თავისი ხერხი. საქმე ის იყო, რომ ერთხელ ჯუნგლებში წავაწყდი სანახევროდ დანგრეულ რაღაც ნაგებობას, რამაც ძალიან დამაინტერესა. ეს გახლდათ ბამბუკის მარგილების ორმაგი გალია, რომელიც სამ-ოთხ ფუტზე იყო ორმოში ჩადგმული. გალია გალიაში — ასეთი რამ პირველად ვნახე. მთელი ნაგებობა რვა ფუტის სიმაღლისა იქნებოდა. სიგანე ოთხი ფუტი ჰქონდა, სიგრძე — რვა, ცხაურის ძელები

ერთმანეთისაგან ოცი დიუმით იყო დაცილებული, და, რაც განსაკუთრებით მეოცა, ყოველი გალიის ძელები ერთიმეორის გასწვრივ იყო. მომეჩვენა, რომ ისინი ერთმანეთს უნდა შენაცვლებოდა.

— ვინ იჯდა ამ ორმაგ საკანში? — ვკითხე აბდულ რახმანს.

— კაცი და ძაღლი, ტუან, — მომიგო მან, — ზოგჯერ — კაცი და თხა. თხა სჯობია — სუნიც ასდის და პეტელობს კიდეც.

მე რაღაცას მივხვდი.

— ადამიანები მოდიან აქ სანადიროდ? — ვკითხე მე.

— დიახ, ტუან, მოდიან დასახოცად.

ახლა შევიგნე აბდულის სიტყვების შინაარსი: მონადირე მოდის ამ ადგილებში მზის ჩასვლის წინ, თან მოჰყავს ძაღლი ან თხა, მოაქვს კაიანგი — პალმის ფოთლებისაგან მოქსოვილი ჭილოფი ქვეშსაგებად. ასწევს რამდენიმე ძელს, შევა გალიაში, მოეწყობა საძილედ და გულიანად სძინავს, სანამ რაიმე ხმაური ძილს არ გაუფრთხობს: იქვე ჰყავს თან წამოყვანილი ცხოველიც. როცა მშიერი ვეფხვი სუნს დაიყრის და მიეპარება გალიას, ძაღლი აყეფდება, ან თიკანი აპეტელდება და მონადირესაც გაეღვიძება. იგი წამოხტება და პარანგს — ხმლისსიგრძე ალესილ დანას მოიმარჯვებს. გალიების ძელები ტყუილად როდია ერთიმეორის პირდაპირ დარჭობილი — ასე დანას მეტი გასაქანი აქვს.

როცა შიმშილისაგან აწრიალებული მხეცი გალიას შეატოტდება, მონადირე დანას მუცელში გაუყრის და შიგნეულს გადმოაყრევინებს.

— მონადირეს არავითარი საფრთხე არ მოელის, — ამიხსნა აბდულმა. — არც ძაღლსა და თხას არაფერი მოეწევათ.

მერე ცოტა ჩაფიქრდა და დაუმატა:

— ხოლო თუ მონადირეს თილისმაც აქვს, მაშინ ვერც ავი სული, ვერც ეშმაკი ვერაფერს დააკლებენ, მიუხედავად იმისა, რომ ტყეში მარტოა.

ამ ხაფანგის წყალობით იმედოვნებდა ტაი ვეფხვის შეპყრობას. იგი გაემართა ჯუნგლებში რამდენიმე მეგობრის თანხლებით, რომლებიც მიეშველნენ პალოებისა და რატანის გადაზიდვაში, რათა ადგილზევე შეეკეთებინათ ნახევრადდაშლილი

გალია. ისინი დღისით გავიდნენ სოფლიდან იმ ვარაუდით, რომ დაღამებამდე მოეგვარებინათ ყველაფერი. როცა გალია გაამზადეს, ტაი შიგ შევიდა და თან ძაღლი შეიყვანა. საამისოდ თხა უცბად ვერ იშოვა, ამიტომ უბრალოდ შეაბა თოკი პირველ შემხვედრ მაწანწალა ძაღლს — კამპანგის სიახლოვეს ათზე მეტი მაინც დაეხეტებოდა ამისთანა ძაღლი, თავისებური მენაგვეები, რომლებსაც სწორედ ამ სამსახურისათვის არ იცილებენ თავიდან — და თან წაიყვანა. გალიაში გაფინა თავისი პალმის ჭილოფი და თავზე სარონგი შემოიხვია, რომ ქინქლებისაგან დაეცვა თავი. მერე მისმა მეგობრებმა ძელები თავის ადგილას გაამაგრეს და ტაი მარტოდმარტო დატოვეს ტყეში. წარმომიდგენია, რარიგ ჩქარობდნენ გამოთხოვებას, როგორ უხაროდათ, როცა უკან მოდიოდნენ. ამგვარი ნადირობა მოსახლეობაში მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. მამაკაცებს ათასნაირი საბუთი მოჰქონდათ, რათა გაემართლებინათ მისთვის თავის არიდება. საქმე ისაა, არავის უწადა ღამით მარტო დარჩენა ჯუნგლებში.

დილით ტაის მეგობრები წავიდნენ მისახმარებლად, თუ, ვინიცობაა, დაიჭირა ვეფხვი; თუ არ დაუჭერია და, უბრალოდ, მოსანახულებლად. ისინი ნალე დაბრუნდნენ, ტაიც თან ახლდათ. ხელცარიელები, გუნებაწამხდარნი იყვნენ. ძაღლი გასაქცევად იწევდა. როცა ბადეების დასახედად მივდიოდით, გზაზე შემოგვხვდნენ.

მეორე დილასაც შევხვდით მათ, თითქმის იმავე ადგილას და ისევ ხელცარიელები იყვნენ, ისევ გუნებაწამხდრები. ხუთ ღამეს ზედიზედ მიდიოდა ტაი თავის სანგარში და მუდამ გაწბილებული ბრუნდებოდა.

მერე ის იყო, აბდულ რახმანი მოვიდა და მითხრა:

— ბატონი ხომ ვერ გააკეთებს კარგ თილისმას მოჰამედისათვის, გალიაზე რომ ჩამოჰკიდოს და ვეფხვი მიიტყუოს?

ეს ამბავი ვერაფრად მეჯაშნიკა. ეჭვი ავიღე, მათ ცრუმორწმუნე თავში აფუთფუთდა აზრი, რომ მე შევულოცე გალიას და მოვაჯადოვე, რადგან არ მინდა ჩემს გარდა სხვამ დაიჭიროს მხეცები. მე დავთანხმდი — თუმცა არცთუ ისეთი ხალისით — „მომეხდინა სასწაული“ ტაის ხათრით, მაგრამ პირობა

ჩამოვართვი, რომ გალიას სამ დღეს ახლოსაც არ გაეკარებოდა, მერე კი ძაღლის ნაცვლად თხას წაიყვანდა. საღამოს ორ კაცს გაეცილებინა, დილას სამი შეხვედროდა.

როცა დაღამდა, მივეცი ჩემი გაკრიალებული ვერცხლის საათი. ავუხსენი, რომ საათი ბედნიერებას მოუტანდა და სელადანგის გულს ჩაუდგამდა. ცოტა ვღელავდი კიდეც, რადგან ტაის ძალა ელეოდა, მაგრამ ბედმა, რომელიც სუმატრაზე აქამდე უხვად მწყალობდა, არც ამჯერად ამაღო ხელი და იმავე ღამეს შეიპყრო ტაიმ ვეფხვი, თუმც არც ისეთი წარმატებით, როგორც თვითონ ეგონა. ვეფხვი გვიან ღამით გამოჩნდა. თხა აპეტელდა. ტაიმ პარანგი მოიმარჯვა. ვეფხვმა გალიას შემოუარა, მიწა დაყნოსა; მერე უკანა ტოტებზე შედგა და ტაიმ მახვილი ჩასცა.

— დანა მარჯვედ ჩავეცი, — ჰყვებოდა ტაი. — დარტყმა საკმარისი იყო სამი ვეფხვის მოსაკლავადაც, მაგრამ მხეცი ორივე თვალით მომჩერებოდა და მიტომ ვერ მოვკალი!

ტაი ამბობდა: „ტუანს დაავიწყდა თილისმისათვის დაებარებინა, ვეფხვს არ მიხმარებოდაო“.

მონადირესა და ნადირს საძაგელი საათი დაუდგა. ვეფხვი ღრიალით დაეცა მოშორებით. ტაი დანით ვეღარ მისწვდებოდა, ვერც გალიიდან გამოსვლა გაბედა, რომ ხელი მოეთავებინა, რადგან ირწმუნა, თილისმა ვეფხვსაც შეეწიაო. როცა დილით ამხანაგებმა მიაკითხეს, ტაი ისევ გალიაში იჯდა და თავი სარონგით შეეხვია. სულთმობრძავი ვეფხვი იქვე ეგდო და საზარლად ხროტინებდა. მეგობრებმა უცებ მოუღეს ბოლო, გაატყავეს, გამოშიგნეს. საათის წამოღება კი ვერავინ გაბედა; ისევ მე მომიწია წასვლა.

გადავწყვიტე, აღარ გამომეყენებინა ჯადოსნის რეპუტაცია, ამიტომ შევაქე ტაი და ვთხოვე, სანამ იქ დავრჩებოდი, ჩემთან ემუშავა. ვეფხვის ტყავი ოც დოლარად შევიძინე, თუმც ათზე მეტი არ ღირდა და არც არაფრად მჭირდებოდა, მაგრამ ჩემი წარმატების საფუძველი მუდამ ჩემდამი საერთო პატივისცემა გახლდათ და ამჯერადაც მინდოდა მისი შენარჩუნება.

ამ ექსპედიციაში ჩემთვის მთავარი იყო სოლისებური ხაროების მოწყობა ტაპირებისა და მარტორქების შესაპყრობად.

ამ ორმოებს დამრეცი შიდა კედლები აქვს, რათა ცხოველებმა რქები არ დაიმტვრიონ, რაც გარდაუვალია სწორკედლებიან ორმოში. ამ უზარმაზარი ხაროების შენიღბვა დიდ გამოცდილებას, თითქმის ხელოვნებას მოითხოვდა. ორმოებისათვის უნდა მოგვეწნა ჩელტები. ჩელტებს თიხით ან მიწით გადავლესავდით და მერე ზედ ძირიანად მოთხრილ ბალახებს ვრგავდით, თან ფოთლებს ვაყრიდით. ჯუნგლებიდან ჩელტის გამორჩევა შეუძლებელი იყო. მერე ავიღებდით და ზემოდან ვაფარებდით ორმოს. ხალხი ხალისით მუშაობდა, თითქოს თეატრისათვის დეკორაციებს აკეთებენო, ოღონდ ყველაფერს ხმისამოუღებლივ აკეთებდნენ. მაიმუნები გაფაციცებით გვადევნებდნენ თვალს ხეების კენწეროებიდან და გაუთავებლად ყბედობდნენ. მერე წავიყვანეთ თხა და იმ მხრიდან დავაბით, საიდანაც ნიავი ქროდა, იმ მოსაზრებით, რომ მის სუნს ჩაეხშო ადამიანის სუნი და ცხოველებს ეჭვი არ აღძვროდა.

მთელი კვირა მოვანდომეთ ორმოების მოწყობას. სულ ექვსი ორმო გავაკეთეთ. კამპონგიდან დილის რვა საათზე გავდიოდით, როცა ნამი ის-ის იყო შრებოდა. თერთმეტზე უკვე გახურებული მუშაობა გვქონდა. სამ საათზე შინ ვბრუნდებოდით. დაისი იმ ადგილებში არ იცის — მზე როგორც კი მიეფარება დასავალს, თითქოს ვინმემ ბნელი ფარდა ჩამოაფარაო — ჯუნგლებში კაციშვილი ვეღარ დადგებოდა. ორმოებისა და ხაფანგების გარდა ასმანაკებს ვშლიდით ვეფხვებისა და პატარა ცხოველებისათვის. წმინდა ბადეებს ისე ვშლიდით ხეებზე. რომ თითქმის ეხებოდა მიწას. ნადირი იხლართებოდა შიგ და თავის დახსნას ვეღარ ახერხებდა. ზოგი ბადეს ღრღნიდა და ისე თავისუფლდებოდა. ხაფანგი, ორმო, კაკანათები ისეთ ადგილებში მქონდა გამართული, საიდანაც ცხოველები წყალზე დადიოდნენ; ამ ადგილიდან ერთი მილის დაშორებით უკვე აღარაფერს არ ვაკეთებდი, ასე რომ, მთელი „სამხედრო ზონის“ შემოვლა ერთ დღეში შემეძლო.

გარეული ტახები და ირმები დიდ ხათაბალაში მხვევდნენ. ისინი წარამარა იხლართებოდნენ ბადეებში და წნულებს შლიდნენ. თუ განსაკუთრებით კარგი ეგზემპლარი არ შემხვდებოდა: ვხოცავდი.

დავიჭირე ეგრეთწოდებული თაგვისებური ირმები* — პატარა მომხიბლავი არსებები, ცხრიდან თორმეტ დიუმამდე სიმაღლისა. ისინი ძალიან ჰგვანან დიდ ირმებს, ოღონდ არც ხარსა და არც ფურს რქები არ აქვთ. მათი ხორცი ძალიან გემრიელია.

დავიჭირე აგრეთვე ოთხი ტაპირი. ერთს შვილიც ახლდა — ძალზე პატარა, რომელიც ერთი შეხედვით არაფრით არ ჰგავდა თავის მშობლებს. დედა-ტაპირი იმ ჯიშისა გახლდათ, მალაელები „ზურგუნაგირას" რომ ეძახიან. მთლად შავი იყო: დრუნჩი, ქედი, ფეხები, გვერდები — ყველაფერი შავი ჰქონდა, მხოლოდ მუცელი იყო მორუხო. შვილი კი წაბლა გახლდათ, თეთრი ლაქები ზოლ-ზოლად დაჰყვებოდა. დედა სიგრძით ხუთი ფუტი იქნებოდა, სიმაღლით — ოთხნახევარი. ორას გირვანქამდე იწონიდა. მიუხედავად ასეთი ზომებისა, თავდაცვა არ შეუძლია. მისი ერთადერთი თავდასაცავი ხერხია გაქცევა ან დამალვა.

ჩემმა წარმატებებმა ჩემსავე მოლოდინს გადააჭარბა. თუმცა, მართალი მოგახსენოთ, უსიამოვნებაც ბევრი შემხვდა, როცა ცხოველების გადაყვანას შევუდექი: ტივი კლდეს გადააწყდა და ოთხი გალია ჩაიძირა. რამდენიმე პატარა ირემი, ცივეტა, მაიმუნი, ვეფხისებრი ნისლა კატა, რომელზედაც განსაკუთრებით დამწყდა გული, და ბინტურონგის** შესანიშნავი ეგზემპლარი დამეღუპა.

ხალხმა ყელამდე წყალში შეტოპა და დანარჩენი ცხოველები გადამირჩინეს. ამ ხიფათის გარდა ყველაფერი კარგად წარიმართა. საქმე წინ მიდიოდა, ტივს ტივზე ვგზავნიდი ოთხი დღის სავალზე, პალემბანგში, ჩემს ძველ მეგობართან, ჰაჯისთან.

---

* „თაგვისებური ირმები" — ავტორს, ალბათ, მხედველობაში აქვს პატარა, ჩლიქოსანი, ურქო, ცხოველები, Traguloidea ქვეჯგუფში შემავალი შვლები, ანდა „ნუნუ", შეიძლება კაჩილიც, Tragulus javanicus არის სხვა სახეობებიც. საერთოდ ტერმინს „ირემი" ავტორი უმართებულოდ იყენებს. ნამდვილი ირმები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არაა.

** ბინტურონგი — მტაცებელი ცხოველი. სხვანაირად პალმის კვერნასაც ეძახიან.



როცა, ბოლოს და ბოლოს, შევატყვე, რომ საკმარისი ალაფი მოვინადირე, ათიოდე კაცის თანხლებით უკანასკნელად შემოვუარე ჯუნგლების იმ უბანს, სადაც ასეთი უხვი მოსავალი მოვიწიე. როცა ერთ-ერთ ორმოს შივუახლოვდით, რომელიც ჯუნგლების ნაკაფში აშმორებული გუბის სიახლოვეს გვქონდა გამართული, საოცარი ხმა შემოგვესმა:

თითქოს მთელი ხროვა შეყრილა და განწირული ხმით ბღავისო. ამ აურზაურში გამოირჩეოდა კამეჩის ყროყინი და ვეფხვის ღმუილი. აბდულ რახმანმა თოფი მომაწოდა და დავწინაურდი. დანარჩენები ჯგროდ მომდევდნენ. ნელა მივიწევდი წინ, ძალიან ვფრთხილობდი. შორიდანვე დავლანდე წყლის კამეჩი. მას თავი დაეღუნა და რაღაცას ზედ დასტრიალებდა. ჯერ ვერაფერი გავარჩიე. მაგრამ მალე დავინახე დიდი, სრელა ვეფხვი, რომელიც ხშირ ბალახებს სანახევროდ დაეფარა. კამეჩს გლუვი, შავი ტყავიდან სისხლი სდიოდა. წითელი ლაქები აჩნდა გვერდებსა და ქედზე. ვეფხვი წამოხტა. კამეჩი გვერდზე გადაიხარა და ისე ურქინა ვეფხვს, რომ ეს უკანასკნელი განზე გახტა.

— გინდათ ნახოთ მათი ბრძოლა?—დავუძახე დანარჩენებს.

— ია, ია!

— მაშინ, ადით ხეებზე!

ჯუნგლელი მალაელები ხეებზე კატასავით დაცოცავენ. დანით ხეს ცოტაზე ააცლიან ქერქს ისე, რომ ფეხი არ მოუცდეთ. მერე აცოცდებიან და ხელს უწვდიან ქვევით მყოფებს, რომ ახლა სხვებს უშველონ აცოცებაში. აბდულ რახმანმა როგორც კი მიაღწია პირველსავე ნუჟრს, თოფი ამართვა, მერე სარონგი შემოიხსნა და მისი ბოლო გადმომაწოდა. მეც მოვეჭიდე და სანახევროდ ავცოცდი, სანახევროდ ამწიეს და ასე ავედი ხეზე. ფეხსაცმელებმა საქმე გამიჭირა.

ტოტზე მოვეწყვე და ბრძოლის ველს გავხედე. ორივე მოწინააღმდეგე ერთხანს შეყოვნდა: ვეფხვი ცმუკავდა, ღმუოდა, კამეჩი კი ბუღრაობდა. ასე გაგრძელდა რამდენსამე წუთს. უცებ კამეჩი გაქანდა და რქებით ეძგერა ვეფხვს. ვეფხვი განზე გახტა, მერე მობრუნდა, კამეჩს დააცხრა და ფერდში ჩაასო

ბრჭყალები. მერე ისე დატრიალდა, რომ მხოლოდ ბალახსა და მისი ტყავის ზოლებს ვარჩევდი.

მალაელები ამ ორთაბრძოლას ისეთის გატაცებით შესცქეროდნენ, როგორც მამლების ჩხუბს უყურებენ ხოლმე. ისინი საუბრობდნენ და ნაძლევს დებდნენ, ვინ ვის სძლევდა. კამეჩმა ქედი დახარა და ისე დახვდა ვეფხვის შემოტევას, მაგრამ ვეფხვი ისე ჩააფრინდა თავში, თითქოს ზედ მიეწებაო. სანამ უშველებელი კატა იკბინებოდა და იკაწრებოდა, კამეჩი ცდილობდა წონასწორობა აღედგინა. ბოლოს შეარხია თავისი საშინელი თავსამკაული და ფეხზე წამოდგა. ერთი წუთით ვეფხვი ჰაერში ეკავა, მერე თავი დახარა და მიწაზე დაანარცხა. დინჯად მოიხარა მუხლებში და მთელი სიმძიმით დააწვა ზემოდან. ღმუილი, ბღავილი და გაგრძელებული ხავილი... კამეჩმა გაიქნია გათავისუფლებული თავი; თან ფრუტუნებდა და ქოშინებდა. მუხლები უკანკალებდა, მაგრამ რადგან ვეფხვი პირქვე იყო ჩამხობილი, ერთხელ კიდევ ეცა და თანაც ისეთი ძალით, რომ ეტყობა ხერხემალი ჩაუმსხვრია. ვეფხვის ღრიალი თანდათან სუსტდებოდა. მისი უსიცოცხლო სხეულის დანახვამ კამეჩს თითქოს ძალა შემატაო, მრისხანე და საზეიმო ფრუტუნით ქელავდა ჩლიქებით.

როცა კამეჩს ბრაზმა გაუარა, იგი შედგა. მისი უზარმაზარი სხეული კანკალმა აიტანა, ცხვირიდან და იარებიდან სისხლი სდიოდა. უცებ მოჰყვა საბრალობელ ზმუილს.

— ეს ფურია, — მიჩურჩულა აბდურ რახმანმა. — ზაქს უხმობს. ცოტა ზევით თუ ავიწევით, იმასაც დავინახავთ.

ბრძოლის ადგილას ბალახი ერთიანად გათელილი იყო, მაგრამ მოშორებით თამამად იდგა მაღალი შამბნარი და რამე რომ გაგვერჩია, ზემოთ უნდა ავსულიყავით. ტოტიდან ტოტზე გადავდიოდით და ისე მივიწევდით ზევითკენ.

— შეხედეთ! — დამიძახა აბდულმა.

მან დამანახვა პატარა, მუქი მბზინვარე სხეული, რომელიც ხშირ ბალახებში მიყუჟულიყო. ეს გახლდათ ზაქი. იგი სისხლის გუბეში იწვა: ეტყობა, ვეფხვმა ერთის ნახტომით მოუღო ბოლო. ფურკამეჩი ფეხარეული წამოვიდა მისკენ, თავზე დაად-

გა და ეძახდა. როცა ნახა, რომ ზაქი არ იძვროდა, თავი დახარა და ფრთხილად ასწია რქებით. ზაქი უსიცოცხლოდ დაეკიდა რქებზე.

აბდული მომიბრუნდა და ნაზი ხმით მითხრა:

— ქალი და ფურკამეჩი, ტუან, ალაჰმა ერთნაირი გააჩინა!

— მართალია, — ბივუგე მე. — როცა ქალს დარდი აქვს, ვერაფრით შეუმსუბუქებ. რაც შეეხება ფურკამეჩს, შეგვიძლია მის ტანჯვას ბოლო მოვუღოთ. კარგი?

— კი, ტუან, — მითხრა მან. — მაინც ბევრი იარა აქვს. გაუგზავნე ტყვია, რომელიც ეტყვის „მშვიდობით“.

და თოფი გამომიწოდა. დავუმიზნე და მოვსხლიტე. ფურს ხმა არ გაუღია; ზაქის სხეულზე ჩაიკეცა.

ყველანი ჩამოვიდნენ ხეებიდან. ხალხი ძალიან აღელვებული იყო. აფურთხებდნენ ვეფხვს და წყევლიდნენ მას, ისინიც კი, ვინც ვეფხვზე დებდა ნაძლევს. ფურკამეჩს კი აქებდნენ და ლამაზას ეძახდნენ, თუმცა სინამდვილეში ძალიან უშნო რამე იყო, ზაქი კიდევ უარესი მაიმახი გახლდათ. მალაელები უღრმესი პატივისცემის ნიშნად ყურში ჩასძახოდნენ, ხარის გული გქონიაო.

კამეჩის ხორცი საჭმელად ძალიან უხეშია. გვამები იქვე დავტოვეთ. ვეფხვი ისე იყო დაფლეთილი, რომ თავის მოჭრა და გატყავება არც კი მოხერხდა, ჰოლანდიის მთავრობისათვის რომ წარედგინათ და კუთვნილი ათი დოლარი მიეღოთ. ულვაშებიც აღარ შერჩენოდა. ერთმა მალაელმა შენიშნა რაღაც სასწაულით გადარჩენილი ყური და წააჭრა. აბდულმა მითხრა, თუმცა ყოველნაირ თილისმას არ ვენდობი, მაგრამ თუ ამ მძვინვარე ვეფხვის ყურს გაახმობს კაცი და მერე ავგაროზივით ატარებს ქამარზე, ვერც ერთი ვეფხვი ვეღარ შებედავს თავდასხმასო.

როცა ვიხსენებ სუმატრას, ჩემს თავგადასავალს, რომელიც სუმატრის უღრან ჯუნგლებში გადამხდა, ვიხსენებ უამრავ წარმატებასა და წარუმატებლობას, ყველაზე ნათლად თვალწინ წარმომიდგება, როგორ დაანარცხა მიწაზე ფურკამეჩმა თავისი სრელა მტერი.

ორი კვირა გავიდა მას აქეთ, რაც აბდულ რახმანის კამპონგი დავტოვე. ქვეყნის შუაგულში მოგზაურობისას ციება შემეყარა. ეს-ეს არის გამიარა შემოტევამ. ვზივარ ჰაჯი სინგას აივანზე და ფიქრებში ჩაფლული ვთვლემ: ევროპაზე ვფიქრობ. უცებ ჰაჯის წყნარი ხმა ჩამესმა: „ტუან, აბდულ რახმანი მოვიდა“.

ძალიან გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით. როცა გაიგო, რომ ვიავადმყოფე და მხოლოდ ახლახანს მოვიხედე, ვეღარ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა სათქმელი. გამოვკითხე ამბები და შევიტყვე, ორი დღის წინ ჩამოსულა კამპონგიდან (აქეთობისას გზაში ოცდაათი საათი დახარჯა მაშინ, როცა აღმა-იმავე მანძილს ექვს დღეში თუ დაფარავდა ნავით, რაც უნდა მარჯვედ ეხმარათ ნიჩაბი და ჭოკი). მისიანებს ამბავი მოუტანიათ, რომ უნახავთ დედალი მარტორქა, რომელსაც შვილიც ახლდა. აბდულმა იცოდა, თუმცა წინა ექსპედიციის დროს უამრავი გველი და ნაირ-ნაირი ცხოველები დავიჭირე, გულს მაკლდა, მარტორქის ნაშიერი რომ ვერ მოვახელე.

აბდული აღელვებული ჩანდა, მეც სულ გადამავიწყდა ჩემი ციებ-ცხელება. გადავწყვიტე, მეორე დღესვე გავდგომოდი გზას; ამან ძალიან დააღონა ჰაჯი სინგა. იგი თავს აკანტურებდა და მეუბნებოდა: „ტუან, ჯობია სინგაპურში დაბრუნდე!“

მაგრამ მარტორქაზე ნადირობამ სინგაპურში წასვლა გადამათქმევინა. მეორე დღეს მ'უბუქად შეიარაღებული გავუდექი გზას ერთი ნავის თანხლებით, რომელშიაც ჩავტვირთეთ ბრინჯი, ხმელი თევზი, შესქელებული რძე და ჩაი. ბარები და

წალკატები, რაც ასე აუცილებელია ორმოებისა და ხაფანგების მოსაწყობად, წინა ექსპედიციის დროს ავზიდეთ აბდულის კამპონგში.

მარტორქა ძალიან ძნელი მოსახელებელია. მართალია, ცუდად ხედავს, მაგრამ სამაგიეროდ საოცრად მახვილი ყნოსვა აქვს. მოაწყო ორმო, ან გაჰფინო ბადე ისე, რომ მარტორქა მოტყუვდეს, დიდ მოთმინებას, სიფრთხილეს და შრომას მოითხოვს. სუმატრის ხშირ ჯუნგლებში მისი დაჭერა ძნელია და თითქმის შეუძლებელი — გააგდო იმ მხარეს, საითაც ხაფანგია დაგებული.

მარტორქის შეპყრობის ორი ხერხი არსებობს: მახე-ორმოები, ან ბადეები. ორმო უფრო ძნელია; ჯერ ერთი, ძნელი შესანიღბავია, მეორეც, ძალიან ჭირს შიგ ჩავარდნილი ნადირის ამოყვანა, თუმცა თვითონ მონადირისათვის უხიფათოა. არც ბადეა მთლად უნაკლო: ადვილი შესაძლებელია, ცხოველმა დაიხსნას თავი, თუკი არ გაებმება, არამედ უბრალოდ გაიხლართება შიგ. იმას კი, ვინც უნდა შეკრას ცხოველი და გალიამდე მიიყვანოს, დიდი საფრთხე ემუქრება. ბადეს სჭირდება შეუნელებელი თვალყურის დევნება: უნდა უთვალთვალებდეს ხეებზე გარინდებული, სულ ცოტა, ორი კაცი. როგორც კი დაინახავენ, რომ ნადირი გაება. ისინი ტამ-ტამებს სცემენ და დანარჩენებს უხმობენ, რომ მარტორქას მიხედონ.

მაგრამ კიდეც რომ შეიპყროთ მარტორქა ორმოთი, თუნდაც ბადით, მისი შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე სხვა რომელიმე ცხოველისა. მთავარია გალიაში მოთავსება და გადასაყვანად მომზადება. გალია განსაკუთრებულად მაგარი უნდა იყოს და თანაც ისეთი ზომისა, რომ ცხოველმა ვერ შეძლოს თავისუფალი მოძრაობა, ანდა გალიის დამტვრევა თავისი ძალის, წონისა და რქის შემწეობით. მარტორქას, სპილოსავით, ვერც მოაჯდები და ვერც გაირეკავ. ასეთი მხეცის გალიაში შეგდება, რომელიც ყოველნაირად იცავს თავს — ძალიან სახიფათო და ძნელი საქმეა. ადვილი გასაგებია, რომ იმ რაიონის მკვიდრნი, სადაც მარტორქას შეიპყრობენ ხოლმე, ამას ცხოვრების მნიშვნელოვან ამბად თვლიან.

აბდულ რახმანის კამპონგის მცხოვრებნი ექსპედიციისათვის

სამზადისს მათთვის ჩვეული გულმოდგინებით შეუდგნენ. მთელი კამპონგი შეიძრა — მამაკაცები და ყმაწვილები რატანს ეზიდებოდნენ და ბამანაკისათვის თოკს გრეხდნენ. აბდულ რახმანის სიძე, მოჰამედ ტაი, საჭურველთმტვირთველად ავიყვანე. მან შეცვალა ალი, ჩემი მამაცი მეგობარი, რომელიც ჩემთან სამსახურის დროს დაიღუპა. მოჰამედს არ სჯეროდა თავისი ბედნიერებისა, როცა ვუთხარი, რომ სინგაპურში გავიყოლებდი და მერე სხვა ადგილებშიც წავიყვანდი.

მომდევნო დღეებში შევუდექით სანადირო სამზადისს. წინა ექსპედიციის დროს აბდულის ოლქში უამრავი ორმო გავთხარეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. ახლა იმედი ხელახლა დაგვესახა, რადგან მარტორქა თავის შვილიანად სულ სხვა ადგილას აღმოჩნდა — ოლქის განაპირა რაიონში. ახალ ადგილას გავთხარეთ ორმოები, გავფინეთ ბადეები და მზირები დავაყენეთ, რათა დროზე ეცნობებინათ, თუკი რამე მოხდებოდა. ერთმა კვირამ ისე ჩაიარა, არაფერი მომხდარა. მხოლოდ ერთ საღამოს ვუყურე სეირს: მითხრეს, ადგილობრივი მკვიდრნი კურდღლებსა და მომცრო ირმებზე სანადიროდ ემზადებიანო. ეს ცხოველები ბრინჯის ყანებს აოხრებდნენ. მათზე ნადირობის ასეთი ხერხი აქვთ: ერთ მონადირეს მხარზე უზარმაზარი ჭოკი აქვს გადებული, კეტზე ჩამოკიდებულია კეცი. რომელზედაც ჩინჩხვარი იწვის და იქაურობას ჩირაღდანივით ანათებს. კეცი ჩვეულებრივია, ოღონდ ერთი მხარე ჩამომტვრეული აქვს, რომ ფიჩხი უფრო მოხერხებულად დაეწყოს. ჭოკის მეორე მხარეზე მიბმულია ჩინჩხვარიანი კალათი წონასწორობისათვის. მეორე მონადირეს რკინის წკეპლა მიაქვს, რომელზედაც ჩამოკიდებულია რკინისავე რგოლები და სიარულისას წარმოუდგენელ ხმაურს გამოსცემს. მათ მიჰყვება ხუთმეტი-ოცი ფუტის სიგრძე ბამბუკის სარებით შეიარაღებული ოთხი თუ სამი კაცი. მთელი ეს გუნდი მიემართება შამბნარისაკენ, სადაც ღამის დადგომისთანავე უდარდელი კურდღლები და პატარა ირმები საძოვარზე გამოდიან. როგორც კი ჩინჩხვარის სინათლეზე რომელიმე პატარა მხეცუნა გამოჩნდება, ყიჟინით, რკინის რგოლების ჩხარაჩხურით გამოედევნებიან და შეშინებულ ნადირს ცეცხლის ალყას შემოარტყამენ. საცოდავი ცხოველი

არც ცდილობს თავის გადარჩენას, სინათლისაგან დაბრმავებული და ხმაურისაგან დაყრუებული იქვე ჩაჯდება, სანამ ბამბუკის ჭოკით ბოლოს არ მოუღებენ. ვახშმად უხვად მოაქვთ ახალი ხორცი.

თითქმის ორი კვირა გავიდა, სანამ სადარაჯოთა ტამ-ტამებმა არ გვამცნო, ბადეში რაღაც გაებაო. მიახლოებისას გავიგონეთ რაღაც ლაწალუწი და მარტორქის ღრუტუნი. ტაიმ თოფი მომაწოდა და აბდულთან ერთად წინ-წინ გაიქცა.

მზირმა ხიდან ჩამოგვძახა, ფრთხილად გვეევლო, რადგან ბადეში მარტორქის შვილი გახვეულიყო, დედა კი იქვე წრიალებდა, ცდილობდა რქით დაეფლითა ბადე. როცა აბდულის და ტაის ფეხის ხმა შეესმა, შემობრუნდა და შემოუტია მათ. ძლივს მოასწრეს გასცლოდნენ და ხეს მოფარებოდნენ.

მათ ვუბრძანე, ხეზე ასულიყვნენ. როცა ჩემი ხმა გაიგონა, ერთ ხანს შეჩერდა და მერე მე მომიბრუნდა. ჩვენ შორის რამდენიმე უზარმაზარი ხე იდგა და მე ერთ-ერთს მოვეფარე, მერე მორისაკენ გადავირბინე და ასე შემდეგ. მარტორქა შეჩერდა, ცდილობდა ყნოსვით მოეგნო ჩვენთვის. ამასობაში ალყაში მოვიქციეთ და ველარ გაერკვა, საით მიბრუნებულიყო და ვის დასცემოდა. მერე, ეტყობა, იფიქრა, ისევ თავის შვილს მიშველებოდა, უცებ შებრუნდა და გაიქცა ორ ხეს შუა გაბმული ბადისაკენ, რომელშიც პატარა მარტორქა გახლართულიყო.

ახლა ჩემი ერთადერთი მიზანი იყო როგორმე დედა დამეყოვნებინა შვილის სიახლოვეს და იქ შემეპყრო. აბდულს ვუბრძანე, აეყოლებინა რამდენიმე კაცი და მოეტანათ ერთი ან ორი ბადე, აქვე, ახლოს რომ გვქონდა გაფენილი. ასე ვვარაუდობდი: ბადე ორივე მხარეს გამეფინა, მერე მათ გასწვრივ ხალხი დამეყენებინა და როცა დედა-მარტორქა ხალხისაკენ გაიწევდა, ბადეში გაებმებოდა, სანამ ვინმესთან მიახლოებას მიასწრებდა. აბდული და მისიანები მიმიხვდნენ, გეგმა მომიწონეს და ბადეების მოსატანად გაეშურნენ. ტაი, მე და ათიოდე კაცი ხეებზე დავრჩით.

ამასობაში მარტორქის შვილი ამაოდ ცდილობდა გათავისუფლებას. დაიქანცა და წყნარად მიწვა. დედა მის სიახლოვეს

იდგა, ქოშინებდა, ფრუტუნებდა, თავი აეწია, მისი წვრილი თვალები მუქარით იმზირებოდა, ყურები აეცქვიტა, კუდი აებზიკა, ყოველ წუთს მზად იყო შეტევისათვის. როცა ხეებზე მსხდომნი ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ, სწრაფად მოიხედავდა უკან, თავს იქნევდა და ფრუტუნებდა. სანამ აბდული და დანარჩენები ბადეს მოიტანდნენ, გვეგონა, დიდმა დრომ განვლო.

როცა მათი მოახლოება ვიგრძენი, აბდულს მივაძახე, სად გაეფინა ბადეები, თან რაც შეიძლება მალე და ფრთხილად. როგორც კი დედა-მარტორქამ კაცი იგუმანა, მობრუნდა და თავდასასხმელად მოემზადა, მაგრამ ერთმა ხეზე მჯდომმა პატარა მარტორქას სპეციალურად მოჭრილი ჭოკით შეუჩუჩხუნა. როცა დედამ შვილის საბრალობელი ძახილი გაიგონა, ისევ მისკენ გამოექანა. ამრიგად ვაწვალებდით მანამ, სანამ ორივე ბადე არ გავფინეთ. როცა აბდულმა გვანიშნა მზადყოფნა, ვუბრძანე ბადის უკან მოშორებით დამდგარიყო და მარტორქისათვის საშუალება მიეცა მისკენ წამოსულიყო. ერთი ბადის ნაცვლად ორი ბადე გავფინეთ, ასე ვთქვათ, ორმაგი ბადე გვქონდა, რადგან ამასობაში ნადირმა მოასწრო გაშმაგება და უკვე საშიში გახლდათ. განსაკუთრებულად მაგარი ბადეები უნდა გვეხმარა. მაგრამ ისიც ვიცოდი, როგორც კი ბადეში გაეხვეოდა, უკვე საქმე გათავებული იყო — მარტორქა ველარსად წაგვიყვანდა.

როცა აბდული და მისიანები ბადის სიახლოვეს განლაგდნენ, შევემზადენით დედა მარტორქის თავდასხმისათვის. მე ვბრძანე „სრული სიმშვიდე!“ ჯუნგლებში სამარისებური დუმილი გამეფდა. უცებ გაისმა აბდულის ხმამაღალი შეძახილი. ნადირმა თავი დაღუნა და ფრუტუნით წამოვიდა ბადისაკენ. ათიოდე იარდი გაიარა და ბადეში გაეხვია, დაიწყო ფართხალი, უნდოდა თავის გამოხსნა, მაგრამ უფრო და უფრო ეხვეოდა შიგ. რაც ძალი და ღონე ჰქონდა იბრძოდა, მისი უზარმაზარი სხეული იგრიხებოდა და ძრწოდა; წამოიწევდა და ისევ მიწაზე ეცემოდა. ღმუოდა, ფრუტუნებდა.

აღარ აგიწერთ მაყურებელთა აღტაცებას: მღელვარებისაგან სულ შეიშალნენ. აბდული და ტაი მოვიხმარე, რომ დამე-

შოშმინებინა ისინი და შევდგომოდი ყველაზე ძნელ საქმეს — გამძლე და ტევადი გალიის გამზადებას, რომ დედა-შვილი მოთავსებულიყო შიგ. შვილი წლინახევრისა იქნებოდა, სიმაღლით — ორნახევარი ფუტი, იწონიდა ორას გირვანქაზე მეტს. დედამისი ორი ტონა იქნებოდა და სიმაღლით ოთხნახევარ ფუტს აღწევდა.

როგორც კი ხალხი დაშოშმინდა, აბდულმა ზოგიერთი მათგანი ახალგაზრდა ხეების დასაჭრელად გაგზავნა, ზოგს რატანის შეგროვება დაავალა, რამდენიმე კაცი კამპონგში აფრინა, რომ ყევარი კამეჩი შეებათ და მოერეკათ. დანარჩენები სამარხილე გზის გაკაფვას შეუდგნენ, რათა გალიაშემოდგმული მარხილი ადვილად გვეტარებინა.

აბდულს ვუთხარი, შეიძლება მთელ ღამეს მოგვიწიოს მუშაობამ, სანამ ნადავლს კამპონგამდე არ მივიტანთ-მეთქი. იმდენად იმის შიში არ მქონდა, რომ მარტორქები ხელიდან დაგვისხლტებოდნენ, რამდენადაც იმისა, თუ მათ ჯუნგლებში დავტოვებდით, ვეფხვებისა და ავაზებისაგან ვეღარ ვიპატივებდით. ამ რამდენიმე დღის წინ ორმოში ჩავარდნილი ტაპირი იქვე დავტოვეთ და დილას წამოსაყვანად რომ მივედით, მისგან არაფერი დაგვხვედრია. სულ არ მინდოდა ხალებიანებისა და ზოლებიანებისათვის დამეტოვებინა ასეთი ძვირფასი ნადავლი.

არსად მინახავს მალაელებზე მარდი ტყისმჭრელები. სამი საათიც არ გასულა, გალია უკვე მზად იყო.

პატარა მარტორქის გალიაში შელალვა ადვილი გახლდათ, დედამისმა კი საქმე გაგვიძნელა. ისევ ასე მოვიქეცით: გალიის ერთი თავიდან კარებისაკენ გავატარეთ თოკი. თოკის ის ბოლო, რომელიც ღია კარებისაკენ იყო, მარტორქას წინა ფეხებში ჩავაბით. მეორე ბოლოს კამეჩები მოვუბით, რომლებიც ნადირს გალიისაკენ ეწეოდნენ, ბადეს ჭრიდნენ და ცხოველს ათავისუფლებდნენ მისგან. ახლა იგი სავსებით უმწეო იყო და კარებთან მდგომი ხალხისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. როცა გალიაში შეაგდეს, კარი მიუგდეს, კამეჩებს თოკი მოხსნეს და კარებზე გამოაბეს იმ ვარაუდით, რომ ცხოველი ფეხზე

წამომდგარიყო. როგორც კი ფეხზე წამოდგა, თოკი მოქაჩეს და მარტორქა გალიის უკანა კედელთან მიაგდეს.

პატარა მარტორქას რამდენიმე კაცი იჭერდა. იგი ბადისაგან გამოხსნეს და კისერზე თოკი შემოახვიეს. ცოტა გაიბრძოლა, მაგრამ ძალა აღარ ეყო. ყოველგვარი გაჯანჯლების გარეშე მიათრიეს გალიასთან და დედასთან შეაგდეს. მერე საბოლოოდ ჩაკეტეს კარები, ამოაძვრეს მიწაში ჩარჭობილი მარგილები და პრიმიტიულ მარხილზე შემოდგეს გალია. ოთხი კამეჩი ეწეოდა. კამპონგის გზას მხიარული შეძახილებით გავუდექით, მალაელები სულ ცეკვა-თამაშით მოდიოდნენ.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა ტამ-ტამების პირველი ხმები მოგვესმა. სანამ კამპონგს მივატანდით, შუაღამემაც მოაწია.

ბორნეოზე

შევადგინე ჩემი სამხეცის მცხოვრებთა სია. გარეული მხეცები ცოტა აღმომაჩნდა. რამდენიმე ხნის წინათ გავყიდე ცხოველები და ახლა როგორმე უნდა შემევსო. ჰოდა, ახალი ექსპედიციისათვის შევემზადე. საოცარია: სწორედ იმ დღეს მიღებული სამი თუ ოთხი წერილით მოზრდილ ორანგუტანგებს მიკვეთდნენ. ამერიკას, ჰოლანდიას, ავსტრალიას — ყველას ორანგუტანგი უნდოდა. მხოლოდ ერთ წერილში მთხოვდნენ დაბეჯითებით, შემეპყრო ნისლა ვეფხვი.

ჩემი დაკვირვებით, ესაა ვეფხვის განსაკუთრებული ჯიში — ასე ჰქვია ტყავის შეფერილობის გამო. იგი ტყვეობაში დიდხანს ვერ სძლებს და მასზე გამუდმებული მოთხოვნაა ზოოლოგიური ბაღებიდან.

ორანგუტანგი მოიპოვება მხოლოდ ორ ადგილას — სახელდობრ, ბორნეოს კუნძულებსა და სუმატრაზე—თანაც, ამ კუნძულების გარკვეულ ადგილებში. ნისლა ვეფხვის შეპყრობასაც იქვე ვვარაუდობდი, სადაც ორანგუტანგს მოვინადირებდი. დილის ფოსტა ნამდვილ „ჭრელ მოჩვენებად“ მომეელინა, რომელიც ჰოლანდიის ბორნეოსაკენ მიმითითებდა. გადავხედე გემების მოძრაობის განრიგს და ხსი-ჩუ-აის ვუხმე.

— ჩუ, — ვუთხარი მას, — სამი დღის შემდეგ პონტიანაკს* მივემგზავრებით. რამდენიმე მოზრდილი ორანგუტანგი უნდა შევიპყრო.

---

* პონტიანაკი — ქალაქია კუნძულ ბორნეოს დასავლეთ ნაწილში.

ხსი-ჩუ-აის აუმღვრეველ სახეზე მისი ფიქრების ამოცნობა შემეძლო. ამჯერად იგი დანაღვლიანდა, თვალები დახარა და დამაშტერდა მარჯვენა ფეხზე, რომელიც კინაღამ დავკარგე ამ ხუთი წლის წინათ, როცა დიდი ორანგუტანგი კოჭში მწვდა.

— მე გთარსავ შენ. ტუან... — ჩაიბურდღუნა მან.

გავიცინე და მალაური ანდაზა შევახსენე: „რაც გუშინ გთარსავდა, ხვალ ეგებ ოქრო მოგიტანოს“. ხსი-ჩუ-აი ისევ თავის აზრს ადგა, მაგრამ გამომემშვიდობა და ხუთდღიან გზაზე წასასვლელად შემზადებას შეუდგა.

დავიჭირე ადგილი „ციკლოპზე“. მიუხედავად დიდებული სახელისა, ეს გახლდათ უბრალო ჩინური საბარგო ხომალდი, ოღონდ კაპიტანი ინგლისელი იყო. არსებობს ასეთი კანონი — გემი, რომლის წყალწყვა ას ტონას აღემატება, ევროპელებმა უნდა მართონ — უნდა ჰყავდეს ევროპელი კაპიტანი და ევროპელი მთავარი მექანიკოსი. კაპიტნებად თითქმის სულ ინგლისელები იყვნენ. „ციკლოპის“ კაპიტანთან არა ერთხელ მიმგზავრია, გვარად უილკინსონი იყო. მას გააჩნდა ერთი განსაკუთრებული თვისება, რომლის დავიწყება არავის შეეძლო, ვინც კი ერთხელ მაინც შეხვედრია მას. ეს გახლდათ ხელის ჩამორთმევა — ჩამოგართმევდათ და ლამის სულს ამოგხდიდათ.

ახლა, როცა ბორტზე ავედი, მხოლოდ ორი თითი გავუწოდე.

— თქვენ ორანგუტანგის ტოტი გაქვთ, — გავიცინე მე.

— ჰოდა, უნდა მიამბოთ, რა გადაგხდომიათ ნადირობისას, — სიცილითვე მომიგო მან.

სადილად კაპიტნის ბოგურაზე მიმიწვია. შუა პურისჭამაში მკითხა:

— გაიგეთ თუ ვერა, რომ ორანგუტანგებს უნდა ჩამოეხსნათ?

— ორანგუტანგები რომ არა, — მივუგე მე, — ახლა თქვენთან არ ვიჯდებოდი.

— შეისმინეთ ჩემი რჩევა, მაიერ. ხომ ნამდვილია, რომ თქვენ წამოაქციეთ ხე, რომელზედაც ორი ორანგუტანგი იჯდა და მერე მაიმუნებს ბადე ჩამოაცვით?

მე თავი დავუქნიე.

— მერე ერთი მათგანი კოჭში გწვდათ და ფეხი კინაღამ წაგაჭამათ!

უნდა ვაღიარო, რომ მართლაც ამ ისტორიის შემდეგ ოთხი თვის განმავლობაში ვკოჭლობდი, იხვივით დავგვადუნობდი.

— გეყოფათ, — განაგრძო მან. — ყური უგდეთ ძველ მეზღვაურს. იკმარეთ ეს გაკვეთილი და დაეხსენით მაგ ბებერ ორანგუტანგებს. თუ ასე აუცილებელია ისინი თქვენთვის, მაშინ პატარები დაიჭირეთ და გამოზარდეთ.

— მაგას დიდი ლოლიაობა დასჭირდება, რაც მე არ მჩვევია, — ვიუარე მე, — პატარა ორანგი ბავშვზე ნელა იზრდება, მე კი მოზრდილებს ვეძებ.

კაპიტანმა ამ ამბავს მოაყოლა, რაც ადგილობრივ მკვიდრთ უამბნიათ მისთვის ორანგუტანგის ძალის თაობაზე: რომ ისინი ნიანგებსაც არ ეპუებიან და თავს ესხმიან. ერთ ხელს ზედა ყბაში სტაცებენ, მეორეს — ქვედაში და შუაზე გაფხრეწენ... მე თვითონაც მსმენია ასეთი რამეები ჰოლანდიის ბორნეოში. არა მჯეროდა. მაგრამ ჩემი დაიაკები იჯერებდნენ და უილკინსონსაც სჯეროდა. უილკინსონს ორანგუტანგის მახრჩობელა გველებზე თავდასხმის ამბავიც სჯეროდა. იქაურებმა უამბეს კაპიტანს, რომ მაიმუნები თავს ესხმიან პითონებს და სასიკვდილოდ ფლეთენ. მგზავრობის უკანასკნელ დღეს შეზარხოშებული უილკინსონი შეეცადა გამოეტყუებინა ჩემთვის აღთქმა, რომ თავს საფრთხეში არ ჩავიგდებდი. ვერაფრით ვერ დავაჯერე, რომ მცირეოდენი საფრთხე და რისკი ჩემი პროფესიის განუყოფელი ნაწილია.

ხუთი წელი იყო, პონტიანაკში არ ვყოფილვარ, მაგრამ ძალიან მცირედ შეცვლილიყო იქაურობა. იგი ჰგავს ქვეყნის ამ ნაწილის რომელიც გნებავთ ქალაქს. არის ადგილობრივ მკვიდრთა კვარტალი და ევროპელების კვარტალი. ევროპულ კვარტალში გაშენებულია ქვის სახლები, ეზოები ტროპიკული მცენარეულობითაა დაბურული.

ჰოლანდიელები წესრიგს ამყარებენ, სცემენ მარტივ თუ რთულ კანონებს და თვალი უჭირავთ, რომ ზუსტად იქნეს დაცული ეს კანონები. ჰყავთ ჯარი, რომელიც შედგება კაცთა მოდგმის ნაძირალებისაგან: აღმოსავლეთში ლტოლვილ ევ-

რიპელთაგან, რომლებსაც იზიდავთ უდარდელი ცხოვრება; იყვნენ აგრეთვე მეტისები და ნაირ-ნაირი სისხლშერეული ხალხი. ყველა გახვეული იყო სამხედრო ფორმაში და ისე იყვნენ გაწვრთნილები, რომ კარგი არმიის შესახედაობა ჰქონდათ. ერთგვარ პატივისცემასაც კი აღძრავდნენ.

ბორნეოში ჩასვლის უმალ ჰოლანდიის რეზიდენტს მივაშურე და მივიღე ოფიციალური ნებართვა ქვეყნის შუაგულში შესაღწევად. მოვინახულე ჩემი ძველი მეგობარი ვან-ემვანი, რომელსაც რეზიდენტის პოსტი ეჭირა. ხუთი წლის წინ იგი ოლქის ექიმი იყო და სწორედ მის სახლში მოვიკეთე ორანგუტანგთან შეჭიდების შემდეგ. როცა გაიგო, რომ ისევ ორანგუტანგებზე სანადიროდ მივდიოდი, გახალისდა და აღშფოთდა ერთდროულად. თავიდან ცუდად ვაგებინებდით ერთმანეთს — ის ცუდად ლაპარაკობდა ინგლისურად, მეც ჰოლანდიური არ ვიცოდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ორივენი მალაურ კილოკავზე გადავედით — ორივემ კარგად ვიცოდით ეს ენა.

დაწვრილებით გამომკითხა ორანგუტანგის ზნე, რაც მეცნიერული თვალსაზრისით აინტერესებდა. მე კი ვკითხე — რომელი უფრო ახლო დგას ადამიანთან ანატომიურად — შიმპანზე, გორილა, გიბონი თუ ორანგუტანგები-მეთქი. მიპასუხა:

— პირდაპირ პაპათქვენზე ვერ მიგითითებთ. ისე, გიბონის კბილები ძალიან ჩამოჰგავს ჩვენსას, გორილა სიდიდით უახლოვდება კაცს, შიმპანზეს კი თითქმის ისეთივე ხერხემალი აქვს, როგორც ადამიანს; ორანგუტანგისა კი ტვინი უახლოვდება ადამიანის ტვინს. თუმცა, ყოველი ადამიანის ტვინი — ვთქვათ, თქვენი — გაცილებით მძიმეა, ვიდრე ზრდასრული ორანგუტანგის ტვინი.

— დიდი მადლობელი ვარ, ექიმო, — ვუთხარი მე.

მან გაიღიმა და შემიპატიჟა მასთან დავმდგარიყავი, სანამ სანადიროდ გავემგზავრებოდი მდინარის აღმა. სამწუხაროდ, უარი უნდა მეთქვა, — წესიერი ტანსაცმელი არ გამაჩნდა. ჰოლანდიელი ჩინოვნიკები ატარებენ სამხედრო ყაიდის თეთრ კიტელებს. „დხობები“ ურეცხავენ საპნით — ქვაზე სცემენ და მზეზე ჰფენენ, სანამ არ გამოქათქათდება.

ისევ სასტუმროში დავდექი. მომცეს ერთი ციცქნა ოთახი, რომელსაც ცალკე ვერანდა და აბაზანა ჰქონდა. პიჟამა გადავიცვი, ვერანდაზე გამოვედი და ტახტზე გავიშოტე. ვსაუბრობდი ადგილობრივ მცხოვრებლებთან და მომავალი ექსპედიციისათვის დავალებებს ვიძლეოდი.

განსაკუთრებით ხანგრძლივი საუბარი მქონდა მუჰამედ ტაისთან, ჩემს დიდ მეგობართან, რომელიც გარეული მხეცებით ვაჭრობდა. მან ჩემს მაგივრად მოამზადა ექსპედიცია და წინდაწინ გაგზავნა ნავი მდინარის სათავისაკენ — თორმეტი დღის სავალი მაინც იქნებოდა — რომ შეეტყობინებინა ტუანის ჩამოსვლა ჩემი ძველი მეგობრისათვის — მუჰამედ მუნშისათვის. მუნში კამპონგის თავი გახლდათ. უფრო ზევით, მდინარის აღმა, მყავდა კიდევ ერთი მეგობარი — ომარი, ისიც კამპონგის უხუცესი იყო; სწორედ მისი სოფელი ავირჩიე „საოპერაციო ბაზად“ ორანგუტანგებზე ნადირობისას.

ტაიმ ბავშვივით გაიხარა. იყიდა ჩემთვის მარილი, ბრინჯი, ხმელი თევზი და დამიყოლია, ერთი იმდენი კიდევ დამემატებინა თამბაქოსა და ასანთის მარაგისათვის.

— პატარა ცეცხლოვანი ჩხირები მდინარის სათავეში მცხოვრებ ჩემს მეგობრებს გააბედნიერებენო, — მეუბნებოდა იგი. — თამბაქო კი უხდება ბეტელის ღეჭვას შეჩვეულ კბილებსო.

— როცა შენს მეგობრებს საჩუქრებს ჩამოვურიგებ, ვეტყვი, რომ ტაის გულმა ფართოდ გადაშალა ტუნანის ქისა. — მივუგე მე.

ხელზე ხელი მტაცა და შუბლთან მიიტანა. დავრწმუნდი, მან ყველაფერი გააკეთა, რათა მოხერხებულად მემგზავრა. ნუზლისათვის ცალკე ნავი გვქონდა, ჩემს ნავზე კი კარავი იყო გამართული. ჩემი ჩინელი ბოი შეეჩვია ამგვარ მგზავრობას. როცა გზას დავადექით, ყუთში გაჩაღებულ ცეცხლზე უკვე ჩუხჩუხებდა ჩაიდანი. ბოისა მშურდა — საქმე გაიჩინა. სიამოვნებით წავაშველებდი ხელს, მაგრამ ეს შეუძლებელი გახლდათ — იქაურების თვალში „კასტას დავკარგავდი“. არადა, ოცდღიანი უსაქმობისათვის ვიყავი განწირული.

ტროპიკული მდინარეები საოცრად ერთფეროვანია. გამუდმებით მივცურავთ ორ მწვანე კედელს შუა. როცა მარჯვნიდან ან მარცხნიდან ნაკადულები ერთვიან, ისეა მათზე გადახლართული მცენარეულობა, თითქოს მწვანე გვირაბიაო. მოშორებით, ასე, სამ იარდზე, გაუტეხელი სიბნელეა. ისმის მაიმუნების ყვირილი და ყაყანი, ზოგჯერ მოისმის ფარშევანგების ჩხავილი, უფრო იშვიათად — ჩიტების გალობა.

ფარშევანგები სანაპიროზე მირონინობენ, გაუშლიათ თავიანთი ნაირფერი ბოლოები; მფრინავი თევზები წყალს ზემოთ შეუხტებიან ხოლმე, შაგრამ მაინც გრძელი დღეები მოსაწყენად, ერთფეროვნად გადიან.

მე დუმილს მივეჩვიე. როგორც კი ავემძრახებოდი მენიჩბეებს — მაშინვე თავს ანებებდნენ ნიჩბებს, რომ ჩემი გაეგონათ და თავისი ეთქვათ — ამასობაში მდინარება თავქვე მიგვაქანებდა, ასე რომ, მე ლაპარაკის მოყვარული რომ ვყოფილიყავი, ხელად დავბრუნდებოდით პონტიანაკში. კაპიტანმა უილკინსონმა გამოთხოვებისას მაჩუქა ჩემბერსის „ედინბურგის ჟურნალის“ ძველი ეგზემპლარი — 1848 წლის კომპლექტი, ერთ სქელ წიგნად აკინძული. ეს გახლდათ პირველი ლოკომოტივისა და ორთქლის გემების წლები. მგზავრობისას მეჩვენებოდა, რომ დრომ უკან დაიხია. ვიწექი ლეიბზე და ვფურცლავდი შეყვითლებულ გვერდებს მენიჩბეების გამოზომილი, საოცარი და შეუწყობელი სიმღერის ხმაზე.

მეთორმეტე დღეს, საღამო ხანს, შორიდანვე მოვკარი თვალი მუჰამედ მუნშის კამპონგს. პისტოლეტი ამოვიღე და ჰაერში გავისროლე. ეტყობა, მუნშის ჩემი მოლოდინი ჰქონდა, რადგან პისტოლეტის ლულას ჯერ ისევ ბოლი ასდიოდა, როცა გამოჩნდა გრძელი მორანავი. ნავში მსხდომნი ყვირილით იქნევდნენ ჭოკებს და ბიძგით სძრავდნენ ნავს, თითქოს მთელი წყლის ამოხაპვა უნდათო. რამდენიმე წუთის შემდეგ დაგვიპირდაპირდნენ: ნავში მარტო მუნში კი არა, ომარიც აღმოჩნდა. ხელად წამოხტნენ ადგილიდან, ხელი წაატანეს ჩემი კარვის ბამბუკის სახურავს და ნავში გადმოხტნენ. რიგრიგობით მიჰქონდათ ჩემი ხელი შუბლთან, ღიმილად დნებოდნენ, რო-

გორც ბედნიერი ბიჭუნები. ასეთმა გულითადმა დახვედრამ გამახალისა.

აღმოჩნდა, მუნშიმ ომარს ოთხი დღის სავალზე გაუგზავნა მაცნე, რათა შეეტყობინებინა ჩემი მოსალოდნელი სტუმრობა და ომარიც დაჰყვა მდინარებას ჩემს შესახვედრად. ნაპირზე გამოეფინნენ გახარებული ქალები, კაცები, ბავშვები — ირგვლივ მხოლოდ ღიმილი იდგა.

სამხრეთელი დაიაკები სულ არ ჰგვანან თავის ჩრდილოელ თანამეტომეებს. ეს ხალხი უბრალოა, მიმნდობი და პატიოსანი. ძნელი დასაჯერებელია, რომ სულ რაღაც ოციოდე წლის წინ ისინი ადამიანზე ნადირობდნენ და სიმამაცის შესამატებლად მტრის გულს შეექცეოდნენ. ესენი მაღლები არიან, ვიდრე ჩვეულებრივი მალაელები, კანის ფერი მოყვითალო-მოყავისფრო აქვთ.

მამაკაცებს ეკეთათ კეინი — თეძოზე შემოსახვევი არდაგი. ქალებიც წელამდე გაშიშვლებულები იყვნენ, ეცვათ ჩითის სწორი ქვედაკაბები, დამაგრებული ჰქონდათ რატანის ქამრით. აქაურები ნაკლებ სამკაულებს ატარებენ, ვიდრე კუნძულის სხვა ნაწილის მცხოვრებნი, მაგრამ ამათ ხელ-ფეხზედაც წკარუნობდა მძიმე სამაჯურები და დასტანგები. ბალღები ტიტლიკანები დარბოდნენ.

ძალიან მესიამოვნა, რომ ჩემთვის უკვე აეშენებინათ ხიმინჯებზე შედგმული და პალმის ფოთლებით გადახურული ბამბუკის სახლი. სულ ერთი ოთახი იყო. საბედნიეროდ, ბორნეოს ამ კუთხეში უკვე გაქრა საშინელი წარმართული ჩვეულებები. კაიანებსა და კენიებს მრავალი წლის წინათ ისეთი ჩვეულება ჰქონდათ, რომ გითხრათ, თმები ყალყზე დაგიდგებათ: სახლის პირველი ხიმინჯის ჩარჭობისას ბოძის ჩასასობ ორმოში ატნევდნენ ახალგაზრდა მხევალს — ჩასვამდნენ შიგ და ძელით ჩაჩეჩქვავდნენ ხოლმე. ეს გახლდათ ბოროტი სულების გულმოსაგები მსხვერპლი, რათა ამ სახლში დაბინავებული ოჯახისათვის ვნება აღარ მიეყენებინათ. მერე და მერე ქალიშვილის ნაცვლად ცხოველს ან ფრინველს სწირავდნენ.

ყოველ შემთხვევაში, მე არ მჭირდებოდა დემონებისაგან თავდაცვა: მე ხომ ჯადოქრად მთვლიდნენ. ხუთი წლის წინ აქ

დიხამიტი ავაფეთქე მდინარეში. დაფეთებულ თევზებს ათასობით იჭერდნენ და შესანახად ამზადებდნენ. აფეთქებამ ნიანგიც კი ამოაბრუნა. ჰოდა, რა უხდა დაეკლო ჭინკებს ასეთი ყოვლისშემძლე თეთრი ადამიანის სახლისათვის?

ყველა მთხოვდა რაიმე სასწაული ჩამედინა. ადრევე მოვემზადე საამისოდ და სულ მალე მოვაწყვე კიდევ ერთი თევზაობა. ყოველთვის სინდისი მქენჯნიდა, როცა თევზს ასე არასპორტული საშუალებით ვიჭერდი, მაგრამ რა უნდა მეღონა? ასეთი თევზაობა აიძულებდა იქაურებს ეღიარებინათ ჩემი ჯადოსნობა და ისინიც მოწიწებით შემომციცინებდნენ, ლამის იყო, მეთაყვანებოდნენ კიდეც.

ერთი რამ აფერხებდა დაიაკებთან ჩემს ურთიერთობას — ცუდად ვფლობდი მათ ენას. მართალია, საუბარში ვარჩევდი რამდენიმე მალაურ სიტყვას, მაგრამ საერთოდ იმდენად განსხვავებული იყო მალაურისაგან, რომ ისევ თარჯიმნებს — მუნშისა და ომარს მივმართავდი ხოლმე.

მუნშის ვთხოვე, ყველასათვის გამოეცხადებინა, როგორც კი ჩამობნელდება, მთელ კამპონგს ძალიან საინტერესო რამეს ვაჩვენებ-მეთქი.

— ქალებს უთხარით, ბავშვებს ნუ დააძინებენ, სანამ ჩემს სასწაულს არ იხილავენ.

ბავშვები მარტო იმიტომ კი არ მომიწვევია, რომ გამეხარებინა ისინი, არამედ იმიტომაც, მათთვის ძილი არ გამეფრთხო მოულოდნელი გრუხუნით.

უცებ ჩამობნელდა — როგორც სჩვევია ტროპიკებს. ჩინური კერპის შეუმღვრეველი სახით მომიტანა ჩუ-აიმ ყუთი. ყუთში ყველაფერი იყო ფეიერვერკის მოსაწყობად.

კამპონგის მცხოვრებნი ნახევარწრედ ჩავამწკრივე (დამავიწყდა მეთქვა, სულ ასორმოცდაათ კაცამდე იქნებოდა) და ვუჩვენე თავაზიანობის გაკვეთილი: პირველ რიგში დავსხი ბალღები, მერე ქალები და მათ უკან დავაყენე მამაკაცები.

ჩუს დახმარებით იქაურებს მცირეოდენი „ბენგალიური ცეცხლი“ ვაფრქვიე. ბღუჯა-ბღუჯა ცეცხლს თარგის მიხედვით ვისროდი, იმ ადგილიდან კი, სადაც მე ვიდექი, ცეცხლის სწორი გზა გავაკეთე. როცა ყველაფერი მოვამზადე, გადავწყვიტე, უმ-

ჯობესი იქნებოდა რაიმე წესი დამეცვა; ამიტომ მოვყევი ხელების ქნევას და სიმღერას:

„ერთი თხა ჰყავდა ბებიას...“

ამის მერე ასანთი მივიტანე იმ წერტილთან, სადაც თავს იყრიდა დენთის გზები. თეთრი ალი გასრიალდა მიწაზე და იქაურობა ჯერ წითლად, მერე მწვანედ გაანათა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, უცებ სიწყნარე ქალის წამოკივლებამ გაჰკვეთა — ჯადო გაქრა, ბავშვებმა მოცოცხეს, დედები გამოუდგნენ. მამაკაცებს ფეხი არ მოუცვლიათ — გაქცევას ნაკლები გულადობა როდი სჭირდებოდა, ვიდრე ადგილზე დარჩენას.

დაიაკებს სძულთ ლაჩარი. ისინი იცინოდნენ, თავისი სიმამაცე რომ ეჩვენებინათ—შეიძლება იმისთვისაც, შიში რომ დაეფარათ. ერთმა ჩამომჭკნარმა მოხუცმა ყელი მოიღერა და დაიაკების ძველებური საომარი მოძახილი წამოიწყო. საოცარი კილო იყო — ჯერ წყნარი ხმით იწყებდა, მერე აუწევდა, ჰერე ისევ მიწყნარდებოდა და ბოლოს ისევ ძლიერდებოდა.

ამის მერე უკეთესი სანახაობა ვაჩვენე — გავისროლე ორი იარდის სიგრძის ჩინური რაკეტები. პატრუქს ბოლოზე ცეცხლი წავუკიდე და რაკეტები აფეთქდნენ, ზემოთ ავარდნენ წყვილ-წყვილად, სამ-სამად და ჰაერში გასკდნენ. დაიაკები აღტაცებისაგან სულ გადაირივნენ. ახალგაზრდებმა ცეკვა წამოიწყეს და სანამ უკანასკნელი რაკეტა არ აფეთქდა, ასე როკავდნენ.

როცა ყველაფერი მიწყნარდა, მოვიწვიე ისინი ჩემ ირგვლივ და მუნშის თარჯიმნობა დავაკისრე. ვუთხარი, რომ ორანგუტანგებისათვის ჩამოვედი, ცოცხლად უნდა შევიპყრომეთქი.

იქაურებთან გამოსაუბრების მერე მუნშიმ მითხრა:

— მაგათ ყველაფერი ავუხსენი, ტუან, და მზად არიან ისე გემსახურონ, როგორც შენი საკუთარი ხელის თითები. მაგრამ ამბობენ, ეგ გარეული ნადირები უშნოები არიან, თანაც გაუმაძღრებიო. როცა საჭმელს შესანსლავენ, აღარ მუშაობენო.

გეკითხებიან, რად გინდა ამ საძაგელი ცხოველების წაყვანა, რატომ უნდა აჭამო ტყუილუბრალოდო.

ცოტა დავფიქრდი და მივუგე:

— შორეულ ქვეყნებში მიაჩნიათ, რომ კარგია, თუ ბავშვები და მოზარდები უყურებენ ჯუნგლების ცხოველებს.

მან თავი დამიქნია:

— ვეტყვი, რომ შენს სამშობლოში თვალის ტკივილს გარეული მხეცის ყურებით კურნავენ.

ამ პასუხმა ისინი სრულიად დააკმაყოფილა და ოცმა კაცმა შემომთავაზა მომხმარებოდა ხაფანგისა და ასმანაკების დამზადებაში. უკვე ვეღარ ვითმენდი — მინდოდა ავყოლოდი მდინარეს ჩემს ორანგუტანგებთან — მათ უკვე ჩემებად ვთვლიდი — და მთელი სამზადისი მუნშის მივანდე.

ომარის კამპონგის მცხოვრებნი კიდევ უფრო კეთილები და უბრალონი არიან. მრცხვენოდა მათ წინაშე ჯადოქრის როლის გათამაშება და ფეიერვერკითა და დინამიტით გამებრიყვებინა ისინი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა — ისევ თავიდან მომიწია ყველაფრის გამეორებამ.

ერთი ყმაწვილი, სახელად იუსუფი, სრულიად მოიხიბლა ჩემი სასწაულებით. ისეთი მოწიწებით ასრულებდა ჩემს ბრძანებებს, თითქოს ჩემი პირით თვითონ ღმერთი ღაღადებსო. მის მეგობრებსაც გადაედოთ ეს მოკრძალება და მე არასოდეს მყოლია ასეთი გულმოდგინე მუშები.

ომარს ვუთხარი, რომ ხეზე დაგებული ხაფანგით უნდა შემეპყრო ზრდასრული, კარგი, მამალი ორანგუტანგი. ქვიშაზე ნახაზი გამომყავდა და თან ვუხსნიდი, რომ ეს ოთხკუთხედი ყუთისებური მახე ხეზე უნდა მოეწყოს, ცალ მხარეს ანჯამებიანი ასაწევი კარი უნდა ჰქონდეს, რომელიც სურვილისამებრ გაიღება და დაიხურება. ყუთს ორსავე მხარეს მიეჭედება გადაჯვარედინებული ორი ჯოხი. ზედ ქანქარასავით მოეწყობა ჭოკი, რომელიც კარსაც დაიჭერს. ჭოკის თავისუფალ მხარეს (რომელიც კარებზე არაა მიმაგრებული) მიებმება ბამბუკის ტოტი, რომელიც თავის მხრივ გარჭობილი იქნება გალიაში და დამაგრდება მარყუჟით. ამ მარყუჟზე ჩამოვაბამ რაიმე ხილს.

როცა მაიმუნი ხილს წაეტანება, მარყუჟი გაიხსნება, ჭოკი აყირავდება და კარი დაიხურება (სათაგურის სისტემით).

ამგვარი მახეების უპირატესობა ისაა, რომ ცხოველის გადასაყვანადაც გამოდგება. გალიას რატანით გადახლართული ბამბუკის ჯოხებისაგან ვამზადებდი. კილოები, რომელზედაც კარი მაგრდებოდა, მსხვილი ბამბუკის ღერისა იყო, ცალი მხრიდან იმგვარად ჩაჭრილი, რომ განივკვეთიდან „C"-ს წააგავდა. კარს მაგარი ანჯამები ჰქონდა, რომლითაც იგი იკეტებოდა. ყურადღებით ვადევნებდი თვალს, რომ გალიები წესრიგში ყოფილიყო, რათა თავიდან ამეცილებინა ის უსიამოვნებანი, რაც სინგაპურში შემემთხვა.

... ორი მოზრდილი ცხოველი გავყიდე. მყიდველმა ისინი ფიცრის სატრანსპორტო ყუთებში მოათავსა. მისტერ ჰაასმა, სასტუმროს პატრონმა, ნება მისცა მხეცები დროებით სასტუმროში დაებინავებინა, თეატრალურ სანახაობათა დარბაზში, სადაც სცენა იყო გამართული და დეკორაციები მოეწყოთ.

ერთ დილას, გათენებისას გამაღვიძეს: ორივე ორანგუტანგი გალიიდან გამოვიდაო. ეგებ შევძლო მათი დაჭერა... სანამ ფაციფუცით ვიცმევდი, ვბრძანე შეეკრიბათ ხალხი და ყველასათვის მიეცათ რატანის წკეპლა და, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოეძებნათ ტამ-ტამები. რიქშა გაოცებული იყო; მანძილი სასტუმრომდის სარეკორდო დროში დაფარა.

მდგომარეობა არც ისე უიმედო აღმოჩნდა. მართალია, ცხოველები გალიებიდან ამოსულიყვნენ, მაგრამ დარბაზიდან გასვლა ვერ მოესწროთ — კარ-ფანჯრები დაგმანული იყო. რამდენიმე მალაელი — სასტუმროს მსახურები — მზად იყო მომშველებოდა. ყველას ეჭირა წკეპლა და ტამ-ტამი. ერთი მათგანი, ვგონებ, მზარეული, ტამ-ტამის ნაცვლად შეიარაღდა უშველებელი ტაფით და ლითონის კოვზით. მეც ავიღე წკეპლა და ტამ-ტამი, შევაღე კარი და სასწრაფოდ მივჯარე ჩემს უკან. ოთხწლიანი დედალ-მამალი ორანგები იქაურობას ათვალიერებდნენ. რიყეზე გარიყული თევზებივით გრძნობდნენ ისინი თავს: მათი სტიქია ხეებია. მხოლოდ იქ გრძნობენ თავს კარგად, სადაც მრავლადაა ხეები და სადაც შეიძლება ფოთლებიდან ნამის შესრუტვა. აქ, დარბაზში, ისინი ნება-

ნება სეირნობდნენ, აქეთ-იქით აბრუნებდნენ თავს და შეცბუ-ნებულები აფახულებდნენ წვრილ, მუქ თვალებს. როცა ამარ-თულად იდგნენ, მათი არაჩვეულებრივ გრძელი ხელები იატაკს სწვდებოდა. მომუშტულ ხელებზე ისე დადიოდნენ, თითქოს ყავარჯნები მოუმარჯვებიათო.

როცა მათთან შევედი, სეირნობა შეწყვიტეს, ერთმანეთს მიეკვრნენ და მომაჩერდნენ. ტამ-ტამს შემოვკარი. ცალი ხელი წინ გამოიშვირეს, თითქოს უნდათ დარტყმა აიცილონო.

— უფ, — ფრუტუნებდნენ ჩახლეჩილი ხმით, — უფ!

დანარჩენებსაც ვუხმე. ვბრძანე: „შეიმწყვდიეთ ღია გალი-ებში. ნუ შეუშინდებით, იხმაურეთ, რაც შეგიძლიათ“.

მხედველობიდან გამომრჩა, რომ ხალხი სცენის წინ ჩამემწკ-რივებინა. ორანგები საოცარი სისწრაფით შეცვივდნენ სცენა-ზე და მუყაოს ხეებზე აცოცდნენ. იქვე ჩამოსხდნენ და ზემო-დან ჩამოგვყურებდნენ.

— დასცხეთ ტამ-ტამებს, — მივაძახე დანარჩენებს, — იხმაურეთ, რაც შეგიძლიათ.

უკვე მივხვდი, რაც მოხდებოდა: ორანგები ერთი დახატუ-ლი ტოტიდან მეორეზე ხტებოდნენ, შეღებილი ტილო მთელ სიგრძეზე გაიფხრიწა, ხის ჩარჩოები იატაკზე ჩამოცვივდა, ორანგებიც თან ჩამოჰყვნენ.

იატაკზე დაენარცხნენ, მაგრამ არაფერი მოსწევიათ. ერთი წამის შემდეგ მეორე ტოტზე ჩამოეკონწიალნენ. როგორც კი ტოტი მოხლეჩაზე მიდგებოდა, გრძელ ხელებს გაიწვდენდნენ და ახლა მეზობელ ტოტზე გადაინაცვლებდნენ. ასე დახტოდ-ნენ ტოტიდან ტოტზე, სანამ ყველაფერი, რაც დიდებულ ტროპიკულ ადგილს წარმოსახავდა, ნაკუწებად არ აქციეს. დოლის ბრაგუნში ჩამესმა კარებზე ცემა.

— შემოსვლა არ შეიძლება, — დავიღრიალე მე.

ეს გახლდათ მისტერ ჰაასი, სასტუმროს პატრონი.

— დეკორაციებს მოუფრთხილდით, — გაიძახოდა იგი, — უყურეთ, არაფერი მოეწიოს.

— რაც შემიძლია, ვეცდები, — მივუგე მე.

როცა დეკორაციებიდან აღარაფერი დარჩა, საქმე კარგად წავიდა. იქაურობა ხმაურით გავაყრუეთ. ხვადი ბამბუკის ჯოხ-

ზე მწვდა. მივანებე ჩემი ჯოხი და მეორე ავიღე. იგი შეშინდა და ხელი უშვა. ჯოხით რომ გამოგვდგომოდა, შეიძლება დავეჯაბნეთ. ამ ცხოველებს კოლოსალური ძალა აქვთ, მაგრამ სულ არ იციან მისი მოხმარება. გვარიანად დავიღალეთ, სანამ გალიებში შევყრიდით. ტროპიკების პირობაზე ძალიან ცხარე დღე დაგვადგა. დამწყვდეული ორანგები კი დიდი ყლუპებით სვამდნენ წყალს, შეექცეოდნენ პურის ხის ნაყოფს, და „უფ, უფო", — გაიძახოდნენ, თითქოს კარგად მოილხინესო.

ისინი — განსაკუთრებით ხვადი — იოლად ამოსულიყვნენ გალიიდან. ხვადს ერთი ფიცრისთვის პატარა ბზარი უპოვია, მერე ღოჯებით ხიწვების ახლეჩას შესდგომია. გამოაცალა ერთი, ორი და ასე გაღრღნა მთელი ფიცარი. როცა მეორე გალიას შეეტოტა, შეიძლება შემთხვევით გააღო კარის საკეტი.

სიამოვნებით ვფიქრობდი ხოლმე, რომ ვერავითარი ღოჯი ბამბუკს ვერაფერს დააკლებს-მეთქი. და, საერთოდ, ომარის სოფელში დამზადებული გალიებისა არ მეშინოდა. ცხადია, ვფიქრობდი, რომ თუ ზრდასრული ხვადი აამოქმედებდა თავის გრძელ ხელებს, წინ ვერ დაუდგებოდა ვერავითარი რატანის თოკი და მთელი გარჯა წყალში ჩაგვიცვივოდა, მაგრამ ორანგები ხელებს არ ხმარობენ, ხელებით ჩხუბი არ იციან. მათი თავდასხმა ასეთია: მსხვერპლს წაეტანებიან, ჩაბღუჯავენ და ჰკბენენ. როცა ხეზე საწოლს იწყობენ, ტოტებს ისე კი არ ამტვრევენ, როგორც ადამიანები: ამას რაღაც თავისებური მოძრაობით აკეთებენ—წაეტანებიან და თავისკენ მოქაჩავენ. მერე საოცარი სისწრაფით გადააჯვარედინებენ ხოლმე ტოტებზე. მაგრამ მე ყოველთვის მაოცებდა არა ის, რასაც აკეთებენ, არამედ ის, რომ მიუხედავად საოცარი ძალისა, რა ცოტა რამის გაკეთება იციან. ტყვეობაშიც, როცა მათ წვრთნიან, ძალიან მძიმედ იწვრთნებიან. შიმპანზე ბევრ ისეთ რასმე სწავლობს, რასაც ვერასოდეს ვერ დასძლევს ორანგუტანგი.

იმ ნიმუშების მიხედვით, რომლის მოწვნასაც თვითონ ვადევნებდი თვალს, ომარმა დაამზადებინა ბამბუკის რამდენიმე მახე, აგრეთვე გალიები შეპყრობილი ცხოველებისათვის. მუნშის კამპონგში მოვბრუნდი დასახედად, თუ როგორ მიდიოდა საქმეები. იქ ძალიან გამახარეს: დამახვედრეს შესანიშ-

ნავი ნისლა ვეფხვი, სწორედ ისეთი, როგორზედაც ვოცნებობდი. იგი ზოოლოგიურ ბაღში რომ მენახა, ერთი შეხედვით მექსიკურ გარეულ კატად მივიჩნევედი. მაგრამ ეს გახლდათ მუქი ნაცრისფერი და ოკრობოკრო შავი ზოლები დაუყვებოდა, მექსიკურ კატას კი ზოლები წრიულად მიჰყვება და ცენტრში იყრიან თავს, თითქოს ყვავილიაო.

ხალებიანი (ნისლა) * ვეფხვი კატისებრთა ოჯახის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ბორნეოზე, მაგრამ სიდიდით ავაზას არ აღემატება და არც ისე შმაგია. მე ვიცნობდი ერთი კაპიტნის ცოლს, რომელსაც სახლში ჰყავდა ასეთი ვეფხვი. ჯერ კიდევ ლეკვი მიუყვანიათ მისთვის. მართალია, საყელური ეკეთა და ჯაჭვი ჰქონდა გამობმული, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ქათმებს ეტანებოდა. სხვაფრივ ისე ეპყრობოდნენ, როგორც დიდ კატას, თვითონაც კატასავით იქცეოდა: ენაოდა, კრუტუნებდა, როცა კმაყოფილი იყო; კუდს აიბზეკდა, როცა ჭამისას ვინმე მიუახლოვდებოდა.

შესანიშნავი ეგზემპლარი შეეპყრო მუნშის. მოგვიანებით იგი ავსტრალიაში გავგზავნეთ.

მუნშის მიერ დაჭერილ ცხოველებში ერთი გრძელცხვირა მაიმუნიც ** ერია. იგი ორნახევარი ფუტის სიმაღლისა იყო, ცხვირი კი მთელი სამი დიუმის სიგრძისა ჰქონდა. ჩემი მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე მხოლოდ ოთხი ამგვარი მაიმუნი დამიჭერია. ისინი მაიმუნების მოდგმიდან, გიბონებს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე მფრთხალები არიან. ძალიან უშნო სიფათები და საძაგელი ხასიათი აქვთ. დაიაკები ადამიანების ჩამომავლებად თვლიან: ჯუნგლებში გაიხვეწნენ, ხარკისა და გადასახადებისათვის თავი რომ აერიდებინათო.

მუნშის თანასოფლელებს დაეჭირათ რამდენიმე ბინტურონგი, ნახევარი დუჟინი თაგვისებური ირემი, — ამ ქვეყნად ყველაზე მოცუცქნული ირემი (ეს პაწაწინა ქმნილებანი ცხრა

---

* ხალებიანი (ნისლა) ვეფხვი სინამდვილეში ვეფხვი კი არა, ეგრეთ წოდებული ნისლა ავაზაა — Felus nebulosa.

** გრძელცხვირა მაიმუნი — Nasalia larvatus, ანდა ცხვირა მაიმუნი. ეს გახლავთ იშვიათი ჯიში. გვხვდება მხოლოდ ბორნეოზე.

დიუმს ვერ ასცილდებიან), ორი „თაფლის დათვი“ (ადგილობრივი, კატისტოლა მტაცებელი ცხოველი, რომელსაც გრძელი ენა აქვს, რათა გამოლოკოს გარეული ფუტკრის სკები) და უამრავი მომცრო ცხოველი.

როცა ნანადირევი დავათვალიერე, რამდენიმე მათგანი უვარგისობის გამო იქვე დავხოცე, დანარჩენები მუნშის ჩავაბარე, თან მითითება მივეცი, როგორ მოპყრობოდნენ მათ და ისევ ავუყევი მდინარე მალარინს, ომართან წავედი, რომ ორანგუტანგებზე ნადირობის საქმე დამეგვირგვინებინა. ხაფანგები შესანიშნავად მოქმედებდნენ. მათი თვალყურის დევნება იუსუფმა ითავა. როცა შევაქე, ძალიან ეხიამოვნა — ეამაყებოდა ჩემი ქება. სანამ ვამოწმებდი, როგორ იღებოდა და იხურებოდა კარები, იუსუფი თვალს არ მაშორებდა. მას მალაურად მივმართე: ისე თავისუფლად მიდის, როგორც მდინარის წყალი-მეთქი.

მიმიხვდა და სიხარულისაგან ხმამაღლა გაიცინა.

ჯუნგლებში ხაფანგების დაგებას მთელ დღეს მოვუნდით. ისეთ ხეებს, სადაც ორანგუტანგს უკვე მოეწყო თავისი ბუდისებური ბაქანი, გვერდს ვუქცევდით, ვირჩევდით მის მახლობელ ხეს. გარდა ამისა, ხეს უნდა ჰქონოდა მოხერხებული დატოტიანება, ხაფანგი რომ დაგვემაგრებინა. ჩვეულებრივ, იუსუფი პირველი პოულობდა შესაფერ ხეს. თითქოს რაღაც ინსტინქტი გააჩნდა, რომელიც შველოდა მას. როგორც კი ამგვარ ხეს წააწყდებოდა, მიაყუდებდა ბამბუკის ჭოკს და კატასავით აცოცდებოდა ზედ. სამი-ოთხი კაცი აჰყვებოდა თან. მერე რატანის თოკებით აათრევდნენ გალიას, კარებს შიგნით შეაღებდნენ. ხაფანგი ისე მკვიდრად მაგრდებოდა, თითქოს ამ ხეზე ამოზრდილაო. მერე ტოტებითა და ფოთლებით ფარავდნენ. ბოლოს იუსუფი გალიაში დებდა რაიმე ნაყოფს და კარს ღიად ტოვებდა.

გადავწყვიტე, ჯერჯერობით ხაფანგებში მუქთა რესტორნები მომეწყო. ვვარაუდობდი, რომ ვერც ერთი ორანგუტანგი ვერ შებედავს შიგ, თუ არ დაინახავს, სხვა მაიმუნები უვნებლად შედიან და გამოდიან-მეთქი. თავიანთ აღმოჩენას მაიმუნები მშვიდად ვერ ხვდებიან. პირიქით, საშინლად ყაყანებენ.

მათი ყაყანი ორანგუტანგების ყურადღებასაც მიიპყრობს-მეთქი, — ვფიქრობდი მე. როცა ორანგუტანგები ჩვენი გალიებით დაინტერესდებიან, სხვებს სიახლოვეს არ გაატარებენ. ამგვარად, შვიდი ხაფანგი გავმართეთ ნახევარი მილის მანძილზე. ყოველდღე ვათვალიერებდით და თუ ნაყოფი ადგილზე არ აღმოჩნდებოდა, ხელახლა ვდებდით. როგორღაც, ერთ-ერთი შემოვლის დროს, ფოთლებში დავლანდე ბებერი ორანგის ჟანგისფერი ტყავი. იგი ტოტზე ჩამომჯდარიყო. მეორე ტოტზე ხელი წაევლო. შევნიშნე, თავისუფალ ხელში რაღაც უფართხალებდა. ჩიტის ბუდის მახლობლად იჯდა: ეტყობა, ჩიტი დაეჭირა. ცოტა ზემოთ აიწია და უფრო საიმედოდ მოეწყო. მერე ზემოდან წამოვიდა ბუმბული, ბოლოს — ძვლებიც. ჩიტი გადასანსლა.

გამიგონია, ორანგები ჩიტებს შეექცევიანო, მაგრამ აქამდე არ მჯეროდა. სინგაპურში, ჩემს ზოოპარკში ვაკვირდებოდი — ორანგის გალიაში ვდებდი უმ თუ მოხარშულ ხორცს — ისინი პირს არ აკარებდნენ. ეგება, ცოცხალი ფრინველი რომ შემეთავაზებინა, უარი არ ეთქვათ. როცა ორანგუტანგმა შენიშნა, რომ ახლოს ვდგავარ და ვაკვირდები მის საქციელს, აბუზღუნდა, თავისი უშნო ღოჯები გამოაჩინა და იქაურობას გაეცალა.

როცა ხილი რეგულარულად ქრებოდა გალიებში, დადგა დრო, აგვემოქმედებინა ჩვენი ხაფანგი. ჩამოვსხიპეთ ტოტები, რაც მოძრაობას უშლიდა კარებს და ჩამოვკიდეთ ახალი ნაყოფები. იუსუფი მუდამ იწევდა, თვითონ შესულიყო ხაფანგში, აეღო ნაყოფი და შეემოწმებინა, როგორ იხურებოდა კარები. ყველაზე ძნელად მისადგომ მახეებში გუავა ჩამოვკიდეთ. გუავას მაგარი ნაყოფი აქვს და მალე არ ფუჭდება. ორანგუტანგი ძალიან ირჩევს ხილს: არასოდეს ხელს არ ახლებს უმწიფარ ნაყოფს. იუსუფმა რატანის თოკზე მოაბა და სატყუარა ჩამოაკონწიალა. არც კი უცდია, ბუნებრივი იერი მიეცა: ხაფანგი, სულ ერთია, გუავის ხეზე არ იყო გამართული, ხოლო ცხოველი იქ ფრთხილობს, სადაც ბუნება უკარნახებს ამას.

მეორე დღეს ხაფანგის კარი დაკეტილი დაგვიხვდა. იუსუფი აცოცდა ხეზე და ჩაიხედა ხაფანგში. ერთი სიტყვაც არ

დასცდენია, რადგან ხმამაღალი ლაპარაკი ავკრძალე, მაგრამ მისი მოქნილი სხეულის მოძრაობაზე მივხვდი, აღტაცებული იყო. ეს არც გასაოცარი გახლდათ, რადგან, როცა გალია დაბლა ჩამოუშვეს, შიგ ორმაგი ალაფი აღმოჩნდა: მახეში გაბმულიყო დედალი ორანგუტანგი შვილიანად, რომელიც გულში ჩაჰკვროდა დედიკოს. მეც ისევე აღტაცებული დავრჩი, როგორც იუსუფი. თანაც მე ის ვიცოდი, რაზედაც იუსუფს წარმოდგენაც არ ჰქონდა — ეს წყვილი ბაზარზე ძვირად გავიდოდა.

ყველა აღტაცებული იყო. გალია ჩამოუშვეს, მიაბეს ჭოკები და ზეიმით წაიღეს კამპონგში, სადაც ნანადირევს დიდი, მოხერხებული გალია ელოდა. ამ გალიის კედლები ახალგაზრდა ხეების წვრილი ღეროებისაგან იყო ნაშენები, ჩარჭობილი იყო მიწაში, ჭერი რატანისა ჰქონდა, ზემოდან კი ლერწამი იყო დაფარებული, ცხოველები მზის, წვიმისა და ცვარისაგან რომ დაგვეფარა.

ძლივს ვაკავებდი ადგილობრივ მკვიდრთ, ისეთი არაფერი ჩაედინათ, რაც ჩემს ორანგებს დააფრთხობდა. ტყვეობის პირველი დღეები ძნელი გახლავთ ცხოველებისათვისაც და მეზვლელებისათვისაც.

შევატყვე, იქაურებს ცხოველების მოვლისა არაფერი გაეგებოდათ. ამიტომ პატარა ეშმაკობას მივმართე: თავზე ხელი ვიტაცე და ომარს ვთხოვე ხალხისათვის ეთქვა, ტუანს ყურები ასტკივდა და ყოველგვარი ხმაური მეხის გავარდნად ეჩვენება-თქო... ამის მერე კამპონგში ისეთი სიჩუმე იდგა, როგორიც ცარიელ ეკლესიაში.

როცა დედალი ორანგუტანგი შვილიანად ჩაკეტეს გალიაში, იგი გაცოფდა ბრაზისაგან. სახეს ათასნაირად მანჭავდა. ყველას ვუბრძანე იქაურობას გასცლოდნენ და ორანგზე ზრუნვა იმ მოხუცს მივანდე, რომელიც ფეიერვერკის დროს საომარ მოძახილს ამბობდა.

არავის არ შეეძლო მიახლოებოდა ღობეს, რომელიც ფარდულს შემოვავლეთ. ტყვეს გადადუღებულ წყალს ვაძლევდით, საჭმელს ჯერჯერობით არ ვაკარებდით. ეს ჩემი ცხოველებისაგან ვისწავლე: ახლად დაჭერილს თუ საჭმელს მაშინ-

ვე მიართმევ, ათიდან ცხრა მაინც იუარებს, აზიზობენ, ნერვიულობენ და ნაღვლობენ; მაგრამ თუ კარგად მოამშევ და მერე დააპურებ, მადიანადაც მიირთმევენ და გახალისდებიან კიდეც. მალე ჩვენი ტყვე შეეჩვია თავის მომვლელს და შეუყვარდა კიდეც. აღარ ბრაზობდა, მაგრამ არც ისე მხიარულად ყოფილა, როგორც სხვა ჯიშის მაიმუნებმა იციან ხოლმე.

მოგვიანებით მის მეზობელ გალიაში მოვათავსე მომცრო ორანგუტანგი, რომელიც მეტად სახიფათო და საოცარ გარემოებაში დავიჭირე და რამაც განმიმტკიცა აზრი, რომ ორანგუტანგები საზოგადოებრივი ცხოველები არიან და არა მეთავისეები.

მონადირემ თუ ერთი ორანგი დაინახა და ესროლა, ერთი გასროლის შემდეგ ვერც ერთს ვეღარ მოჰკრავს თვალს. ორანგუტანგები თითქოს რაიმე ჯადოქრობის წყალობით ქრებიანო ჯუნგლებში. მაგრამ ჩემი მშვიდი საქმიანობა მათ არ აფრთხობდა და ხშირად წავწყდომივარ ჯგუფებად — რვა, ცხრა, ზოგჯერ ოცსაც ერთად. სანამ ის ახალგაზრდა ორანგი არ დავიჭირე, რომელზედაც ახლახან მოგახსენებდით, არ ვიზიარებდა იქაურების რწმენას, რომ ორანგი საშიში მხეცია მაშინაც კი, როცა არ აღიზიანებენ. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა მესწავლა.

იმ დღეს კამპონგიდან თექვსმეტნი გამოვედით. უნდა დაგვეთვალიერებინა ხაფანგები და ჯგუფებად დავიყავით. ომარი და კიდევ სხვა ექვსი კაცი ჩემთან წამოვიდნენ. ჩავუარეთ ორ ცარიელ ხაფანგს. მესამეში აღმოჩნდა კარგა მოზრდილი ხვადი. სწორედ იმ დროს, როცა მიწაზე ჩამოვუშვით გალია, მოგვესმა ყვირილი — ვიღაც საშველად გვიხმობდა. მოირბინა ორმა კაცმა ქოშინით, ძლივს ამოიდგეს ენა. მე ვერაფერი გავუგე მათს ნათქვამს: ორივენი დაკაწრულები და სისხლში ამოთხვრილები იყვნენ, რადგან არ მორიდებოდნენ ეკლებსა და როკებს. მხოლოდ იუსუფისა და აბდულის სახელები გავარჩიე. ომარმა მითარგმნა მათი ნათქვამი: აბდული და იუსუფი დახოცილიყვნენ.

უხუცესმა განგაში ატეხა, საოცარ სიტყვებს გაიძახოდა, რო-

მელიც დაიაკების საომარი ყიჟინით მთავრდებოდა: ეს ნიშნავდა, რომ იგი უხმობდა ყველას, ვისაც კი მიაწვდენდა ხმას.

ამასობაში ახალმოსულებმა ცოტა სული მოითქვეს და დაიაკურ კილოკავზე მოგვიყვნენ, რაც მომხდარიყო; ომარი მალაურად მითარგმნიდა: იუსუფის ჯგუფი გადააწყდა მახეში გაბმულ მხეცს. იუსუფი სწრაფად აცოცდა ხეზე. ჭუჭრუტანაში შეიხედა და დაბლა მყოფთ ჩასძახა, გალიაში ახალგაზრდა ორანგიაო. მერე თავისი პარანგით შეუდგა რატანის შეჭრას, რომლითაც დამაგრებული იყო გალია. მანამ, სანამ დანარჩენები აცოცდებოდნენ მასთან, ხაფანგში გაბმული ორანგის დედა, რომელიც მაღლა, ტოტებში განაბულიყო, დააცხრა იუსუფს და ბასრი კბილები მხარში ჩაარჭო. იუსუფი გალიას წაეტანა და ყველაფერი — გალია, დედალი ორანგუტანგი და იუსუფი — დაბლა წამოვიდა. იუსუფი თავით დაეშვა, გალია ზემოდან დაეცა და გასრისა. ამხანაგები მიეშველნენ და შუბებით ჩხვლეტდნენ ძუ ორანგუტანგს. აბდული ხის ქვეშ იდგა. სრულიად მოულოდნელად, უჩუმრად, ყოველგვარი ყვირილისა და ხმაურის გარეშე დააცხრა ხვადი ორანგუტანგი, მიწაზე დაანარცხა, კბილებით ყელი გამოღადრა და თავისი ვეებაა ხელებით თავი გაუჭეჭყა.

ამ ორს ეჩვენებოდა, თითქოს ჯუნგლები ორანგუტანგებით აივსოო, მაგრამ მიუხედავად შიშისა და დაღლილობისა, უბედურების ადგილას წაგვყვნენ.

უეცრად უხუცესი შედგა და წინ გამახედა. ისეთი სურათი დავინახე, არასდროს რომ არ დამავიწყდება: გალიის ქვეშ იდო იუსუფის უსულო გვამი. დაჭრილი ძუ გალიას ეჯაჯგურებოდა და შვილის გამოხსნას ლამობდა. ხვადი აბდულის გვამზე დახტოდა. მერე ხელი სტაცა ხშირ თმებში და მაღლა ააწევინა თავი. დავუმიზნე და იქვე გავაფრთხობინე სული. სანამ ძუს მივუბრუნდებოდი, თვითონ განუტევა სული ჭრილობებისაგან. შევაკეთეთ ხაფანგი, რომელიც ჯაჯგურისაგან მორყეულიყო, და პატარა ორანგუტანგი თან წავიყვანეთ. იუსუფი და აბდული საკაცით გავიტანეთ ჯუნგლების განაპირას. ჩემის რჩევით, იქვე დამარხეს ღრმა სამარხებში.

ამ ორმა უბედურებამ უნებლიე დანაშაულის გრძნობით

ამავსო. იუსუფი სულ არ ზოგავდა თავს: ხეზე ისე ადიოდა, არც კი შეამოწმებდა, ახლომახლო სხვა ორანგი ხომ არ არისო.

მაგრამ ის ხომ თ ე თ რ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს დავალებას ასრულებდა, თეთრი ადამიანი კი ყოვლისშემძლეა... იუსუფი სიკვდილს იმიტომ გადაეყარა, რომ მეტისმეტად სჯეროდა ჩემი ძლიერება. ვშიშობ, ეს რწმენა ჩაენერგა წითელი და მწვანე ცეცხლის წყალობით...

სანამ კამპონგში ჩემი ხაფანგების დამზადებას ველოდებოდი, შევნიშნე ერთი მალაელი, რომელსაც სახეზე ნაიარევი ეტყობოდა. მას როგორღაც განზე ეჭირა თავი. ომარმა მითხრა, კასინი ჰქვია და ავადაა საოცარი (ალბათ, ნერვიული) ავადმყოფობითო. ეს ავადმყოფობა იმაში გამოიხატებოდა, რომ თავს ვეღარ იჭერდა: მაგალითად, თუ მის სიახლოვეს წარმოსთქვამდნენ ცალკეულ სიტყვას, ფრთხებოდა და ადგილიდან წამოხტებოდა. თუ ვინმე ხმამაღლა წამოიყვირებდა და ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს ვისმე უნდა ეჩხუბოსო, ავადმყოფი ისეთსავე ხმას გამოსცემდა და ისე დაერეოდა ახლოს მყოფთ, რომ ვერაფრით ვერ გააჩერებდნენ, სანამ ავი ზნე არ მოუვლიდა. როცა დავლა გაივლიდა, კასინი გონს მოეგებოდა და მასხარას ამუნათებდა, რად მაწვალებო.

როცა ვკითხე, რატომ აქვს ამ მოხუცს სახეზე ნაიარევი-მეთქი, გაიცინა და მითხრა: „კასინი ჩვენი კამპონგიდან როდია, — ჩრდილოელია, „პირატების ტომიდან“, უფრო სწორად, მათი ნარჩენებიდან. ერთ დროს ეგენი ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი პირატები იყვნენ ბორნეოს ნაპირებზე“.

დაუძახა კასინს და უბრძანა ეამბნა ჩემთვის, როგორ მეკობრეობდა რაჯი სეიდ რახმანის ხელმძღვანელობით და როგორ გაანადგურეს რაჯი და მისი ამხანაგები. კასინმა გაიცინა უკბილო კაცის სიცილით და მისი ერთადერთი თვალი გაბრწყინდა, როცა ჩვენ წინ ჩაცუცქდა და შეუდგა თავისი თავგადასავლის მოყოლას. სხვებმაც მოიყარეს თავი ჩვენ გარშემო. ქალები და ბალღებიც იქვე მიმოდიოდნენ იმ იმედით, რომ ყური მოეკრათ,

როგორ მოჰყვებოდა კასინი თავისი მეკობრეობისა და ყაჩაღობისდროინდელ ამბებს, რადგან ისინი — თავის შეხედულებებით ნამდვილი ბავშვები და გმირების თაყვანისმცემლები—კასინს თვლიდნენ მჩხიბავად, რომელსაც არავითარი ხანტუს (სულ) შიში არა აქვს. გარდა ამისა, თვითონ ჯუნგლების მკვიდრნი იყვნენ, იშვიათად ხვდებოდნენ ზღვის სანაპიროზე და საოცრად უყვარდათ მეზღვაურთა თავგადასავლის მოსმენა.

— კასინ, — უთხრა ომარმა, — გვიამბე, ბორნეოს რომელ კუთხეში იყო თქვენი კამპონგი, რამდენი კაცი ჰყავდა თქვენს რაჯის, რამდენი საზღვაო ხომალდი გააჩნდა და რას სჩადიოდით, როცა რომელიმე გემს ესხმოდით თავს და მეზღვაურებს ატყვევებდით, ანდა, როცა ხმელეთის მცხოვრებთ შეესეოდით... რაც გახსოვს, ყველაფერი უამბე ტუანს.

კასინმა თავი დაუქნია და დაიწყო:

— ბი, ტუან, ბი (კარგი, ბატონო)! — მერე პირში „სერი" ჩაიდო და დაიწყო თავისი თავგადასავალი. მინდა, მისი ნაამბობი მისივე სიტყვებით გადმოგცეთ — თხრობაში უამრავ ხატოვან თქმებს ხმარობდა; ეს ხალხი საგნებს თავისებურად აღიქვამს და თავისებურადვე გადმოსცემს. მაგრამ მას მერე დიდმა დრომ გაიარა და ამდენი წლის შემდეგ საუბრის შინაარსის გადმოცემასღა თუ მოვახერხებ.

„როცა თორმეტ-ცამეტი წლისა შევიქენი, — დაიწყო კასინმა, — ჩვენს კამპონგს სეიდ რახმანი დაეცა, ქალები და ბალღები შეგვიპყრო და მონებად წაგვასხა თავის სიმაგრეში — ბორნეოს ჩრდილო სანაპიროზე. სეიდ რახმანის თანამეტომეები ამ წყლებში ყველაზე ძლევამოსილი მეკობრეები იყვნენ. სეიდ რახმანს ოთხიათასი ქვეშევრდომი ჰყავდა. ამბობდნენ, სიცოცხლე მოჯადოებული აქვსო. ავგაროზი ჰქონდა, რომელიც ყოველგვარი განსაცდელისაგან იცავდა. თორმეტი სამხედრო გემი ჰქონდა, სიგრძით ოთხმოცდაათი ფუტისა, თითოეულზე სამოცდაათი მეხოფე ეჯდა. ექვს გემზე ორ-ორი ოთხგირვანქიანი ბრინჯაოს ქვემეხი ედგა.

არ მოიძევებოდა სამხედრო გემი, რომელსაც სეიდ რახმანი ვერ შებედავდა და ტყვედ ვერ იგდებდა. როცა გემს დაესხმოდა, კაპიტნებს ხოცავდა, ტვირთსა და ფასეულობას იტაცებდა და

მეზღვაურებს ატყვევებდა. მერე ხომალდს წვავდა. ამ წყლებში თეთრების გემები იშვიათად შემოდიოდნენ. ყველა ნავს ხარკს ახდევინებდა, მეტწილად ჩინელებს იჯაბნებდა. იმათგან მუდამ მდიდრული ალაფი მოჰქონდა. ჩინელები მამაცურად იბრძოდნენ: ნახევარი თვითონ პირატები იყვნენ. ნავის ბორტებზე რატანის ბადეები ჰქონდათ მიბმული, ახლოს რომ ვერ მივდგომოდით და აბორდაჟით არ აგვეღო. მიახლოებისას მდუღარე წყალსა და ზეთს გვასხამდნენ. სწორედ ასეთ ბრძოლაში დამაკარგვინა ერთმა ჩინელმა თვალი. თვალი თავით ვაზღვევინე.

სეიდ რახმანისათვის დიდი ხომალდი და პატარა ნავი სულ-ერთი იყო, ერთნაირად ესხმოდა ყველას თავს. ერთხელ ინგლისურ ხომალდს გადააწყდა, დახოცა კაპიტანი და ოფიცრები და ხომალდი დაწვა. მალე მისი სიმაგრე დაარბიეს, თვითონ დაიღუპა, ხალხი კი გაიფანტა ქვეყნის ყველა კუთხეში.

აი, როგორ მოხდა ეს:

ინგლისელი კაპიტანი, ასორმოცდაათი ტონა წყალწყვის ხომალდის მეპატრონე, ერთ დღეს ბიუნიდან დატვირთული გავიდა. ტვირთისათვის თანხა წინდაწინ იყო გადახდილი. სეიდ რახმანმა ყური მოჰკრა, რომ კაპიტანს ბორტზე დიდძალი ფული აქვსო და გადაწყვიტა მისი ხელში ჩაგდება. ხომალდს ხუთიოდე მილიც არ გაევლო, რომ სეიდ რახმანი დაესხა თავს ოთხი სამოცდაათნიჩბიანი გემით. ინგლისელებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ რას გააწყობდნენ ერთი მუჭა ხალხით სამას შეიარაღებულ მეკობრესთან. სეიდ რახმანმა მიაბა კაპიტნის ვაჟიშვილი ღუზაზე და კაპიტანს დაემუქრა, თუ ფულს არ მომცემ, ან არ მეტყვი, სად გაქვს შენახული, ბიჭს წყალში გადავუშვებ ღუზიანადო. კაპიტანი უარობდა, გემზე ფული არ მომეძევებაო. მაშინ სეიდ რახმანმა სიტყვა აღარ გააგრძელა, ბიჭი ზღვაში გადააგდო, კაპიტანი კი სასტიკად აწამა. აწამებდა რამდენიმე საათის განმავლობაში. მოაჭრა თითები — სახსარი სახსარზე, გაუგონარი, მხეცური წვალებით აწვალა, მერე სისხლში ამოსვრილი უსულო გვამი გემბანზე მოისროლა და ყველა ოფიცერი დახოცა, მალაელი მეზღვაურები კი ტყვედ წამოასხა. ხომალდს ცეცხლი წაუკიდა და დაწვა.

ეს, ტუან, ერთი მრავალ შემთხვევათაგანია სისხლისმსმელ



სეიდის გმირობისა. ყველა სავაჭრო გემი მან იმსხვერპლა. მაინც ყველაზე საშინელ სიმკაცრეს იგი ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ იჩენდა. ის და მისი მეკობრეები მარტო ზღვაზე როდი დათარეშობდნენ — მდინარებით აღწევდნენ ქვეყნის შუაგულამდე. ხალხი არასდროს არ იყო მოსვენებით, ყოველ წუთს ელოდნენ თავდასხმას. წართმეულ ნავებს ან წაიყვანდნენ, ან გაანადგურებდნენ. სოფლებს ნაცარტუტად აქცევდნენ, ყანებს მოაოხრებდნენ, ქალებს და ბალღებს თან წაასხამდნენ. მეკობრეები კალათებში აგროვებდნენ მსხვერპლთა მოჭრილ თავებს და თავიანთ სამფლობელოში მიჰქონდათ.

სეიდ რახმანის მთავარი სასახლე წარმოადგენდა გრძლად გაჭიმულ ნაგებობას, რომლის კოჭები მტრების მოკვეთილი თავებით იყო შემკობილი. თავები მწკრივად იყო ჩამოკონწიალებული, თითქოს ძაფზე ასხმული მძივებიაო. თავები შეღებილი გახლდათ ფანტასტიკური და ამაზრზენი ფერებით. ფოსოებში ჩასმული იყო ხის ხელოვნური თვალები, ამისაგან კიდევ უფრო შემზარავი შესახედაობა ჰქონდათ. თავის ქალები ქარისაგან ირხეოდნენ და ერთმანეთს ეხლებოდნენ. დაჯახებისას, თითქოს ცოცხლები არიანო, კანტურობდნენ და ბოროტად იკრიჭებოდნენ.

სეიდ რახმანის სიმკაცრე დაუჯერებელი იყო. მისი საყვარელი გართობა გახლდათ უმწეო ადამიანის — ქალის თუ კაცის— წამება. თუ ვინმე მსხვერპლთა საწამებლად ახლებურ ხერხს გამოიგონებდა, გულუხვად აჯილდოებდა.

კასინის მსმენელები, წრედ ჩამომსხდარი ქალები და კაცები კანკალებდნენ, თავებს აკანტურებდნენ და ერთმანეთს ეკვროდნენ.

კასინი ხითხითებდა და განაგრძობდა:

— როცა ინგლისელებმა შეიტყვეს ინგლისელი კაპიტნის მკვლელობის ამბავი, სამხედრო გემი დაგვადევნეს და დიდხანს გვეძებეს, მდინარით გვდიეს სეიდ რახმანის ციხე-სიმაგრემდე.

აქ გავმართეთ უკანასკნელი ბრძოლა. ჩვენი ექვსი გემი, რომელზედაც ზარბაზნები გვედგა, მდინარეზე გავამწკრივეთ. რატანის ბადეები გავფინეთ, რომ ინგლისელები აბორდაჟით არ მოსულიყვნენ. ნაპირზე, ექვსიოდე სახლის უკან ბამბუკის გა-

ლავანი იყო, გალავნის შიგნით განვალაგეთ მსუბუქი ქვემეხები. ჰოდა, ტუან, როცა სეიდ რახმანმა თავისი გემები მდინარეზე გაამწკრივა და ბრინჯაოს ქვემეხის ლულები ინგლისელებისაკენ მიმართა, როცა გადაჭრა ბაგირები, რომელიც გადაღობილს ამაგრებდა, მას ეგონა, ინგლისური ხომალდი ხელში ჩავიგდეო. შეყარა თავისი ხალხი და უბრძანა, მზად ყოფილიყვნენ ინგლისელთა გემის აბორდაჟით ასაღებად, როგორც კი აამოქმედებდა თავის ქვემეხებს და დააზიანებდა მოწინააღმდეგის გემს.

აქ კასინმა ისევ ჩაიხითხითა და პირში ჩაიდო ერთი მწიკვი „სერი“.

პირდაფჩენილმა მსმენელებმა მიაძახეს:

— არბის, არბის (დაასრულე, დაასრულე)!

— მაგრამ, ტუან, — განაგრძო კასინმა, — მან არ იცოდა, როგორ გემთან ჰქონდა საქმე. ბრძანა, გაეხსნათ ცეცხლი რვა ქვემეხიდან, მაგრამ ჭურვები მხოლოდ ეხლებოდნენ გემის კედლებს და წყალში ცვივოდნენ. უცებ, თვალის დახამხამებაში, ინგლისელების სამხედრო გემი თითქოს აბრიალდაო, მის ერთ მხარეზე ცეცხლის ენა აისვეტა გრუხუნით, რომელიც ახლაც მიდგას ყურებში. ყველაფერი ინგრეოდა... იქ, სადაც ერთი წუთის წინ იყო გემები, ქვემეხები, ხალხი — ახლა აღარაფერი აღარ ჩანდა. ორასი კაცი ერთბაშად გაწყდა. დანგრეულ სახლებს ცეცხლი მოედო. ჩვენგან ვინც კი გადარჩა, ყოველმხრივ გაიფანტნენ. სანამ ჯუნგლებში თავგზააბნეული დავრბოდით, მეზღვაურები მსუბუქი ქვემეხის ჭურვებს გვადევნებდნენ. ჩვენ უბელადოდ დავრჩით, რადგან სეიდ რახმანი დიდი ზარბაზნის ერთ-ერთი პირველი გასროლის დროს დაიღუპა. ჩვენი გემები ჩაიძირა, ხალხი სულ გაწყდა. ვინც გაცურვა შეძლო, ნიანგებს ჩაუცვივდნენ ხახაში, რომლებიც სისხლის კვალზე მოვიდნენ.

ინგლისელებმა ჯარისკაცები გადმოსხეს და მთელი სოფელი ცეცხლს მისცეს. პირველი გასროლიდან ერთი საათის შემდეგ არ ჩანდა არც ერთი სახლი, არც სულდგმული, ყველაფერი აღიგავა პირისაგან მიწისა, თითქოს ძალმორჭმული მეკობრე სეიდ რახმანი და მისი ციხე-სიმაგრე სულ არ ყოფლა ამ ქვეყანაზე.

რამდენიმე გადარჩენილი მამაკაცი ცოლშვილიანად გაიხვეწა ჯუნგლებში და იქიდან აჰყვნენ მდინარეს სათავისაკენ. მონე-

ბი ჯუნგლებში ჩაიხოცნენ. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა მიაღწია თავის ტომს. მე გადავრჩი და გავიქეცი. სინგაპურში მეზღვაურად ვმუშაობდი. მერე პონტიანაკში ამოვყავი თავი და ბოლოს ომარს წამოვყევი მის კამპონგში, სადაც, ვფიქრობ, დაველოდო ჩემს დღეთა დასასრულს“.

ადგილობრივ მკვიდრთაგან ხშირად მსმენია მალაელ მეკობრეთა გულქვაობის ამბავი, მაგრამ ის მაინც გარეშე პირთა ნაამბობი იყო. ახლა კი ცოცხალი მოწმე, ძველი დროების ნამსხვრევი ჰყვებოდა თავის თავგადასავალს, გაუზვიადებლად და შეუფერადებლად, სწორედ ისე, როგორც მომხდარა. კასინი ჩემთან მეტივედ მუშაობდა და აღვუთქვი, ამბის მოყოლისათვის პონტიანაკიდან საჩუქარს გამოვუგზავნიდი. ძალიან გაიხარა და მადლობის ნიშნად გაიღრიჭა. ვერ იტყოდით, რა ხნისა იქნებოდა, რადგან ვერ გაარჩევდით, სად იყო ნაჭრილობევი და ნაიარევი და სად — ნაოჭი. მაგრამ მისი ერთადერთი თვალი კეთილად ბრწყინავდა, გამოხედვა ხალისიანი ჰქონდა და მე არ მჯეროდა, რომ ასეთი ალერსიანი გამოხედვის პატრონი უმოწყალოდ ჰკვეთდა ხალხს თავებს.

ჩვენ ვამარცხებთ მთის სულებს

რადაც უნდა დამჯდომოდა, ერთი ლაქა უნდა ჩამომერეცხა — სულების მთაზე ვერ იქნა და ვერ ავედი და ეს ხელისმოცარვა მოსვენებას არ მაძლევდა. პირველი ბედუკუღმართი ცდის შემდეგ სამმა წელმა განვლო და საშუალება მომეცა გამომესწორებინა მარცხი, აღმედგინა ჩემი რეპუტაცია და მწვერვალზე ასვლით დამეკმაყოფილებინა ჩემი ცნობისმოყვარეობა.

ჩემი ბოის და ექვსი დაიაკის თანხლებით, რომლებიც დაუზარებლად მეხმარებოდნენ ბორნეოზე ორანგუტანგებზე ნადირობაში, ტრენგანის კუალოში ჩამოვედი. სულთანი და ტუნკუ-ბეზარი გულითადად დაგვიხვდნენ. მათზე, ისევე, როგორც კუალოს ყველა მცხოვრებზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემმა დაიაკებმა: დაიაკები უფრო ბაცი ფერისანი და სიმაღლით აღმატებულები იყვნენ, ვიდრე ჩვეულებრივი მალაელები. ჩაცმულობით კი ისევე იცმევდნენ, როგორც დანარჩენები: სარონგები და თავზე ჩალმები. ტრენგანელები მეგობრულად დაუხვდნენ დაიაკებს. კარგი სანახავი იყო ჩუ-აი, როცა პირველად წაიყვანა დაიაკები ადგილობრივ ბაზარში. სულთანმა ოთხი მცველი მიუჩინა და ისინი, თითქოს მთელი პოლკიაო, სურსათით დატვირთულები გამოვიდნენ ქუჩაში.

სულთანს გავაცანი სულების მთაზე ასვლის გეგმა. იგი შეეცადა განზრახული გადაეთქმევინებინა ჩემთვის, და როცა ხალხი ვთხოვე, თავი გაიქნია და მითხრა:

— ტუანმა იცის, რომ ამ მთაზე ბოროტი სულებია დაბუდებული. ისინი ისევ გამოუგზავნიან ტუანს წარუმატებლობას.

მერყევი ქვიშის ზოლიდან ჯერ არავინ დაბრუნებულა. ჩემი ხალხი არ გამოგყვება.

მე კი მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ამესრულებინა წადილი. სულთანის ხალხის დაყოლიება ჩემთან წამოსვლაზე შეუძლებელი გახლდათ: სულერთია, მერე გამომექცეოდნენ. სულთანმა ჩემს განკარგულებაში გადმომცა ნავი და რამდენიმე კაცი, უენ-მეტის კამპონგამდე რომ მივეცილებინე, საიდანაც იწყებოდა ჩემი მოგზაურობა.

კუალოში ოთხი დღე დავყავი; სანამ ნავებს მოაწესრიგებდნენ, მოვიმარაგე ხმელი თევზი, ბრინჯი, დამარის ჩირაღდნები. ჩვენი გამგზავრების დღეს დილით სულთანმა კაცი გამომიგზავნა და შემომითვალა, რომ თან გამაყოლებს თავის ძმისწულს, ტუნკუ-იუსუპს, რომელიც უბრძანებს უენ-მეტს, გამყვეს საკაების თავდასხმისაგან დასაცავად. ჩემი უსაფრთხოებისათვის ზრუნვის ამ დადასტურებამ ძალზე ამაღელვა.

ხუთი დღის მერე, რაც კუალო დავტოვეთ, მივაღწიეთ უენ-მეტის კამპონგს. უენ-მეტმა მე და ტუნკუ-იუსუპი გულითადად მიგვიღო. მან ჩუ-აიც გაიხსენა და გულთბილად მიესალმა. ჩემი დაიაკები მისთვის უცხო სანახაობა იყო და პირდაპირ თვალს ვერ აშორებდა მათ. მის კამპონგში დილით მოვედით. საღამოს ჩვენთვის უკვე გამართული იყო სამი ქოხი.

საღამოხანს უენ-მეტთან ერთად ვისხედით ვერანდაზე. ტუნკუ-იუსუპმა გადასცა სულთანის ბრძანება. მან მორჩილების ნიშნად თავი დახარა, მაგრამ ეტყობოდა, ჩვენი ექსპედიციის პერსპექტივამ ვერ აღაფრთოვანა. მე ავუხსენი, როგორ უნდა დამეძლია დაბრკოლებები. ვუთხარი, რომ ჩემს დაიაკებთან ერთად, რომლებსაც არ აკრთობთ არც მხეცი, არც სული, არც კაცი, მივაღწევ მიზანს-მეთქი. ჩემი გეგმა ასეთი იყო: უნდა გამეკაფა ოცი ფუტის სიგანის გზა მერყევი ქვიშის ზოლიდან მთის ძირამდე და მთის ძირიდან—მწვერვალამდე. მერე დამეწვა მოჭრილი ხეები და ამრიგად გამომეჩინა სრულიად ახალი მხარე, სადაც, მოხუცების რწმენით, ჯერ კაციშვილს ფეხი არ დაუდგამს. გადახლართული ლიანები, ხვიარა მცენარეები და ბუჩქები გაუვალს ხდიდა გზას. მისი გაკაფვა იოლი საქმე არ გახლდათ; მაგრამ მე გამოვიყენე ჩაგონების ყველა საშუალება,

რომ ჩემს დაიაკებს არავითარი ჯადოქრობის არ ეშინიათ და რომ ხეების ჭრა და ნაჯახის კაკუნი გააფრთხობს ავ სულებს ჩვენი გზიდან, ასე რომ ბოლოსდაბოლოს დავჯაბნით მთის სულებს. უენ-მეტი მარტო პენგ-ხულიო ბრანი (მამაცი ბელადი) კი არ იქნება, არამედ მიიღებს პაუანგის წოდებასაც. ამან უენ-მეტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მცირეოდენი დაფიქრების მერე განაცხადა, რომ იგი და მისი ხალხი გამომყვებოდნენ.

— სადაა ნეიზარი, უენ-მეტ?.. იგი ისევ შენს ოლქშია? ისიც მჭირდება, — ვთქვი მე.

— სწორედ ათი დღის წინ მოვიდა ნეიზარი, რომ ნედლი კაუჩუკი ბრინჯზე გადაეცვალა.

— წაიყვანე ვინმე და წადი ქვიშიანისკენ, ნეიზარს ხმა მიაწვდინე, რომ კამპონგში დაბრუნდეს.

— კარგი, ტუან.

მეორე დღესვე წაიყვანა სამი-ოთხი კაცი და გაემართა ნეიზარის მოსაძებნად. სამი საათის წასულებიც არ იქნებოდნენ, რომ უენ-მეტის გონგის ხმა შემოგვესმა. ყრუ დარტყმის ხმა ათ წუთს გაისმოდა, მერე ტემპი შეიცვალა — ორი მოკლე დარტყმა, პაუზა და ოთხი დარტყმა. კამპონგელი მამაკაცები თავს აკანტურებდნენ და იღრიჭებოდნენ: „უკვე უნახავს, ტუან!“

ცოტა ხნის შემდეგ უენ-მეტი დაბრუნდა ნეიზარისა და ორი სხვა მამაკაცის თანხლებით.

ნეიზარმა მიცნო და მისალმების ნიშნად გაიღრიჭა, მაგრამ როცა უენ-მეტმა ტუნკუ-იუსუპს წარუდგინა, დაფრთხა. ტუნკუმ დაარწმუნა იგი სულთანის კეთილგანზრახვაში და მიართვა სარონგი და პარანგი, საჩუქრად რომ ჰქონდა წამოღებული. ნეიზარი ბევრი ხვეწნა-მუდარის მერე დავიყოლიეთ გამოყოლაზე. მეორე დღეს თავის სოფელში წავიდა საჩუქრებით, ბრინჯისა და ხმელი თევზის მარაგით დატვირთული. მზად იყო, თუნდაც იმ წუთს წასულიყო სულების მთაზე.

ხუთი დღის განმავლობაში ვიმარაგებდით სურსათს, საწოლს, საკმაზს და სხვა ათას წვრილმანს; დავამზადებინე აგრეთვე კაიანგები — პალმის ფოთლებისაგან მოქსოვილი სქელი ჭილოფი, რომელიც ჭოკებზე გადაიჭიმება და შესანიშნავი

წყალგაუმტარი სახურავია. გადასატანად მეტად მოხერხებულია — იწონის სულ რაღაც ხუთ-ექვს გირვანქას და ადვილად იგრაგნება.

ჩემს დაიაკებს უენ-მეტის კამპონგის მცხოვრებლებისაგან თავი, ცოტა არ იყოს, განზე ეჭირათ. ამით ვისარგებლე, რათა უენ-მეტის და მისი ხალხის დახმარება გამენაღდებინა. დაიაკებს ვუთხარი, როცა საქმე ტყის გაკაფვაზე მიდგება, მაგათ აჩვენეთ, როგორი მუშაობა იციან ჯუნგლის შვილებმა-მეთქი. ისინი წელში გაიმართნენ, თვალები გაუბრწყინდათ.

— ტუან. მაგათ ვაჩვენებთ, როგორ ხმარობს პარანგს დაიაკი! — იყო მათი პასუხი.

მერე უენ-მეტს ვუხმე:

— ნუთუ ბორნეოელ დაიაკებს ნებას მისცემ ტრენგანის ხალხს ასწავლონ, როგორ უნდა ჯუნგლების კაფვა?—ვკითხე მე.

უენ-მეტი მოიღუშა და რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა, თავის ხალხს უხმო. არ ვიცი, რა სასწაული მოიმოქმედა, მაგრამ მათთან მოლაპარაკების მერე ყველას უნდოდა ჩვენთან წამოსვლა. ერთი საათის წინ ვშიშობდი, რომ ისინი უარს მეტყოდნენ. მთის სულები, ეტყობა, შეიძლება დამარცხებულ იქნეს ეროვნული მეტოქეობის მეშვეობით...

მეექვსე დღეს, დილას, გზას დავადექით. ჩემი გეგმის მიხედვით, დაიაკები და საკაები ერთმანეთს უნდა შენაცვლებოდნენ: ხან გზა უნდა ეკაფათ, ხან სურსათის მარაგი ეზიდათ. ტვირთის მზიდავებს თავიანთი გავლილი გზა უნდა დაენიშნათ, რომ მათ კვალზე ადვილად გვეევლო. უკან მომავლებს ხეები უნდა ეჩეხათ და დაელაგებინათ. უნდა მოგვეჭრა მხოლოდ ერთი ფუტის სისქის ხეები. ამრიგად, ვკაფავდით კომპასის მიმართულებით პირდაპირ გზას მთის მწვერვალამდე. ექსპედიციაში შედიოდნენ: ნეიზარი და მისი ექვსი კაცი, უენ-მეტი თავისი ხალხით, მეც ორი კაცი მახლდა. დაიაკები უკან მოგვყვებოდნენ და ხეებს ჩეხდნენ. ტუნკუ-იუსუპმა ერთ საათს ჩვენთან იარა, მერე გაუხვია თავისი კამპონგისაკენ, სადაც, სულთანის ბრძანების თანახმად, ჩვენს დაბრუნებას უნდა დალოდებოდა.

მივაღწიეთ მერყევ ქვიშნარს და უხიფათოდ გავცდით იქა-

ურობას. სამი საათის მერე წყაროს წავაწყდით და გადავწყვიტე, ღამე იქ გაგვეთენებინა. სასწრაფოდ გავმართეთ რატანის ოთხი ბაქანი, დავამაგრეთ ჭოკები, გადავხურეთ კაიანგებით და გავშალეთ საწოლები. ჩუ-აიმ ცეცხლი გააჩაღა და წყალი შემოდგა ასადუღებლად. დროდადრო ტამ-ტამებს ვცემდით, რათა დაიაკებისათვის გვემცნო, რომ ჩვენ შევდექით და მათ ველოდებოდით. მალე შემოგვესმა მათი პარანგების ჩახაჩუხი. ისინი გააფთრებით მუშაობდნენ. უენ-მეტმა და მისმა ხალხმა დახმარება შესთავაზეს, მაგრამ დაიაკებმა ამაყად იუარეს. უნდა ვაღიარო უენ-მეტის დიპლომატიური უნარი: დაიაკებს სისწრაფესა და მოქნილობას უქებდა და ამბობდა, რომ მისი ხალხი ასე ვერ იმუშავებდა. დაიაკები კმაყოფილები იყვნენ. ისე, მართალი კი იყო: ნეიზარს, უენ-მეტს და მის ხალხს თავი სიზმარში ეგონათ, ასე შორს რომ შემობედეს ჯუნგლებში. იქ, სადაც რამდენიმე საათის წინ ხშირი, უღრანი ჭალა იყო, ახლა მწვანე კედლებს შორის მიდიოდა ოცი ფუტის სიგანის ნაკაფი...

ნავახშმევს ვბრძანე, კიდევ ერთი ბაქანი გაეკეთებინათ და ზედ ჩვენი ნუზლი მოეთავსებინათ, რათა ღამის ყალტამისაგან დაგვეცვა მარაგი. ნეიზარმა და მისმა ხალხმა ჩინჩხვარი მოაგროვეს, ცეცხლი გააჩაღეს და ზედ ნედლი ფოთლები დააყარეს. რათა მეტი კვამლი დამდგარიყო ქინქლებისაგან თავდასაცავად. მალე ყველა თავის ბადეს შეეფარა. ჯუნგლებში სრული სიწყნარე სუფევდა, რომელსაც იშვიათად არღვევდა ავაზის ღმუილი, ან ვეფხვის ხავილი.

პირველი დღის წარმატებით კმაყოფილებმა ჩავიძინეთ.

დილა გვახარა გიბონების „უა-უამ". ამ ძახილს მალე გამოეხმაურნენ მისი მოძმეები და იქაურობა გააყრუა მკვეთრმა, ყროყინისებურმა ბგერებმა. ჯუნგლებმა გამოიღვიძა და ათასნაირ ხმას გამოსცემდა: ყოველი მხრიდან მოდიოდა ჩიტების გალობა, მწერების ზუზუნი, მაიმუნების ყაყანი. ყოველთვის მახალისებდა მაიმუნების ჯგუფის დაფრთხობა და ყურება, თუ როგორ გარბიან. ისინი მიცოცავენ ზევით, კენწეროებისაკენ. მერე არც უყურებენ, ძირს რა დახვდებათ, კისრისტეხით ხტებიან მაღლიდან მკლავგაშლილები, ეჭიდებიან შემხვედრ

ტოტებს და აგრძელებენ ხტომას. კაცს ეგონება, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხტიან ხიდან ხეზეო.

დილაადრიან, როცა ყველაფერი დაცვარულია, ჯუნგლებში უამრავი წურბელა ფუთფუთებს. ეს საძაგელი არსებანი იწელებიან, გრეხენ თითისტარისებურ სხეულს, დაღოღავენ მუხლუხოებივით, ზურგს ამოსწევენ და არაჩვეულებრივად ჩქარა მოძრაობენ. მუქ-ყავისფერი წურბელების მთელი გუნდები მოედებიან ხოლმე ჩამოცვენილ ფოთლებს. ზოგჯერ მათ შორის მოხვდება მწვანე ფერისა, ყვითელზოლებჩაყოლებული, მაგრამ, ჩვეულებრივ, ამგვარი მოდგმისა მწვანე ფოთლებზე განაბულა და როგორც კი გაივლი ფოთლებს შუა, ტანსაცმელზე აგეკვრება. ხანდახან კისერში ჩაგიძვრება, მაგრამ უმეტესად ხელებზე აგეკვრება. მწვანე წურბელები უფრო შხამიანები არიან, ვიდრე ყავისფერები: ის ადგილი, საიდანაც სისხლს გამოსწოვენ, ღიზიანდება და ძნელად შუშდება.

მზე დიდხანს უნდება ნამის აკრეფას. იგი კარგახანს ბრწყინავს ფოთლებს შორის და საოცრად სჭრის თვალს. შორიდან ყველაფერი ბუნდოვანი, თახთახა, დაწინწკლული გეჩვენებათ, ასე რომ გველს ან ავაზას მხოლოდ მაშინ დაინახავ, როცა ზედ გადააწყდები.

ჯუნგლების სუნის დავიწყება შეუძლებელია. მე შემიძლია თვალი დავხუჭო და ხელახლა ვიგრძნო ეს სუნი — სველი მცენარეულობის საოცარი, მკვეთრი სუნი.

ნასაუზმევს ისევ გზას გავუდექით. ამჯერად უენ-მეტის ხალხს უნდა გამოეჩინა თავი ტყის ჩეხვაში. ნახევარი საათიც არ გვივლია, რომ ნეიზარი შედგა, ხელი ასწია და წყნარად წამოიძახა: „ბადაკ (მარტორქა)“.

ჩვენ გავინაბენით და ფრთხილად მივიწევდით წინ, რადგან წინასწარ ვერ იტყვი, მარტორქა მოგვარდება თუ მშვიდად აგიქცევს გვერდს. ჯერ მხოლოდ მის ნაკვალევს ვხედავდით. დროის დაკარგვა არ მინდოდა და უენ-მეტს ვუბრძანე, დასცხეთმეთქი ტამ-ტამებს. მე კი თოფი გავისროლე. მოულოდნელი ეფექტი მივიღეთ: ტამ-ტამების პირველსავე ხმაზე მოისმა ჭყვიტინი და ღრუტუნი და უზარმაზარი მარტორქის ნაცვლად მოგვაწყდა გარეული ღორების მთელი კოლტი. ნეიზარს ოთხი

კაცი წაუქციეს და ჯუნგლებში მიიმალნენ. საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი დაშავდა და ისიც უმნიშვნელოდ: ღორმა კუნთი დაუჟეჟა. ჭრილობა მოვბანე გადადუღებული წყლით, რომელიც მუდამ თან მაქვს ხოლმე, და კალიუმის პერმანგანატით. ნეიზარმა კი რაღაც ფოთოლი და ბალახბულახი დააფინა. ჩვენი პაციენტი ოპერაციით ფრიად კმაყოფილი დაგვირჩა, რადგან ერთი პაპიროსი მივეცი და იმდენი ვისკი ვახუხინე, კინაღამ სული გასძვრა. უენ-მეტის ხალხმა მოირბინა ტამ-ტამების ხმაზე, მაგრამ რახან მშვიდობით დავუხვდით, უკანვე გაბრუნდნენ.

წინ მივიწევდით და ამასობაში ვნახულობდით ვეფხვის, ავაზისა და სელადანგების კვალს. გვხვდებოდა უამრავი ეშვი და ირემი. გადავწყვიტე რამე მომენადირებინა ვახშმისათვის. ჩვენი თავგადასავლის მერე არცთუ ჩქარა მივდიოდით, რადგან არ მინდოდა ძალიან ჩამოგვრჩენოდნენ ტყისმჭრელები და მხოლოდ ათიოდე იარდით ვუსწრებდით მათ. ძალიან კმაყოფილები ვიყავით — ერთად სიარული სახალისო და უხიფათოა.

უცებ ახოში გამოვედით. მაღალი ბალახი მოთელილი დაგვიხვდა. თოფი მოვიმარჯვე და მზად ვიყავი, რაც უნდა დამენახა, მესროლა.

— ბარბი (ღორები)! — დაიძახა უენ-მეტმა და ალალბედზე გავისროლე, რომელიმეს ხომ მოხვდება-მეთქი. სროლის ხმაზე ღორები გასაქცევად გაიჭრნენ. ორმა დაიაკმა მოირბინა და დაიძახეს: „მოხვდა, ტუან“.

საინტერესო იყო ნეიზარისა და მისი ამხანაგების გაოცება. მათ არასოდეს ენახათ, რომ ამხელა მანძილიდან და ასე სწრაფად შეიძლებოდა მხეცის მოკვლა. აქამდეც ცნობისმოყვარეობით უტრიალებდნენ ჩემს თოფს, მაგრამ მოქმედებაში ჯერ არ ენახათ. ჩუ-აი გაიბადრა და მითხრა: „ვახშმად ღორის მწვადები გვექნება, ტუან!“

ჯერ ისევ ადრე იყო, მაგრამ მაინც შევისვენეთ, რათა დაჭრილ საკის მოხდენოდა. ჩუ-აი და ერთი საკაი შეუდგნენ ღორის გატყავება-გამოშიგვნას. ამასობაში ნეიზარი და მისი ხალხი წყაროს მოსაძებნად წავიდნენ. ჩვენ კი ამოვთხარეთ ორმო, გავაჩაღეთ ცეცხლი, შევუკეთეთ მორები. როცა გა-

რეცხილ-გასუფთავებული ღორი მოიტანეს, შამფურზე წამოვაგეთ და ცეცხლს მივუფიცხეთ. რა ქეიფი გავმართეთ! ჩუ-აი თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი გახლდათ. ხალხი მიასკდა საჭმელს. უენ-მეტმა და მისიანებმა გადაწყვიტეს დაევიწყნათ, მუსულმანებს ღორის ხორცი რომ ეკრძალებათ და სიამოვნებით გადასანსლეს თავიანთი ულუფა.

მესამე და მეოთხე დღეს არაფერი გადაგვხდომია. პირდაპირ მწვერვალისაკენ მივიწევდით, კომპასის ისრის მიმართულებით. ნელ-ნელა ვიძვროდით, ყველანი ერთად.

მეოთხე დღის ბოლოს ვიგრძენით შემაღლება და ვნახე — უკვე მთის ძირს მივდგომივართ. ღამის სათევად სამზადისს შევუდექით.

უღრან ჯუნგლებში დავაფრთხეთ მწვანე მტრედების მთელი გუნდი. სანამ ხალხი ადგილს ასუფთავებდა, რატანს აგროვებდა, პალოებს თლიდა და ქვეშსაგებად ლაფანს ამზადებდა, მე და უენ-მეტმა გავიარეთ იმ იმედით, ეგებ რამდენიმე მტრედი მოვინადიროთ ვახშმისათვის-მეთქი. ათ წუთსაც არ გაუვლია, ყვირილი მოგვესმა. უკან გამოვბრუნდით. ყველა აბდულს შემოხვეოდა. აღმოჩნდა, აბდულს ავაზა დასხმოდა თავს და დაეჭრა. ავაზაც იქვე იყო გაშხლართული, სამი ისრით განგმირული. თავი გაჩეჩქვილი ჰქონდა. ყველა აღელვებული დაგვიხვდა. ძლივსძლივობით გაგვაგებინეს, რაც მომხდარიყო. გამოირკვა, რომ აბდული რატანს ჭრიდა და ამასობაში დიდ ხეს ჩაუარა. ამ დროს ავაზა, რომელიც ხის ძირში განაბულიყო, უჩუმრად დააცხრა, წამოაქცია, ბრუყალები ჩაარჭო და ყელი გამოღადრა. აბდული აყვირდა. მის ყვირილზე დანარჩენებმა მოირბინეს და მიეშველნენ. ნეიზარმა ფერდში ჰკრა ავაზას. მისმა ორმა ამხანაგმაც არ დაახანა და კიდევ ორი ისარი სტყორცნეს. ავაზა შემობრუნდა ახალი მტრის დასახვედრად, მაგრამ ნეიზარმა დაასწრო, პარანგით თავი გაუჩეჩქვა და იქვე გააფრთხობინა სული. აბდული ისე მძიმედ იყო დაჭრილი, რომ მიუხედავად ჩვენი მოვლა-პატრონობისა, იმ ღამესვე გათავდა და დილაადრიან დავმარხეთ. ეს გახლდათ ჩვენი ექსპედიციის ნამდვილი ტრაგედია. ყველას გუნება მოგვეშხამა. ძლივს დავაჯერე დანარჩენები, რომ ავაზა არ იყო ჩვენს წასა-

წყმედად მოგზავნილი ავი სული. ბოლოსდაბოლოს მაინც დამთანხმდნენ მწვერვალამდე მიმყოლოდნენ.

თან მხოლოდ აუცილებელი ნივთები წამოვიღეთ. უენ-მეტის ხალხს ყველასთვის სამყოფი წყალი მოჰქონდა, რადგან არ გვქონდა იმედი, რომ მთაზე წყაროს ვნახავდით. მარდად ვიარეთ და მწვერვალს დღის ოთხი საათისათვის მივაღწიეთ. არც ერთ ჩემს თანამგზავრს არ ეჯერებოდა, რომ დავძლიეთ სულების მთა: თავი სიზმარში ეგონათ. იმ ღამეს მოილხინეს, სცემდნენ ტამ-ტამებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ბრინჯსა და ბალახებს სწირავდნენ მსხვერპლად სულებისა და ჯუნგლების მეუფის გულის მოსაგებად. ვფიქრობ, დაძინებისა ეშინოდათ, რომ ძილში არ წამოჰპარვოდნენ სულები.

დილაუთენია შევუდექით ჯუნგლების გაკაფვას. შევარჩიე ყველაზე მაღალი ხე და ყველა ტოტი შევაჭერი, რათა კენწეროზე გასულს კარგად დამეთვალიერებინა მიდამო: ვიმედოვნებდი, რაღაც ახალს ვნახავდი, მაგრამ ჯუნგლების გარდა არაფერი ჩანდა: ჯუნგლები, ჯუნგლები ირგვლივ, სადაც კი მისწვდა ჩემი საველე ბინოკლი. მაშინ გადავწყვიტე შევდგომოდი ჩემი ძირითადი გეგმის განხორციელებას — ე. ი. დამეგო ხაფანგები და მახეები ახალგაკაფულ ჯუნგლებში.

მალე შევემზადენით უენ-მეტის კამპონგში დასაბრუნებლად, რათა იქ დაგვემზადებინა ბადეები და ხაფანგები და მერე დაგვეგო ნაკაფის გაყოლებაზე.

როცა აქეთობისას ქვიშიანს მივუახლოვდით, ჩვენებმა ტამ-ტამების ცემა ატეხეს. მალე შემოგვესმა საპასუხო ტამ-ტამების ხმა. ტუნკუ-იუსუპი და მთელი კამპონგი მოუთმენლად გველოდნენ და სიხარულით შემოგვეგებნენ. ჩვენ დიდის პატივისცემით შემოგვყურებდნენ. მოგზაურები გაფხორილები დადიოდნენ, შელამაზებულად ჰყვებოდნენ თავგადასავალს, რათა შინ დარჩენილებზე შთაბეჭდილება მოეხდინათ. მთელ ღამეს ვღრეობდით და ვმხიარულობდით.

მეორე დღესვე გავაჩაღეთ მუშაობა — სანადირო სამზადისს შევუდექით. მთელი კამპონგი იღებდა მონაწილეობას რატანის შეგროვებაში, რომელსაც მერე ვრეცხდით და მისგან ბადეებს ვამზადებდით. ერთ კვირაზე მეტს დილიდან დაღამე-

ბამდე ვსაქმიანობდით, სანამ არ დავამზადეთ ორმოცი ბადე, დიდი თუ მცირე, სხვადასხვა სიმსხო რატანისაგან. ერთიმეორისაგან ორმოცდაათი-ასი იარდის დაშორებით დავაგეთ ეს მახეები ორი მილის მანძილზე. ჩემმა დაიაკებმა, ჯუნგლების ჭეშმარიტმა შვილებმა, კიდევ ერთხელ გვიჩვენეს თავიანთი სისწრაფე და მოქნილობა. დაიაკების მაგალითმა დანარჩენებს მათთან შეჯიბრების სურვილი აღუძრა. არა მარტო მახეები დავაგეთ, არამედ ამოვთხარეთ ორმოები და ზედ ჩელტები წავაფარეთ. დავამზადებინე აგრეთვე მარგილები და ისღა დაგვრჩენოდა, გალიების შეკვრას შევდგომოდით.

ახლა, როცა ხაფანგები და ბადეები მზად გახლდათ, ყველაფერი უნდა შეგვემზადებინა და ჯუნგლებში ხანძარი გაგვეჩაღებინა, ხანძარს უნდა მოერეკა ჩემთვის ცხოველები. ტყის ხანძარი ჯუნგლებში იშვიათობაა. მისი გაჩაღება შეიძლება, თუ ცეცხლს წაუკიდებ წინასწარ მოჭრილ ხეებსა და ლიანებს, თანაც, ერთი ათი დღე მაინც უნდა აცალო გამოშრობა მზეზე, გაშლილ ალაგას. ნაკაფის განაკიდეს ხეებს ცეცხლი არ მოედება — საამისოდ ისინი ძალზე ნედლია — მხოლოდ გაირუჯებიან.

სულების მთიდან ჩვენი მობრუნების ორი კვირის შემდეგ ხანძრისათვის ყველაფერი მზად გახლდათ. კამპონგიდან ქვიშიანზე გავედით და იქ გავაჩაღეთ კოცონები იმ ვარაუდით, რომ ცეცხლი კარგად გაღვივდებოდა. მზის ჩასვლისას ტროპიკებში მუდამ ქრის ნელი სიო: ვიმედოვნებდი, რომ სწორედ ეს სიო გააჩაღებდა ცეცხლს და წაიღებდა შორს, ნაკაფში, ორ მწვანე კედელს შორის.

პირველმა კოცონებმა იწყეს ნაპერწკლების სროლა ნიავის ყოველ მოქროლვაზე და ბოლოს ალი ავარდა ხეების კენწეროებამდე, გაიჯირითა ნაკაფის გაყოლებაზე. ცეცხლის ენები ყველაფერს ლოკავდა, რაც კი დახვდა გზაზე და სულ მალე ყველაფერი გადაიბუგა, თითქოს იქაურობა გამოუგვიათო. მიწაზე დგუცად იდგა ნაცარტუტა.

კამპონგს არც ამ ღამით უძინია. მას აქეთ, რაც ტყე გავკაფეთ, კამპონგი ახალი ცხოვრებით ცხოვრობდა. იქაურებს მთის სულებისა აღარ ეშინოდათ: მათ სჯეროდათ, რომ ცეცხლით

განვდევნე ჯუნგლებიდან ყველა დემონი. გამთენიისას ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გავგზავნე ბადეების დასახედად. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ორმოცი ბადიდან თექვსმეტში ნადირი გაბმულიყო: ორი ვეფხვი, სამი ავაზა (ერთი შავი და ორი ხალებიანი), ერთი ტაპირი, სამი დათვი. ორი ბინტურონგი, ორი ეშვი, ერთი ბაბირუსი * და ორი ირემი. ღორები და ირმები გარეულ მხეცებს დავუკალით. ვეფხვები და ავაზები ისე გახლართულიყვნენ ბადეებში, რომ სულ იოლად გავკოჭეთ და ჩავსვით გალიებში იმ ვარაუდით, რომ კამპონგში მიყვანისთანავე უკეთეს გალიებში გადავსხამდით. ერთ-ერთ ორმოში მარტორქა ჩავარდნილიყო. კამპონგში მისი წაყვანა ყველაზე ძნელი იყო. საქმე ისაა, რომ ჩვენ არ გვყავდა არც კამეჩები, არც სპილოები, რომ ამოგვეთრია გალია, რომელიც საგორავებზე შევაყენეთ ორმოშივე. მოვაწყვე ოწინარი, მივამაგრე ორ ხეზე, საგორავის ნაცვლად მორები შევუყენე და ბოლოსდაბოლოს გალია შიგგამომწყვდეული მარტორქითურთ ამოვათრიეთ ორმოდან.

მერე მოგვიწია მარხილივით რაღაც მოგვეხლაფორთებინა და წინასწარ მოსწორებული გზით წაგვეღო კამპონგში. ოცდახუთმეტი კამპონგელი სამ დღეს ირჯებოდა ამ საქმეზე. კამპონგში ტივი შევკარით, რომ მთელი ნადავლი ტრენგანის კუალოში მიგვეტანა.

უკვე გავემზადე კამპონგიდან გასამგზავრებლად, რომ ჩემთან მოვიდა კამამანის ოლქის უხუცესი და მითხრა, რომ მათ მხარეში გამოჩენილა უშველებელი ვეფხვი და თავზარს სცემს იმ არემარეს. მან მთხოვა გავყოლოდი და მეხსნა ისინი ამ ურჩხულისაგან. ვეფხვი თავს ესხმოდა კამპონგს და იტაცებდა ქათმებს, იხვებს და ხარებსაც კი; კაცის სულისათვის კი ჯერჯერობით ხელი არ ეხლო. ისინი ძრწოლით ელოდნენ თავიანთ რიგს. როგორ არ ცდილობდნენ და ნადირს თვალი ვერ მოჰკრეს: მხოლოდ მის ნაკვალევს ნახულობდნენ და მისი წვევის

---

* ბაბირუსი — Babirussa alburus სპირალურად დახვეულეშვიანი ტახი. ის მხოლოდ კუნძულ ცელებესზე გვხვდება. მალაკის ნახევარკუნძულზე ბაბირუსი არაა. ავტორი ცდება.

შედეგზე ნაღვლობდნენ. ჩვეულებრივად, იფიქრეს, რომ ეს სული იყო და პირდაპირ პანიკამ მოიცვა კამპონგელები ამის გამო. მთის სულების დამთრგუნველის სახელი შორს გამივარდა და ჩემი რეპუტაცია, როგორც პაუანგისა, შეურყეველი გახლდათ. ახლა მთელ იმედებს ჩემზე ამყარებდნენ და მე უნდა მეხსნა ისინი ამ საშინელებისაგან. გარდა ამისა, არ შემეძლო ხელი მეკრა ამ შესანიშნავი ეგზემპლარის შეპყრობის შემთხვევისათვის. ვეფხვებზე გამუდმებით დიდი მოთხოვნილებაა. იქ, როგორც ეტყობა, გამორჩეულად საინტერესო ვეფხვი უნდა ყოფილიყო და, გადავწყვიტე, შევდგომოდი საქმეს.

დავიბარე, როგორ უნდა გადაეყვანათ მხეცები და დაიაკები გავგზავნე ტუნკუ-იუსუპთან, ტრენგანაში. ჩუ-აი და ტაი თან გავიყოლიე და უხუცესის თანხლებით კემამაში გავემგზავრე. იგი მდინარის აყოლებაზე ხუთი დღის სავალზე მდებარეობდა, „კალის ბორცვის“ სანახებში. როგორც კი მივაღწიეთ კამპონგს, იქაურები დაგვეხვივნენ და თვალდაჭყეტილები, მოწიწებით შემომცქეროდნენ. მათგან შევიტყვე, რომ ვეფხვი აგრძელებდა ღამით სტუმრობას, მიუხედავად იმისა, რომ აჩაღებდნენ კოცონებს კამპონგის ირგვლივ. იგი, ცხადია, სული იყო და მჩხიბავის გარდა ვერავინ გაუმკლავდებოდა...

მალე მთელი კამპონგი საქმეს შეუდგა — ვინ ბადეს ქსოვდა, ვინ მახეებს აგებდა და პალმის ფოთლებს ჩიტის წებოთი ფარავდა. ვბრძანე, ახორი, სადაც ხარები ეყენათ, შემოეღობათ რატანით და დაეტანებინათ წვეტიანი ეკლები. შემოღობილის გარშემო დავაფენინე გაწებილი ფოთლები ოცდახუთი ფუტის მანძილზე. შიგნით კი ბადე გავშალე იმ ვარაუდით, რომ თუ ვეფხვი რაიმე სასწაულით გვერდს აუქცევდა ჩიტის წებოს, ან გადაახტებოდა ღობეს, უსათუოდ გაებმებოდა ამ ბადეში.

კამპონგში ჩემი ჩამოსვლის მეხუთე ღამეს, ათ საათზე, როცა ყველა სულდგმული მიყუჩდა, თხები, რომლებიც სატყუარად მყავდა, აწრიალდნენ, აპეტელდნენ და საერთოდ, დიდი აურზაური ატეხეს. მერე ერთხანს დუმილი ჩამოდგა. უცებ მოისმა ლაწალუწი, გრუხუნი, საშინელი ღრიალი, გაცოფებუ-

ლი მხეცის ბრდღვინვა, რომელშიც გარეული იყო რისხვა და ტანჯვა; მერე ისევ ლაწუნი, პირველზე უფრო ხმამაღლა, ქალების ვიშვიში და მამაკაცების წყევლა. ყოველი მხრიდან გამორბოდნენ იქაურები. მოიმარჯვეს ჩირაღდნები. ვიღაც ყვირილით მომვარდა: „ტუან, ვეფხვმა სახლი დაანგრია“.

ყველანი გავიქეცით ნაჩვენები ადგილისაკენ. მართალი გამოდგა: ვეფხვს გადაუტეხავს ქოხის საბჯენი. ქალები და ბალღები წიოკობით გაიფანტნენ აქეთ-იქით: უცებ ცეცხლმა იფეთქა და ხუთი წუთის შემდეგ ქოხიდან აღარაფერი გადარჩენილა. ხანძრის შუქზე დავინახეთ ვეფხვი — ჩამოცვენილი ძელების ქვეშ მოქცეულიყო და გასრესილიყო. უჩანდა მხოლოდ მკერდი და ცხვირ-პირი. ზურგი ალბათ ჩამსხვრეული ჰქონდა. ცოცხალი აღარ გადარჩებოდა. შეიძლებოდა მხოლოდ მისი აგონიის შეწყვეტა. სამი ტყვიით მოვუღე ბოლო.

იქაურებმა აღელვებისაგან თავი დაჰკარგეს. ვშიშობდი, რომ რომელიმე მათგანი ამ შეშლილობის მსხვერპლი გახდებოდა, რაც საერთოდ სჩვევიათ მალაელებს; მაგრამ, საბედნიეროდ, აღტყინება თანდათან ჩაცხრა და როცა დავრწმუნდი, რომ ყველა დაწყნარდა, ვბრძანე ვეფხვის გამოთრევა სახლის ნანგრევებიდან. ბალანი ერთიანად შეტრუსვოდა, თავზე უზარმაზარი ჭრილობა ჰქონდა ტყვიისაგან. ჩიტის წებოთი გაწეპილი ფოთლები ისე მიჰკვროდა დრუნჩზე, ალბათ მზერას უშლიდა. ეტყობა, ღობეს გადაახტა და რაღაც სასწაულით გადაურჩა ბადეს. რახან ვერაფერს ხედავდა, გაცოფებულმა წინ გაიწია და ისეთი ძალით დაეტაკა სახლის ბურჯს, რომ სახლი დაიშალა და თვითონ ქვეშ მოექცა. ქოქოსის ზეთის სანათური წამოიქცა, სახლი დაიწვა და ვეფხვმაც განუტევა სული. საბედნიეროდ, მდგმურები ოდნავ დაშავდნენ. სახლი კამპონგის განაპირას იდგა და ხანძარი დანარჩენ ნაგებობებს არ ემუქრებოდა.

ვეფხვი გამოათრიეს. დრუნჩიდან კუდამდე ათი ფუტი და ორი დიუმი იყო. წონით სამას სამოცდახუთმეტი გირვანქა იქნებოდა — შესანიშნავი ეგზემპლარი გახლდათ, ყველაზე დიდი, რაც კი მალაკზე მინახავს. ძალიან დამენანა, ცოცხლად რომ ვერ ვიგდე ხელთ.

იქაურები კი გახარებულები იყვნენ, რომ ავი სული დაი-

ღუპა. წყევლიდნენ მალაურ კილოკავზე არსებული ყოველნაირი წყევლით, სანამ არ ვბრძანე დიდი ორმოს ამოთხრა და ვეფხვის ჩაფვლა, რადგან საძაგელი სუნი დააყენა.

კამპონგს მთელ ღამეს არ უძინია. დაანთეს ცეცხლი, გააჩაღეს ღრეობა და როკვა-სიმღერა დილამდე არ შეუწყვეტიათ.

უხუცესი ძალიან მემადლიერებოდა, კამპონგს ეს ურჩხული რომ მოვაშორე. გადაწყვიტა კუალომდე მივეცილებინე და პირადად მოეხსენებინა სულთანისათვის, როგორ მოიკლა ვეფხვი.

ტუნკუ-იუსუპს უკვე მიესწრო ჩემზე ხმების დაყრა. იქაურები ისე აზვიადებდნენ ჩემს წარმატებებს, რომ მათი პატივისცემა ჩემს, როგორც პაუანგის მიმართ, პირდაპირ სასაცილო იქნებოდა, გულწრფელი რომ არ ყოფილიყო. სულთანი მის ქვეშევრდომობაზე ნაკლებ როდი იყო გაოცებული და ძალიან ეამაყებოდა, რომ მე შევძელი შეუძლებელი. მე კი კმაყოფილი გახლდით იმით, რომ მაინც ავაღწიე სულების მთაზე და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივად ბევრი მხეცი მოვინადირე სინგაპურში წასაყვანად.

ჩემი მეგობარი, ტრენგანის სულთანი

იმ ცხრამეტი წლის განმავლობაში, რაც მე მალაკაში დავყავი, ათჯერ მაინც დამიფარავს მანძილი სინგაპურიდან ტრენგანამდე; ჩემმა მეხსიერებამ ცოცხლად შემოინახა ჩემი პირველი ჩამოსვლა ტრენგანის დედაქალაქში გვიან ღამით:

პატარა გემის ბაქნიდანვე დავინახე მდინარე ტრენგანა იმ ადგილიდან, სადაც იგი ჩინეთის ზღვას ერთვის. მეთევზეთა ასობით ნავი გამოსულიყო თევზის საჭერად, თითოეული მათგანი გაენათებინათ ერთად შეგრეხილი პალმის შვიდი-რვა მშრალი ფოთლის ჩირაღდნით. ანთებული ჩირაღდანი მიმაგრებული იყო კიჩოსა და გვერდებზე. თევზი სინათლეზე მოდიოდა და ათასობით იჭერდნენ სათხევლით. სუსტი განათების გამო მეჩვენა, რომ თავთხელზე, ხიმინჯებზე წამოსკუპული სახლებიდან პირდაპირ ფონზე გამოდიოდნენ მეთევზეების მოსახმარებლად...

ამჯერად განზრახული მქონდა მხეცების ჭერაზე უფრო ძნელ საქმეს შევდგომოდი. ყველა ნიშანი მარცხს მიქადდა.

სულ მალე, მას შემდეგ, რაც ნაპირზე გადმოვედი, უკვე ინახით ვიჯექი ტრენგანის სულთანის წინ. სულთანი ორ ბალიშზე იჯდა. მან მკითხა: „ტუან, როცა შენ ტრენგანის ჯუალოში მოდიხარ, მოჰყავხარ მხეცების შეპყრობის სურვილს. ხომ არ ინებებდი სპილოებს?“

სულაც არ მეხალისებოდა მეამბნა, რას ვაპირებდი ამჯერად, მაგრამ თუ თავიდან არ გავუმხელდი განზრახულს, მოიძებნებოდნენ ისეთებიც, რომლებიც „დამეხმარებოდნენ“ ამ საქმეში, ენას მიუტანდნენ და ამირევდნენ გეგმებს.

— არა, კუ, ამჯერად მხეცებისათვის არ ჩამოვსულვარ, — მივუგე სულთანს და მისი სახელი შევამოკლე, რადგან უფლისწულთან მეგობრულ დამოკიდებულებაში გახლდით.

სულთანმა მოიწიწკნა მეჩხერი ულვაშები. ისე ცოტა ბალანი ესხა, საითითაოდ დაითვლიდი. სულთანი სიტყვაძვირი კაცი იყო.

— შენს ქვეყანაში, კუ, — განვაგრძე მე, — უამრავი ძვირფასი ლითონია: ავიღოთ, თუნდაც, კალა, რომელიც უქმად თვლემს მიწაში დიდი ხნიდან მოყოლებული.

— ძილი კარგი რამაა, ტუან, — მომიგო მან.

— ნამდვილად, — ვუთხარი მე. — ნამდვილად, კუ, მაგრამ ის ხომ სიკვდილის უმცროსი ძმაა. ჰოდა, ინგლისელები, ჩემი მეგობრები, გთხოვენ, ნება დართო ამ ლითონის მოპოვებისა, ამოთხარონ, ამოიღონ. კარგა ხანი ინებივრა. ახლა უნდა ვაიძულოთ, იმუშაოს.

— ისე გამოდის, ტუან, თითქოს ლითონი მონა იყოს. თუ ასეა, თვლემს თუ ფხიზლობს, მაინც ჩემი მონაა.

— ნამდვილად, კუ, მაგრამ აკი ჰყიდიან მონებს. სანაცვლოდ დოლარებს იღებენ. დოლარები კი ნებაყოფლობით ემსახურებიან ყველას.

დიდხანს დუმდა და მერე ამოთქვა:

— მე კარაკატიცა ვარ, შენ — მარდი მეთევზე, ტუან. შენ მომინათე ჩირაღდანი, სინათლეზე რომ გამომიტყუო, მერე სათხეველს მესვრი.

თუმცა სულთანი რბილი ხასიათის კაცი იყო, დაცდილი მქონდა, თუ რამეზე თავიდანვე ვერ დაიყოლიებდი, მერე ათასნაირად უნდა ჩაგეგონებინა და დაგერწმუნებინა, სიტყვა რომ გადაგეთქმევინებინა. ამიტომ გადავწყვიტე, ჯერჯერობით საუბრის თემა შემეცვალა.

— როცა ჩემმა მეგობრებმა თავიანთი გეგმები გამანდეს, ვიფიქრე, ეს საქმე მეტად საინტერესოა-მეთქი; შენ ბევრ ფულსა და ძლიერებას მოგიტანს. მაგრამ რახან უარზე ხარ, მეტს აღარ შეგაწყენ საუბრით, სანამ თვითონ არ ისურვებ მის მოსმენას. მანამ კი მოგიყვები ჩემს თავგადასავალს.

სულთანთან ბევრი დრო მიტარებია. ისევე კარგად ვუ-

გებდი მას, თითქოს ამერიკელი ყოფილიყოს. იგი ძმისწულად მოხვდებოდა პრინც უმარას, მამაცსა და დაუნდობელ კაცს, რომელსაც ბადინგს (გამარჯვებულს) ეძახდნენ, მაგრამ სულთანი ბიძამისს ისე ჰგავდა, როგორც შავი—თეთრს. სულ თვრამეტი წლისა იყო, ტახტზე რომ ავიდა და ჭილყვავებივით დაეხვივნენ ნათესავები, ყველაფრისაგან გაცალეს, ასე რომ ბოლოს და ბოლოს შერჩა მხოლოდ რამდენიმე მილი სანაპირო ზოლზე, საიდანაც შემოსავალი მოსდიოდა.

თუ ის გაუბედავი და მხდალი იყო, როგორც ამბობდნენ, ეს სავსებით გასაგებია: ერთი მხრიდან ათასნაირი მხეცებით სავსე ჯუნგლები ერტყა, მეორე მხრით ზღვა ეკრა: გზა სამყაროსაკენ, რომელსაც ცოტათი იცნობდა და ისიც ცუდი ამბებით. ხოლო დედაქალაქში — კარისკაცები შემოხვეოდნენ, ხარბები, მუდამ ინტრიგაზე რომ ეჭირათ თვალი. რახან მე ამერიკელი ვიყავი, იმ ქვეყნიდან, რომელზედაც ჩემთან შეხვედრამდე არაფერი სმენოდა, ქვეყნიდან, რომელიც მას ისევე შორეული ეჩვენებოდა, როგორც მთვარე — იგი მზად იყო ჩემთვის გადაეშალა თავისი გული. მაგრამ როცა ინგლისელების წინადადება გადავეცი — მათთვის კონცესიით მიეცა კალის საბადოები, მის თვალში ერთის ნახტომით მოვხვდი ინტრიგანების რიგში. მაგრამ, მაინც ჩავაგდე თესლი, რომელიც ყველაზე კარგად აღმოსავლელი კაცის სულში იზრდება: ეს გახლდათ ცნობისწადილის თესლი.

ამის შემდეგ ტუნკუ-ბეზარს (დიდ უფლისწულს) მივაშურე. იგი მართლაც დიდია — უშველებელი კაცია. ფერად სულთანზე მუქია, მუქი-ყავისფერი კანი აქვს. მან სულთანის უმცროს დაზე, ტიმარზე იქორწინა. პრემიერ-მინისტრის პოსტი ეჭირა. მას „სიკვდილ-სიცოცხლის“ უფლება ჰქონდა მინიჭებული და ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც შეეძლო არ ჩაცუცქულიყო სულთანის წინაშე მოწიწების ნიშნად.

მაშინვე შევატყვე, ტუნკუ-ბეზარი მისცემდა ინგლისელებს კონცესიას, თუმცა სიტყვით არ უთქვამს. მაინც მკითხა:

— განა რა დიდი უბედურება იქნება, თუ ეგ ხალხი დოლარებს მოიხვეჭს. სულთანს ხომ ყველაზე მეტი ერგება? როცა ნიანგი სკდომაზე გამოძღება, განა არ აღებს თავის ხახას,



რომ ჩიტმა სიკსაკმა კბილებში გაჩხერილი ხორცი ამოკენ-კოს?

რახან ტუნკუ ჩემს მხარეზე დავიგულე, გადავწყვიტე მოთ-მინება გამომეჩინა და დედაქალაქში მანამ დავრჩენილიყავი, სანამ საწადელს არ მივაღწევდი, თუნდაც მთელი თვეობით მომწეოდა ლოდინი. ასეც ვუთხარი ტუნკუს.

მან გაიცინა და მითხრა, უმცროს უფლისწულთან კრინტი არ დამეძრა.

— ბევრი რამ თეთრად შედის ყურში, — თქვა მან, — იქი-დან კი შავად გამოდის:.. გარდა ამისა, შეიძლება ქალი აქციონ გაწვრთნილ მაიმუნად და აიძულონ, ქოქოსის ნაყოფი ჩამოჰ-ყაროს პალმიდან.

მივხვდი, რომ ტუნკუ-ჰასანს უკაკუნებდა, რომელსაც ცო-ლად ჰყავდა სულთანის ნათესავი ქალი. იგი წარმოშობით მა-ლაკიდან იყო და ტრენგანას წურბელასავით აეკრა. აქ წელი-წადში სულ რაღაც ერთ თვეს ატარებდა, მაგრამ თავის ცოლი-სა და ჭორიკანების წყალობით სულთანი გამოჭერილი ჰყავდა და რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებინებდა, სულთანთან კონ-ცესიის თაობაზე მოლაპარაკების მეორე დღეს ყური მოვკარი, რომ ტუნკუ-ჰასანი უკვე კუალოში იყო.

არც ერთი მალაელი არ მექცეოდა ისეთი გასხიპული თავა-ზიანობით, როგორც ტუნკუ-ჰასანი. ლამაზი მამაკაცი და სა-სიამოვნო მოსაუბრე გახლდათ. მოგვიანებით შევიტყვე, რომ სულთანს ასე ეუბნებოდა ჩემზე: „ეგ კაცი კატასავით განაბუ-ლია, მაგრამ ვეფხვის ნახტომი აქვსო“. აზრადაც არ მომსვლია, რომ ტრენგანის გარეთ კიდევ უფრო საშიში იქნებოდა, ვიდრე იქვე, ადგილზე. მისი სიახლოვე არ მსიამოვნებდა და ძალია-ნაც გამეხარდა, როცა გამოგვეთხოვა და სინგაპურში წა-ვიდა.

ტუნკუ-ბეზარმა შემომთავაზა მასთან გადავსულიყავი და ვერანდაზე დავბინავებულიყავი. მანამდე ერთი ჩინელის სტუ-მართმოყვარეობით ვსარგებლობდი, ჩინურ კვარტალში ვცხოვ-რობდი და დიდის სიამოვნებით გამოვიცვლიდი მასპინძელს. დაუყოვნებლივ ვბრძანე გადმოეტანათ ჩემი ბადე და სხვა ბარ-გი-ბარხანა. თან წამოვიყვანე ჩემი ჩინელი ბოი, რომელიც სა-

ღილებს მიმზადებდა; აგრეთვე ჩემი საყვარელი პატარა თუთიყუში — ლორი.

თუთიყუში ჩიტებით მოვაჭრე ერთი მალაელისაგან ვიყიდე. ჩიტი არაჩვეულებრივ ლამაზი შეფერილობისა იყო: მუქწითელი, მწვანე, ცისფერი და ყვითელი ერთმანეთში გადადიოდა. პატარა მოკაუჭებული ნისკარტი ჰქონდა. როცა ვიყიდე, სულ რამდენიმე სიტყვა იცოდა, მაგრამ ჩემს ხელში ნამდვილი ყბედი გახდა. ეს იყო ჩემი ერთადერთი რჩეული იმ წლებში, როცა გარეულ მხეცებზე ვნადირობდი.

ტუნკუ-ბეზარის საყვარელი ცოლი, ასაი, პირდაპირ გადაირია ჩემს ლორიზე: ხშირად გვეპატიჟებოდნენ სადილზე. დაბალ სუფრას შლიდნენ — ერთი ფუტიც არ ექნებოდა სიმაღლე — დორეულებზე ინახდგმით ვუსხედით ხოლმე სუფრას. მსახური ცალ მუხლზე იჩოქებდა თავი საჭმლის მოტანისას. შეეექცეოდით, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე. ტუნკუს განიერი ჩინური შარვალი ეცვა, ზემოდან სარონგი ეხვია, წელს ზემოთ კი შიშველი იყო. მარცხნივ მონა ჩაცუცქულიყო და პატარა, ყვითელი აბრეშუმის ყურთუკი ეჭირა. ვერაფრით ვერ მივხვდი, ეს რაღაში სჭირდებოდათ. საბედნიეროდ, არც მიკითხავს.

ცოტა ადრე, სანამ მათთან დავბინავდებოდი, ტუნკუმ ჩემი რჩევით სინგაპურელ დანტისტს შეუკვეთა ხელოვნური კბილები და საოცრად ამაყობდა ამ დასავლური სამშვენისით. ტიმარი, მისი პირველი ცოლი, რომელსაც ბეტელისაგან კბილები სულ ჩაშავებული ჰქონდა, ამტკიცებდა, რომ პირი გარეული მხეცის ხახას მიმიგავსო და თავი მოჰქონდა ამით. ასაი უფრო თანამედროვე ქალი იყო: თეთრი კბილები უფრო ლამაზად მიაჩნდა. პირველ ხანებში ჩადგმული კბილები ეხამუშებოდა უფლისწულს. სანამ არ შეეგუა, ზოგჯერ სადილობისას გამოიღებდა ხოლმე პირიდან და ერთის ამბით დაასვენებდა ყვითელი აბრეშუმის ბალიშზე.

თუ სადილობისას ბუზები შეგვაწუხებდნენ, უფლისწული ბრძანებდა, მსახურთ პალმის ტოტებით გაერეკათ ისინი. თუ ჭერიდან თეფშში ხვლიკი ჩაგვივარდებოდა, მსახურს ვუხმობდით და ახალ კერძს მოვატანინებდით.

ჩემს ლორის ყველაფერი მოსწონდა, რასაც კი შეეექცეო-

დით — ბრინჯი, წიწილა, იხვი, ბოსტნეული, ხილი, კუს კვერცხები. მე ვჭრიდი ტყავისებურ ნაჭუჭს. თხევად ცილაში, რომელიც ხარშვისას არ მაგრდება, ვიჭერდი გულს და ფრინველს ჭაძლევდი. ლორი ფრთხილად მიირთმევდა ჩემი ხელიდან, არასდროს არ ჩაუნისკარტებია ჩემთვის. უყვარდა, როცა ნასაუზმევს უნანავებდნენ. დავაწვენდი ზურგზე და ვაქანავებდი. როგორც კი შევჩერდებოდი, გაჰყვიროდა: „ლაგი, ლაგი!“ (კიდევ, კიდევ). ესაი გულიანად იცინოდა. იგი მთხოვდა მეამბნა მისი საყვარელი ამბავი — როგორ ვიმგზავრე სინგაპურში რიქშით, ლორი რომ მხარზე მეჯდა და ყულის აჩქარებდა: „ლეკას, ლეკას!“ (ჩქარა, ჩქარა).

ნავახშმევს სულთანთან გადავდიოდი და დიდხანს ვსაუბრობდით. ვუყვებოდი დასავლეთზე, იქაურ ზნე-ჩვეულებებზე. ამ ხერხით მინდოდა ისევ ჩამომეგდო სიტყვა კალის კონცესიაზე. ჩვეულებრივ, დორეულებზე წამომჯდარი მხვდებოდა, წინ დაბალი ქვეშსადგამი ედგა. მუდამ არაბულ წიგნში იქექებოდა, რომელიც ამ ქვეშსადგამზე იდო. ჭილოფისა და დორეულების მეტი ოთახში არაფერი ელაგა. ოთახი ვრცელი იყო. ბაღის მხარეზე მთელი კედლის სიმაღლე ორი ფანჯარა ჰქონდა. ზედ ბამბუკის შტორები იყო ჩამოფარებული. შიგნიდან გარეთ ყველაფერს ხედავდი, გარედან კი ვერავინ დაგინახავდა.

ერთხელ სულთანს დედამიწის რუკა ვაჩვენე. ყოველთვის ვცდილობდი ჩემი საუბრები დამესურათხატებინა სურათებით, რუკებით, ანდა ჩემი პრიმიტიული ნახატებით; ასეთ შემთხვევაში ნაკლებ სიტყვებს ვხარჯავდი. რუკაზე ნიუ-იორკი ვაჩვენე და შევეცადე ამეხსნა, რა შორსაა იგი. ვუამბობდი სამრეწველო ტრანსპორტის მნიშვნელობაზე და ამოცანებზე; ვუხატავდი, როგორ გადიან მატარებლები ერთიმეორის მიყოლებით. მან გაოცებისაგან თავზე იტაცა ხელი: —

— მთელი ქვეყნის ხალხი ვერ აუვა ამ მატარებელს! — წამოიძახა მან.

მის სამფლობელოში ასორმოცდაათი ათასი მცხოვრები იყო. რუკაზე ვაჩვენე ის ადგილი, სადაც ლონდონი იყო აღნიშნული და შევეცადე გამეგებინებინა, რამდენი კაცი ცხოვ-

რობდა ლონდონში. მაგრამ მან თავი გადაიქნია, შუბლში ხელი იტკიცა და წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც აუდენციის დასასრულის მაუწყებელი გახლდათ: „სიუზა...“ (უბედურება). ძალიან უნდოდა მიბრუნებოდა თავის არაბულ ფოლიანტებსა და იმ სამყაროს, რომელსაც იცნობდა.

როცა ოთახიდან გასვლისას კრეტსაბმელს მიუახლოვდა (იგი ყოველთვის პირველი ტოვებდა დარბაზს), მობრუნდა და მკითხა:

— ტუან, თუ ინგლისელები კალის ამოღებას დაიწყებენ, შენ რას მოგცემენ?

— ფულს, — მივუგე უბრალოდ. — შენთვის, კუ, დოლარების მთას დადგამენ, თვითონ მომცრო გორას დაიტოვებენ, მე კი პატარა ბორცვს მომცემენ. კაცი ამაოდ არ უნდა დაშვრეს.

— გეყოფა, — თქვა მან და ფარდა გადასწია.

იმწამსვე ვინახულე პეტრი ტიმარი — სულთანის დაჲ და ტუნკუ ბეზარის პირველი ცოლი. მის სავანეში მუდამ სასურველ სტუმრად მთვლიდნენ. გადაწყვეტილი მქონდა, მისთვისაც გამეცნო დასავლური ზნე-ჩვეულებები და, საერთოდ, აქაური ბანოვანების გული მომეგო.

ხანშიშესული ქალი მოკალათებულიყო მოხერხებულ სავარძელში. ვრცელი, ლამაზი ოთახი ორად იყო გაყოფილი დიდი ფარდით — თითოეული დაახლოებით 25-25 ფუტი იქნებოდა. ჭერი და კედლები ტექტონის ხისა ჰქონდა. ტიმარს უამრავი მხევალი ეხვია გარს. ზოგი კერავდა, ზოგი სარონგს ქსოვდა უბრალო ხელის დგიმით.

ჩემის აზრით, სულთანის სავანის ამ ნაწილს ამერიკელი ჰარამხანას დაარქმევს. ამ ქალიშვილთაგან რომელიმეს ზოგჯერ უმცროს უფლისწულებს უბოძებენ ხოლმე ხარჭად. მანამ კი მკაცრად ადევნებდნენ თვალს.

ყოველგვარი გახმაურებული ზნედაცემულობა, უზნეო საქციელი მკაცრად ისჯება. დამნაშავეს ციხეში გამოამწყვდევენ, სანამ სულთანი არ ინებებს მათ გაშვება. ხანდახან ერთ-ერთს, ზოგჯერ ორივეს აყურყუტებენ ციხეში.

ტიმარს ჰყავდა ერთი მხევალი, სიმელი ქალიშვილი, რო-

მელიც საოცრად ლამაზ სარონგებს ქსოვდა, შიგ ოქრომკედს ატანდა. ნამდვილი ალქაჯუნა იყო: პოლიციამ არაერთხელ შეიპყრო ღამით, მაგრამ ციხეში ვერ ჩასვეს, რადგან მისი ნახელავი ძვირად ფასობდა. ამიტომ ფეხზე მიაბეს ხისბირთვიანი მძიმე ჯაჭვი, როგორც კატორღელს. სიარულისას ჯაჭვს მხარზე გადაიგდებდა ხოლმე.

მეორე მხევალი, რომელიც პეტრი ტიმარს გვერდით ეჯდა, ბეტელის კაკალს „სერის" ფოთლებში აბვევდა, უმატებდა ნედლ წებოსა და გამბირს (წებოვანი ნივთიერებაა, რომელიც მზადდება ერთგვარი ბუჩქის ფოთლებისაგან და იყენებენ ტყავის მოსათრიმლავად და შესაღებად). ყველაფერ ამას ფილში ჩანაყავდა, რადგან ტიმარს ცუდი კბილები ჰქონდა და ბეტელს ვერ დაღეჭავდა. ტიმარი არცთუ ისე მოხუცი იყო, მაგრამ ხანშიშესული მალაელი ქალები ათი-ხუთმეტი წლით უხნესად გამოიყურებიან, ვიდრე მათი ტოლი ამერიკელი ქალები.

გარდა ამისა, მარცხენა მხარე დამბლისაგან წართმეული ჰქონდა. მაგრამ ეს, ეტყობა, სულაც არ აღონებდა. ყოველთვის მზად იყო მოესმინა მხიარული ამბავი ან ხუმრობა: ძალიან უყვარდა სიცილი. მასთან მუდამ ხელდამშვენებული მივდიოდი; მიმქონდა ევროპული ზიზილ-პიპილები, რამდენიმე იარდი ფერადი აბრეშუმი, ჭყეტელა სურათები ან სურნელოვანი საპონი.

როგორც კი დამინახა, მაშინვე იკითხა:

— რა მომიტანე, ტუან?..

მისთვის ერთი განძი მქონდა, რომელიც მხოლოდ სალამქალამის მოთავების შემდეგ გამოვუჩინე: ჩიკაგოს უნივერმაღის ილუსტრირებული კატალოგი. ქალიშვილებმა ფეხაკრეფით მოირბინეს სურათების სანახავად; ისინი თუთიყუშებივით ყღურტულებდნენ, სანამ მე ფურცლებს ვშლიდი. ქალის ფეხსაცმელებმა საოცრად ააღელვა ისინი. დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქალებს, რომლებიც ასეთ ფეხსაცმელებს ატარებენ, ფეხები ჩინელებივით ექნებათ დამახინჯებულიო. როცა ავუხსენი სურათებზე გამოსახული კორსეტების ხმარების წესი, დაიცადეს, სანამ პეტრი ტიმარი გაიღიმებდა და მერე ყველანი ახარხარდნენ.

— ეტყობა, — წამოიძახა ერთმა მათგანმა, — ზღვისიქითელი ქალები სულელები არიან!

ტიმარმა მხევალი დასაჯა უტაქტობისათვის და ოთახიდან მიაბრძანა. როცა ქუდების განყოფილებამდე მივედით და ქალებმა მკითხეს, რა ეღირებაო, ვინანე, რატომ წამოვიღე-მეთქი კატალოგი: ერთი ქუდის ფასი მალაელისათვის საკმარისი იქნებოდა, რომ ერთ წელიწადს გაეტანა თავი. იმ ხანებში მოდაში იყო ფრთებით გაწყობილი ვეებერთელა ქუდები.

— ტრენგანაში, — თქვა წარბშეკრულმა პეტრი ტიმარმა. — ქალს მოუწევდა ცალკე მხევალის აყვანა, რომელსაც ხელით უნდა ეტარებინა ამოდენა ქუდი.

მერე შეკრთა, მიხვდა, რომ მანაც უტაქტობა ჩაიდინა და თავაზიანად მთხოვა:

— ხომ არ დატოვებს ტუანი ამ საინტერესო წიგნს? გულდასმით გადავათვალიერებდი სურათებს...

ცხადია, წიგნი ვაჩუქე და ამით ადრინდელ საჩუქრებზე მეტად გავახარე. მან წიგნი სასთუმალში ამოიდო და მკითხა:

— ხომ არ მომიყვება ტუანი რაიმე ამბავს?

მხევლებით გარშემორტყმული, ჭილოფზე ინახით ვიჯექი და ვყვებოდი მალაურად „ბაყაყ-უფლისწულზე“. სხვა დროსაც მიამბნია მათთვის ზღაპრები, მაგრამ ეს განსაკუთრებით მოსწონდათ. უფლისწული რომ ბაყაყად იქცა და მერე ისევ უფლისწულად, მათთვის ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ.

მერე თვითონ ტიმარმა გვიამბო ზღაპარი. რაღაც საშინელება იყო: გვიამბობდა კამპონგზე, სადაც სახლები ადამიანის ძვლებისაგან უშენებიათ და შეჭმული ქალების თმებით გადაუხურავთ. კამპონგი ვეფხვებს გაუშენებიათ და შიგაც ვეფხვები ცხოვრობდნენ. უხუცესი ღამით ვეფხვი იყო, დღისით კაცად იქცეოდა. ტიმარი ისეთ საშინელ წვრილმანებს ჰყვებოდა, რომელსაც ევროპელი მთხრობელი უსათუოდ გამოტოვებდა. ჰყვებოდა ექსტიკულაციით, იქნევდა ჯანმრთელ ხელს, ქალიშვილები ცახცახებდნენ და გაიძახოდნენ: „ტაკუკ!.. (მეშინია), „ხიკმატ!“ (საოცარია). ცახცახმა მეც ამიტანა.

ტიმარი განათლებული ქალი გახლდათ. მან ძმასთან ერთად

შეისწავლა ყურანი და არაბულად კითხულობდა. როცა ერთ-ხელ სიტყვა ჩამოვუგდე ქალების განმანთავისუფლებელ მოძ-რაობაზე, ხუმრობაში ჩამომართვა; ზრდილობიანი ქალი იყო და პირში არაფერი უთქვამს, მაგრამ აშკარად ვხედავდი, რომ არცთუ ისე კარგი აზრისა იყო დასავლეთელ ქალებზე.

სულთანს თავისი თავი „მოწინავე" კაცად მიაჩნდა. როცა სინგაპურში მიდიოდა, ევროპულ კოსტუმს იცმევდა და მომ-ცრო ქუდს იხურავდა. ამგვარად გამოწყობილი იღებდა სუ-რათსაც. ხმარობდა საყელოს, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიყო-ლიე, ჰალსტუხიც გაეკეთებინა. იგი გადაჭრით უარობდა „შემოეყრონჭა თოკი კისერზე". მისთვის ჰალსტუხი ქედ-მოხრის სიმბოლო გახლდათ. იგი ფიქრობდა, რომ საკმარისია „კისერზე თოკი შევიბა", ინგლისი უსათუოდ წაატანს თოკის ბოლოს ხელსო... სასოებით ვინახავ მის ფოტოსურათს: გახა-მებული საყელო უკეთია და საკინძი მოუჩანს. როცა მოგზაუ-რობდა, კარისკაცები უსათუოდ ახლდა, წინ კი მცველები მი-დიოდნენ და ხალხში ფულს აბნევდნენ. ეს უხვი საბოძვარი კა-ლის მონეტა გახლდათ, ცენტის მერვედად ფასობდა. ბალღებს ზედახორა ჰქონდათ ამ მონეტების გულისათვის. უფროსები ცუცქით ჯდებოდნენ და გაჰყვიროდნენ: „გზა მშვიდობისა!.."

საოჯახო ნივთების რიცხვით ჩემს მეგობარს ბევრად გაუსწ-რო სულთანმა ლინგიმ, რომელთანაც ერთხელ ტუნკუ-ბეზარმა წამიყვანა. ამ სულთანმა მიმიწვია ოთახში, სადაც უამრავი მა-გიდა და კარადა ედგათ. მოვარაყებული სკამები რამ-დენიმე რიგად ჩაემწკრივებინათ. ოთახში კაცი ვერ გაინძრეო-და. ძლივძლივობით მივიწევდი წინ, ავეჯს არ გადავწყდომოდი. სულთანს ვუთხარი, რომ ყველაფერი ეს ძალიან ლამაზია და რომ ჯერ არ მინახავს ოთახი, რომელშიც ამდენი ავეჯი ყოფი-ლიყოს-მეთქი. მასპინძელი კმაყოფილი დამირჩა.

როგორღაც, ერთხელ მოვუყევი, რომ კალას სახურავად ხმარობენ და ჩემი ბაჯუს ჯიბიდან ამოვიღე კონვერტი, რათა დამეხაზა ნათქვამი. სულთანი მარკამ დააინტერესა: მარკაზე ინგლისის დედოფალი იყო გამოსახული. სულთანს ავუხსენი, როგორ მოგზაურობს ეს მარკა მთელს ქვეყნიერებაზე. მან მითხრა, რომ ძალიან უნდა მისმა პორტრეტმაც იმოგზაუროს

ასე, წერილთან ერთად... უცებ აზრად მომივიდა, თუ ტრენ-განულ მარკას გავაკეთებდი და მერე კლიშეს ზღვაში გადა-ვაგდებდი, ფილატელისტებს ერთი ამბავი შეუდგებოდათ და მარკის ფასი აიწევდა. სულთანს ჩემი ნაზრევი ჭკუაში დაუჯ-და. ამის შესახებ მივწერე ფოსტის დირექტორს სინგაპურში. საკითხი ბრიტანეთის მთავრობის წინაშე აღძრეს და გამოკვლე-ვის შემდეგ მომივიდა ოფიციალური საბუთი თავაზიანი უარით, რომ ტრენგანაში ჩემსა და რამდენიმე ჩინელის გარდა წერილს არავინ არ ღებულობს.

მალე, ამ გაწბილების მერე, რაშიც სულთანი, სამწუხაროდ, ინგლისს ადანაშაულებდა, რიქშისათვის გაგზავნა კაცი. როცა რიქშა გემიდან გადმოჰქონდათ, იქაურები იდგნენ და ჰკვირობ-დნენ: მსგავსი რამ არასოდეს ენახათ. პირველად, როცა სულ-თანი რიქშაში ჩაჯდა და წავიდა, მთელი იმოდენა ბრბო უკან მიჰყვა. სწორედ მისწრება კი შეიქნა: გზა არ იყო, ქვიშა სქელ ფენად იდო და თან მერყევი გახლდათ, თვლები ღერძამდე ეფლობოდა შიგ. სულთანი რიქშიანად სულ ხელით ატარეს.

ტუნკუ-ბეზარი ამ წამოწყებას ამრეზით უყურებდა.

— რიქშა უგზოდ იგივეა, რაც ნავი უწყლოდ, — თქვა მან. — მხოლოდ ალაჰს შეუძლია გააჩინოს ზღვა და მდინარე, მე კი, რახან მიწა მაქვს, შემიძლია გზის გაყვანაც.

იგი ოცნებობდა არა უბრალო გზაზე, არამედ იმაზე, რომ გზები გაეყვანა ევროპული ნიმუშის მიხედვით. ბრძანა, მოე-ზიდათ თიხა და ორ რიგად ჩამწკრივებულ ჩინელი ვაჭრების ფარდულებს შორის დაეყარათ. მერე თავისთვის დროებით ჩარდახი გააკეთებინა და იქ მოეწყო, იქიდან ადევნებდა თვალ-ს მუშაობას. ამალა გარს შემოეხვია, საუბრობდნენ, იცინოდნენ და ეხმარებოდნენ თვალყურის დევნებაში. მაგრამ მოსეირე მეტი იყო, ვიდრე მომუშავე. თიხა პატარა გროვებად დაჰყარეს და ხის სატკეპნებს სცემდნენ. დიდი ალიაქოთი შეუდგათ, მუ-შაობა საათობით გრძელდებოდა, მაგრამ საქმე წინ ვერ წა-ვიდა.

უცებ გამახსენდა ცირკში გატარებული დღეები და ის ხერ-ხი, რომლითაც ჩვენ რბილ გრუნტს ცირკის არენისათვის გა-მოსადეგად ვაქცევდით.

ტუნკუს ვუთხარი:

— რატომ აკეთებინებთ კაცის ხელს იმ საქმეს, რაც შეიძლება ცხოველის ფეხმა გააკეთოს?

— ტუანი იგავებით ლაპარაკობს, — მომიგო მან.

— კუ, — ვთქვი მე, — სულთანს ოთხი სპილო ჰყავს, შენც ოთხი. თითოეულ სპილოს ოთხი ფეხი აქვს. სპილოს ფეხი ჯუნგლებსაც კი ტკეპნის...

— ბატონო სპილო, — წამოიძახა მან და ჩემი ძველი მეტსახელით მომმართა, — შენ ბრძენი კაცი ხარ, მე კი წიწილის ტვინი მაქვს.

გამიხარდა, რომ სპილოები ბოლოს და ბოლოს საქმეში ჩაებმებოდნენ. დაჭერის დღიდან არაფერს არ აკეთებდნენ გარდა იმისა, რომ ჭამდნენ, სახელმწიფოს სახელს უთქვამდნენ, ხალხს ართობდნენ. მეთვალყურეების ბავშვები მთელ დღეს მათთან თამაშობდნენ, სულთანის შვილებიც ანებივრებდნენ და შაქარს აჭმევდნენ. ბავშვების დანახვაზე სპილოები სიხარულით ყროყინებდნენ.

სპილოები მოიყვანეს და აიძულეს რბილ თიხაზე ევლოთ. ახალი სანახაობა ტუნკუს მოეწონა. იგი იჯდა ჭილოფის სახურავქვეშ, საუბრობდა, იცინოდა და ყავას შეექცეოდა. იქაურები ირგვლივ ეხვეოდნენ, ახალ საოცრებას შესცქეროდნენ. ჩინელები მხოლოდ იმიტომ მოვიდნენ, რომ ტუნკუსადმი პატივისცემა დაემოწმებინათ.

როცა ჩინელები წავიდნენ, ტუნკუმ ამალიდან კაცი გაგზავნა მათთან ფარდულში. „ყველას გამოართვი რამე. გზა მაგათთვის გამყავს“.

ერთხელ, როცა მასთან ვიჯექი გადახურულში, ფირუზისთვლიანი ბეჭედი მომცა და მითხრა, „ატარე, ტუან! შენ ბრძენი ხარ, ხოლო ფირუზი დაგიცავს მუცელზე მხოხავი გველის შხამისაგან“.

მალაელებს უყვართ იგავებით საუბარი. მეტი ვერაფერი დავაცდენინე. ისე კი მივხვდი — ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ თუმცა ტუნკუ-ჰასანი აქ არაა, მაინც უნდა უფრთხილდე მასო. ამ კაცმა, რომელიც კარგად იცნობდა მალაელებს, ეჭვი აიღო, რომ მოწამვლით სიკვდილი მემუქრებოდა. მალაკის

უფლისწულის მსახური საჭმელში ჩამიყრიდა შხამს, დანაყილ შუშას, ან ბამბუკის დაკეპილ წვილს. მაგრამ ამის არ მეშინოდა: ჩემი ჩინელი ბოი ჩემთვის თავს დადებდა, მეც მისი მომზადებული საჭმლის გარდა პირს არაფერს ვაკარებდი, გარდა ტუნკუ-ბეზარის სადილებისა. ტუნკუ კი თავისთვის მომზადებულ კერძს მიზიარებდა. არაფრით არ შემეძლო თავდაცვა. აღმოსავლურ ინტრიგას თავსა და ბოლოს ვერ უპოვით. არ მინდოდა ინტრიგაში გავრეულიყავი და, გადავწყვიტე, სულთანის სრული ნდობა მომეპოვებინა. ტუნკუს ბეჭედი უფრო მეგობრული განწყობილების ნიშნად მივიღე, ვიდრე გაფრთხილებად.

როცა გზის გაყვანას მოვრჩით (გზა ასორმოცდაათი იარდის სიგრძისა გახლდათ, პატარა ქალაქის კვარტალს გასწვდებოდა), სულთანს რიქშით ატარებდნენ, ანდა ფეხით სეირნობდა ამალის თანხლებით, რომლებიც დიდი ყვითელი აბრეშუმის ქოლგას შეჰფარებოდნენ.

პირველსავე დღეს, როცა სპილოები მოიყვანეს გზის სატკეპნად, მოხდა ძარცვა. ამან ჩემი ცირკის დღეები გამახსენა: იყო შემთხვევა, რომ ქურდების ბანდა შეეკრა ცირკის მეპატრონეს და სანამ თვალდაჭყეტილი სოფლელები ან ქალაქელები სანახაობას მისჩერებოდნენ, ქურდები სახლებში ფათურობდნენ... ახალგაზრდა მალაკელი, რომელსაც დიდი ლოველასის სახელი ჰქონდა გავარდნილი, შეპარულიყო ცარიელ სახლში და რაღაც ძვირფასი ნივთი აეწაპნა. დანაშაულზე წაასწრეს. მიიყვანეს იმ ადგილას, სადაც საერთოდ სჯიან ხოლმე დამნაშავეებს — ქვიშიან კონცხზე, სადაც ორი წლის მერე ჩემი სახლი იდგა — მარჯვენა ხელი მუხის კუნძზე დაადებინეს და პარანგის ერთი მოქნევით წააცალეს მტევანი. მერე ტაკვი ცხელ ფისში ჩააყოფინეს. როცა აუშვეს, ღრიალით შევარდა მდინარეში. ხალხმა სიცილი დააყარა.

როცა კაცს პირველად დაიჭერენ ქურდობაში, მარჯვენა ხელს მოაჭრიან, მეორეჯერ — მარცხენა ფეხს; მესამეჯერ — მარცხენა ხელს.

შევეცადე, სულთანისათვის გამეგებინებინა დასჯის ჩვენე-

ბური მეთოდები, ტუნკუ-ბეზარსაც ბევრი ვეჩიჩინე, მაგრამ, ვფიქრობ, ვერაფერი შევასმინე.

— როცა კაცი მოიპარავს რასმე და მსაჯულები გაამართლებენ, — მითხრა უფლისწულმა, — ეს ნიშნავს — ნაქურდალში მათაც უდევთ წილი.

ერთი რამ ვერ აეხსნა — როგორ გაუყოფს დამნაშავე ნაქურდალს თორმეტ კაცს.

ტრენგანაში ჩემი ყოფნის დროს მკვლელობა მოხდა. ერთმა ჩინელმა და მალაელმა გაგუდეს ჩინელის დეიდა გაძარცვის მიზნით. როცა იფიქრეს, რომ უკვე მოკვდაო, თავი გაანებეს და წავიდნენ. მაგრამ სიცოცხლე ისევ ბეუტავდა და მოხუცმა მოასწრო მეზობლისათვის ეთქვა, ვინ წაჰკიდა ეს საქმე.

მკვლელებმა ჯუნგლებს მიაშურეს, მაგრამ ღამით ჯუნგლები ჯალათზე საშიშია. ისინი განაპირას იყვნენ შეფარებულები. მალე შეიპყრეს, მოიყვანეს დასჯის ალაგას. მალაელი აიძულეს ჩაცუცქულიყო. ხელები უკან ბოძზე მიუბეს და გრძელი ხმლით მარჯვენა მხრიდან მკერდამდე გაკვეთეს. ჩინელი ჩამოახრჩვეს.

დიდები თუ პატარები თვალდაჭყეტილები მისჩერებოდნენ ამ სურათს. ისინი გულგრილად უყურებენ წამებას.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გახლდათ უკანასკნელი სახალხო დასჯა ტრენგანაში. ქურდობისათვის მერე აღარც ხელს აჭრიდნენ და აღარც ფეხს. კანონის შესაცვლელად არავითარი ედიქტი არ გამოუციათ, მაგრამ ტუნკუ-ბეზარმა გადაწყვიტა, რომ დამნაშავე — ქურდი ან მკვლელი — აღარ ეცოცხლებინა და განკარგულება გასცა — ადგილზევე მოეკლათ ყველა დამნაშავე, რომელიც ჯუნგლებში გაიქცეოდა (რაც ხშირი შემთხვევა იყო) და იქ მოახელებდნენ.

შეიძლება, დასჯის ეს წესი უფრო კარგი იყო, ვიდრე ცნობისმოყვარე ბრბოს წინაშე კაცის წამება, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, რომ მოვალე ვიყავი რაიმე ზემოქმედება მომეხდინა ამ ხალხზე. გადავწყვიტე, თანდათან შემემზადებინა სულთანი და, თუ ფიგურალურად გამოვთქვამთ, ტრენგანაში სინათლე

და სუფთა ჰაერი შემომეშვა. ვერაფერს გავხდი: ტრენგანაში ტუნკუ-ჰასანი დაბრუნდა...

ყველა მალაელ უფლისწულს თავისი ამალა ჰყავს, რომელიც საიდუმლო პოლიციის როლს ასრულებს. არავის არ ჰყავდა იმდენი ერთგული მსახური, რამდენიც ტუნკუ-ბეზარს და მუდამ იცოდა, რა ხდებოდა ირგვლივ. ახლა გადაწყვიტა, ჩემთვისაც გაეზიარებინა თავისი ცნობები. რებუსებს დაეხსნა და პირდაპირ მეუბნებოდა ყველაფერს. ტუნკუ-ჰასანმა თავისი მალემსრბოლის საშუალებით სულთანს გადაადებინა ყოველგვარი გადაწყვეტილება კალის კონცესიის თაობაზე. ძალიანაც რომ მომეხდომებინა საქმის ბოლომდე მიყვანა, ვერაფრით ვერ მივაღწევდი ამას. ტუნკუ-ჰასანმა თავი მოუყარა იმდენ ფულს, რომ გადაიხდიდა ყოველგვარ კონცესიას, თუკი სულთანი გასცემდა მას. ჰასანს მხარს უჭერდა დანარჩენი ექვსი უმცროსი უფლისწული. მხოლოდ დიდი უფლისწული იყო ჩემს მხარეზე. მან მირჩია, ახლავე ვხლებოდი სულთანს, ამეხსნა საქმის ვითარება და პასუხი მომეთხოვა დაუყოვნებლივ. ბეზარმა მითხრა:

— კაცს რომ აცალო, დაეძინება და ვინ იცის, რა დაესიზმროს. ჰასანმა ბევრი სიცრუე ჩააწვეთა ყურში. ახლა სულთანი მღერის ბეჭდებზე, ბრილიანტის საკინძესა და დოლარებზედაც კი. ჰასანს კი ერთი რამ უნდა: მისწვდეს ქოქოსის კაკალს და იქიდან სულ ამოწუწნოს რძე. იჩქარე, ტუან.

მისი რჩევით წავედი და ადრე მომივიდა სულთანთან მისვლა — მასთან პირველი ცოლი იყო და ქალს სახე ახდილი ჰქონდა. ეს ქალი არასოდეს მენახა და შევშინდი, რომ იგი დაირცხვენდა და, ვაი თუ სულთანს ეწყინოს-მეთქი. მოწიწებით მივესალმე მათ. მივხვდი — ქალი მიცნობდა მე. ეტყობა, არაერთხელ დავუნახავარ გისოსებიდან.

ქალმა წყნარად მითხრა:

— ტუან, კაცი, რომელიც ჯუნგლების მხეცებზე ჭკვიანია, ალბათ დიდ სიბრძნეს ფლობს.

და წყნარად გაილალა.

მე იატაკზე დავჯექი სულთანის პირდაპირ და მოკლედ მოვახსენე ჩემი წინადადება. ექვსთვიანი არენდა კემამანში (ტრენგანის სამხრეთი ნაწილი) და ექსპერტის მოწვევის უფლება —

სულ ეს იყო, რასაც მიაღწიეს ჩემმა მეგობარმა ინგლისელებმა. ისინი ითხოვდნენ, ყავლის გასვლის შემდეგ მიეღოთ კონცესია ამ ნაკვეთზე, სამაგიეროდ სთავაზობდნენ კონგსში (ამხანაგობა) ერთ-ერთი აქციონერი იქნებოდა რაჯა მუდა (ტახტის მემკვიდრე). ამრიგად, კონცესია მთლად უცხოელების ხელში არ იქნებოდა. არენდისათვის სულთანს დიდ თანხას სთავაზობდნენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ძიება გაამართლებდა, კიდევ გადუხდიდნენ კონცესიას. გარდა ამისა, სულთანს მოგების წილშიც შეიყვანდნენ და ათ პროცენტს მისცემდნენ.

სულთანმა ჯიბიდან წერილი ამოიღო. ეს გახლდათ ინგლისური წერილის ასლი, რომელსაც იგი ვერ წაიკითხავდა. მე გამომიწოდა.

— მე მითხრეს, — თქვა მან, — რომ ამ წერილში ნათქვამია, თითქოს რასაც შენ მთხოვ, შენ ხელს გაძლევს; რომ ეს ამხანაგობა, რომელზედაც ამდენი მითქმა-მოთქმაა, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, რომ ასეთი ინგლისელები საერთოდ არ არსებობენ. მითარგმნე ეს წერილი, ტუან.

წერილს თვალი გადავავლე. ეს იყო პირობის ქაღალდის ასლი, რომ საქმის წარმატების შემთხვევაში მე გარკვეულ პროცენტს მივიღებდი. წერილი სულთანს დავუბრუნე.

— თუ ის სიტყვები, რაც შენ მოგისმენია, კუ, მართალი სიტყვაა, გამოდის, მე ქურდი და მატყუარა ვყოფილვარ. და თუ მე ქურდი და მატყუარა ვარ, მაშინ შენ და ტუნკუ-ბეზარი ორივენი ბითურები ყოფილხართ, ამდენ ხანს რომ გჯეროდათ ჩემი.

და თვალი თვალში გავუყარე.

— მართალი კაცი ასე მალე რომ იქცეს მატყუარად, მაშინ იხვის კვერცხებიდან ქათმის წიწილები გამოიჩეკება. წერილი, რომელიც ხელთა გაქვს, ყველას შეუძლია გითარგმნოს, ვინც კი კითხულობს ინგლისურს. მე თუ მატყუარა ვარ, შენ მაინც არ დამიჯერებ, რომ სწორად გითარგმნე. — ვუთხარი მე და წამოვიწიე, თითქოს წასვლას ვაპირებდი.

— დაიცა, ტუან, — შემაჩერა მან. — როცა კაცი ჩემსავით ხის კენწეროზეა, ბევრი ცდილობს იმ ტოტის მოჭრას, რო-

მელზედაც ზიხარ. გვერდით მსხდომნი კი ცდილობენ ხელთ იგდონ ნაყოფი.

და შეშფოთებით, რაც ხშირად ეუფლებოდა, ტაში შემოჰკრა.

— უხმეთ მუჰამედს, — უბრძანა შემოსულ მსახურს.

მოვიდა მუჰამედი, სასახლის მწერალი. მოწიწების ნიშნად წელში ორად მოიხარა. თან მოიტანა ქაღალდი, მელანი და ბატის ფრთის კალამი.

სულთანმა იწყო კარნახი: „სალამათ“ (სალამი) — ასე იწყებოდა უსტარი. მან უბრალოდ და გარკვევით უკარნახა ჩემი მეგობრების პირობაზე თანხმობა. სულთანი მალაურად უკარნახებდა, მწერალი კი არაბულად თარგმნიდა. მერე აანთეს სანთელი, გააცხელეს ფოლადის ბეჭედი და ლუქის ნაცვლად იხმარეს ლამპის ჭვარტლი.

სულთანმა ხელშეკრულება გამომიწოდა და დაუმატა:

— ტუან, შენს წინაშე მე ნესტოებში რგოლგაყრილ კამეჩს ვგავარ. მაიძულებ, საითაც ისურვებ, იქით ვიარო.

— თუ ასეა, — მივუგე მე, — მაშინ იმედი მაქვს, შენ და შენს ქვეყანას მშვიდობასა და სიმდიდრესთან მივიყვან.

გამოვართვი ქაღალდი და გამოვედი; უკან-უკან ვიხევდი და მოწიწებით ვეთხოვებოდი.

გამოსვლისთანავე ტუნკუ-ჰასანს გადავაწყდი, რომელიც სულთანთან მოიჩქაროდა. იგი შედგა, ჩემს ხელში ქაღალდი დალანდა. ეს ქაღალდი მისი მარცხის მაუწყებელი იყო. ამაყად ჩავუარე გვერდით. მწამდა, რომ ეს ქაღალდი ცივილიზაციის პირველი მერცხალი იყო, რომელიც ტრენგანას დანარჩენ სამყაროსთან დააკავშირებდა.

ცირკი დასავლეთსა და აღმოსავლეთში

სუმატრაზე იღბლიანი ნადირობის წყალობით ჩემი სამხეცე სინგაპურში ნადირით აივსო, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხალვათი ნაგებობა ეკავა. ადრე იქ საჯინიბოები ყოფილა. ასი კვადრატული ფუტის ეზოს ოთხსავე მხარეს ჩამწკრივებული იყო ბაგები. ეზოს შუაგულში ჭა გვქონდა. სინგაპურში წყალზე დიდი გადასახადია. ნადირი კი ბევრ წყალს სვამს, გარდა ამისა, აუცილებელია სისუფთავის დაცვაც. ჰოდა, ეს ჭა სწორედ მისწრება იყო. სულ ადვილად გადავაკეთეთ ეს ადგილი გარეული მხეცების სადგომად, სანამ მათგან ხელს გავიცლიდი. ერთ მხარეზე ჩავამწკრივეთ გალიები, რომლებშიც მოთავსებული იყვნენ კატისებრთა ოჯახის დიდი და პატარა მხეცები. მეორე მხარეს — მსუბუქი გალიები მაიმუნებისა და ფრინველებისათვის. მესამეზე მოვაწყვეთ სპილოების, კამეჩების, მარტორქებისა და ირმების სადგომი. სახლი, სადაც ჩემი იქაური თანაშემწეები ცხოვრობდნენ, ეზოშივე იდგა. ყველანი ოჯახიანად ცხოვრობდნენ. ვერ იტყოდით, რომ მყუდრო ადგილი იყო, მაგრამ მალაელ ქალებს მაგარი ნერვები აქვთ, ბალღები კი ამ ადგილს სასახლეზედაც კი არ გაცვლიდნენ: აბა იფიქრეთ — თითქოს ცირკში გვცხოვროთ, ყოველდღე ცირკი! საკუთრივ ჩემი სახლი ბაგების იქით იდგა. ისე მივეჩვიე გამუდმებულ ხმაურს, რომ ვეღარც კი ვამჩნევ, თუ განსაკუთრებულად შეშფოთებული ღრიალი ან ყმუილი არ ატყდება. ტურისტები და სინგაპურის ინგლისელი მცხოვრებლები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან და ჩვენც მუდამ სიხარულით ვეგებებოდით. ადგილობრივი მცხოვრებლებისა და ჩინელი ყულების მთელი

ბრბო მოგვაწყდებოდა, შესასვლელი თანხა რომ არ დაგვენიშნა — უნდა გადაეხადათ „დუა სენ“ (ორი ცენტი). მოგროვილი თანხით ახალ ხორცს ვყიდულობდით კატებისათვის. რაც გადარჩებოდა — დარაჯებს ვაძლევდი. ისინი დახელოვნებული „მოპატიჟეები“ იყვნენ და რახან ჩემი სახლი შიგ ქალაქში იდგა, მალაელებისა და ჩინელების ნაკადი არ ილეოდა. თანაც დარაჯები ისე სწრაფად მოატარებდნენ ხოლმე მნახველებს სამხეცეში, რომ იქიდან გამოსულები არ იშურებდნენ ისევ გადაეხადათ ორი ცენტი, ოღონდ ერთხელ კიდევ მოეცლოთ თვალი ამ საოცრებისათვის. ჩინელი ყულები პირდაფჩენილები მისჩერებოდნენ იქაურობას და გაიძახოდნენ — „უე!“, რაც გაოცების გამომხატველია.

ხალხის რჩეული გახლდათ ტიმარი, პატარა დედალი სპილო, ჩვენი სამხეცის შვილობილი. ეს სახელი შევარქვით სულთანის დისა და ტუნკუ-ბეზარის პირველი ცოლის საპატივცემლოდ. ტიმარი შესანიშნავი ქალი გახლდათ, ხოლო ჩვენი პატარა ტიმარი — მომხიბვლელი სპილუკა. იგი რვა თვისა იყო და ჩვეულებრივ პირობებში ჯერ ისევ მეძუძური იქნებოდა. ჩვენ ძირითადად ვაჭმევდით ბრინჯს, წვრილად დაკეპილ ბანანის ხის გულს, ბანანს. განსაკუთრებულად ვადევნებდი თვალყურს მის რეჟიმს. იგი ეზოში თამაშობდა, სულ დაფრატუნებდა და ცელქობდა. ძალიან უყვარდა კიბეები, მუდამ ებღაუჭებოდა ჩემს კიბეებს და გამუდმებით ცდილობდა ჩემთან შემოსულიყო. მე ბინაში არ ვუშვებდი, მაგრამ ჩემი დარაჯების ცოლები მეტად სტუმართმოყვარენი იყვნენ და მეეჭვება, რომ ისინი ხშირად იწვევდნენ ტიმარს ბავშვებთან სათამაშოდ.

როცა საქმე არა მქონდა რა, მე და ტიმარი შეევეფარებოდით ხოლმე ჩემი სახლის ჩრდილს და ვწვრთნიდი მას. ამ საქმისათვის შევუკეთე ძალიან გამძლე მაგიდა და სკამი. სპილოს სკამზე ვსვამდი, მაგიდის წინ, მაგიდაზე კი ხისსახელურიანი ზარი იდო. მერე ხორთუმს შემოვახვევდი ხოლმე სახელურზე და წინ და უკან ვეწეოდი. როცა ზარი რეკდა, ტიმარს შაქრის ნატეხს ვაძლევდი. სიამოვნებისაგან წკმუტუნებდა, ისე მოსწონდა ეს თამაში. ასე ვანებივრებდი, სანამ არ მომბეზრდებოდა. მერე გამოვაცხადებდი: „დღეს გვეყოფა!“, მაგრამ სადაც

უნდა წავსულიყავი, ყველგან ვხედავდი მის ხორთუმს, რომლითაც მეპატიჟებოდა — „წამო სათამაშოდო!“ მეორე დღეს, როგორც კი თავისუფალ დროს მოვახელთებდი, ისევ გამომქონდა ეზოში სკამი და მაგიდა. ტიმარი მაშინვე მოირბენდა ხოლმე ჩემთან. ეს საგნები მას შაქრის ნატეხის გემოს აგონებდა. ხელში მუდამ მქონდა შოლტი, მაგრამ არასდროს არ დამისჯია ტიმარი. ისევ ვდგამდი მაგიდას, მაგიდაზე — ზარს, სპილოს სკამზე ვსვამდი და იწყებოდა თამაში გამძლეობაზე, ანდა, „პასიანსი“, როგორც მას ეძახიან ხოლმე. სახელურზე ხორთუმის წავლება — ზარი — შაქრის ნატეხი. ისევ: ხორთუმი — ზარი — შაქრის ნატეხი. რას არ მივცემდი, შესაძლებელი რომ ყოფილიყო უბრალოდ მეთქვა: „ტიმარ! დარეკე ზარი და მიიღებ შაქარს!“ ერთხელ, ერთ ჩამოხუთულ დღეს, თამაში შევწყვიტე ყველაზე საინტერესო ადგილას და დავხედე ტიმარის ფრიალო შუბლს; მინდოდა გამომეცნო, რა ხდებოდა მის ტვინში. უცებ მომესმა სუსტი ზარი. ტიმარს მოეწყინა ლოდინი და თვითონ დარეკა. ამის მერე მიხვდა თამაშის არსს.

ტიმარი პირდაპირ აღტაცებული იყო საკუთარი ხმით. საკმარისი იყო ოდნავ გამეღიზიანებინა, რომ ყროყინს მოჰყვებოდა. რაა მღეროდა!

ძალიან შემიყვარდა და ვიმედოვნებდი, რომ იგი არა მარტო შეასრულებდა ჩემს დავალებას, არამედ ყველაფერს ჩინებულად გააკეთებდა. მინდოდა ისე გამეწვრთნა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მის მორჩილებაზე დანდობა (ეს გახლავთ უკანასკნელი და ყველაზე მძიმე ნაბიჯი ცხოველთა წვრთნაში). მასთან სულ სამ კვირას ვმუშაობდი, დიპლომს კი ერთ თვეზე ადრე ვერ მიიღებდა. ამ დროს უეცრად ქალაქში ჩამოვიდნენ „მფრინავი ჯორჯანები“. ჯორჯანთაგან უფროსმა ძმამ როგორც კი ნახა ტიმარი, იმწუთსავე მკითხა, ხომ არ იყიდებაო.

— აქ ყველა ცხოველი იყიდება, — მივუგე მე.

არც კი შემვაჭრებია, მაშინვე ამოიღო ხუთასი მექსიკური დოლარი — რაც კი ვითხოვე სპილოში — და გამომიწოდა. ტიმარი ნამდვილად ღირდა ამდენი. ძალიან გამიჭირდა მისი მო-

შორება, ხოლო ჩემი მთავარი მეთვალყურის გოგონამ იმდენი იტირა, ავადაც კი გახდა.

სწორედ ამ „მფრინავ ჯორჯანებისათვის“ მინდოდა გამეწია სამსახური. მათ ახლდათ მსახიობი — ველოსიპედისტი. ერთხელ როგორღაც თვალი მოვკარი, სასტუმროს საბილიარდოში როგორ აფრიალებდა ბანკის ბილეთების შეკვრას. განზე გავიყვანე და ვუთხარი:

— გინდათ კეთილი რჩევა? ეგ ფული მიაბარეთ სასტუმროს კანტორაში. ცეცხლგამძლე კარადაში ჩაკეტავენ. სინგაპურელი ჩინელი ქურდები საკუთარ თვალებსაც კი ამოგაცლიან, თუ მზირზე არ იქნებით.

— ყური მიგდე, მაიერ, — მითხრა მან. — მთელი სიცოცხლე ამ ქვეყანაზე დავეხეტები და ჯერაც არავის გავუძარცვივარ. ისეთი კაცი როდი ვარ, ჯიბის ქურდებს რომ უყვართ.

რამდენიმე დღის მერე ღამით სასთუმლიდან ააწაპნეს ფული. მეორე დღესვე იყიდა რევოლვერი. დაწვა. რევოლვერი სასთუმალქვეშ ამოიდო. დილას რევოლვერიც გაქრა.

ეს ამბავი ჩურჩულით მიამბო. ქუთუთოები შეწითლებული ჰქონდა.

— ნუ გერიდებათ, — ვამშვიდებდი მას, — სინგაპურში ეს ჩვეულებრივი ამბავია. აქ, მაგალითად, ერთხელ მოსამართლე საქმეს არჩევდა პოლიციის სამმართველოში. შემოეხეტა ერთი ჩინელი და დაუწყო კირკიტი კედლის დიდ საათს, ვითომ რამეს აკეთებდა. ისე ხმაურობდა, რომ მოსამართლემ უღრიალა: „წაიღე ეგ საათი და მოსწყდი აქაურობას!“ ჩინელმა საათი წაიღო და მას აქეთ არავის უნახავს!

ამ ამბავმა დააშოშმინა ველოსიპედისტი და მერე ყველას გატაცებით უამბობდა.

ჯერ კიდევ ჩემს წამოსვლამდე შეცვალეს საიდუმლო პოლიციის სისტემა, რადგან კაცი ვერაფრით ვერ გაარკვევდა, ვინ იყო მძებნელი და ვინ — არა. ყველა ადგილობრივი მკვიდრი, ვინც თეძოზე ქსოვილის ნაკუწს შემოიხვევდა, შეიძლებოდა „მატა გლანი“ (ბნელი თვალი) გამხდარიყო, როგორც მალაელები ეძახიან მძებნელს. მაგრამ იმის წყალობით, რომ მთავ-

რობას მუშახელი სჭირდებოდა, გაქნილ ქურდებს მაინც რჩებოდათ გასაქანი — თავს მუშებად ასაღებდნენ.

ინსპექტორმა ჯონსმა მიამბო, მაგალითად, ასეთი ფაქტი: ერთხელ პოლიციის ცენტრალურ სამართველოში გამოცხადდა ხელსაწყოებითა და კიბით შეიარაღებული ჩინელი მუშების ჯგუფი. ავიდნენ სახურავზე, გადახადეს მეტალის სახურავი, შეახვიეს, ძირს ჩამოყარეს და ურმით წაიღეს. სახურავი ტყვიისა და სპილენძის შენადნობისა იყო და დიდი ფასი ჰქონდა, როგორც ჯონკების (ჩინური ნავები) სამშენებლო მასალას. გადახდილი სახურავი კაიანგით შეცვალეს, სახლში წვიმა რომ არ ჩამოსულიყო. მთელი კვირა გავიდა, სანამ პოლიცია მიხვდებოდა, რომ თავზე სახურავი გადააძვრეს. ამასობაში ფურცლები გადაადნეს და გაყიდეს კიდეც. პოლიციის სამმართველო ევროპელების ხელში იყო. ვის შეეძლო ეთქვა, ყულებიდან რომელი იყო ქურდი? ინსპექტორი ჯონსი ამბობდა, ყველა ერთმანეთს ჰგავსო. ასე ეჩვენებოდათ არა მარტო ევროპელებს, არამედ ადგილობრივ პოლიციელებსაც — კანონის მატა-მატას (თვალი და თვალი).

— ერთხელ, — მიამბობდა ინსპექტორი ჯონსი, — აქაურ პოლიციელს დავავალეთ წაეყვანა დაპატიმრებული ჩინელების პარტია სასამართლოდან ციხეში. გზაში როგორღაც ერთი კაცი გაექცა. პოლიციელს ბევრი არ უფიქრია, ხელი სტაცა პირველსავე შემხვედრ ჩინელს და პატიმრები სრულად მიიყვანა.

მე სინგაპურში მინახავს, როგორ მიჰყავდათ ჩინელი პატიმრების ჯგუფი — სამი ან ოთხი ერთ რიგში, თმებით გადაბმულები. პოლიციელს თმებში წაევლო ხელი და პირუტყვივით ერეკებოდა. ქურდისათვის თმები ძალზე მოუხერხებელი რამეა: გაქცევა თუ დააპირა, ადვილად წაატანენ თმაში ხელს და დააკავებენ. ამიტომ ხშირად თმაში ირჭობენ ქინძისთავებსა და დაბრეცილ სარჭებს, რათა ვინც კი წაეტანება, შეერჭოს და ხელი უშვას; ანდა თმებს ქონით იპოხავენ და გველთევზასავით სლიკინა ხდება.

ერთხელ, დილაადრიან, გავიგონე, რომ ვიღაც მთელი ხმით გაჰკიოდა: „მატა-მატა!“ ფანჯრიღან გადმოვიხედე და დავინა-

ხე ჩემი მეზობელი ლამბერტი, რომელიც კარეტებს აქირავებდა. ფანჯარაში კი გადმოყუდებულიყო, მაგრამ პოლიციას როდი უხმობდა — თავის ძაღლს ეძახდა და მაშინლა მიეხვდი, რაში იყო საქმე: ზემოთ ლამბერტი გადმოყუდებულიყო, ქვემოთ იდგა მისი უზარმაზარი მონადირე ძაღლი, მათ შორის კი ოჩოფეხებზე შემდგარი ჩინელი ჩანდა, რომელიც ლამბერტის სახლში გადაპარულიყო. ქურდს ისევ ხელში ეჭირა ნაქურდალი ფუთა. ძაღლი დროს ეძებდა, რომ სცემოდა. ჩინელი ადგილიდან ვერ იძვროდა და ისევ პოლიციას უხმო საშველად. ისეთი ხარხარი ამიტყდა, კაი ხანს ვეღარ დავიშოშმინე გული. ბოლოს გამოჩნდა პოლიციელიც, ლამბერტმა ძაღლს დაუძახა და ჩინელი ციხეში მიაბრძანეს.

ჩვეულებრივ, თვლიან, რომ სხვადასხვა „ტრიუკების“ თვალსაზრისით აღმოსავლეთმა უკან მოიტოვა ყველა ყალთაბანდიო. მაგრამ საკუთარმა დაკვირვებამ მიჩვენა, რომ რომელიც გნებავთ ამერიკული ცირკის მფლობელი უკან ჩამოიტოვებს ყველა ჩინელ ქურდს, ფულსაც ბლომად მოხვეტს და ციხეშიაც არ ამოყოფს თავს. მათ შორის, ვისაც კი მე ვიცნობდი, ყველაზე გაქნილი მოხუცი პოჯი ო' ბრაინი გახლდათ. პოჯი, სოფლელ ფერმერს ჩამოჰგავდა და, დღესასწაულების გარდა, როცა ჟილეტზე ბრილიანტის ღილებს ატარებდა, ფერმერივით იცვამდა. როცა მისი ცირკი გზადაგზა ხიდზე გადადიოდა. სადაც ბაჟს იხდევინებოდნენ, ოთხთვალას მეეტლეს უნდა ეთქვა, პატრონი უკან მოდის, ის გადიხდისო.

ბოლოს პოჯიც გამოჩნდებოდა თავისი შარაბანით, რომელშიც ჯანდაგი ება, გვერდით ეჯდა მისი ერთგული მერი, შესახედავად არც მეტი, არც ნაკლები— ფერმის კეთილი დიასახლისი.

მებაჟე ეკითხებოდა:

— თქვენი ცირკი იყო არა, რომ გაიარა?

პოჯი გააპურჭყებდა და მკაცრად შეხედავდა:

— ნუთუ მე და ჩემი ცოლი მაგ წყეულ ბოშებს ვგავართ?

ბაჟის ამკრეფი მაშინვე მოუბოდიშებდა. პოჯი კი დიდის ამბით გაიქნევდა ხელს და მიუგებდა: „არაფერია, არაფერი“, და გაივლიდა. მებაჟე კი ელოდა ცირკის პატრონს...

მოხუცი პოჯის აზრით, ფული უნდა იშოვო ყოველნაირი ხალხით და რადაც უნდა დაგიჯდეს, უნდა გადაინახო შავი დღისათვისო. ფულის მოხვეჭის ერთ-ერთი ხერხი გახლდათ ჯიბის ქურდებთან შეკვრა. სამი-ოთხი ქურდი მასთან მუშაობდა ცირკში. პატრონი მათ არ ამხელდა, ისინიც ნაქურდლის ნახევარს უნაწილებდნენ. ერთხელ გამოჩნდა ხროვა, რომელიც არ იცნობდა პოჯის წესებს. პირველი წარმოდგენის მერე მისცეს ათიოდე გირვანქა. პოჯიმ ჩაიფრუტუნა, მაგრამ აიღო. მეორე დღესაც. მესამესაც — ათ-ათი გირვანქა მიართვეს. პოჯი გადაირია.

მეოთხე დღეს, როცა მაყურებლები კარვიდან გადიოდნენ, პოჯი ლიმონათის მაგიდასთან დადგა და ხმის გამაძლიერებლიდან მიმართა დამსწრეთ:

— ქალბატონებრ და ბატონებო! — დაიღრიალა მან, — ჩემამდე მოაღწია ხმამ, რომ ცირკში ჯიბის ქურდები შემოპარულან. მოიჩხრიკეთ ჯიბეები და თუ ვისმეს რაიმე დაგაკლდეთ, მითხარით. შევეცდები, ვიპოვო დამნაშავე.

ხროვის ერთ-ერთი წევრი თვალდაჭყეტილი მისჩერებოდა და ბუზღუნებდა:

— ეგ რაღა წამოიწყე?

პოჯი მისკენ დაიხარა:

— დროა ჭკუა ისწავლოთ, აი, რა... თქვეხი ათი გირვანქა ყელში ამომივიდა!

პოჯი იშვიათად ჩერდებოდა ერთ ადგილას ერთ დღეზე მეტ ხანს და წასვლისას ტოვებდა უამრავ გაუსტუმრებელ ვალს. ერთხელ კინაღამ ჩავარდა. ეს მოხდა ტროაში, ნიუ-იორკის შტატში. როცა კარავს შლიდა, მოვიდა შერიფი. მას ვალებში უნდა აეწერა ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა.

მაგრამ ბებერმა პოჯიმ უღრიალა:

— ხედავთ მხეცების ფურგონზე სპილენძის ფირფიტას? აგერ, გალიაზედაცაა მიჭედებული. მანდ გარკვევით წერია: „ადამ ფორპაუ უმცროსის კუთვნილება“. რომ შეიძლებოდეს სპილოზე ფირფიტის მიკვრა, მაგასაც ეგ წარწერა ექნებოდა. კარვებიო? კარვები ჩემი ცოლის, მერის კუთვნილებაა.

— თქვენ რაღა გეკუთვნით?

— ბილეთები და ოთხი ჭოკი.

შერიფი გადაირია, განრისხდა. პოჯიმ მისი დაშოშმინება ვადაწყვიტა:

— აი, რა, ბატონო შერიფო, — უთხრა მან. — ნება მოგვეცით ქალაქში მოვაწყოთ პარადი. წინ მედოლე წაგვიძღვება. როგორც კი მოვბრუნდებით, წარმოდგენას გავმართავთ. თქვენც ადექით და მთელ შემოსავალს, უკანასკნელ ცენტამდე ყადაღა დაადეთ.

შერიფი დაწყნარდა. პოჯიმ საზეიმო პარადზე წაიყვანა მთელი თავისი ცირკი. თან წაიღო ყველაფერი, შემოიარეს მთელი ტროა, ტროას მერე — შტატის ფარგლებში — დავაპირდაპირეთ მედვილისაკენ, მერე პენსილვანიაში გადავედით. ჩემს მახსოვრობაში ეს გახლდათ ყველაზე ხანგრძლივი პარადი!

როცა რომელიმე თანამშრომელი პოჯის ფულს სთხოვდა, ყოველთვის ჰკითხავდა, რად გინდაო. ერთმა როგორღაც მიუგო: პერანგები და წინდები უნდა ვიყიდოო.

პოჯიმ წამოიძახა: „თქვენ მე მაოცებთ!.. განა ცოტა გვაქვს თეთრეულის გასაფენი თოკები?“

პოჯი ხალხს ავიწროებდა, სამაგიეროდ მხეცებს კარგად უვლიდა. თავის ერთადერთ სპილოს დილიდან საღამომდე აჭმევდა. სპილოზე ზრუნვა ადასტურებს, რომ პოჯი ჭკვიანი იყო: სპილო ნამდვილად ცირკის მთავარი მსახიობია. მე მხედველობაში მყავს აზიური სპილო. აფრიკული სპილო სულ სხვა ზნისაა: არც ისე ჭკვიანია, გრძელ ფეხებზე აყაყულა, გრძელი ყურები ჩამოუყრია, უშნო და მოუქნელია. აზიური სპილო კი საუკეთესო ამხანაგია. აზიური სპილოს წვრთნა ჩემთვის მუშაობა კი არა, გართობაა. ხშირია შემთხვევა, რომ ცხოველისა და მწვრთნელისათვის ყველაზე ადვილი ტრიუკი მაყურებელს ყველაზე ძნელი ეჩვენება.

ერთი ყველაზე გავრცელებული ტრიუკია, როცა სპილო ყირაზე დგება. ეს მართლაც საოცარი სანახაობაა და მუდამ ტაშს გვაყრიან. მაგრამ სულელი ცხოველებიც კი — ასეთები კი ხშირია სპილოებში — ადვილად ითვისებენ ამ ტრიუკს. პირველად სპილოს მიიყვანენ კედელთან ისე, რომ იგრძნოს,

სიმძიმისათვის შესაფერი საყრდენი მაქვს. წინა ფეხებს დაუბორკავენ. უკანა ფეხებზე თოკს ჩააბამენ. თავს იატაკამდე დაახრევინებენ, მერე ჭოჭონაქით ნელ-ნელა ასწევენ უკანა ფეხებით. ეს ძნელი საქმეა, რადგან სპილო ძალზე მძიმეა. ყოველ დღე უფრო და უფრო მაღლა ეწევიან. როცა ამას შეეჩვევა, წინა ფეხებს გაუთავისუფლებენ. ბოლოს დადგება წუთი, როცა იგრძნობს, უკანა ფეხებს მაღლა მიწევენო და თვითონ ასწევს მათ. მწვრთნელმა იცის, რომ თამაში დამთავრებულია — სპილო მიხვდა, რას მოითხოვენ მისგან. მას ეფერებიან, აქებენ და ათასნაირი სასუსნავით უმასპინძლდებიან. თვითონაც კმაყოფილია თავისი თავით. ამის შემდეგ მალე ეჩვევა ყირაზე დგომას.

კიდევ უფრო ადვილია, ჯდომა რომ ასწავლო. სპილოს მიიყვანენ კედელთან, იქვე დგამენ სკამს. სკამი კლდესავით მაგარი უნდა იყოს, რადგან სპილომ იცის საკუთარი წონის ამბავი და საოცრად ეშინია მორყეული სკამისა. როცა მისი უკანა ფეხები სკამს შეეხება, ჯოხით დაუწყებენ ჩიჩხინს და უკან ერეკებიან, სანამ არ ჩაჯდება. თან უბრძანებენ: დაჯექი! ყოველთვის ამჯობინებს წამახული ჯოხის ჩხვლეტამდე დაჯდეს. ამის მერე საყვარელ სასუსნავს მიიღებს. ერთი ჩემი ნაცნობი სპილო ჯილდოდ იღებდა შოკოლადის კონფეტს (მისი ყოველდღიური ულუფა ნახევარ ტონას იწონიდა!).

არ მიყვარს, როცა სპილოს აიძულებენ დაწვეს. როცა იგი ჯუნგლებში წვება, ხორთუმსა და ყურებზე მაშინვე შეაღოღდება ჭინჭველები და სხვა მცოცავი არსებანი; ამიტომ ფიქრობს, დაწოლა ყოველთვის არასასიამოვნოაო. მაყურებელს იოლი ეჩვენება, სინამდვილეში კი ძლივძლივობით აჩვევენ დაწოლას და სწავლებისას მკაცრად ეპყრობიან. სპილოს გვერდებზე ჩხვლეტენ ერთსა და იმავე ადგილას, სანამ ინსტინქტურად არ დაწვება, რათა დაიფაროს მტკივნეული ადგილი. ეს ძალიან მკაცრი მეთოდია. კეთილი სპილოს მიმართ, რომელიც არასოდეს არ ბრაზობს მათზე, ვისაც იცნობს. ცირკში რომ გამოვდიოდი, ბევრჯერ დამისჯია სპილო, მერე მოვფერებივარ და სრულიად დამშვიდებული, გავშოტილიყავი იატაკზე იმ

იმედით, რომ ვისაც კი აზრად მოუვიდოდა ჩემი გაბრაზება, სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა ეს.

ერთ ჩემს ნაცნობს სპილო ისე ჰყავდა დაჩვეული, რომ სწორედ ნომრის წინ უნდა მიეცა სტაფილო. ერთხელ ეს კაცი ავად გახდა. მის შემცვლელს კი დაავიწყდა სტაფილოს მომარაგება. როცა სპილო არენაზე გამოვიდა, ცხადად აგრძნობინა მწვრთნელს: „სანამ სტაფილოს არ მომცემ, არაფერსაც არ გავაკეთებო!"

— არიქა, სტაფილო! — მოედო ირგვლივ ძახილი. მაყურებელს აუხსნეს საქმის ვითარება. საიდანღაც გააჩინეს სტაფილო. ხალხი ტაშისცემით შეხვდა სტაფილოს.

ამ შემთხვევამ მშვიდობიანად ჩაიარა. მაგრამ ერთხელ, ბინგემპტონში, ნიუ-იორკის შტატში (მაშინ ძმების—სელსების ცირკში ვმუშაობდი) ორმა სპილომ კინაღამ დაარბია სალარო და დირექტორიც ბეწვზე გადარჩა. სპილოებს წყალი მალაელებზე მეტად უყვართ. ჩვენ ორი სპილო გვყავდა — მზეთუნახავი და მემი. ერთი კვირა იქნებოდა, კარგად არ ებანავათ და მწვრთნელმა გადაწყვიტა თავისუფლად მიეშვა მდინარე ჩენანგოს წყალში. მზეთუნახავსა და მემს ძალიან მოეწონათ წყალი და აღარ ამოდიოდნენ იქიდან. დარაჯი უხმობდა, ეძახდა, ისინი კი აღტაცების ყროყინით უპასუხებდნენ. ქალაქს ელვასავით მოედო ამბავი, რომ მდინარეზე მუქთა სანახაობაა. ასეთი რამ იქაურებს მართლაც ჯერ არ ენახათ და დიდ-პატარა სანაპიროზე გამოეფინა. მზეთუნახავი და მემი ხორთუმებიდან შადრევნებივით ასხამდნენ წყალს. მწვრთნელი ვერაფერს გახდა, ისღა დარჩენოდა, მდინარის პირას ეყურყუტა, სანამ სპილოებმა გული არ იჯერეს და თავთხელზე არ გამოვიდნენ. მაშინ მწვრთნელი ფონით გავიდა და ნაპირზე წამოასხა სპილოები. საბედნიეროდ, ხალხმა ისურვა „წყლის" ცხოველების ცქერით გული ეჯერებინა და, თუმცა წარმოდგენას შეაგვიანდა, ცირკში ტევა არ იყო.

ყველაზე საშინელი წუთები განვიცადე. ერთი ყოვლად წესიერი სპილოს გადამკიდემ. ეს ამბავი ადელაიდეში შემემთხვა, ავსტრალიაში, 1848 წელს. მაშინ ფრაირერის ცირკში ვმუ-

შაობდი, ახალგაზრდა ვიყავი, გაბედული. ერთ დღეს რეჟი-სორმა ფიცჯერალდმა მკითხა:

— ჩარლი, გეყოფა ვაუკაცობა, სპილოს დააბიჯებინო შენს სხეულზე?

— მეყოფა, ხელთ თუ ლურსმანი მექნა.

— ეგ თუ გიშველის, თუნდაც მთელი ყუთი აიღე!

ავიღე ლურსმანი და სადგისივით წავუმახე წვერი.

სპილო პორტუგალიელი ჯო რამანისა გახლდათ. სიმართლე უნდა ითქვას, იგი მომთვინიერებელი კი არა, ერთი ბრიყვი ვიღაცა იყო. ჰყავდა პატარა დედალი სპილო—მეგი. მწვრთნელსა და სპილოს შორის ჭკუა მარტო მეგის რგებოდა. ჩვენი ტრიუკი ასეთი უნდა ყოფილიყო: მე არენის ქვიშაზე გავიშოტებოდი, მეგი კი ზემოდან გადამივლიდა მთელს სიგრძეზე. თავდაპირველად თივის ჩუჩელაზე ვავარჯიშებდი. სპილო ზიზღით აიშვერდა ფეხს და არაფრით არ უნდოდა ზედ დაბიჯება: სპილოები ვერ იტანენ რბილ საგანზე დგომას. ბოლოს ჯოს ვუთხარი, ვცდი ტრიუკის გაკეთებას-მეთქი. მან ერთი ბოთლი ვისკი იყიდა — წარმოდგენის მერე ეს ამბავი უნდა გვეზეიმა, მაგრამ ჩემგან უჩუმრად აღელვებისაგან კაიძალი ყლურწა წარმოდგენამდეც. ნახერხით მოფენილ არენაზე გაშხლართულმა დავინახე მოახლოებული ჯო. იგი აცაბაცად ადგამდა ფეხებს და სპილო გვერდულად მოჰყავდა. ჩვენი ტრიუკის ერთადერთი აუცილებელი პირობა იყო, რომ მეგი ჩემი სხეულის მიმართ აბსოლუტურად სწორხაზოვნად ყოფილიყო.

— სწორად წამოიყვანე, — ისე ხმამაღლა დავუძახე, მაყურებლებსაც შეეძლოთ ჩემი სიტყვების გაგონება.

მაგრამ ჯოს სიხარულისაგან არაფერი ეყურებოდა. სპილო ჩემთან მოიყვანა, ზედ შემაყენა და მერე წინიდან მოქაჩა. მეგი ცდილობდა, რაც შეეძლო, მაგრამ მას სრულიად უსწორო პოზიცია ეკავა. როცა მეგი ჩემს ფეხებს გამოსცდა, დავინახე, რომ მისი მარჯვენა ფეხი ჩემს თავს გაუპირდაპირდა. ერთი პირობა კი გავიფიქრე, ჩემი საქმე გათავებულია-მეთქი... საბედნიეროდ, სასწრაფოდ შევურჭვე ლურსმანი და სპილომაც ისე სწრაფად გასწია ფეხი, რომ მხოლოდ შუბლზე შემეხო და კანის მცირე ნაწილი გადამაქლითა. ტკივილი არც კი მიგრძნია,

ნერვიულობისაგან კინაღამ გონი დავკარგე. ხალხს კი არაფერი შეუმჩნევია, ფიქრობდნენ, ყველაფერი რიგზეაო. წარმოდგენის შემდეგ ჯო ისე მივბერტყე, ჰოსპიტალში გააქანეს. მე კი ამ ნომერში აღარ გამოვსულვარ.

სპილოები იშვიათად მრავლდებიან ტყვეობაში. ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ კოლუმბია.

კოლუმბია დედალ სპილოს ერქვა, იგი კუპერისა და ბეილის სამხეცეში დაიბადა. ამერიკაში ეს პირველი შემთხვევა გახლდათ. მაშინ ბეილი და ბარნუმი ერთმანეთს ექიშპებოდნენ. ბარნუმმა ბეილს გაუგზავნა დეპეშა: ახალშობილ სპილოში 100.000 დოლარს სთავაზობდა. ბეილმა სასწრაფოდ შეუკვეთა ბარნუმის დეპეშის ასლი პლაკატად, ქვემოთ ორფუტიანი ასოებით ეწერა:

„წაიკითხეთ, რას ფიქრობს მ-რ ბარნუმი ჩვენს ახალშობილ სპილუკაზე“.

ამრიგად, ბარნუმმა თავის მეტოქეს ხელთ მისცა საოცრად მომგებიანი ბანქო. ამ თამაშში კოლუმბია გახლდათ თულფი. შემდგომში, როცა ბარნუმი და ბეილი გაერთიანდნენ, იგი მათს საერთო სამხეცეში დარჩა. მაგრამ, ეტყობა, ორივე მეტისმეტად ანებივრებდა და წაახდინეს: ორი წლისაც არ იყო, რომ უკვე გამოამჟღავნა თავისი უხიაკობა. რაც წლები ემატებოდა, საქმე მით უფრო ცუდად მიდიოდა. ხორთუმით სცემდა მომვლელებს, ორი-სამი მიასიკვდილა კიდეც. შვიდი წლიდან გაკოჭილი ჰყავდათ. მისტერ ბეილს პრინციპულად არ უნდოდა სამხეცეში გაეჩერებინა ასეთი ზნის სპილო, ასევე პრინციპულად არ გაყიდა იგი: ასე ესმოდა მას სახელი და პატიოსნება. როცა კოლუმბიას რვა წელი შეუსრულდა — ამ დროისათვის იგი თითქმის ზრდასრული სპილო გახლდათ — სიკვდილი მიუსაჯეს. სპილოს მოკვლა არცთუ იოლი საქმეა. ამიტომ გადაწყვიტეს მოეშთოთ. ყელზე მოაბეს ორი თოკი, თოკის ბოლოები ორ სხვა სპილოს მოუბეს და აიძულეს აქეთ-იქით გაექაჩათ. კოლუმბია მისმა უხიაკობამ დაღუპა.

სპილოები, ჩემის აზრით, ყველაზე საინტერესო ცხოველები არიან. საჭიროა მათი ბუნების სერიოზული და ღრმა შესწავლა. სულ სხვა საქმეა კატისებრთა მოდგმის დიდი ცხოველების — ლომების, ვეფხვების, ავაზების წვრთნა. ისინი ძალზე გონიერები არიან, მაგრამ სწავლის სურვილი და ნებისყოფა, რაც სპილოებს აქვთ, მათ არ გააჩნიათ; თუ ერთ რასმე დაისწავლიან, როლში შედიან და სიამოვნებით აკეთებენ ტრიუკებს. ჩემის დაკვირვებით, ლომის მოთვინიერება უფრო ადვილია, ვიდრე ვეფხვისა: ლომი უფრო ზანტი და კეთილია, ვიდრე ვეფხვი.

მაგრამ ვერც ლომს აიძულებთ რაიმე გამორჩეული ჩაიდინოს. რგოლებში ხტება და დანარჩენებთან ერთად კვარცხლბეკზე დგება — სულ ესაა, რის გაკეთებაც მას შეუძლია: ცხოველთა მეფე მსახიობებში ვერ მეფობს. ცეცხლმოდებულ რგოლში გადახტომას მხოლოდ ზრდასრული ლომები და ვეფხვები თუ გაბედავენ. ფუჭი სროლის ხმა საკმარისია, რომ მოერიო, დაიმორჩილო კატისებრნი. ერთადერთი სელადანგია, რომელიც სროლას არ უფრთხის. ყველაზე ძნელი დასამორჩილებელია ავაზები. მათ შორის თითქმის არაა გაწვრთნილები და ძალიან ცოტას ასწავლიან ახლაც.

ცირკის არენაზე რომ შეიძლებოდეს ვეფხვის ძალის ან მისი ნახტომის ჩვენება, შესანიშნავი სანახაობა იქნებოდა. მე მინახავს ჯუნგლებში, როგორ მიათრევდა ბრძოლაგადახდილი ვეფხვი ბუნაგში ორასგირვანქიან ცხოველის ლეშს. მას შეუძლია ვეებერთელა მანძილზე გადახტეს. ერთხელ ავსტრალიაში გავზომე კენგურუს ნახტომი, როცა ის ბუჩქებში გარბოდა. ოცდათექვსმეტი ფუტი გამოვიდა. ვეფხვს შეუძლია გადააჭარბოს ხუთი-ათი ფუტით.

ყველაზე ლამაზი ვეფხვი, რომელიც კი მინახავს — მას რაჯას ეძახდნენ და სიკვდილის დღემდე არ დამავიწყდება — ხარმსტონის ცირკს ეკუთვნოდა. ხარმსტონი აღმოსავლეთის ბარნუმი გახლდათ. სანახაობებს აწყობდა ინდოეთში, სინგაპურში, მერე გადავიდოდა კონგოში, შანხაიში, იაპონიაში, იავაზე. როგორღაც კალკუტაში შევხვდი მას, სადაც რაღაც საქმეებისთვის ვიყავი ჩასული. თითქმის მთელ თავისუფალ

დროს ცირკში, ბობ ლოვთან, დირექტორთან, ვატარებდი. წარმოდგენები ერთ თვეს გრძელდებოდა, თანაც ყოველ კვირაში იცვლებოდა პროგრამა. ზოგჯერ რომელიმე უფლისწული ან მაჰარაჯა მთელი წარმოდგენის ფულს იხდიდა და დანარჩენებისათვის ცირკი დახშული იყო. ეგეც შენი სახალხო წარმოდგენა!

განსაკუთრებით საინტერესო იყო ის საღამოები, როცა ბობ ლოვი აწყობდა ადგილობრივი ცხენების დოღს. პირველი პრიზი—ორმოცდაათი რუპია—წილად ხვდებოდა იმ ცხენის პატრონს, რომელიც ყველაზე კარგად დასძლევდა დაბრკოლებებს: კიდევ დაწესებული იყო ორი პრიზი. ჩვეულებრივ, შვიდი-რვა ავსტრალიური ცხენი მონაწილეობდა დოღში. ხალხს ძლიერ მოსწონდა ეს სანახაობა.

კალკუტაში, ხარმსტონის ცირკის კედლებში, საოცარი ხალხი იყრიდა თავს. ვის არ ნახავდით იქ. შესასვლელი თანხა რვა ანიდან ოთხ რუპიამდე იყო. საღამოს წარმოდგენა ცხრა საათზე იმართებოდა. ევროპელი სამხედრო პირები და მოქალაქენი მოდიოდნენ საზეიმოდ მორთულები, ფრაკებში გამოწკეპილები და ლოჟებში სხდებოდნენ. მერე იწყებოდა ამფითეატრი. ზოგი სკამი წითელი ხავერდით იყო დაფარული, ზოგიც—არა; სავარძლებზე ისხდნენ ადგილობრივი მაღალი კლასის წარმომადგენლები და ევროპელები, ვისაც ლოჟის ბილეთების ყიდვა არ შეეძლო; ხოლო დანარჩენები ქანდარაზე თავსდებოდნენ. ჰინდუსტანელ, მაჰმადიან და ბენგალელ ქალებს არ ჰქონდათ უფლება მამაკაცებთან დამსხდარიყვნენ, სახეც უნდა დაეფარათ. მათთვისაც იყო ადგილი ცირკში, ოღონდ ჩამოფარებული ჰქონდათ ბამბუკის ჭოკებზე გადაჭიმული ბადე. ეს მათ ხელს არ უშლიდათ თვალყური ედევნებინათ, რა ხდებოდა ირგვლივ და დანარჩენებისაგან გამოყოფილები იყვნენ. ზოგიერთი ევროპელი თუ იქაური ქალი ლოჟაში ძმასთან ან ქმართან ერთად იჯდა. ერთმანეთში ირეოდა ჭრელი კიმონო, პარიზული მორთულობა, შიშველი ფეხი, ფრანგული ქუსლი, აბრეშუმის წინდა, ჩალმა და შიშველი თავი. ხარმსტონის წარმოდგენა აერთიანებდა ყოველნაირ მოდას, კოსტუმს, მანერას.

ყოველნაირ პროგრამასა და ყოველნაირ წარმოდგენაში —

კერძო იქნებოდა თუ სახალხო — ერთი უცვლელი ნომერი იყო. ეს გახლდათ ავსტრალიელი ჯორჯ კინგი და მისი ვეფხვი რაჯა. რაჯა რვა წლისა იყო, სიგრძე ცხრა ფუტი ჰქონდა და სამას ორმოცდაათ გირვანქას იწონიდა. ძალიან ლამაზი იყო. ყოველისმარე დღეს, ყოველ საღამოს ორი წლის განმავლობაში კინგი შედიოდა მასთან შოლტით და აიძულებდა ემუშავა. ამბობდნენ, რაჯა საშიშიაო, ოთხი კაცი იმსხვერპლაო, მაგრამ ისე ჩანდა, რომ კინგს რაჯა უყვარდა და ისიც შეჩვეოდა თავის მომთვინიერებელს. კინგი მუდამ თვითონ აჭმევდა თავის ვეფხვს. იგი მიჩვეული იყო უმი ხორცი კინგის ხელიდან ეჭამა. კინგი ჭამის დროს მუდამ უყვავებდა ვეფხვს. მერე მიიყვანდა გალიის გისოსებთან და ყურის ძირში ჰფხანდა. რაჯა კრუტუნებდა, ნელა ბუზღუნებდა, მერე კნავილს მოჰყვებოდა, თითქოს უზარმაზარი კატაო. ბოლოს გაწვებოდა და კოტრიალობდა, სანამ კინგი სიცილით ემასლაათებოდა.

როცა ჯორჯ კინგი ვეფხვთან არ იყო, ცირკში შეუმჩნეველ საქმიანობას ეწეოდა — სხვებს ეხმარებოდა დეკორაციების გაწყობაში, ასუფთავებდა სამხეცეს. ცირკში ყველა ბეჯითად მუშაობს. თვეში ორმოც ფუნტს იღებდა საჭმლის, ბინისა და სადგომის გარდა. მაღალი და მოხდენილი იყო, ატარებდა ოქროთი მოსირმულ წითელი ფერის ქურთუკს, წითელ შარვალს, მაღალყელიან ჩექმებსა და წითელ ქუდს.

ერთხანს ძალიან გაუტია. კალკუტაში უამრავი სპირტიანი სასმელია, კარგიც და ცუდიც. სუნით ვატყობდი, რომელი ხარისხის ღვინით თვრებოდა. ერთხელ გავაფრთხილე:

— კინგ, გიჯობს თავი ანებო სმას, თორემ ერთხელაც იქნება, გალიიდან ვეღარ გამოხვალ, იქიდან გამოგიტანენ-მეთქი.

მან გაიცინა:

— გეყოფა, მაიერ. ჩემს კატას დრუნჩიდან კუდის რიკამდე ვიცნობ.

ეს პასუხი ჭკუაში არ დამიჯდა. როცა ბობ ლოვი რომელიმე მომთვინიერებელთან კონტრაქტს დებდა, ყოველთვის აიძულებდა მას ხელი მოეწერა ქაღალდებზე, რომ მან, მომთვინიერებელმა, იცის, რას აკეთებს და თავისი რისკით მოქმედებს.

ჩვეულებრივ, მომთვინიერებლები ადვილად ყაბულდებოდნენ მოეწერათ ხელი ამგვარ ქაღალდებზე. მაგრამ ქვეყანაზე არ მოიძებნება კაცი, რომელიც იცნობდეს თავის ვეფხვს დრუნჩიდან კუდის რიკამდე, და არ არის ვეფხვი, რომელმაც იცოდეს, რას ჩაიდენს ადამიანი. თითოეული მათგანი ერთმანეთისათვის გამოცანას წარმოადგენს. ის კაცი, რომელიც მზირზე არ იქნება აჯობოს ვეფხვს, განწირულია.

იმ საღამოს, როცა დანიშნული იყო დოღი, კინგმა გადაწყვიტა რაჯასთვის ჭანგები დაექანა. მან მიაბა ვეფხვი გისოსებზე, გარეთ გამოაყოფინა თათი, ამოიღო მომცრო ხერხი და შეუდგა საქმეს. მაგრამ ისე მთვრალი იყო, ხელი უკანკალებდა და ბოლო ჭანგი ხორცთან ახლოს მიახერხა. რაჯა აღრიალდა, კინგმა კი გადაიხარხარა. როცა თოკი ახსნა, მხეცი გალიის კუთხეში მიიყუჟა და თათის ლოკვა იწყო.

იმ საღამოს წარმოდგენა კარგად მიდიოდა, ყველა ნომერს დიდი წარმატება ჰქონდა. ცირკი ძველი ყაიდისა იყო — მრგვალი, ყოველმხრიდან რომ კარგად გამოჩენილიყო არენა. შეჯიბრში გაიმარჯვა მაყურებლის საყვარელმა ცხენმა და ხალხი აღტაცებისაგან ღრიალებდა.

როცა შეჯიბრი დამთავრდა და პრიზები ჩამოარიგეს, არენაზე რაჯას გალია შემოაგორეს და შუაში დადგეს.

გალია ორ ნაწილად იყო გაყოფილი — დიდ ნაწილში ვეფხვი იყო, მეორეში კი მომთვინიერებელი შევიდოდა, კარს დაგმანავდა და მერე გავიდოდა ვეფხვთან. როცა მომთვინიერებელი გალიიდან გამოდიოდა, უკან-უკან იხევდა, ვეფხვს თვალებში მისჩერებოდა. ბობ ლოვი თვალს ადევნებდა, რომ გალიის ორსავე მხარეზე მდგარიყო შუბმომარჯვებული ორი კაცი, — ვინიცობაა, მხეცი გაჭირვეულდებოდა და მომთვინიერებელს შველა დასჭირდებოდა.

მე შესასვლელთან ვიდექი და ბობს ვესაუბრებოდი. ჯორჯ კინგს სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა. ეს რატომღაც არ მეჭაშნიკა. წითელი ქუდი დარდიმანდულად მოეგდო კეფაზე, წკეპლას გაკრიალებულ ჩექმაზე ატყლაშუნებდა. ხალხი ტაშის გრიალით მიეგება. იგი თავის დაკვრით მიესალმა მათ, თითქმის ქუდით შეეხო არენას. ორკესტრმა შეშფოთე-

ბით ჩაარაკრაკა მისალმება, თითქოს რაღაც იგრძნოო... კინ-ბმა შეაღო შიდა კარი, წაიფორხილა, გისოსს სტაცა ხელი, გასწორდა და გზა განაგრძო. რაჯა დააცხრა, თათის ერთი შე-მოკვრით წააქცია და ღრღნა დაუწყო. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ შუბოსნები ერთხანს დაიბნენ, ხალხი აღრიალდა. მე არასოდეს მსმენია ასეთი საშინელი ხმები — ერთმანეთში ირეოდა ათასნაირი წამოძახილი, თვით ისტერი-ული ხარხარიც კი. ბოლოსდაბოლოს რაჯას ორივე მხრიდან ჩასცეს შუბი. იგი კუთხეში მიიკუნჭა, ღმუოდა და ფრუტუ-ნებდა. მოიტანეს ფიცრები, რომ ვეფხვი და მისი მსხვერპლი გაეცალკევებინათ.

ხალხი ჯერ გონს ვერ მოვიდა, მერე ვიღაცამ დაიძახა, გისოსები დაიმტვრაო. დაიწყო პანიკა. ქალები და კაცები თავ-ქუდმოგლეჯილები გარბოდნენ გასასვლელისაკენ, ხტოდნენ სკამებზე, ეცემოდნენ. ჩაჩუმებულმა ორკესტრმა ხალისიანი მარში დასცხო. კინგი გალიის პირველ განყოფილებაში გამო-ათრიეს. მაშინვე გაეფრთხო სული. ერთი ყვითელკაბიანი ქა-ლი შუა არენაზე გამოვარდა, შეჰკივლა, შეპროწიალდა და გულწასული დაეცა ნახერხზე.

ქალიშვილის მისაშველებლად გავეშურე, მაგრამ ორმა მამაკაცმა დამასწრო და ციმციმ გაიყვანეს. არც კი მახსოვს, როგორ გამოვედი კარვიდან. მხოლოდ ის მახსოვს, სხვებს ვეხ-მარებოდი ვიღაც მოგზაური ინგლისელი ქალის სასტუმრომდე მიყვანას. ექიმი გამოვიძახე და ისევ ცირკში გავბრუნდი, ბობს ხომ არაფერი უნდა-მეთქი. მაგრამ მას ჩემი დახმარება არ სჭირდებოდა. ისე კეტავდა ცირკს, ვითომც არაფერი მომხ-დარიყოს. ცირკს ვერაფრით გააოცებ.

იქედან წამოვედი და ამაოდ ვცდილობდი თვალი მომეხუჭა. თავში სულ ერთი აზრი მიტრიალებდა: „ამ ქვეყა-ნაზე კიდევ მოიძებნებიან ყეყეჩები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მხეცის მოთვინიერება შეიძლება, და მშვიდად არიან“.

გახელებული სპილო

მას მერე, რაც ბორნეოში შეპყრობილი მხეცებისაგან ევროპაში ხელი გავიცალე, სინგაპურში ჩემს სამხეცეს დავუბრუნდი. იქ მოულოდნელად მეწვია ერთი წარჩინებული პირი. ეს გახლდათ ტუნკუ-სულეიმანი, კალანტონელი პატარა რაჯა.

იგი დამამახსოვრდა, როგორც ზარმაცი სულთანი, ჩინურ განიერ შარვალში გამოწყობილი (სხვა არაფერი ემოსა). ინახით იჯდა დორეულებზე. მაგრამ აქ, ჩემთან, ოდნავ ჩამოჯდა სკამზე, ამალა კი მის უკან ჩაცუცქდა. ეცვა თეთრი, ქათქათა კიტელი, თეთრი წინდები და შავი ფეხსაცმელები, თავზე მრგვალი ქუდი ეხურა. ამ სამოსში საოცრად ბეჩავი ჩანდა. მომესალმა, ჩემი ხელი შუბლთან მიიტანა და ათასი წლის სიცოცხლე მისურვა.

მაშინვე მივხვდი, რომ რაღაცას აეფორიაქებინა. მან მადლიერებით გაიხსენა, მის ოლქში კაციჭამია ვეფხვი რომ მოვკალი. მერე მთხოვა ვწვეოდი მის სამფლობელოებს და „შემეპყრო ყველანაირი მხეცი, რაც კი ალაჰს გაუჩენია დედამიწაზე“. აღმითქვა, რომ ყველანაირად შემიწყობდა ხელს და საკმაო ხალხსაც მომახმარდა.

ვბრძანე, მოერთმიათ აიერ-თე (ჩაი), ბლომად შაქარი და ნამცხვარი. სანამ ჩაისა და ნამცხვარს შევექცეოდით, გავარკვიე საქმის არსი. აღმოჩნდა, რომ მოხეტიალე სპილო ავერანებდა ტუნკუს ოლქს და სულთანი შიშობდა, ცხოველში ავმა სულმა დაისადგურაო. ამგვარად მომმართა: „ხალხი — აკი მოგეხსენებათ, საოცრად ბნელი ხალხია — ფიქრობს, რომ იგი ხანტუა“. ამას რომ ამბობდა, სულთანის გრძელი ულვაშები,

სადაც თითოეული ბალნის დათვლა შეიძლებოდა, საბრალოდ იყო ჩამოკიდებული და მე მივხვდი, იგი ისევე ცრუმორწმუნეა, როგორც ყველა მისი ქვეშევრდომი.

— კი მაგრამ, რა წაახდინა ამ სპილომ? —ვკითხე მე.

— ოთხი კაცი მოკლა, ტუან. გამოედევნა და მერე ბუზებივით გაჟრისა. ჩემიანებმა იმდენი ორმო ამოთხარეს, რამდენიც მე თითები მაქსია ხელზე, ის კი ორმოებს სიახლოვესაც არ გაჰკარებია. ჩემი ხალხი ირწმუნება, რომ მას ბოროტი სული მფარველობს.

„მისი მახვილი ყნოსვა მფარველობს“, — გავივლე გუნებაში.

— თვითონ შენ თუ გინახავს ოდესმე? — ვკითხე მერე.

ტუნკუს არ უნახავს სპილო, მაგრამ ნახა მისგან დატრიალებული უბედურება.

— ცოტას ჭამს, ტუან, მაგრამ ყველაფერს აოხრებს. მინდგრები გადაჯეგა. ჩვენ მისი ცარიელი მუცელი როდი გვაფიქრებს, მისი ბოროტი გულის გვეშინია. ერთ პატარა სოფელში შევიდა და ნახევარი სახლები დააქცია.

— ტუანი რომ დიდი მონადირე არ ყოფილიყო, —ლიქნა დაიწყო ტუნკუმ. — დიდი მონადირე, რომელსაც ბოროტი სულებიც ვერ აშინებს, არც კი ვთხოვდი, მოეკლა ეს ოთხფეხა ეშმაკი.

ცხადია, სპილომ დამაინტერესა. მოხეტიალე სპილო არასდროს არ შემხვედრია, მაგრამ წარმოდგენილი მაქვს, როგორ ხდებიან ისინი ეულ ლტოლვილებად: ალბათ, იგი წაეჩხუბა ბებერ ხვადს, მერე დედალმა სპილოებმა სიახლოვეს აღარ გაიკარეს, ჯოგმა გაინაპირა და თანდათან გამძვინვარდა მარტოობაში.

ტუნკუ შიშით შემომცქეროდა.

— უნდა მოვიფიქრო, — ვთქვი მე. — შემოიარეთ ხვალ.

მას კი ხვალ მოსვლა არ შეეძლო: მისი გემი დილას გადიოდა.

— თუ გადავწყვიტე თქვენთან წამოსვლა, — ვუთხარი

მას, — მაშინ წასვლისას გემზე ვიქნები. თუ არ მოვედი, ესე იგი, არ შემიძლია წამოსვლა.

ნამდვილად კი მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი წავსულიყავი, მაგრამ ამის გამჟღავნება არ შეიძლებოდა. ტუნკუსთვის უნდა მეგრძნობინებინა, რომ ჩემი წასვლით დიდ პატივს დავდებდი.

— თუ თქვენ არ მოხვალთ, მაშინ გამოდის, ბოროტი სული სინგაპურსაც სწვდება.

თან გაღიმებას ცდილობდა; ვხედავდი, ამას გულწრფელად ამბობდა.

როგორც კი წავიდა, მაშინვე შევუდექი სამგზავრო სამზადისს იმ ვარაუდით, რომ ორ თვეს შინ აღარ მოვბრუნდებოდი. ვუხმე ჩემს ბოის ხსი-ჩუ-აის და ვუთხარი, სად მივდიოდით და როდის წავიდოდით. იგი დიდი დაუდგრომელი ვინმე იყო და ჩემნაირი ბატონი ხელს აძლევდა. ჩემი სამგზავრო ნივთები მუდამ მზად იყო. ჩუს მხოლოდ ის უნდა სცოდნოდა, როგორ ვიმგზავრებდით: წყლით თუ ხმელეთით, დიდ თუ პატარა გემზე. თუ პატარა გემით მივდიოდით, მაშინვე ბაზარში გარბოდა და სანოვაგეს ყიდულობდა: იმარაგებდა ქათმებს, ხილს, ბოსტნეულს.

მეორე დღეს შემთხვევით შევხვდი უილკოკსს, სანაპირო კატერის კაპიტანს, და ვთხოვე, თუ შემაგვიანდებოდა, დამლოდებოდა. წასვლა მტკიცედ გადავწყვიტე, მაგრამ მხოლოდ მაშინ გამოვჩნდი კატერზე, როცა ტუნკუს ჩემი დანახვის ყველა იმედი გადაუწყდა. შეუძლებელია მისი სახის გამომეტყველების აღწერა, როცა მიყურებდა, როგორ ავდიოდი გემზე. შან გადაწყვიტა სიკვდილი გამოეწვია ბრძოლაში და გრძნობდა, ეს ბრძოლა ქვეშევრდომთა თვალში აღამაღლებდა.

კატერი საძაგელი რამ იყო. წყალში სულ რაღაც შვიდიოდე ფუტზე იჯდა. ძალიან დაეტვირთათ, ხოლო მოცუცქნულ გემბანზე ოცდაათი-ორმოცი ადგილობრივი მკვიდრი ირეოდა. ტუნკუ-სულეიმანი იძულებული იყო ამ ვიწროობაში მჯდარიყო, რადგან კაიუტები არ გააჩნდათ. მე კაპიტანთან დავბინავდი და მასთანვე ვისადილე. ღამის გასათევი არ მაფიქრებ-

და: მე და ჩუმ ბაქანზე გავშალეთ ჩვენი სავარძლები და გავიშოტენით. კვების ამბავმა კი უსიამოვნება შემამთხვია — ჩემმა ბოიმ სამზარეულოდან მზარეული გამოაგდო — კერძის მომზადებაში ვერ მორიგდნენ. მზარეული ბაქანზე ამოვარდა, თან საყასბო დანას იქნევდა, თვალებს მუქარით აბრიალებდა. დანამომარჯვებული ჩუ ფეხდაფეხ მოჰყვა. ჩუ ძალიან ღონიერი იყო. არა ერთხელ შემიწირავს მადლი ამ ჩინელის ღონისათვის, როცა სიცხისაგან გათანგული, ციებაშეყრილი ჯუნგლებიდან ატატებული გამოვყავდი, მაგრამ ახლა, როცა იგი მზარეულს მისდევდა, ვისურვებდი, ჩუ ასე ღონიერი არ ყოფილიყო. რამდენიმე უსიამოვნო წუთი განვიცადე. მაგრამ კაპიტანი თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა: მან ერთი შეიგინა, მერე ჩინელ მზარეულს მიუბრუნდა და უღრიალა:

— თავი გაანებე, რაც უნდა, ის ტიტყნოს, შენ კი დაისვენე. ნუთუ არ იცი, რომ ზოგჯერ უმჯობესია მენიუს შეცვლა, თუნდაც უარესისაკენ.

ამ დროს მან შენიშნა, რომ ჩუს ბოღმით აევსო თვალები და დაუმატა:

— და თუ უკეთესისაკენ შეიცვლება — ხომ კარგი.

ორივე ჩინელი დამშვიდდა. ორივენი კმაყოფილნი იყვნენ. კერძი ჩემი გემოვნების მიხედვით მომზადდა. მე და უილკოქსმა მოვულხინეთ.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, მივადექით კუალოს მდინარე კელანტანზე. აქედან თორმეტი მილის მანძილზე ნიჩბებით მიცურავდით, პატარა კუნძულებს ვუქცევდით გვერდს. ასე მივაღწიეთ კოტა-ბხარას. აღმოსავლურობის თვალსაზრისით. არაფერი ღირსშესანიშნავი ქალაქში არ ყოფილა. ჩვენ დავდიოდით ჩვეულებრივი, ქვიშაწყაერილი ქუჩების ლაბირინთში. არსად ჩანდა მცენარეულობა. როცა ბაზარს მივაღწიეთ, ისეთივე გაოცებამ შემიპყრო, როგორც მაშინ, პირველად რომ მოვხვდი კოტა-ბხარაში: ბაზრის მოედანზე სახეახდილი ქალები ჰყიდდნენ ათასნაირ საქონელს, თან იცინოდნენ და მყიდველებთან ისევე ძალდაუტანებლად მასლაათობდნენ, როგორც მამაკაცები. ამას სიამის სიახლოვეს მივაწერდი და მართალიც ვიყავი: მაჰმადიანური რელიგია აქ სუსტად იყო ფეხმოკიდებული,

ვიდრე ხხვა ადგილებში. ამიტომ არც აქაური ქალები იყვნენ ისე ჩაკეტილები, როგორც არიან ხოლმე საერთოდ მაჰმადიანი ქალები.

ტუნკუმ შემთავაზა მასთან ერთად დავბინავებულიყავი მისი ნათესავის, დათუ ამენდას სახლში. ჩემს განკარგულებაში იყო ერთი დიდი ოთახი. ოთხი სიამელი ქალიშვილი პირისფარეშებად მომიჩინეს. მესამე დღეს ავყევით მდინარეს ტუნკუს ნავით. ეს ექვსნიჩბიანი ნავი ძალზე მოხერხებული იყო. ზედ კაიუტაც კი გაემართათ. გზაში მხოლოდ ერთხელ გავჩერდით ქოქოსის პალმების ჭალაში გაშენებულ ერთ კამპონგში. კამპონგის ყველა მცხოვრები გართული იყო კოპრის — ქოქოსის კაკლის გულის დამზადებით. კოპრის საძაგელი სუნი გულს მირევდა. შემომთავაზეს მეყიდა ქოქოსი. საოცრად ძვირი დამიფასეს — ერთი ცალი დოლარად. მე კი მუქთადაც არ ავიღებდი — სუნი მეზიზღება.

ქოქოსის პალმა ძალიან ლამაზია. მაღალია, ზოგჯერ ას ფუტსაც კი აღწევს და კენწეროში გაუშლია ფოთლების გვირგვინი, სირაქლემის ფრთებს რომ ჩამოჰგავს. ქოქოსის პალმას იმდენი სარგებლობა მოაქვს, რომ სხვა ხეები ვერ შეედრებიან ამ მხრივ. მისი ბოჭკოსაგან რა გინდა, რომ არ მზადდებოდეს: დაწყებული ბაგირიდან, დამთავრებული ქალის მარაოთი. ქოქოსის ზეთი ათასნაირი რამის დასამზადებლად იხმარება, რომელთაგან ჩემთვის აუცილებელია „საზღვაო საპონი“, რომელიც ზღვის წყალში ქაფდება. ალკოჰოლიანი სასმელი — სამშუ, რომელიც ახალნაყარისა და ყვავილის კვირტებისაგან მზადდება, არ მომწონს. ეს რაღაც საშუალოა ცუდ ჯინსა და კიდევ უარეს კიუმელს შორის. სიამოვნებით შეეექცევი მის თეთრ გულს, რომელსაც კოვზებით იღებენ უმწიფარი კაკლიდან. ეს გემრიელია.

ჩუ-აიმ იცოდა, რომ საშინლად მძაგდა კოპრის სუნი, რითაც გაჟღენთილიყო იქაურობა და, იშვიათი სადილით გამიმასპინძლდა — მომართვა ხმელეთის კიბორჩხალა, რომელიც დიდის ხელოვნებით შეემზადებინა. ძალზე მოხერხებული წესით იჭერენ ამ კიბორჩხალებს. ისინი მხოლოდ გამრავლების პერიოდში ცხოვრობენ წყალში. ღამღამობით ქო-

ქოსის ხეზე ადიან მარწუხების მეშვეობით. იქაურები ხის ტანზე ახვევენ ფისში ამოვლებულ პალმის ფოთლებისაგან შეგრეხილ თოკს მიწიდან ათი-ხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე, მერე ზემოდან თიხასა და ქვიშას უსვამენ. ზევით აცოცებისას კიბორჩხალა ვერც კი ამჩნევს ამ დაბრკოლებას, ყლორტებს მიაძღება და უკან ჩამობრუნდება. როცა მიაღწევს ამ რგოლს და ფეხქვეშ თიხასა და ქვიშას იგრძნობს, ფიქრობს, მიწას მივაღწიეო და მარწუხებს გაიშვერს ნაბიჯის გადასადგმელად. ჩამოვარდება და მიწაზე დაენარცხება. ეს ძალზე ვერაგული ხერხია, მაგრამ კიბორჩხალა არა მარტო მავნე ცხოველია, არამედ ძალზე გემრიელიც.

ქოქოსის კამპონგს რომ გამოვცდით, მერე აღარსად შეგვისვენია, სანამ ქვიშიან ნაპირზე გაშენებულ პატარა სოფელს არ მივაღწიეთ, სადაც ორი სპილო დაგვახვედრეს.

ერთით მე და ტუნკუს უნდა გვემგზავრა, მეორეს — ბარგი ეზიდა. ისე უნდა მოგვეწყო, რომ ჯუნგლებში ოთხი დღის მგზავრობისას რაც დაგვჭირვებოდა, ყველაფერი ხელმისაწვდომად გვქონოდა. სატვირთო სპილოზე ბარგის მთელი მთა დავაყენეთ. ამას არ შეუშფოთებია ჩუ-აი. იგი სულ ზევით აცოცდა და სრული კომფორტით მგზავრობდა. ტუნკუს ხალხი ფეხით მოგვდევდა, მე და ტუნკუ კი მანდიკურად გადაკიდებულ გოდრებში ვისხედით. გამყოლი სპილოს კისერზე წამოსკუპდა. გოდრებში ჩაფენილი იყო ბალიშები, რომ ცოტათი გაგვიოლებოდა მგზავრობა, ყოველ შემთხვევაში — ტუნკუ-სულეიმანს მაინც, რადგან მე ვერავითარი ბალიშები ვერ მიშველიდა. ჩემთვის სპილოზე მგზავრობა ყოველთვის დიდი ტანჯვაა. ცხოველი პირდაპირ ლაღლაღებს საკუთარ ტყავში, ტყავი წინ და უკან ქანაობს. მერე როგორ უყვართ წყალი! ყოველთვის, როცა მდინარეზე გავდიოდით, სიამოვნებისაგან ხრუტუნებდნენ. ჩვენ უნებურად ვდგებოდით გოდორში, ვიხდიდით ფეხთ და სამოსი ბალიშებთან ერთად გვეჭირა თავს ზევით, რომ არ დასველებულიყო. სპილოს კი ძალიან უნდოდა ხორთუმით წყალი გადაეცლო ზურგზე და ჩვენთვისაც შეეშხეფებინა. ასეც იზამდა, გამყოლს რომ არ აეჩქარებინა ქიმუნჯებით. ასე გავდიოდით გაღმა.

საბედნიეროდ, გზაში ორი მომცრო კამპონგი შემოგვხვდა, სადაც შეიძლებოდა შეჩერება და მუხლის გაშლა. ორივეში ტუნკუს მშვენიერი სახლი ედგა. შვებით გავიშოტებოდი ხოლმე ჩემს ლეიბზე. რომელსაც მუდამ თან ვატარებ, და ჩუ-აის მასაჟს ვაკეთებინებდი. ადგილობრივ მკვიდრთა წინაშე წარმადგინეს, როგორც კაცი, რომელმაც თავს იდო საშიში სპილოს მოკვლა და რომელსაც ვერავითარი ეშმაკი ვერაფერს დააკლებს. გულუბრყვილო ხალხი გაფაციცებით მომჩერებოდა. ბევრ მათგანს მანამდე თეთრი ადამიანი არც კი ენახა.

მგზავრობის მეხუთე დღეს მივაღწიეთ ტუნკუს კამპონგს— ყველაზე დიდ დასახლებას ქვეყნის შუაგულში. აქ ათასამდე კაცი ცხოვრობდა. ჩვენმა მისვლამ მთელი კამპონგი ააღელვა. ცხადია, გამიხსენეს. თითქმის ყველა მაძაკაცი თუ ბიჭი მარწმუნებდა, კაციჭამია ვეფხვის შეპყრობაში გეხმარებოდიო. ბევრი მათგანი მართალს ამბობდა. ტუნკუმ ყველანი აქეთიქით გაგზავნა, რადგან ჩემთვის აუცილებელი იყო გამოშუშება და ჩუ-აის მასაჟი.

დასვენების მერე მზად ვიყავი მესაუბრა „საშინელ სპილოზე". მათი ნაამბობი ადასტურებდა, რომ აქ, ტროპიკებში, ხმა ისე სწრაფად და შეუსაბამოდ ვრცელდება, როგორც ხეები და ბალახები. მე მომიწია ჯუნგლებზე მთელი ჩემი ცოდნის თავმოყრა, რომ ამ ნაამბობიდან გამერჩია სიმართლე და ფანტაზია. კამპონგში არ მოიძევებოდა კაცი, რომელიც ალაპს არ დაიმოწმებდა, რომ თავისი თვალით ნახა სპილო. აღმოჩნდა, იგი ერთდროულად რამდენსამე სხვადასხვა ადგილას უნახავთ, როცა ამ საოცრებაზე გავამახვილე მათი ყურადღება, პასუხად თავი გაიქნიეს.

ერთი მიხრწნილი მოხუცი აჩიფჩიფდა: „ტუან, შენ ხომ ბრძენი გრძნეული ხარ, თვითონაც იცი, ასეთია ეშმაკის ზნე".

სპილოს ზომებზედაც სხვადასხვანაირად ლაპარაკობდა ყველა, მაგრამ ერთ რამეში თანხმდებოდნენ: ეს სპილო სხვებზე ბევრად დიდი ყოფილა. ტუნკუს აქ არყოფნის დროს სულ გაუვერანებია ბრინჯისა და შაქრის ყანები. რაც უფრო ადრე ავუგებდით წესს, მით უკეთესი იქნებოდა.

სანამ იმაზე ვფიქრობდი, ამ ტანადი, ახოვანი კელანტანელებიდან რომელი ამერჩია გამყოლებად — თითქმის ყველა მეხვეწებოდა წამოყოლას, — სასიყვარულო დრამას წავაწყდი. აღმოჩნდა, რომ ვინმე ოსმანმა, მჭედელმა, რომელიც მალაურ ხანჯლებს ჭედდა, სულ დაჰკარგა მოსვენება ერთი ახალგაზრდა ქალის სიყვარულით, რომელიც განთქმული მქსოველი ყოფილა. იგი ხანშიშესული კაცის ცოლი იყო, ქმარი არ ეყრებოდა, ქალი კი ვერ წავიდოდა, რადგან მის ოჯახს უკვე დაეხარჯა გამოსასყიდი თანხა, რომელიც ქორწინებისას გადაუხდია ქმარს. სანამ ქალი გაყრაზე დაძრავდა სიტყვას, მანამ ქმარი უნდა გაესტუმრებინა, უნდა დაებრუნებინა მისთვის მთელი თანხა. ეს ამბავი ტუნკუმ მიამბო. იგი შიშობდა, ვაი თუ ოსმანი სატრფოს სახლში შეიპაროს და მძინარე ქმარი შუბზე ააგოსო. მძინარესა და მის მტერს შორის არავითარი დაბრკოლება არაა, გარდა თხელი ჭილოფისა...

— ოსმანი, — დანანებით თქვა ტუნკუმ, — ჭკუას ჰკარგავს ქალისთვის... მაგისთანა ხანჯლებს კი მთელ კელანტანში ვერავინ აკეთებს!

მაჩვენა ოსმანის გამოჭედილი ხანჯალი. ეს მხატვრის ნახელავი გახლდათ: ვადა ძვირფასი სპილოსძვლისა ჰქონდა, ღარიანი პირი მოსევადებული იყო დარიშხანითა და ფისით.

— კარგი იქნება, ტუან, თან თუ წაიყვანთ მაგ საცოდავს, — მითხრა ტუნკუმ. — ამბობენ, გარეულ მხეცებზე ნადირობა კურნავს სიყვარულისაგან გახელებულსო. სიყვარული მხეცს შეეყრება და მასთან ერთად მოკვდებაო.

მე ვთხოვე, ეჩვენებინათ ჩემთვის ახალგაზრდა ქალი. ხმები დადიოდა, იგი ადგილობრივ მჩხიბავთან იყოო. უთხოვია. ჩემი ქმრის სახე გამიკეთე ძონძებისაგან და ქინძისთავებით სულ ერთიანად დამიჩხვლიტეო. ესო, მითხრეს სერიოზულად, მაგის ქმარს უსათუოდ ამოხდის სულსო. როცა ქალი დამანახეს, იგი დიდის ამბით ათვალიერებდა სარონგის მოხატულობას. თვითონ მას ძალიან ლამაზი სარონგი ეცვა. კარგი ქალი იყო, თვალებს ოდნავ აელმებდა, რამაც, ალბათ, გადარია კიდეც ოს-

მანი. მათი სიყვარულის ამბავი ისე იყო ხმაგავარდნილი, რომ არც კი მოვრიდებივარ, ისე ვკითხე:

— რაო, აცოცხლებ მოხუცს თუ ახალგაზრდა ქმარი გინდა?

მან სიცილით მომიგო:

— ტუან მაუ სახია (ხომ არ მოვესურვე ტუანს)?

ძალიან პრანჭია და თამამი ქალი იყო. მივხვდი, ოსმანისათვის გარეულ მხეცებზე ნადირობა უფრო უხიფათო იყო, ვიდრე მის სიახლოვეს ყოფნა.

დაბეჯითებით არ ვიცოდით, სად იმყოფებოდა სპილო, და ტუნკუმ მირჩია, მსუბუქად გავმგზავრებულიყავი და მომეჩხრიკა იქაურობა, გვენახა, ახლომახლო ხომ არ იყო ახალი კვალი. ცოტათი გამაოცა კიდეც, როცა მითხრა, მე და შენ ერთი სპილოთი გავემგზავრებითო.

მეორე დღეს, რვა საათისათვის გზას გავუდექით. სპილო, რომლითაც ამჯერად ვმოგზაურობდით, საბედნიეროდ, სხვა იყო და არა ის, აქეთობისას სულ რომ დამიჩეჩქვა ძვლები. ჩვენს ექსპედიციაში ყველა სპილო დედალი იყო. ოსმანი ამხანაგებთან ერთად ამხედრებულიყო სპილოზე. გამყოლი კისერზე შემოსკუპებულიყო და ფეხები ყურებზე მიებჯინა. მეორე სპილოთი მოდიოდა ორი შესანიშნავი ახალგაზრდა, მესამეზე კი მე და ტუნკუ ვმგზავრობდით. გზას ჯუნგლებში მივიკვლევდით. ერთხანს გვერდიგვერდ მივდიოდით, მაგრამ მერე სიარული გაჭირდა და დაწალაკებით განვაგრძეთ მსვლელობა. ოსმანი წინ იყო, ჩვენ — ბოლოში. ახალ კვალს ვერსად წავაწყდით. ბედი ჩვენს მოთმინებას ცდიდა.

მე მგონია, ეს ხელოსანი თავის სატრფოსთან განშორების გამო ჯავრისაგან ჭკუაზე აღარ იყო. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ჭკვათმყოფელი ამას არ ჩაიდენდა: პირდაპირ მიადგა ფუტკრის სკას — სულ ცოტა, იარდის სიგრძე მაინც იქნებოდა — და შუბი გაურჭო შიგ. იარაღი ფიჭაში ჩარჩა. მოქაჩა და უკან გამოიღო. უცებ მოგვეჩვენა, მთელი ქვეყნის ფუტკარი ჩვენ დაგვეხვია. მეწინავე სპილო ღრიალით გაეარდა ჯუნგლებში. მეორე მარჯვნივ გაიქცა. ძლივს მოვასწარი გამყოლისთვის დამეძახა:

— ბალიკ პულანგ (მოაბრუნე)! — და ტუნკუს დავუყვირე, გადახტი და გაიქეცი-მეთქი. მეც ჩამოვხტი ჩემი კალათიდან და მიწაზე გავხოხდი. პანამა თვალებზე ჩამოვიფხატე, მაგრამ ტვიანლა იყო, უკვე ვეღარაფერს ვხედავდი. ხელის ფათურით თითო ტოტი მოვიტეხეთ, გამწარებით ვიქნევდით ჰაერში და ვერეკებოდით ფუტკრებს. მთელი ტანი მეწოდა. მუჭაში მოვაგროვე ხმელი ნეშო და ცეცხლი მოვუკიდე. ორივენი საშინლად ვიყავით დაკბენილები. კვამლისაკენ გადავიხარეთ. ბოლით გაბრუებული ფუტკრები პანტაპუნტით ცვიოდა ჩვენი სხეულიდან. დარწმუნებული ვარ, ტუნკუ ფიქრობდა, აქ სპილოს ხელი ურევიაო. იგი განადგურებული იყო.

ბილიკზე გამოვედით და კამპონგისაკენ წავჩანჩალდით. ნახევარი გზაც არ გაგვევლო, რამდენიმე კაცი შემოგვხვდა, საკაცეები მოჰქონდათ. ჩვენს გამყოლს მიერბინა კამპონგში და ეთქვა, ფუტკარს გადავეყარეთო. ჩუ-აიც წამოსულიყო. თან ჩაიდანი წამოეღო. სული მოვითქვით და ხელმოცარულები დავბრუნდით სოფელში.

როცა ჯუნგლებში ღამე ჩამოდგა, დაბრუნდნენ მეორე სპილოზე მსხდომნი. ისინი ჩვენსავით ჩამომხტარან სპილოდან. ოღონდ უფრო მოგვიანებით, მას მერე, რაც ერთ მათგანს ტოტი მოხვდა თავში. თუმცა სულ ერთიანად დაკბენილი ვიყავი, მაინც შევუდექი მისი ჭრილობის განკურნებას „თეთრი ადამიანის წამლით“, რომელიც მუდამ მქონდა სამგზავრო ჩანთაში. ფუტკრის ნაკბენის მოსაშუშებლად არაფერი აღმომაჩნდა.

მეორე დღეს ხალხი რამდენიმე პარტიად გავგზავნეთ მეწინავე სპილოს, მასზე ამხედრებული ხალხისა და მეორე სპილოს საძებნელად. სპილოებს კამპონგის სიახლოვეს მიაკვლიეს, სადაც ისინი მოიყვანა მახვილმა ყნოსვამ, რაც უმეტესად დედალ სპილოებს ახასიათებს. ორივენი მაგრად იყვნენ დაკბენილები; განსაკუთრებით მეწინავე, რომელზედაც ოსმანი იჯდა. ფუტკრები ტყავის ნაკეცებში შემძვრალიყვნენ, სულ ერთიანად დაენესტრათ ხორთუმი და იარებით დაეფარათ.

უხორთუმოდ სპილო საოცრად უმწეოა: ვეღარ ჭამს, ვეღარ სვამს, შეიძლება ითქვას, მისი სასიცოცხლო მექანიზმი

დარღვეულია. ახლა მეწინავე სპილოს პირდაპირ ხახაში ვასხამდით წყალს, ნაყოფს ხელით ვაჭმევდით. მერე შევუდექით ხორთუმის განკურნებას: ჯერ ცხელ წყალში ვალბობდით, რომ ანთება შეგვენელებინა, მერე ქოქოსის ზეთს ვუსვამდით. რაღაც ცხელი საფენის მსგავსი დავადეთ: სამკურნალო ბალახები წვრილად დავკეპეთ, ხორთუმზე წავუსვით. მერე დავადეთ თიხის ფენა, რომ პირველი ფენა არ ჩამოცურებულიყო. ერთ-ერთი გამყოლი ამ ოპერაციის დროს სულ ეჩურჩულებოდა სპილოს, აშოშმინებდა და ამშვიდებდა ალერსიანი სიტყვებით. ისიც კი უთხრა, ლამაზი ხარო, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

სპილო ძალიან მომთმენი გამოდგა. ის ფაქტი, რომ ხორთუმი სამკურნალოდ დაგვანება, ჩვენდამი უდიდესი ნდობის დასტური იყო: სპილოებს ეს ორგანო მეტისმეტად მგრძნობიარე აქვთ და ცხოველი განსაკუთრებით იცავს მას. აზიური სპილო მტერზე თავდასხმისას ხორთუმს განზე სწევს, რომ შემთხვევით არ დაიზიანოს, თუმცა ამის გამო ვეღარ ატეხს საბრძოლო ყიჟინას, როგორც აფრიკული სპილოები ჩადიან.

ფუტკრებთან ბრძოლის გადახდის მეორე დღეს მობრუნდნენ ოსმანისა და მისი თანამგზავრების საძებნელად წასულები. მხოლოდ შუბი მოიტანეს — ყველა ამ უბედურების მიზეზი. ამოთხარეს სამი საფლავი. გვამები ერთმანეთისგან დაშორებით უპოვიათ. მე არ მეყო გამბედაობა მეკითხა, რისგან დახოცილიყვნენ. ადვილი შესაძლებელია, სასიკვდილოდ იყვნენ დანესტრილები—ფუტკრები მეტწილად ხომ მათ გამოეძევნენ.

კამპონგის მოსახლეობა ამ ტრაგედიას ჩვეული მალაური სიმშვიდით შეხვდა.

— ოსმანი ქალმა გადარია, — ამბობდნენ ისინი, — და გადარეულივით მოიქცა. ჯუნგლებში ასე მოქცევა არ შეიძლება: ადვილად მოხვდები სიკვდილის ბადეში: ჯუნგლებზე გაფენილია უზარმაზარი ბადე და შიგ არა მარტო უჭკუო მოხვდება, არამედ ყველა, ვინც ახლოს მივა.

ტუნკუ-სულეიმანი ძალიან ნაღვლობდა ასეთი დახელოვნებული ოსტატის დაღუპვას.

— ტუან, — თქვა მან, — ოსმანი იმათგანია, რომლებიც

ვეფხვის კლანჭებს გადურჩნენ, რათა ნიანგს ჩავარდნოდნენ ხახაში.

წამიერი დუმილის მერე დასძინა: „საშინელ სპილოს სხეულში დაბუდებული ეშმა ხარობს!“

მშვენიერ მქსოველს კი ეს ამბავი ალაჰისაგან გაფრთხილებად ეჩვენა. ამბობენ, თავისი ქმრის გამოსახულებიდან ყველა ქინძისთავი ამოაძრო და ისევ ქმარს ჩაეხვიაო.

დაახლოებით ერთი კვირის მერე, როცა ყველას — ხალხსაც და ცხოველებსაც — დაგვიცხრა ნაკბენები, ახალი ცნობები მივიღეთ მოხეტიალე სპილოს ადგილსამყოფელის შესახებ. მან სულ გაავერანა ბუა პინაგის (ბეტელის კაკლის) მომცრო პლანტაცია, გადაჯეგა პატარა პალმის მსგავსი ბეტელის ხეები, როცა მათ შორის მიდიოდა. ამბის მომტანი ვერავითარი ჯვარედინი დაკითხვით ვერ დავაბნიე და მარწმუნებდა, კამპონგიდან ორი დღის სავალზე ვნახეო სპილო.

გადავწყვიტე, რომ მოქმედების დრო დადგა და ტუნკუს ვთხოვე, ხალხი გაეგზავნა სამი უახლოესი კამპონგის უხუცესთა მოსაყვანად. თითოეულს უნდა ხლებოდა ათ-ათი რჩეული ვაჟკაცი, თან თავიანთი თოფი წამოეღოთ. შუბებს ბრძანების გარეშეც წამოიღებდნენ: არც ერთი მალაელი უშუბოდ ჯუნგლებში არ შევა. როცა ყველანი მოვიდნენ, ქალებს მივანდეთ მათი მასპინძლობა. ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა, სპორტული შეჯიბრებისათვის სამზადისს ჰგავდა, მაგრამ ამავე დროს ყველა შეშფოთებული იყო: თეთრ გრძნეულს მიჰყავს ისინი სპილოს სახით გამოცხადებული ეშმაკის წინააღმდეგ... ამაზე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

ტუნკუმ ერთი პირობა გადაწყვიტა ჩვენთან არ წამოსულიყო, თავის ტკივილიც კი მოიმიზეზა, მაგრამ უკანასკნელ წუთს გადიფიქრა და ჩემს სპილოზე აძოხოხდა. ისევ იმ სამი სპილოთი გავემგზავრეთ, როგორც იმ ბედუკუღმართი ექსპედიციის დროს, თან გვახლდა შუბებით შეიარაღებული ორმოცდაათი ქვეითი ვაჟკაცი. თოფიანი უხუცესები სპილოებზე ისხდნენ.

მზის ჩასვლის უმალ დავადექით გზას. არ გჩქარობდით და

ვცდილობდით არ გვეხმაურა: არ ვიცინოდით, არც ვლაპარაკობდით. გაიარა ორნახევარმა საათმა, სანამ მოხეტიალე სპილოს კვალს წავაწყდებოდით. სამაგიეროდ სულ ახალთახალი კვალი იყო: ნახევარი საათის წინ გაევლო აქ...

ჩვენ გავიშალენით: ჩემი სპილო შუაში ჩავიყენეთ, დანარჩენი ორიც აქეთ-იქით ამომიდგა. სპილოებს შორის ხალხი ისე ჩადგა, ხელითაც კი მისწვდებოდნენ ერთმანეთს. ამრიგად რომ დავსხმოდით სპილოს, ადვილად მოვიქცევდით ალყაში. ყოველივე ამას ძალიან ჩუმად ვაკეთებდით. ტაატით მივიწევდით წინ, სანამ ბამბუკის ტევრს არ მივადექით. კვალიც შეწყდა. შესაძლოა, სპილომ გადასერა ტევრი და განაგრძო გზა. ისიც საფიქრებელი იყო, რომ სადმე იქვე მშვიდად სძინებოდა უძილო ღამეების მერე. მონადირეები არა ერთხელ წამოჰპარვიან მძინარე ჯოგს. ასეთ შემთხვევაში საშიშია მხოლოდ წამოძახილი, ან ხმამაღალი ლაპარაკი. თოფის გასროლის ხმაზე დამფრთხალი ჯოგი თავის საშველად გარბის, კაცის ხმის გაგონებაზე კი საბრძოლველად ემზადება. ჩემის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ სროლა მათთვის უცხო ბგერაა და არ იციან საპასუხოდ რა მოიმოქმედონ, კაცის ხმას კი კარგად სცნობენ.

ხელით მოვიხმე ორი კაცი, რომლებიც სხვებზე ჭკვიანად და მოქნილებად მეჩვენა. მათ გამჭოლი მზერა ჰქონდათ. ჩურჩულით ვუთხარი, უჩუმრად შესულიყვნენ ტევრში და ენახათ, ხომ არ არის იქ სპილო და თუ არის, ასევე ჩუმად მობრუნებულიყვნენ და ეჩვენებინათ ჩვენთვის სპილოს ადგილსამყოფელი. საბოლოოდ ასე დავარიგე: „იყავით ხვლიკივით ჩუმნი და თქვენს ბაგეს არც ერთი სიტყვა არ დასცდეს!“

პასუხად მხოლოდ თავი დახარეს და მათი შავი სხეული ლერწმებს შეერია. როგორც კი თვალს მიეფარნენ, ბრძანება გავეცი, დანარჩენები ტევრს შემორტყმოდნენ.

შემდეგ შევიტყვე, რაც მომხდარიყო: ორივენი, შუბმომარჯვებულები, წინ მიიწევდნენ, მაგრამ უცნაურმა სინათლემ თვალი მოსჭრა მათ: ბამბუკის სწორი ღერების წყალობით ყველაფერი ზოლ-ზოლად გადაჭრილი ეჩვენებოდათ და თავდაპირველად ვერაფერი გაარჩიეს. ვერ დაინახეს მძინარე სპილო, სანამ თავზე არ წაადგნენ. მაშინ ერთმა, შიშისაგან ატანილმა,

ამხანაგს მიაძახა: „იაგა!“ (ფრთხილად). ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა — სპილომ ხორთუმი სტაცა. მისმა ამხანაგმა სპილოს შუბი მიაგდო და ჩვენკენ გამოქანდა, თან გაჰყვიროდა: „გაჯა დატანგ!“ (სპილო აქაა). სპილო ყვირილის ხმას მოჰყვა და ტევრიდან ჩვენკენ გამოიქცა. მკვდარი ისევ ხორთუმით ეჭირა. მერე გვამი მიწაზე დაანარცხა, ხაფი ხმით დაიღრიალა, ზედ დაადგა თავისი უზარმაზარი თათი და ხორთუმით ცალი ხელი ააგლიჯა, ჰაერში შეისროლა და გამოქანდა. ჩვენი რიგები გაიფანტა. შინაური სპილოები ისე დაფრთხნენ, გამყოლებს აღარ ემორჩილებოდნენ. ჩემი სპილო თავით ფეხებამდე ცახცახებდა. გამყოლმა ვერაფრით ვერ შემოაბრუნა ისე, რომ მოხეტიალე სპილოსათვის ხორთუმის ძირში დამემიზნებინა. ეს ადგილი აზიურ სპილოს ეშვებით ისე არ აქვს დაცული, როგორც აფრიკულს, ამიტომ აქ თუ მოხვდა ტყვია, მისი საქმე გათავებულია. სწორედ აქ მინდოდა მომეხვედრებინა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე. მაშინ ყველამ ავტეხეთ სროლა და შუბებს ვტყორცნიდით ყოველი მხრიდან. სპილომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. წაიფორხილა და წაიქცა: მოხვედროდა ოცდაათამდე შუბი და რამდენიმე სასკდომი ტყვია ჩემი თოფიდან.

როცა მომაკვდავმა ცახცახი შეწყვიტა, იქაურები შექუჩდნენ და შემოეხვივნენ. ყველანი ზედ აფურთხებდნენ. გაუგონარი გინება, დაცინვა, წყევლა დააფრქვიეს მკვდარ სპილოს. მოხარული ვიყავი, რომ ასე გულიანად გაიხარეს. მათ მიაღწიეს რაღაც უაზრო ექსტაზამდე. მათი მტერი მკვდარი ეგდო. თუმცა ერთი ამხანაგი გამოაკლდათ... მაგრამ სპილომ ბევრი იმსხვერპლა და ეს საბოლოო იყო.

ტუნკუ-სულეიმანი მშვიდად შესცქეროდა ამ ამბავს. მის ულვაშებს მდგომარეობა არ შეუცვლია.

— ტუან, — მითხრა მან,—რადგან ამ სპილომ ბევრი უბედურება მიაყენა ჩემს ხალხს და მასში უეჭველად ბუდობდა ეშმა, ძალიან მინდა თილისმად შევინახო მისი ეშვები ავ სულთაგან თავდასაცავად. ჩემი მადლიერების ნიშნად მიიღე ეს ბეჭედი!

თითიდან წაიძრო ბრილიანტის ბეჭედი და გამომიწოდა.

თვალი, ალბათ, ოთხ კარატს აიწონიდა. სამწუხაროდ, ადგილობრივი ხერხით იყო დაწახნაგებული.

მე განვაცხადე, რომ სრულიად კმაყოფილი ვიყავი; ისე, სიმართლე რომ გითხრათ, სულაც არ მინდოდა ეშვების წამოღება. თუ არსებობს ისეთი ცხოველი, რომლის მიმართაც რაიმე გრძნობა გამაჩნია, ეს სპილოა. მე იგი მიმაჩნია ყველაზე უვნებელ, ყველაზე ჭკვიან, ყველაზე კეთილ ცხოველად. მოხეტიალე სპილო კი მხოლოდ ერთხელ შემხვდა. ასეთი სპილო გამონაკლისია. ჩემის აზრით, ის გადარეული იყო.

როცა კამპონგში დავბრუნდით, სიხარულისაგან იქაც ერთი ამბავი შეუდგათ. მთელ ღამეს ღრეობდნენ. ტამ-ტამები არ გაუჩერებიათ. ერთი წუთითაც ვერ მოვხუჭე თვალი. მე ვიცოდი, რომ იქაურები ღვთაებასავით შემომცქეროდნენ და უხერხულად ვგრძნობდი თავს. ვშიშობდი, არ დამვიწყებოდა, რომ ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ ჩემს მსგავსთა შორის.

ყოველნაირად ვერიდებოდი პატივმოყვარეობის ციებ-ცხელებას, მაგრამ მეორენაირი ციებისაგან თავი ვეღარ დავიცავი — იმისაგან, ბადითა და ქინაქინით რომ უნდა შევებრძოლებოდი.

მაგრამ მალარიამ, რომელმაც ჯუნგლებიდან ამერიკაში გამდევნა, უკვე გამიარა. ჯუნგლები ისევ მიხმობენ.

ვიცი და მჯერა: ჯუნგლებიდან მოშორებით არასდროს ბედნიერი არ ვიქნები...

საინფორმაციო შემთხვევები

სამი კვერცხი... 40 კაცს ეყო

ჭეშმარიტად მშვენიერი სანახავია სირაქლემა — ყველაზე დიდი ფრინველი. გრძელი კისერი ნაზად გაუწვდია წინ, მაღალ კანჭებზე შემდგარი ამაყად დაბიჯებს. ამიტომაც უხსოვარი დროიდან იქცევს იგი ადამიანის ყურადღებას თავისი სილამაზითა და წარმოსადეგობით.

სირაქლემა ადვილად ეგუება ტყვეობას, შედარებით მოკლე ხანში განიცდის აკლიმატიზაციას, ზოოპარკში მყოფი ბარტყებს არასოდეს არ ჩეკავს, თუმცა უჩვეულოდ დიდ კვერცხებს დებს...

ჰამბურგის ზოოპარკში, რომელიც მისი დამაარსებლის კარლ ჰაგენბეკის სახელს ატარებს, სირაქლემა-სამოს სამი იშვიათი ეგზემპლარი ბინადრობს. ისინი ყოველწლიურად თორმეტ-თორმეტ კვერცხს დებენ, თითო კვერცხი ფეხბურთის ბურთისოდენაა, დაახლოებით ორ კილოგრამს იწონის და ისეთი მაგარი ნაჭუჭი აქვს, რომ ჩაქუჩით თუ გატეხავს კაცი.

ერთი უცნაური თვისებაცა აქვს სირაქლემის კვერცხს: ჰაგენბეკის ზოოპარკის მეპატრონეები ამტკიცებენ, რომ სირაქლემის კვერცხიდან დამზადებული ერბო-კვერცხი ისე გემრიელია, რომ ქვეყანაზე ვერც ერთი კერძი ვერ შეედრება მას. ეს აზრი სავსებით გაიზიარეს და დაადასტურეს ამ ზოოპარკის დამთვალიერებლებმა. 40 კაცი შეიკრიბა და მათთვის მზარეულმა დაამზადა მართლაც უგემრიელესი ერბო-კვერცხი. ამდენი ხალხის გამასპინძლებას თამამად ეყო სირაქლემის სამად სამი კვერცხი, რომლებიც... ხერხით გადახერხეს...

ბეჯითი ფოსტალიონი

იუგოსლავიის სოფელ ნადიუგორიეში უკვე ათი წელია ფოსტა დააქვს... სახედარს. სოფლის მცხოვრებლები ირწმუნებიან, რომ იგი ბეჯითი ფოსტალიონია.

უჩვეულო ნადავლი

იუგოსლავიის ერთ-ერთ სტადიონზე ფეხბურთის მატჩი მიმდინარეობდა. შუა თამაშის დროს ცენტრალურმა თავდამსხმელმა ძლიერად დაარტყა ბურთს ფეხი და ზევით აისროლა. გავიდა ერთი წამი, ორი, სამი, მოთამაშეები ბურთს ელოდებიან, ბურთი კი არ ვარდება დაბლა.

უცებ მთელ სტადიონს ჰომერული სიცილი აუტყდა: მაყურებლებმა დაინახეს, რომ ბურთისთვის კლანჭები ჩაეკლო არწივს, რომელმაც თურმე სწორედ ამ დროს გადაუფრინა სტადიონს თავზე. მტაცებელმა თან წაიღო უჩვეულო ნადავლი.

მუსიკალური ნიჭი

დიდი ხანია ცნობილია, რომ ფლეიტის ჰანგი აიძულებს კობრას თავი წამოსწიოს და მუსიკის ტაქტის ხმას აჰყვეს. მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ კობრას აჯადოებს არა თვითონ მუსიკა, არამედ „გველების მომნუსხველი" ფლეიტის მოძრაობა. შეეიცარიელმა გრამფირფიტაზე ჩაწერა მელოდია და შემდეგ იგი გველის თანდასწრებით დაუკრა. გველმა თავი წამოჰყო და „ცეკვას" შეუდგა.

მწყემსი

ორი წლისა იყო პავინი, როდესაც ფერმაში მოიყვანეს. პირველი დღეები ციკნებთან ერთად ბაკში გაატარა, თხის რძით იკვებებოდა. მალე დაუმეგობრდა წვერებცანცარა ახტაჯანებს და თან დაჰყვებოდა საძოვარზე გარეკილ ჯოგს. მაიმუნმა, რომელსაც სახელად ალა შეარქვეს, სიამოვნებით იკისრა მწყემსის მოვალეობის შესრულება. ყოველ დილით ალა 80 თხას მიერეკებოდა ბალახის საკმელად. როდესაც ანცები ბუჩქებში შეძვრებოდნენ ხოლმე, ალა ამოარჩევდა ყველაზე დიდ თხას, ზურგზე შეახტებოდა, თათებს უტყაპუნებდა და ისევ მდელოზე გამოჰყავდა ცხოველები. თუ რომელიმე თხა ციკანს მოიგებდა, ალა სათუთად აიყვანდა ხელში ახალშობილს და ფერმაში მიჰგვრიდა პატრონს. მთავარი კი ისაა, რომ მწყემსიმაიმუნი მამაცურად იცავდა ჯოგს მტაცებელი ცხოველებისაგან.

უჩვეულო ლოცმანი

1880 წელს პელორუს სრუტეს დელფინი ეწვია. იგი ხალისიანად დაცურავდა წყალში, თამაშობდა და ანცობდა. თუ გემს მოჰკრავდა თვალს, ნებაყოფლობით კისრულობდა მის მეგზურობას, წინ მიუძღოდა და უხიფათოდ შეჰყავდა დახლართულ სრუტეში. მეზღვაურებმა ლოცმან დელფინს სახელად დაარქვეს პელორუს-ჯეკი. ახალი ზელანდიის მთავრობამ სპეციალური კანონი გამოსცა ამ უანგარო „ლოცმანის" დასაცავად. პელორუს-ჯეკი 32 წელს ემსახურებოდა მეზღვაურებს პელორუს სრუტეში.

ეგეც თქვენი ლექტორი

ერთ ხანს ინგლისში ყველაზე უფრო ენაწყლიან მოსიტყვე არსებად ითვლებოდა თუთიყუში, რომელსაც სპარკი ერქვა სახელად. სპარკმა ზეპირად

იცოდა რვა პატარა პოემა, რომლებსაც „ამოუსუნთქავად" კითხულობდა. თუთიყუში მონაწილეობდა აგრეთვე ტელეგადაცემებში, კითხულობდა „ლექციებს" ოთახის ფრინველების კვების საკითხებზე.

სპარკს საკუთარი ანგარიში ჰქონდა გახსნილი ბანკში და გადასახადს უხდიდა სახელმწიფოს.

პროფესიული ბეჯითობა

რკინიგზის გადასასვლელთან წითელი ფერის მსუბუქი მანქანა გაჩერდა. აუტანელი სიცხისაგან შეწუხებული მგზავრები მანქანიდან ჩამოვიდნენ გასაგრილებლად. ამ დროს სადგურიდან უნდა გასულიყო სატვირთო მატარებელი. გაისმა სასტვენის ხმა, აქშინდა ორთქლმავალი და ადგილიდან დაიძრა. უცებ ვაგონიდან გადმოხტა ვეება... სპილო. გოლიათი ჯიქურ მიიკრა წითელ მანქანასთან. შეშინებული მგზავრები მიმოიფანტნენ. სპილო კი დინჯად შედგა მანქანის თავზე და, რა თქმა უნდა, ლავაშივით გააბრტყელა იგი.

ორთქლმავალმა ხელმეორედ დაუსტვინა. ამის გაგონებაზე სპილო მაშინვე დაბრუნდა თავის ვაგონში. მატარებელი ქშენით გაჰყვა ლიანდაგს.

ეს მოხდა უნგრეთში. მგზავრებმა შემდგომში შეიტყვეს, რომ სატვირთო მატარებლით თურმე ცირკი მგზავრობდა. გაწვრთნილმა სპილომ სტვენა რომ გაიგონა და თანაც იქვე ახლოს ნაცნობი „წითელი ტუმბო" დაინახა, ბეჯითად შეასრულა თავისი საცირკო ნომერი.

გოლიათის თავაზიანობა

ეს მოხდა ინდოეთში. ტრამვაის საფეხურიდან შემთხვევით ვიღაც კაცი ჩამოვარდა. გვერდით მიმავალმა სპილომ მაშინვე აიტაცა იგი ხორთუმით და ფრთხილად შესვა ტრამვაის ვაგონის სახურავზე.

საპასუხო სროლა

ეს მოხდა საფრანგეთში. სოფელ ოტბიუს მახლობლად მონადირემ თოფი ესროლა კურდღელს. ნაცარა ადგილზე გაქვავდა. მონადირე მივიდა მასთან. თოფი მიწაზე დადო და ნანადირევს ყურებში მოჰკიდა ხელი ასაღებად. ანაზდად კურდღელმა გაიფართხალა და თათით ჩახმახს წამოედო. იგრიალა თოფმა. მონადირეს შიგ ფეხში მოხვდა საფანტი.

წუნია კინომაყურებელი

უგანდის (აფრიკა) სახალხო პარკში ღია მოედანზე დოკუმენტურ ფილმს უჩვენებდნენ აფრიკის ჯუნგლებში სპილოების ცხოვრებიდან. ამ კინოსეანსებს მუდამ ესწრებოდა ერთი მაყურებელი, რომელიც უღრანი ტყის ტევ-

რიდან მოდიოდა ფილმის საყურებლად. ის მაყურებელთა უკანასკნელი რიგის უკან დადგებოდა ხოლმე და გაფაციცებით მისჩერებოდა ეკრანს, სეანსის დამთავრების შემდეგ კი დინჯი ნაბიჯით მიეშურებოდა შინ.

ერთი-ორჯერ სხვა კინოფილმზე მოხვდა იგი, მაგრამ როგორც კი დარწმუნდა, რომ ეკრანზე სპილოებს არ უჩვენებდნენ, იქაურობას გაეცალა. არც გასაკვირია. ეს მაყურებელი გახლდათ ჯუნგლების ბინადარი სპილო.

ფრთოსანი კონტრაბანდისტები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შვეიცარიელმა კომერსანტმა გადაწყვიტა ერთი კასრი თაფლი ეყიდა იტალიაში, მაგრამ მოულოდნელ დაბრკოლებას წააწყდა: საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის დაკეტილი იყო. მიუხედავად ამისა, კომერსანტმა მაინც იპოვა გამოსავალი. იტალიელ კოლეგას წერილი გაუგზავნა, რომელშიც ეწერა: „100 კილოგრამი თაფლი ქილებში ჩაასხით და საზღვრისპირა ტყეში დააწყვეთ, ქილებს თავი მოხადეთ. დანარჩენი ჩემზე იყოს“.

იტალიელი კომერსანტი ასეც მოიქცა. შვეიცარიელმა საზღვრის მეორე მხარეს რამდენიმე სკა მოიტანა. ფუტკარმა სულ მალე მიაგნეს „ღალიან“ ადგილს. სამი დღის განმავლობაში მათ პირწმინდად „გადმოზიდეს“ საზღვარზე მთელი 100 კილოგრამი თაფლი. ფრთოსანი კონტრაბანდისტები სულაც არ მორიდებიან მესაზღვრეებს, რომლებიც, რასაკვირველია, ვერაფერს მიხვდნენ.

მიშველეთ, დამაპატიმრეთ!

ღამით პასაჟში ორი მძარცველი შევიდა. მაშინვე მზა ტანსაცმლის განყოფილებას მიაშურეს, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს თუ არა, სიბნელიდან ორი ვეებერთელა ძაღლი გამოხტა — ესენი იყვნენ დოგები ჯანა და ჯერი. ერთ-ერთი ქურდი ვიტრინა-ფანჯარას ეცა, მინა ჩაამსხვრია და გარეთ გავარდა. ჯანა კვალდაკვალ მიჰყვა მას...

მეორე ქურდი დახლზე შეხტა, ჯერმა ნახტომი გააკეთა და მაშინვე იატაკზე ჩამოათრია იგი. მძარცველმა დანა ამოიშვლა. ოთხფეხა მცველი და შეიარაღებული ქურდი ერთმანეთს შეებნენ...

შუაღამით სისხლის სამართლის ძიების მორიგის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. აკანკალებული ხმით, თანაც სხაპასხუპით ვიღაც ლაპარაკობდა:

— სასწრაფოდ მოდით და დამაპატიმრეთ! უნივერმაღში ვარ, პასაჟში, შზა ტანსაცმლის განყოფილებაში!

პასაჟში ოპერატიული ჯგუფი გაგზავნეს. ქურდები დააპატიმრეს. ჩამსხვრეულ ვიტრინასთან ჯანა ჩაცუცქულიყო, მის წინ კი სიცივისა და შიშისაგან მოკრუნჩხული ქურდი იჯდა. ჯერი კი ტელეფონის ჯიხურში გამომწყვდეულ მეორე ქურდს დარაჯობდა.

მოულოდნელი ხსნა

1959 წლის ივლისში კოლუმბიის ნავსადგურ კარტაჰენში ღუზა აუშვა ურთმა პატარა გემმა და გზას გაუდგა. შუა ზღვაში გემმა ავარია განიცადა. წყალში გადაცვენილ ხალხს ზვიგენების ხროვა დაესია. უცებ, სად იყო, სად არა, დელფინების გუნდი გამოჩნდა. განწირული ადამიანების გადასარჩენად მოსული დელფინები მამაცურად შეებნენ ზვიგენებს. როდესაც ავარიის ადგილას მაშველი გემი მოვიდა, დელფინებს უკვე მოგებული ჰქონდათ წყალქვეშა ბრძოლა. ახლომახლო ზვიგენის ჭაჭანებაც აღარსად იყო.

ლომმა ხორცის ჭამა მიატოვა

ამ ცოტა ხნის წინ ერთი საინტერესო შემთხვევა მოხდა ბერლინში. ბუშის ცირკში გამოდიოდა მომთვინიერებელი კლარა ჰელიოტი. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კულისებში ვიღაც უცხო კაცი შევიდა და ლომების გალიისაკენ გაეშურა. მხეცები ამ დროს საჭმელს ჭამდნენ. უცნობი გალიასთან მივიდა და დაიძახა: „ნერონ!" ერთ-ერთმა ლომმა ხორცის ჭამა მიატოვა (!), გისოსთან მოირბინა და მოსაფერებლად ზურგი მიუშვირა ამ კაცს. კაცს ხმა არ ამოუღია, ისე დაუწყო ალერსი ცხოველს. კლარა ჰელიოტი განცვიფრებული იყო. გამოირკვა, რომ ეს მამაცი კაცი, გვარად ფიშერი, რამდენიმე წელიწადს ნერონის მომვლელი ყოფილა ლაიპციგის ზოოპარკში.

ფრთოსანი მალემსრბოლი

„დილის 10 საათია, სამშაბათი დღე. მანქანა გაგვიფუქდა ნიუ-იორკიდან 210 მილის დაშორებით. უსასოოდ დავცურავთ ბურანში. მოგვაშველეთ ბუქსირი... რაც შეიძლება სწრაფად... კაპიტანი..." ეს ბარათი ავარიით დაზიანებული საოკეანო გემიდან მოიტანა მტრედმა არნომ. სქელ ბურუსში არნომ 210 მილი 4 საათსა და 40 წუთში გადაიფრინა ოკეანის თავზე.

მეგობრობაც ამას ჰქვია

იუგოსლავიის ქალაქ გევგელიის გარეუბნის ერთ სოფელში მონადირე იანკოს ჰყავს ძაღლი და კატა, რომლებიც მეგობრულად ცხოვრობენ ერთ ჭერქვეშ. მაგრამ ეს როდია საკვირველი, განსაცვიფრებელია ის, რომ როდესაც პატრონი ძაღლთან ერთად სანადიროდ მიდის, მას ყოველთვის თან ახლავს კატა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კურდღლების დაჭერაში. შინ ყოფნისას კი ძაღლი თავის მხრივ თაგვების დაჭერაში ეხმარება კატას.

პენსიის უფლება

1964 წლის ზაფხულში ავსტრალიელმა ფერმერმა ლინდსეი შმიტმა ფრიად განაცვიფრა ვიქტორიის შტატის გადასახადთა სამმართველოს მოხე-

ლეები. შმიტმა განცხადება შეიტანა სამმართველოში და მოითხოვა საშემოსავლო გადასახადით დაებეგრათ მის ფერმაში მომუშავე მაიმუნი, რომელსაც პატრონი ჯონს ეძახდა. განმცხადებელი წერდა: მე მინდა, რომ ამ გზით ჯონმა მოხუცებულობის პენსიის უფლება მოიპოვოსო.

გადასახადთა სამმართველოს თავსატეხი ამბავი გაუჩნდა. გამოჰყვეს კომისია, რომელსაც დაავალეს ფერმერის განცხადების განხილვა. როდესაც კომისიის წევრები ადგილზე მივიდნენ, მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. მაიმუნი მართლაც მუშაობდა!

ჯონს მარჯვედ დაჰყავდა ტრაქტორი! გადასახადთა სამმართველოს ინსპექტორების თვალწინ იგი საკეს მიუჯდა, ჩართო ძრავა, შეამოწმა — გამორთული იყო თუ არა გადაბმულობა... და თავისი პატრონის მითითებით, თივის მოსატანად გაეშურა. საძოვარზე რომ მივიდა, სხვის დაუხმარებლად სათრეველა ზვინით დატვირთა, ტრაქტორს გამოაბა და ფარდულთან მოიტანა თივა.

გამოირკვა, რომ გარდა ამისა, მას შეუძლია თურმე ბალახის თიბვა, ცხენების წაყვანა დასარწყულებლად და სხვა სამეურნეო სამუშაოს შესრულება. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ტრაქტორისტობა მოსწონდა.

კომისიის წევრები ერთმანეთს მოეთათბირენ და დაასკვნეს, რომ ფერმერის თხოვნა სავსებით საფუძვლიანი იყო. ჯონი ჩაწერეს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა სიაში. იგი დაბეგრეს თვეში 90 დოლარის შემოსავლის კვალობაზე.

... ჯონი უკვე რამდენიმე წელია, რაც შმიტის ფერმაში ცხოვრობს. მაიმუნი შმიტისთვის უჩუქებია მოხეტიალე ცირკს იმის სამადლობელოდ, რომ ერთხელ შმიტს მონაწილეობა მიუღია ბალაგანში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში. საინტერესოა, ვინ ურჩია ფერმერს ჯონის სამუშაო ძალის გამოყენება? თვითონ ჯონმა. საქმე ისაა, რომ იგი ყველაფერში ბაძავს ადამიანებს. რა თქმა უნდა, პატრონს ბევრი წვალება დასჭირდა, სანამ „ნამდვილ მუშაობას“ შეასწავლიდა მაიმუნს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამაგი წყალში არ ჩაეყარა.

ჯონი საკმაოდ თავმდაბალია, სამუშაოს საფასურად მცირე რამ ჰყოფნის: ერთი მათლაფა სუპი, ბადია ხილი და რამდენიმე მუჭა თხილი. სიბერემდე ერთი ოციოდ წელიწადი კიდევ უკლია ამ გამრჯე მუშაკს, რომელიც მუქთახორობას ვერ იტანს.

ამ შემთხვევამ ფრიად დააინტერესა ცხოველთა ფსიქოლოგიის სპეციალისტები.

„გ ა-გ ა-გ ა-გ ა!“

მეცნიერმა კონრად ლორენცმა ბატების ენა შეისწავლა. მან შეიტყო, მაგალითად, რომ „გა-გა-გა!“ ნიშნავს: „იჩქარეთ, იჩქარეთ!“ „გა-გა-გა-გა-გა-გა!“ ასე ითარგმნება: „აქ რაღაც სასანსლავი იპოვება, დავრჩეთ!“ „გა-გა-გა-გა-გა-გა“ კი თურმე დაახლოებით იგივეა, რაც: „ამ საძოვარზე

მწირი ბალახია, მაგრამ მაინც შეიძლება ცოტა წავიხემსოთ!“ და ბოლოს, „გა-გა-გა-გა!“ მოწოდებაა — „აქ გაჩერება არ ღირს, განვაგრძოთ გზა!“

ფრთოსანი ქორმეისტერი

ერთმა ჩიტების მოყვარულმა ფრანგმა „მარსელიოზის“ სტვენა ასწავლა თავის შოშიას, მერე კი გალიის კარი გაუღო და გაუშვა. რამდენიმე დღის შემდეგ შოშიების მთელი გუნდი სტვენდა „მარსელიოზას“.

ლაპარაკობენ თუ არა ჭიანჭველები?

ტყის ვიწრო ბილიკზე ორი ჭიანჭველა ხვდება ერთმანეთს.

— მაჭამე, რა!

— მომწყდი თავიდან!

— გვეედრები!

აი, ასეთი დიალოგი იმართება მათ შორის და, ბოლოს და ბოლოს, მაძღარი ჭიანჭველა მშიერს საჭმელს უწილადებს.

ეს დიალოგი მოგონილი როდია. ზოოლოგებისათვის ახალი ამბავი არაა ის, რომ ჭიანჭველებს, ფუტკრებსა და სხვა მწერებს შეუძლიათ ერთმანეთს სიგნალები გადასცენ. მაგრამ მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ მოხერხდა ამ სიგნალების „წაკითხვა“, ადამიანის ენაზე მათი „გადათარგმნა“.

როცა მერქნიჭამია ჭიანჭველა სწორი კუთხით მოაბრუნებს თავს, ყბებს გახსნის და მეორე ჭიანჭველას ულვაშებით თავზე მოუცაცუნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საჭმელს თხოულობს. თუ მისი თხოვნა უპასუხოდ რჩება, იგი უფრო მეტი დაჟინებით იმეორებს თავის თხოვნას: თავს უკან მიაბრუნებს და მაძღარ ჭიანჭველას ყბებს ქვემოდან მიუშვერს.

ჭინჭაველებს აქვთ სიგნალები „ყურადღება!“ „განგაში!“ „აქეთ, მოგვეშველეთ!“

როცა მეცნიერები მერქნიჭამიების ყველა სიგნალს გამოიცნობენ, ისინი, ალბათ, სათანადო ლექსიკონსაც შეადგენენ.

მადლიერი მაყურებელი

შეიძლება თუ არა, კინომ გავლენა მოახდინოს წველადობაზე? ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა ის ცდები, რომლებიც ჩაატარა ერთმა ინგლისელმა ფერმერმა. ერთხელ შემთხვევით, უფრო კი სასეიროდ, მან თავისი ტელევიზორი ერთი ღამით ძროხებს დაუდგა ბაკში. სწორედ იმ საღამოს ტელევიზიით აჩვენებდნენ ამერიკულ კოვბოურ ფილმებს, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ცხენები, კამეჩები და ძროხები. წარმოიდგინეთ ფერმერის განცვიფრება, როდესაც მეორე დღეს შეამჩნია, რომ მისმა ძროხებმა ჩვეულებრივთან შედარებით ცხრა ლიტრით მეტი რძე მოიწველეს. ფერმერმა გაიმეორა ექსპერიმენტი — მეორედაც ზუსტად ასეთი-

ვე შედეგი მიიღო. ამის შემდეგ ტელევიზორმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ძროხების ბაკში, ფერმერის საქმეები კი გამოკეთდა: ძროხები გაცილებით მეტს იწველიდნენ. აბეზარა კორესპონდენტების შეკითხვებზე ექსპერიმენტატორმა უპასუხა: „ყველაზე მეტად კოვბოური ფილმები მოსწონთ ჩემს ძროხებს. სამიჯნურო თემატიკას გულთან არ იკარებენ, ხოლო ამერიკული „საშინელებათა ფილმების“ ყურების შემდეგ წველადობა კატასტროფულად კლებულობს“.

შინაარსი

	გვ.
კარლ ჰაგენბეკი — მხეცებსა და ადამიანებზე (თარგმანი გ. ქველაძისა)	5
ჩარლზ მაიერი — როგორ ვიპერდი გარეულ მხეცებს (თარგმანი ნ. ჟღენტისა)	283
საინტერესო შემთხვევები (თარგმანი გ. ქველაძისა)	469

რედაქტორები ნ. მამისაშვილი, ირ. არაბული
მხატვარი ა. სარჩიმელიძე
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
კორექტორი მ. კლდიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VII-66 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32.
ნაბეჭდი თაბახი 24.6+1 ცალი ჩაკვრა.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 21.61.
ტირაჟი 20 000. შეკვ. № 1247.
ფასი 1 მან 19 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

•

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Карл Гагенбек

О людях и зверях

— · · · —

Чарлз Майер

Как я ловил диких зверей

(На грузинском языке)

Издательство „Сабчота Сакáртвело"
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1966